

ნ. რიაშოვი ნ. ტიტელბაუმი

ვ ა ჟ რ ო ბ ი ს  
ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ა



თბილისის უნივერსიტეტის გარემოცემობა  
თბილისი 1974

ვაჭრობის სტატისტიკის წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს მეხუთე რუსული გამომუშავებული და შეესებული გამოცემის თარგმანს. იგი რსფსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებულია. სახელმძღვანელოდ ეკონომიური ინსტიტუტებისა და ფაკულტეტებისათვის.

ქართული თარგმანი შესრულებულია უკანასკნელი გამოცემის მიხედვით. ზოგიერთი ციფრი და თეორიული დებულება დაზუსტებულია სკკპ XXIV ყრილობის დადგენილებების გათვალისწინებით.

სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი დიდ დახმარებას გაუწევს ეკონომიური ფაკულტეტების სტუდენტებს, აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობისა და ცეკავშირის სისტემის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში. იგი სასარგებლო იქნება ვაჭრობის დარგის მუშაკებისთვისაც.

მთარგმნელი: გ. მაზიაშვილი

ქართული თარგმანის რედაქტორი: უ. ბერაძე.

Николай Николаевич Рязов,  
Николай Петрович Тительbaum

СТАТИСТИКА ТОРГОВЛИ

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета:  
Тбилиси. 1974.

## ავტორთა წინასიტყვაობა პართული ბამოცემისათვის

ვაჭრობის სტატისტიკა წარმოადგენს სტატისტიკური მეცნიერების ერთ-ერთ მნიშვნელოვან დარგს. იგი, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერული სტატისტიკური დისციპლინა, ისწავლება სსრ კავშირის ყველა ეკონომიურ უმაღლეს სასწავლებელსა და ფაკულტეტზე, აგრეთვე სახელმწიფო ვაჭრობისა და ცეკავშირის სისტემის საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში.

დარგობრივი სტატისტიკის არც ერთი დისციპლინა ისე ზუსტად არ ასახავს სოციალისტური წარმოების წესის სპეციფიკას, როგორც ვაჭრობის სტატისტიკის კურსი. კაპიტალისტური ვაჭრობის ნაცვლად, სოციალისტურ საზოგადოებაში გაჩნდა განსაკუთრებული სახის—გეგმიანი ვაჭრობა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები ერთიანი სახელმწიფო ფასებით. სტატისტიკური ინფორმაციის წყარო გახდა საეკონომიკური და საწარმოო და ორგანიზაციითა ანგარიშგება, რომელსაც საფუძვლად უდევს საბუღალტრო და ოპერატიული აღრიცხვის მონაცემები. ამ ანგარიშგების მასალებს ავსებს სპეციალური სტატისტიკური გამოკვლევები და აღწერები.

ყოველივე ამის საფუძველზე სოციალისტურ საზოგადოებაში შეიქმნა ვაჭრობის სტატისტიკის ახალი კურსი, რომელიც თავისი თემატიკით, პროგრამით, კატეგორიებით, მასალების მოპოვებისა და დამუშავების მეთოდებით პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტური ქვეყნების ვაჭრობის სტატისტიკისაგან.

«ვაჭრობის სტატისტიკის კურსი» სსრ კავშირის ეკონომიურ უმაღლეს სასწავლებლებში შემოღებულ იქნა 30-იანი წლების დასაწყისიდან. გამოვიდა პირველი სახელმძღვანელოც—*Статистика советской торговли* (ი. პისარევის, ნ. რიაუზოვისა და ნ. ტიტელბაუმის ავტორობით), რომელიც სამჯერ იქნა გამოცემული ჯერ კიდევ ომამდელ პერიოდში. შემდგომში ვაჭრობის სტატისტიკის არსებითად გადამუშავებული კურსი (ნ. რიაუზოვის და ნ. ტიტელბაუმის ავტორობით) პირველად გამოვიდა 1947 წელს და პერიოდულად მეორედებოდა მისი გამოცემა 1951, 1956, 1961, 1968 წლებში. წინამდებარე ქართული თარგმანი შესრულებულია მეხუთე გამოცემის მიხედვით.

უნდა აღინიშნოს, რომ სოციალისტური ეკონომიკის სწრაფი ზრდა, კომუნისტური მშენებლობის პროცესში წარმოშობილი ახალი აქტუალური ამოცანები

არსებით გავლენას ახდენს სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამაზე, კერძოდ ვაჭრობის სტატისტიკაზე. სტატისტიკის დარგობრივი კურსები საქიროებს ნაწილობრივ განახლებას ახალი პირობების გათვალისწინებით. დღეისათვის ზოგი რამ შეიცვალა საბჭოთა ვაჭრობაშიც. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებები, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წწ. ხუთწლიანი გეგმა, სამეურნეო ხელმძღვანელობის ახალი მეთოდები და სხვა ღონისძიებანი საბჭოთა ვაჭრობის წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს, რომელთა გადაწყვეტამ ასახვა უნდა პოვოს სტატისტიკურ მუშაობაში.

საბჭოთა ვაჭრობის სტატისტიკაში, ისევე როგორც სტატისტიკის სხვა დარგებში, უფრო სრულყოფილი ხდება სტატისტიკურ მარევენებელთა სისტემა, წინანდელზე მეტად ფართოვდება სტატისტიკური მასალის ანალიზთან დაკავშირებული სამუშაოები, რომლებიც ხელს უწყობს სავაჭრო საქმიანობის ეფექტურობისა და სავაჭრო საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებას, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებას. საკმაოდ განვითარდა საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნებისა და მისი დაკმაყოფილების ხარისხის სტატისტიკური შესწავლის სამუშაოები. ბუნებრივია, ყველა ეს ახალი მომენტი, რომელიც სრულად არ არის ასახული სახელმძღვანელოს ბოლო (მეხუთე) გამოცემაში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს კურსის შესწავლისას.

**6. რეაუზოვი**

**6. ტიტელბაუმი**

## მ ა ზ რ ო ზ ი ს ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ი ს ს ა გ ა ნ ი დ ა ა მ ო ც ა ნ ე მ ი

### 1. ვ ა კ რ ო ზ ი ს ს ტ ა ტ ი ს ტ ი კ ი ს ს ა გ ა ნ ი

ადამიანთა საზოგადოების არსებობის საფუძველს წარმოადგენს მატერიალური დოვლათის წარმოება. განსაზღვრულ პერიოდში შექმნილი მთელი მატერიალური დოვლათის ერთობლიობა შეადგენს საზოგადოებრივ პროდუქტს. ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი შედგება ორი ნაწილისაგან: მატერიალური დოვლათის ერთი ნაწილი, რომელიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისათვის (მანქანები და მოწყობილობა, ნედლეული, მასალები, სათბობი და სხვ.), ცნობილია წარმოების საშუალებათა სახელწოდებით, ხოლო მეორე, განკუთვნილი მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის,— მოხმარების საგნების სახელწოდებით.

მატერიალური დოვლათი, შექმნილი მატერიალური წარმოების დარგებში, დაყვანილ უნდა იქნეს მოხმარების სფერომდე, უშუალოდ მოხმარებლამდე. წარმოების კავშირი მოხმარების სფეროსთან — ხორციელდება საზოგადოებრივი პროდუქტის მიმოქცევის საშუალებით.

სოციალისტურ საზოგადოებაში საზოგადოებრივი პროდუქტის მიმოქცევა ხდება საქონლის ფორმით— მისი ყიდვა-გაყიდვის მეშვეობით. წარმოების საშუალებათა საქონლურმა მიმოქცევამ უნდა უზრუნველყოს სახელმწიფო და კოოპერაციულ საწარმოთა მომარაგება წარმოების საშუალებებით; იგი მიმდინარეობს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო გეგმის შესაბამისად. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წწ. ხუთწლიანი გეგმის შესახებ გათვალისწინებულია თანდათანობითი გადასვლა მოწყობილობის, მასალებისა და ნახევარფაბრიკატების გეგმიან განაწილებაზე საბითუმო ვაჭრობის მეშვეობით. მოხმარების საგნების სასაქონლო მიმოქცევა მოწოდებულია მოსახლეობა უზრუნველყოს მოხმარების საგნებით როგორც ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში, ასევე სოფლად.

წარმოების საშუალებათა და მოხმარების საგანთა მიმოქცევა ორგანიზაციულად განცალკევებულია; წარმოების საშუალებათა გაყიდვა წარმოებს სპეციალი-

ზებული მომმარაგებელი და გამსაღებელი ორგანოების სისტემის მეშვეობით, ხოლო მოხმარების საგნებისა—სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო საწარმო-ორგანიზაციების, აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრის მიერ. მომარების საგანთა სასაქონლო მიმოქცევა სსრ კავშირში წარმოადგენს ვაჭრობის განსაკუთრებულ ფორმას—ვაჭრობას უკაპიტალისტებოდ, რაც დამახასიათებელია მხოლოდ სოციალისტური საზოგადოებისათვის.

წინამდებარე კურსი მიძღვნილია მოხმარების საგნებით ვაჭრობის სტატისტიკისადმი; წარმოების საშუალებათა სასაქონლო მიმოქცევის სტატისტიკის საკითხები განიხილება მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სტატისტიკის სპეციალურ კურსში.

ვაჭრობა სოციალიზმის დროს ახორციელებს გეგმაზომიერ კავშირს სოციალისტურ წარმოებასა და სახალხო მოხმარებას შორის. სოციალიზმის ძირითადი ეკონომიური კანონის მოთხოვნების შესაბამისად მან უნდა უზრუნველყოს მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნებათა რაც შეიძლება სრული დაკმაყოფილება. ვაჭრობის მეშვეობით ხდება მოსახლეობის ფულადი შემოსავლის რეალიზაცია; ვაჭრობით ხორციელდება შრომის მიხედვით განაწილების ეკონომიური კანონი. ამ მიზნის მისაღწევად ვაჭრობამ უნდა მოახდინოს აქტიური ზეგავლენა წარმოებაზე, ხელი შეუწყოს მის შემდგომ განვითარებას და მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის გამოშვების გადიდებას.

სკკპ XXIII ყრილობამ დასახა საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის ზრდის ტემპების დაჩქარების ამოცანა. თუ 1961—1965 წწ. მოსახლეობის რეალური შემოსავალი (ერთ სულზე გაანგარიშებით) გადიდა 20%-ით, მერვე ხუთწლეულში (1966—1970 წწ.) ამ მონაცემებმა შეადგინა დაახლოებით 33%. საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა გაიზარდა 48,5%-ით, ნაცვლად 34%-ისა წინა ხუთწლეულთან შედარებით. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა გადიდა დაახლოებით 1,5-ჯერ, ნაცვლად 30%-ისა წინა ხუთწლეულში. სკკპ XXIII ყრილობაზე აღნიშნული იყო სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობის ჩამორჩენის შესახებ, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი, რომლებიც ვაჭრობის წინაშე აყენებს უდიდეს ამოცანებს სახალხო მოხმარების საქონლით მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილებისათვის.

ვაჭრობის სტატისტიკის საგანს წარმოადგენს მასობრივი პროცესები და მოვლენები სასაქონლო მიმოქცევის დარგში. სტატისტიკა აღრიცხავს და შეისწავლის სასაქონლო მიმოქცევის დარგში მასობრივი პროცესებისა და მოვლენების რაოდენობრივ მხარეს მათ თვისებრივ მხარესთან განუყრელ კავშირში; იგი სპეციფიკური სტატისტიკური მეთოდებით იკვლევს ვაჭრობის განვითარების კანონზომიერებას. ვაჭრობის მასობრივ მოვლენათა რაოდენობრივი მხარის შესწავლისას სტატისტიკა აღრიცხავს როგორც კონკრეტული ფაქტების ერთობლიობას, ასევე ცალკეულ ფაქტებს და მათ ურთიერთკავშირს. ვაჭრობის მონაცემთა ანალიზი შესაძლებლობას გვაძლევს დავახასიათოთ ეკონომიური მოვლენებისა და პროცესების დონე, სტრუქტურა და დინამიკა სასაქონლო მიმოქცევის სფეროში, განვსაზღვროთ

სახალხო-სამეურნეო გეგმის შესრულების ხარისხი, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ზრდა.

სტატისტიკა შეისწავლის საზოგადოებრივ ურთიერთობებს საქონლის მიმოქცევის დარგში. სახალხო მოხმარების საგანთა მიმოქცევის სფეროში მიმდინარე მასობრივი მოვლენებისა და პროცესების გამოკვლევა სტატისტიკური მეთოდებით სერიოზულ მოთხოვნებს აყენებს სტატისტიკური მეთოდოლოგიის წინაშე. ამასთან დაკავშირებით ვაჭრობის სტატისტიკის ამოცანას წარმოადგენს სახალხო მოხმარების საგნებით საბჭოთა ვაჭრობის სტატისტიკური კვლევის მეცნიერული მეთოდოლოგიის დამუშავება.

მთელი სტატისტიკური მეცნიერების და კერძოდ ვაჭრობის სტატისტიკის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ისტორიული მატერიალიზმი და პოლიტიკური ეკონომია. თავის მხრივ სტატისტიკის ზოგად თეორიას აქვს ფუძემდებლური მნიშვნელობა საბჭოთა ვაჭრობის სტატისტიკისათვის.

არსებობს ვაჭრობის სამი ფორმა:

1) სახელმწიფო ვაჭრობა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო ორგანიზაციები და საწარმოები;

2) კოოპერაციული ვაჭრობა, რომელსაც ახორციელებს სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციები და საწარმოები;

3) საკოლმეურნეო ვაჭრობა, რომელსაც ახორციელებს ცალკეული კოლმეურნეობები და კოლმეურნეები საბაზრო ფასთა მიხედვით.

სახელმწიფო, კოოპერაციულ და საკოლმეურნეო ვაჭრობას შორის თანაფარდობა მთელ საცალო საქონელბრუნვაში 1940 და 1965 წლებისათვის ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

ვაჭრობის ფორმები	საცალო საქონელბრუნვა			
	მლრდ მან.		პროცენტობით ჯამისადმი	
	1940 წ.	1965 წ.	1940 წ.	1965 წ.
სახელმწიფო ვაჭრობა	12,8	73,8	62,7	66,1
კოოპერაციული ვაჭრობა	4,7	31,0	23,0	28,5
საკოლმეურნეო ვაჭრობა	2,9	3,7	14,3	3,4
<b>ს უ ლ</b>	<b>20,4</b>	<b>108,5</b>	<b>100,0</b>	<b>100,0</b>

როგორც ცხრილიდან ჩანს, წამყვანი მდგომარეობა ვაჭრობაში სახელმწიფო ვაჭრობას უჭირავს. 1965 წელს მასზე მოდიოდა მთელი ქვეყნის საცალო საქონელბრუნვის 68%, კოოპერაციულ ვაჭრობაზე—29 %, ხოლო საკოლმეურნეო ვაჭრობაზე—სულ რაღაც .3%. საკოლმეურნეო ბაზრის წილი რამდენადმე მეტია (5,5%) სასურსათო საქონლით ვაჭრობაში და კიდევ უფრო მეტი (10%)—შესადარი საქონლის იმ ჯგუფის მიხედვით, რაც საერთოდ ვაჭრობით იყიდება.

საქონლის მიმოქცევა ხასიათდება ერთიმეორესთან დაკავშირებული სტატისტიკური მაჩვენებლების სისტემით. მოხმარების საგნების სასაქონლო მიმოქცევის სტატისტიკურ მაჩვენებელთა სისტემა წარმოადგენს წარმოების სფეროდან მოხმარების სფერომდე საქონლის მოძრაობის ერთიან პროცესს, როგორც მთელი საზოგადოებრივი კვლავწარმოების ორგანულ ნაწილს.

სასაქონლო მიმოქცევის სტატისტიკის ძირითადი მაჩვენებელია საქონლებრუნვა. საქონლის გაყიდვის ხასიათისა და დანიშნულების მიხედვით ერთიმეორისაგან განასხვავებენ საქონლებრუნვის ცალკეულ სახეებს; ესენია: 1) საბითუმო საქონლებრუნვა, როგორც საქონლის მოძრაობის პირველი ეტაპი, რომლის დანიშნულებაა საცალო ვაჭრობის უზრუნველყოფა სასაქონლო რესურსებით; 2) საცალო საქონლებრუნვა, რომელიც წარმოადგენს საქონლის მიმოქცევის დასკვნით ეტაპს, როდესაც მატერიალური დოვლათი ამთავრებს თავის სასაქონლო მიმოქცევას და გადადის მოხმარების სფეროში. სტატისტიკური აღრიცხვისას მკვეთრად გამოიყენება საქონლებრუნვის ეს ორი უმნიშვნელოვანესი კატეგორია, შესწავლა მათი მოცულობა, სტრუქტურა და დინამიკა, მათი თანაფარდობები.

სასაქონლო მიმოქცევის უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია სასაქონლო მარაგი, რომელიც წარმოადგენს საქონლის მოძრაობის მომენტს მიმოქცევის სფეროში. სტატისტიკა სწავლობს სასაქონლო მარაგის, როგორც ვაჭრობის საბრუნავ საშუალებათა უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილის, გამოყენების ეფექტურობას. საქონლის გაყიდვა წარმოებს განსაზღვრული ფასებით, რომლებიც სხვადასხვა ვაჭრობის ცალკეულ რგოლებში და იცვლება დროის მიხედვით. ფასების დონე, ცალკეული სახის საქონლის ფასებს შორის თანაფარდობა ვაჭრობის სხვადასხვა რგოლში და მათი ცვლილება დროში მიეკუთვნება საქონლის მიმოქცევის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელთა რიცხვს.

საქონლის მიმოქცევის სფეროში დასაქმებულია ვაჭრობის მუშაკთა დიდი არმია—4 მილიონზე მეტი კაცი. მუშაკთა რიცხოვნებისა და მათი შრომის ნაყოფიერების მონაცემები არის საქონლის მიმოქცევის მაჩვენებელთა სისტემის განუყოფელი ნაწილი. საქონლის მიმოქცევა მოითხოვს განსაზღვრულ ფულად დანახარჯებს, რაც საჭიროა სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საქონლის დამზადების, შესყიდვის, ტრანსპორტირების, დაფასების, შეფუთვის, შენახვისა და რეალიზაციის სავაჭრო-ოპერატიული ფუნქციების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად. სტატისტიკა ამუშავებს საბჭოთა ვაჭრობის რენტაბელობის მაჩვენებლებს—დარიცხვას გაყიდულ საქონელზე, მიმოქცევის ხარჯებსა და საქონლის რეალიზაციით მიღებულ მოგებას. საქონლის მიმოქცევა მოითხოვს აგრეთვე სათანადო მატერიალურ ბაზას (სასაქონლო საწყობებს, მაღაზიებს, სასადილოებს და სხვ.) და მის ტექნიკურ აღჭურვას. მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებს საბჭოთა ვაჭრობის მატერიალური ბაზის მდგომარეობას, ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებელთა საერთო სისტემის ორგანული ნაწილია.



## 2. ვაქრობის სტატისტიკის ამოცანები და მეთოდები

ვაქრობის სტატისტიკის ამოცანები განისაზღვრება საერთო ამოცანებით, რომლებიც დგას საბჭოთა სტატისტიკის წინაშე. საბჭოთა სტატისტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს სტატისტიკური მონაცემების დამუშავება, ანალიზი და უტყუარი ციფრების დროული წარდგენა მთავრობისათვის, სამკურნეო მმართველობისა და კულტურის ორგანოებისათვის, სამეცნიერო დაწესებულებებისათვის როგორც ცენტრში, ისე ადგილებზე. მისი ამოცანაა აგრეთვე მშრომელთა ფართო მასებისათვის მეცნიერულად დასაბუთებული სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნება. ეს მონაცემები გვიჩვენებს სახელმწიფო გეგმების შესრულების მიმდინარეობას, სოციალისტური სახალხო მეურნეობისა და კულტურის ზრდას, მატერიალურ რესურსებს და მათ გამოყენებას, მეურნეობის სხვადასხვა დარგთა განვითარების თანაფარდობას და რეზერვებს გეგმის გადაჭარბებისათვის.

ამ ამოცანიდან გამომდინარეობს, რომ ვაქრობის სტატისტიკის პროგრამა არ შემოიფარგლება მარტოოდენ გეგმის მაჩვენებელთა სისტემით. იგი შეიცავს აგრეთვე სხვა მაჩვენებლებსაც, რომლებიც აუცილებელია ვაქრობის განვითარებისა და პირობების ყოველმხრივი შესწავლისათვის. გეგმის შესრულების შემოწმება მხოლოდ საგეგმო დავალებებისადმი ფაქტიური ანგარიშგებითი მონაცემების დაპირისპირებაში როდი მდგომარეობს: ვაქრობის სტატისტიკამ მასობრივი ციფრობრივი მასალების დამუშავების სპეციფიკური მეთოდების მეშვეობით უნდა აგვიხსნას, თუ როგორ იქნა მიღწეული გეგმის შესრულების ესა თუ ის დონე, ე. ი. გამოავლინოს მისი განმსაზღვრელი ფაქტორები. იმის გამო, რომ გეგმის შესრულება წარმოადგენს კანონს ყოველი საეკონომიკური საწარმოსათვის, სტატისტიკა მოწოდებულია გვიჩვენოს გეგმის შესრულების თანაბარზომიერება, გამოავლინოს მოწინავე საწარმონი, რომელთაც მიაღწიეს საუკეთესო მაჩვენებლებს, აღმოაჩინოს გამოუყენებელი რეზერვები სახელმწიფო გეგმის მთლიანად შესრულებისა და გადაჭარბებისათვის. ამგვარად, ვაქრობის სტატისტიკა ფაქტების გულგრილი რეგისტრატორი კი არაა, არამედ იარაღი, რომელიც აქტიურად გამოიყენება ვაქრობის განვითარების გეგმიანი ხელმძღვანელობის პროცესში.

ვაქრობის სტატისტიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანები გამომდინარეობს სკკპ XXIV ყრილობის დედგენილებიდან: „ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველყოს ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპით, მისი ეფექტურობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის დაჩქარების საფუძველზე“<sup>1</sup>.

<sup>1</sup> სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბილისი, 1971, გვ. 172.

სკკპ XXIV ყრილობის ეს გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება აგრეთვე ვაქრობასაც. მისგან გამომდინარეობს ვაქრობის სტატისტიკის განსაზღვრული ამოცანები. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების მოთხოვნა, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს საბრუნავ საშუალებათა, უმთავრესად საქონლის მარაგის გამოყენების ეფექტურობის ამაღლებას, საქონლის მარაგის თითოეულ მანეთზე საქონელბრუნვის უკუგების გადიდებას. სტატისტიკამ უნდა გააძლიეროს საქონლის მარაგის—მისი მოცულობის, შედგენილობის, დისლოკაციის, დინამიკის—შესწავლა. საქონლის მარაგი წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მარაგებს, რომელიც ცხადყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას ფართო მოხმარების საქონელზე. სტატისტიკამ უნდა აწარმოოს საქონლის მარაგისა და საქონელბრუნვის ასორტიმენტის შერჩევითი გამოკვლევა, რათა ოპერატიულად აღეწვას თვალყურის მოსახლეობის მოთხოვნილებას და მის ცვალებადობას. საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება ნიშნავს აგრეთვე სავაჭრო ფართობის ერთეულზე საქონელბრუნვის დატვირთვის ამაღლებას. სტატისტიკამ უნდა აწარმოოს ისეთი მარაგების სისტემატური გაანგარიშება და ფაქტორების შესწავლა, რომლებიც განსაზღვრავენ დატვირთვის გადიდებას. გარდა ამისა, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება მოითხოვს გულმოდგინე დაკვირვებას შრომითი რესურსების გამოყენებაზე, შრომის ნაყოფიერების გადიდებასა და მოხმარებელთა მომსახურების გაუმჯობესებაზე. დაბოლოს, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება გულისხმობს რენტაბელური სავაჭრო მუშაობის ორგანიზაციას, რაც სტატისტიკას ავალდებულებს კიდევ უფრო გააძლიეროს მიმოკვლევის ხარჯებისა და მისი დონის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა.

ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის განმსაზღვრელია საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება. იგი მჭიდრო კავშირშია მოსახლეობის მოთხოვნილების შესწავლასთან. სტატისტიკის წინაშე დგას მოსახლეობის მოთხოვნილებებზე სისტემატური დაკვირვების გადაუდებელი ამოცანა, რაც უზრუნველყოფს ჯეროვან და დროულ ინფორმაციას მოთხოვნილებაში ცვლილებების შესახებ; ვაქრობას უნდა შეეძლოს ორგანიზებულად წაუყენოს მრეწველობას მეცნიერულად დასაბუთებული შეკვეთები მოსახლეობისათვის საჭირო საქონლის წარმოებაზე ყველა რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში, ცალკეულ ქალაქებსა და სოფლებში. ამასთან დაკავშირებით დიდ მნიშვნელობას იძენს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის შესწავლა. სტატისტიკამ უნდა დაამუშაოს სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის შესწავლის მეთოდოლოგია და მოაწიოს სათანადო სტატისტიკური დაკვირვება.

სოციალისტური მეურნეობის გეგმიანმა ბუნებამ განაპირობა სტატისტიკურ მონაცემთა შეგროვების ანგარიშგებითი მეთოდის, როგორც სტატისტიკური დაკვირვების ძირითადი მეთოდის, დანერგვის შესაძლებლობა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის ვაქრობაშიც. ეს მეთოდი, რომელიც ცვლის სპეციალურ სტატისტიკურ რეგისტრაციას, წარმოადგენს საბჭოთა სტატისტიკის უპირატესობას. მეცნიერულად დაყენებული, ყველა სახელმწიფო და კოოპერაციული

საეპრო საწარმოსათვის სავალდებულო ანგარიშგება, რომელიც ერთიანი ფორმითა და მეთოდოლოგიით ხორციელდება, მტკიცე ბაზას უქმნის ვაჭრობის სტატისტიკას. იგი ობიექტურად და უტყუარად გვიხასიათებს საქონლის მიმოქცევის მდგომარეობასა და განვითარებას სსრ კავშირში.

ვაჭრობის სტატისტიკა ვალდებულაა აუმჯობესებდეს ანგარიშგების სისტემას, რომელიც უნდა იყოს მარტივი, ზუსტი და ეკონომიური, არ უნდა ტვირთავდეს აპარატს ზედმეტი, არასაჭირო ცნობებით, უზრუნველყოფდეს ოპერატიული მუშაობის ყველა მოთხოვნას და მასალების მეცნიერული დამუშავების საჭიროებებს ვაჭრობის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლისათვის. ანგარიშგების ასეთი რაციონალური სისტემა მოითხოვს სერიოზულ მუშაობას ანგარიშგების შემცირების, გამარტივებისათვის, აღრიცხვისა და ანგარიშგების მექანიზაციისათვის. ამ გეგმაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შერჩევით გამოკვლევებს, რაც შესაძლებლობას გვაძლევს მცირე დანახარჯებით, მოკლე ვადებში მივიღოთ მასალები ვაჭრობის სხვადასხვა მხარის შესასწავლად.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მიმდინარე ანგარიშგება და შერჩევით გამოკვლევები ვერ უზრუნველყოფს ყველა საჭირო მონაცემის მიღებას ვაჭრობაში, ამიტომ პერიოდულად ტარდება სპეციალური საეპრო აღწერები, რომლითაც ვიღებთ უფრო სრულ და დეტალურად დამუშავებულ ცნობებს ვაჭრობის შესახებ.

ვაჭრობის სტატისტიკის წინაშე მდგარი ამოცანები წყდება სპეციფიკური სტატისტიკური მეთოდებით, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია შემდეგი:

1. სისტემატური დაკვირვება ფაქტების მთელ ერთობლიობაზე, რომლებიც გვიხასიათებს ვაჭრობის განვითარებას, საეპრო საწარმოთა საქმიანობას. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო და კოოპერაციულ საეპრო ორგანიზაციებში, საწარმოებში ორგანიზებული იყოს ჭეშოროვანი აღრიცხვა და მის საფუძველზე რეგულარულად იქნეს წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშგება.

2. დაჯგუფებათა ფართო გამოყენება მასალათა თავმოყრისა და დამუშავების პროცესში. დაჯგუფებები წარმოადგენს სტატისტიკური გამოკვლევის ძირითად მეთოდს. ისინი შესაძლებლობას გვაძლევენ მოვლენათა ერთობლიობანი დაჯგუფოთ სხვადასხვა ნიშნის მიხედვით, ანალიზი გაეუქმეთოთ ასეთ ერთობლიობათა შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებებს, გამოვალინოთ კავშირები და ურთიერთდამოკიდებულებანი საეპრო საწარმოთა საქმიანობის ცალკეულ მხარეებსა და მაჩვენებლებს შორის. დაჯგუფების ამგვარი ანალიზური მნიშვნელობა ვაჭრობის კანონზომიერებათა შესწავლის მძლავრი საშუალებაა. დაჯგუფების მეთოდი გამოიყენება აგრეთვე გეგმის შესრულების ანალიზის დროსაც. დაჯგუფებანი (მაგალითად, ცალკეული საწარმოების, ორგანიზაციების, რაიონებისა და ოლქების მიერ გეგმის შესრულების დონის მიხედვით) შესაძლებლობას იძლევა გამოვალინოთ ვაჭრობის მოწინავე და ჩამორჩენილი უბნები, რაც ხელს შეუწყობს გეგმის წარმატებით შესრულებას.

3. დაჯგუფებათა ბაზაზე კრებისთ განზოგადებულ მაჩვენებელთა (ჯამობრივი-აბსოლუტური, საშუალო და შეფარდებითი სიდიდეების) გაანგარიშება. აბსოლუ-

ტური (ჯამობრივი) მაჩვენებლების გამოთვლა, რომლებიც გვიხსნიათებს ეკონომიურ პროცესებსა და მოვლენებს, კონკრეტულ წარმოდგენას გვაძლევს ვაჭრობის განვითარების მიღწეული დონის შესახებ (საცალო საქონელბრუნვა, მიმოქცევის ხარჯები, საცალო სავაჭრო ქსელი და ა. შ.). ამ დონის შედარებისას გეგმურ დავალებასა და გასული პერიოდების დონეებთან, მივიღებთ უმნიშვნელოვანეს შეფარდებით სიდიდეებს—გეგმის შესრულების პროცენტებს და დინამიკის კოეფიციენტებს, რომლებიც გვაძლევს ფაქტიური შედეგების ხარისხობრივი შეფასების შესაძლებლობას. მონაცემთა დაპირისპირება და ურთიერთშეთანხმება, რომლებიც ეკონომიურად უშუალოდაა დაკავშირებული ერთიმეორესთან (საცალო საქონელბრუნვა და მოსახლეობა, საქონელბრუნვა და სავაჭრო ქსელი ან ვაჭრობის მუშაკთა რიცხოვნება, მიმოქცევის ხარჯები და საქონელბრუნვა, სავაჭრო ქსელი და ტერიტორია ან მოსახლეობა და ა. შ.), ქმნის შეფარდებითი და საშუალო სიდიდეების მთელ სისტემას, რომელსაც სტატისტიკა გამოიყენებს უფრო ღრმა ეკონომიური ანალიზისათვის.

4. დინამიკური მწკრივების შედარება და გამოანგარიშება ინდექსებისა, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს განვიხილოთ შესასწაველი მოვლენები მათ განვითარებაში. დინამიკური მწკრივებისა და ინდექსების დახმარებით ხდება მიღწეულ შედეგთა შეფასება ვაჭრობის დარგში როგორც დროის მცირე მონაკვეთისათვის, ისე ხანგრძლივი ისტორიული პერიოდისათვისაც. ამ გზით შეისწავლება კანონზომიერებანი, რომლებიც გააჩნია ამ მოვლენებს. საინდექსო მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს აგრეთვე ანალიზი გაუუკეთოთ იმ ფაქტებსაც, რომლებიც გავლენას ახდენს ამა თუ იმ მოვლენის დინამიკაზე.

5. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა ვაჭრობის განვითარების კანონზომიერებათა რაოდენობრივი გაზომვის მეთოდებს. იგი მიიღწევა კავშირისა და ურთიერთდამოკიდებულების გაზომვის მათემატიკური მეთოდების, კერძოდ კორელაციური მეთოდის გამოყენებით.

6. ვაჭრობის სტატისტიკაში არსებითია გრაფიკული მეთოდი. ვაჭრობის ყველა მაჩვენებელი უნდა განვიხილოთ მათ ურთიერთკავშირში, რამდენადაც თითოეული მათგანი (სასაქონლო მარაგი, საქონლის მიღება, საქონლის გაყიდვა და სხვ.) სასაქონლო მიმოქცევის მაჩვენებელთა მთლიანი სისტემის ორგანული ნაწილია. მაჩვენებელთა ეს სისტემა თავს იჩენს საქონელბრუნვის ბალანსებში, რომელთა საფუძველზე ხორციელდება საქონელბრუნვის მაჩვენებელთა ანალიზი მათ ურთიერთკავშირში.

ვაჭრობის სტატისტიკა ეკონომიური სტატისტიკის შემადგენელი ნაწილია, რომლის ყველა ელემენტი ერთმანეთთანაა დაკავშირებული და განზოგადებულია სახალხო მეურნეობის ბალანსში. საბჭოთა ეკონომიური სტატისტიკის ამოცანას შეადგენს სოციალისტური გაფართოებული კვლავწარმოების პროცესის მთლიანი დახასიათება. ეს ამოცანა წყდება სახალხო მეურნეობის ბალანსის მეშვეობით, ამიტომ სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენაზე მუშაობა მრავალმხრივ განსაზღვრავს ვაჭრობის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემას.

**მ. ერთობლიობის ერთეულები, დაკვირვების ერთეულები და ანგარიშგებითი ერთეულები ვაქრობის სტატისტიკაში**

ეკონომიური მოვლენები და პროცესები ვაქრობის დარგში შედგება ცალკეული ერთეულებისაგან, რომელთა აღრიცხვა და განზოგადება ხდება სტატისტიკის მიერ თვისებრივად ერთგვაროვანი ერთობლიობების სახით. სტატისტიკაში ერთიმეორისაგან განასხვავებენ ერთობლიობის ერთეულებს, დაკვირვების ერთეულებსა და ანგარიშგებით ერთეულებს.

ერთობლიობის ერთეული სტატისტიკაში ეწოდება პირველად უმარტივეს ერთეულს, რომლისგანაც შედგება შესასწავლი ეკონომიური მოვლენა და პროცესი. საქონელბრუნვა შეიცავს ყიდვა-გაყიდვის ცალკეულ აქტებს, საქონლის მარაგი—საქონლის ცალკეულ სახეებს, მომუშავეთა რიცხოვნება—ცალკეულ ინდივიდებს, მიმოქცევის ხარჯები—სავაჭრო ხარჯთა ანაზღაურების ცალკეულ აქტებს, სავაჭრო ქსელი—სავაჭრო საწარმოთა ცალკეულ სახეებსა და ტიპებს და ა. შ. ერთობლიობის თითოეული ერთეული გარკვეული ნიშნების მატარებელია, რომლებიც გვისახიათებენ შესასწავლი ერთობლიობის არსს: ყიდვა-გაყიდვის ცალკეული აქტი გულისხმობს საქონლის სახეობას, რაოდენობას, ფასს, გაყიდვის ხასიათს (საბითუმოს ან საცალოს); ცალკეული საქონლის მარაგი ხასიათდება საქონლის სახეობით, რაოდენობით, ფასით, მარაგის დანიშნულებით (სეზონური, ვადაზე ადრე შემოზიდული, მიმდინარე შენახვის); ცალკეულ მუშაკს გააჩნია პროფესია, კვალიფიკაცია, ასაკი და სხვ. თითოეული სავაჭრო საწარმო ხასიათდება ტიპის, სიდიდის, დანიშნულების, ადგილმდებარეობის მიხედვით და ა. შ. მიმოქცევის ხარჯთა ცალკეული დანახარჯი ითვალისწინებს დანახარჯის სახეობას, სიდიდეს და ა. შ. სტატისტიკა ერთობლიობის ერთეულებზე აწარმოებს დაკვირვებას, მათ რეგისტრაციას, დაჯგუფებას, გამოთვლას.

დაკვირვების ერთეული ჰქვია პირველად ობიექტს, რომელშიც წარმოებს ერთობლიობის ერთეულთა სტატისტიკური დაკვირვება. ვაქრობის სტატისტიკაში დაკვირვების ძირითად ერთეულს ან ობიექტს წარმოადგენს სავაჭრო საწარმო, სადაც რეგისტრაციაში ტარდება და აღირიცხება სხვადასხვა ერთობლიობათა ერთეულები: ყიდვა-გაყიდვის ცალკეული აქტები, საქონლის მარაგისა და სავაჭრო ხარჯთა ცალკეული სახეები, ცალკეული მუშაკები და ასე შემდეგ.

სოციალისტურ მეურნეობაში, სადაც ანგარიშგება წარმოადგენს სტატისტიკურ ცნობათა შეგროვების ძირითად მეთოდს, წარმოიშობა აგრეთვე ანგარიშგებითი ერთეულის ცნება. ანგარიშგებითი ერთეული ეწოდება ობიექტს, რომელიც განსაზღვრულ ვადებში, განსაზღვრული ფორმით ადგენს სტატისტიკურ ანგარიშგებას და სრული პასუხისმგებელია მონაცემთა უტყუარობისათვის.

საანგარიშო ერთეული და დაკვირვების ერთეული შეიძლება ერთიმეორეს ემთხვეოდეს: თუ თავისი საქმიანობის შესახებ ანგარიშს ადგენს საწარმო, მაშინ იგი ერთდროულად წარმოადგენს დაკვირვების ერთეულსაც და საანგარიშო ერთეულსაც. თუ ანგარიშს ადგენს სავაჭრო ორგანიზაცია სავაჭრო ქსელის შესახებ,

მაშინ სავაჭრო ორგანიზაცია იქნება საანგარიშო ერთეული, ხოლო ცალკეული საწარმოები—დაკვირვების ერთეულები.

ვაჭრობაში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების შესწავლისას სტატისტიკას საქმე აქვს შემდეგ ობიექტებთან: სავაჭრო საწარმოებთან და სავაჭრო ორგანიზაციებთან.

სავაჭრო საწარმოები ეწოდება ისეთ საწარმოებს, რომლებიც განცალკევებულია ტერიტორიულად და უშუალოდ ახორციელებს საქონლის მიმოქცევის პროცესს. ფუნქციების მიხედვით სავაჭრო საწარმოები იყოფა საცალო სავაჭრო ქსელის საწარმოებად (მაღაზიები, დუქნები, კიოსკები, ფარდულები და ა. შ.), საზოგადოებრივი კვების საწარმოებად (რესტორნები, სასადილოები, კაფეები, სასაუზმეები და ა. შ.), საბითუმო სავაჭრო საწარმოებად (ბაზები, საწყობები და ა. შ.) და დამზადების საწარმოებად (დამზადების პუნქტები, ბაზები).

სავაჭრო ორგანიზაციება წარმოადგენს ერთიან მმართველობაში გაერთიანებულ სავაჭრო საწარმოებს, რომლებიც ხასიათდება სრული ადმინისტრაციული და სამეურნეო დამოუკიდებლობით.

#### 4. ვაჭრობის სტატისტიკის ორგანიზაცია

ვაჭრობის სტატისტიკა, ისევე როგორც ყოველი სხვა დარგობრივი სტატისტიკა, მუშაობას აწარმოებს სახელმწიფო სტატისტიკის ერთიანი გეგმის შესაბამისად.

ყველა სამინისტროსა და უწყების სავაჭრო საწარმოები და ორგანიზაციები ვალდებული არიან ანგარიშგება წარადგინონ დადგენილი წესით.

ანგარიშგების ფორმების ნუსხა მტკიცდება მთავრობის, ანდა მისი დავალებით სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ. ყველა ორგანიზაციასა და დაწესებულებას აკრძალული აქვს ანგარიშგების რაიმე ფორმის შემოღება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს დამტკიცების გარეშე.

ანგარიშგების წარდგენა ხდება შემდეგი წესით: სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ანგარიშგება უნდა შედგეს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტური მონაცემების საფუძველზე. სავაჭრო საწარმოები, რომლებიც დამოუკიდებელ ბალანსზე არ იმყოფებიან, უშუალოდ კი არ ადგენენ ანგარიშგებებს სსრ კავშირის ცსს-ს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით, არამედ გადასცემენ თავიანთ ძირეულ სავაჭრო ორგანიზაციებს (სახელმწიფო საცალო სავაჭრო ორგანიზაციებს, მუშათა მომარაგების განყოფილებებს, სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებებს, საზოგადოებრივი კვების ტრესტებს) პირველად დოკუმენტაციას (ანგარიშებს, ზედნადებებს, აქტებს, ქვითრებს სავაჭრო ამონაგების ჩაბარების შესახებ და ა. შ.). ძირეული სავაჭრო ორგანიზაციები ამ პირველადი დოკუმენტაციის საფუძველზე ადგენენ ანგარიშგებებს, რომელთა წარდგენა ხდება თანმიმდევრულად თავიანთი სამინისტროს ან უწყების რგოლების მიხედვით (ვაჭრობის სამინისტროში: სახელმწიფო საცალო სავაჭრო ორგანი-

ზაციები—ვაჭრობის სამმართველო—მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროები; ცენტროსოიუზში: სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებანი—რაიონის კოოპერაციული კავშირი—ოლქის კოოპერაციული კავშირი—რესპუბლიკის კოოპერაციული კავშირი—ცენტროსოიუზი). ყოველი რგოლი პასუხისმგებელია დაწესებულ ანგარიშგებათა სისრულეზე, უტყუარობასა და დროულობაზე.

კრებსითი სავაჭრო სტატისტიკა ყველა სავაჭრო ორგანიზაციის მიხედვით ხორციელდება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემაში. ამასთან დაკავშირებით ყველა სავაჭრო ორგანიზაცია (როგორც ცენტრში ისე ადგილებზე) ვალდებულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებს წარუდგინოს იმ ანგარიშთა ასლები, რომლებსაც ისინი უდგენენ თავის სამინისტროს ან უწყებას.

## თ ა ვ ი ი

### სამონელზარუნვის ძირითადი კატეგორიები

#### 1. საქონელბრუნვის კლასიფიკაცია

საქონელბრუნვა ეწოდება საქონლის, ე. ი. მატერიალური დოვლათის გაყიდვას. საქონელბრუნვის ცნების გაგებისათვის არსებითია შემდეგი ორი ნიშანი: მატერიალური დოვლათი, როგორც გაყიდვის ობიექტი, რომელიც წარმოშობს საქონელბრუნვის ცნებას, და გაყიდვა, როგორც მატერიალური დოვლათის მოძრაობის ფორმა წარმოების სფეროდან მოხმარების სფერომდე. ამასთანავე, არსებითია ის, რომ ორივე აღნიშნული ნიშანი ერთიმეორესთან უნდა იქნეს შეხამებული.

სახალხო მეურნეობაში ყოველგვარი გაყიდვა კი არ წარმოადგენს საქონელბრუნვას, არამედ მხოლოდ საქონლის, ე. ი. მატერიალური დოვლათისა. სახალხო მეურნეობაში ფასიანია მომსახურებაც (სამეზაგრო ტრანსპორტის, სანახაობრივი, კომუნალური და სხვა საწარმოების ამონაგები); მაგრამ მომსახურება არ ქმნის მატერიალურ პროდუქციას, ამიტომ მომსახურებათა გაყიდვა არ არის დაკავშირებული მატერიალური დოვლათის მყიდველთათვის გადაცემასთან, როგორც ამას ადგილი აქვს საქონლის გაყიდვისას; ესაა მიზეზი, რომ მომსახურების ფასი არ შეიტანება საქონელბრუნვაში. მეორე მხრივ, მატერიალური დოვლათის საწარმოო სფეროდან მოხმარების სფერომდე ყოველგვარი მოძრაობა კი არ უნდა ჩაითვალოს საქონელბრუნვად, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც წარმოებს გაყიდვის ფორმით. მატერიალური დოვლათის აუნაზღაურებელი გადაცემა არ ითვლება საქონელბრუნვად, რამდენადაც ეს პროცესი ხდება ფულის ბრუნვის გარეშე, იმის მიუხედავად, რომ ამ შემთხვევაში მატერიალური დოვლათი საწარმოო სფეროდან გადადის მოხმარების სფეროში. საქონელბრუნვას არ მიეკუთვნება აგრეთვე საქონლის უბრალო გადაადგილება ერთი და იმავე საეკონომიკური ერთეულის ფარგლებში (საწყობიდან მაღაზიაში, ერთი მაღაზიიდან მეორეში ან საწყობში და ა. შ.).

საქონელბრუნვა წარმოადგენს საქონლის ყიდვა-გაყიდვის ცალკეული აქტების აურაცხელ სიმრავლეს. რამდენადაც ყიდვა-გაყიდვის ყოველი აქტი ერთიმეორესთან აკავშირებს გაყიდველსა და მყიდველს, მიზანშეწონილია (ამ ნიშანთა შეხამებით) ყიდვა-გაყიდვის აქტების კლასიფიკაციის შედგენა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უფრო ნათლად წარმოვადგინოთ საქონელბრუნვის ეკონომიურ კატეგორიათა



სისტემა. მატერიალური დოვლათის პირველ გამყიდველს წარმოადგენს თვითონ მატერიალური დოვლათის მწარმოებელი, ამიტომაც ყიდვა-გაყიდვის აქტთა კლასიფიკაციის სქემა უნდა დაიწყოს მწარმოებელთა სასაქონლო კავშირიდან და დამთავრდეს საშუამავლო ვაჭრობის სასაქონლო კავშირით.

ამ პრინციპზე აგებულ საქონლის ყიდვა-გაყიდვის აქტების კლასიფიკაციას აქვს შემდეგი სახე:

ვ ი ნ ყ ი დ ი ს	ვ ი ნ ყ ი დ უ ლ ო ბ ს
1. მწარმოებელი	1. მომხმარებელი
2. მწარმოებელი	2. სავაჭრო ორგანიზაცია
3. სავაჭრო ორგანიზაცია	3. სავაჭრო ორგანიზაცია
4. სავაჭრო ორგანიზაცია	4. მომხმარებელი

როგორც მოტანილი სქემიდან ჩანს, საქონლის მიმოქცევის სფეროში არსებული ყიდვა-გაყიდვის აქტების მრავალსახეობა შეიძლება წარმოვიდგინოთ ოთხ ჯგუფად, რომლებიც წარმოგვიდგენს სასაქონლო კავშირთა სხვადასხვა ტიპს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება საქონლის გაყიდვა თვით მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა მიერ (სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, კოლმეურნეობების და სხვათა მიერ) ამ მატერიალური დოვლათის უშუალო მომხმარებლებზე (მოსახლეობაზე, სამრეწველო საწარმოებზე, საბჭოთა მეურნეობებზე, კოლმეურნეობებსა და ა. შ.). ამ ჯგუფის ბრუნვების მაგალითს წარმოადგენს საკოლმეურნეო ბაზარი, სადაც სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მწარმოებლები საკუთარ საქონელს მიჰყიდიან უშუალოდ მოსახლეობას. მეორე ჯგუფი შეიცავს მწარმოებელთა მიერ საქონლის მიყიდვას სავაჭრო ორგანიზაციებისათვის შემდგომი გაყიდვის მიზნით. მესამე ჯგუფში შედის ერთი სავაჭრო ორგანიზაციის მიერ მეორისათვის საქონლის მიყიდვა, რაც ხდება მწარმოებელთა და მომხმარებელთა მონაწილეობის გარეშე. ბოლოს, მეოთხე ჯგუფს განეკუთვნება საქონლის გაყიდვა სავაჭრო ორგანიზაციების მიერ მომხმარებელზე. სავაჭრო გარიგებათა ამ ოთხი ტიპით ამოიწურება საქონლის გაყიდვის ყველა შესაძლო კომბინაცია მისი მოძრაობის დროს წარმოების სფეროდან მომხმარების სფერომდე.

სქემის მარცხენა მხარეს გამყიდველების სახით ორჯერ გამოვიან მატერიალური დოვლათის მწარმოებლები და ორჯერ—სავაჭრო ორგანიზაციები. თუ გავაერთიანებთ გამყიდველთა ერთსახელიან ჯგუფებს, მივიღებთ საქონელბრუნვის პირველ ორ კატეგორიას: მწარმოებელთა საქონელბრუნვა (1+2) და სავაჭრო ორგანიზაციათა საქონელბრუნვა (3+4). ნათლად ჩანს, რომ მწარმოებელთა საქონელბრუნვა წარმოადგენს მატერიალური წარმოების დარგთა სასაქონლო პროდუქციას, რომლის რეალიზაციას მატერიალური დოვლათის მწარმოებლები ახორციელებენ ან უშუალოდ მომხმარებლებზე (1), ანდა სავაჭრო ორგანიზაციაზე (2). სავაჭრო ორგანიზაციების საქონელბრუნვა ქმნის

საშუამავლო საქონელბრუნვას, რომელიც ხდება საქონლის მწარმოებელთა მონაწილეობის გარეშე.

საქონელბრუნვის ორი ზემოხსენებული კატეგორიის (მწარმოებელთა საკონელბრუნვა და საშუამავლო ვაჭრობის საქონელბრუნვა) თანფარდობა გვიხასიათებს საქონელბრუნვის ორგანიზაციას და ვაჭრობის, როგორც სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელი დარგის, განცალკევების ხარისხს.

სქემის მარჯვენა ნაწილში მყიდველთა სახით ორჯერ გამოდიან მომხმარებლები და ორჯერ—სავაჭრო ორგანიზაციები. მყიდველთა ერთსახელიანი ჯგუფების გაერთიანებით მივიღებთ საქონელბრუნვის კიდევ ორ კატეგორიას: საქონლის გაყიდვას მიმოქცევის სფეროში (2+3). და საქონლის გაყიდვას მოხმარების სფეროში (1+4). საქონელბრუნვა ამგვარად დაჯგუფდება გაყიდვის დანიშნულების ნიშნის მიხედვით: ბრუნვა, რომელიც მიიღება საქონლის გაყიდვით საქონლის მიმოქცევის სფეროში, წარმოადგენს საქონლის მიმოქცევის პირველ სტადიას, რომელიც უსრულველყოფს მოძრაობას მოხმარებლის სფერომდე; ბრუნვა, რომელიც მიიღება საქონლის გაყიდვით მოხმარების სფეროში, გვიხასიათებს სასაქონლო ნიმოქცევის დასკვნით სტადიას, როდესაც მატერიალური დოვლათი შედის მოხმარების სფეროში და წყვეტს თავის სასაქონლო არსებობას.

ნათელია, რომ საქონელბრუნვის დაჯგუფება მყიდველის ნიშნის მიხედვით წარმოადგენს ეკონომიურ დაჯგუფებას, რომელიც საქონელბრუნვას, გაფარობებული სოციალისტური ეკონომიის პრინციპში მისი ეკონომიური როლის მიხედვით, ყოფს ორ მნიშვნელოვან კატეგორიად, რაც წარმოგვიჩვენებს ძირითად ფაქტორებად საქონელბრუნვის შესწავლისას.

საქონელბრუნვის ამ ორმა ძირითადმა კატეგორიამ მიიღო საბითუმო საქონელბრუნვისა და საცალო საქონელბრუნვის სახელწოდება. საბითუმო საქონელბრუნვას მიეკუთვნება საქონლის მიყიდვა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის შემდგომი გაყიდვის მიზნით. საცალო საქონელბრუნვას წარმოადგენს საქონლის მიყიდვა უშუალოდ მომხმარებლისათვის, ძირითადად მოსახლეობისათვის, როგორც ეს შემდგომ იქნება ნაჩვენები (იხ. თავი III). საბითუმო საქონელბრუნვა არ მოიცავს სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის მიყიდვის მთელ ერთობლიობას. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვა საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მიერ დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის არ მიეკუთვნება საბითუმო საქონელბრუნვას; იგი უნის დამზადების საქონელბრუნვას.

საქონლის ერთი და იგივე პარტია მწარმოებლიდან მომხმარებელამდე შეიძლება გაიყიდოს რამდენჯერმე: ფაბრიკამ მიჰყიდა საქონელი საბითუმო ბაზას, საბითუმო ბაზამ—სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციას ან რაიონის კოოპერაციულ კავშირს, ამ უკანასკნელმა—სოფლის მომხმარებელთა კავშირს და, ბოლოს, სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციამ და სოფლის მომხმარებელთა კავშირმა—მოსახლეობას. ამგვარად, საქონელბრუნვაში ჩნდება საქონლის ერთი და იმავე პარტიის

განმეორებითი აღრიცხვა. აღვლი შესამჩნევია, რომ განმეორებითი აღრიცხვა იქმნება მხოლოდ საბითუმო საქონელბრუნვაში (ფაბრიკა—ბაზა—სახელმწიფო საეკონომიკური ორგანიზაცია—რაციონის კოორპერაციული კავშირი—სოფლის მომშენებელთა საზოგადოება). მაშასადამე, რომ შევაჯამოთ საქონლის ყველა გაყიდვა, რომელიც გვხვდება საქონლის მიმოქცევის სფეროში, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საბითუმო და საცალო საქონელბრუნვა, მივიღებთ ბრუნვის განმეორებით აღრიცხვას: (საქონლის ყოველი პარტია გამოითვლება იმდენჯერ, რამდენჯერაც გაყიდება, საქონელბრუნვას, რომელიც წარმოადგეს ყველა გაყიდვის ჯამს მწარმოებლიდან. მომხმარებელამდე, ეწოდება საერთო საქონელბრუნვა. საერთო საქონელბრუნვა, მაშასადამე, არის საბითუმო და საცალო საქონელბრუნვების ჯამი. თუ საერთო საქონელბრუნვიდან გამოვრიცხავთ განმეორებულ აღრიცხვას, მივიღებთ წმინდა საქონელბრუნვას. რამდენადაც ბრუნვების განმეორებითი აღრიცხვა საერთო საქონელბრუნვის გაანგარიშებისას მოიცავს მხოლოდ საბითუმო საქონელბრუნვას, ამდენად ნათელია, რომ წმინდა საქონელბრუნვა უდრის საცალო საქონელბრუნვას, ე. ი. საქონლის გაყიდვას მოხმარების სფეროში.

საერთო და წმინდა საქონელბრუნვა განსაზღვრება არა მარტო მთელი სახალხო მეურნეობისათვის, არამედ ცალკეული საეკონომიკური სისტემებისათვისაც; მაგალითად, სახელმწიფო ეკონომიკისათვის. სომხეთში კოორპერაციისა და ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქებისათვის. ყველა შემთხვევაში საერთო საქონელბრუნვა უნდა განისაზღვროს ერთნაირად—ორგორც საბითუმო და საცალო საქონელბრუნვების ჯამი. წმინდა საქონელბრუნვის გაანგარიშება ხდება რამდენადაც განსხვავებულია: ცალკეული საეკონომიკური სისტემის წმინდა საქონელბრუნვის გაანგარიშებისას საერთო ამ სისტემის საერთო საქონელბრუნვიდან გამოვრიცხვით ბრუნვით განმეორებითი აღრიცხვა ამ სისტემის ფარგლებში, ე. ი. შინაგანი საქონელბრუნვა მოცემული საეკონომიკური სისტემის საეკონომიკური საწარმოებისა და ორგანიზაციების შორის. საქონლის საბითუმო მიყიდვა ან თუ იმ საეკონომიკური სისტემის საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის (სხვა საეკონომიკური სისტემებისათვის) მოცემული საეკონომიკური სისტემისათვის წარმოადგენს უკანასკნელ გაყიდვას, რომელიც სისტემის საქონელბრუნვაში შემდგომ აღარ განმეორდება. მაშასადამე, ასეთი საბითუმო მიყიდვა უნდა აღირიცხოს მოცემული სისტემის წმინდა საქონელბრუნვაში. ამგვარად, ცალკეული საეკონომიკური სისტემის წმინდა საქონელბრუნვაში შევა მისი საცალო საქონელბრუნვა, აგრეთვე საქონლის საბითუმო მიყიდვა სხვა სისტემის საეკონომიკური ორგანიზაციებისა და საწარმოებისათვის. ანალოგიურად ამა თუ იმ რესპუბლიკის (მხარის, ოლქის) წმინდა საქონელბრუნვაში შევა არა მარტო მისი საცალო საქონელბრუნვა, არამედ საქონლის საბითუმო გაყიდვაც რესპუბლიკის (მხარის, ოლქის) ფარგლებს გარეთ.

ცალკეული საეკონომიკური სისტემის ან ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკის საერთო საქონელბრუნვების ჯამი უდრის საერთო საქონელბრუნვას სსრ კავშირის მასშტაბით. ცალკეული საეკონომიკური სისტემის ან ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკის წმინდა საქონელბრუნვების ჯამი მეტი იქნება სსრ კავშირის წმინდა საქონელ-

ბრუნვაზე საბითუმო საქონელბრუნვით, რასაც ადგილი აქვს სავაჭრო სისტემებს ან რესპუბლიკებს შორის.

საერთო და წმინდა საქონელბრუნვის გაანგარიშება ვუჩვენოთ შემდეგ პირობით მაგალითზე (მლრდ მან.):

	მ ა ჩ ვ ე ნ ე ლ ე ბ ი	სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო	სამომხმარებლო კოოპერაცია	სხვა სავაჭრო სისტემები	ს უ ლ
1	მიეყიდა თავისი სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებს	30	28	—	58
2	მიეყიდა სხვა სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებს	40	2	—	42
	სულ საბითუმო საქონელბრუნვა (1+2)	70	30	—	100
3	საცალო საქონელბრუნვა	32	25	10	67
4	საერთო საქონელბრუნვა (1+2+3)	102	55	10	167
5	ცალკეული სავაჭრო სისტემის წმინდა საქონელბრუნვა	72	27	10	—
6	სახალხო მეურნეობის წმინდა საქონელბრუნვა	32	25	10	67

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სისტემის სავაჭრო საწარმოებისათვის წმინდა საქონელბრუნვა შედგება საცალო საქონელბრუნვისა (32) და სხვა სისტემის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის საბითუმო მიყიდვისაგან (40), სულ 72 მლრდ მან. ანალოგიური წესით დადგინდება წმინდა საქონელბრუნვის მოცულობა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მიხედვით, რაც უდრის 27 მლრდ მან. (25+2). სხვა სავაჭრო სისტემებს ჩვენს მაგალითში არა აქვთ საბითუმო საქონელბრუნვა, ამიტომ წმინდა საქონელბრუნვა შედგება მხოლოდ საცალო საქონელბრუნვისაგან (10 მლრდ მანეთი). მთელი საბჭოთა ვაჭრობისათვის წმინდა საქონელბრუნვის გაანგარიშებისას სავაჭრო სისტემების წმინდა საქონელბრუნვის ჯამიდან გამოირიცხება სისტემებს შორის შინაგანი ბრუნვების ჯამი: სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს მიხედვით—40 მლრდ მან. და სამომხმარებლო კოოპერაციის მიხედვით—2 მლრდ მან. მთელი საბჭოთა ვაჭრობის წმინდა საქონელბრუნვის სიდიდე, ერთად აღებული, ტოლი იქნება:  $(72-40) + (27-2) + 10 = 67$  მლრდ მან., ე. ი. ემთხვევა საცალო საქონელბრუნვას. ანალოგიურად, მოკავშირე რესპუბლიკების წმინდა საქონელბრუნვათა ჯამი მეტია მთელი სახალხო მეურნეობის წმინდა საქონელბრუნვაზე რესპუბლიკათშორისი საბითუმო საქონელბრუნვით.

წმინდა საქონელბრუნვა წარმოადგენს საფუძველს ვაჭრობის ისეთი უმნიშვნელოვანესი ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოსანაგარიშებლად, როგორცაა საქონელმოდრაობის რგოლადობა, საქონელბრუნვის სისწრაფე, შრომის ნაყოფიერება, მიმოქცევის ხარჯები და რენტაბელობა.

## 2. საქონელმოდრაობის რგოლადობა

საერთო და წმინდა საქონელბრუნვის თანაფარდობა გვიხასიათებს ბრუნვების განმეორებითი აღრიცხვის ხარისხს: რაც უფრო მეტჯერ გაიყიდა საქონელი, მით მეტია ბრუნვების განმეორებითი აღრიცხვა და, მაშასადამე, საერთო საქონელბრუნვის სილიდე. ერთი და იმავე საქონლის გაყიდვათა რიცხვი განისაზღვრება მწარმოებლიდან მომხმარებლამდე საქონელმოდრაობის რგოლადობით. რაც უფრო მეტ რგოლს გაივლის საქონელი, მით მეტჯერ იყიდება იგი.

საერთო და წმინდა საქონელბრუნვის შეფარდების საფუძველზე განისაზღვრება საქონელმოდრაობის რგოლადობის კოეფიციენტი შემდეგი სქემის მიხედვით:

$$K_{\text{რგ}} = \frac{\text{საერთო საქონელბრუნვა}}{\text{წმინდა საქონელბრუნვა}}$$

რგოლადობის კოეფიციენტი გვიხასიათებს სავაჭრო რგოლების საშუალო რიცხვს, რომელიც საქონელმა გაიარა მიმოქცევის სფეროში, ანუ იმას, თუ რამდენჯერ გაიყიდა საქონელი შესასწავლ პერიოდში.

ამიტომ ამ კოეფიციენტს შეიძლება ვუწოდოთ საქონელბრუნვის რგოლადობის კოეფიციენტი. რგოლადობის კოეფიციენტის ზრდა ცხადყოფს საქონელმოდრაობის რგოლადობის გაღივებას. რგოლადობის კოეფიციენტის შემცირება ნიშნავს საქონელმოდრაობის რგოლადობის შემცირებას.

რგოლადობის კოეფიციენტის გაანგარიშება ვუჩვენოთ შემდეგ სქემატურ მაგალითზე (მლნ მან.):

	მაჩვენებლები	საქონელი „ა“	საქონელი „ბ“	საქონელი „გ“	სულ
1	მწარმოებელმა მიჰყიდა მომხმარებლებს	20	—	—	20
2	მწარმოებელმა მიჰყიდა სავაჭრო ორგანიზაციებს	—	60	100	160
3	სავაჭრო ორგანიზაციებმა მიჰყიდეს სხვა სავაჭრო ორგანიზაციებს	—	—	100	100
4	სავაჭრო ორგანიზაციებმა მიჰყიდეს მომხმარებლებს	—	60	100	160
	საერთო საქონელბრუნვა	20	120	200	340
	წმინდა საქონელბრუნვა	20	60	100	180
	რგოლადობის კოეფიციენტი	1,00	2,00	3,00	2,44

მაგალითი შედგენილია სახალხო მეურნეობის სქემის მიხედვით, რომელშიც წმინდა საქონელბრუნვა საცალო საქონელბრუნვის ტოლია, მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ „ა“ საქონელმა გაიარა ერთი რგოლი, „ბ“ საქონელმა—ორი და

№ 6 საქონელმა—სამი. რგოლადობის საშუალო კოეფიციენტი შეადგინა 2,44, ე. ი. საქონელი საშუალოდ გაიყიდა 2,44-ჯერ.

რგოლადობის კოეფიციენტი გამოვიანგარიშით წინა პარაგრაფში განხილული მაგალითის მიხედვით (მლრდ მან.):

	მ ა ჩ ვ ე ნ ე ბ ლ ე ბ ი	მოკავშირე რესპ. ვაჭრობის საშინისტ-როები	სამომხარება კოლხეთში	სსრკ საჯარო სისტემები	შ ს
1	საერთო საქონელბრუნვა	102	55	10	167
2	წმინდა საქონელბრუნვა	72	27	10	67
3	რგოლადობის კოეფიციენტი	1,42	2,04	1,00	2,49

რგოლადობის კოეფიციენტის დასადგენად ცალკეული საჯარო სისტემის მიხედვით საქირაა გამოვიყენოთ წმინდა საქონელბრუნვა, რომელიც გაანგარიშებულია სისტემისათვის, ხოლო მთლიანად საბჭოთა ვაჭრობისათვის გამოიყენება წმინდა საქონელბრუნვა, განთავისუფლებული სისტემებს შორის ბრუნვებისაგან. წმინდა საქონელბრუნვის ჩამი ყველა სისტემის მიხედვით უდრის 109 მლრდ მანეთს (72+27+10), მაშინ როცა რგოლადობის კოეფიციენტის გასაანგარიშებლად საბჭოთა ვაჭრობისათვის მთლიანად წმინდა საქონელბრუნვა აღებულია საგრძობლად ნაკლები თანხით—67 მლრდ მან. სწორედ ამით აიხსნება ის გარემოება, რომ რგოლადობის საშუალო კოეფიციენტი მთლიანად საბჭოთა ვაჭრობისათვის (2,49) ცალკეული საჯარო სისტემების რგოლადობის კოეფიციენტებზე მეტი აღმოჩნდა: რგოლადობის საერთო კოეფიციენტში საჯარო სისტემების შიდა რგოლადობასთან ერთად აისახება დამატებითი რგოლადობაც, რომელიც წარმოიქმნება საქონლის ერთი სისტემიდან მეორეში გადასვლის დროს.

რგოლადობის კოეფიციენტის გამოანგარიშებისას საქირაა მხედველობაში მივიღოთ საქონლის მარაგის ცვლილება. საქონლის მარაგის შემცირება გვიჩვენებს, რომ საქონელბრუნვის საერთო ჩამოში გათვალისწინებულია არა მარტო იმ საქონლის გაყიდვა, რომელიც შემოვიდა მიმოქცევის სფეროში საანგარიშო პერიოდში, არამედ საქონლის მარაგის ნაწილის გაყიდვაც, რომელიც არსებობდა საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის. მაშასადამე, რგოლადობის კოეფიციენტის სწორი განსაზღვრისათვის საქირაა საქონელბრუნვა, რომელიც ხორციელდება მხოლოდ საქონლის მიმდინარე მიღების საფუძველზე. ეს ნიშნავს, რომ საერთო და წმინდა საქონელბრუნვიდან უნდა გამოვიციხოთ საქონლის მარაგის შემცირების თანხა. პირიქით, საქონლის მარაგის გადიდებისას, რაც გულისხმობს, რომ მიღებული საქონელი მთლიანად კი არ გაიყიდა, არამედ მისი ნაწილი საქონლის მარაგში გადავიდა, საქირაა საერთო და წმინდა საქონელბრუნვა გავზარდოთ საქონლის მარაგის ზრდის თანხით; ამით ხდება საქონელბრუნვის დაყვანა საქონლის რესურ-

სების მიზინარე მიღების დონემდე. აღნიშნული შესწორება საერთო და წმინდა საქონელბრუნვაში შეიტანება საქონლის მარაგის ცვლ:ლპას ანგარიშზე მხოლოდ საცალო ვაქრობაში. საქონლის მარაგის ცვლილება საბითუმო ვაქრობაში აღი-რიცხება მხოლოდ საერთო საქონელბრუნვაში.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ საქონელ მოძრაობის სავაქრო-ორგანიზაციულ ანუ საანგარიშსწორებო რგოლადობას და სასაწყობო რგოლადობას. ზემოთყვანილ მაგალითებში ნაჩვენებია სავაქრო-ორგანიზაციული რგოლადობის გაანგარიშება. ამ ნაჩვენებლისაგან განსხვავებით, სასაწყობო რგოლადობის მაჩვენებელი ნათელყოფს სავაქრო სადგომების (საწყობების, ბაზების, მალაზიების, სასადილოების და ა. შ.) საშუალო რაოდენობას, რომელთა მეშვეობით გაიარა საქონელმა გზა მწარმოებლიდან მომხმარებლამდე. სასაწყობო რგოლადობის დადგენის დროს მხედველობაში მიიღება არა მარტო საქონლის გაყიდვა, არამედ საქონლის ყოველგვარი გადაადგილება ერთი სადგომიდან მეორეში (საწყობიდან მალაზიაში, ერთი მალაზიიდან მეორეში და ა. შ.). პრაქტიკულად გაიანგარიშება მხოლოდ სავაქრო-ორგანიზაციული რგოლადობა.

რგოლადობის კოეფიციენტს დიდი მნიშვნელობა აქვს საქონელბრუნვის დახასიათებისათვის. საქონლის მოძრაობის რგოლადობის შემცირება ნიშნავს საქონელგატარების გზების შეკეცას, საქონლის ბრუნვადობის დაჩქარებას.

## საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკა

### 1. საბითუმო საქონელბრუნვის ორგანიზაცია და სტატისტიკის ამოცანები

საბითუმო ვაჭრობა წარმოადგენს საქონლის მიმოქცევის პირველ ეტაპს, რომელიც მატერიალური დოვლათის წარმოების სფეროს აკავშირებს საცალო ვაჭრობასთან, სადაც ადგილი აქვს საქონლის მიმოქცევის უკანასკნელ, დასკვნით ეტაპს — საქონლის გაყიდვას მოხმარების სფეროში.

საბითუმო საქონელბრუნვის ძირითადი შინაარსია საქონლის — მოხმარების საგნების მიყიდვა სავაჭრო ორგანიზაციებისათვის შემდგომ გასაყიდად: სამრეწველო საწარმო მიჰყიდის საქონელს საბითუმო ორგანიზაციებს შემდგომი გაყიდვისათვის; საბითუმო ორგანიზაცია მიჰყიდის საქონელს სხვა საბითუმო ორგანიზაციებს, რათა მან მიჰყიდოს იგი საცალო ორგანიზაციებს; საბითუმო ორგანიზაცია მიჰყიდის საქონელს საცალო ორგანიზაციებს შემდგომი გაყიდვისათვის მოსახლეობაზე; სამრეწველო საწარმო ასევე მიჰყიდის საქონელს უშუალოდ საცალო საწარმოებს შემდგომი გაყიდვისათვის მოსახლეობაზე. ყოველმა საბითუმო გაყიდვამ საქონელი უნდა მიუახლოვოს საცალო ვაჭრობას.

გეგმიან შეურნეობაში საბითუმო ორგანიზაციები ახორციელებენ საქონლის — მოხმარების საგნების გაყიდვას არა მარტო მოსახლეობის პირადი მოხმარების მიზნით, არამედ ჭოგორც არასაწარმოო, ასევე საწარმოო მოხმარებისათვის საქონლის რესურსების ნაწილს საბითუმო ორგანიზაციები მიჰყიდიან სამრეწველო საწარმოებს, უმთავრესად სახალხო მოხმარების სხვა საქონლის გამომუშავებისათვის; რესურსების ნაწილი გამოიყოფა საექსპორტოდ, სოციალურ-კულტურული ტიპის სახელმწიფო დაწესებულებების, საბჭოთა არმიის მოსამარაგებლად. ასეთი სახის გაყიდვებიც საბითუმო საქონელბრუნვას მიეკუთვნება.

საბითუმო ვაჭრობის ცნების განსაზღვრისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს გამყიდველისა და მყიდველის ნიშანთა შეხამებას. სავაჭრო ორგანიზაციებისათვის საქონლის ყველა მიყიდვა არ მიეკუთვნება საბითუმო საქონელბრუნვას, თუნდაც ეს საქონელი განკუთვნილი იყოს შემდგომი გაყიდვისათვის. ასე მაგალითად, კოლმეურნეობათა და კოლმეურნეთა მიერ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის მიყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები წარმოადგენს დამზადების საქონელბრუნვას და არ მიეკუთვნება საბითუმო საქონელბრუნვას; მეორე მხრივ, სავაჭრო ორგანიზაციების მიერ საქონლის ყოველი შესყიდვა არ არის საბითუმო საქონ-



ნელბრუნვა, თუნდაც ეს საქონელი სხვა სავაჭრო ორგანიზაციისაგან იყოს შეძენილი. მაგალითად, სავაჭრო საწარმოთა მიერ საცალო ვაჭრობაში საკანცელარიო ნივთებისა და სხვა საქონლის შესყიდვა საკუთარი სამეურნეო საქიროების და არა შემდგომი გაყიდვისათვის არ წარმოადგენს საბითუმო საქონელბრუნვას.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე საბითუმო საქონელბრუნვა შეიძლება განესაზღვროთ შემდეგნაირად: საბითუმო საქონელბრუნვა ეწოდება სამრეწველო და სავაჭრო საწარმო-ორგანიზაციების მიერ სავაჭრო საწარმო-ორგანიზაციებისათვის სახალხო მოხმარების საგნების მიყიდვას მის შემდგომ გასაყიდად. საბითუმო საქონელბრუნვას მიეკუთვნება აგრეთვე საქონლის მიყიდვა სამრეწველო საწარმოებისათვის სახალხო მოხმარების სხვა საქონლის გამოსამუშავებლად, აგრეთვე საქონლის გაყიდვა საექსპორტოდ და სახელმწიფო დაწესებულებებში მოხმარებისათვის.

საბითუმო ვაჭრობის ძირითად ფუნქციებს წარმოადგენს სასაქონლო ფასეულობათა შეგროვება და კონცენტრაცია საქონლის მიმოქცევის სფეროში და მათი გამოყენება სახალხო მეურნეობის გეგმის დავალებათა შესაბამისად. საბითუმო ორგანიზაციები წარმოებიდან იღებენ საქონელს. სისტემატურ კონტროლს უწევენ შემოსული საქონლის ხ.რ.სსს; მოსახლეობის მოთხოვნილების გულმოდგინე შესწავლის საფუძველზე საბითუმო ორგანიზაციები ვარკვეულ ზევაგუნებს ახდენენ მრეწველობაზე, რათა უზრუნველყონ ისეთი საქონლის გამოშვება, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის მრავალმხრივ მოთხოვნილებას როგორც საქონლის ხარისხის, ისე ასორტიმენტის თვალსაზრისით. საბითუმო ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა სახალხო მოხმარების საქონლით საცალო ვაჭრობის გეგმავალი მომარაგება. ამ მიზნით საბითუმო ორგანიზაციები ქმნიან საქონლის მარაგს ბაზებსა და საწყობებში ისეთი ოდენობითა და ასორტიმენტით, რაც დააკმაყოფილებს საცალო ვაჭრობის მოთხოვნილებას. საბითუმო ვაჭრობის უმნიშვნელოვანეს ფუნქციას შეადგენს მომხმარებელად საქონლის დაყვანის რაციონალური ორგანიზაცია; ამოცანა ისაა, რომ შრომისა და მატერიალურ საშუალებათა უმცირესი დანახარჯებით დამყარდეს სასაქონლო კავშირი წარმოებისა და მოხმარების რაიონებს შორის, უზრუნველყოფილ იქნეს საცალო ვაჭრობის განუწყვეტელი და დროული მომარაგება ყველა აუცილებელი საქონლით მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად. ამ მიზნით მიზანშეწონილია წარფივი პროგრამირების მათემატიკურ მეთოდთა გამოყენება მიწოდებლებსა და მყიდველებს შორის სასაქონლო კავშირების ოპტიმალური ვარიანტის გამოსაძებნად.

საბითუმო ვაჭრობის დაგეგმვა ხორციელდება სახალხო მოხმარების ცალკეული საქონლის მიხედვით; საბითუმო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის სახელმწიფო გეგმა არ დგება. სასურსათო და ზოგი არასასურსათო საქონელი იგეგმება და აღირიცხება ნატურალური გამოსახულებით, არასასურსათო საქონლის უმეტესი ნაწილი კი ღირებულებითი გამოსახულებით, საცალო ფასებში.

სახალხო მოხმარების ყველა საქონელი წარმოშობის წყაროთა მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: საქონელი, რომლის მიწოდება ხდება სახელმწიფო რესურ-

სების ანგარიშზე, და საქონელი, რომლის მიწოდება ხდება ადგილობრივი რესურსების ანგარიშზე.

სახელმწიფო რესურსებს მიეკუთვნება: სახელმწიფო მრეწველობის პროდუქცია. საქონელი, რომლის მიწოდება ხდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვის ანგარიშზე, ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია, რომელსაც გამოიმუშავენ ნედლეულის სახელმწიფო რესურსებიდან. სახელმწიფო რესურსები ნაწილდება ცენტრალიზებული წესით.

ადგილობრივი რესურსებია: ადგილობრივი მრეწველობის პროდუქცია, რომელიც დამზადებულია ნედლეულის ადგილობრივი რესურსებით, დამწარე მეურნეობის პროდუქცია და ღორების გასასუქებლად გამოყენებული საქმლის ნარჩენები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვა სავაჭრო ორგანიზაციების მიერ თავისი საჭიროებისათვის და სხვ.

საბითუმო საქონელბრუნვის დაგეგმვა სახელმწიფო რესურსთა სახალხო მოხმარების ცალკეული საქონლის მიხედვით ამჟამად ხორციელდება შემდეგი წესით: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სახალხო მოხმარების ძირითადი საქონლის მიხედვით (პურპროდუქტები, თევზპროდუქტები, შაქარი, ქსოვილები, ტანსაცმელი, ფხსაცმელი და ზოგიერთი სხვა) ღმტკიცებს სასაქონლო ბალანსებს, რომლებიც გეიხასიათებს საქონლის რესურსების მოცულობას და მათ განაწილებას მთელი ქვეყნის მასშტაბით ბალანსებში გათვალისწინებულია საქონლის რესურსთა შექმნის წყაროები და მათი გამოყენება ცალკეული დანიშნულების, მათ შორის საბაზრო ფონდების მიხედვით, რომელიც განკუთვნილია საცალო ვაჭრობის მომარაგებისათვის. (საქონლის ცალკეულ სახეთა საბაზრო ფონდების განაწილებას მოკავშირე რესპუბლიკათა მიხედვით აწარმოებს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია) ხოლო მოკავშირე რესპუბლიკებში (ოლქების, მხარეების, ავტონომიური რესპუბლიკების და სავაჭრო სისტემების მიხედვით)—მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები.) საბაზრო ფონდთა დაგეგმვის დეცენტრალიზაცია უფრო მეტადაა გატარებული რატსრ-ში: რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო საქონლის საბაზრო ფონდებს ანაწილებს მხოლოდ ოლქებზე, მხარეებსა და ავტონომიურ რესპუბლიკებზე, ხოლო მათ შემდგომი განაწილება სავაჭრო ორგანიზაციებზე ხდება მშრომელთა დეპუტატების საოლქო, სამხარეო საბჭოების აღმასკომებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ, მაგრამ ყველა რესპუბლიკას არ შეუძლია შინაგანი წყაროებით უზრუნველყოს ამა თუ იმ საქონელზე თავისი მოთხოვნილებანი. ამიტომ წარმოიშობა ცალკეული საქონლის რესპუბლიკათშორისი მიწოდების აუცილებლობა; ასეთი მიწოდებანი გათვალისწინებულია მიწოდების სარესპუბლიკათშორისო გეგმით. გარდა ამისა, არსებობს საკავშირო მნიშვნელობის მოთხოვნილებანი—მოსკოვისა და ლენინგრადის, აგრეთვე საბჭოთა არმიის მომარაგება, ექსპორტი და სხვ. ეს მოთხოვნილებანი ქმნიან მიწოდების საკავშირო ფონდს; ამ ფონდის მომარაგება ცალკეული საქონლის მიხედვით გათვალისწინებულია სახელმწიფო გეგმით.

განსაკუთრებული წესია შემოღებული მეცხოველეობის პროდუქტების,

(ხორციკროდუქტების, რძის პროდუქტების, კვერცხის) დაგეგმვისათვის. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ყოველი მოკავშირე რესპუბლიკისათვის ამტკიცებს სახელმწიფო შესყიდვისა და მიწოდების მოცულობას საერთო-საკავშირო საქიროებისათვის; მეცხოველეობის მთელი შესყიდვითი პროდუქცია, საერთო-საკავშირო საქიროებისათვის გადაგზავნის შემდეგ, გადადის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების სრულ განკარგულებაში (მოსახლეობის მოსამარაგებლად, მრეწველობის უზრუნველსაყოფად და სპირა მარაგის შესაქმნელად).

კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის მიხედვით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მოკავშირე რესპუბლიკებისათვის ამტკიცებს მიწოდების გეგმას მხოლოდ საერთო-საკავშირო საქიროებისათვის; ამ პროდუქტების რესურსთა მთელი დანარჩენი ნაწილი, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებით შემოდის, რჩება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განკარგულებაში.

სახალხო მოხმარების ყველა დანარჩენ საქონელზე (მაგ. ბეწვეული და მისი ნაწარმი, ჭურჭლეული და საოჯახო დანიშნულების სხვა საქონელი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სხვა საქონელი) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისია აწესებს მხოლოდ სარესპუბლიკათშორისო მიწოდების გეგმებს; ამ საქონლით მომარაგება ყოველი რესპუბლიკის ფარგლებში ხორციელდება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ დამტკიცებული გეგმების საფუძველზე.

ადგილობრივი წყაროებიდან მიღებული სახალხო მოხმარების საქონლის საბითუმო საქონელბრუნვა იგეგმება მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ.

საბითუმო საქონელბრუნვის დაგეგმვის შემოსხენებული წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 6 ნოემბრის დადგენილებით, რომლის საფუძველზეც მნიშვნელოვნადაა გაფართოებული მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების უფლებები ვაჭრობის დაგეგმვის თვალსაზრისით.

ამჟამად მოხმარების საგნებით საბითუმო ვაჭრობა შემდეგნაირად წარმოებს: მოკავშირე რესპუბლიკათა ვაჭრობის სამინისტროების სისტემაში არსებობს სპეციალიზებული საბითუმო კანტორები: ხორცივეზვაჭრობა (ხორციით, თევზით, კარაჭით ვაჭრობა), ბაკალეია (შაქრით, საკონდიტრო ნაწარმით, მარილით, კონსერვებით, თამბაქოს ნაწარმით და სხვა საბაკალეიო საქონლით ვაჭრობა), ტექსტილვაჭრობა (ყველა სახის ქსოვილით ვაჭრობა), ტანსაცმელვაჭრობა (ტანსაცმლითა და თეთრეულით, სატრიკოტაჟო და წინდელი ნაწარმით ვაჭრობა), ფეხსაცმელვაჭრობა (ყველა სახის ფეხსაცმლით ვაჭრობა), სამეურნეო საქონლით ვაჭრობა (ჭურჭლეულით, მაიცივრებით, ელექტრომტვერსასრუტებითა და სამეურნეო დანიშნულების სხვა საქონლით ვაჭრობა), კულტვაჭრობა (რადიოჩემიკლებით, ტელევიზორებით, საათებითა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საქონლით), გალანტერეა (საგალანტერეო საქონლითა და პარფიუმერით ვაჭრობა). რესპუბლიკური საბითუმო კანტორები ახორციელებენ საქონლის საბითუმო გაყიდვას (მიწოდებას) მოსახლის საბითუმო ბაზების ქსელის საშუალებით მთელი სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობისათვის. გარდა ამისა, რიგ მო-

კავშირე რესპუბლიკათა ვაჭრობის სამინისტროებთან ორგანიზებულია საბითუმო საცალო კანტორები, როგორცაა, მაგალითად, ტყემშენევაჭრობა (სატყეო და საამწენებლო მასალებით), იუველირვაჭრობა (საიუველირო ნაწარმით). ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში საბითუმო კანტორები შექმნილია სამრეწველო სამინისტროებთან.

საცალო ვაჭრობის ზოგიერთი სავაჭრო სისტემა აწარმოებს საბითუმო ვაჭრობას, რომელიც საქონლით ამარაგებს თავისი სისტემის საცალო ვაჭრობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს. უფრო მსხვილი საბითუმო ვაჭრობა არსებობს სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში: რაიონულ, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირებში (კოოპავეშირებში). სახელმწიფო ვაჭრობის სპეციალიზებული საბითუმო კანტორებისაგან განსხვავებით, სამომხმარებლო კოოპერაციის საბითუმო ბაზები და საწყობები ძირითადად უნივერსალური, საერთო-სასაქონლო საბითუმო საწარმოებია, რომლებიც ვაჭრობენ სხვადასხვა საქონლით. „ცენტროსოიუზის“ შემადგენლობაში არსებობს აგრეთვე რამდენიმე სპეციალიზებული საბითუმო მთავარსამმართველო: „გლავკოოპზოზტორგი“ (სამეურნეო საქონლით ვაჭრობა), „გლავკოოპკულტტორგი“ (კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლით ვაჭრობა), „კოოპპოსილტორგი“ (საგალანტერეო საქონლით, პარფიუმერიით, სატრიკოტაჟო და სამკერვალო ნაწარმით ვაჭრობა). „ცენტროსოიუზის“ საბითუმო ვაჭრობის მთავარსამმართველოს დანიშნულებას შეადგენს სახელმწიფო და უმთავრესად ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებიდან საქონლის შესყიდვა და ამ საქონლით სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციების მომარაგება; ამ მიზნით მთავარსამმართველოები წარმოების ადგილებზე ქმნიან სავაჭრო-შემსყიდველ ბაზებს.

საბითუმო ბაზები და საწყობები ზოგიერთ სხვა სავაჭრო ორგანიზაციებსაც გააჩნიათ; ესენია: ვაჭრობის სამმართველოები (ხილბოსტანვაჭრობა), ტრანსპორტის სამინისტროს მუშათა მომარაგების განყოფილება, წიგნით ვაჭრობა, სააფთიაქო სამმართველოები და სხვ. მოკავშირე რესპუბლიკათა ვაჭრობის სამინისტროებთან არსებობს სავაჭრო-საშუამავლო სახელმწიფო კანტორები (საგვამკანტორები), მათი ამოცანაა სავაჭრო ორგანიზაციათა შორის შუამავლობის გზით გადაანაწილონ საქონელი ერთი რაიონიდან (სადაც იგი ზედმეტია) მეორეში (სადაც იგრძნობა მისი ნაკლებობა). საშუამავლო კანტორები თვითონ არ ეწევიან საბითუმო ვაჭრობას, მაგრამ თავისი საქმიანობით ხელს უწყობენ სხვა სავაჭრო ორგანიზაციებს მის განხორციელებაში.

საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:


ა) საანგარიშო სასაქონლო ბალანსთა შედგენა სახალხო მოხმარების სახელმწიფო რესურსების ყოველგვარი საქონლის მიხედვით;

ბ) ყოველგვარი საქონლის მიხედვით სასაქონლო რესურსთა გამოყენების გეგმის შესრულებაზე კონტროლი.

- გ) საბაზრო ფონდის საქონლის გაგზავნისა და მიწოდების აღრიცხვა;
- დ) საცალო საქონელბრუნვის საქონლით უზრუნველყოფის ბალანსის შედგენა.

**2. სახელმწიფო სასაქონლო რესურსების საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა**

სახალხო მოხმარების საქონლის სახელმწიფო რესურსთა მოძრაობა წარმოებს საქონელგამტარი ქსელის სხვადასხვა რგოლის მეშვეობით. სასაქონლო ნაკადები საქონელგამტარი ქსელის ცალკეულ რგოლებში ერთიმეორისაგან განსხვავდებიან საბითუმო გაყიდვის დანიშნულების მიხედვით. ეს განსხვავება თავს იჩენს სტა-



ტიკური მაჩვენებელთა სისტემაში, რომელიც თანმიმდევრულად გვიხასიათებს საქონლის მოძრაობის მთელ პროცესს საბითუმო ვაჭრობაში.

განვიხილოთ საქონლის მოძრაობის ტიპური სქემა საბითუმო ვაჭრობაში.

სქემის მარცხენა ნაწილში წარმოდგენილია სახალხო მოხმარების საქონლის მიმწოდებლები. სამრეწველო საწარმოები, საბითუმო ბაზები და სხვ. მიმწოდებლები ასრულებენ საბითუმო გაყიდვის (მიწოდების) ფუნქციებს. სქემის მარჯვენა ნაწილში ნაჩვენებია სახალხო მოხმარების საქონლის ბითუმად მყიდველები.

დანიშნულების მიხედვით სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდება აღრიცხვისა და დაგეგმვის პრაქტიკაში იყოფა სამ ძირითად კატეგორიად; ესენია: 1) საბაზრო ფონდი, 2) სამრეწველო ვადაშუავების ფონდი, 3) არასაბაზრო ფონდი.

საბაზრო ფონდს მიეკუთვნება საბითუმო ორგანიზაციათა მიერ საქონლის მიწოდება სავაჭრო საწარმო-ორგანიზაციების, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმო-ორგანიზაციებისათვის მოსახლეობაზე გასაყიდად.

საბაზრო ფონდი მოიცავს საქონლის იმ ნაწილსაც, რომელიც საკალო ვაჭრობით მიეყიდებათ სხვადასხვა ორგანიზაციებს, დაწესებულებებს, საწარმოებს მათი სასურსათო და სამეურნეო საჭიროების და არა საწარმოო მოხმარებისათვის (გადამუშავება, მწესებლობა, რემონტი). ამრიგად, საბაზრო ფონდის მიწოდების ჯამი გვინახიათებს საკალო საქონელბრუნვის საქონლით უზრუნველყოფას; საბაზრო ფონდის საქონლით უზრუნველყოფის გეგმის შესრულება ძირითადად განსაზღვრავს საკალო საქონელბრუნვის ფართობებს.

სამრეწველო გადაიშუშავების ფონდში შედის საქონლის მიწოდება მრეწველობისათვის სახალხო მოხმარების სხვა საქონლად მის გადასამუშავებლად (ქსოვილები—ტანსაცმლისათვის, ხორცი—ძებვეულის ნაწარმისა და კონსერვებისათვის და სხვ.).

არასაბაზრო ფონდს მიეკუთვნება საბითუმო ორგანიზაციათა მიერ სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდება სხვადასხვა სახელმწიფო საჭიროებათა უზრუნველსაყოფად, გარდა მოსახლეობისათვის მიყიდვისა; სახელდობრ: საქონლის მიწოდება სამრეწველო საწარმოებისათვის დამხმარე მასალებას სახით მის გამოსაყენებლად (მაგალითად, ქსოვილები—ავტომობილების სალონთა გადასაყარად, ავეჯის მრეწველობისათვის, კალოშების საწარმოებლად და სხვ.); საქონლის მიწოდება საექსპორტოდ; საქონლის მიწოდება საბჭოთა არმიისათვის; არასასურსათო საქონლის მიწოდება სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა მოსამარაგებლად ტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ავეჯითა და სხვა საქონლით; საქონლის მიწოდება მუშა-როსანსასურათა უზრუნველსაყოფად სპეცტანსაცმლით, სპეცუესსაცმლით და სხვ. მიწოდების ყველა ეს ცალკეული სახე გეგმასა და აღრიცხვამში ცალკე გამოყოფა.

სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდებას დაჯგუფება დანიშნულების სტრუქტურზე წარმოებს სახალხო მოხმარების ყოველი საქონლის გათვალისწინებით და წარმოადგენს საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს.

მოტანილი სტრუქტურა შეიძლება მივიღოთ სტატისტიკურ მანივნებულთა მთელი სისტემა, რომელიც დაგვიხასიათებს საქონლის მოძრაობას საბითუმო ვაჭრობაში. საფარბიკო საწყობებთანა და სავსავლო ბაზებთან ოპერაციები ( $a+b-c+d$ ) წარმოადგენს მწარმოებელთა მიერ საქონლის პირველ გაყიდვას საბითუმო ვაჭრობაში. ეს გაყიდვა შეიძლება ორ ტიპად გავყოთ: 1) მწარმოებელთა მიერ საქონლის მიყიდვა სათანადო ფონდის უშუალო მიმღებთათვის ( $a+b-c+d$ ); 2) საქონლის შემოზიდვა საოლქო სავაჭრო ბაზებში ( $c$ ), როგორც სათანადო ფონდის მიმღებთათვის საქონლის შემდგომი მიყიდვის შუალედურ რგოლებში. პირველი ტიპის ოპერაციები არის მიწოდება, ე. ი. გაყიდვა, რამდენადაც ისინი სრულდება თავის ბაზებთან და საწყობებში წინასწარი შეტანის გარეშე. ასეთ ოპერაციებს ეწოდება სატრანზიტო მიწოდება. მეორე ტიპის ოპერაცია ( $c$ ) წარმოადგენს შიდაბრუნვას თითოეული საბითუმო კანტორის ფარგლებში. ასეთ ოპერა-

ციას ჰქვია გავზავნა. ამგვარი შუალედური რგოლის აუცილებლობა გამოწვეულია საქონლის დასარისხების მოთხოვნილებით ასორტიმენტის მიხედვით, რაც საჭიროა საცალო ვაჭრობის მომარაგებისათვის. რამდენადაც საფაბრიკო საწყობები და საგასაწვლო ბაზები იქმნება სათანადო საქონლის წარმოების ადგილებზე, ხოლო საქონლით უნდა მომარაგდეს ყველა რესპუბლიკა, მხარე და ოლქი, ცხადია, ანგარიშგება საქონლის მიწოდებისა და გადაგზავნის შესახებ უნდა შედგეს ტერიტორიული ქრილით (რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით, სადაც იგზავნება საქონელი), ყოველი ფონდისათვის ცალ-ცალკე.

საოლქო სავაჭრო ბაზების ძირითადი დანიშნულებაა საცალო ვაჭრობის მომარაგება საბაზრო ფონდის საქონლით; ნაწილობრივ საქონლის მიწოდება ხდება სამრეწველო გადამამუშავებისა და არასაბაზრო ფონდის ცალკეული დანიშნულებისათვის. საოლქო სავაჭრო ბაზების ყველა ოპერაცია წარმოადგენს მიწოდებას, ე. ი. გაყიდვას.

ადგილი შესამჩნევია, რომ მიწოდება ყოველი ფონდის მიხედვით ხდება ორი წყაროდან: საფაბრიკო საწყობებისა და საგასაწვლო ბაზებიდან, აგრეთვე საოლქო სავაჭრო ბაზებიდან. ამრიგად, თითოეული ფონდიდან მიწოდების სრული ჯანვების მისაღებად საჭიროა შევკრიბოთ მიწოდება სატრანზიტო და საოლქო სავაჭრო ბაზებიდან: საბაზრო ფონდი ( $m + d$ ), სამრეწველო გადამამუშავების ფონდი ( $b - r$ ), არასაბაზრო ფონდი ( $a + e$ ), ანგარიშგება მიწოდების შესახებ დგება რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით.

### მ. საბაზრო ფონდის საქონლის მიწოდებისა და გავზავნის სტატისტიკა

სამრეწველო საწარმო თავისი საფაბრიკო საწყობის მეშვეობით. როგორც წესი, ახორციელებს საქონლის გატანის უმარტივეს ოპერაციებს ბრძანების განწესის) საფუძველზე, რომლის გაცენაც ხდება მოკავშირე რესპუბლიკათა ვაჭრობის საინისტროების საბითუმო ორგანიზაციების (საბითუმო ბაზის. საოლქო ან რესპუბლიკური კანტორის) მიერ. ამიტომ საქონლის უმეტესობის მიხედვით სამრეწველო საწარმო ანგარიშგებას განწესთა შესრულებას შესახებ ზრდად ჯანვებში (კვარტალის დასაწყისიდან ყოველი 15 დღისათვის) უდგენს იმ საბითუმო ორგანიზაციას, რომელმაც გასცა განწესი. ამ ანგარიშგებაში ყოველი განწესის მიხედვით ცალკე ეცნობება: ფონდის დასახელება (საბაზრო, სამრეწველო გადამამუშავება. ექსპორტი და ა. შ.), რომლის მიხედვითაც გაცემულია საქონელი, საქონლის მიმღები, მისი ადგილსამყოფელი (რესპუბლიკა, მხარე, ოლქი) და გაცემული საქონლის რაოდენობა ან ღირებულება.

ამგვარად, სამრეწველო საწარმო განთავისუფლებულია მიწოდებაზე ანგარიშგების წარდგენისაგან საბითუმო საქონლობრუნვის სტატისტიკის ყველა მაჩვენებლის მიხედვით; იგი ადგენს მხოლოდ შესრულებული განწესების ნუსხას. სამრეწველო საწარმოთა მიერ განწესების შესრულების შესახებ ანგარიშგების დამუშავება წარმოებს საბითუმო ორგანიზაციებში. გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ ხორც-

პროდუქტების, რძის პროდუქტებისა და კვერცხის მიწოდების მიმართ; მათ შესახებ სამრეწველო საწარმო საოლქო საბითუმო კანტორას უდგენს სრულ ანგარიშგებას მიწოდებაზე (ჯგუფებად ყველა დანიშნულების მიხედვით), რომელიც გათვალისწინებულია რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების გეგმებით. ასეთი გამოწვევის დაშვებულია იმით, რომ, სხვა საქონლისაგან განსხვავებით, საბაზრო და არასაბაზრო მომხმარებელთა მომარაგება მეცხოველეობის პროდუქტებით ხორციელდება უმეტესად ხორცისა და რძის მრეწველობის სამრეწველო საწარმთა მეშვეობით.

საოლქო კანტორები ან საოლქო საბითუმო ბაზები აღდგენენ ნაკრებ ანგარიშგებას საქონლის მიწოდებაზე სატრანზიტო მიწოდების ჩათვლით თავისი ოლქის ფარგლებში. ანგარიშგება სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ, როგორც წესი, დგება ყოველი 15 დღისათვის ზრდად ჯამებში კვარტალის დასაწყისიდან; შიდა საოლქო ბაზები ანგარიშგებას უდგენენ საოლქო (სამხარეო) ბაზებს ან კანტორებს, ეს უკანასკნელნი კი—რესპუბლიკურ კანტორებს ან ბაზებს; რესპუბლიკურ კანტორებს ან ბაზებს უდგენენ ანგარიშგებას საგასაგარო ბაზებშიც.

საბითუმო ბაზებისა და კანტორების მიმდინარე ანგარიშგება შედგება ოთხი ძირითადი ნაწილისაგან; ესენია: 1) საქონლის მიწოდება ადგილობრივი მოპარაგებისათვის თავისი ოლქის (მხარის), ასს რესპუბლიკის ფარგლებში საბაზრო და არასაბაზრო ფონდების მიხედვით ცალ-ცალკე; ამასთანავე, საბაზრო ფონდის შემადგენლობაში გამოყოფილია მიწოდება სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემისათვის; 2) საქონლის მიწოდება საერთო-საკავშირო საქიროებისათვის თავისი ოლქის (მხარის), ასს რესპუბლიკის ფარგლებში ცალ-ცალკე საბაზრო და არასაბაზრო ფონდების მიხედვით; 3) საქონლის მიწოდება თავისი მოკავშირე რესპუბლიკის სხვა ოლქებისა (მხარეებისა) და ასს რესპუბლიკისათვის ცალკე საბაზრო და არასაბაზრო ფონდების მიხედვით; 4) საქონლის მიწოდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მიწოდების რესპუბლიკათშორისი გეგმით საბაზრო და არასაბაზრო ფონდების მიხედვით ცალ-ცალკე.

როგორც ზემოაღნიშნულიდან ჩანს, მიმდინარე ანგარიშგების პროგრამა უზრუნველყოფს საქონლის მიწოდების მტკიცე აღრიცხვას ტერიტორიის მიხედვით: მიწოდებას თავისი ოლქის ან მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში და მიწოდებას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის.

ანგარიშგების ამ ოთხივე ნაწილის საფუძველზე მიწოდების ჯამი ქმნის მიწოდებათა საერთო ჯამს ყოველი ცალკეული საოლქო საბითუმო კანტორის ან ბაზისათვის. მოკავშირე რესპუბლიკათა მიხედვით მიწოდების კრებსითი ანგარიშგების შედგენისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ანგარიშგების III ნაწილი (საქონლის მიწოდება თავისი მოკავშირე რესპუბლიკის სხვა ოლქებისათვის) ახასიათებს შინაგან ბრუნვას საბითუმო ბაზებს შორის მოცემული მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში. ამიტომ კანტორებისა და ბაზების ანგარიშგებათა ყოველი ნაწილის მარტივი შეჯამებისას დაშვებულია ბრუნვების განმეორებითი აღრიცხვა: საქონლის მიწოდება ოლქებს, მხარეებსა და რესპუბლიკებს შორის აღირიცხება



მიმწოდებულ ოლქებში როგორც ოლქთაშორისი მიწოდება, ხოლო მომხმარებელ ოლქებში, — როგორც მიწოდება თავისი ოლქის ფარგლებში. საოლქო კანტორებისა და ბაზების ანგარიშგებათა მარტივი შეჯამება ქმნის საერთო საქონელბრუნვას; კრებსითი ანგარიშგება უნდა დგებოდეს წმინდა ბრუნვის მეთოდით, ე. ი. განმეორებითი ანგარიშის გარეშე. ცხადია, მთელი მოკავშირე რესპუბლიკის კრებსითი ანგარიშგება, განთავისუფლებული განმეორებითი ანგარიშისაგან, უნდა შედგეს ყველა საბითუმო კანტორისა და ბაზის მიმდინარე ანგარიშგებათა I, II და IV ნაწილების ჯამთა მიხედვით, სახელდობრ: 1) საქონლის მიწოდება ადგილობრივი მომარაგებისათვის თავისი ოლქის (მხარის), ასს რესპუბლიკის ფარგლებში ცალკე საბაზრო და ცალკე არასაბაზრო ფონდების მიხედვით; 2) საქონლის მიწოდება საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის თავისი ოლქის (მხარის), ასს რესპუბლიკის ფარგლებში; 4) საქონლის მიწოდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკისათვის მიწოდების რესპუბლიკათაშორისი გეგმით საბაზრო და არასაბაზრო ფონდების მიხედვით ცალ-ცალკე.

ცხადია აგრეთვე, რომ სსრ კავშირის მასშტაბით მიწოდების კრებსითი ანგარიშგების შედგენისას შინაგან ბრუნვას წარმოადგენს მიწოდება, რომელიც აღრიცხულია საბითუმო ბაზების ანგარიშგებათა IV ნაწილში და ნაჩვენებია მოკავშირე რესპუბლიკების კრებსით ანგარიშგებებში (საქონლის მიწოდება სხვა მოკავშირე რესპუბლიკათათვის). ამიტომ კრებსითი ანგარიშგება მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა შეადგენდეს ანგარიშგების პირველი ორი ნაწილის ჯამს, ე. ი. მიწოდება ადგილობრივი და საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის, ცალკეული ოლქის, მხარისა და ასს რესპუბლიკის ფარგლებში.

კრებსითი ანგარიშგების შედგენა მიწოდების შესახებ უჩრგნოთ შემდეგ სქემატურ მაგალითზე (ათას მან.):

	ოლქი	ოლქი	ოლქი	სულ რესპუბლიკაში (საერთო ბრუნვა)	რესპუბლიკის კიბა ბრუნვის გარეშე	რესპუბლიკათშორისი ბრუნვის გარეშე
1	2	3	4	5	6	7
ნაწილი I. მიწოდებულია ადგილობრივი მომარაგებისათვის თავისი ოლქის ფარგლებში	200	500	100	800	800	800
ნაწილი II. მიწოდებულია საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის თავისი ოლქის ფარგლებში	50	120	10	180	180	180
ნაწილი III. მიწოდებულია თავისივე მოკავშირე რესპუბლიკების სხვა ოლქებისათვის	30	50	—	80	—	—

1	2	3	4	5	6	7
ნაწილი IV. მიწოდებულია სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის	—	60	—	60	60	—
ჯ ა მ ი	280	730	110	1120	1040	980

ყოველი ოლქის ჯამობრივი მონაცემები გვიხასიათებს მისი მიწოდების მთელ ზოტულობას. მიწოდების საერთო ჯამი რესპუბლიკის ყველა ოლქისათვის (1120) შეიცავს რესპუბლიკის შიდა ბრუნვის განმეორებით ანგარიშს (80). იგი რომ გამოვიციხოთ, მივიღებთ რესპუბლიკის მიწოდების წმინდა ბრუნვას (1040). მაგრამ მოცემული რესპუბლიკის ეს წმინდა ბრუნვა არ შეიძლება მიეუმატოთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკის ანალოგიურ ბრუნვას, რამდენადაც მასში თანხა 60 ათასი მან. განმეორებითაა აღრიცხული. ამგვარად, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიწოდების საერთო მოცულობის გაანგარიშებისათვის უნდა ავიღოთ 980 ათასი მანეთი, რომელიც თავისუფალია განმეორებითი აღრიცხვისაგან.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიწოდების აღრიცხვასა და ანალიზში ცენტრალურ ადგილს იჭერს საბაზრო ფონდები. კრებისითი ანგარიშგებანი საბაზრო ფონდის მიხედვით ცალკეული საქონლის მიწოდების შესახებ ღებბა შემდეგი ფორმით:

რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები	კვარტალური გეგმა	ფაქტიურად შესრულებულია კვარტალის დასაწყისიდან	გეგმის შესრულების პროცენტი	მიწოდებული იყო წინა წლის შესაბამის პერიოდში

ამ ფორმით შედგენილი ანგარიშგებითი მონაცემები, უპირველეს ყოვლისა, გვიბასუხებენ კითხვაზე, თუ როგორ არის შესრულებული ამ საქონლის მიწოდების კვარტალური გეგმა საბაზრო ფონდის მიხედვით არა მარტო მთლიანად, არამედ ცალკეული ტერიტორიების—რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით. ეს შესაძლებლობას გვაძლევს დაეადგინოთ, თუ რამდენად თანაბარ-ზომიერად სრულდება მიწოდების გეგმა ტერიტორიულ კრილში. აბსოლუტური მონაცემები ფაქტიური მიწოდების შესახებ გეგმას რომ შეეუღაროთ, ამით განვსაზღვრავთ გეგმის გადაჭარბების სიდიდეს ანდა მიწოდებულთა დავალიანებას სავაქრო ორგანიზაციების წინაშე; ამ მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვთ საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების უზარუნველსაყოფად. ბოლოს, საანგარიშო და წინა წლის სათანადო პერიოდში მიწოდების მონაცემთა შედარება გვიჩვენებს, იზრდება თუ არა, ან რა სიდიდით რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების საცალო ვაჭრობის მომარაგება მოცემული საქონლით, ადგილი ხომ არა აქვს მი-

წოდების შემცირებას ცალკეულ რაიონებში. საბაზრო ფონდის მიწოდების ზრდა უზრუნველყოფს მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვის გაფართოებას საცალო ვაჭრობის მეშვეობით.

საბაზრო ფონდებიდან საქონლის მიწოდების შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს მიწოდების გეგმის თანაბარზომიერი შესრულების დახასიათებას. მიწოდების გეგმის შესრულების თანაბარზომიერება, უწინარეს ყოვლისა, შეისწავლება ტერიტორიების—რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით. მიწოდების გეგმის შესრულების უმარტივესი დახასიათება ხდება იმ ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების რაოდენობის გამოთვლით, რომელთათვისაც შესრულებულია და გადაჭარბებული მიწოდების გეგმა. თუ აღმოჩნდა, მაგალითად, რომ თევზის მიწოდების გეგმა საბჭოთა კავშირში მთლიანად შესრულებულია, მაგრამ ოლქების 20%-მა გეგმა ვერ შეასრულა, 65%-მა შეასრულა, ხოლო 15%-მა გადაჭარბებით, ყოველივე ეს მოწმობს მთელი გეგმის უკიდურესად არათანაბარზომიერ შესრულებას. მიზანშეწონილია ამასთანავე ოლქების ზემოხსენებული ჯგუფების მიხედვით გამოითვალოს გეგმისა და ფაქტიური მიწოდების აბსოლუტური სიდიდეები როგორც საანგარიშო, ისე წინა წლისათვის; მაშინ ოლქების დაჯგუფება გეგმის შესრულების მიხედვით გვიჩვენებს როგორც გეგმის შესრულებას, ისე შეუსრულებლობას, აგრეთვე მიწოდების სიდიდის ცვლილებას წინა წელთან შედარებით.

ასეთი გაანგარიშება ვუჩვენოთ პირობით მაგალითზე ტანსაცმლის საბაზრო ფონდის მიწოდების შესახებ რსფსრ-ს მიხედვით (ათას მან.).

	ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების რიცხვი	მიწოდებული იყო საბაზრო პერიოდში	მიწოდებულია საანგარიშო პერიოდში			მიწოდების მატება საანგარიშო პერიოდში	
			გეგმით	ფაქტურად	გეგმის შესრულების პროცენტები	გეგმით	ფაქტურად
1. ოლქების ჯგუფი, რომელთაც მიწოდების გეგმა ვერ შეასრულეს	14	900	1000	950	95,0	+100	+50
2. ოლქების ჯგუფი, რომელთაც მიწოდების გეგმა შეასრულეს	47	9500	10000	10000	100,0	+200	+200
3. ოლქების ჯგუფი, რომელთაც მიწოდების გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს	11	2000	2000	2050	102,5	0	+50
<b>ჯ ა მ ი</b>	<b>72</b>	<b>12700</b>	<b>13000</b>	<b>13000</b>	<b>100,0</b>	<b>+300</b>	<b>+300</b>

როგორც ცხრილიდან ჩანს, მიწოდების გეგმა რსფსრ-ს მიხედვით მთლიანად შესრულებულია, მაგრამ 14 ოლქმა საგეგმო დავალება ვერ შეასრულა (95%), ამავე დროს დანაზრუნება 11 ოლქმა გეგმა გადაჭარბებით (102,5%-ით) შეასრულა. მიწოდების აბსოლუტური მატება საანგარიშო პერიოდში მთელი რესპუბლიკის მიხედვით შეესაბამება ს:გეგმო დავალებას (+300 ათასი მან.), მაგრამ ოლქების პირველი ჯგუფის მიხედვით ფაქტიური მატება (+50 ათასი მან.) გეგმურზე ორჯერ ნაკლები აღმოჩნდა (100 ათასი მან.). ოლქების III ჯგუფის გეგმა არ ითვალისწინებდა მიწოდების გადიდებას საბაზისო პერიოდთან შედარებით, ფაქტიურად კი მიწოდება გაიზარდა 50 ათასი მანეთით. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, თუ რამდენად არასრულია გეგმის შესრულების საერთო ჯამები ჯგუფების მიხედვით მათი დიფერენციაციის გარეშე.

ტრაიტორიების მიხედვით გეგმების შესრულების თანაბარზომიერების შემოწმების მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს ეკონომიური მნიშვნელობით ორი თანაბარი ოლქის დაპირისპირება: სმოლენსკისა და კალუგის, ვორონეჟისა და კურსკის, სვერდლოვსკისა და ჩელიაბინსკის. თუ ამ ოლქებში გეგმის შესრულების პროცენტები სხვადასხვანაირია, ეს იქნება არათანაბარზომიერების ნათელი მაჩვენებელი.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს მიწოდების გეგმის თანაბარზომიერი შესრულების დახასიათებას დროის მიხედვით. მიწოდების კვარტალური გეგმა შესაძლებელია მთლიანად დამაკმაყოფილებლად (100%-ით) შესრულდეს, მაგრამ თუ ამასთანავე აღმოჩნდა, რომ კვარტალის პირველ თვეში დამზადდა კვარტალური გეგმის მხოლოდ 15%, მეორე თვეში—38%, ხოლო მესამეში—47%, ცხადი გახდება, რომ გეგმის ასეთი შესრულება სრულებითაც არ არის დამაკმაყოფილებელი. გეგმის თანაბარზომიერი შესრულების პირობებში კვარტალის ყოველ თვეზე უნდა მოდიოდეს კვარტალის მთელი მიწოდებას ერთი მესამედი. მიწოდების გეგმის შესრულების თანაბარზომიერების დახასიათებლად დროის მიხედვით ყოველი საქონლისათვის დგება ცხრილი შემდეგი ფორმით:

საქონლის დასახელება	კვარტალური გეგმის შესრულების პროცენტი სსრ კავშირში მთლიანად	მათ რიცხვში		
		პირველი თვე	მეორე თვე	მესამე თვე
ბამბის ქსოვილები შალის ქსოვილები აბრეშუმის ქსოვილები და ა. შ.				

ამ ცხრილში შეშვიდრებული ფორმით მოცემულა ყველა საქონლის მიწოდების გეგმის თანაბარზომიერი შესრულების დახასიათება თვეების მიხედვით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანგარიშგება მიწოდების შესახებ წარედგინება

თხუთმეტდღიურად. ვიყენებთ რა ანგარიშგების მონაცემებს, შეიძლება გამარტივებული წესით განესაზღვროთ გეგმის თანაბარზომიერი შესრულება, ვუჩვენებთ მხოლოდ კვარტალური გეგმის შესრულების პროცენტულ მონაცემებს კვარტალის პირველ და უკანასკნელ თხუთმეტდღიურში. თუ, მაგალითად, აღმოჩნდა, რომ პირველ თხუთმეტდღიურში კვარტალური გეგმა შესრულებულია 10%-ით, ხოლო უკანასკნელ თხუთმეტდღიურში—25%-ით, ნათელი ხდება მიწოდების გეგმის შესრულების მეტისმეტი არათანაბარზომიერება დროის მიხედვით. მიწოდების გეგმის შესრულების თანაბარზომიერება წარმოადგენს მიმწოდებლის მუშაობის ხარისხის მნიშვნელოვან დამახასიათებელ ფაქტორს. განზოგადებულ მაჩვენებლებს, რომლებიც გვიხასიათებს გეგმის შესრულების თანაბარზომიერებას, განვიხილავთ IV თავში, რომელიც მიძღვნილია საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკისადმი.

ჩვენ განვიხილეთ სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების მიმდინარე სტატისტიკის პირველი ორი დანაყოფის მონაცემები საბაზრო და არასაბაზრო ფონდების მიხედვით. ანგარიშგების ორი უკანასკნელი დანაყოფი-საქონლის მიწოდება თავისი მოკავშირე რესპუბლიკის სხვა ოლქებისათვის (მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკებისათვის), აგრეთვე მიწადება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მიწოდების რესპუბლიკათშორისი გეგმით—მთელი სსრ კავშირის კრებისთ ანგარიშგებაში წარმოადგენს შიდასისტემურ ბრუნვას საბითუმო ვაჭრობის სფეროში. ჩვენ სწორად მოვიქცით, როცა ბრუნვა ამ ორი დანაყოფის მიხედვით არ შევიტანეთ სახალხო მეურნეობის მთელი მიწოდების კრებისთ ანგარიშგებაში, რადგან ამ შემთხვევაში ბრუნვათა ორმაგ ანგარიშს ექნებოდა ადგილი. თუმცა ამ შიდასისტემურ ბრუნვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა და მოითხოვს სპეციალურ განხილვას.

სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების რესპუბლიკათშორისი გეგმების დანიშნულებაა ყველა მოკავშირე რესპუბლიკის უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი სასურსათო და არასასურსათო საქონლით როგორც მოსახლეობის მომარაგებისათვის საბაზრო ფონდებით, ისე არასაბაზრო ფონდებით მომხმარებელთა მომარაგებისათვის ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში, რესპუბლიკათშორისი მიწოდების გეგმის წარმატებით შესრულება განსაზღვრავს მიწოდების გეგმის განხორციელებას როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო ფონდების მიხედვით ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. აი, რატომ აქვს დიდი ოპერატიული მნიშვნელობა მონაცემებს რესპუბლიკათშორისი მიწოდების გეგმების შესრულების შესახებ. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოფილ იქნეს გეგმის თანაბარზომიერი შესრულება როგორც ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების, ისე რესპუბლიკათშორისი მიწოდების მიხედვით ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რესპუბლიკათშორისი მიწოდების გეგმებში გათვალისწინებულია აგრეთვე მიწოდება საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ხოლო საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის მიწოდების უზრუნველყოფა წარმოებს ყოველ მოკავშირე რესპუბლიკაში. ადგილობრივი საჭიროებისათვის და საერთო-საკავშირო ფონდში მიწოდების გეგმის თანა-

ბარზომიერი შესრულების, დასახასიათებლად, ჩვეულებრივ, ერთმეორეს უპირისპირდება მიწოდებათა კვარტალური გეგმების შესრულების პროცენტები: თუ აღმოჩნდა, რომ მიწოდების გეგმა ადგილობრივი მომარაგებისათვის გადაჭარბებულია, ხოლო მიწოდების გეგმა საერთო-საკავშირო ფონდში არაა შესრულებული, ეს ნიშნავს მიწოდებულთა ცუდ მუშაობას. ანალოგიურად შეისწავლება ოლქთაშორის მიწოდების გეგმის შესრულება მოკავშირე რესპუბლიკის ფარგლებში.

მონაცემები სახალხო მოხმარების საქონლის რესპუბლიკათშორისი და ოლქთაშორისი მიწოდების შესახებ გვიხასიათებს საქონლის შემოტანასა და გატანას ოლქებს, მხარეებსა და რესპუბლიკებს შორის. ოლქებს, მხარეებსა და რესპუბლიკებს შორის სასაქონლო კავშირების შესწავლის მიზნით დგება ცალკეული საქონლის მიწოდების რესპუბლიკათშორისი და ოლქთაშორისი ბალანსი (ქადრაკული ცხრილი).

რესპუბლიკათშორისი მიწოდების საბალანსო ცხრილის ქვემდებარეში დასახელებულია მოკავშირე რესპუბლიკები, რომლებიც აწარმოებენ მოცემულ საქონელს და აწვდიან მას სხვა მოკავშირე რესპუბლიკებს, ხოლო შემასმენელში წარმოდგენილია მოკავშირე რესპუბლიკები—მომხმარებლები, რომელთაც აწვდიან მოცემულ საქონელს. ამრიგად, ქადრაკული ბალანსის ქვემდებარეში მოცემულია ყოველი საქონლის წარმოების გეოგრაფიული დახასიათება, ხოლო შემასმენელში—ყოველი საქონლის გასაღების გეოგრაფიული დახასიათება, მთლიანად კი ქადრაკული ბალანსი ნათელყოფს ყოველი საქონლის წარმოებისა და მოხმარების რაიონების სასაქონლო კავშირებს. ამასთანავე ქადრაკული ბალანსი შესაძლებლობას გვაძლევს გამოვავლინოთ შემხვედრი და შორეული გადაზიდვები.

განვიხილოთ ტანსაცმლის რესპუბლიკათშორისი მიწოდების ქადრაკული ბალანსი (იხ. გვ. 39):

ქადრაკული ბალანსი გვაძლევს მოკავშირე რესპუბლიკების სასაქონლო კავშირების ფრიაღ სანიტერეთს და საყურადღებო დახასიათებას. უპირველეს ყოვლისა, ცხრილიდან გამომდინარეობს დასკვნები სასაქონლო კავშირთა მრავალსახეობის შესახებ. უკრაინა სრულად არ იღებს მონაწილეობას ტანსაცმლის რესპუბლიკათშორის გაცვლაში: რესპუბლიკის მთელი მოთხოვნილება იფარება საკუთარი წარმოების შინაგანი რესურსების ანგარიშზე. რესპუბლიკათშორის გაცვლაში ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკა ცალმხრივ მონაწილეობას ღებულობს. რსფსრ-ს და ყაზახეთს თავიანთი პროდუქცია მხოლოდ გააქვთ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ხოლო ბელორუსიას, მოლდავეთს, საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, პირიქით. შემოაქვთ ტანსაცმელი სხვა რესპუბლიკებიდან. დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკები—უზბეკეთი, ყირგიზეთი, ესტონეთი, ლატვია და ლატვია მონაწილეობას იღებენ ორმხრივ გაცვლაში, ე. ი. როგორც შემოაქვთ, ისე გააქვთ.

ტანსაცმლის მიხედვით ყველაზე უფრო ფართო სასაქონლო კავშირით ხასიათდება ყაზახეთი: მიწოდების რესპუბლიკათშორისი გეგმით იგი ტანსაცმელს აწვდის 10 მოკავშირე რესპუბლიკას, მათ შორის ბელორუსიასა და ბალტიისპირე-



თის რესპუბლიკებს. ისმება კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია ასეთი შიდა რეული გადაზიდვები? რსფსრ ტანსაცმელს აწვდის 7 მოკავშირე რესპუბლიკას. ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკის მიერ ტანსაცმლის ურთიერთმიწოდება: უზბეკეთი აწვდის ყირგიზეთს 6125 ათასი მანეთის ტანსაცმელს და ამავე დროს ყირგიზეთიდან შემოაქვს 6605 ათასი მანეთის ტანსაცმელი. ურთიერთმიწოდების მხრივ ანალოგიური მდგომარეობაა უზბეკეთსა და ტაჯიკეთს, თურქმენეთსა და უზბეკეთს შორის. ურთიერთმიწოდებანი ხდება ბალტიისპირეთის რესპუბლიკებს შორისაც.

ამგვარი შემხვედრი მიწოდებანი საჭიროა გულდასმით გაანალიზდეს და, თუ არ არის რაიმე განსაკუთრებული გარემოებანი, მოხდეს მათი ლიკვიდაცია.

ერთიმეორეს რომ დაეუპირისპიროთ ტანსაცმლის გატანისა და შემოტანის ჯამები მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, მივიღებთ ყოველი მოკავშირე რესპუბლიკის როლისა და მნიშვნელობის განზოგადებულ დახასიათებას რესპუბლიკა-შორის ბრუნვაში. ჯამები წარმოდგენილია ქვემოთმოტანილ ცხრილში (ათას მან.):

რესპუბლიკები	გატანა	შემოტანა	გატანის გადა- მეტება შემოტა- ნაზე	შემოტანის გადა- მეტება გატანაზე
რსფსრ	143053	—	143053	—
უკრაინა	—	—	—	—
ბელორუსია	—	48850	—	48850
ყაზახეთი	64210	—	64210	—
უზბეკეთი	9015	16345	—	7330
ყირგიზეთი	8255	9690	—	1435
ტაჯიკეთი	5100	5750	1350	—
თურქმენეთი	3385	4820	—	1435
საქართველო	—	22200	—	22200
ახერბაიჯანი	—	13650	—	13650
სომხეთი	—	18300	—	18300
ლატვია	16107	54927	—	38820
ლიტვა	12568	25741	—	13173
ესტონეთი	7952	31902	—	23950
მოლდავეთი	—	19500	—	19500
<b>ჯ ა მ ი</b>	<b>269675</b>	<b>269675</b>	<b>206613</b>	<b>206613</b>

ტანსაცმლის რესპუბლიკათშორის ბრუნვაში დადებითი სალდო აქვს სამ რესპუბლიკას: რსფსრ-ს, ყაზახეთსა და ტაჯიკეთს. დანარჩენი მოკავშირე რესპუბლიკები (გარდა უკრაინისა, რომელიც საერთოდ არ ღებულობს მონაწილეობას ტანსაცმლის რესპუბლიკათშორის ბრუნვაში) წარმოადგენენ შემომტან რესპუბლიკებს, რამდენადაც არ ჰყოფნით საკუთარი წარმოების ტანსაცმელი.

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, ცალკეული საქონლის მიხედვით ტანსაცმლის მიწოდების ჭადრაკულ ბალანსს დიდი ანალიზური მნიშვნელობა გააჩნია. იგი გამოიყენება ოპერატიულ მუშაობაში მიწოდების რესპუბლიკათშორის და ოლქთაშორის გეგმების შედგენისა და შესრულების ანალიზისას.



სტატისტიკის ამოცანები არ შეიძლება შემოიფარგლოს მხოლოდ მიწოდების მიხედვით საქონლის ჯგუფთა შესწავლით. საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებასა და კულტურული დონის ამაღლებასთან დაკავშირებით არსებითი ცვლილებანი ხდება მთავარად მოთხოვნების სტრუქტურაში: იზრდება მოთხოვნილება კვების უფრო ძვირუაჟს პროდუქტებზე, მაღალი ხარისხისა და სხვადასხვა ასორტიმენტის საქონელზე. ამ პირობებში მონაცემები მიწოდების შესახებ საქონლის ჯგუფთა მიხედვით (ყველა სახეობის ხორცი, საკონდიტრო ნაწარმი, შალის ქსოვილები მთლიანად და ა. შ.) არ არის საკმარისი. საჭირო ხდება შესწავლილ იქნეს საბაზრო ფონდის მიწოდებანი ასორტიმენტის მიხედვით. ამიტომ საბითუმო კანტორებისა და ბაზების თვიურ და კვარტალურ ანგარიშგებებში წარმოღვენილ უნდა იქნეს მონაცემები ფართო ასორტიმენტით მიწოდების შესახებ საბაზრო ფონდის რაგი სასურსათო საქონლის მიხედვით. მაგალითად, ხორცის მიხედვით აღირიცხება ცალკე ძროხას, ცხვრის, ღორის ხორცი და ფრინველი; გარდა ამისა, ხორცის ყოველი სახეობა აღირიცხება კატეგორიების მიხედვით; ძებნული: მოხარშული, ნახევრად შებოლილი, მაგრად შებოლილი და სხვა; კარაქი: მარილიანი და უმარილო (უმალღესა ხარისხის კარაქის ცალკე გამოყოფით); ჩაი: შავი ბაიხის, მწვანე ბაიხის და სხვ.

არასასურსათო საქონლის გამაღებელ ორგანიზაციებს ანგარიშგებანი ასორტიმენტის ჭრილში არ გააჩნიათ, მაგრამ ასორტიმენტის შესწავლის მიზნით შეიძლება ვისარგებლოთ ფაბრიკების მიერ საწარმოო პროგრამის შესრულების მონაცემებით ასორტიმენტის მიხედვით.

აქამდე ჩვენ ვიხილავდით სახალხო მოზმარების ცალკეული საქონლის მიწოდების სტატისტიკას. სახალხო მოზმარების ყველა საქონლის მიწოდების განზოგადებული დახასიათება მოითხოვს სასურსათო საქონლის მიწოდების ნატურალური მაჩვენებლების წინასწარ შეფასებას საცალო ფასებით. ყველა საქონლის მიწოდების კომპლექსურა განხილვისას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საბაზრო ფონდებს, რამდენადაც მათზე მოდის მთელი მაწოდების ძირითადი ნაწილი და ისინი გვიხასიათებენ საცალო ვაჭრობის საქონლით უზრუნველყოფას. საბაზრო ფონდების მიხედვით სახალხო მოზმარების საქონლის მაწოდების კრებისით ცხრაღს აქვს შემდეგი ფორმა:

	კვარტალური გეგმა	ფაქტიურად შესრულებულია	გემის შესრულების პროცენტი	მიწოდებულაა ან (+) ან ნაკლება (-)	ყო მიწოდებული გასული წლის შესაბამის პერიოდში
1	2	3	4	5	6
ა) სასურსათო საქონელი ხორცი ძებნული თევზი და ა. შ.					
სასურსათო საქონლის ჯამი					

1	2	3	4	5	6
ბ) არასასურსათო საქონელი ბაზზის ქსოვილი შალის ქსოვილი ტანსაცმელი და ა. შ.					
არასასურსათო საქონლის ჯამი					
მთელი საქონელი					

საანგარიშო მონაცემებით შევსებული ასეთი ცხრილი შესაძლებლობას გვაძლევს შევფასოთ გვემის შესრულების მიმდინარეობა როგორც ცალკეული საქონლის, ისე საქონლის ისეთი მნიშვნელოვანი ჯგუფების მიხედვით, როგორცაა სასურსათო და არასასურსათო საქონელი, აგრეთვე მთელი საბითუმო საქონელბრუნვა საერთოდ. ცხრილში მოტანილია მონაცემები იმის შესახებ, თუ ფაქტიურად რამდენით მეტი ან ნაკლებია მიწოდებული საქონელი საცალო ვაჭრობისათვის გვემურათან შედარებით. საქონლის მიწოდების გვემის გადაჭარბების ან შეუსრულებლობის აბსოლუტურ სიდიდეებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ გვემის შესრულების მიმდინარეობისა და საცალო საქონელბრუნვის შესაფასებლად. საანგარიშო და წინა წლის სათანადო პერიოდების მიწოდების მონაცემთა შედარების გზით შეიძლება დავადგინოთ, თუ რომელი სახისა და ჯგუფის საქონლის მიხედვითაა მეტი ან ნაკლები საანგარიშო წლის საბაზრო ფონდები გასული წლის შესაბამის მაჩვენებლებზე. ბოლოს, თუ გავიანგარიშებთ ცალკეული საქონლის ხვედრით წონას საბაზრო ფონდის საერთო ჯამში, შესაძლებელია შევისწავლოთ საბაზრო ფონდას მიწოდების სტრუქტურა და მისი ცვლილება წინა წელთან შედარებით. ყველა ეს მონაცემი ემაახურება მთელი საბითუმო საქონელბრუნვის დახასიათებას და საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო რესურსებით უზრუნველყოფის განსაზღვრას.

იმ საცალო ფასთა საკითხს, რომლითაც შეფასდება საბაზრო ფონდის სასურსათო საქონლის მიწოდების ნატურალური მაჩვენებლები, დამოუკიდებელი მნიშვნელობა გააჩნია და სპეციალურ განხილვას მოითხოვს. ყოველი სასურსათო საქონელი შედგება მთელი რიგი კონკრეტული საასორტიმენტო სახეებისაგან, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ხარისხით და, მაშასადამე, ფასებითაც; ეს განაკუთრებით ეხება ისეთ რთულ საასორტიმენტო სასაქონლო ჯგუფებს, როგორცაა საქონლიტრო ნაწარმი, თევზი და სხვ. ასეთ პირობებში ხორცის,

თევზის, შაქრისა და სხვა საქონლის საშუალო ფასი დამოკიდებულია ამა თუ იმ სასაქონლო ჯგუფის საასორტიმენტო სტრუქტურაზე. ამ გარემოებას მნიშვნელობა აქვს არა მარტო საანგარიშო პერიოდის მიწოდების შედარებისას საბაზისოსთან, არამედ საანგარიშო მონაცემების გეგმურთან დაპირისპირების დროსაც. მიწოდების გეგმა გაიანგარიშება ყოველი სასაქონლო ჯგუფის გარკვეული საასორტიმენტო სტრუქტურის მიხედვით და მას შეესაბამება განსაზღვრული საშუალო ფასი ყველა სასაქონლო ჯგუფისათვის ერთად. ფაქტიური მიწოდებისას შესაძლოა ადგილი ჰქონოდეს გეგმური ასორტიმენტის ამა თუ იმ დარღვევას და ამიტომ, ფასების უცვლელობის პირობებში, ცალკეულ საასორტიმენტო სახეებზე საშუალო ფასი საქონლს ჯგუფების მიხედვით შესაძლებელია აღმოჩნდეს ნაკლები ან მეტი გეგმურთან შედარებით.

ეს გარემოება მეტად მნიშვნელოვანია მიწოდების, განსაკუთრებით სასურსათო საქონლის მიწოდების გეგმის შესრულების ანალიზისას. მოწოდების გეგმა ნატურალურ გამოსახულებაში შესაძლებელია შესრულდეს (გადაკარბებითაც), ფულად გამოსახულებაში კი შეიძლება საქმე გვექონდეს გეგმის შეუსრულებლობასთან ამ შემთხვევაში, როდესაც სასურსათო საქონლის მიწოდების აღრიცხვა და დაგეგმვა ნატურალური გამოსახულებით წარმოებს, სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საშუალო ფასთა გაანგარიშების საკითხი უდიდეს მნიშვნელობას იძენს.

როგორც აღნიშნულიდან ჩანს, საკითხი ეხება საშუალო ჯგუფურ ფასთა გაანგარიშების მეოთხედს, რომლებიც მრეწველობაში ღებულობენ ყოველი სასაქონლო ჯგუფის ფაქტიურ საასორტიმენტო სტრუქტურას. თორავლად ასეთი საშუალო ფასი უნდა განისაზღვროს შეწონილი არითმეტიკული საშუალოს ფორმულით:

$$\bar{x} = \frac{\sum xf}{\sum f},$$

სადა  $\bar{x}$  საშუალო ფასია;

$x$ —კონკრეტული საქონლის ფასი;

$f$ —კონკრეტული საქონლის რაოდენობა;

$\Sigma$ —შეჯამების ნიშანი.

პრაქტიკულად საშუალო ფასი გაიანგარიშება საბუღალტრო ანგარიშგების მონაცემთა საფუძველზე. ამ ანგარიშგებაში ნაჩვენებია ყოველი საქონლის მიწოდების რაოდენობა ( $f$ ) და ღირებულება საცალო ფასებში ( $xf$ ). მიწოდებული საქონლის ღირებულებას თუ ვაყყოფთ მის რაოდენობაზე, მივიღებთ საშუალო შეწონილ ფასს, განსაზღვრულს ფაქტიური ასორტიმენტის სიზშირით. სასურსათო საქონლის უმეტესობისათვის საბუღალტრო ანგარიშგება ვაძლევს ცნობებს მიწოდების საერთო რაოდენობისა და ღირებულების შესახებ როგორც საბაზრო, ისე არასაბაზრო ფონდების მიხედვით: მაშასადამე, ამ მონაცემთა საფუძველზე გაიანგარიშება მთელი მიწოდების საშუალო ფასი. საქონლის უმეტესობის მიხედვით საბაზრო ფონდებიდან მიწოდებას მთელ მიწოდებაში დიდი ხვედრითი წონა

უქირავს, ამიტომ საერთო საშუალო ფასი თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ საბაზრო ფონდის საქონლის მიწოდების შესაფასებლად. მაგრამ ზორცის, თევზისა და ზოგიერთი სხვა საქონლის მიხედვით, სადაც მიწოდება არასაბაზრო ფონდებიდან მეტად მნიშვნელოვან ადგილს იჭერს, მთელი მიწოდების საერთო საშუალო ფასი შეიძლება საკმაოდ განსხვავებული იყოს საბაზრო ფონდების მიწოდების საშუალო ფასისაგან. როცა საბაზრო და არასაბაზრო ფონდების მიწოდების ასორტიმენტი განსხვავებულია, მაშინ საბუღალტრო ანგარიშგებაში საქონლის საერთო მიწოდებიდან ცნობის სახით ცალკე გამოიყოფა მაჩვენებელი „მათ შორის მიწოდებულია საბაზრო ფონდით“, რაც შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს საშუალო ფასი საბაზრო ფონდის მიწოდებათა მიხედვით.

მეტად დიდი სიძნელენი წარმოიშობა ფქვალის საშუალო ფასის გაანგარიშებისას. ფქვილის საბაზრო ფონდი მოიცავს ფქვილს, გაცემულს პურის გამოსაცხობად, ფქვილს, რომელიც მოიხმარება საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, დაბოლოს, ფქვილს, რომელიც მიეყიდება საცალო წესით მოსახლეობას. ფქვილზე საშუალო ფასების გაანგარიშებისას საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ პურის საცხობი საწარმოები საცალო ვაჭრობას მოსახლეობისათვის მისაყიდად აწვდიან არა ფქვილს, არამედ პურფუნთუშეულ ნაწარმს, რომელიც გამომცხვარია ფქვილისაგან. მასადაამე, ფქვილის საშუალო ფასების გასაანგარიშებლად პურსაცხობმა საწარმოებმა საჭიროა გაითვალისწინონ არა ფქვილის ფასი, არამედ პურფუნთუშეული ნაწარმის ღირებულება, რომელიც დამზადებულია ფქვილისაგან; ეს ღირებულება შემდეგ უნდა გაიყოს დახარჯული ფქვილის რაოდენობაზე. შედეგად მიიღება პურფუნთუშეული ნაწარმის საშუალო ღირებულება, რომელიც დამზადებულია 1 კგ ფქვილისაგან (ანუ ფქვილის ფასი პურში).

ფქვილის საშუალო ფასის გაანგარიშება ვერჩენოთ შემდეგ მაგალითზე.

პურისმცხობელმა საწარმოებმა დახარჯეს 15000 ტონა ფქვილი, მიიღეს 22000 ტონა პურფუნთუშეულის ნაწარმი და მიაწოდეს იგი საცალო ვაჭრობას 4400 ათასი მანეთის საერთო ღირებულებით (საცალო ფასებით). 1 ტონა პურფუნთუშეული ნაწარმის საშუალო ფასი იქნება:

4400 ათასი მანეთი: 22000 ტონაზე = 200 მანეთს.

საშუალო ფასი 1 ტონა ფქვილისა, რომლისგანაც გამომუშავებულია და მიწოდებული პურფუნთუშეული ნაწარმი, იქნება:

4400 ათ. მან. : 15000 ტ. = 293 მან.

თანაფარდობა პურფუნთუშეული ნაწარმისა და დახარჯული ფქვილის წონას შორის გვიხასიათებს ნამატის კოეფიციენტს:

22000 ტ 15000 ტ = 1,466 ანუ 146,6%-ს.

ადვილი დასანახია, რომ 1 ტ პურფუნთუშეული ნაწარმისა და 1 ტ ფქვილის საშუალო ფასის თანაფარდობა ასევე გამოსახავს ნამატის კოეფიციენტს.

293 მან. : 200 მან. = 1,466 ანუ 146,6%-ს.

მას შემდეგ, რაც დადგენილია ფქვილის საშუალო ფასი პურის ცხობაში, საჭიროა მას მიემატოს მონაცემები სხვა საბაზრო დანიშნულების მიხედვით და-

ხარკული ფქვილის რაოდენობისა და ღირებულების შესახებ და განისაზღვროს საბაზრო ფონდის მთელი ფქვილის საშუალო ფასი:

	დახარჯულია ფქვილი (ტ.)	ღირებულება (ათას მან.)	1 ტონის საშუალო ფასი (მან.)
პურის ცხოზა	15000	4460	293
საზოგადოებრივი კვება	400	128	320
საცალო ვაჭრობა	3000	980	310
ს უ ლ	18400	5458	297

ნაპოენი საშუალო ფასით (297 მან.) საქიროა შეფასდეს საბაზრო ფონდის მთელი ფქვილის მიწოდება.

სახალხო მოხმარების საქონლის საბაზრო ფონდების მიწოდების გეგმაში გათვალისწინებულია ორივე ფაქტორი, რომლებიც განსაზღვრავენ საქონელბრუნვის სიდიდეს,—საქონლის რაოდენობას და მის საშუალო ფასს, რაც აგებულია ასორტიმენტის საეგემო სტრუქტურაზე. მიწოდების გეგმის ფაქტიური შესრულება შესაძლებელია განსხვავებული გეგმურისაგან მიწოდებული საქონლის რაოდენობით, საასორტიმენტო სტრუქტურით და, მაშასადამე, საშუალო ფასითაც. აუცილებელი ხდება დადგინდეს ყოველი ამ ფაქტორის როლი გეგმის შესრულებაში.

დაეუქმეთ, გეგმით გათვალისწინებული იყო საბაზრო ფონდის რომელიმე საქონლის მიწოდება 100 ათასი ტონის რაოდენობით ერთი ტონა 25 ათასი მანეთი საშუალო ფასით; სულ 2500 მილიონი მანეთისა. ფაქტიურად მიწოდებულა იყო 110 ათასი ტონა უფრო მაღალი ასორტიმენტის საქონელი 1 ტ. 28 ათას მანეთად; სულ 3080 მილიონი მანეთისა, ანუ გეგმურზე 580 ათასი მანეთით მეტი. საქიროა გამოთვალა იქნეს—მიწოდების გეგმის გადაჭარბების რა ნაწილი მოდის მიწოდებული საქონლის რაოდენობის ზრდასა და რა ნაწილი—საშუალო ფასების ზრდაზე, რომელიც ასახავს საქონლის ხარისხისა და ასორტიმენტის გაუმჯობესებას.

პირველ რიგში გავიანგარიშოთ, როგორი იქნებოდა საქონელბრუნვა ამ საქონლის მიწოდებით, რომ შეეცლილიყო მხოლოდ ერთი ფაქტორი—საქონლის რაოდენობა, მეორე ფაქტორი კი (ასორტიმენტის სტრუქტურა) დარჩენილიყო გეგმურ ღონეზე.

110 ათასი ტ. X 25 ათასი მან. = 2750 მილ. მან.

მაშასადამე, საქონელბრუნვა მიწოდებით გაიზარდებოდა 250 მლნ მანეთით (2750—2500).

ცხადია, გეგმის გადაჭარბების დანარჩენი ნაწილი მოდის მეორე ფაქტორზე—საშუალო ფასების ზრდაზე, ე. ი. საქონლის ხარისხის ამალეებაზე. მართლაც, ფაქტიური მიწოდება გეგმური ფასებით შეადგენს 2750 მილიონ მანეთს, ფაქტიური ფასებით კი—3080 მილიონს. მაშასადამე, საქონელბრუნვა მიწოდების საშუალო ფასთა ზრდის ხარჯზე გაიზარდა 330 მილიონი მანეთით (3080—2750). ამ ჯამის განგარიშება შესაძლებელია სხვა ხერხითაც: 1 ტონა საქონლის საშუალო

ფასი გეგმურზე მეტი იყო 3 ათასი მანეთით (28—25), ხოლო საერთო სხვაობა საქონელბრუნვაში ფასთა ცვლილების ანგარიშზე იქნება:

3 ათასი მან. X 110 ათასი ტ. = 330 მლნ მან.

გაანგარიშების საერთო შედეგები შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:

	მლნ იან.	პროცენტები ჯამისადმი
მიწოდების გეგმის გალაქარების სიდიდე მათ შორის:	590	100
საქონლის რაოდენობის ზრდის ხარჯზე	250	43
საშუალო ფასის ზრდის ხარჯზე	330	57

საბაზრო ფონდის საქონელი მიწოდებულია გეგმურზე 580 მლნ მანეთის გადამეტებით. ამ თანხიდან 43% მოდის საქონლის რაოდენობის ზრდაზე და 57% — საშუალო ფასის ზრდაზე, რომელიც ასახავს საქონლის ხარისხის ამძლეებას.

ასეთი გაანგარიშებანი წარმოებს სახალხო მოხმარების ცალკეული საქონლის მიხედვით და ყველა საქონლისათვის ერთად.

სახალხო მოხმარების საქონლის მიწოდების შესახებ მონაცემთა ანალიზისას დიდი მნიშვნელობა აქვს საბაზრო ფონდის წილის მაჩვენებელს საქონლის საერთო მიწოდებაში. საბაზრო ფონდის წილი ყოველი საქონლის მიხედვით განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

საბაზრო ფონდის წილი =

საბაზრო ფონდი X 100

საბაზრო ფონდი + სამრეწველო გადამუშავების ფონდი + არასაბაზრო ფონდი

ყოველი საქონლის საერთო მიწოდებაში საბაზრო ფონდის წილის ამძლეება ნიშნავს, რომ სასაქონლო რესურსთა დიდი ნაწილი მიემართება საცალო ვაჭრობაში მოსახლეობისათვის მისაყიდად.

სასურსათო და არასასურსათო ჯგუფების, აგრეთვე სახალხო მოხმარების ყველა საქონლისათვის საბაზრო ფონდების წილის გაანგარიშებისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ ყველა საქონლის მიხედვით საერთო მიწოდების უბრალო შეჯამებისას ადგილი აქვს განმეორებით აღრიცხვას. ეს უკანასკნელი იქმნება სამრეწველო გადამუშავების ფონდის ანგარიშზე ქსოვილები, გადამცემული სამკერვალო მრეწველობისათვის, ერთხელ აღირიცხება სამრეწველო გადამუშავების ფონდში და შევა ქსოვილების მიწოდების საერთო ჯამში; ტანსაცმელი და თეთრეული, დამზადებული ქსოვილებისაგან, რომლებიც მიღებულია სამრეწველო გადამუშავების ფონდით, მიწოდებულ იქნება საბაზრო ფონდით და, მაშასადამე, შევა ტანსაცმლისა და თეთრეულის მიწოდების საერთო ჯამში; ამასთანავე, ქსოვილების ლირებულება აღირიცხება მეორედ. ასეთივე მდგომარეობაა სამრეწველო გადამუშავების ფონდის სხვა საქონლის მიწოდების დროსაც (ხორცი — ძებვეულის ნაწარმსა და კონსერვებზე, თევზი — კონსერვებზე და ა. შ.). ამგვარად, ვა-

ჯამებით რა ყველა სახის მიწოდებას სასაქონლო ფონდების მიხედვით, ვუშვებთ განმეორებით ანგარიშს და, მაშასადამე, ვამაინჯებთ საბაზრო ფონდის წილის სიდიდეს საქონლის საერთო მიწოდებაში. საბაზრო ფონდის ყველა საქონლის წილის სწორი განსაზღვრისათვის საჭიროა მიწოდების საერთო ჯამიდან გამოვრიცხოთ მიწოდება სამრეწველო გადამამუშავებისათვის.

გაანგარიშება ვუჩვენოთ შემდეგ მაგალითზე (მლნ მან.):

საქონელი	საბაზრო ფონდი	სამრეწველო გადამამუშავების ფონდი	არასაბაზრო ფონდი	მთელი მიწოდება	საბაზრო ფონდის წილი (პროცენტობით)
ქსოვილები	800	250	150	1000	80
ტანსაცმელი და თეთრეული	500	—	—	500	100
<b>ჯ ა მ ი</b>	<b>1100</b>	<b>250</b>	<b>150</b>	<b>1500</b>	<b>89</b>

საბაზრო ფონდის წილი ცალ-ცალკე ქსოვილებისა და ტანსაცმლის მიხედვით გაანგარიშებულია ზემომოტანილი ფორმულის მიხედვით:

$$\text{ქსოვილი} = \frac{800}{1500} \cdot 100 = 60\%$$

$$\text{ტანსაცმელი და თეთრეული} = \frac{500}{500} \cdot 100 = 100\%$$

სამრეწველო გადამამუშავების ფონდი (250 მლნ მან.) შევიდა ქსოვილების მთელი მიწოდების ღირებულებაში (1000 მლნ მან.); ამ ქსოვილების ღირებულება შევიდა აგრეთვე ტანსაცმლისა და თეთრეულის მიწოდების ღირებულებაში (500 მლნ მან.). ამგვარად, ქსოვილების, ტანსაცმლისა და თეთრეულის მიწოდების საერთო ჯამი შეიცავს სამრეწველო გადამამუშავებისათვის მოხმარებულ ქსოვილთა განმეორებით ანგარიშს. ქსოვილების, ტანსაცმლისა და თეთრეულის საბაზრო ფონდების საერთო წილს ვანგარიშობთ შემდეგი სქემით:

$$\begin{aligned} & \text{საბაზრო ფონდის წილი} = \\ & \frac{\text{საბაზრო ფონდი} \times 100}{\text{საბაზრო ფონდი} + \text{არასაბაზრო ფონდი}} = \frac{1100 \cdot 100}{1100 + 150} = 89\% \end{aligned}$$

**4. საქონლის საბაზრო ფონდების ინდექსი**

საქონლის საბაზრო ფონდების მიწოდების კრებისითი ცხრილი შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ საბაზრო ფონდების ფიზიკური მოცულობის ინდექსი, რომელიც საცალო ვაჭრობის მეშვეობით, დაგვიხასიათებს მოსახლეობის მომარაგებისათვის განკუთვნილი საბაზრო ფონდების მოცულობის ცვლილებას.

თუ ერთმანეთს შევადარებთ ფაქტიურ ფასებში შეფასებული ორი პერიოდის მონაცემებს საქონლის საბაზრო ფონდების მიწოდების შესახებ და გამოვიანგა-

რის შემთხვევაში საანგარიშო პერიოდის მონაცემების პროცენტულ შეფარდებას გასული (საბაზისო) პერიოდის მონაცემებთან, მივიღებთ საბაზრო ფონდების ინდექსს ფაქტიურ ფასებში.

ამ ინდექსის ფორმულას აქვს შემდეგი სახე:

$$J = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$$

სადაც  $q$  არის რეალიზებული საქონლის რაოდენობა საანგარიშო (1) და საბაზრო (0) პერიოდებში;

$p$ —საქონლის ფასი საანგარიშო (1) და საბაზისო (0) პერიოდებში;

$\Sigma$ —შეჯამების ნიშანი,

ასეთი ინდექსი გვიხასიათებს საქონლებრუნვის საერთო ცვლილებას როგორც გაყიდული საქონლის რაოდენობის, ისე ფასების ცვლილების საფუძველზე.

საბაზრო ფონდების ინდექსს ფაქტიურ ფასებში დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს საქონლებრუნვის ანალიზისას. ვთქვათ, მოცემული გვაქვს შემდეგი მონაცემები: საცალო საქონლებრუნვა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით გაიზარდა 20%-ით (საქონლებრუნვის ინდექსია 1,20), ხოლო საბაზრო ფონდები შესაბამისად—15%-ით (საბაზრო ფონდების ინდექსია 1,15). საცალო საქონლებრუნვის უფრო სწრაფი ზრდა საბაზრო ფონდებთან შედარებით მოწმობს, რომ საცალო საქონლებრუნვა უფრო მეტად გაიზარდა სხვა წყაროთა ხარჯზე, რომლებიც გამოვლინებულ უნდა იქნეს. ასეთი წყაროები შეიძლება იყოს საქონლის მარაგის შემცირება ან ადგილობრივი წყაროების ჩართვა.

როდესაც მოცემული გვაქვს ორი მითითებული ინდექსი, შეიძლება გამოვიანგარიშოთ მესამეც, რომელიც დაგვიხასიათებს სხვა წყაროების ცვლილებას. დავეუვათ, საბაზრო ფონდების წილი საბაზისო პერიოდის საცალო საქონლებრუნვაში უდრიდა 80%-ს; მაშასადამე, სხვა წყაროების წილად მოდის 20%. ეს შეიძლება გამოვსაზოთ სხვაგვარად: საბაზისო პერიოდის საქონლებრუნვას 100 მლნ მანეთზე მოდიოდა საბაზრო ფონდების 80 მლნ მანეთი, ხოლო სხვა წყაროებისა—20 მლნ.

ცნობილია, რომ საქონლებრუნვა საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით 20%-ით გაიზარდა. მაშასადამე, საბაზისო პერიოდის 100 მლნ მანეთის ნაცვლად საანგარიშო პერიოდში მან 120 მლნ მანეთი შეადგინა ( $100 \times 1,20$ ). ცნობილია აგრეთვე, რომ საბაზრო ფონდები იმავე პერიოდში გაიზარდა 15%-ით, მაშასადამე, საბაზისო პერიოდის 80 მილიონი მანეთის ნაცვლად საანგარიშო პერიოდში ისინი შეადგენდნენ 92 მლნ მან. ( $80 \times 1,15$ ). სხვა წყაროებმა საანგარიშო პერიოდში შეადგინა 28 მლნ მანეთი ( $120 - 92$ ), ნაცვლად 20 მლნ მანეთისა საბაზისო პერიოდში.

მაშასადამე, სხვა წყაროების ინდექსი უდრის 1,40-ს ( $28:20$ ).

მთელი განგარიშება შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:



მაჩვენებლების დასახელება	საქონლებრუნვის სტრუქტურა საბაზისო პერიოდში (პროცენტო- ბით ჯამისადმი)	ინდექსები	ნამრავლი (სვ. 1 X სვ. 2)
	1		
საბაზრო ფონდები	100	1,20	120
საბაზრო ფონდები სხვა წყაროები	80	1,15	92
საბაზრო ფონდები სხვა წყაროები	20	1,40	28

ამგვარად, სხვა წყაროებში (საქონლის მარაგის შემცირება, ადგილობრივი წყაროები და სხვა) საქონლებრუნვის ზრდაზე უფრო მეტი გავლენა იქონიეს (ინდექსი 1,40), ვიდრე საბაზრო ფონდების ზრდამ (ინდექსი 1,15)ა

საბაზრო ფონდების ფიზიკური მოცულობის ინდექსი გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$J = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$$

ინდექსის მრიცხველში მოცემულია საანგარიშო პერიოდის საქონლებრუნვის მოცულობა, გამოსახული საბაზისო პერიოდის ფასებით, მნიშვნელში კი ნაჩვენებია საბაზისო პერიოდის ფაქტიური საქონლებრუნვა. ინდექსის მრიცხველი რომ მივიღოთ, საჭიროა მოვანდინოთ საანგარიშო პერიოდის საქონლის გადაფასება საბაზისო პერიოდის ფასებით. ნატურალური გამოსახულებით აღრიცხული სასურსათო საქონლის გადაფასება წარმოებს საანგარიშო პერიოდის რაოდენობის გამრავლებით საბაზისო პერიოდის საშუალო ფასზე. რაც შეეხება არასასურსათო საქონელს, იმის გამო, რომ იგი აღორცილება ღირებულებით გამოსახულებაში, მისი საქონლებრუნვის უშუალო გადაფასება შეუძლებელია. ასეთი გადაფასება წარმოებს საინდექსო მეთოდით, ე. ი. საანგარიშო პერიოდის საქონლებრუნვის გაყოფით ფასების ინდექსზე.

საბაზრო ფონდების ინდექსთა გაანგარიშება ვუჩვენოთ შემდეგ მაგალითებზე:

ბასურსათო საქონლის საბაზრო ფონდების ინდექსთა გაანგარიშება

საქონლის დასახელება	საბაზისო პერიოდი			საანგარიშო პერიოდი			
	რაოდენობა (ტონობით)	1 ტონის ფასი (მან.)	საქონლებრუნვა (ფასი მართობით) (სვ. 1 X სვ. 2)	რაოდენობა (ტონობით)	1 ტონის ფასი (მან.)	საქონლებრუნვა (ფასი მართობით) (სვ. 4 X სვ. 5)	საქონლებრუნვა საბაზრო ფონდში (ფასი მან.) (სვ. 4 X სვ. 2)
ა	1	2	3	4	5	6	7
ზორცი	400	1227	491	500	1048	521	613
თევზი	150	600	90	200	540	108	120

	1	2	3	4	5	6	7
ცხოველური ცხიმი	100	3000	300	110	2700	297	930
შაქარი	120	1071	128	150	964	154	161
ჯ ა მ ი	—	—	1009	—	—	1071	1224
			Σq <sub>0</sub> p <sub>0</sub>			Σq <sub>1</sub> p <sub>1</sub>	Σq <sub>1</sub> p <sub>0</sub>

საქონლის გადაფასების ტექნიკა ნაჩვენებია ცხრილის სათაურებში. სასურსათო საქონლის საბაზრო ფონდთა ინდექსები უდრის:

ა) ფაქტიურ ფასებში  $\frac{\Sigma q_1 p_1}{\Sigma q_0 p_0} = \frac{1071}{1009} = 1,06;$

ბ) უცვლელ ფასებში  $\frac{\Sigma q_1 p_0}{\Sigma q_0 p_0} = \frac{1224}{1009} = 1,21,$

არახასტრსათო საქონლის საბაზრო ფონდების ინდექსთა გაანგარიშება

საქონლის ჯგუფების დასახელება	რეალიზებულია საბაზისო პერიოდში (ათას მანეთობით)	რეალიზებულია საანგარიშო პერიოდში (ათას მანეთობით)	ფასთა ინდექსები (საბაზისო პერიოდი) = 1,000)	რეალიზებულია საანგარიშო პერიოდში საბაზისო ფასებით (ათას მანეთობით) (ს.ე.2 : ს.ე.3)
ა	1	2	3	4
ბაშის ქსოვილი	100	120	0,966	124
შალის ქსოვილი	60	30	0,997	80
სამკერვალო ნაწარმი	100	160	0,995	161
ტყევის ფესხაცმელი	90	120	0,953	122
ჯ ა მ ი	350	480	—	487
	Σq <sub>0</sub> p <sub>0</sub>	Σq <sub>1</sub> p <sub>1</sub>		Σq <sub>1</sub> p <sub>0</sub>

არასასურსათო საქონლის გადაფასებისათვის გამოყენებულია საინდექსო მეთოდი; გაანგარიშების ტექნიკა ნაჩვენებია ცხრილის სათაურში.

არასასურსათო საქონლის საბაზრო ფონდების ინდექსები უდრის:

ა) ფაქტიურ ფასებში  $\frac{480}{350} = 1,37;$

ბ) უცვლელ ფასებში  $\frac{487}{350} = 1,39.$

ახლა გავიანგარიშოთ საბაზრო ფონდთა კრებისთი ინდექსები სასურსათო და არასასურსათო საქონლისათვის ერთად. ამისათვის საჭიროა შევქაჩოთ მიღებული ორივე ინდექსის ჯერ მრიცხველები, ხოლო შემდეგ მნიშვნელები და მრიცხველების ჯამი გაყოთ მნიშვნელების ჯამზე.

საბაზრო ფონდთა კრებისით ინდექსები იქნება:

$$a) \text{ ფაქტიურ ფასებში } \frac{1071 + 480}{1009 + 350} = \frac{1551}{1359} = 1,14;$$

$$b) \text{ უცვლელ ფასებში } \frac{1224 + 487}{1009 + 350} = \frac{1711}{1359} = 1,26.$$

ამ მაგალითის მონაცემთა საფუძველზე შეიძლება გავიანგარიშოთ სასურსათო და არასასურსათო საქონლის ფასთა საშუალო ინდექსი, რომელიც შეადგენს:

$$J = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1} = \frac{1551}{1711} = 0,90.$$

ყველა გაანგარიშებული ინდექსი ქმნის ინდექსთა სისტემას, რომელიც ხა-სიათდება შემდეგი ტოლობით:

$J$  ფასებისა  $\times J$  ფიზიკური მოცულობისა =  $J$  საქონლებრუნვისა

$$\frac{1551}{1711} \times \frac{1711}{1359} = \frac{1551}{1359}$$

$$0,90 \times 1,26 = 1,14.$$

აქედან გამომდინარეობს:

$J$  საქონლებრუნვისა:  $J$  ფასებისა =  $J$  ფიზიკური მოცულობისა:

$$\frac{1551}{1359} : \frac{1551}{1711} = \frac{1711}{1359}$$

$$1,14 : 0,90 = 1,26$$

მიზანშეწონილია გაანგარიშებული ინდექსები წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:

	საბაზრო ფონდების ინდექსები ფაქტიურ ფასებში	საბაზრო ფონდების ინდექსები უცვლელ ფასებში
სასურსათო საქონელი	1,06	1,21
არასასურსათო საქონელი	1,37	1,39
ჯ ა მ ი	1,14	1,26

### ✓ნ. საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი

საბითუმო ვაჭრობა წარმოადგენს საქონლის მოძრაობის ერთიან, შინაგანად დაკავშირებულ პროცესს წარმოების სფეროდან საცალო ვაჭრობის სფეროში. საქონლის მოძრაობა ხასიათდება მაჩვენებელთა სისტემით, რომელიც ქმნის სასა-ქონლო ბალანსს შემდეგი სქემით:

$$z_0 + \pi = p + z_1,$$

სადაც  $\alpha$  არის საქონლის მარაგი საანგარიშო პერიოდის დასაწყისსა (0) და ბოლოსათვის (1);

$\pi$ —საქონლის მიღება;

$p$ —საქონლის გასაყვანი.

საქონლო ბალანსის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები: 1) სასაქონლო რესურსთა მიღების წყაროების დახასიათება; 2) სასაქონლო რესურსთა გამოყენების დახასიათება და 3) საქონლის მარაგის ცვლილების დახასიათება.

საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი უფრო ზოგადად შეიძლება შემდეგი სქემის სახით წარმოვიდგინოთ:

სასაქონლო რესურსები

სასაქონლო რესურსთა გამოყენება

1. საქონლის მარაგი პერიოდის დასაწყისში.

2. საქონლის მიღება:

ა) წარმოებიდან

ბ) იმპორტი

1. საქონლის მიწოდება:

ა) საბაზრო ფონდის მიხედვით

ბ) სამრეწველო გადაშენებების ფონდის მიხედვით

გ) არასაბაზრო ფონდის (ცალკეულ დანიშნულებათა) მიხედვით

2. სასაქონლო დანაკარგები

3. საქონლის მარაგი პერიოდის ბოლოსათვის.

ბ ა ლ ა ნ ს ი (1+2)

ბ ა ლ ა ნ ს ი (1+2+3)

სასაქონლო რესურსთა ნაწილში ნაჩვენებია, თუ რომელი წყაროებიდან (საქონლის მარაგი, წარმოება, იმპორტი) იქმნება სასაქონლო რესურსები შესასწავლ პერიოდში. გამოყენების ნაწილში მოტანილია მონაცემები, რომლებიც გვიხასიათებს სასაქონლო რესურსთა ხარჯვას დანიშნულების მიხედვით პერიოდის ბოლოსა და დასაწყისისათვის. არსებული საქონლის მარაგთა შედარებით შეიძლება დავინახოთ, თუ როგორ შეიცვალა ეს მარაგები.

სახალხო მოხმარების თითოეული საქონლის მიხედვით სასაქონლო ბალანსის შედგენისას ხდება ზემომოტანილი საერთო სქემის სპეციალიზაცია. ასე მაგალითად, სასურსათო საქონლის ბალანსებში რესურსთა მოცულობიდან წინასწარ გამოირაიყება ნარჩენები და შეიქმნება განაწილების ფონდი; მაშასადამე, ბალანსის გამოყენების ნაწილში მოცემული არ არის საქონლის დანაკარგები. ცალკეულ პერიოდებში თითოეული საქონლის მიხედვით წარმოებს საქონლის გამოყოფა სახელმწიფო რეზერვთა სახით; ზოგჯერ გეგმებში ითვალისწინებენ საქონლის მიღებას სახელმწიფო რეზერვიდან და მის უკან დაბრუნებას. მსგავსი მუხლები ბალანსში შეიტანება როგორც გეგმით, ისე ფაქტიური შესრულების მიხედვით. სასაქონლო ბალანსები, როგორც წესი, დგება ერთი წლისათვის და კვარტალების მიხედვით, ამასთან სამიწათმოქმედო ნედლეული პროდუქტების (კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი) ბალანსები დგება სასოფლო-სამეურნეო წლისათვის (ივნისი-ივლისი).

სასაქონლო ბალანსის საშემოსავლო ნაწილი გვიხასიათებს საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო კავშირის წარმოებასა და საგარეო ვაჭრობასთან. სასაქონლო ბა-

ლანსის საგასავლო ნაწილი წარმოგვიღვენს საქონლის განაწილებას დანიშნულების მიხედვით, ხოლო საბაზრო ფონდების მეშვეობით—საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო კავშირს საცალო ვაჭრობასთან. სასაქონლო კავშირთა ამ სისტემიდან გამომდინარეობს სათანადო სახალხომეურნეობრივ ბალანსთა სხვადასხვა მუხლების ანალიზური დაკავშირების აუცილებლობა; საბაზრო ფონდები საბითუმო ვაჭრობის ბალანსში დაკავშირებული უნდა იყოს ცენტრალიზებული ფონდის საწონლის მიღებასთან საცალო ვაჭრობის ბალანსში; საბაზრო ფონდები უნდა დაუკავშირდეს მრეწველობის სასაქონლო პროდუქციის მონაცემებს. საქონლურ კავშირთა ამ სისტემას დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა დარგის მაჩვენებელთა საბალანსო კავშირებისათვის.

საქონლური ბალანსის მონაცემები გამოიყენება აგრეთვე საანგარიშო მონაცემთა შესამოწმებლად. საქონლის მიწოდებასა და მარაგზე ცნობების წარდგენა ხდება ცალ-ცალკე სხვადასხვა ვადებში და ამიტომ შესაძლებელია ერთიმეორეს არ უკავშირდებოდეს. სასაქონლო ბალანსში ეს შეუსაბამოანი ადვილად იჩენს თავს. ამრიგად, სასაქონლო ბალანსი წარმოადგენს ანგარიშგების სხვადასხვა მაჩვენებელთა შემოწმებისა და ერთიმეორესთან დაკავშირების მეთოდს.

სასაქონლო ბალანსები საბითუმო ვაჭრობაში დგება ყოველკვარტალურად სახალხო მოხმარების ყველა საქონლის მიხედვით, ამასთან სასურსათო საქონლის მიხედვით—ნატურალური, ხოლო არასასურსათო საქონლისა—ღირებულებითი გამოსახულებით. ბალანსის შემაქმენელში მოცემულია გეგმისა და ფაქტიური შესრულების მაჩვენებლები.

სასაქონლო ბალანსი ყოველი საბითუმო საწარმოს (საფაბრიკო საწყობის, საგასავლო ბაზის, სავაჭრო ბაზის) მიხედვით დგება ცალკე. ბალანსის ზემომოტანილი ტიპობრივი სქემა სპეციალიზდება საწარმოთა ცალკეული სახეების მიხედვით. ასე მაგალითად, საფაბრიკო საწყობთა ბალანსში სასაქონლო რესურსთა წყაროები ძირითადად ამოიწურება საქონლის მიღებით წარმოებიდან, საბითუმო ბაზების ბალანსში კი საქონლის მიღება ნაჩვენებია როგორც მიღება საფაბრიკო საწყობებიდან, იმპორტიდან, აგრეთვე რესპუბლიკათშორისი და ოლქთაშორისი მიწოდების წესით.

საბითუმო საწარმოთა ცალკეული საქონლის ბალანსის მარჯვენა მხარეს (რესურსთა გამოყენებაში) მოცემულია სპეციფიკური მაჩვენებლები: საფაბრიკო საწყობთა ბალანსში წარმოდგენილია მუხლი—მიწოდება სავაჭრო ბაზებისათვის, სავაჭრო ბაზების ბალანსში კი ასეთი მუხლი არ არის. სასაქონლო ბალანსში მიწოდება არასაბაზრო ფონდით ნაჩვენებია ცალკეული დანიშნულების მიხედვით. მიწოდება რესპუბლიკათშორისი გეგმით ნაჩვენებია დანართში ყოველი მოკავშირე რესპუბლიკისათვის და ა. შ.

საფაბრიკო საწყობებისა და საგასავლო ბაზების მიერ საქონლის მიწოდება სავაჭრო ბაზებისათვის, აგრეთვე მიწოდება რესპუბლიკათშორისი და ოლქთაშორისი მიწოდების გეგმით საბითუმო ვაჭრობის ფარგლებში ქმნის შიდაბრუნვას ყოველი საქონლის მიხედვით.

საბითუმო ორგანიზაციის კრებისთი საქონლური ბალანსის შედგენისას საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ შინაგანი ბრუნვით იქმნება ბრუნვების განმეორებელი ანგარიში.

კრებისთი სასაქონლო ბალანსი რომ შევადგინოთ საფაბრიკო საწყობების, საგასავლო ბაზებისა და საოლქო სავაჭრო ბაზების სასაქონლო ბალანსთა შეჯამების მეთოდით, მაშინ ასეთი საქონლური ბალანსი ბრუნვების განმეორებითი ანგარიშის შემცველი იქნება საფაბრიკო საწყობებს, საგასავლო ბაზებსა და საოლქო სავაჭრო ბაზებს შორის. ამ შემთხვევაში გვექნება საერთო ბრუნვის მეთოდით შედგენილი საქონლური ბალანსი.

სრულიად ნათელია, რომ საერთო ბრუნვის მეთოდით შედგენილი საქონლური ბალანსი არ შეიძლება გამოვიყენოთ საბითუმო ვაჭრობის ანალიზისათვის, განმეორებითი ანგარიშის თავიდან ასაცილებლად საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი წმინდა ბრუნვის მეთოდით უნდა შედგეს.

საბითუმო ვაჭრობის კრებისთი საქონლური ბალანსის შედგენა ვუჩვენოთ ქვემოთტანილ სქემატურ მაგალითზე (მლნ მან.).

შიდაბრუნვა საქონლურ ბალანსებში იქმნება საქონლის მიწოდებით საოლქო სავაჭრო ბაზებისათვის საფაბრიკო საწყობთა ბალანსში (40000) და საქონლის მიღებით საფაბრიკო საწყობებიდან საოლქო სავაჭრო ბაზის ბალანსში (39000); ჯარდა ამისა, შიდაბრუნვა იქმნება რესპუბლიკათშორისი მიწოდების ანგარიშზე (4500); ეს ჯამები ცხრილში მოთავსებულია სწორკუთხედებში. ისინი შესულია საერთო ბრუნვის მეთოდით შედგენილ კრებისთი საქონლურ ბალანსში, რითაც დაშვებულია ბრუნვების განმეორებითი ანგარიში.

წმინდა ბრუნვის მეთოდით შედგენილ კრებისთი საქონლურ ბალანსში არ არის განმეორებითი აღრიცხვა, რადგან ეს ჯამები გამორიცხულია. მაგრამ ბალანსის საგასავლო ნაწილიდან გამოკლებულია 44500 მლნ მანეთი (4500 + 40000), საშემოსავლო ნაწილიდან კი—43500 მლნ მანეთი (39000 + 4500) და, ამგვარად, საბალანსო ტოლობა ირღვევა. ასეთი დარღვევა მოწმობს იმას, რომ საფაბრიკო საწყობთა მხრივ სავაჭრო ბაზებში გადმოტვირთული ყველა საქონელი არ არის მიღებული საანგარიშო კვარტალში. სხვაობა გადმოტვირთულ (40000) და მიღებულ (39000) საქონელს შორის ქმნის ახალ მუხლს კრებისთი სასაქონლო ბალანსის საგასავლო ნაწილში—ესაა სასაქონლო მარაგის მატება გზაში (1000). თუ საოლქო სავაჭრო ბაზებმა უფრო მეტი საქონელი მიიღეს, ვიდრე მათთვის გაგზავნილი იყო საანგარიშო პერიოდში, ეს ნიშნავს, რომ სავაჭრო ბაზებმა საანგარიშო კვარტალში ის საქონელიც მიიღეს, რომელიც კვარტალის დასაწყისისათვის გზაში არსებულ მარაგად ირიცხებოდა; ამ შემთხვევაში კრებისთი სასაქონლო ბალანსის საშემოსავლო ნაწილში გაჩნდებოდა ახალი მუხლი—გზაში არსებული საქონლის მარაგის შემცირება.

საფაბრიკო საწყობების, საგასავლო ბაზებისა და საოლქო სავაჭრო ბაზების სასაქონლო ბალანსები დიდ როლს ასრულებენ საბითუმო ორგანიზაციების ოპერატიულ მუშაობაში. ზემოთტანილი მაგალითიდან ჩანს, რომ სასაქონლო

	საფაბრიკო საწყობები და საგასავლო ბაზები	საოლქო სავაჭრო ბაზები	კრებსითი ბალანსი		
			საერთო ბრუნვა	წმინდა ბრუნვა	
<b>სასაქონლო რესურსები</b>					
1.	საქონლის მარაგი კვარტალის დასაწყისში	1000	2000	3000	3000
2.	საქონლის მიღება: ა) წარმოებიდან ბ) იმპორტი	59000 —	— 1000	59000 1000	59000 1000
3.	შემოვიდა საქონელი საფაბრიკო საწყობებიდან და საგასავლო ბაზებიდან ოლქის ფარგლებში	—	<u>39000</u>	<u>39000</u>	—
4.	შემოვიდა რესპუბლიკათშორისი მიწოდების გეგმით	—	<u>4500</u>	<u>4500</u>	—
<b>ბალანსი (1+2+3+4)</b>		<b>60000</b>	<b>46500</b>	<b>106500</b>	<b>63000</b>
<b>სასაქონლო რესურსთა გამოყენება</b>					
1.	საქონლის მიწოდება ა) საბაზრო ფონდის მიხედვით ბ) არასაბაზრო ფონდის მიხედვით	8000 10000	39750 —	47750 10000	47750 10000
2.	მიწოდების რესპუბლიკათშორისი გეგმით	—	—	—	—
3.	მიწოდება საოლქო სავაჭრო ბაზებისათვის ოლქის ფარგლებში	<u>40000</u>	<u>4500</u>	<u>4500</u>	—
4.	სასაქონლო დანაკარგები	100	—	<u>10000</u>	—
5.	სასაქონლო მარაგი კვარტალის ბოლოსათვის	1900	50	150	150
6.	სასაქონლო მარაგის მატება გზაში	—	—	4100	1000
<b>ბალანსი 1+2+3+4+5+6</b>		<b>60000</b>	<b>46500</b>	<b>106500</b>	<b>63000</b>

რესურსების ძირითად წყაროს წარმოებიდან მიღება წარმოადგენს; იმპორტის წილი უმნიშვნელოა. საქონლის რესურსთა გამოყენება ხასიათდება უპირატესად საბაზრო ფონდიდან მიწოდებით. ყურადღებას იპყრობს საქონლის მარაგის მნიშვნელოვანი ზრდა არა მარტო საწყობებში, არამედ გზაშიც; ამასთან, საქონლის მარაგი მეტად დიდი რაოდენობით გაიზარდა საფაბრიკო საწყობებსა და საგასავლო ბაზებში, ე. ი. საცალო ვაჭრობისაგან დაშორებით. საქონლური ბალანსის საანგარიშო მაჩვენებლების გეგმურთან შედარება შესაძლებლობას იძლევა განვსაზღვროთ, თუ რამდენადაა შესრულებული სასაქონლო რესურსების შექმნისა და გამოყენების გეგმა.

ზემოთ განხილული იყო ბალანსის შედგენის მეთოდები ცალკეული საქონლის მიხედვით. სახალხო მოხმარების ყველა საქონლის მოჭრაობის განზოგადებული

დახასიათებნათვის საბრთუმო ვაჭრობაში დგება მთელი საბითუმო ვაჭრობის კრებისთი საქონლური ბალანსი. ასეთი ბალანსი შეიძლება შედგეს მხოლოდ ფულად გამოსახულებაში; ამ მიზნით სასურსათო საქონლს ბალანსთა მონაცემები ნატურალურ გამოსახულებაში წინასწარ გადაიყვანება ფულადში სათანადო საცალო ფასების გამოყენებით. საბითუმო ვაჭრობის კრებისთი საქონლური ბალანსი დგება წმინდა ბრუნვის მეთოდით შედგენილი ცალკეული საქონლის საქონლური ბალანსების სათანადო მაჩვენებელთა შეჯამების გზით. მაგრამ აქაც ჩნდება განმეორებითი ანგარიშის პრობლემა. სამრეწველო გადამუშავების ფონდი წარმოადგენს ვადაგაგრძელებულ საბაზრო მოხმარებას, რადგან გადასამუშავებლად გადაცემული საქონელი ხელმეორედ ბრუნდება საბითუმო ვაჭრობაში სახალხო მოხმარების ახალი საქონლის სახით. ამიტომ მთელი საბითუმო ვაჭრობის კრებისთი საქონლური ბალანსის შედგენისას სამრეწველო გადამუშავების ფონდი ყოველი საქონლის მიხედვით უნდა გამოირიცხოს საგასაგლო ნაწილიდან და ამავე თანხით შემცირდეს საქონლური ბალანსის საშემოსავლო ნაწილში წარმოებიდან მიღებული საქონლის მაჩვენებელი სხვა საქონლის მიხედვით.

მთელი საბითუმო ვაჭრობის კრებისთი სასაქონლო ბალანსის გაანგარიშება ვეჩვენოთ შედეგ მაგალითზე (ათას მან.):

	ქსოვილი	ტანსაცმელი	კრებისთი ბალანსი	
			საერთო ბრუნვა	წმინდა ბრუნვა
მარაგი პერიოდის დასაწყისში მიღებულ იქნა წარმოებიდან	200 5000	300 1200	500 6200	500 5000
<b>ჯ ა მ ი</b>	<b>5200</b>	<b>1500</b>	<b>6700</b>	<b>5900</b>
მიწოდება საბაზრო ფონდის მიხედვით სამრეწველო გადამუშავების ფონდის მიხედვით	3500 800	1400 —	5200 800	5200 —
არასაბაზრო ფონდის მიხედვით მარაგი პერიოდის ბოლოსათვის	200 400	— 100	200 500	200 500
<b>ჯ ა მ ი</b>	<b>5200</b>	<b>1500</b>	<b>6700</b>	<b>5900</b>

ქსოვილების მიწოდება სამრეწველო გადამუშავების ფონდიდან (800) კრებისთი ბალანსში შევიდა საგასაგლო ნაწილის მიხედვით, მაგრამ ამ ქსოვილების ღირებულება ტანსაცმლის მიწოდებაში მოხვდა მეორედ. თუ გამოვირიცხავთ განმეორებით ანგარიშს როგორც საგასაგლო, ისე საშემოსავლო ნაწილიდან, ამით საბალანსო ტოლობა არ დაირღვევა. წარმოებიდან მიღება კორექტირებულ უნდა იქნეს ამ საქონლის (ქცენს მაგალითში—ქსოვილების) მიხედვით, რომლითაც გამოირიცხება მიწოდება სამრეწველო გადამუშავების ფონდიდან.



## 0. საცალო საქონელბრუნვის საქონლით უზრუნველყოფის ბალანსი

ზემოგანხილული საქონლური ბალანსებით ვლინდება ცალკეული საქონლის მოძრაობა საბითუმო ვაჭრობის სფეროში—საქონლის მიღების მომენტიდან საცალო ვაჭრობაში ორგანიზაციებისადმი და სხვა დანიშნულებით მისი მიწოდების მომენტამდე. საბითუმო ვაჭრობა საბაზრო ფონდის მიწოდების მეშვეობით საქონლური რესურსებით უზრუნველყოფს საცალო ვაჭრობას. საქონლური რესურსები საცალო ვაჭრობაში ასრულებენ მოძრაობის ციკლს—მიღებიდან მოსახლეობისათვის მიყიდვამდე, ამასთან საქონლის ღირებულება იცვლება თანამატებისა და ფასდაკლების შედეგად, ადგილი აქვს საქონლის დანაკარგს და ა. შ.

საცალო ვაჭრობაში გაგზავნილ საქონლურ რესურსთა განზოგადებული დახასიათება და მათი გამოყენება საცალო ვაჭრობაში მოცემულია საცალო საქონელბრუნვის საქონლით უზრუნველყოფის ბალანსში.

საცალო საქონელბრუნვის საქონლით უზრუნველყოფის ბალანსის შედგენა ხდება ფულად გამოსახლებებაში შემდეგი სქემით: ბალანსის მარცხენა ნაწილში ნაჩვენებია საცალო ვაჭრობაში გაგზავნილი საქონლური რესურსები სახელმწიფო და ადგილობრივი წყაროების გამოყოფით; რესურსთა მოცულობა ნაჩვენებია საცალო ფაქტში სახალხო მოხმარების საქონლის საბაზრო ფონდის მიწოდების სტატისტიკის მონაცემთა მიხედვით. ბალანსის მარჯვენა ნაწილში მოცემულია საქონლურ რესურსთა გამოყენება საცალო ვაჭრობაში, პირველ ყოვლისა, საცალო საქონელბრუნვა საზოგადოებრივი კვების ჩათვლით; აქვე წარმოდგენილია საქონლური დანაკარგებიც. საცალო ვაჭრობა წარმოებს არა მარტო საბაზრო ფონდიდან საქონლის მიმდინარე მიღების, არამედ საქონლის მარაგის გამოყენების საფუძველზე. მეორე მხრივ, მთელი მიღებული რესურსები ვერ გაიყიდება იმავე პერიოდში და მათი ნაწილი რჩება საქონლური მარაგის სახით. ანტიკომ ბალანსში საქონლი ვერჩეულია საქონლის მარაგის ცვლილება საცალო ვაჭრობაში. თუ საქონლური მარაგი საანგარიშო პერიოდში გაიზარდა, ეს იქნა ნიშნავს, რომ საბაზრო ფონდებით მიღებული ყველა საქონელი არ გაყიდულა; ერთი ნაწილი დარჩა მარაგის სახით, ე. ი. გამოყენებულია საქონლური მარაგის გასაღიდეზღად. მაშასადამე, საქონლის მარაგის ზრდა ნაჩვენები უნდა იქნეს ბალანსის მარჯვენა (სავა-სავლო) ნაწილში. საქონლური მარაგის შემცირება ნიშნავს იმას, რომ გასაყიდად მობილიზებულ იქნა საქონლური მარაგის ის ნაწილი, რომელიც გეგმონდა პერიოდის დასაწყისისათვის, ე. ი. საქონლური მარაგის შემცირება გამოვიდა საქონელბრუნვის გაფართოების დამატებით წყაროდ მაშასადამე, მონაცემები საქონლური მარაგის შემცირების შესახებ უნდა ვერჩეული ბალანსის მარცხენა (საშემოსავლო) ნაწილში.

საქონლის საბაზრო ფონდები მოცემულია საცალო ფასებით; ამ მიზნით სასურსათო საქონლის მიწოდება ფასდება საშუალო საცალო ფასებით. საცალო ვაჭრობაში საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა აღირიცხება საზოგადოებრივი კვების გასაყიდ ფასებში, ე. ი. საცალო ფასებზე დარიცხვის მიმატებით. ბალანსის



მიწოდებას გეგმა მთლიანად შესრულებულია გადაჭარბებით, მაგრამ ადგილობრივი წყაროებიდან გეგმურთან შედარებით 40 მლნ მანეთით ნაკლები იქნა მიღებული. ეს დანაკლისი სახელმწიფო რესურსებიდან მიწოდების გეგმის გადაჭარბებითაა შევსებული. გეგმა ითვალისწინებდა საქონლური მარაგის მობილიზაციას მოსახლეობისათვის მისაყიდად 15 მლნ მანეთის რაოდენობით. ეს ღირებულება არ შესრულდა და საქონლური მარაგი გადიოდა 22 მლნ მანეთით. ამრიგად, გეგმა არ შესრულდა საქონლური რესურსების წყაროების, მათი გამოყენებისა და საქონლური მარაგის მიხედვით. ამავე დროს საჭიროა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი კვების დანარიცხი მნიშვნელოვნად მეტი შემოვიდა, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. საზოგადოებრივი კვების დანარიცხი გეგმურთან შედარებით მეტი იყო 15 მლნ მანეთით, ანუ 30%-ით, მაშინ როდესაც საზოგადოებრივი კვების საქონლებბრუნვამ გეგმა გადააჭარბა მხოლოდ 6%-ით. გეგმით გათვალისწინებული იყო 14,7  $\left(\frac{50 \cdot 100}{340}\right)$  დანარიცხი, ფაქტიურად კი შეადგინა 18%  $\left(\frac{65 \cdot 100}{360}\right)$ . დანარიცხის გადიდება გეგმურთან შედარებით გამოხატავს საზოგადოებრივი კვების საქონლებბრუნვის სტრუქტურის ცვლილებას—საკუთარი წარმოების პროდუქციის წილის გადიდებას, რომელსაც უფრო მეტი დანარიცხი გააჩნია.

საქონლით უზრუნველყოფის ბალანსის დამატების სახით დგება ცხრილები ცალკეული საქონლის საბაზრო ფონდების მიღების წყაროთა მიხედვით.

საქონლური ბალანსი დიდ როლს ასრულებს სხვადასხვა სტატისტიკურ მონაცემთა ურთიერთდაკავშირების უზრუნველყოფისა და ანგარიშგების შემოწმების საქმეში. ცალკეული მაჩვენებლები ანგარიშგებით წარედგინება პერიოდების მიხედვით (თხუთმეტღლიურად, ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად) სხვადასხვა ვადებში. ისინი შეიძლება ერთმანეთთან შეუთანხმებელი იყოს (მაგალითად, არასრული მონაცემების გამო და სხვ.).

მაგრამ თუ ყველა ამ დანაწევრებულ მაჩვენებელს თავს მოვუყრით საქონლური ბალანსის სისტემაში, ისინი ერთიმეორეს უნდა დაუკავშირდეს საბალანსო ტოლობის სახით:

$$\begin{array}{ccc} \text{ნაშთი} & & \text{ნაშთი} \\ \text{პერიოდის} & + & \text{შემოსავალი} = \text{გასავალი} & + & \text{პერიოდის} \\ \text{დასაწყისისათვის} & & & & \text{ბოლოსათვის} \end{array}$$

ასეთი კავშირის არარსებობა მოწმობს შეცდომას ანდა უზუსტობას ცალკეული მაჩვენებლების გაანგარიშებისას. საანგარიშო მონაცემთა შემოწმება შესაძლებლობას მოგვცემს აღმოვაჩინოთ შეცდომა, თავიდან ავიცილოთ იგი და არ დაუშვათ ასეთი შეცდომები მომავალში.

ამგვარად, საქონლური ბალანსი წარმოადგენს სტატისტიკური და საბუღალტრო ანგარიშგების შემოწმების, ურთიერთდაკავშირებისა და გაუმჯობესების მეთოდს.

## 7. საცალო სავაჭრო ორგანიზაციათა საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკა

საბითუმო საქონელბრუნვას საცალო სავაჭრო ორგანიზაციების სისტემაში, როგორც წესი, დაქვემდებარებული მნიშვნელობა გააჩნია. ვაჭრობის სამინისტროთა საცალო ორგანიზაციები და მუშათა მომარაგების განყოფილებები საქონლის ძირითად მასას იღებენ სპეციალიზებული საბითუმო ორგანიზაციებიდან უშუალოდ განმანაწილებელ საწყობში ან პირდაპირ საცალო საწარმოში. ამ პირობებში, ცხადია, არ არსებობს საბითუმო ვაჭრობის საჭიროება, რადგან ეს გამოიწვევდა საქონელბრუნვის რგოლადობის გადიდებას.

სხვა მდგომარეობაა სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაში. პირველადი სავაჭრო ორგანიზაციები—სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებანი, საბჭოთა მეურნეობების მუშათა კოოპერატივები, თევზის კოოპერატივები შედარებით წვრილი ორგანიზაციებია და გაფანტულია მთელ ქვეყანაში, ხშირად სახელმწიფო ვაჭრობის საბითუმო ორგანიზაციების ბაზებიდან ძლიერ დაშორებით. აქედან გამომდინარე, ჩნდება კოოპერაციული საბითუმო საქონელბრუნვის მოწყობის აუცილებლობა. თავისი მოცულობით ყველაზე მნიშვნელოვანი საბითუმო ვაჭრობა თავმოყრილია რაიონულ სამომხმარებლო კავშირებში. რაიკავშირთა მეშვეობით მიემართება საბაზრო ფონდების საქონლის უმეტესი ნაწილი, აგრეთვე ის საქონელი, რომელთა მიხედვითაც მიმწოდებლებს არ გააჩნიათ საბითუმო ორგანიზაციები. საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური სამომხმარებლო კავშირების საბითუმო ვაჭრობის ძირითადი ამოცანაა მოამარაგოს რაიკავშირები და ახლომდებარე სოფლების კოოპერატივები იმ საქონლით, რომელთათვისაც არ არსებობს მიმწოდებელთა საბითუმო ორგანიზაციები.

გარდა ამისა, „ცენტროსოიუზის“ აპარატში არის რამდენიმე საბითუმო მთავარსამმართველო („გლავკოოპკულტტორგი“, „გლავკოოპმეტიზოტორგი“ და სხვ.), რომელთაც გააჩნიათ საბითუმო ბაზები ადგილებზე.

სავაჭრო ორგანიზაციათა საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა მოიცავს შემდეგ მაჩვენებლებს:

1. საბითუმო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა;
2. საქონლის მიღება მიმწოდებლებისაგან;
3. საქონლის რეალიზაცია რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით;
4. საქონლის მოძრაობა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით.

საბითუმო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ ანგარიშების წარდგენა ყველა საქონლისათვის ერთად, როგორც წესი, ხდება თვეში ორჯერ; თვის მეორე ნახევრის ანგარიშგებაში მოცემულია აგრეთვე საქონლურ მარაგთა მონაცემები.

ნახევართვიური ანგარიშგება დგება რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით მზარდ ჟამებში კვარტალის დასაწყისიდან კვარტალურ გეგმასთან

შედარებით. ამასთანავე, ცენტროსოიუზის სისტემაში ანგარიშგებას აღვენენ რგოლების მიხედვით (რაიონის სამომხმარებლო კავშირები, საოლქო (სამხარეო) სამომხმარებლო კავშირები) გეგმის სტრუქტურის შესაბამისად.

ანგარიშგება მიმწოდებლებისაგან საქონლის მიღების შესახებ წარედგინება ყოველთვიურად უმნიშვნელოვანესი საქონლის მიხედვით, რომლთაც გათვალისწინებულია შემდეგი მაჩვენებლები: მიღების გეგმა კვარტალში, ფაქტიური მიღება მზარდ ჯამებში კვარტალის დასაწყისიდან. ანგარიშგების მონაცემები საქონლის მიღების შესახებ წარმოადგენს დადებულ ხელშეკრულებათა საფუძველზე მიმწოდებელთა მიერ გეგმის შესრულების, აგრეთვე საქონლით თავისი სისტემის დროული მომარაგების კონტროლის საშუალებას.

თვეში ერთხელ ხდება იმ ანგარიშგების წარდგენაც, რომელიც ითვალისწინებს საქონლის საბითუმო რეალიზაციას რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით. ეს ანგარიშგება შესაძლებლობას გვაძლევს თვალყურით ვადევნოთ საცალო სავაჭრო ორგანიზაციებთან დადებულ მიწოდების ხელშეკრულებათა შესრულებას ტერიტორიული დანაწილებით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საქონელბრუნვის რეგულირებისათვის. ყოველკვარტალურად წარედგინება აგრეთვე ანგარიშგება საქონლის ჯგუფთა მოძრაობაზე საბითუმო საწყობებსა და ბაზებში. სამომხმარებლო კოოპერაციის საკავშირო რგოლთა საბითუმო საქონელბრუნვის ნომენკლატურა შედგება იმავე საქონლური ჯგუფებისაგან, რომლებიც დგინდება საქონლის მოძრაობის აღრიცხვისას საცალო ვაჭრობაში; ამჟამად იგი შეიცავს 92 დასახელებას, რომლებიც გაერთიანებულია ორ ქვეჯგუფად—სასურსათო და არასასურსათო საქონლად. „ცენტროსოიუზის“ სპეციალიზებული საბითუმო ვაჭრობის მთავარსამმართველოებში გამოიყენება უფრო დაწვრილებითი საქონლური ნომენკლატურა.

ამ ანგარიშგების შექმნის აგება ცენტროსოიუზის სისტემაში ხდება საქონლური ბალანსის ფორმით. მასში მოცემულია შემდეგი მაჩვენებლები:

1. საქონლის ნაშთი კვარტალის დასაწყისში;
2. მიღებულ იქნა საქონელი;
3. გაყიდულია საქონელი ბითუმად და გაცემულია თავისი საცალო და სამრეწველო საწარმოებზე;
4. წვრილი საბითუმო გაყიდვა ორგანიზაციებზე, დაწესებულებებსა და საწარმოებზე;
5. გაცემულია თავისი სისტემის სხვა ბაზებზე;
6. სხვა გასავალი;
7. საქონლის ნაშთი კვარტალის ბოლოსათვის;
8. გარდა ამისა, საბითუმო გაყიდვა ტრანზიტით.

საბითუმო საწარმოებში წარმოებს საქონლობრივი აღრიცხვა, ამიტომ ყოველი მოტანილი მაჩვენებელი დამყარებულია მტკიცე დოკუმენტურ მონაცემებზე. საბითუმო საქონელბრუნვის სიდიდეები ნაჩვენებია ანგარიშგების ორ სვეტში: სვეტი მე-3—„გაყიდულია საქონელი ბითუმად და გაცემულია თავისი საცალო და

სამრეწველო საწარმოებზე“—არის ეგრეთ წოდებული სასაწყობო საქონელბრუნვა; სვეტი მე-8—„გარდა ამისა, საბითუმო გაყიდვა ტრანზიტით“. ამგვარად, მთელი საბითუმო საქონელბრუნვა უდრის სასაწყობო და სატრანზიტო საქონელბრუნვის ჯამს. ამ მონაცემთა საფუძველზე შეიძლება გავიანგარიშოთ ტრანზიტის წილი საბითუმო საქონელბრუნვაში არა მარტო მთლიანად, არამედ საქონლის ჯგუფთა მიხედვით; ამისათვის საჭიროა სატრანზიტო საქონელბრუნვა განვსაზღვროთ პროცენტულად მთელი საბითუმო საქონელბრუნვის მიმართ.

სატრანზიტო ოპერაციები მოითხოვს მიმოქცევის მცირე ხარჯებს და ხელს უწყობს საქონელბრუნვის დაჩქარებას. ამიტომ მონაცემები ტრანზიტის წილის შესახებ საბითუმო ვაჭრობაში აუცილებელია საქონელგამტარი გზების რაციონალიზაციის დასახასიათებლად.

ანგარიშგების მე-5 სვეტის მონაცემები—„გაცემულია თავისი სისტემის სხვა ბაზებზე“—ახასიათებს შინაგან ბრუნვას მოცემული საბითუმო სისტემის ფარგლებში. ეს შინაგანი გაცემა არ შედის საბითუმო საქონელბრუნვაში. შინაგანი გაცემა საბითუმო ვაჭრობაში შეზღუდული მნიშვნელობისაა, რადგან ეს იწვევს რგოლადობის ზედმეტ გადიდებას.

კვარტალური ანგარიშგება საქონლის მოძრაობაზე გვაძლევს საბითუმო საქონელბრუნვისა და საქონლის მარაგის სასაქონლო სტრუქტურის შედარებით სრულ დახასიათებას. ანგარიშგების მე-3 სვეტის მონაცემთა შეფარდება ბალანსის ჯამის მონაცემებთან შეადგენს ცალკეული საქონლის წილს საქონელბრუნვაში; ამ მაჩვენებლების შედარებით გასული კვარტალის ანალოგიურ მონაცემებთან შეფასდება საბითუმო საქონელბრუნვის სტრუქტურაში მომხდარი ძვრები. საქონლის ცალკეულ ჯგუფთა საბითუმო გაყიდვის მონაცემების დაპირისპირებით საცალო ვაჭრობაში ამ საქონლის გაყიდვის მაჩვენებლებთან გამოვიტანთ დასკვნას, რომელიც ცხადყოფს საბითუმო ვაჭრობის მიერ საქონლის ცალკეულ ჯგუფთა მიხედვით საცალო საქონელბრუნვის მოცვის ხარისხს. ერთმანეთს რომ შეველდართ საქონელბრუნვისა და საქონლის მარაგის სტრუქტურის მონაცემები, შეიძლება ვიმსჯელოთ ვაჭრობის საქონლური მარაგით უზრუნველყოფისა და საქონლის ბრუნვადობის შესახებ. მაგალითად, თუ კვარტალურმა ბრუნვამ გალანტერიის მიხედვით შეადგინა 200 ათასი მანეთი და, ამასთანავე, გალანტერიის მარაგი კვარტალის ბოლოსათვის შეადგენდა 200 ათას მანეთს, ეს ნიშნავს, რომ საგალანტერიო საქონლის მარაგი უზრუნველყოფს საბითუმო ვაჭრობის მოთხოვნებს მთელ კვარტალში. ეს მონაცემები უნდა შეველდართ გასული კვარტალის ანალოგიურ მაჩვენებლებს და დავადგინოთ, ხომ არ ხდება საგალანტერიო საქონლის მარაგის ზედმეტი დაგროვება.

## თ ა ვ ი IV

### ს ა ვ ა ჯ რ ო ძ ს ე ლ ის ს ა ტ ა ლ ო ს ა მ ო ნ ე ლ ბ რ უ ნ ვ ის ს ტ ა ტ ის ტ ი კ ა

#### 1. საცალო საქონელბრუნვის ცნება, ორგანიზაცია და სტატისტიკის ამოცანები

საცალო საქონელბრუნვის ძირითად შინაარსს წარმოადგენს მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა. საცალო ვაჭრობაში საქონლის შესაძენად გაწეული ხარჯები არის მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და გასავლის ბალანსის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი. საცალო ვაჭრობის მოცულობა და სტრუქტურა ნათელყოფს მოსახლეობის მოხმარების სიდიდესა და შემადგენლობას მოხმარების საგანთა საქონლური პროდუქციის საფუძველზე. ამიტომ საცალო საქონელბრუნვა წარმოადგენს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს.

საცალო საქონელბრუნვაში საზოგადოებრივ აღიარებას პოვებს მატერიალური წარმოების დარგებში შექმნილი პროდუქცია. მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვის თვით ფაქტი ნიშნავს იმას, რომ მოცემული საქონელი საჭიროა, მაგრამ თუკი მოსახლეობა უარს იტყვის ამ საქონლის ყიდვაზე და იგი გადართმება სასაქონლო მარაგში, ეს ცხადყოფს მიწოდებასა და მოთხოვნილებას შორის შეუსაბამობას, მოითხოვს ცვლილების შეტანას წარმოებაში.

საცალო საქონელბრუნვა მკიდროდაა დაკავშირებული ფულად მიმოქცევასთან, რამდენადაც სავაჭრო ორგანიზაციების ამონაგები წარმოადგენს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საკასო გეგმის საშემოსავლო ნაწილის უმნიშვნელოვანეს წყაროს, ამიტომ საქონელბრუნვის წარმატებით გაშლანება დამოკიდებული ფულადი მიმოქცევის განმტკიცება.

მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა წარმოებს სპეციალურად ორგანიზებული სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ქსელის მეშვეობით. გარდა ამისა, საქონელი მიეყიდება მოსახლეობას სავაჭრო ქსელის გვერდის ავლით: უშუალოდ სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებიდან, საბჭოთა მეურნეობიდან, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწყობებიდან და სხვა. რამდენადაც ასეთი გაყიდვა წარმოებს მოსახლეობის პირად შემოსავალზე გაცვლით, ისიც უნდა შევიდეს საცალო საქონელბრუნვის შემადგენლობაში.

საჯალ ვაქრობაში საქონელს ყიდულობენ აგრეთვე სხვადასხვა ორგანიზაციები, დაწესებულებანი, საწარმოები: საპაემო და სანატორიულ-საქურორტო დაწესებულებანი, სამკურნალო და სასწავლო, აგრეთვე სხვა სოციალურ-კულტურული ტიპის დაწესებულებანი აწარმოებენ სასურსათო საქონლის შესყიდვას სავაჭრო ქსელიდან იმ კონტინენტის გამოსაკვებად, რომელსაც ისინი ემსახურებიან; სხვადასხვა ორგანიზაციები, დაწესებულებები და საწარმოები ყიდულობენ სავაჭრო ქსელში არასასურსათო საქონელს მიმდინარე სამეურნეო საქმიანობისათვის (საკანტორო და საკანცელარო ნივთები, სამეურნეო დანიშნულების წვრილმანი საგნები და ა. შ.). ეს საქონელი გამოიყენება უშუალოდ არასაწარმოო მოხმარების სფეროში, ამიტომ დაეგმვისა და აღრიცხვის პრაქტიკას ისინი შეაქვს საჯალ საქონელბრუნვაში.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ეს პრაქტიკა რამდენადმე არ ეთანხმება საჯალ საქონელბრუნვის ძირითად შინაარსს—მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვას. ასეთი გაყიდვის შეტანა საჯალ საქონელბრუნვაში მეტწილად პრაქტიკულ-ორგანიზაციული მოსაზრებებით აიხსნება: ვაჭრობის განშტოებული აპარატი გამოიყენება ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მოსამარაგებლად სხვადასხვა საქონლით მათ სასურსათო და მიმდინარე სამეურნეო საქმიანობათა დასაკმაყოფილებლად, ამ შემთხვევაში კი ზედმეტი ხდება სპეციალურა მომარაგებული აპარატის შექმნა. თუმცა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის მიყიდული საქონლის შეტანა საჯალ საქონელბრუნვაში შემოიფარგლება მხოლოდ სავაჭრო ქსელით; მაშასადამე, საქონლის მიყიდვა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის სავაჭრო ქსელის გარეშე (სამრეწველო საწარმოებიდან, მომარაგებელი ორგანიზაციების ბაზებიდან და სხვა) არ შეიტანება საჯალ საქონელბრუნვაში.

საქონლის მიყიდვა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის საწარმოო საქმიანობათა დასაკმაყოფილებლად (მშენებლობა, გადამუშავება და რემონტი) არ წარმოადგენს საჯალ საქონელბრუნვას. ამ პრინციპიდან გამონაკლისი დაშვებულია მხოლოდ კოლმეურნეობათა მიმართ, რომელთათვისაც საწარმოო საქმიანობისათვის მიყიდული საქონელიც შეიტანება საჯალ საქონელბრუნვაში. კოლმეურნეობა უნდა განვიხილოთ, როგორც კოლმეურნე გლეხობის ფულადი შემოსავლის კოლექტიური მფლობელი, ამიტომ საქონლის მიყიდვა კოლმეურნეობათათვის ხორციელდება კოლმეურნეთა ფულად შემოსავალზე გადასვლით, მაშასადამე, ასეთი გაყიდვა ეკონომიურად საჯალ საქონელბრუნვას წარმოადგენს.

მაგრამ ეს გამონაკლისი დაშვებულია კოლმეურნეობათათვის მხოლოდ სავაჭრო ქსელიდან მიყიდულ საქონელზე. კოლმეურნეობათა მომარაგება ტრაქტორებით, კომბაინებით, ავტომობილებით, მოწყობილობითა და სხვა ტექნიკით. ამჟამად წარმოებს სპეციალურად ორგანიზებული სისტემის — „სოიუსსელხოზტექნიკის“ საშუალებით, რამდენადაც ეს ტექნიკა შედის კოლმეურნეობათა განუყოფელ ფონდებში, რომლებიც თავისი ეკონომიური ბუნებით უახლოვდებიან



საერთოსახელმწიფოებრივი საკუთრების ძირითად ფონდებს, სავაჭრო ქსელის გარეშე ტექნიკის მიყიდვა კოლმეურნეობისათვის არ უნდა იქნეს შეტანილი საცალო საქონელბრუნვაში.

საქონლის მიყიდვა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის ანგარიშგებაში ცალკეა ნაჩვენები.

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე საცალო საქონელბრუნვის ცნება შეიძლება განესაზღვროთ შემდეგნაირად: საცალო საქონელბრუნვა ეწოდება მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვას; გარდა ამისა, საცალო საქონელბრუნვაში შედის საქონლის მიყიდვა სავაჭრო ქსელიდან კოლმეურნეობების, ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის, მათ მომსახურე კონტინგენტთა გამოსაკვებად და მიმდინარე სამეურნეო საქმიანობათა უზრუნველსაყოფად (მაგრამ არა საწარმოო მოხმარებისათვის).

სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო საქონელბრუნვა ორი სახისაა:

ა) საცალო ქსელის (მაღაზიების, ფარდულებისა და ა. შ.) საქონელბრუნვა;

ბ) საზოგადოებრივი კვების ქსელის (სასადილოების, რესტორნების, კაფეების და ა. შ.) საქონელბრუნვა.

მონაცემები საქონელბრუნვის ამ სახეების თანაფარდობათა შესახებ მოტანილია შემდეგ ცხრილში:

	მლრდ ზან. (სათანადო წლის ფასებში)		პროცენტულად ჯამისადმი	
	1940 წ.	1965 წ.	1940 წ.	1965 წ.
საცალო ქსელის საქონელბრუნვა	15,2	94,5	87,0	90,0
საზოგადოებრივი კვების ქსელის საქონელბრუნვა	2,3	10,1	13,0	10,0
მთელი საცალო საქონელბრუნვა	17,5	104,8	100,0	100,0

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის ძირითად სახეს წარმოადგენს საქონლის გაყიდვა საცალო ქსელის მეშვეობით, რომლის წილად 1965 წელს მოდიოდა საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 90%, ნაცვლად 87%-ისა 1940 წელს. საზოგადოებრივი კვების წილი შესაბამისად შემცირდა 13%-დან (1940 წელს) 10%-მდე (1965 წელს).

წინამდებარე თავი მიძღვნილია საცალო ქსელის საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკისადმი.

საცალო ქსელის საცალო საქონელბრუნვა განვიხილოთ უფრო დაწვრილებით. როგორც უკვე მითითებული იყო, საცალო საქონელბრუნვა, უწინარეს ყოვლისა, შედგება მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვისაგან; ამ სახის გაყიდვაზე მოდის საცალო ქსელის საცალო საქონელბრუნვის მთელი მოცულობის დაახლოებით 95%.

საცალო ქსელის საცალო საქონელბრუნვაში შედის მოსახლეობისათვის გათვალისწინებული შემდეგი სახის გაყიდვები:

1. საქონლის გაყიდვა საცალო ქსელიდან (მაღაზიებიდან, ლუქნებიდან, ფარდულებიდან, კიოსკებიდან, აფთიაქებიდან, დატარებითი ქსელიდან და ა. შ.);

2. ბეჭდვითი გამოცემების (გაზეთების, ჟურნალების, წიგნების) გაყიდვა ხელმოწერით;

3. ხე-ტყის მასალისა და სათბობის გაყიდვა სათანადო საწყობებიდან და სატყეო უბნებიდან, აგრეთვე ძირთა მიხედვით ტყის გაყიდვა;

4. მოსახლეობის ინდივიდუალური შეკვეთების წესით სახელოსნოთა მასალით დამზადებული ტანსაცმლის, თეთრეულისა და ფეხსაცმლის გაყიდვა სახელოსნოებიდან;

5. სახელოსნოთა ამონაგები ტანსაცმლის, თეთრეულისა და ფეხსაცმლის შეყვრიდან, რაც წარმოებს შემკვეთის ნდელი მასალით (სახელოსნოთა მიერ ტანსაცმლის გაწყობაზე გაწეული ხარჯების ღირებულების ჩათვლით);

6. სახელოსნოთა ამონაგები ტანსაცმლის, თეთრეულის, ფეხსაცმლისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების შეკეთებიდან (შეკეთების დროს დახარჯული მასალებისა და ნაწილების ღირებულების ჩათვლით);

7. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, პირუტყვისა და ფრინველის გაყიდვა უშუალოდ საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობებიდან;

8. ფორმის ტანსაცმლისა და სპეცტანსაცმლის გაყიდვა როგორც სავაჭრო ქსელიდან, ისე მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საწყობებიდან;

9. სახლებისა და აგარაკების გაყიდვა;

10. საქონლის გაყიდვა სახელმწიფო ვაჭრობის საკომისიო მაღაზიების მეშვეობით.

11. სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გაყიდვა ადგილობრივ ბაზრებზე არსებული ფასების მიხედვით.

12. გამჭირავებელი პუნქტების ამონაგები, მიღებული საოჯახო და კულტურული მომსახურების ნივთთა გაჭირავებით მოსახლეობაზე<sup>1</sup>.

13. სათბობისა და სამშენებლო მასალის გაყიდვა სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოების საწყობებიდან.

---

<sup>1</sup> 1967 წლიდან ეს წესი შეცვლილია: საცალო საქონელბრუნვაში შეიტანება საქონლის გაცემა გამჭირავებელ პუნქტებზე, ხოლო გამჭირავებელი პუნქტების ამონაგები საცალო საქონელბრუნვაში არ აღირიცხება.

საქონლის გაყიდვა საცალო ვაჭრობაში, როგორც წესი, წარმოებს ნაღდ ფულზე. ნაყიდი საქონლისათვის ფულის გადახდის დრო უმეტესწილად ემთხვევა მყიდველის მიერ საქონლის ფაქტიურ მიღებას. მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც ეს მომენტები არ ემთხვევა ერთმანეთს. ბექდურ გამოცემებზე ხელმოწერის დროს ხელისმომწერთა მიერ ფული შეიტანება წინასწარ, ავანსად, ფაქტიურად კი ხელმოწერითი გამოცემები ხელისმომწერთან მიდის შემდეგ, გამოცემის მთელი პერიოდის განმავლობაში. ანალოგიური მდგომარეობაა მსუბუქი ავტომობილებით ვაჭრობაშიც; აქაც საჭიროა ავტომობილის ღირებულების წინასწარი გადახდა, მყიდველი კი ავტომობილს მიიღებს ერთი წლის განმავლობაში დღიდან ავანსის შეტანისა. ატელიეებში, სამკერვალო და შემკეთებელ სახელოსნოებში ფულის მიღება არ ემთხვევა შეკვეთების შესრულებისა და გაცემის დროს, რადგან შეკვეთის მთელ ღირებულებას ან მის მნიშვნელოვან ნაწილს მოსახლეობა შეიტანს წინასწარ, შეკვეთის შესრულებამდე. ყველა ამ შემთხვევაში ფულის მიღება დროის მიხედვით წინ უსწრებს მყიდველზე საქონლის ფაქტიურ გაცემას.

არის საწინააღმდეგო შემთხვევებიც, როდესაც საქონელი ეძლევა მყიდველს ღირებულების გადახდის განვადებით: საქონლის გაყიდვა ნისიად, ფორმის ტანსაცმლის გაყიდვა.

საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკური შესწავლისას ისმება კითხვა: როგორ აღერიცხით ასეთი გაყიდვები — ფულის გადახდის თუ მომამარებლებზე საქონლის ფაქტიური გადაცემის მომენტის მიხედვით? ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა ვიხელმძღვანელოთ იმით, რომ საცალო საქონელბრუნვა ნათელყოფს მოსახლეობის მოხმარებას საზოგადოებრივი პროდუქტის საქონლური ნაწილის ხარჯზე. მოხმარება ემთხვევა შექმნილი მატერიალური დოვლათის ფაქტიურ გამოყენებას ამ საქონლის ფულადი ანგარიშსწორებისაგან დამოუკიდებლად, ამიტომ საქონელბრუნვის ფაქტიური მოცულობის აღრიცხვის ერთადერთ სწორ პრინციპს წარმოადგენს მისი აღრიცხვა მომხმარებლებზე საქონლის ფაქტიური გაცემის დროის მიხედვით (ფულის გადახდის დროისაგან დამოუკიდებლად). მაშასადამე, ხელმოწერით გამოცემათა საცალო საქონელბრუნვა განისაზღვრება ხელისმომწერლებისათვის მათი ფაქტიური ჩაბარების დროის მიხედვით, ნისიად გაყიდული საქონლისა — მომხმარებლებზე საქონლის ფაქტიური გაცემის, გაყიდული ავტომობილებისა — მომხმარებლებზე ავტომობილების ფაქტიური გაცემის, ინდივიდუალური შეკერვისა და შეკეთებისა — შეკერილი ან შეკეთებული ნივთის შემკვეთისათვის ფაქტიური ჩაბარების, ფორმის ტანსაცმლის გაყიდვისა — ტანსაცმლის ფაქტიური გაცემის დროის მიხედვით და ა. შ.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ საკითხის ასეთი გადაწყვეტა (სახალხომეურნეობრივი მოსაზრებებიდან გამომდინარე) ვაჭრობის ოპერატიულ ინტერესებსაც უპასუხებს. ვაჭრობა თავის სავაჭრო ფუნქციებს საქონლის გაყიდვისას მაშინ კი არ ასრულებს, როდესაც ფულს ავანსად იღებს, არამედ მაშინ, როცა ფაქტიურად გასცემს საქონელს მყიდველზე; ვაჭრობა მხოლოდ

საქონლის გაცემის მომენტში აწარმოებს შრომით დანახარჯებს და ეწევა მიმოქცევის სხვა ხარჯებს; ამიტომ საქონელბრუნვის აღრიცხვა მომხმარებლებზე საქონლის ფაქტიური გაცემის მომენტის მიხედვით წარმოადგენს საქონელბრუნვის სიდიდის განსაზღვრის ერთადერთ სწორ მეთოდს.

გაყიდვის ცალკეულ სახეობათა შორის განსაკუთრებული მდგომარეობა უკავია საკომისიო ვაჭრობას. სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები მოსახლეობისაგან საკომისიოდ იღებენ სხვადასხვა არასასურსათო, ძირითადად ნახმარ საქონელს და უცილიან განსაკუთრებული საკომისიო მაღაზიების მეშვეობით (იმ ფასებით, რომლებიც არ აღემატება სახელმწიფო საცალო ფასებს ცვეთის დადგენილი ფასდაკლებით). სავაჭრო ორგანიზაციები მოსახლეობას უზღიან საკომისიო მაღაზიების მეშვეობით გაყიდული საქონლის ღირებულებას, უქვითავენ რა მათ საკომისიო გასამრჩელოს დაწესებული ოდენობით. ისმება კითხვა: რა მოცულობით უნდა აღირიცხოს საკომისიო მაღაზიების საცალო საქონელბრუნვა — გაყიდული საქონლის სრული გასაყიდი ღირებულებით (ფასით), თუ მარტოოდენ სავაჭრო ორგანიზაციების საკომისიო გასამრჩელოს ოდენობით?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის ფუნქციები, რომლებსაც რეალურად ასრულებს ვაჭრობა საქონლის გაყიდვის დროს. ეს ფუნქციებია: საქონლის მიღება, მისი ტრანსპორტირება, დამუშავება, დახარისხება, შეფუთვა, შენახვა და, ბოლოს, რეალიზაცია. ამ ფუნქციებს ვაჭრობა ახორციელებს ყველა საქონლის მიმართ, რომლებიც იყიდება როგორც სავაჭრო ქსელის, ისე საკომისიო მაღაზიების მეშვეობით. ვაჭრობის მუშაკთა შრომითი დანახარჯები და მიმოქცევის სხვა ხარჯები სრულებით არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი წყაროდანაა შემოსული გასაყიდი საქონელი (ნაყილია მიმწოდებლისაგან, შემოსულია დამხმარე მეურნეობიდან, მიღებულია საკომისიოდ თუ სხვა). ამრიგად, საკომისიო მაღაზიების საქონელბრუნვა საცალო საქონელბრუნვის შემადგენლობაში უნდა აღირიცხოს გაყიდული საქონლის სრული გასაყიდი ღირებულებით.

მაგრამ აქვე უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ არასასურსათო საქონლის საკომისიო ვაჭრობის საქონელბრუნვისა და საერთო საქონელბრუნვის შეჯამებისას შესაძლებელია ადგილი ექნეს განმეორებით ანგარიშს, რადგანაც საკომისიო მაღაზიებში შეიძლება შემოვიდეს სახელმწიფო საცალო ქსელში ნაყიდი და უკვე საქონელბრუნვაში აღრიცხული ნივთები. ანალოგიური მდგომარეობა შესაძლოა მოხდეს სამომხმარებლო კოოპერაციაშიც: მაგალითად, შაქრის მიყიდვა კოლმეურნეობისათვის შაქრის ჰარხლის შესყიდვისას აღირიცხება სახელმწიფო საცალო საქონელბრუნვაში; თუკი შემდეგ ამ შაქარს კოლმეურნეობები და კოლმეურნეები საკომისიოდ სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებს ჩააბარებენ, მაშინ ეს შაქარი სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო მაღაზიებში მეორედ იქნება აღრიცხული. განმეორებითი ანგარიშის სიდიდე შეუძლებელია განვსაზღვროთ ანგარიშგების გზით, ამიტომ ასეთი შესწორება საქონელბრუნვაში უნდა შევიტანოთ საექსპერტო შეფასების ან სპეციალური გამოკვლევის საფუძველზე.

საცალო საქონელბრუნვის მოცულობის სწორი განსაზღვრისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მინის ჭურჭლის აღრიცხვას. როგორც ცნობილია, მინის ჭურჭლის (ბოთლების, ქილების, ჭიქების) ფასს, რომელშიც მოთავსებულია საქონელი, მყიდველი იხდის ეგრეთ წოდებული გირაოს ღირებულების სახით, ამასთანავე ცარიელი მინის ჭურჭელი უნდა ჩაბარდეს საცალო ქსელს და ამ შემთხვევაში გირაოს ღირებულება უბრუნდება მყიდველს. მინაში არსებული საქონლის გაყიდვისას საცალო საქონელბრუნვა აღირიცხება მყიდველისაგან მიღებული ჭურჭლის ღირებულებასთან ერთად. თუ შემდეგში მყიდველი არ დააბრუნებს ცარიელ ჭურჭელს, ეს ნიშნავს, რომ იგი ამ ჭურჭელს თავისი საჭიროებისათვის მოიხმარს. მაგრამ თუ ცარიელ ჭურჭელს მყიდველი აბრუნებს მაღაზიაში და მას უბრუნდება საგირაო ღირებულება, მაშინ თანხა უნდა გამოირიცხოს საცალო საქონელბრუნვის მოცულობიდან, რადგან ჭურჭელი არ იქნა მოხმარებული. მოსახლეობის მიერ დაბრუნებული და მისთვის განაღდებული მინის ცარიელი ტარის ღირებულება უნდა გამოირიცხოს იმ პერიოდის საქონელბრუნვიდან, როდესაც ჭურჭელი ფაქტიურად ჩაბარდა საცალო ქსელს, დამოუკიდებლად იმისა, თუ როდის გაიყიდა იგი საქონელთან ერთად.

მინის ჭურჭლის აღრიცხვის ზემოაღწერილი წესი ანგარიშგებაში გამოიყენება საოლქო რგოლიდან მოყოლებული. რაც შეეხება საცალო საწარმოს, უკანდაბრუნებული ჭურჭლის ღირებულების გამორიცხვა საცალო საქონელბრუნვიდან ვაჭრობის მუშაკებში არ ქმნის დაინტერესებას ცარიელი ჭურჭლის მიღებაში. ამიტომ სავაჭრო ქსელისათვის დაწესებულია მინის ჭურჭლის აღრიცხვის სხვა წესი, სახელდობრ: საქონელბრუნვიდან გამოირიცხება იმ ჭურჭლის ღირებულება, რომელიც მიღებულია საქონელთან ერთად, მაგრამ დაემატება იმ ჭურჭლის ღირებულება, რომელიც მიღებულია მოსახლეობიდან. ეს ღონისძიება ასტიმულებს მოსახლეობიდან ცარიელი ჭურჭლის მოგროვების საქმეს.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საცალო ვაჭრობიდან საქონლის მიყიდვა კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის აგრეთვე შედის საცალო საქონელბრუნვის შემადგენლობაში; ასეთ გაყიდვებს პრაქტიკაში ეწოდათ წვრილსაბითუმო საქონელბრუნვა. წვრილსაბითუმო საქონელბრუნვა 1965 წელს შეადგენდა 5 მლრდ მანეთს, ანუ მთელი საცალო საქონელბრუნვის დაახლოებით 5%-ს. წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის საერთო ჯამიდან კოლმეურნეობათათვის მიყიდვის წილად მოდის 700 მლნ მანეთზე მეტი, ანუ ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის მიყიდული საქონლის საერთო რაოდენობის 14%.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში შედის ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის საქონლის არა ყოველგვარი მიყიდვა, არამედ მხოლოდ ის, რომლებიც ხდება სავაჭრო ორგანიზაციების ქსელიდან. მაშასადამე, საქონლის მიყიდვა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის სავაჭრო ქსელის გვერდის ავლით (მაგალითად, უშუალოდ სამრეწველო საწარმოებიდან) არ შეიძლება

საცალო საქონელბრუნვაში; კერძოდ სასოფლო-სამეურნეო მანქანების მიყიდვა კოლმეურნეობებისათვის „სოიუზსელხოზტექნიკის“ სისტემის მეშვეობით არ შეიტანება საცალო საქონელბრუნვაში.

გარდა ამისა, საცალო საქონელბრუნვაში შეიტანება ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის საბაზრო ფონდის მხოლოდ იმ საქონლის მიყიდვა, რომელიც მიღებულია საეკპრო ორგანიზაციების მიერ საცალო ვაჭრობისათვის. თუ საეკპრო ორგანიზაცია ერთდროულად აწარმოებს არასაბაზრო ფონდის საქონლის რელიზაციასაც, ასეთი გაყიდვა არ შეიტანება საცალო საქონელბრუნვაში.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, ეგრეთ წოდებულ წვრილსაბითუმო საქონელბრუნვას საცალო ვაჭრობაში უჭირავს დაქვემდებარებული მდგომარეობა, რამდენადაც საეკპრო ქსელის ძირითადი დანიშნულებაა მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვა. ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის საქონლის მიყიდვის დაუსაბუთებელი გაფართოების თავიდან აცილების მიზნით, საქონლის გაყიდვა ეგრეთ წოდებული წვრილი საბითუმო ბრუნვის წესით სპეციალური დებულებით მკაცრად არის რეგლამენტირებული: წვრილბითუმად საქონლის გაყიდვის უფლება ეძლევა მალაზიების განსაზღვრულ რაოდენობას, ამასთან ყოველი მალაზიისათვის წესდება ბრუნვის განსაზღვრული ლიმიტი, რომლის ზევითაც სსრ კავშირის სახბანკი არ იღებს გასანაღდებლად ანგარიშებს. დაწესებულია იმ საქონლის მტკიცე ნუსხა, რომლის გაყიდვა წვრილბითუმად აკრძალულია. საქონლის გაცემა ხდება წვრილობითი მოთხოვნების საფუძველზე, რისთვისაც მყიდველს ეძლევა სპეციალური ფორმის ანგარიში, რომელიც შეიძლება გამოდგეს გასამართლებელ საბუთად და ა. შ. წვრილსაბითუმო ვაჭრობაში ოპერაციების კანონიერება უზრუნველყოფილია აგრეთვე ყოველდღიური კონტროლით სსრ კავშირის სახბანკის მხრივ, რომელიც წვრილსაბითუმო ვაჭრობის წესების დარღვევის შემთხვევაში არ იღებს გასანაღდებლად საეკპრო საწარმოების მიერ გამოწერილ ანგარიშებს.

საცალო საქონელბრუნვის თანამედროვე ორგანიზაცია ხასიათდება სახელმწიფო და კოოპერაციული საეკპრო ორგანიზაციების დიდი რაოდენობით, რომელთაც აქვთ მალაზიებისა და ფარდულების განმტოებული ქსელი რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში. საეკპრო ორგანიზაციების მიხედვით ქვემოთ მოტანილია მონაცემები სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) 1965 წლისათვის.

საცალო ვაჭრობაში წამყვან ადგილს იჭერს სახელმწიფო ვაჭრობის საეკპრო ორგანიზაციები, რომელთა წილადაც მოდის ქვეყნის მთელი საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 70%. სახელმწიფო საეკპრო ორგანიზაციითა შორის უმსხვილეს საეკპრო სისტემას წარმოადგენს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სისტემა, რომელიც აერთიანებს სახელმწიფო საცალო საეკპრო ორგანიზაციებს, კანტორებს, საზოგადოებრივი კვების ტრესტებს, უნივერსიტეტებს;

მის წილად მოდის საქონელბრუნვის მთელი მოცულობის 50%. სამინისტროების მუშათა მომარაგების განყოფილებებს უჭირავს საქონელბრუნვის მთელი მოცულობის 15%. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს (სააფთიაქო სამმართველოს) და კავშირგაბმულობის სამინისტროს (სოიუზბეჩატის) სპეციალიზებულ ვაჭრობაზე მოდის

	მლრდ გან.	პროცენტულად ჯამისადმი
სახელმწიფო ვაჭრობა . . . . .	73,9	70,4
სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო . . . . .	52,4	50,0
სამინისტროების მუშათა მომარაგების განყოფილებები და პრო- დუქტმომარაგებანი . . . . .	16,2	15,5
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტი . . . . .	0,4	0,4
სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო (სააფთიაქო სამმართველო) . . . . .	0,7	0,7
სსრ კავშირის კავშირგაბმულობის სამინისტრო (სოიუზბეჩატი) . . . . .	0,8	0,8
დანარჩენი ორგანიზაციები . . . . .	3,3	3,1
კოოპერაციული ვაჭრობა . . . . .	31,0	29,6
მთელი საქონელბრუნვა . . . . .	104,8	100,0

ქვეყნის მთელი საცალო საქონელბრუნვის 2%. სამომხმარებლო კოოპერაცია წარმოადგენს უდიდეს სავაჭრო სისტემას, რომელიც ვაჭრობას ახორციელებს უმთავრესად სოფლად; მის წილად მოდის საქონელბრუნვის მთელი მოცულობის 30%. ამასთან, სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვის მეტად მაღალი ტემპებით ზრდასთან დაკავშირებით, მისი წილი საქონელბრუნვაში უკანასკნელი წლების განმავლობაში მადლდება.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკის წინაშე დასახულია შემდეგი ამოცანები:

1. საცალო საქონელბრუნვის მოცულობის განსაზღვრა სავაჭრო სისტემების, აგრეთვე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით და საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების აღრიცხვა.
2. საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის განსაზღვრა სავაჭრო სისტემებისა და რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების მიხედვით;
3. საქონელბრუნვის საერთო მოცულობის დინამიკის გამოანგარიშება მთლიანად და საქონლის ცალკეული ჯგუფების მიხედვით.

**3/ საცალო ქსელის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის სტატისტიკა**

საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა წარმოადგენს ვაჭრობის სტატისტიკის უმარტივეს მაჩვენებელს; იგი შედგება სავაჭრო ორგანიზაციების ფუ-

ლადი ამონაგებისაგან, რომელიც მიღებულია საქონლის ნაღდად გაყიდვისა და შემოსავლების ჯამისაგან; იგი სსრ კავშირის სახბანკოს საშუალებით გადაირიცხება ორგანიზაციებზე და საწარმოებზე უნაღლო ანგარიშსწორების წესით გაყიდულ საქონელში.

საქონელბრუნვის საერთო მოცულობაზე ცნობების წყაროს ყოველი საცალო საწარმოს მიხედვით წარმოადგენს ფულად-საქონლური ანგარიშგება ყოველი 5—7 დღეში ერთხელ, რომელსაც უდგენენ \*მლაზიები და ფარდლები თავიანთ პირველად სავაჭრო ორგანიზაციას (საცალო სავაჭრო ორგანიზაცია, მუშათა მომარაგების განყოფილება, სოფლის მომხმარებელთა საზოგადოება და სხვა). ფულად-საქონლური ანგარიშგება არსებითად წარმოადგენს მლაზიის (ფარდულის) გამგის საავანსო ანგარიშს, რომელიც აგებულია ბალანსის ფორმით და გვიხასიათებს საქონლის მოძრაობას საცალო საწარმოში საანგარიშო პერიოდისათვის. ფულად-საქონლური ანგარიშგება, ჩვეულებრივ, დგება შემდეგი ტიპობრივი ფორმით:

ფულად-საქონლური ანგარიშგება 1974 წლის 1—6 აპრილისათვის

შემოსავალი	მან.	გასავალი	მან.
საქონლის ნაშთი 1 აპრილისათვის მიღებულია საქონელი ხუთდღიურში: ა) სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციის საწყობიდან ბ) მიმწოდებლის ბაზიდან გ) დამზარე მებრუნებოიდან დ) შესყიდულია კოლმებრუნებებისა და კოლმებრუნებისაგან ე) . . . . . ვ) . . . . .		სახბანკოში შეტანილი სავაჭრო ამონაგები დახარჯულია ხელფასის გაცემაზე დახარჯულია მიმოქცევის წვრილმან ხარჯებზე დახარჯულია კოლმებრუნებებისა და კოლმებრუნებისაგან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვაზე გაყიდულია წვრილბითუმად საქონლური არაგის ფასდაკლება დაბრუნებულია საქონელი სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციის საწყობში . . . . . საქონლის ნაშთი 6 აპრილისათვის	
სულ შემოსავალი ნაშთის ჩათვლით 1 აპრილისათვის		სულ გასავალი ნაშთის ჩათვლით 6 აპრილისათვის	

ფულად-საქონლურ ანგარიშგებაში ჩამოითვლება საქონლის შემოსავლის ყოველი საბუთი (ანგარიშები, ზედნადებები, შესყიდვის უწყისები და სხვა), აგრეთვე ყველა ის საბუთი, რომელიც ადასტურებს ფულადი ამონაგებისა და საქონლის გასავალს (უწყისები ხელფასის გაცემაზე, კვითრები ნავაჭრის ჩაბარებაზე, ანგარიშების ასლები წვრილბითუმად გაყიდვაზე, ანგარიშები და ხელწერილები



მიმოქცევის ხარჯებზე, აქტები საქონელზე ფასდაკლების შესახებ და ა. შ.), ყველა საშემოსავლო და საგასავლო საბუთი თან ერთვის ფულად-საქონლურ ანგარიშგებას; სავაჭრო ორგანიზაციის ბუღალტერია ამოწმებს პირველად საბუთებსა და ფულად-საქონლურ ანგარიშგებას და შემდეგ ჩაწერს მათ საქონლისა და ფულად საშუალებათა მოძრაობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში.

მალაზიებისა და ფარდულების ფულად-საქონლური ანგარიშების საფუძველზე პირველად სავაჭრო ორგანიზაციაში (საცალო სავაჭრო ორგანიზაცია, მუშათა მომარაგების განყოფილება, სოფლის მომხმარებელთა საზოგადოება და სხვა) დგება ანგარიშგება საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ. საცალო საქონელბრუნვის სიდიდე განვილილ ხუთდღიურში ყოველი სავაჭრო საწარმოს მიხედვით განისაზღვრება ფულად-საქონლური ანგარიშგების საგასავლო ნაწილის საფუძველზე შემდეგი მუხლების შეჯამებით: სსრ კავშირის სახბანკში ჩაბარებული ამონაგები, ხელფასის გაცემაზე დახარჯული ამონაგები, მიმოქცევის წერილმანი ხარჯები, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეებიდან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვა და საქონლის წვრილობითმად გაყიდვა. საწარმოთა მიხედვით საცალო საქონელბრუნვის განსაზღვრის ასეთი წესი დღეისათვის ყველაზე მეტადაა გამოყენებული. თუმცა იმ საწარმოებში, რომლებშიც ფულადი ბრუნვა არ ემთხვევა დროის მიხედვით საქონლურ ბრუნვას, საჭიროა დამატებითი გაანგარიშებანი, სახელობრ: თუ მალაზია საქონელს ყიდის ნისიად, მაშინ ზემოთ ნაჩვენები ფორმით გაანგარიშებულ საქონელბრუნვას უნდა მიემატოს ნისიად გაყიდული საქონლის სრული გასაყიდი ღირებულება და ერთდროულად გამოაქლდეს ნისიად გაყიდულ საქონელზე ნაღდად მიღებული და სსრ კავშირის სახბანკის საშუალებით ვადარიცხული თანხები. თუ მალაზია აგროვებს გაცემული საქონლის ავანსებს, მაშინ მიღებული ავანსი არ შეიტანება საქონელბრუნვაში; საქონელბრუნვაში შეტანილ უნდა იქნეს საქონლის სრული გასაყიდი ღირებულება, რომელიც ფაქტიურად გაცემულია მყიდველებზე საანგარიშო ხუთდღიურში შეგროვილი ავანსების დასაფარავად და ა. შ. გარდა ამისა, სავაჭრო ორგანიზაცია საქონელბრუნვის ერთ ნაწილს ახორციელებს ცენტრალური სასაქონლო-საწყობის მეშვეობით.

ნათქვამიდან გამომდინარეობს, რომ საცალო საქონელბრუნვის სახელმწიფო ანგარიშგების შედგენა იწყება პირველადი სავაჭრო ორგანიზაციიდან. ძირითად სავაჭრო სისტემებში (სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო, მუშათა მომარაგების განყოფილებები და სამომხმარებლო კოოპერაცია) ანგარიშგება საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ დგება 15 დღეში ერთხელ; დანარჩენ ორგანიზაციებში კი — თვეში ერთხელ, თხუთმეტდღიური ანგარიშგება შედგება ერთი მაჩვენებლისაგან — საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობისაგან საზოგადოებრივი კვების ჩათვლით. თვიურ ანგარიშგებაში მოცემულია სამი მაჩვენებელი: საცალო ქსელის საქონელბრუნვა, საუკვების საქონელბრუნვა და მთელი საქონელბრუნვა. ანგარიშგება საქონელბრუნვის შესახებ დგება მზარდ ჯამებში

კვარტალის დასაწყისიდან. ანგარიშგება საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ წარედგინება ტელეგრაფით საეკპრო ორგანიზაციების რგოლთა მიხედვით: სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროში — სახელმწიფო საეკპრო ორგანიზაციას, ვაჭრობის სამმართველოს, რესპუბლიკის ვაჭრობის სამინისტროს; სამომხმარებლო კოოპერაციაში — სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებას, რაიონის კოოპერაციულ კავშირს, ოლქის კოოპერაციულ კავშირს, რესპუბლიკის კოოპერაციულ კავშირს, ცენტროსოიუზს. ანგარიშგების ასლები ეგზავნებათ სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ადგილობრივ ორგანოებს. კრებისთი ანგარიშგება საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ მუშავდება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებში და ტელეგრაფითვე ეგზავნებათ: ოლქის სტატისტიკურ სამმართველოს, მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

საეკპრო ორგანიზაციების ანგარიშგებაში კვარტალში ერთხელ ცალკე გამოყოფა მაჩვენებელი საქონლის მიყიდვის შესახებ ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის. გარდა ამისა, საეკპრო ორგანიზაციები კვარტალში ერთხელ ადგენენ სპეციალურ ანგარიშგებას საქონლის ნისიად გაყიდვის შესახებ. ეს ანგარიშგება შედგება ორი ნაწილისაგან: 1) გაიყიდა საქონელი ნისიად სრული გასაყიდი ღირებულებით (ცალკეული სახის საქონლის გამოყოფით), 2) ფაქტიურად მიღებულია ფული, მუშა-მოსამსახურეთა ხელფასიდან ნისიად ნაყიდი საქონლისათვის დაქვითვათა გადარიცხვების ჩათვლით. სხვაობა ანგარიშგების პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებულ თანხებს შორის წარმოადგენს ნისიად გაყიდული საქონლის დავალიანების ნაშთს.

საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ ანგარიშგების დამუშავების მოქმედმა სისტემამ დეტალურად უნდა დაგვიხასიათოს სახელმწიფო გეგმის შესრულების მიმდინარეობა საეკპრო ორგანიზაციების, აგრეთვე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით და საქონელბრუნვის ზრდის ტემპები როგორც მთლიანად სსრ კავშირში, ისე რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში. ყველაზე მიზანშეწონილია მონაცემების დამუშავება შემდეგი ფორმით:

რესპუბლიკები, მხარეები და ოლქები ან საეკპრო ორგანიზაციები	გეგმა კვარტალისათვის	ფაქტიურად შესრულებულია	გეგმის შესრულების პროცენტი	გაყიდული იყო გასული წლის შესაბამის პერიოდში	საანგარიშო წელი პროცენტობით გასული წლის შესაბამისი პერიოდისაღმ (შესაღარ ფასებში)

ასეთი მაკეტით მიზანშეწონილია აიგოს ორი ცხრილი: ერთი — რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, მეორე — საეკპრო ორგანიზაციების მიხედვით.

ცხრილის შექმნის შემთხვევაში მოცემულია გეგმის შესრულების დახასიათება; გარდა ამისა, შესაძლებლად მოტანილია გასული წლის შესაბამისი პერაოდის მონაცემები; ბოლოს გაიანგარიშება საქონელბრუნვის ზრდის ტემპი გასულ წელთან შედარებით (შესადარ ფასებში).

ორივე ზემოაღნიშნული ცხრილის ურთიერთშეხამება იძლევა საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისა და მისი ზრდის ტემპების ამომწურავ დახასიათებას. ამ ცხრილების საფუძველზე ადვილად დავინახავთ, რომელი რესპუბლიკა, მხარე და ოლქი ასრულებს უკეთესად გეგმას და უზრუნველყოფს საქონელბრუნვის ზრდის უფრო მაღალ ტემპებს, რომლები ჩამორჩებიან გეგმის შესრულებაში; ანალიზი რომ გავუკეთათ მონაცემებს სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით, ადვილად განვსაზღვრავთ ვაჭრობის როგორც მოწინავე, ისე ჩამორჩენილ რგოლებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მონაცემთა ანალიზს სამომხმარებლო კოოპერაციის საქონელბრუნვის შესახებ, რომელიც ახორციელებს ვაჭრობას სოფელ ადგილებში. 1971—1975 წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ სკკპ XXIV ყრილობის დარეკტივების შესაბამისად საქონელბრუნვა სოფლად, სოფლის მოსახლეობის ფულადი შემოსავლის უფრო სწრაფ ზრდასთან დაკავშირებით, განვითარდა მეტად მაღალი ტემპებით. სტატისტიკამ გულდასმით უნდა დაამუშაოს საანგარიშგებო მონაცემები საქონელბრუნვის ფაქტიური ზრდის შესახებ სოფლად და შეადაროს ისინი ქალაქის საქონელბრუნვის ზრდას. თუ აბსოლუტური მონაცემებს საქონელბრუნვის ფაქტიური მოცულობის შესახებ გეგმას შევადარებთ, შეიძლება განვსაზღვროთ, თუ რა თანხით მეტი ან ნაკლები საქონელი გაიყიდა გეგმურთან შედარებით. გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში ეს მონაცემები გვიხასიათებენ სავაჭრო ამონაგების დანაკლისს ან ვაჭრობის დავალიანებას მომხმარებლის წინაშე. ასეთი გაანგარიშებანი შეიძლება ჩატარდეს როგორც ტერიტორიული ერთეულების (რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების), ისე სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით.

მოტანილი ცხრილის უკანასკნელ სვეტში გათვალისწინებული საქონელბრუნვის ზრდის ტემპები გამოიანგარიშება როგორც ფიზიკურა მოცულობის ინდექსები შესადარ ფასებში. როგორც უკვე იყო მითითებული, საქონელბრუნვის შეფასება შესადარ ფასებში წარმოებს საინდექსო მეთოდით, ე. ი. საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის გაყოფით ფასთა ინდექსზე. გაანგარიშება ვერჩვენოთ შემდეგ მაგალითზე:

	მაჩვენებლების დასახელება	1950 წ.	1955 წ.	1955 წ. პროცენტულად 1950 წელთან შედარებით
1.	საქონელბრუნვა ფაქტიურ ფასებში (მლრდ მანეთებში)	36,0	50,2	139
2.	ფასთა ინდექსი	1,00	0,74	74
3.	საქონელბრუნვა 1950 წლის ფასებში (1:2) მლრდ მანეთებში	36,0	68,0	188

საჯალო ქსელის საქონელბრუნვა 1955 წელს შეფასებულია 1950 წლის ფასებით ფასთა ინდექსზე გაყოფის გზით (50,2:0,74=68,0). საქონელბრუნვის ზრდა ხუთწლიდში შესაღარ ფასებში გაანგარიშებულია 1950 წლის ფასებით—1955 წლის საქონელბრუნვის გაყოფით 1950 წლის საქონელბრუნვაზე (68,0:36,0=188, ანუ 188%). როგორც ცნობილია, იგივე შედეგი შეიძლება მივიღოთ სხვა წესითაც, სახელდობრ, ფაქტიურ ფასებში საქონელბრუნვის ინდექსის გაყოფით ფასთა ინდექსზე (139:74=1,88 ანუ 188%),

დიდი მნიშვნელობა აქვს საჯალო საქონელბრუნვის ყოველთვიური ღინამიკის შესწავლას. იმის გამო, რომ ანგარიშგება ღგება მზარდ ჯამებში კვარტალის დასაწყისიდან, საქონელბრუნვის თვიური ჯამები გაიანგარიშება უკანასკნელი თარიღისათვის მოცემული მონაცემებიდან წინა თარიღისათვის მოცემულ მონაცემთა გამოკლებით. თვიური მონაცემები საშუალებას გვაძლევს თვალყური ვადევნოთ საქონელბრუნვის გაშლის თანაბარზომიერებას, მის სეზონურ რხევებს.

სეზონურ რხევას საჯალო ვაქრობაში დიდი მნიშვნელობა აქვს. თუ სეზონური რხევა გამომდინარეობს ამა თუ იმ საქონლის თვით არსიდან და აუცილებლობას წარმოადგენს, მაშინ იგი უნდა გავითვალისწინოთ ოპერატიული მუშაობის პროცესში (სავაქრო კადრების გადაყვანა, მატერიალური ბაზით უზრუნველყოფა და სხვა). მაგრამ თუ სავაქრო ორგანიზაციების ცუდი მუშაობის გამო იქმნება ხელოვნური სეზონურობა, უნდა მივიღოთ სათანადო ღონისძიებანი სეზონური რხევის დაძლვისათვის.

სეზონური რხევის გაზომვის მეთოდები ვაქრობაში მრავალნაირია. საჯალო საქონელბრუნვა განუხრელად იზრდება. მაშასადამე, ყველა წლის საქონელბრუნვის შესახებ თვიურ მონაცემთა ღინამიკურ მწკრივებში არსებობს ზრდის საერთო ტენდენცია. ეს იმას ნიშნავს, რომ სეზონური რხევის გაზომვის უმარტივესი მეთოდის — მარტივი საშუალოს გამოყენება საქონელბრუნვის მონაცემთა მიმართ არ შეიძლება. საუკეთესო შედეგებს იძლევა ყველა თვის საქონელბრუნვის მონაცემთა ანალიზური მოსწორების მეთოდი ღინამიკურ მწკრივში. ამასთან, მთავარია ის, რომ საქონელბრუნვის ღინამიკური მწკრივი წარმოდგენილ იქნეს შესაღარ ფასებში. მოსწორება, ჩვეულებრივ, წარმოებს წრფის განტოლების მიხედვით:

$$a_t = a_0 + a_1 t,$$

სადაც  $a_t$  არის მოსწორებული წრფის ორღინატები;  
 $a_0$  და  $a_1$  — პარამეტრები;  
 $t$  — თვეები.

ამ განტოლების ამოხსნა წარმოებს ნორმალურ განტოლებათა შემდეგი სისტემის დახმარებით:

$$\sum a = a_0 n + a_1 \sum t$$

$$\sum at = a_0 \sum t + a_1 \sum t^2$$

ამ მიზნით სამუშაო ცხრილი აიგება შემდეგი ფორმით (გამოანგარიშება ხდება 1963, 1964, 1965 წლებისათვის):

თვეები რიგითი ნომრების მიხედვით t	ემპირიული მწკრივი a	at	t <sup>2</sup>	თეორიული მწკრივი a <sub>t</sub>	a პროცენტულად a <sub>t</sub> -ს მიმართ
1963 წ. 1 2 3					
1964 წ. 12 13 14 15					
1965 წ. 24 25 26 27					
და ა. შ. 36					
Σt	Σa	Σat	Σt <sup>2</sup>	Σa <sub>t</sub>	

თუ ნორმალური განტოლების ფორმულაში რიცხვით მნიშვნელობებს ჩავსვამთ და ამოვხსნით მას, მივიღებთ მუდმივი პარამეტრების  $a_0$  და  $a_1$ -ის რაოდენობრივ გამოსახულებას. შემდეგ, თუ ჩავსვამთ ცვლად სიდიდეს ყოველი წლისათვის (t), ვიპოვით თეორიული მწკრივის წევრთა რაოდენობრივ გამოსახულებას ( $a_t$ ). ცხრილის უკანასკნელ სვეტში ვანგარიშობთ ემპირიული მწკრივის ყოველი წევრის (a) შეფარდებას (პროცენტობით) თეორიული მწკრივის სათანადო წევრთან ( $a_t$ ). ბოლოს, ვადგენთ შეფარდებათა ცხრილს (პროცენტობით) თითოეული თვისათვის წლების მიხედვით და ვანგარიშობთ საშუალოს ყოველი თვის სამი მაჩვენებლიდან.

ემპირიული მწკრივის წევრთა პროცენტული თანაფარდობა თეორიული მწკრივის მიმართ ასეთია (იხ. შემდეგ გვერდზე):

საშუალო სამი წლისათვის წარმოადგენს საშუალო ტალღას, გამოსახულს პროცენტულად ჯამის მიმართ. ეს სიდიდე გადააქვთ გრაფიკზე.

ზემოაღნიშნულთან ერთად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ისიც, რომ ყოველთვის მონაცემებს არ შეუძლიათ სწორად დაგვიხანსიათონ საქონელბრუნვის გაშლა სხვადასხვა თვეებში დღეთა სხვადასხვა რიცხვის გამო. ამიტომ საქონელ-

ბრუნვის გაშლის დასახასიათებლად საუკეთესო მაჩვენებელს წარმოადგენს მისი ღონე, რომელიც განისაზღვრება დროის ერთნაირი მონაკვეთებისათვის მთელ შესასწავლ პერიოდში. ასეთ ღონეს წარმოადგენს საქონელბრუნვის საშუალო დღიური სილიდე.

	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII
1963 წ.												
1964 წ.												
1965 წ.												
საშუალოდ 3 წელი- წადში												

სათანადო გამოანგარიშებანი ვუჩვენოთ შემდეგ მაგალითზე (მლნ მან.):

საქონელბრუნვა	კვარტალის გეგმა	ფაქტური შესრულება			
		იანვარი	თებერვალი	მარტი	სულ კვარტალში
შზარდ ჯამებში კვარტალის დასაწყისიდან	2000	620	1200	2050	2050
თვეების მიხედვით	—	620	540	850	2050
საშუალო დღიური	22,2	20,0	20,7	27,4	22,8

რაგორც ცხრილიდან ჩანს, გამოანგარიშებული ყოველთვიური მონაცემები გვიჩვენებენ საქონელბრუნვის შემცირებას თებერვალში იანვართან შედარებით. ადვილი დასანახია, რომ ეს არის შედეგი ამ თვეებში დღეების სხვადასხვა რიცხვისა. საშუალო დღიური ღონეების გამოთვლა გვიჩვენებს, რომ I კვარტალის განმავლობაში საქონელბრუნვა განუხრელად იზრდებოდა 20 მლნ მანეთიდან (იანვარში) 20,7 მლნ მანეთამდე (თებერვალში) და 27,4 მლნ მანეთამდე (მარტში); ესაა ერთადერთი სწორი დასკვნა საქონელბრუნვის განვითარების დასახასიათებლად. საქონელბრუნვის ღონე იანვარსა და თებერვალში კვარტალური გეგმით გათვალისწინებულ ღონეზე დაბალი იყო, მაგრამ საქონელბრუნვის საგეგმო ღონე მარტში მნიშვნელოვნად იქნა გადამეტებული; ამის შედეგად საგეგმო ღონე მთლიანად გადაკარბებულ იქნა კვარტალშიც.

გეგმის შესრულების ანალიზისას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დაჯგუფების მეთოდს. საჯუკრო საწარმოთა დაჯგუფება საქონელბრუნვის გეგმის შესრულების ღონის მიხედვით შესაძლებლობას გვაძლევს, საწარმოთა მთელი ერთობლიობის

საერთო საშუალოს გარდა, დავინახოთ მოწინავე საწარმოები, რომელთაც შეასრულეს და გადააქარბეს გეგმას, აგრეთვე ჩამორჩენილი საწარმოები, რომლებიც ვერ ასრულებენ გეგმას. სავაჭრო ორგანიზაციებს ყოველდღიურად წლიური ანგარიშგების შემადგენლობაში შეაქვთ მონაცემები სავაჭრო საწარმოთა დაჯგუფების შესახებ IV კვარტალის საქონელბრუნვის გეგმის შესრულების დონის მიხედვით.

განვიხილოთ მონაცემები 1965 წლის IV კვარტალისათვის მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროთა მიხედვით:

	პროცენტობით ჯამსადმი	
	მალაზიების რიცხვი	საქონელბრუნვა
მალაზიები, რომლებიც გეგმას ასრულებენ	61	68
მალაზიები, რომლებიც გეგმას ვერ ასრულებენ	39	32
მათ შორის მალაზიები, რომლებიც გეგმას ასრულებენ 90%-მდე	16	9
ჯ ა მ	100	100

მალაზიების მთელი რიცხვის დაახლოებით 40%-მა ვერ შეასრულა 1965 წლის IV კვარტალის საქონელბრუნვის გეგმა, მაგრამ მათ წილად მოდის მთელი საცალო საქონელბრუნვის მხოლოდ 32%. საყურადღებოა, რომ მალაზიების 16%-მა გეგმა შეასრულა 90%-მდე, რომელთაც საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში უკავიათ მხოლოდ 9%. ეს მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა იმის შესახებ, რომ გეგმას ვერ ასრულებენ უმთავრესად წერილი მალაზიები.

ანალოგიური დაჯგუფებები ჩვეულებრივად შეუძლიათ აწარმოონ პირველად სავაჭრო ორგანიზაციებს (საცალო სავაჭრო ორგანიზაციები, მუშათა მომარაგების განყოფილებები, სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებანი).

III თავში გადმოცემული იყო გეგმია თანაბარზომიერი შესრულების ანალიზის მეთოდები. ისინი მთლიანად უნდა გამოვიყენოთ საქონელბრუნვის გეგმის თანაბარზომიერი შესრულებისა და საქონელბრუნვის ანალიზისათვის დროსა და სივრცეში. ანალიზის ზემოაღნიშნული მეთოდები გვაძლევენ გეგმის ფაქტიური შესრულების დაწვრილებით აღწერილობას, მაგრამ არ იძლევიან საშუალებას მოვახდინოთ გეგმის თანაბარზომიერი შესრულების ზოგადი შეფასება ერთი მაჩვენებლით. ამ მიზნით სტატისტიკა იყენებს ვარიაციის შესწავლის ჩვეულებრივ მეთოდს საშუალო კვადრატული გადახრისა და ვარიაციის კოეფიციენტის გაანგარიშების დახმარებით.

საშუალო კვადრატული გადახრა განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$\sigma = \sqrt{\frac{\sum (x - \bar{x})^2 f}{\sum f}}$$

სადაც  $\sigma$  არის საშუალო კვადრატული გადახრა;

$x$ —გეგმის შესრულების პროცენტი ცალკეული ერთეულების (მაგალითად, ოლქების) მიხედვით;

$\bar{x}$ —გეგმის საშუალო შესრულება ყველა ერთეულის მიხედვით;

$f$ —გეგმის სიდიდე ცალკეული ერთეულების მიხედვით;

$\Sigma$ —ჯამის ნიშანი.

გამოანგარიშება ვერჩვენოთ შემდეგ პირობით მაგალითზე რამდენიმე ოლქის საცალო საქონელბრუნვის გეგმის შესრულების შესახებ:

ოლქები	გეგმა (ათ. მან.)	ფაქტიური შესრულება (ათ. მან.)	პროცენტი	$x - \bar{x}$	$(x - \bar{x})^2$	$(x - \bar{x})^2 f$
ა	200	200	100	+5	25	5000
ბ	320	288	90	-5	25	8000
გ	450	459	102	+7	49	22050
დ	280	238	85	-10	100	28000
ე	250	240	96	+1	1	250
$\Sigma$	1500	1425	95	—	—	63300
	$\Sigma f$		$\bar{x}$			$\Sigma(x - \bar{x})^2 f$

გაანგარიშების ტექნიკა ნაჩვენებია სვეტების სათაურებში. მიღებული ჯამება ჩავსვით ფორმულაში და ვიპოვოთ საშუალო კვადრატული გადახრა:

$$\sigma = \sqrt{\frac{\Sigma(x - \bar{x})^2 f}{\Sigma f}} = \sqrt{\frac{63300}{1500}} = \sqrt{42} = 6,5$$

მიღებული შედეგი ნიშნავს თითოეული ოლქის გეგმის შესრულების საშუალო გადახრას ყოველი ოლქის გეგმის საშუალო შესრულებიდან: 95%-ით გეგმის საშუალო შესრულებისას საშუალო აბსოლუტური გადახრა შეადგენს 6,5-ს. ახლა განვსაზღვროთ საშუალო შეფარდებითი გადახრა, რომელსაც ეწოდება ვარიაციის კოეფიციენტი და გაიანგარიშება ფორმულით:

$$V = \frac{\sigma \times 100}{\bar{x}} = \frac{6,5 \times 100}{95} = 6,8\%$$

ამრიგად, ჩვენს მაგალითში გეგმის შესრულების ვარიაციის კოეფიციენტი შეადგენს 6,8%-ს. საკვებით ნათელია, რომ ვარიაციის კოეფიციენტი გამოიანგარიშება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ოლქების მიხედვით გეგმები არათანაბარზომიერად სრულდება, თუ ყველა ოლქმა გეგმები ერთნაირად შეასრულა, ეს ნიშნავს გეგმის შესრულების იდეალურ თანაბარზომიერებას, ტერიტორიის მიხედვით გეგმის შესრულების ხარისხში არავითარი გადახრა არ არის, ვარიაციის კოეფიციენტი უდრის ნულს. რაც უფრო დიდია ვარიაციის რიცხობრივი მნიშვნელობა, მით უფრო არათანაბარზომიერად სრულდება გეგმა.



მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ვარიაციის კოეფიციენტი გვიხასიათებს მხოლოდ გეგმის თანაბარზომიერ შესრულებას ყველა ოლქის მიხედვით გეგმის შესრულების საშუალო დონისაგან დამოუკიდებლად: ვარიაციის კოეფიციენტი შეიძლება ერთნაირი სიდიდისა იყოს როგორც ყველა ოლქის მიხედვით გეგმის მთლიანად შესრულების ან გადაჭარბების, ისე გეგმის შეუსრულებლობის დროს. მაშასადამე, გეგმის თანაბარზომიერი შესრულების მაჩვენებელი უნდა გამოვიყენოთ გეგმის შესრულების საერთო მაჩვენებელთან ერთად.

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საეკრო ორგანიზაციები ვალდებული არიან საეკრო ამონაგები ყოველდღიურად ჩააბარონ სსრ კავშირის სახბანკს თავიანთი ანგარიშსწორების ანგარიშზე. საეკრო ამონაგების ნაწილს საეკრო საწარმოები ხარჯავენ ხელფასის გასაცემად, მიმოქცევის ხარჯების დასაფარად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესაყიდად და, მაშასადამე, არ ბარდება სსრ კავშირის სახბანკს, ამრიგად, სსრ კავშირის სახბანკი ლეზულობს (ინკასირებას აწარმოებს) საეკრო ორგანიზაციების ამონაგების ნაწილს. იმისათვის, რომ სსრ კავშირის სახბანკის მიერ ინკასირებული საეკრო ამონაგები დაეუბიროს-პიროთ საცალო საქონელბრუნვის მოცულობას, ანგარიშობენ საეკრო ამონაგების ინკასაციის კოეფიციენტს შემდეგი სქემით:

$$K_{\text{ინკ.}} = \frac{\text{სახბანკის მიერ ინკასირებული საეკრო ამონაგ.} \times 100}{\text{საცალო საქონელბრუნვა (ნაღდს+უნაღდო ანგარიშსწორება)}}$$

თუ ყოველთვიური საქონელბრუნვა შეადგენდა 5,0 მლრდ მან., საეკრო ორგანიზაციების ანგარიშსწორების ანგარიშებზე სსრ კავშირის სახბანკში კი შევიდა 4,25 მლრდ მანეთი, მაშინ ინკასაციის კოეფიციენტი იქნება:

$$K_{\text{ინკ.}} = \frac{4,25 \times 100}{5,0} = 85\%$$

საეკრო ამონაგების ინკასაციის კოეფიციენტი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია მიმოქცევაში ფულის ნორმალური ცირკულაციის შესაფასებლად.

სხვაობა საცალო საქონელბრუნვასა და სსრ კავშირის სახბანკის მიერ ინკასირებულ საეკრო ამონაგებს შორის მოდის წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის უნაღდო ანგარიშსწორების თანხასა და საეკრო ორგანიზაციების მიმდინარე დანახარჯებზე, რაც გაწეულია ამონაგებიდან. ჩვენს მაგალითში ეს სხვაობა შეადგენს 0,75 მლრდ მანეთს.

საეკრო ორგანიზაციების ნაღდი ამონაგების გამოყენების შესწავლის მიზნით დაწესებულია ყოველკვარტალური ანგარიშგება სალაროს ბრუნვის შესახებ. განვიხილოთ საეკრო ორგანიზაციების მონაცემები სალაროს ბრუნვების შესახებ 1959 წლისათვის (იხ. შემდეგ გვერდზე):

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საეკრო ორგანიზაციების საკასო ბრუნვები შედგება არა მარტო გაყიდული საქონლიდან მიღებული საეკრო ამონაგებისაგან, არამედ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკიდან ხელფასის გასაცემად,

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდად და სხვა ხარჯების დასაფარად მიღებული თანხებისგანაც, საანგარიშო მონაცემები გვიჩვენებენ, რომ სავაჭრო ორგანიზაციების ფაქტიური დანახარჯები, ყველა ზემოჩამოთვლილი მუხლის

შემოსავალი	მლრდ მან.	გასავალი	მლრდ მან.
სალაროს ნაშთი წლის დასაწყისში სავაჭრო ამონაგები წელიწადში მიღებულია ფული სახელმწიფო ბანკიდან	0,08 64,90	ჩაბარდა სახელმწიფო ბანკს სავაჭრო ამონაგები დაიხარჯა ნაღდი ფული:	62,74
მათ შორის:		ა) ხელფასის გასაცემად	2,75
ა) ხელფასის გასაცემად	1,62	ბ) სასოფლო-სამეურნეო პრო- დუქტების შესყიდვისათვის	1,38
ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქ- ტების შესყიდვისათვის	0,74	გ) სამომხმარებლო კოოპერა- ციის მიერ საკომისიოდ მი- ღებული საქონლის ღირებუ- ლების ანაზღაურებისათვის	0,48
გ) სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ საკომისიოდ მიღებული საქონლის ღირებულების ანა- ზღაურებისათვის	0,23	სხვა გასავალი	0,49
დ) სხვა საქირობისათვის	0,12	სალაროს ნაშთი წლის ბოლო- სათვის	0,08
დანარჩენი შემოსავალი	0,23	სულ გასავალში, ნაშთის ჩა- თვლით	67,92
სულ შემოსავალში, ნაშთის ჩა- თვლით	67,92		

მიხედვით, მნიშვნელოვნად მეტია სსრ კავშირის სახბანკიდან ამ მიზნით მიღებულ ფულად საშუალებებზე. ეს გადამეტება იფარება სავაჭრო ამონაგების ხარჯზე. თუ ერთ-სახელიან მუხლებს საშემოსავლო და საგასავლო ნაწილებში დავასაღლოებთ, მივიღებთ სავაჭრო ამონაგების გამოყენების ანგარიშს შემდეგი ფორმით:

	მლრდ მან.	პროცენტობით ჯამის მიმართ
1. სავაჭრო ამონაგები გაყიდული საქონლიდან	64,90	100
2. ჩაბარდა სახელმწიფო ბანკს	62,74	96,7
3. სავაჭრო ამონაგების გამოყენება:		
ა) დაიხარჯა ხელფასის გასაცემაზე (2,75—1,62)	1,13	1,7
ბ) სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვაზე (1,38—0,74)	0,64	1,0
გ) სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ საკომისიოდ მიღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურებაზე (0,48—0,23)	0,25	0,4
დ) სხვა გასავალი (0,49—0,23—0,12)	0,14	0,2

ჩვენს მაგალითში სავაჭრო ამონაგების 96,7% ჩაბარებული იყო სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში, დანარჩენი სავაჭრო ორგანიზაცი-

ებმა გამოიყენეს მიმდინარე საქიროებათა დასაკმაყოფილებლად, უმთავრესად კი ხელფასის გასაცემად—1,13 მლრდ მან., ანუ 1,7%, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესაძენად—0,64 მლრდ მან., ანუ 1%, თუ საეკპრო ამონაგებიდან დანახარჯებს ხელფასსა და შესყიდვის ანაზღაურებაზე შევედარებთ დანახარჯთა საერთო თანხას ამ მუხლებით, მივალთ შემდეგ დასკვნამდე: ვაჭრობის მუშაკთა ხელფასის ფონდის 41% და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვის საერთო ღირებულების 46% გადაიხდება საეკპრო ამონაგების ანგარიშზე.

საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან დაჯგუფებას წარმოადგენს საქონელბრუნვის საერთო მოცულობის დაყოფა ქალაქსა და სოფელს შორის. ამგვარი დაჯგუფება დაფუძნებულია საცალო საწარმოთა ადგილმდებარეობაზე: ქალაქის ბრუნვებს მიეკუთვნება ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების საეკპრო ქსელის საქონელბრუნვა, ხოლო სოფლის ბრუნვებს — სოფლის საეკპრო ქსელის საქონელბრუნვა. დასახლებული პუნქტები ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებს მიეკუთვნება მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებათა საფუძველზე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საქონელბრუნვის დაჯგუფება ქალაქისა და სოფლის მიხედვით სრულად ვერ გვიხასიათებს საქონელბრუნვის განაწილებას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის, რადგან სოფლის მოსახლეობა საქონელს ყიდულობს საქალაქო ქსელშიც. ეს დაჯგუფება ასახავს აგრეთვე სოფლის დასახლებული პუნქტების ქალაქებზე გარდაქმნის პროცესსაც. 1965 წელს საქონელბრუნვა სოფლად შეადგენდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საერთო მოცულობის 23%-ს.

ქალაქისა და სოფლის მიხედვით საქონელბრუნვის დაჯგუფებაც წელიწადში ერთხელ წარმოებს. მიმდინარე წესით სოფლის საქონელბრუნვის გაშლის შესახებ ჩვეულებრივ მსჯელობენ სამომხმარებლო კოოპერაციის მონაცემებით, რომლებიც წარმოადგენს ძირითად საეკპრო სისტემას და ამარაგებს საკომეურნეო სოფელს საქონლით.

### √მ. საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის სტატისტიკა

საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის გარდა, საჭიროა საცალო საქონელბრუნვის შემადგენლობის შესწავლაც ცალკეული საქონლისა და საქონლის ცალკეული ჯგუფების მიხედვით. ცალკეული სახის საქონლისა და საქონლის ჯგუფების თანაფარდობანი საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში, აგრეთვე ცალკეული საქონლისა და საქონლის ჯგუფების გაყიდვის ზრდის ტემპები წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს, რომლებიც შესაძლებლობას გვაძლევს ღრმად და ყოველმხრივ დავახასიათოთ საბჭოთა ხალხის მატერიალურ კეთილდღეობასა და კულტურულ დონეში მომხდარი ძვრები.

ცნობილია, რომ საქონელბრუნვის მოცულობის ზრდა ასახავს მოსახლეობის ფულადი შემოსავლისა და მისი მსყიდველობითი მოთხოვნის მატებას, მაგრამ ამასთანავე შედარებით ნაკლებად დიდდება მოთხოვნა სასურსათო საქონელზე, ხოლო მნიშვნელოვნად იზრდება არასასურსათო, განსაკუთრებით კულ-

ტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელზე. ერთდროულად მატულობს მოთხოვნა ყველა სახის საქონლის ხარისხსა და ასორტიმენტზე. ეს პროცესები სავსებით კანონზომიერია. საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა შესადარ ფასებში 1965 წელს, 1940 წელთან შედარებით, 4,4-ჯერ გაიზარდა; მათ შორის სასურსათო საქონლის გაყიდვა — 3,6-ჯერ, ხოლო არასასურსათო საქონლისა — 5,7-ჯერ, მათ შორის კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულებისა და სამეურნეო საქიროების საქონლისა — 10-ჯერ. 1940 წელს არასასურსათო საქონლის წილად მოდიოდა ქვეყნის მთელი საქონელბრუნვის 36,9%, ხოლო 1965 წელს — 42,3%. ეს მონაცემები წარმოადგენს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ზრდის, აგრეთვე საქონელბრუნვის სტრუქტურის გაუმჯობესების ნათელ დადასტურებას.

საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის მონაცემები წარმოადგენს მთელი საბჭოთა ვაჭრობის ეკონომიკის მნიშვნელოვან მაჩვენებელს და უდიდესი ოპერატიული მნიშვნელობა აქვს სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობაში. სხვადასხვა საქონლის გაყიდვა მოითხოვს შრომის სხვადასხვა დანახარჯებს; მაშასადამე, საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებასთან ერთად იცვლება ვაჭრობის მუშაობა შრომის ნაყოფიერებაც. სხვადასხვა საქონლის გაყიდვა დაკავშირებულია მიმოქცევის სხვადასხვა ხარჯებთან, ამიტომ საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებაზე დამოკიდებულია მიმოქცევის ხარჯების დონის ცვლილება (პროცენტულად საქონელბრუნვის მიმართ). სხვადასხვა საქონელზე დაწესებულია სხვადასხვა ფასდაკლება სავაჭრო ორგანიზაციების სასარგებლოდ, რაც შეადგენს მათ შემოსავალს; ამრიგად, საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებაზე დამოკიდებულია სავაჭრო ორგანიზაციების შემოსავალთა ცვლილება. თუ სავაჭრო ორგანიზაციების შემოსავლებიდან გამოვირიცხავთ მათ მიმოქცევის ხარჯებს, მივიღებთ მოგებას საქონლის რეალიზაციიდან. ადვილი დასანახია, რომ მოგების სიდიდეები და ვაჭრობის რენტაბელობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებაზე. საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის მონაცემები საჭიროა აგრეთვე ფასებისა და საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსთა გაანგარიშებისათვის.

საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის სტატისტიკის მნიშვნელოვან მეთოდოლოგიურ საკითხებს წარმოადგენს საქონლისა და სასაქონლო ჯგუფების ერთიანი ნომენკლატურის დამუშავება, ყოველი სახის საქონლისა და ჯგუფების ცნების შინაარსის ზუსტად განსაზღვრა. სასაქონლო ნომენკლატურის მთავარი მოთხოვნა მდგომარეობს ორი ძირითადი ჯგუფის (სასურსათო და არასასურსათო) გამოყოფაში. ამგვარ დაყოფას საფუძვლად უდევს სახმარო დანიშნულება. პირველ ჯგუფში შედის მოსახლეობის საკვებად გამოყენებული პროდუქტები, ხოლო მეორეში — ფართო მოხმარების საქონელი, რომელიც არ არის განკუთვნილი კვებისათვის. საქონელბრუნვის ამგვარი დაყოფა საბჭოთა ვაჭრობაში შემოდებულ იქნა 20-იან წლებში, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო პროდუქტებად მანამდე არსებული დაყოფის ნაცვლად, რომელიც დაფუ-

ძნებულ იყო საქონლის წარმოშობის ნიშანზე. აღნიშნული ჯგუფების ფარგლებში გამოიყოფა სახალხო მონმარების უმნიშვნელოვანესი საქონელი და საქონლის ჯგუფები. გამოყოფილი საქონლის ნუსხა არ უნდა იყოს მუდმივი, საქონლებრუნვის გაფართოებასთან ერთად (ახალი საქონლის გაჩენასთან დაკავშირებით) მათი ნუსხა უნდა ფართოვდებოდეს. ასე მაგალითად, ომის შემდგომ პერიოდში მკვეთრად გაიზარდა მოთხოვნილება კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელზე. ამიტომ აღსარიცხავი საქონლის ნომენკლატურაში გაჩნდა მრავალი ახალი პოზიცია.

ამჟამად ანგარიშგებისათვის დადგენილია საქონლის შემდეგი ერთიანი ნომენკლატურა, რომელიც მოიცავს 85 დასახელებას:

**ხასურსათო საქონელი**

ხორცი და ფრინველი	ჩაი
ძებვეულის ნაწარმი	მირილი
თევზი	ფქვილი
ქაშაყი	პური და პურ-ფუნთუშეულის ნაწარმი
ცხიმო ცხოველური	ბურღული და პარკოსატი მცენარეულს ნაწარმი
ზეთი მცენარეული	მაკრონის ნაწარმი
ლორის კონი და სხვა საკვები ცხიმები	კარტოფილი
რძე და რძის ნაწარმი	ბოსტნეული
მარგარინი	ბილი, კენკრა
ყველი	საზამთრო და ნესვი
კონსერვები ხორციის	არაყი
კონსერვები თევზის	ლიქიორ-არყის ნაწარმი
კონსერვები ბოსტნეულის	უტრანისა და ბილეულ-კენკროვანი ღვი- ნოები
კონსერვები ხილის	ლუჯი
კვერცხი	უალკოჰოლო სასმელები
შაქარი	ნაყანი
საკონდიტრო ნაწარმი	დანარჩენი
მურაბა, ჯემი, ხილფაფა, თაფლი	

**არახასურსათო საქონელი**

ბამბის ქსოვილები	ტყავის ფეხსაცმელი
შალის ქსოვილები და თავსაფრები	საფეიქრო და კომბინირებული ფეხსაცმელი
აბრეშუმის ქსოვილები ნატურალური	რეზინის ფეხსაცმელი
აბრეშუმის ქსოვილები ხელოვნური	ნაბდის ფეხსაცმელი
მეთ შორის შტაპელის ქსოვილები	საპონი სარეცხის
სელის ქსოვილები	სინთეზური სარეცხი საშუალებანი
ტანსაცმელი და თეთრეული	საპონი ხელის
ბეწვი და ბეწვეულის ნაწარმი	პარფიუმერია
თავსამკაულები	გალანტერია
სატრიკოტაჟო ნაწარმი	ძაფი
წინდები	

თამბაქოს ნაწარმი  
წყევ  
ასანთი  
ნავთი  
საწოლები ლითონის  
ავეჯი  
ხალიჩები და სხვა მოსართავი საგნები  
ლითონის ჭურჭელი  
მინა, ფაიფურ-ქაშანურის ჭურჭელი  
სათები  
ელექტროსაქონელი  
მწაფის რვეულები  
ქალაღი და საკანცელარიო საქონელი  
ბეჭდვითი გამოცემები

ველოსიპედები და მოტოციკლეტები  
სპორტსაქონელი  
რადიოსაქონელი  
მუსიკალური საქონელი  
სათამაშოები  
ფოტო, კინო საქონელი  
სხვა კულტსაქონელი  
საქარაფი მანქანები  
სარკმლის მანები  
სხვა სამშენებლო მასალა  
საიუველირო ნაწარმი  
საყოფაცხოვრებო ქიმიის საქონელი  
დანარჩენი საქონელი

საქონლის ნომენკლატურის თითქმის ყოველი პოზიცია წარმოადგენს რთულ სასაქონლო ჯგუფს, რომელიც აერთიანებს ცალკეული საქონლის მნიშვნელოვან რაოდენობას. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ანგარიშგების შედგენისას საქონლის ნომენკლატურის ერთგვაროვანი გაგების უზრუნველსაყოფად ხდება ეგრეთ წოდებული სასაქონლო ლექსიკონის გამოშვება, რომელიც გვიხსნის ყოველი სასაქონლო ჯგუფის კონკრეტულ შინაარსს.

საცალო ვაჭრობის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ საცალო საწარმოებში არ არსებობს ცალკეული საქონლის გაყიდვის ბუღალტრული აღრიცხვა: საცალო საწარმოში ცალკეული საქონლის აღრიცხვის დოკუმენტირება არ ხდება. დიდ მაღაზიებშიც კი, რომლებიც იმყოფებიან დამოუკიდებელ ბალანსზე და მექანიკური საკასო აპარატი გააჩნიათ, გაყიდვა საქონლის ცალკეული ჯგუფების მიხედვით დოკუმენტირებულად არ განისაზღვრება. ამისათვის საჭირო გახდებოდა ცალკეულ საქონელზე გაცემული ჩეკების სპეციალური რეგისტრაციის შემოღება მთელი ზემომომოტანილი ნომენკლატურის მიხედვით. სრულიად ნათელია, რომ ასეთი აღრიცხვა შეუძლებელი იქნებოდა ნებისმიერი საცალო საწარმოსათვის.

ამრიგად, ცალკეული საქონლის გაყიდვის განსაზღვრა საცალო ვაჭრობაში საგასავლო საბუთების საფუძველზე, როგორც ეს ხდება საბითუმო ვაჭრობაში (ანგარიშების მიხედვით), შეუძლებელია. ამ პირობებში სტატისტიკის წინაშე დგას ამოცანა — განსაზღვროს ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჯგუფების გაყიდვა საბალანსო მეთოდით, საქონლის მარაგისა და მიღების აღრიცხვაზე დამყარებით.

ყველაზე ზოგადი სახით სასაქონლო ბალანსს აქვს შემდეგი ტოლობის ფორმა:

$$\begin{matrix} \text{საქონლის მარაგი} \\ \text{საანგარიშო პერიოდის} \\ \text{დასაწყისისათვის (O_{\text{I}})} \end{matrix} + \begin{matrix} \text{საქონლის მიღება} \\ \text{საანგარიშო პერიოდში (II)} \end{matrix} = \begin{matrix} \text{საქონლის გასავალი} \\ \text{საანგარიშო პერიოდში (P)} \end{matrix} + \begin{matrix} \text{საქონლის ნაშთი სა-} \\ \text{ანგარიშო პერიოდის} \\ \text{ბოლოსათვის (O_{\text{II}})} \end{matrix}$$

საქონლის მარაგი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საანგარიშო პერიოდის დასაწყისისა და დასასრულისათვის შეიძლება განისაზღვროს საქონლის მარაგის ინვენტარიზაციის საფუძველზე, რომელიც ტარდება სპეციალური კომისიის მიერ; ინვენტარიზაცია წარმოადგენს საქონლის მარაგის აღწერას. ინვენტარიზაციის ჩატარებლობის შემთხვევაში საქონლის მარაგის სიდიდე სასაქონლო ჯგუფების მიხედვით შეიძლება დადგინდეს საქონლის სპეციალური გამოთვლის გზით, რომელიც ტარდება ვაჭრობის მუშაკთა მიერ. საქონლის მიღება გაიანგარიშება სამემოსავლო საბუთების (ანგარიშების, ზედნადებების, აქტებისა და ა. შ.) საფუძველზე.

თუ მოცემული გვაქვს დოკუმენტირებული მონაცემები საქონლის მიღებისა და მარაგის რაოდენობის შესახებ, საქონლის გასაველი საქონლის ჯგუფთა მიხედვით განისაზღვრება შემდეგი ფორმულით:

$$O_{\text{н}} + \text{II} - O_{\text{к}} = P.$$

როგორც ამ ფორმულიდან ჩანს, ცალკეული საქონლის გასაველის რაოდენობა განისაზღვრება სასაქონლო ბალანსის საფუძველზე სათანადო გაანგარიშების გზით (გამოყვანის წესით). აქედან გამომდინარეობს, რომ ცალკეული საქონლის გასაველის ამ წესით დადგენილი სიდიდეები დამოკიდებულია საქონლის ნაშთებისა და მიღების მონაცემთა სიზუსტესა და უტყუარობაზე. ნებისმიერი შეცდომა (მარაგის არასრული აღრიცხვა, მიღების შესახებ მონაცემთა უსრულობა ან, პირიქით, ამ მუხლების მიხედვით მონაცემთა გადაშეტება) ავტომატურად გავლენას ახდენს საქონლის გაყიდვის მოცულობაზე. სტატისტიკის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მონაცემები საქონლის ნაშთებისა და მიღების შესახებ საქონლის ცალკეული ჯგუფების მიხედვით უზრუნველყვით სრული სიზუსტითა და დოკუმენტური დასაბუთებით.

მაგრამ ამ გზით დადგენილი საქონლის გასაველის სიდიდე ჯერ კიდევ არ არის საცალო საქონელბრუნვა. საქონლის ერთი ნაწილი იხარჯება სხვა მიზნებისათვის, მაგალითად, იგზავნება თავისი საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, უბრუნდება მიმწოდებელს, მიეყიდება ბითუმად სხვა სავაჭრო ორგანიზაციებს, იგზავნება გადასამუშაველად (ქსოვილები ტანსაცმლის შესაქერად და სხვა). საქონლის ასეთი გაცემა არ წარმოადგენს საცალო საქონელბრუნვას, მაგრამ იგი დოკუმენტირდება (გამოიწერება ანგარიში, ზედნადები), ამიტომ ანგარიშგებაში ცალკე უნდა გამოიყოს, რომ ამით უფრო სწორად განვსაზღვროთ საცალო გაყიდვის ოდენობა.

ასეთივე წესით დოკუმენტურად ფორმდება საქონელზე ფასების შემცირება: საინვენტარიზაციო კომისია ადგენს აქტს, რომელშიც სასაქონლო მარაგი (ფასების შემცირების თარიღისათვის) ორგვარადაა შეფასებული — ძველი და ახალი ფასებით; მათ შორის განსხვავება (ფასდაკლება) წარმოადგენს საქონლის იმ თანხის შემცირებას, რაც საქონლის ზოგიერთი ნაწილის გაცემის ანალოგიურია და არ მიეკუთვნება საცალო გაყიდვას. სავაჭრო ორგანიზაციები საქონლის ასეთი

დოკუმენტირებული გაცემის მიმდინარე აღრიცხვას, რაც არ წარმოადგენს საცალო გაყიდვის, ჩვეულებრივ, აწარმოებენ განსაკუთრებულ ჟურნალში, სადაც საგასავლო საბუთები, შემოსვლისთანავე, სისტემატურად დალაგდება საქონლის სათანადო ჯგუფის მიხედვით.

ზემოაღნიშნულ პრინციპებზე აგებულია ყოველკვარტალური ანგარიში საქონლის მოძრაობის შესახებ შემდეგი ტიპობრივი ფორმით (ათ. მან):

სასაქონლო ჯგუფების დასახელება	საქონლის საშუალო მარტის დასაწყისისთვის	შეწვლილი საქონელი კვარტალში	გაიყიდა ბითუმად, გადაეცა საზოგადოებრივ კვებას და სხვა დოკუმენტირებული გასაყიდი, რომელიც არ წარმოადგენს საცალო გაყიდვას	გაიყიდა საცალოდ და სხვა არადოკუმენტირებული გასაყიდი (სვ. 1+სვ. 2—სვ. 3—სვ. 5)	საქონლის საშუალო მარტის ბოლოსთვის
ა	1	2	3	4	5
(ნომენკლატურის მიხედვით, 85 დასახელებიდან)					
სულ					

ც ნ ო ბ ა : საცალო საქონელბრუნვა კვარტალში .

. ათას მან.

თუმცა მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ანგარიშის მე-4 სვეტში გაანგარიშებული მონაცემები წარმოადგენენ არა მარტო საცალო გაყიდვას, არამედ საქონლის ისეთ გასაყიდად, როგორცაა სასაქონლო დანაკარგები, რომელთა დოკუმენტირება არ ხდება, აგრეთვე გაფლანგვები და დატაცებანი. ამის შედეგად ანგარიშის მე-4 სვეტის მონაცემები რამდენადმე გადაამეტებული აღმოჩნდება. ამ გადაამეტების ოდენობა წარმოადგენს საერთო ჯამს სასაქონლო ჯგუფების მიხედვით მისი განაწილების გარეშე. ამ მიზნით ანგარიშზე დართულ ცნობაში ნაჩვენებია საცალო საქონელბრუნვის სრული მოცულობა კვარტალში, რაც განისაზღვრება საკასო ამონაგებისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მეშვეობით მიღებულ უნაღდო ანგარიშსწორების თანხების მონაცემებით. მე-4 სვეტის მონაცემთა ნამეტი საქონელბრუნვის მოცულობასთან შედარებით მინიმალურია და გაიზომება პროცენტის მეასედით, მაქსიმუმ მეთათედი ნაწილით; თუ ამ მონაცემთა განსხვავება დიდია, ეს მოწმობს ანგარიშში დაშვებულ შეცდომას და საჭიროა შემოწმდეს მონაცემები საქონლის ნაშთების, მიღებისა და დოკუმენტირებული გასავლის შესახებ.

მე-4 სვეტის მონაცემთა ჯამის საცალო საქონელბრუნვის ჯამისაგან განსხვავების ზუსტად განაწილება საქონლის ჯგუფთა მიხედვით შეუძლებელია. ამიტომ ანგარიშის დამუშავებისა და ანალიზის დროს განსხვავება საქონლის ჯგუფთა მიხედვით პირობითად ნაწილდება ანგარიშის მე-4 სვეტში აღნიშნული მონაცემების პროპორციულად.



განგარიშების წესი ვურჯენოთ შემდეგ მაგალითზე (ათას მან.):

სასაქონლო ჯგუფის დასახელება	საქონლის ნაშთი კვარტალის დასაწყისისთვის	შემოვიდა საქონელი კვარტალში	გაყიდვა პირობებზე, გადაცემა სატყეებში, საღებო და სხვა დოკუმენტირებული საქონელი, რომელიც არ წარმოადგენს საცალო გაყიდვას	საცალო გაყიდვა და სხვა არალოკუბრირებული გასაყიდი (1+2-3-5)	საქონლის ნაშთი კვარტალის ბოლოსთვის	მეოთხე სექტის მონაცემები პროცენტულად ჯამის მიხედვით	საცალო საქონელი ბრუნვა
ა	1	2	3	4	5	6	7
პური გამომცხვარი	1	300	10	290	1	16,11	299
ხორცი	28	250	40	208	30	11,55	207
ერბო-კარაქი	15	95	5	80	15	5,00	90
შაქარი	40	200	10	185	45	10,28	185
საკონდიტრო ნაწარმი	50	220	5	205	60	11,99	204
სხვა საქონელი	180	942	160	822	200	45,67	820
ჯ ა მ ი	314	2007	170	1800	351	100,60	1795

ცნობა: საცალო საქონელბრუნვა კვარტალში — 1795 ათ. მან.

მე-4 სექტის მონაცემები განგარიშებულია დასკვნის გზით, როგორც ეს მითითებულია ქვესათაურებში. საქონლის გასაყიდის მე-4 სექტის საერთო ჯამმა შეადგინა 1800 ათასი მანეთი, მაშინ როცა, ცნობის თანახმად, საცალო საქონელბრუნვა კვარტალში შეადგენს 1795 ათას მანეთს, ე. ი. განგარიშებული გასაყიდის თანხაზე 5 ათას მან, ანუ 0,3%-ით ნაკლებს. საცალო საქონელბრუნვის თანხა (1795 ათასი მან.) გავანაწილოთ საქონლის ჯგუფთა მიხედვით მე-4 სექტში განგარიშებული გასაყიდის თანხების პროპორციულად.

ასეთი განგარიშება შეიძლება გაწარმოოთ რამდენიმე წესით:

პირველი წესი: განგარიშობთ საქონლის ცალკეულ ჯგუფთა მიხედვით მე-4 სექტში მოცემულ მაჩვენებელთა პროცენტულ შეფარდებას გასაყიდის საერთო ჯამისადმი და მიღებულ ციფრებს ეწერთ ჩვენი ცხრილის მე-6 სექტში:

$$\text{პური} = \frac{20 \times 100}{1800} = 16,11\%$$

და ა. შ.

ამის შემდეგ ცხრილის მე-7 სექტის ჯამში ეწერთ საცალო საქონელბრუნვის თანხას (1795 ათას მან.) და მე-6 სექტში საქონლის ყოველი ჯგუფისათვის განგარიშებულ პროცენტულ მაჩვენებლებზე თანმიმდევრული გამრავლებით ვპოულობთ საცალო საქონელბრუნვას სასაქონლო ჯგუფთა მიხედვით:

$$\text{პური} = \frac{1795 \times 16,11}{100} = 289 \text{ ათას მან.}$$

და ა. შ.

მეორე (უფრო მარტივი) წესი: ვანგარიშობთ კოეფიციენტს, რომელიც გვიხასიათებს საცალო საქონელბრუნვის შეფარდებას გასავლის საერთო თანხასთან, ე. ი.

$$K = \frac{1795}{1800} = 0,997.$$

ეს იმას ნიშნავს, რომ საცალო საქონელბრუნვა მთლიანად შეადგენს საქონლის საერთო გასავლის 0,997-ს. პროპორციულობის პირობა მოითხოვს, რომ ამდენადვე შემცირდეს გასავალი საქონლის ყოველი ჯგუფის მიხედვით. იმისათვის, რომ ვანესაზღვროთ საცალო საქონელბრუნვა საქონლის ყოველი ჯგუფის მიხედვით, საქირაა ყოველი სასაქონლო ჯგუფის გასავლის თანხა გავამრავლოთ გამოანგარიშებულ საერთო კოეფიციენტზე:

$$\text{პური} = 290 \times 0,997 = 289 \text{ ათას მან.}$$

კიდევ უფრო მარტივი წესი შემდეგია: კოეფიციენტი 0,997 ნიშნავს იმას, რომ საცალო საქონელბრუნვა შეადგენს გასავლის საერთო თანხის 99,7%-ს, ანუ მასზე 0,3%-ით ნაკლებს. სწორედ ეს განსხვავება (0,3%) უნდა გამოვიციხოთ საქონლის ყოველი ჯგუფის გასავლის თანხიდან:

$$\text{პური} = 290 - (290 \cdot 0,3\%) = 290 - 0,87 = 289,13 \text{ ათას მან., დამრგვალებით} - 289 \text{ ათას მან.}$$

ანგარიში სასაქონლო ჯგუფთა მიხედვით საქონლის მოძრაობის შესახებ დგება პირველადი სავაჭრო ორგანიზაციის (სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაცია, შუშათა მომარაგების განყოფილება, სოფლის მომხმარებელთა საზოგადოება) მიხედვით მთლიანად. მაღაზიები და ფარდულები ცნობებს აღგენენ მარტოდენ საქონლის ნაშთთა შესახებ. პირველადი სავაჭრო ორგანიზაციის ბუღალტერია მონაცემებს საქონლის ნაშთთა შესახებ აჯამებს ცენტრალურ სასაქონლო საწყობებში, მაღაზიებსა და ფარდულებში, ხოლო მიღებულ ჯამებს წერს ანგარიშის 1-ელ და მე-5 სვეტებში. საქონლის მიღება (სვეტი მე-2) მთელი ორგანიზაციისათვის განისაზღვრება მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებით, რადგან ყველა საქონელი, ჩვეულებრივ, შემოდის ცენტრალურ სასაქონლო საწყობში. იმ შემთხვევაში, როდესაც საქონელი შემოდის უშუალოდ სავაჭრო ქსელში სასაქონლო საწყობის გვერდის ავლით, საშემოსავლო დოკუმენტები მიღებულ საქონელზე სასაქონლო-ფულად ანგარიშთან ერთად თავს იყრის პირველადი სავაჭრო ორგანიზაციის ბუღალტერიაში, სადაც ხორციელდება საქონლის აღრიცხვა ამ დოკუმენტთა მიხედვით. მასალები ეგრეთ წოდებული საქონლის დოკუმენტირებული გასავლის შესახებ (სვეტი მე-3), რომელიც წარმოებულია უშუალოდ სავაჭრო ქსელში, ასევე თავს იყრის პირველადი სავაჭრო ორგანიზაციის ბუღალტერიაში.

საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის ანალიზის დროს, ჩვეულებრივ, ანგარიშობენ მონაცემებს ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჯგუფთა

გაყიდვის შესახებ პროცენტობით საქონელბრუნვის საერთო მოცულობის მიმართ. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი მეთოდი შესაძლებლობას გვაძლევს ანალიზი გავუყეთოთ საქონელბრუნვის სტრუქტურაში მომხდარ ძვრებს მარტო-ოდენ მსხვილი ჯგუფების მიხედვით; მაგალითად, სასურსათო და არასასურსათო საქონლის ჯგუფების თანაფარდობა, ყველა სახის ქსოვილისა და ტანსაცმლის, ყველა არასასურსათო საქონლისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის ჯგუფთა თანაფარდობა და ა. შ. რაც შეეხება მონაცემებს საქონლის ცალკეული ჯგუფების მიხედვით, სასაქონლო ნომენკლატურის დანაწევრების შედეგად, საქონლის ჯგუფთა წილი განისაზღვრება მეათედი პროცენტებით და ასეთი პატარა ციფრების პირობებში ძვრების გამოვლენა გაძნელებულია. ამიტომ რეკომენდებულია ცხრილები აიგოს საქონლის რამდენიმე მონათესავე ჯგუფის მიხედვით მათი საერთო ჯამის 100%-ად აღებით. ასეთ პირობებში შედარებით ადვილად გამომქლავნდება სტრუქტურული ძვრები. ვუჩვენოთ ეს მაგალითზე:

ქსოვილთა გაყიდვის სტრუქტურა

ქსოვილთა სახეები	პროცენტობით საქონელბრუნვის საერთო მოცულობის მიმართ		პროცენტობით ქსოვილების საერთო ჯამის მიმართ	
	1940 წ.	1965 წ.	1940 წ.	1965 წ.
ბამბის	4,3	1,8	67	38
შალის	1,1	1,3	17	28
აბრეშუმის	0,6	1,5	9	31
სელის	0,4	0,2	7	55
ჯ ა მ ი	6,4	4,8	100	100

პროცენტული შეფარდებანი ცხრილის პირველ ორ სვეტში თითქმის არაფრისმთქმელია, უკანასკნელ ორ სვეტში კი ჩანს ქსოვილების შემადგენლობაში ძვრების ნათელი სურათი: 1940 წელს ყველა ქსოვილის ორი მესამედი მოდის ბამბის ქსოვილებზე. 1965 წ. ამ ქსოვილთა წილი შემცირდა 38%-მდე; შალეულისა და აბრეშუმის ქსოვილებზე 1940 წელს მოდიოდა ყველა ქსოვილის ერთ მეოთხედზე ცოტა მეტი, ხოლო 1965 წელს—ყველა ქსოვილის ნახევარზე მეტი; განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გაიზარდა აბრეშუმის ქსოვილთა წილი.

ასეთი ცხრილები შეიძლება ავაგოთ კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების, ხორცპროდუქტებისა და თევზპროდუქტების, ცხიმებისა და სხვა საქონლის შემადგენლობაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების შესასწავლად.

კვარტალური ანგარიშგება საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის შესახებ მოიცავს ყველა საქონლისა და სასაქონლო ჯგუფის სრულ შემადგენლობას, რომელიც მიმოიქცევა საცალო ვაჭრობაში. გარდა ამისა, სახელმწიფო ვაჭრობის სისტემაში მოქმედებს ყოველთვიური ანგარიშგება ძირითადი

სასურსათო და არასასურსათო საქონლის ნაშთების, მიღებისა და გაყიდვის შესახებ. ეს ანგარიშგება მოიცავს 28 ძირითად სასაქონლო ჯგუფს (ხორცი, თევზი, შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, ქსოვილები — სახეთა მიხედვით, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი და სხვა), რომელთა წილად მოდის სახელმწიფო ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მთელი მოცულობის 62%, ამასთანავე, კვარტალური ანგარიშგებისაგან განსხვავებით, მონაცემები სასურსათო საქონლის მიხედვით მოიყვანება ნატურალურ გამოსახულებაში. გარდა ამისა, თვიური ანგარიშგება მოიცავს საქონლის მოძრაობას არა მარტო საცალო ქსელში, არამედ საზოგადოებრივი კვების საწარმოებშიც.

ყოველთვიური ანგარიშგების მონაცემები ახასიათებს სახალხო მოხმარების ძირითადი საქონლის გაყიდვისა და მარაგის ცვლილებებს ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში; მას ფართოდ გამოიყენებენ საგეგმო და ოპერატიული ორგანოები საქონელბრუნვის მიმდინარე რეგულირებისათვის.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საქონლის მოძრაობის მოქმედ ანგარიშგებას (როგორც კვარტალურს, ისე თვიურს) აქვს არსებითი მეთოდოლოგიური დეფექტი. საქმე ისაა, რომ საქონლის ჯგუფთა მიხედვით მარაგის განსაზღვრისათვის საჭიროა ჩატარდეს სასაქონლო მარაგის ინვენტარიზაცია მთელ საცალო სავაჭრო ქსელში ყოველი კვარტალური თარიღისათვის; მხოლოდ ინვენტარიზაციის მონაცემები მოგვცემს ზუსტ ცნობებს საქონლის მარაგის შესახებ სასაქონლო ჯგუფთა მიხედვით. მაგრამ სასაქონლო მარაგის კვარტალური ინვენტარიზაციები არ იწარმოება და მთელ სავაჭრო ქსელში მათი ერთდროული გატარებაც პრაქტიკულად შეუძლებელია. ამიტომ პრაქტიკაში სასაქონლო მარაგები მთელ სავაჭრო ქსელში განისაზღვრება თვით გამყიდველთა ოპერატიული დაკვირვების მონაცემთა საფუძველზე. საესებით ნათელია, რომ ასეთი დაკვირვება ვერ მოგვცემს უტყუარ ცნობებს მარაგის შესახებ საქონლის მრავალი ჯგუფის მიხედვით. ეს გარემოება ავტომატურად გავლენას ახდენს ცალკეული საქონლის გაყიდვის მონაცემთა უტყუარობაზე, რადგანაც ისინი მიიღება გამოთვლის გზით. აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დასკვნა, რომ გაყიდვის შესახებ სასაქონლო ჯგუფთა მიხედვით გაანგარიშებული მონაცემები მოითხოვს გულდასმით შემოწმებას სხვა სტატისტიკურ მონაცემებთან მათი დაკავშირების გზით. შემოწმების ამგვარ მეთოდებზე ლაპარაკი იქნება VI თავში.

#### 4. მოთხოვნილების სტატისტიკური შესწავლა

ვაჭრობის არსიდან სოციალიზმის დროს გამომდინარეობს სხვადასხვა სახის საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების გულმოდგინე და ყოველმხრივი შესწავლის აუცილებლობა. მოსახლეობის მოთხოვნილების სათანადო აღრიცხვა შესაძლებლობას ეძილევს სწორად დაგეგმვით საქონელბრუნვა და გაეანაწილოთ სასაქონლო რესურსები ქვეყნის რაიონების მიხედვით, ქალაქებსა და სოფლებს შორის. მოსახლეობის მოთხოვნილების ჭეროვანი შესწავლის საფუძველზე სავაჭრო

ორგანიზაციებს შეუძლიათ წარუდგინონ მრეწველობას სწორი შეკვეთა. ამით მათ ძალუძთ გავლენა იქონიონ მრეწველობაზე, რათა უზრუნველყონ მაღალი ხარისხისა და ისეთი ასორტიმენტის საქონლის წარმოება, რომელიც უპასუხებს მოსახლეობის მოთხოვნებს.

მოსახლეობის მოთხოვნების შესწავლის ფორმები მრავალგვარია, მაგრამ მათი გაერთიანება შეიძლება ორ ჯგუფად:

1) მოთხოვნილების აღრიცხვის ოპერატიული მეთოდები, რომლებიც ეწყობა უშუალოდ საგაქრო საწარმოებში და რომელთა შედეგები არ საჭიროებს სტატისტიკურ თავმოყრას;

2) მოთხოვნილების შესწავლის სტატისტიკური მეთოდები, რომლებიც ტარდება როგორც განსაზღვრული პროგრამით ჩატარებული სისტემატური დაკვირვება.

მოსახლეობის მოთხოვნილების ოპერატიული აღრიცხვა უნდა აწარმოოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ყველა მაღაზიამ. შესწავლის მეთოდი მდგომარეობს ცალკეული საქონლის გაყიდვის მიმდინარეობაზე მაღაზიის გამყიდველებისა და დირექტორების უშუალო დაკვირვებაში; ასეთი სისტემატური დაკვირვების შედეგად ირკვევა, თუ რომელი სახის საქონელზეა მოსახლეობის მოთხოვნილება, რომელი საქონელი არ არის საკმარისი, რომელ საქონელს არ ყიდულობს მოსახლეობა და რატომ და ა. შ.

სისტემატური დაკვირვების მიზნით, მაღაზიის დირექტორს ეძლევა რჩევა აწარმოოს მოთხოვნილების აღრიცხვის ეურნალი, სადაც იწერება მყიდველთა შენიშვნები და სურვილები ცალკეული საქონლის მიხედვით, არაღამაკმაყოფილებელი მოთხოვნილება ცალკეულ საქონელზე და ა. შ. ასეთი დაკვირვების შედეგები არ გამოისახება რაოდენობრივ მაჩვენებლებში, მაგრამ საქმის სათანადოდ დაყენებისას მას შეუძლია დაეხმაროს საწარმოს ხელმძღვანელებს გაერკვნენ მოსახლეობის მოთხოვნილებებში და საქონლის შეზიდვა მაღაზიებში აწარმოონ მოსახლეობის მოთხოვნილების შესაბამისად.

მოსახლეობის მოთხოვნილების საფუძვლიანი შესწავლის მიზნით, მაღაზიებში პერიოდულად ეწყობა საქონლის ცალკეულ ჯგუფთა მოძრაობის ოპერატიული აღრიცხვა ასორტიმენტის მიხედვით 10—15 დღეში ერთხელ განსაზღვრული ფორმით.

შალის ქსოვილების მოძრაობა 1966 წ. 1—15 მარტისათვის

საასორტიმენტო ჯგუფთა (არტიკულების) დასახელება	1 მებრის ფასი	ნაშთი 1 მარტისათვის	მოდულუა 1—15 მარტამდე	ნაშთი 15 მარტისათვის	გაყიდულა 1—15 მარტამდე (სგ. 1+სგ. 2—სგ. 3)	საშუალო დღოვი ბეჭედი (სგ. 4 : 15)	ნაშთი 15 მარტისათვის საქონელარუნეა დღეებში (სგ. 3 : სგ. 5)
ა	ბ	1	2	3	4	5	6

ამ ფორმით მიღებული საანგარიშო მონაცემები ახასიათებს მოცემული საქონლის დაწერილებითი ასორტიმენტით ვაჭრობის მდგომარეობას.

თუ ერთიმეორეს შევეუდარებთ სასაქონლო მარაგის რაოდენობას 1 და 15 მარტისათვის, შეიძლება დავადგინოთ, თუ საქონლის რომელ საასორტიმენტო სახეთა მიხედვით მოხდა სასაქონლო მარაგის მატება; ეს ნიშნავს, რომ გაყიდვა მარტის 15 დღეში ჩამორჩებოდა ამ პერიოდში საქონლის მიღებას და მისი ნაწილი გადაიდო სასაქონლო მარაგში. თუ ადგილი ჰქონდა მარაგის მნიშვნელოვან გადღებას, მაშინ ეს მოითხოვს მიზეზთა გუთმობადინე შესწავლას, რათა დადგინდეს, თუ რატომ არ სარგებლობს ესა თუ ის არტიკული მოსახლეობის მოთხოვნის მიხედვით.

ასეთი დაკვირვება გვაძლევს მოსახლეობის მოთხოვნის მიხედვით რაოდენობრივ დახასიათებას; სწორედ ამასია მისი დიდი უპირატესობა მაღაზიის მუშაობა სუბიექტურ დაკვირვებასთან შედარებით. მაგრამ ასეთი აღრიცხვა ტარდება ცალკეულ მაღაზიებში სხვადასხვა დროს სხვადასხვა საქონლის მიხედვით, ამიტომ ამგვარი დაკვირვების შედეგები განზოგადებას არ ემორჩილება სტატისტიკური თავმოყრის სახით; ისინი, როგორც წესი, გამოიყენება მხოლოდ ცალკეული მაღაზიების მუშაობაში და ნაწილობრივ პირველად სავაჭრო ორგანიზაციებში (სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაცია, მუშათა მომარაგების განყოფილება).

მოთხოვნის მიხედვითი აღრიცხვის მეთოდებს მიეკუთვნება აგრეთვე გამოფენა-გაყიდვები და მყიდველთა კონფერენციები. გამოფენა-გაყიდვებზე წარმოებს ცალკეული საქონლის აღრიცხვა დეტალური ასორტიმენტით (არტიკულის, ზომის, ფერის, მოდელისა და სხვათა მიხედვით); მოთხოვნის აღრიცხვა ცალკეული ფაბრიკის ნაწარმზე, საიმპორტო და სხვა საქონელზე. საქონლის ასორტიმენტის, ხარისხისა და სხვა სახის გაუმჯობესების შესახებ მყიდველთა აზრისა და წინადადებების გამოსავლენად პერიოდულად ეწყობა მყიდველთა კონფერენციები.

მოთხოვნის შესწავლის სტატისტიკურ მეთოდებს მიეკუთვნება მოთხოვნის მდგომარეობაზე სისტემატური, მეცნიერულად ორგანიზებული დაკვირვებანი. როგორც წესი, მოთხოვნის ასეთი შესწავლა ეწყობა შერჩევითი დაკვირვების სახით, რომელიც მოიცავს სავაჭრო ქსელის დიდ მასივს. ქსელი ისე უნდა შეირჩეს, რომ დაკვირვების შედეგები მთელი გენერალური ერთობლისათვის იყოს რეპრეზენტატული.

დროის მიხედვით პირველი ასეთი შერჩევითი დაკვირვება რსფსრ-ის ვაჭრობის სამინისტროს სავაჭრო ქსელში მარაგის მიღებისა და გაყიდვის ყოველკვარტალური აღრიცხვა, რომელიც მოეწყო 1958 წელს. შემდეგში შერჩევითი დაკვირვების ასეთი სისტემა მიიღეს სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროებმაც. ასეთი ანგარიშის წარდგენა ხდება ჩვეულებრივი სასაქონლო ბალანსის ფორმით ( $O_0 + II = P + O_1$ ) სახალხო მოხმარების ძირითადი საქონლის მიხედვით (ყოველი საქონლის საასორტიმენტო სახეობის ზოგიერთი რაოდენობის გამოყოფით).

მაგალითად, ბამბის ქსოვილები აღირიცხება 14 სახეობის მიხედვით (ნარმა, სატინა, პოპლინი, ფანელი, ბამბაზია, რეფსი, დიაგონალი და სხვ.); აბრეშუმის ქსოვილი—18 სახეობის მიხედვით (ნატურალური და ხელოვნური აბრეშუმის, შტაპელის, სასარჩულე ქსოვილები და სხვ.). განსაკუთრებით დეტალურად აღირიცხება ისეთი რთული ასორტიმენტის სასაქონლო ჯგუფი, როგორცაა ტანსაცმელი. შერჩევითი აღრიცხვის ნომენკლატურაში გამოიყოფა ტანსაცმლის 70 სახეობა (მამაკაცის ზამთრის შალის პალტო, დემისეზონური პალტო; ქალის ზამთრის შალის პალტო, დემისეზონური პალტო; შალის პალტოები ვაყებისა და ქალიშვილებისათვის; მამაკაცის კოსტუმები — შალის, შტაპელის, სელის, ბამბის; ქალის კოსტუმები, კოსტუმები ვაყებისა და ქალიშვილებისათვის; შარვლები, კაბები, პერანგები და ა. შ.). ფართო ნომენკლატურა არსებობს საქონლის სხვა ჯგუფთა მიხედვითაც; კერძოდ, საათები აღირიცხება 24 მარკის, ფოტოაპარატები — 8 მარკის, გალანტრეა — 17 სახის მიხედვით. საქონლისა და სასაქონლო ჯგუფთა ნომენკლატურა შეიძლება შეიცვალოს ვაჭრობის კონიუნქტურის საფუძველზე.

ასეთი ანგარიშების მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევს შევისწავლოთ თითოეული სასაქონლო ჯგუფის შემადგენლობა ძირითად საასორტიმენტო სახეთა მიხედვით როგორც მარაგში, ისე მიღებასა და გაყიდვაში. მარაგის, მიღებისა და გაყიდვის სტრუქტურის შედარება შესაძლებლობას გვაძლევს შევაფასოთ შესაბამისობა საქონლის მიწოდებასა და მოთხოვნალებას შორის.

შერჩევითი აღრიცხვის პროგრამის უმნიშვნელოვანესი თავისებურება ისაა, რომ მონაცემები საქონლის მარაგის, მიღებისა და გაყიდვის შესახებ ნაჩვენებია ნატურალურ და ლირებულვით გამოსახულებაში. ეს გარემოება, საქონლის საშუალო ფასების მეშვეობით, ქმნის მოსახლეობის მოთხოვნილებათა ანალიზის უდიდეს შესაძლებლობას მაღაზიებში საქონლის მოძრაობის სხვადასხვა სტადიაზე—მარაგის, მიღებისა და გაყიდვის დროს. დაეუშვათ, რომ მამაკაცის შალის კოსტუმის საშუალო ფასი კვარტალის დასაწყისის მარაგში შეადგენს 100 მანეთს, მიღებაში—110 მანეთს, გაყიდვაში—90 მანეთს, ხოლო კვარტალის ბოლოსათვის მარაგში—112 მანეთს. ეს მონაცემები დაბეჭდვით ამტკიცებს არასახარბიელო მდგომარეობას კოსტუმების ასორტიმენტში: მყიდველი დიდ მოთხოვნილებას აყენებს მცირეფასიან კოსტუმებზე, უფრო ძვირფასი კოსტუმები რჩება მარაგის სახით; მიღებისას კი ჭარბობს ძვირფასი კოსტუმები, რომელთა მარაგად დატოვება იწვევს საშუალო ფასთა უფრო მეტ დაშორებას გაყიდვასა და მარაგში. ამრიგად, საქონლის მარაგის, მიღებისა და გაყიდვისას არსებულ საშუალო ფასებს შორის თანაფარდობის ანალიზი ცხადყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებებს. იგი შესაძლებლობას გვაძლევს საქონლის შემოტანა მოვაწესრიგოთ მოსახლეობის მოთხოვნილების თავისებურებათა გათვალისწინებით.

მაგრამ მოქმედ ყოველკვარტალურ ანგარიშგებას საქონლის მოძრაობის შესახებ საქონლის საასორტიმენტო სახეთა გამოყოფით სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნია. ჯერ ერთი, მონაცემები სასაქონლო მარაგისა და გაყიდვის შესახებ,

როგორც ზემოთაც ვთქვით, არასაკმარისად უტყუარია. მეორე, არასაკმარისია აღსარიცხავ საასორტიმენტო სახეთა ნომენკლატურა; იგი არ შეესაბამება ვაჭრობის მიერ მრეწველობისათვის მიცემული შეკვეთის პირობებში მიღებულ ნომენკლატურას. მესამე, არ არის საკმარისი შერჩევაში მონაწილე მალაზიების რიცხვი: რსფსრ-დან ანგარიშგება ფაქტიურად მიიღება 600 მალაზიიდან, უკრაინიდან — 250, ბელორუსიიდან — 60, მოლდავეთიდან — 18, ყირგიზეთიდან — 6, სომხეთიდან — 8 მალაზიიდან და ა. შ. მეოთხე, ანგარიშგება მოიცავს მხოლოდ სახელმწიფო ვაჭრობის მალაზიებს, სოფლად აღრიცხვა არ არის ორგანიზებული. როგორც ზემოაღნიშნულიდან გამომდინარეობს, ანგარიშგება შერჩეული მალაზიების მიხედვით რეპრეზენტატული არ არის ყოველი მოკავშირე რესპუბლიკისათვის და, მაშასადამე, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საგვემო და ოპერატიულ მუშაობაში.

სტატისტიკის წინაშე დგას მნიშვნელოვანი ამოცანა — მოაწიოს მეცნიერულად ორგანიზებული შერჩევითი ანგარიშგება სახალხო მოხმარების ძირითადი საქონლის მოძრაობის შესახებ ასორტიმენტული დანაწილებით როგორც სახელმწიფო, ისე კოოპერაციულ ვაჭრობაში, მალაზიების შერჩეული ქსელი უნდა არსებობდეს ყოველ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში იმ ანგარიშით, რომ მიღებული მონაცემები იყოს რეპრეზენტატული ყოველი რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის ვაჭრობის დახასიათებისათვის. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საქონლის მარაგისა და, მაშასადამე, საქონლის გაყიდვის მონაცემთა უტყუარობა.

უქანასკნელ პუნქტს უდიდესი მნიშვნელობა გააჩნია. ქალაქისა და სოფლის ვაჭრობის მდგომარეობისა და ორგანიზაციის თანამედროვე პირობებში არსებობს მთელი ანგარიშგების უტყუარობის ერთადერთი შესაძლებლობა — აიგოს იგი სავაჭრო ქსელში სასაქონლო მარაგის ინვენტარიზაციის დოკუმენტირებული მონაცემების საფუძველზე. საინვენტარიზაციო უწყისები უზრუნველყოფენ აბსოლუტურად ზუსტ მონაცემებს სასაქონლო მარაგის შესახებ ნატურალურ და ლირებულეზით გამოსახულებაში (საქონლის ამომწურავი ნომენკლატურის მიხედვით). მონაცემები საქონლის მიღებაზე ინვენტარიზაციებს შორის არსებულ პერიოდში მიღებულ უნდა იქნეს საშემოსავლო დოკუმენტებიდან სპეციალური შერჩევის გზით. ეს სამუშაო შედარებით მარტივია, რადგან მალაზიების დიდ უმრავლესობაში საქონლის მიღება ხდება არა უმეტეს 2—3-ჯერ კვირაში. საქონლის ნაშთისა და მიღების დოკუმენტირებულ მონაცემთა საფუძველზე გაიანგარიშება დოკუმენტებით დასაბუთებული მონაცემები საქონლის გაყიდვაზე.

ძნელია დასახელებული მეთოდის მნიშვნელობის გადაჭარბებით შეფასება, სტატისტიკის ისტორიაში პირველად იქნა მიღებული ზუსტი მონაცემები სასაქონლო მარაგის სტრუქტურის შესახებ. თუ დროთა განმავლობაში, ანგარიშგების მოწესრიგების დროს საჭირო გახდება დამატებითი მარჯვენელი საქონლის დოკუმენტირებულ გასავალზე, რომელიც არ წარმოადგენს საცალო გაყიდვას (საბითუმო გაყიდვა, ფასების შემცირება, საქონლის უქან დაბრუნება და ა. შ.), მივიღებთ ზუსტ მონაცემებს გაყიდული საქონლის ოლენობის შესახებ. ადვილი



გასაგებია, თუ რამდენად მატულობს საგეგმო-სტატისტიკური გაანგარიშების სიზუსტე საბჭოთა ვაჭრობის განვითარების დაგეგმვისა და ანალიზის დროს.

როგორც ცნობილია, საცალო ვაჭრობაში საქონლის მარაგის ინვენტარიზაცია დღეისათვის წარმოებს წელიწადში არანაკლებ 2-ჯერ, ამასთან თითოეული მალაზიისათვის სხვადასხვა ვადებში. ეს მონაცემები რომ გამოვიყენოთ, ჩვენ შეგვიძლია ყოველი მალაზიიდან წელიწადში მივიღოთ 2—3 ანგარიში. თავმოყრა ასეთი მონაცემებისა, რომლებიც ეხება სხვადასხვა პერიოდს, შესაძლებელია, მაგრამ ისინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ შეფარდებით სიდიდეთა გაანგარიშებისათვის: მარაგის მიღებისა და გაყიდვის სტრუქტურა, მარაგის მიღებისა და გაყიდვის საშუალო ფასი, ბრუნვადღეების მაჩვენებლის გაანგარიშება. ამასთან, საჭიროა აბსოლუტური მონაცემებიც. ამ მიზნით მიზანშეწონილია დაწესდეს იმ მალაზიათა საქონლის მარაგის ყოველკვარტალური ინვენტარიზაცია, რომლებიც შეტანილია მოთხოვნის შესწავლისათვის შერჩეულ ქსელში.

ზემოაღნიშნული მეთოდოლოგიით ჩატარებულმა საცდელმა მუშაობამ 1963 წლის მეორე ნახევარში „მოსოდედას“ საცალო სავაჭრო ორგანიზაციის ზოგიერთ მალაზიაში მოგვცა შემდეგი შედეგები: პირველ ყოვლისა, აღინიშნა სასაქონლო მარაგის უკიდურესი არათანაბარზომიერება მალაზიების მიხედვით და ასორტიმენტის უსრულობა. ასე მაგალითად, გამოკვლეულ ოთხ მალაზიაში იყიდებოდა ქალის ზამთრის პალტოები: 44—56 ზომისა—146 არტიკულის, 48—50 ზომისა—139 არტიკულის, 52—56 ზომისა—81 არტიკულის. მაგრამ არც ერთ ამ მალაზიაში არ იყიდებოდა ყველა არტიკულის პალტოები. ამავე დროს მალაზიები ყიდდნენ 44—46 ზომის მხოლოდ 80 არტიკულის პალტოს ანუ ყველა არტიკულის 20%-ს, 48—50 ზომისა 19 არტიკულს, ანუ 14%-ს, ხოლო 52—56 ზომის პალტოების სულ რაღაც 6 არტიკულს, ანუ 7%-ს. ოთხივე მალაზიის მარაგი შეადგენდა ყველა არტიკულის პალტოების საერთო რიცხვის 11—14%-ს.

კიდევ უფრო არასრულია ასორტიმენტი მამაკაცის კოსტუმებით ვაჭრობაში. გამოკვლეულ მალაზიებში 44—46 ზომის კოსტუმები შეადგენდა ყველა მალაზიაში გაყიდული კოსტუმების არტიკულთა საერთო რიცხვის 10%-ს, 48—50 ზომის კოსტუმები კი—სულ რაღაც 4%-ს.

მაგრამ არტიკულთა რიცხვი ჯერ კიდევ სრულად ვერ გვიხასიათებს საქონლის მარაგის განლაგების არათანაბარზომიერებას და ასორტიმენტის უსრულობას. ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს არტიკულთა სტრუქტურას ქსოვილების ცალკეულ ჯგუფთა ფარგლებში. როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, არც აქ არის ყველაფერი რიგზე. გამოკვლეულ მალაზიებში იყიდებოდა და მარაგის სახით არსებობდა 44—46 ზომის წმინდა შალისა და ნახევრადშალის ქსოვილებისაგან დამზადებული ქალის ზამთრის პალტო 22 არტიკულისა (არტიკული 112), ამასთან 112—26 არტიკულის პალტოების 50% იყო მარაგის სახით, 34%—მიღებაში და მხოლოდ 16%—გაყიდვაში. იმავე არტიკულის 48—50 ზომის პალტოები მარაგის სახით იყო დაახლოებით 30%, მიღებაში—33% და გაყიდვაში—24%. 52—56 ზომის

პალტოებს შორის 112—26 არტიკულის მარაგის წილად მოდიოდა დაახლოებით 70%. კიდევ უფრო არაკეთილსასურველი მდგომარეობაა მამაკაცის შარვლების ასორტიმენტში. ყველა მალაზიაში იყიდება 44—46 ზომის 101 არტიკულის შარვლის ათი სახეობა, ამასთან არტიკული 101—120 მიღებული იყო 36% და მარაგის სახით არსებობდა 70%. აღნიშნული არტიკულის დიდი ზომის შარვლები მიღებული იყო 75%, ხოლო მარაგის სახით არსებობდა დაახლოებით 70%. ანალოგიური მდგომარეობაა ტანსაცმლის სხვა სახეობის მიხედვითაც.

ეს მონაცემები ცხადყოფს ტანსაცმლის ასორტიმენტის არადაამაკმაყოფილებელ სტრუქტურას, რაც მტკიცდება აგრეთვე საქონლის მარაგის მეტისმეტი სიჭრელით ვაჭრობის დღეებში. გამოკვლეულ მალაზიებში თხელი მაუდის წმინდა შალისა და ნახევრადშალის ქსოვილებისაგან დამზადებული ქალის ზამთრის პალტოს მარაგი (არტიკული 111, ზომა 48—50) 1963 წლის IV კვარტალში საშუალოდ შეადგენდა 88 დღეს, მათ შორის ერთი არტიკული (111—36) უდრიდა 756 დღეს. არტიკულ 111—27 პალტოს მარაგის მერყეობა ცალკეულ მალაზიებში შეადგენდა 88-დან 488 დღემდე, არტიკულ 11—39 პალტოს მარაგისა— 107-დან 294 დღემდე. თხელი მაუდის წმინდა შალისა და ნახევრადშალის ქსოვილებისაგან დამზადებული მამაკაცის კოსტუმების მარაგი (არტიკული 10, ზომა 44—46) გამოკვლეულ მალაზიებში შეადგენდა საშუალოდ 48 დღეს. მათ შორის ერთი არტიკულის (10—21) ბრუნვადობა 868 დღეს უდრიდა, ე. ი. 2,5 წელიწადს.

ფასი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს, რომელიც განსაზღვრავს მოთხოვნილებას ცალკეულ საქონელზე. ნაყიდი ყველა სახის ტანსაცმლის საშუალო ფასი, როგორც წესი, ნაკლებია მარაგის სახით არსებული საქონლის საშუალო ფასზე. ქალის ნაყიდი ზამთრის პალტოს საშუალო ფასი (ზომით 48—50) შეადგენს 138 მან. 27 კაპ., ხოლო მარაგის სახით არსებულისა—152 მან. 28 კაპ.; მამაკაცის ზამთრის პალტო (ზომით 48—50) შესაბამისად—80 მან. 09 კაპ., და 91 მან. 85 კაპ.; ქალის კოსტუმისა (ზომით 44—46)—55 მან. 81 კაპ. და 71 მან. 56 კაპ.

ჩატარებულ საცდელ სამუშაოთა საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ რეკომენდებული მეთოდის დანერგვა საგვემო და საეპრო ორგანოებს შეაიარაღებს საიმედო ცნობებით, რითაც მეტად დეტალურად დახასიათდება მოთხოვნილება და მასში მომხდარი ძვრები. მოთხოვნილების შესწავლის სტატისტიკურ მეთოდთა მოცეპული სისტემა არ წარმოადგენს ერთადერთ სისტემას. ყველა შესაძლებლობიდან, მაგრამ იგი ყველაზე მეტად მისაწვდომია როგორც ქალაქის, ისე სოფლის ქსელში. ამაშია მისი უდავო უპირატესობა.

მოთხოვნილების შესწავლის მეტად პერსპექტიულ მეთოდს წარმოადგენს საქონელზე ორმაგი იარლიყები სასაქონლო ნიშანთა დეტალური დახასიათებით: არტიკული, ზომა, სიმაღლე, სისრულე, ფერი, ფასი და ა. შ. საქონლის გაყიდვისას მეორე იარლიყი მოსცილდება და იგზავნება მანქანურ დამუშავებაში.

საფაბრიკო იარლიყების ფართოდ დანერგვის პირობებში, საანგარიშო ტექნიკის არსებობისას, ეს მეთოდი იძლევა მოთხოვნილების ამომწურავ დახასიათებას (საქონლის ნიშნების ძალზე დეტალური სისტემის მიხედვით).

საანგარიშო მონაცემები, მიღებული მოთხოვნილების ანალიზის სტატისტიკურ მეთოდთა საფუძველზე, დიდ შესაძლებლობას გვაძლევს მის კანონზომიერებათა შესასწავლად იმ ძირითად ფაქტორებთან კავშირში, რომლებიც მას განსაზღვრავენ (ფულადი შემოსავალი, ფასების დონე და საქონლის მიწოდება). თვალყურს ვადევნებთ რა მოთხოვნილების ცვლილებებს მოსახლეობის შემოსავლის ცვლილებებთან დაკავშირებით, დავადგენთ, რომ მოსახლეობის შემოსავლის გადიდების პარალელურად შედარებით მცირდება მოთხოვნილება სასურსათო საქონელზე, განსაკუთრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონელზე. ფასების ზრდა ანელებს და ზოგჯერ ამცირებს კიდევ მოსახლეობის მოთხოვნას იმ საქონელზე, რომელზეც ფასმა აიწია. ამასთან, ხშირად მოთხოვნილება იზრდება სხვა საქონელზე, რომელიც მოხმარებაში ცვლის გადიდებულფასიან საქონელს.

მოსახლეობის ცალკეულ ეკონომიურ ჯგუფებში, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდებიან შემოსავლის დონით, აღნიშნული ზოგადი კანონზომიერებები ვლინდება ინტენსიობის სხვადასხვა ხარისხით. ამიტომ სტატისტიკა ასეთი კანონზომიერების მოქმედებას შეისწავლის მომხმარებელთა საბიუჯეტო მასალების საფუძველზე (მათი დაჯგუფებით მოსახლეობის ერთ სულზე შემოსავლის სიდიდის მიხედვით).

მონაცემები მოსახლეობის შემოსავალსა და მათ კვებაზე გაწეულ ხარჯებზე განვიხილოთ შემდეგ სქემატურ მაგალითზე:

	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	მა ტ ე ბ ა	
			აბსოლუტური (მან.)	შეფარდებითი (პროცენტობით)
შემოსავალი ერთ სულზე (X) — მანეთობით	800	1000	200	25
კვებაზე გაწეული დანახარჯები (Y) — მანეთობით	320	352	32	10

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს მოსახლეობის შემოსავლისა და კვებაზე გაწეული ხარჯების დინამიკას შორის აშკარა კავშირს: ჩვენს მაგალითში ფულადი შემოსავალი გაიზარდა 200 მანეთით, ანუ 25%-ით, კვებაზე გაწეული ხარჯები კი მხოლოდ 32 მანეთით, ანუ 10%-ით, მაშასადამე, შემოსავლების მატება წინ უსწრებს კვებაზე გაწეული დანახარჯების ზრდას. შემდეგ უნდა გავიგოთ, თუ კვებაზე გაწეულ დანახარჯთა მატების რამდენი პროცენტი მოდის საშუალოდ მოსახლეობის შემოსავლების მატების 1%-ზე.

$$\frac{10}{25} = 0,40\%$$

ამრიგად, ჩვენს მაგალითში მოსახლეობის შემოსავლების 1%-ით გადიდებისას დანახარჯები კვებაზე იზრდება მხოლოდ 0,4-%-ით.

ასეთ მაჩვენებელს ეწოდება მოსახლეობის შემოსავლებიდან კვებაზე გაწეული დანახარჯების ელასტიკურობის კოეფიციენტი. გამოვიყვანოთ მისი გაანგარიშების ფორმულა. მოსახლეობის შემოსავალი აღვნიშნოთ  $x$ -ით, კვებაზე გაწეული დანახარჯები —  $y$ -ით, შემოსავლების მატება —  $\Delta x$ -ით, კვებაზე გაწეული ხარჯების მატება კი —  $\Delta y$ -ით. გავიანგარიშოთ მატების შეფარდებითი მაჩვენებლები:

$$\text{შემოსავლისა} = \frac{\Delta x \cdot 100}{x};$$

$$\text{კვებაზე გაწეული დანახარჯებისა} = \frac{\Delta y \cdot 100}{y};$$

ელასტიკურობის გაანგარიშების ფორმულა ღებულობს შემდეგ სახეს:

$$\frac{\Delta y \cdot 100}{y} : \frac{\Delta x \cdot 100}{x} = 10 : 25 = 0,40.$$

უფრო ზოგადი სახით ეს გაანგარიშება შეიძლება გამოისახოს სხვაგვარადაც; სახელდობრ:

$$\frac{\Delta y}{y} : \frac{\Delta x}{x} = \frac{32}{320} : \frac{200}{800} = 0,40.$$

გარდაქმნის შემდეგ ვღებულობთ ელასტიკურობის კოეფიციენტის განსაზღვრის შემდეგ საბოლოო ფორმულას:

$$\frac{\Delta y}{y} : \frac{\Delta x}{x} = \frac{\Delta y}{\Delta x} \times \frac{x}{y} = \frac{32}{200} \times \frac{800}{320} = 0,40.$$

მოსახლეობის შემოსავლებიდან კვებაზე გაწეული დანახარჯების ელასტიკურობის კოეფიციენტი გაიანგარიშება სხვადასხვა ვარიანტით: დანახარჯები კვების პროდუქტებზე მთლიანად და დანახარჯები არასასურსათო საქონელზე, ცალკეული პროდუქტების მოხმარება, ცალკეული საქონლის შესყიდვა და ა. შ. ამასთან, დანახარჯები შეიძლება გამოისახოს როგორც ფულადი ისე ნატურალური მაჩვენებლებით.

ელასტიკურობის კოეფიციენტს აქვს დიდი შემეცნებითი მნიშვნელობა მოსახლეობის მოხმარებისა და მოთხოვნილების კანონზომიერებათა შესწავლის საქმეში. მოსახლეობის შემოსავლებიდან კვებაზე გაწეული დანახარჯების ელასტიკურობის კოეფიციენტი, ჩვეულებრივ, ერთზე ნაკლებია. ეს იმას ნიშნავს, რომ შემოსავლის 1%-ით გადიდებისას კვებაზე გაწეული დანახარჯები იზრდება უფრო ნელა. ამავე დროს ელასტიკურობის კოეფიციენტი არასასურსათო საქონლის, განსაკუთრებით

კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის მიხედვით ერთზე მეტია. ეს მონაცემები მოწმობს, რომ მოსახლეობის მოთხოვნილებანი კვების პროდუქტებზე უფრო სრულადაა დაკმაყოფილებული, რის გამოც შედარებით ნაკლები ღონით ახდენენ გავლენას შემოსავლების ზრდაზე. ამავე დროს, მატერიალური კეთილდღეობის ზრდა ძირითადად ვლინდება არასასურსათო საქონელზე მოთხოვნილების ზრდაში, რაც უფრო მაღალი ელასტიკურობით ხასიათდება.

მოთხოვნილების კანონზომიერებათა შემეცნებას ელასტიკურობის კოეფიციენტთა დახმარებით დიდი მნიშვნელობა აქვს საქონელბრუნვის განვითარების პერსპექტივების შეფასებისას.

## 5. საცალო საქონელბრუნვის ერთდროული გამოკვლევები

ჩვენ განვიხილეთ საცალო ვაჭრობის მიმდინარე ანგარიშგება. იგი არ მოიცავს ყველა საკითხს, რომლებიც ახასიათებს საქონელბრუნვის განვითარებას. ამიტომ სახელმწიფო სტატისტიკა პერიოდულად ატარებს ერთდროულ გამოკვლევებს, რომლებიც ეძღვნება სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობის ცალკეულ მხარეთა საფუძვლიან შესწავლას. უკანასკნელი წლების მანძილზე სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ჩაატარა შემდეგი ერთდროული გამოკვლევები:

1. სასურსათო ვაჭრობის პროგრესულ მეთოდთა გამოკვლევა 1959 წელს.
  2. წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის გამოკვლევა 1960 წელს.
  3. სახელმწიფო ვაჭრობის სპეციალიზებული მაღაზიების ერთდროული აღრიცხვა 1962 წელს.
  4. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ერთდროული აღრიცხვა 1963 წელს.
- განვიხილოთ წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის გამოკვლევისა და სახელმწიფო ვაჭრობის სპეციალიზებული მაღაზიების ერთდროული აღრიცხვის ორგანიზაცია და მისი შედეგები.

საცალო საქონელბრუნვის ეს ნაწილი ყოველთვის მოითხოვდა და მოითხოვს დიდ ყურადღებას, რადგან ასეთი გაყიდვა მთლიანად არ ეთანხმება საცალო საქონელბრუნვის ცნებას, რამდენადაც საქონელი ამ შემთხვევაში იყიდება მოსახლეობის ფულადი შემოსავლის გაცვლის გარეშე. სავაჭრო ორგანიზაციების მიმდინარე ანგარიშგება შეიცავს მხოლოდ ზოგად ცნობებს ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის საქონლის მიყიდვის საერთო მოცულობის შესახებ. მაგრამ წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის დაგეგმვისა და რეგულირებისათვის საჭიროა ამ გაყიდვის სასაქონლო სტრუქტურის მონაცემები. აუცილებელია აგრეთვე ვიცოდეთ, თუ რომელი ორგანიზაციები, დაწესებულებანი და საწარმოები ყიდულობენ საქონელს საცალო ვაჭრობიდან და რა ფორმით წარმოებს ეს შესყიდვები — ნაღდ ფულზე თუ უნაღდო ანგარიშსწორებით. საჭიროა ვიცოდეთ აგრეთვე, თუ რა ოდენობით ყიდულობს საქონელს ორგანიზაციები, დაწესებულებები და საწარმოები საკომპლექსური ბაზარზე.

ამ მიზნით 1960 წელს სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ჩაატარა სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ საცალო ვაჭრობასა და საკოლმეურნეო ბაზრებზე საქონლის შესყიდვის შერჩევითი გამოკვლევა. ასეთი გამოკვლევის ჩატარებას ხელს უშლიდა მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური სიძნელე. საქმე ისაა, რომ საცალო სავაჭრო ორგანიზაციებში დოკუმენტირებული იყო ეგრეთ წოდებული წვრილსაბითუმო ბრუნვის მიხედვით წარმოებული საქონლის არა მთლიანი, არამედ მხოლოდ სახელმწიფო ბანკის მეშვეობით უნაღლო ანგარიშსწორების წესით წარმოებული გაყიდვა. ამგვარად, სავაჭრო ორგანიზაციებს არა აქვთ წვრილსაბითუმოდ ანგარიშზე წარმოებული გაყიდვის საერთო მოცულობის განმსაზღვრელი მონაცემებიც კი. გარდა ამისა, ანგარიშთა ასლების მიხედვით ყოველთვის ვერ ხერხდება ზუსტად დავადგინოთ, თუ სახალხო მეურნეობის რომელ დარგს მიეკუთვნება ესა თუ ის მყიდველი. გაყიდვის ასეთ განაწილებას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოკვლევისათვის. დაბოლოს, არავითარი მონაცემები არ არსებობს საკოლმეურნეო ბაზარზე საქონლის შესყიდვის აღრიცხვისათვის. ამიტომ წვრილსაბითუმო საქონლებრუნვის შესწავლა მოგვიხდა მყიდველების — სხვადასხვა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების გამოკვლევის მეშვეობით. სულ გამოკვლეულ იქნა 5500 ობიექტი, განაწილებული 23 ჯგუფად: სამრეწველო საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, სარეწაო კოოპერაციის არტელები, სახელმწიფო და კოოპერაციული დაწესებულებები, სასწავლებლები (სახეთა მიხედვით), სამკურნალო და (სახეთა მიხედვით), სკოლამდელი დაწესებულებანი, კლუბები, თეატრები და სხვა. გამოკვლევა ტარდებოდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში, ცალკეული ოლქების, მხარეებისა და ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით.

გამოსაკვლევი ობიექტების განაწილება რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით წარმოებდა სათანადო ტიპისა და სახის ობიექტების საერთო რიცხოვნების პროპორციულად მიმდინარე ანგარიშგების მონაცემთა საფუძველზე. ამასთან, ობიექტების საერთო რიცხოვნება წინასწარ ნაწილდებოდა ტიპების მიხედვით (მსხვილი, საშუალო, წვრილი); შემდეგ, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონსპექტორის ანდა სტატისტიკური სამმართველოს შეხედულებით, თითოეული ჯგუფიდან სათანადო პროპორციით ამოირჩეოდა ნებისმიერი ობიექტი.

პირველადი საბუღალტრო საბუთებიდან შერჩევის გზით თითოეული ობიექტის მიხედვით იკრიბებოდა ცნობები საცალო ქსელში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და საკოლმეურნეო ბაზარზე საქონლის შესყიდვის შესახებ 1959 წ. დეკემბერში, 1960 წ. მარტში, ივნისსა და აგვისტოში. საქონლის შესყიდვა საცალო ქსელიდან აღირიცხებოდა ნომენკლატურით, რომელიც საქონლის 35 დასახელებას მოიცავდა. ნომენკლატურაში ყოველი საქონლისათვის ცალკე იყო გამოყოფილი ანგარიშსწორების ფორმა — შესყიდვა ნაღდ ანგარიშზე, შესყიდვა უნაღლო ანგარიშსწორების წესით. შესყიდვა საზოგადოებრივ კვებაში არ ნაწილდებოდა საქონლის მიხედვით, ხოლო საკოლმეურნეო ბაზარზე აღირიცხებოდა

საქონლის 12 ჯგუფის მიხედვით. კვლევის ძირითად ამოცანას შეადგენდა ორგანიზაციების შერჩეული ნაწილის მიხედვით მიღებულ აღრიცხვის მონაცემთა გავრცელება ყველა ორგანიზაციის, დაწესებულებისა და საწარმოს მთელ გენერალურ ერთობლიობაზე. ამ მიზნით გამოკვლევის პროგრამა ითვალისწინებდა თითოეული ობიექტის მიხედვით ცნობების მიღებას ძირითად მაჩვენებლებზე, რომლებიც ახასიათებს მისი მოქმედების მოცულობას. მაგალითად: სამრეწველო საწარმოებისა და მრეწვარტელების მიხედვით იღებენ საერთო პროდუქციის მოცულობასა და ხელფასის ფონდს კვარტალში, კოლმეურნეობების მიხედვით — საწარმოო საქირებისათვის გაწეულ ხარჯებს 1959 წლისათვის, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მიხედვით — მოსწავლეთა რიცხვს შესასწავლოთვის ბოლოსათვის და ა. შ. გამოკვლევის შედეგები ვრცელდებოდა თითოეულ მოკავშირე რესპუბლიკაზე მათში გამოკვლეული ობიექტების წილის მიხედვით, მაგალითად, გამოკვლეულ სამრეწველო საწარმოთა წილი განისაზღვრებოდა რესპუბლიკის სათანადო კვარტალის მთელ საერთო პროდუქციაში, გამოკვლეული სკოლამდელი დაწესებულებების წილი — ყველა სკოლამდელ დაწესებულებაში ადგილების საერთო რიცხვში, კოლმეურნეობების წილი — ყველა კოლმეურნეობის მთელ საწარმოო ხარჯებში და ა. შ. სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში, აგრეთვე ცალკეულ საკოლმეურნეო ბაზრებზე გამოკვლეულ ობიექტთა ჯგუფების მიერ წარმოებული შესყიდვის მიღებული წილისა და აღრიცხული მოცულობის საფუძველზე განისაზღვრა ყველა ჯგუფის შესყიდული საქონლის ზოგადი შედეგი. შესყიდვების მთელი გაანგარიშებული მოცულობა (გამოკვლეულ ობიექტთა ყოველი ჯგუფისათვის) შემდეგ ნაწილდებოდა საქონლის ჯგუფისა და გადახდის ფორმის მიხედვით გამოკვლეულ ობიექტთა ჯგუფების აღრიცხვის მონაცემთა პროპორციულად. სსრ კავშირის მასშტაბით ყველაზე გავრცელებული ჯამები მიიღეს მოკავშირე რესპუბლიკების ანალოგიურ მაჩვენებელთა შეჯამების გზით.

გამოკვლევით დადგინდა, რომ საქონლის მიყიდვა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის შეადგენდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 6,8%-ს. ნაღდი ფულით საქონლის გაყიდვაზე მოდიოდა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ საცალო ვაჭრობიდან წარმოებული შესყიდვების 3,5% (ანუ საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 0,24%).

წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის წილი საცალო საქონელბრუნვაში მნიშვნელოვნად მერყეობს მოკავშირე რესპუბლიკათა მიხედვით. წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის წილი მეტად მნიშვნელოვანია შუა აზიის რესპუბლიკებში: უზბეკეთში — 14,4%, ტაჯიკეთში — 12,5%, თურქმენეთში — 12,2%. ეს აიხსნება პურპროდუქტების მნიშვნელოვანი შესყიდვებით აღნიშნულ წლებში, რასაც აწარმოებენ კოლმეურნეობები სამამხმარებლო კოოპერაციის საცალო ვაჭრობიდან.

წვრილსაბითუმო საქონელბრუნვა ყველაზე ნაკლებია ბალტიისპირა რესპუბლიკებში: ესტონეთში — 5,6%, ლატვიაში — 6%, ლიტვაში — 6,5%.

გამოკვლევით დადგინდა საქონლის მყიდველთა შემადგენლობა წვრილსაბითუმო ბრუნვის მიხედვით. მყიდველთა ძირითადი ჯგუფია სოციალურ-კულტურული ტიპის დაწესებულებანი, რომლებიც უმთავრესად ყიდულობენ სასურსათო საქონელს. მყიდველთა ეს ჯგუფი შეადგენს წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 43%-ს. მათ შორის 15% მოდის სამკურნალო-სანატორიულ დაწესებულებებზე, 14% — სკოლამდელ, 10% — სასწავლო დაწესებულებებზე. მეორე ადგილს იკავებს კოლმეურნეობები — წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 35%, რომლებიც მოთხოვნილებებს ადგენენ უმთავრესად სამშენებლო მასალებზე. მესამე ადგილზეა საწარმოო წამოწყებანი, უმთავრესად სამრეწველო საწარმოები, რომლებიც შეადგენენ წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 11%-ს. მყიდველთა შემადგენლობა მნიშვნელოვნად მერყეობს მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით: შუა აზიის რესპუბლიკებში კოლმეურნეობების მიერ წარმოებული შესყიდვა უდრის მთელი წვრილსაბითუმო ბრუნვის 60—70%-ს, ხოლო რსფსრ-სა და ბალტიისპირა რესპუბლიკებში — მხოლოდ 25—30%-ს. შუა აზიაში კოლმეურნეობათა შესყიდვის მაღალი წილი, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, აიხსნება პურპროდუქტების დიდი რაოდენობით შესყიდვით.

დიდი მნიშვნელობა აქვს წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის დახასიათებასაც. წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის მთელი მოცულობიდან 48% მოდის სასურსათო საქონელზე, ხოლო 52% — არასასურსათოზე. მთელ საცალო ვაჭრობაში უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არასასურსათო საქონელს (54%), ხოლო სასურსათო საქონლის წილად მოდის 46%. ამ დიდ სასაქონლო ჯგუფთა საქონლური შემადგენლობა ძლიერ განსხვავდება: წვრილსაბითუმო საქონელბრუნვაში რძის პროდუქტებს, ცხიმს, ბურღულს, მაკარონის ნაწარმს, კარტოფილს, ბოსტნეულსა და ხილს უჭირავს 17%, ნაცვლად 9%-ისა მთელ საქონელბრუნვაში; სამაგიეროდ ხორცპროდუქტების, თევზპროდუქტების, შაქრის, საკონდიტრო ნაწარმის, პურეული საქონლის წილი საცალო საქონელბრუნვაში უფრო მაღალია — 20%, ვიდრე წვრილსაბითუმო საქონელბრუნვაში — 14%. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია განსხვავება სასურსათო საქონლის შემადგენლობაში: ქსოვილების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის წილი მთელ საქონელბრუნვაში შეადგენს 20%-ს, ხოლო წვრილსაბითუმო საქონელბრუნვაში — მხოლოდ 6%-ს. არასასურსათო საქონლის წვრილსაბითუმო საქონელბრუნვაში მთავარი ადგილი ეკუთვნის საწარმოო დანიშნულების საქონელს (ძირითად სამშენებლო მასალებს): მათ უჭირავთ არასასურსათო საქონლის მთელი წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის ნახევარზე მეტი.

გამოკვლევამ შესაძლებლობა მოგვცა შეგვესწავლა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების ცალკეულ ჯგუფთა მიერ წარმოებული შესყიდვის სასაქონლო სტრუქტურა. სოციალურ-კულტურული ტიპის დაწესებულებები უმთავრესად ყიდულობენ სასურსათო საქონელს (ყველა შესყიდვის 82%), კოლმეურნეობები — არასასურსათო საქონელს (ყველა შესყიდვის 75%, რომელთაგან



61% მოდის საწარმოო დანიშნულების საქონელზე). სასურსათო საქონლიდან, რომელსაც კოლმეურნეობები იძენენ საცალო ვაჭრობაში, თითქმის 80% მოდის საფურაყე მარცვლეულის შესყიდვაზე.

გამოკვლევამ პირველად მოგვცა საშუალება დაგვედგინა, თუ საცალო ქსელიდან ცალკეული საქონლის რა ნაწილი მიეყიდებოდა ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს. აღმოჩნდა, რომ წვრილსაბითუმო გაყიდვის წესით იყიდებოდა რძისა და რძის ნაწარმის 18%, კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის 11% და ცხიმის 10%.

წვრილსაბითუმო გაყიდვას განსაკუთრებით დიდი ადგილი უჭირავს ცალკეული არასასურსათო საქონლის გაყიდვაში: სამშენებლო მასალებს — 60%, ქაღალდსა და საკანცელარიო საქონელს — 22%, ელექტროსაქონელს — 16%.

წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის გამოკვლევის შედეგებმა შესაძლებლობა მოგვცა დაგვეყენებინა საკითხი: რამდენად გამართლებულია წვრილსაბითუმო ვაჭრობის წესით ცალკეული საქონლის, უმთავრესად არასასურსათო საქონლის გაყიდვა? თუ მთელი სამშენებლო მასალების 60% იყიდება წვრილსაბითუმო ვაჭრობის წესით, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობისათვის რჩება მთელი სამშენებლო მასალების მხოლოდ 40%. თუ გამოვირიცხავთ კოლმეურნეობათათვის მიყიდვას, მაინც აღმოჩნდება, რომ საბაზრო ფონდიდან სამშენებლო მასალების 15% მიეყიდება სხვადასხვა ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს.

ელექტროსაქონლის თითქმის ერთი მეექვსედი საცალო ვაჭრობიდან მიეყიდება ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს, რომელთაგან ნახევარზე მეტი იყიდება უმთავრესად სამრეწველო საწარმოებზე. ბოლოს, წვრილსაბითუმო გაყიდვის წესით ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და ავეჯის თითქმის ნახევარზე მეტი მიეყიდა სამრეწველო საწარმოებს. სხვადასხვა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის (კოლმეურნეობებისა და სოციალურ-კულტურული ტიპის დაწესებულებების გარდა) საქონლის მიყიდვის საერთო თანხა ერთი წლისათვის შეადგენდა 1 მლრდ მანეთს, ანუ წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის მთელი მოცულობის 20%-ს. ბუნებრივად იბადება კითხვა: რამდენად მიზანშეწონილია ასეთი დიდი ოდენობით საქონელბრუნვის წარმოება მოსახლეობისათვის მისაყიდად განკუთვნილი საბაზრო ფონდების ანგარიშზე?

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ორგანიზაციები, დაწესებულებანი და საწარმოები საქონლის მნიშვნელოვან შესყიდვას აწარმოებენ საკოლმეურნეო ბაზრებზე. საკოლმეურნეო ბაზრებზე ასეთი შესყიდვის მთელი მოცულობა შეადგენდა დაახლოებით 450 მლნ მანეთს წელიწადში, რაც ეტოლება საკოლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 12%-ს. ამგვარად, ორგანიზაციებმა დაწესებულებებმა და საწარმოებმა 1960 წელს სახელმწიფო და კოოპერატიული ვაჭრობაში შეისყიდეს 5147 მლნ მანეთის საქონელი, ხოლო საკოლმეურნეო ბაზარზე — 450 მლნ მანეთისა. მაშასადამე, საქონლის შეძენა საკოლმეურნეო

ბაზარზე შეადგენს ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ საცალო ვაჭრობაში შესყიდული მთელი საქონლის 8%-ს.

საკოლმეურნეო ბაზრებზე საქონლის შემსყიდველთა შემადგენლობაში პირველ ადგილზე დგანან სასაღილოები და რესტორნები: მათ წილად მოდის საკოლმეურნეო ბაზარზე წარმოებული მთელი შესყიდვის 46%. სასაღილოები და რესტორნები საკოლმეურნეო ბაზრებზე უმთავრესად იძენენ ხორცპროდუქტებს, კარტოფილს, ბოსტნეულსა და ხილს. შემდეგ მოდიან საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები, რომელთა შესყიდვაც საკოლმეურნეო ბაზრებზე წარმოებული მთელი შესყიდვის დაახლოებით 29%-ს შეადგენს.

საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები საკოლმეურნეო ბაზარზე ყიდულობენ უმთავრესად არასასურსათო საქონელს (ფურაყი, სათბობი და სხვ.). საკოლმეურნეო ბაზარზე მნიშვნელოვან შესყიდვებს აწარმოებენ აგრეთვე სამრეწველო, უმთავრესად სარეწაო კოოპერაციის საწარმოები, რომელთა წილი შეადგენს დაახლოებით 15%-ს; შესასყიდ პროდუქტთა შემადგენლობაში ჭარბობს ხილი გადამუშავებისათვის. სოციალურ-კულტურული ტიპის დაწესებულებათა შესყიდვა შეადგენს ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ საკოლმეურნეო ბაზრებზე წარმოებული მთელი შესყიდვის 8%-ს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სახელმწიფო ვაჭრობის სპეციალიზებული მაღაზიების ერთდროული აღრიცხვა 1962 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით. ასეთი გამოკვლევის ამოცანას შეადგენდა სპეციალიზებულ მაღაზიათა საფუძვლიანი შესწავლა, იმ მონაცემთა მიღება, რომლებიც აუცილებელი იყო მაღაზიების მუშაობის ძირითადი ხარისხობრივი მაჩვენებლების განმსაზღვრელ ფაქტორთა გამოვლენისათვის.

აღრიცხვა ორგანიზაციულად ძალზე მარტივად წარმოებდა: სავაჭრო ორგანიზაციებს (ტორგებს) უნდა წარედგინათ თავიანთი ყველა მაღაზიის სახელობითი სია ყოველი მაღაზიის სასაქონლო სპეციალიზაციისა და რიგი მაჩვენებლის მითითებით: ფართობი, მათ შორის სავაჭრო დარბაზის ფართობი, სამუშაო ადგილთა რიცხვი, მუშაკთა რიცხოვნება, მათ შორის გამყიდველების რიცხვი, საცალო საქონელბრუნვა, სასაქონლო მარაგი და ხელფასის ფონდი. ერთდროული აღრიცხვის შედეგების დამუშავება ჩატარდა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში სასაქონლო სპეციალიზაციის ყოველი სახეობის მიხედვით დაჯგუფების რამდენიმე ნიშნის (1961 წლის IV კვარტალის საქონელბრუნვის სიდიდე, ფართობი და სამუშაო ადგილთა რიცხვი) გამოყენებით.

მოვახდინოთ ამ აღრიცხვის მასალების დამუშავებით მიღებულ შედეგთა ზოგიერთი ძირითადი დასკვნის ანალიზი. უპირველეს ყოვლისა, დამუშავების შედეგებმა გვიჩვენა საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია უფრო მსხვილ მაღაზიებში. თუ მაღაზიის საშუალო საქონელბრუნვა სახელმწიფო ვაჭრობაში 1961 წლის IV კვარტალში შეადგენდა 93 ათას მანეთს (დღეში 1000 მანეთზე ცოტა მეტს), მაშინ წვრილი მაღაზიების რიცხვი 10 ათას მანეთამდე საქონელბრუნვით კვარტალში (110 მან. დღეში) უდრიდა მაღაზიების საერთო რიცხვის

12,4%-ს და მთელი საქონელბრუნვის 0,9%-ს; ამჟვე დროს, მსხვილ მალაზიებს 200 ათას მანეთზე მეტი საქონელბრუნვით კვარტალში (დაახლოებით 2200 მან. დღეში) მალაზიების საერთო რიცხვში ეჭირა 9,4%, მაგრამ მათ წილად მოდიოდა მთელი საქონელბრუნვის 50,6%. ასეთი ტენდენცია შეიმჩნეოდა სპეციალიზებულ მალაზიათა ყველა ჯგუფში (ამის შესახებ დაწვრილებით იხილეთ XIII თავში).

თუ რა გავლენას ახდენს ეს გარემოება მალაზიების მუშაობის ეკონომიურ მარევენებლზე, გვიჩვენებს მალაზიათა დაჯგუფება საქონელბრუნვის სიდიდის მიხედვით:

მალაზიების ჯგუფები 1961 წლის IV კვარტალის საქონელბრუნვის სიდიდის მიხედვით (ათას მან.)	შრომის ნაყოფიერება (ათას მან.)	საქონელბრუნვა სავაჭრო დარბაზის 1 კვმ ფართობზე (ათას მან.)	საქონელბრუნვა სასაქონლო მარაგის 1 მანეთზე (მან. კაპ.)
5-მდე	2,4	0,1	0-62
5-10	5,0	0,3	0-84
10-15	7,1	0,5	1-32
15-20	8,4	0,6	0-89
20-40	9,5	0,8	1-27
40-60	10,0	1,0	1-62
60-80	10,3	1,1	1-23
80-100	10,4	1,3	1-57
100-150	10,8	1,4	1-92
150-200	10,3	1,6	2-07
200-ზე მეტი	13,1	2,1	1-98
ჯ ა მ ი (საშუალოდ)	11,3	1,4	1-72

ცხრილი გვიჩვენებს საცალო საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით მალაზიების სიდიდესა და მათი მუშაობის უმნიშვნელოვანეს ხარისხობრივ მარევენებლებს შორის ზუსტად გამოსახულ კავშირს. ჯერ ერთი, რაც უფრო მსხვილია მალაზია საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, მით უფრო მაღალია შრომის ნაყოფიერება—მაშასადამე, უფრო მსხვილ მალაზიებში ეფექტურად გამოიყენება შრომითი რესურსები. მეორე, რაც უფრო მსხვილია მალაზია საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, მით უფრო მეტია საქონელბრუნვა სავაჭრო დარბაზის ფართობის ერთეულზე. ეს ნიშნავს, რომ შედარებით მსხვილ მალაზიებში უფრო ეფექტურად გამოიყენება მატერიალური ბაზა. მესამეც, რაც უფრო მსხვილია მალაზია საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, საქონელბრუნვის მით უფრო მეტი თანხა მოდის სასაქონლო მარაგის ერთ მანეთზე, მაშასადამე — სასაქონლო მარაგი, როგორც ვაჭრობის საბრუნავი ფონდის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი, უფრო ეფექტურად გამოიყენება შედარებით მსხვილ მალაზიებში. ასეთი კანონზომიერება შეიმჩნევა სასაქონლო სპეციალიზაციის სხვადასხვა სახის ყველა მალაზიაში.

ამ კანონზომიერების შემეცნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება, თუ მას კორელაციური ანალიზის დახმარებით რაოდენობრივ გამოსახულებას მივცემთ.

## საზოგადოებრივი კვების საქონელზრუნვის სტატისტიკა

### 1. საზოგადოებრივი კვების ცნება, ორგანიზაცია და სტატისტიკის ამოცანები

საზოგადოებრივი კვება საცალო ვაჭრობის ერთ-ერთი სახეობაა. მაგრამ საზოგადოებრივი კვების არსი და მნიშვნელობა სოციალისტურ საზოგადოებაში სრულიადაც არ იფარგლება მარტოდღენ სავაჭრო ფუნქციებით.

საზოგადოებრივი კვება წარმოადგენს წვრილი შინამეურნეობის გარდაქმნის ფაქტორს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ წვრილი შინამეურნეობა ფლანგავს ქალის შრომას არანაყოფიერი, წვრილმანი, ნერვებამშლელი, დამაჩლუნგებელი და დამაბეჩავებელი შრომით. საზოგადოებრივ კვებას მან უწოდა „კომუნისმის ყლორტები“ და ამავდროს ხაზს უსვამდა, რომ მათ „...საქმით შეუძლიათ გაათავისუფლონ ქალი, საქმით შეუძლიათ შეამცირონ და მოსპონ ქალის უთანასწორობა მამაკაცთან, მისი როლის კვალობაზე საზოგადოებრივ წარმოებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“<sup>1</sup>.

აი, რატომ არის, რომ პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ საზოგადოებრივი კვების განვითარებას. სკკპ პროგრამაში ჩაწერილია: „განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს საზოგადოებრივი კვების ქსელის, მათ შორის საწარმოებთან, დაწესებულებებთან და დიდ სახლებთან სასადილოების ქსელის გაფართოება, რათა მთლიანად დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნილებანი. ძირეულად უნდა გაუმჯობესდეს მომხმარებელთა მომსახურება და სასადილოების პროდუქციის ხარისხი, რათა სასადილოების სადილები გემრიელი და ყუათიანი იყოს და ოჯახს უფრო იაფი უჯღებოდეს, ვიდრე საჭმლის შინ მომზადება“.

საზოგადოებრივი კვება, როგორც ვაჭრობის დარგი, თითქმის თავიდან შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების წლებში. 1924 წელს საზოგადოებრივი კვების ქსელში სულ ირიცხებოდა 15,1 ათასი ერთეული, მათ შორის სოციალისტურ სექტორს ეკუთვნოდა მხოლოდ 9,4 ათასი საწარმო. 1965 წელს გვექონდა საზოგადოებრივი კვების 193 ათასი საწარმო. მნიშვნელოვნად ამაღლდა მოსახლეობის უზრუნველყოფა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელითა 1928 წელს მოსახ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 502.

ლეობის 10 ათას სულზე მოდიოდა საზოგადოებრივი კვების მხოლოდ ერთი საწარმო, 1965 წელს კი მათი რიცხვი რევამდე ავიდა.

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის მოცულობა 1965 წელს შეადგინდა 10,1 მლრდ მანეთს და 1940 წელთან შედარებით 2,9-ჯერ გაიზარდა. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის წილი მთელ საქონელბრუნვაში გადიდა 5-დან 10 %-მდე. სკკპ XXIII ყრილობის დირექტივებით საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის მოცულობა 1966—1970 წწ. გაიზარდა თითქმის 1,5-ჯერ მთელი საცალო საქონელბრუნვის 43,5%-ით ზრდასთან შედარებით.

საზოგადოებრივი კვება, როგორც ვაჭრობის დარგი, მოიცავს სპეციალიზებულ სავაჭრო ორგანიზაციას და საწარმოთა საქმიანობას, რომლებიც ახორციელებენ კერძების მომზადებას და მის მიყიდვას უშუალოდ მოსახლეობისათვის ძირითადად საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მოსახმარებლად. მაგრამ საზოგადოებრივი კვების სფერო (ფართო მნიშვნელობით) არ შემოიფარგლება მხოლოდ სავაჭრო სისტემებად გაერთიანებულ საწარმოთა ქსელით.

გარდა ამისა, საზოგადოებრივი კვება ხორციელდება აგრეთვე სოციალურ-კულტურული ტიპის დაწესებულებათა სისტემის მეშვეობით; ასეთებია: სანატორიუმები, დასასვენებელი სახლები, საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებანი; ამ დაწესებულებათა მეშვეობით ხორციელდება უფრო კვალიფიციური საზოგადოებრივი კვება. მაგრამ სოციალურ-კულტურული ტიპის დაწესებულებებში კონტინენტის კვება არ შედის საზოგადოებრივ კვებაში, როგორც ვაჭრობის დარგი. ამ დაწესებულებებზე გაცემული პროდუქტების ღირებულება აღირიცხება სავაჭრო ქსელის საცალო საქონელბრუნვაში (ეგრეთ წოდებული წვრილსაბითუმო ბრუნვის მიხედვით).

საცალო საქონელბრუნვის აღრიცხვის ამჟამად მოქმედი წესი ამცირებს საქონელბრუნვას და საზოგადოებრივი კვების წილს.

პროდუქტები, რომლებიც გაიცემა სოციალურ-კულტურული ტიპის დაწესებულებებზე, აღირიცხება საცალო ფასებში, მაშინ როცა ამ დაწესებულებათა კონტინენტის კვება დარიცხვის ღირებულებაზე მეტი ჯდება. მაშასადამე, არსებული წესი ვერ აღრიცხავს საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობასაც.

საზოგადოებრივ კვებას ჩვენს ქვეყანაში ახორციელებს სახელმწიფო და კოოპერაციული სავაჭრო ორგანიზაციები საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ფართო ქსელის მეშვეობით რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში.

ქვემოთ მოტანილია მონაცემები საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საცალო საქონელბრუნვის შესახებ ძირითადი სისტემების მიხედვით 1965 წლისათვის:

სახელმწიფო ვაჭრობის წილად მოდის საზოგადოებრივი კვების მთელი საქონელბრუნვის 81%. საზოგადოებრივი კვების წამყვან სისტემას ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში წარმოადგენს სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს სისტემა, რომლის წილაც მოდის საზოგადოებრივი კვების მთელი საქონელბრუნვის 59%. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემა ქმნის საზოგადოებრივი კვების

	მლრდ მან.	პროცენტობით ჯამისაღმე
სახელმწიფო ორგანიზაციები	8,2	81
მათ შორის:		
სსრ კავშირის ვაქრობის სამინისტრო	6,0	59
მუშათა მომარაგების განყოფილებები და პროდუქტმომარაგებანი	1,9	19
დანარჩენი ორგანიზაციები	0,3	3
კოოპერატიული ორგანიზაციები („ცენტროსოიუზი“)	1,9	19
ს უ ლ	10,1	100

საწარმოთა ქსელს სოფლის მეცხოვრებთა მომსახურებისათვის; საზოგადოებრივი კვების მთელ საქონელბრუნვაში მას უჭირავს 19%.

საზოგადოებრივი კვების სტატისტიკა სწავლობს შემდეგ მაჩვენებლებს:

- ა) საქონელბრუნვის საერთო მოცულობა საბითუმო და საცალო საქონელბრუნვის გამოყოფით;
- ბ) საქონელბრუნვის სტრუქტურა პროდუქციის სახეთა მიხედვით საკუთარი წარმოების პროდუქციის გამოყოფით;
- გ) სასადილო პროდუქციის მოცულობა და შემადგენლობა;
- დ) საკუთარი წარმოებისა და გარედან მიღებული ნახევარფაბრიკატების, კულინარული ნაწარმის მოცულობა და შემადგენლობა.
- ე) პროდუქტების ხარჯვა საზოგადოებრივი კვების საწარმოებში.

## 2. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის საერთო მოცულობის სტატისტიკა

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის საერთო მოცულობის მაჩვენებლებმა არსებითი ცვლილება განიცადა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის დადგენილებით—„საზოგადოებრივი კვების განვითარებისა და შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“—შემდეგ, ამ დადგენილებით დაიწყო საზოგადოებრივი კვების სერიოზული რეორგანიზაცია ჩვენს ქვეყანაში.

რეორგანიზაცია ძირითადად გულისხმობს ყოველ საწარმოში ნედლეულის არარაციონალურ პირველად დამუშავებაზე უარისთქმას და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა უმეტესი ნაწილის გადაყვანას ნახევარფაბრიკატების დამუშავებაზე, ნახევარფაბრიკატების წარმოება თავს იყრის ფაბრიკა-სამზარეულოებში, დამამზადე-

ბელ და საზოგადოებრივი კვების სხვა მსხვილ საწარმოებში, რომლებიც ნახევარ-ფაბრიკატებით ამარაგებენ სასადილოთა და სასაუზმეთა ქსელს; ნახევარფაბრიკატების წარმოება ეწყობა სამრეწველო საწარმოებშიც.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის ჩატარებულმა რეორგანიზაციამ მოითხოვა პირობითი ცვლილებების შეტანა საზოგადოებრივი კვების სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემაში: წარმოიშვა საკუთარი წარმოების პროდუქციის, აგრეთვე საბითუმო საქონელბრუნვისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქონელბრუნვის ერთობლივი მოცულობის (საბითუმო და საცალო) აღრიცხვის აუცილებლობა, საქირო გახდა სპეციალური დაკვირვების ჩატარება ნახევარფაბრიკატების გამომუშავებასა და მომარაგებაზე.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქონელბრუნვა შედგება ორისა ხის გაყიდვისაგან; ესენია: ა) საცალო საქონელბრუნვა, რომელიც წარმოადგენს საქონლის მიყიდვას მოსახლეობისათვის; ბ) საბითუმო საქონელბრუნვა (საქონლის მიყიდვა საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოების, აგრეთვე სავაჭრო საწარმოებისათვის ამ საქონლის შემდგომ გასაყიდად მოსახლეობაზე).

საცალო და საბითუმო საქონელბრუნვათა ჯამს ქმნის საწარმოს მთელი სავაჭრო საქმიანობის განზოგადებულ მაჩვენებელს.

საცალო საქონელბრუნვა წარმოადგენს საზოგადოებრივი კვების ძირითად სახალხომეურნეობრივ მაჩვენებელს, იგი შედგება შემდეგი სახის გაყიდვათაგან: ა) სადილების, საუზმეების, სასმელებისა და სხვა საქონლის მიყიდვა მოსახლეობისათვის საზოგადოებრივი კვების ქსელის საშუალებით (სასადილოები, რესტორნები, ბუფეტები და სხვა), აგრეთვე სავაჭრო ქსელის მეშვეობით, რომელიც ეკუთვნის საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებსა და საწარმოებს (კულინარიისა და ნახევარფაბრიკატების მლაზიები, დატარებითი ქსელი); ბ) სადილის, საუზმის, სასმელისა და სხვა საქონლის მიყიდვა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის მეშვეობით ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის მათ მომსახურებაში მყოფი კონტინენტების გამოსაკვებად; გ) საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ამონაგები შემკვეთის ნედლი მასალით მომზადებული სადილებიდან. საზოგადოებრივი კვების საცალო საქონელბრუნვაში არ შედის საქონლის საბითუმო გაყიდვა, აგრეთვე არასასაქონლო ოპერაციებით მიღებული ამონაგები (ამონაგები საბილიარდოებიდან, საპარიკმახეროებიდან და სხვა საყოფაცხოვრებო საწარმოებიდან, რომლებიც არსებობს საზოგადოებრივი კვების საწარმოებთან).

საცალო ვაჭრობის უპირატეს ფორმას საზოგადოებრივი კვების საწარმოებში შეადგენს გაყიდვა ნაღდ ანგარიშზე. საქონლის მცირე ნაწილი ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს მიეყიდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მეშვეობით.

საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ისევე როგორც საცალო ვაჭრობის საწარმოებში, ცნობათა წყარო საცალო საქონელბრუნვის მოცულობაზე არის საწარმოს სასაქონლო-ფულადი ანგარიში. სასაქონლო-ფულადი ანგარიშის მონაცემთა საფუძველზე პირველად ორგანიზაციაში (ტრესტი, სახელმწიფო სავაჭრო ორ-

განიზაცია, მუშათა მომარაგების განყოფილება, სოფლის მომხმარებელთა საზოგადოება) დგება ანგარიშგება საცალო საქონელბრუნვის შესახებ, რომელიც საეპრო სისტემის სათანადო რგოლებს წარედგინება ტელეგრაფით.

ისევე როგორც საეპრო ქსელში, საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაზე ანგარიშგებაშიც, კვარტალში ერთხელ გამოიყოფა საქონლის მიყიდვა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოებისათვის (ეგრეთ წოდებული წვირისაბითუმო ბრუნვა).

საზოგადოებრივი კვების საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის მონაცემთა დამუშავება და ანალიზი წარმოებს იმავე საფუძველზე, როგორც საცალო ქსელში (იხ. თავი IV).

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა დიდი უმრავლესობისათვის საცალო გაყიდვა წარმოადგენს საქონელბრუნვის ერთადერთ სახეს. ფაბრიკა-სამზარეულოების, დამამზადებელი და მსხვილი სასაბოლოებისათვის, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოთა მომარაგებას ნახევარფაბრიკატებით, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბითუმო საქონელბრუნვას; ასეთი საწარმოებისათვის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა უკვე აღარ წარმოადგენს ისეთ განზოგადებულ მაჩვენებელს, რომელიც დავიხსანათებდა წარმოების მოცულობას, როგორც ამას ადგილი ჰქონდა 1959 წლამდე. სამზარეულო ნაწარმის გამომუშავებაზე დახარჯულ პროდუქტთა, შრომისა და მიმოქცევის ხარჯთა მნიშვნელოვანი ნაწილი მსხვილ საწარმოებში მოდის საკუთარი პროდუქციის იმ ნაწილზე, რომელიც მიეყიდა სხვა საეპრო საწარმოებსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებს საბითუმო გაყიდვის წესით. ამრიგად, საზოგადოებრივი კვების მსხვილი საწარმოებისათვის, რომლებიც ნახევარფაბრიკატებით ამარაგებენ სხვა საწარმოებს, მათი საქმიანობის განზოგადებულ მაჩვენებელს წარმოადგენს მთელი მათი საქონელბრუნვა—საბითუმოს პლუს საცალო. ამიტომ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა კვარტალურ ანგარიშგებაში გათვალისწინებულია საქონელბრუნვის სამი სახე: საცალო, საბითუმო და საქონელბრუნვის მთელი მოცულობა, როგორც საბითუმო და საცალო საქონელბრუნვათა ჯამი. საქონელბრუნვის მთელი მოცულობა საზოგადოებრივი კვების ცალკეულ საწარმოთათვის წარმოადგენს ბაზას რენტაბელობის მაჩვენებლების გამოსანგარიშებლად; დარიცხვის, ხარჯებისა და მოგების დონე ცალკეულ საწარმოებში გაიანგარიშება პროცენტულად საწარმოს მთელი საქონელბრუნვის მიმართ; საწარმოს საქონელბრუნვის მთელი მოცულობის მიმართ გაიანგარიშება ხელფასის ფონდის დონეც.

### 8. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტრუქტურის სტატისტიკა

საცალო ვაჭრობისაგან განსხვავებით, საცალო საქონელბრუნვის სტრუქტურა საზოგადოებრივ კვებაში უფრო დეტალურად შეისწავლება. საქონელბრუნვის სტრუქტურის სტატისტიკა წარმოებს შემდეგი ნიშნების: ა) პროდუქციის სახეთა; ბ) გაყიდვის სახეთა; გ) ფასწარმოქმნის ელემენტთა; დ) სასაქონლო ჯგუფთა მიხედვით. საქონელბრუნვის სტრუქტურის ამგვარი დეტალური შესწავლა გა-



პირობებულა საზოგადოებრივი კვების სპეციფიკური თავისებურებებით, რომელიც თავისთავში აერთიანებს საწარმოო და საჯარო ფუნქციებს.

საქონლებრუნვის სტრუქტურის სტატისტიკა პროდუქციის სახეთა მიხედვით

საზოგადოებრივი კვების საქონლებრუნვა პროდუქციის სახეთა მიხედვით იყოფა ორ კატეგორიად; ესენია: საკუთარი წარმოების პროდუქციისა და შესყიდული საქონლის გაყიდვები.

საკუთარი წარმოების პროდუქციას მიეკუთვნება მზა ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები, რომლებიც გამომუშავებულია საწარმოს სამზარეულოსა და მის დამხმარე საამქროებში პროდუქტთა თბური ან ცივი კულინარული დამუშავების გზით; ესენია—სასადილო კერძები, ცხელი და ცივი საუზმეები, ბუტერბროდები, საკუთარი წარმოების ფქვილისა და საკონდიტრო ნაწარმი, უალკოჰოლო სასმელები, საკუთარი წარმოების ნაყინი, ჩაი, ყავა, კაკაო, ნაღული რძე. აღრიცხვის თანამედროვე პრაქტიკა საკუთარი წარმოების პროდუქციას მიაკუთვნებს აგრეთვე რძესა და რძის პროდუქტებს, რომლებიც, მართლაც, არ იწარმოება საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, მაგრამ მოითხოვს სამზარეულოს მუშაკთა შრომის მნიშვნელოვან დანახარჯებს, რათა შესაძლებელი გახდეს მათი მოხმარება მოსახლეობის მიერ.

შესყიდულია ისეთი საქონელი, რომელიც მიეყიდება მოსახლეობას მზა სახით, წინასწარი თბური და სხვა კულინარული დამუშავების გარეშე; პურფუნთუშეული, საკონდიტრო ნაწარმი, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო ნაწარმი, ნაყინი, ზილი, პაპიროსი და სხვა საქონელი, რომელსაც ყოველგვარი გადამუშავების გარეშე ყიდის ბუფეტით.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქონლებრუნვის დაყოფას საკუთარი წარმოების პროდუქციად და შესყიდულ საქონლად დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების განვითარების დასახასიათებლად. საზოგადოებრივი კვების ერთ-ერთი ამოცანაა მოსახლეობის უზრუნველყოფა ცხელი კერძებით, პირველ ყოვლისა, სადილებითა და საუზმეებით. სწორედ ამ გეზით უნდა მიმდინარეობდეს უმთავრესად წვრილი საოჯახო მეურნეობის გარდაქმნა და ქალის ნამდვილი განთავისუფლება საოჯახო სამზარეულოზე ფიქრისაგან; ეს გარემოება მოითხოვს საზოგადოებრივი კვების განვითარებას უპირატესად საკუთარი წარმოების პროდუქციის დამზადების მიმართულებით.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საკუთარი წარმოების პროდუქციის წილი საზოგადოებრივი კვების საქონლებრუნვაში განუხრელად მატლდება: 27%—1950 წელს, 36%—1955 წელს, 48%—1960 წელს და 55%—1965 წელს.

საქონლებრუნვის სტრუქტურის სტატისტიკა გაყიდვის სახეთა მიხედვით

როგორც უკვე აღინიშნა, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გარდაქმნა ხორციელდება ფაბრიკა-სამზარეულოებში, ფაბრიკა-დამამზადებლებსა და მსხვილ სასადილოებში ნახევარფაბრიკატების წარმოების კონცენტრაციისა და

ამ ნახევარფაბრიკატებით საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოთა მომარაგების გზით, რომლებიც, ამრიგად, თავისუფლდებიან ნედლეულის პირველადი გადაამუშავებისაგან. სწორედ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მომარაგება ნახევარფაბრიკატებით წარმოადგენს საბითუმო საქონელბრუნვის ობიექტს საზოგადოებრივი კვების მსხვილი საწარმოებისათვის. ნახევარფაბრიკატების გარდა, საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებს საბითუმო საქონელბრუნვის წესით მიეყილება აგრეთვე: კულინარული, საკონდიტრო და საკუთარი წარმოების სხვა ნაწარმი. მაგრამ საკუთარი წარმოების პროდუქციის მიყიდვა საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებისათვის არ არის საბითუმო გაყიდვის ერთადერთი სახე. საზოგადოებრივი კვების მსხვილი საწარმოები ნახევარფაბრიკატებს, კულინარულ და საკონდიტრო ნაწარმს მიჰყიდიან საცალო ვაჭრობის საწარმოებსა და ორგანიზაციებს: სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციათა მალაზიებს, „გასტრონომის“ მალაზიებს და სხვა. საბითუმო საქონელბრუნვის ეს სახეობა ანგარიშგებაში ცალკე უნდა გამოიყოს.

სწორედ ზემოხსენებულ შენიშვნათა გათვალისწინებით არის შედგენილი საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქონელბრუნვის ყოველკვარტალური ანგარიშგება, რომელიც დგება შემდეგი ფორმით (ათას მან.):

	გეგმა	ფაქტური
1. საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაცია—სულ მათ შორის:		
ა) საცალო გაყიდვა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციათა საცალო ქსელის მეშვეობით წარმოებული გაყიდვების ჩათვლით		
ბ) ბითუმად გაყიდვა და გადაცემა საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის		
გ) ბითუმად გაყიდვა და გადაცემა საცალო ვაჭრობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის		
2. შესყიდული საქონლის საცალო გაყიდვა		
3. საზოგადოებრივი კვების მთელი საქონელბრუნვა (1+2) მათ შორის		
საცალო საქონელბრუნვა (1ა+2)		
4. საცალო საქონელბრუნვის საერთო ჯამიდან ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე წარმოებული გაყიდვები (წვრილსაბითუმო ბრუნვა)		

აღნიშნული ფორმით წარმოდგენილი საანგარიშო მონაცემები გვაძლევს პროდუქციისა (საკუთარი პროდუქცია და შესყიდული საქონელი) და გაყიდვის სახეების (საბითუმო და საცალო საქონელბრუნვა) მიხედვით საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საქონელბრუნვის სტრუქტურის დაწვრილებით დახასიათებას. 1 ა სტრიქონში ნაჩვენებია საკუთარი წარმოების პროდუქციის საცალო გაყიდვა არა მარტო საწარმოთა სასადილო დარბაზისა და ბუფეტებიდან, არამედ საკუთარი საცალო ქსელის (მალაზიების, ფარლულების. დატარებითი ქსელის) მეშვეობით

თაც, რომლებიც ეკუთვნის საზოგადოებრივი კვების მოცემულ საწარმოს. ამრიგად, პროდუქციის გაცემა საკუთარ საცალო ქსელში არ წარმოადგენს საბითუმო საქონელბრუნვას და არ აღირიცხება 1 გ სტრიქონში. 1 ბ სტრიქონში ასახულია პროდუქციის საბითუმო გაყიდვა თავისი ორგანიზაციის (ტრესტი, სახელმწიფო საეაქრო ორგანიზაცია, მუშათა მომარაგების განყოფილება) საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოებზე, აგრეთვე სხვა ტრესტთა, სახელმწიფო საეაქრო ორგანიზაციათა, მუშათა მომარაგების განყოფილებათა საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებსა და საწარმოებზე. 1 გ სტრიქონში შეიტანება პროდუქციის საბითუმო მიყიდვა საცალო ვაჭრობის საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის (საკუთარ საცალო ქსელში პროდუქციის გაცემის გარდა).

საბითუმო საქონელბრუნვის დაყოფას ორ სახეობად (მიყიდვა საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და საცალო ქსელის საწარმოებისათვის) დიდი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი შესაძლებლობას გვაძლევს განვსაზღვროთ წვრილ სასაბითუმო და საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოთა ნახევარფაბრიკატებით, აგრეთვე საკუთარი წარმოების სხვა პროდუქტებით მომარაგების სიდიდე.

მე-3 სტრიქონში განისაზღვრება საზოგადოებრივი კვების მთელი საქონელბრუნვა (საბითუმო და საცალო); ეს მაჩვენებელი ახასიათებს საზოგადოებრივი კვების ყოველი საწარმოს საწარმო და საეაქრო საქმიანობის მთელ მოცულობას. ახალ პირობებში საზოგადოებრივი კვების ყოველი საწარმოსათვის საქონელბრუნვის მთელი მოცულობა წარმოადგენს მუშაობის ყველა ხარისხობრივი მაჩვენებლის განგარიშების საფუძველს: საწარმოს რენტაბელობის, ხარჯებისა და ხელფასის ფონდის დონის მაჩვენებლები გვემაშიც და ანგარიშგებაშიც უნდა განისაზღვროს პროცენტულად მთელი საქონელბრუნვის და არა საცალო საქონელბრუნვის მიმართ, როგორც ეს იყო 1959 წლამდე. ეს განგარიშებანი ვუჩვენოთ შემდეგ მაგალითზე:

ათას მანეთობით

1. საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაცია	300
მათ შორის:	
ა) საცალო გაყიდვა	200
ბ) საბითუმო გაყიდვა	100
2. შესყიდული საქონლის რეალიზაცია	200
3. მთელი საქონელბრუნვა	500
მათ შორის საცალო საქონელბრუნვა	400
4. ხარჯები	60
მათ შორის ხელფასი	20

თუ ხარჯების შეფარდებით მაჩვენებლებს გავიანგარიშებთ პროცენტობით საცალო ბრუნვის მიმართ, როგორც ეს ხდებოდა 1959 წლამდე—საზოგადოებრივი კვების გარდაქმნამდე, მივიღებთ შემდეგ მაჩვენებლებს:

$$\text{ხარჯების დონე} = \frac{60 \cdot 100}{400} = 15\%.$$

$$\text{მათ შორის ხელფასი} = \frac{20 \cdot 100}{400} = 5\%.$$

ნათლად ჩანს, რომ მიღებული შედეგები არ არის სწორი: ხარჯებისა და ხელფასის ფონდის ჯამში აღრიცხულია ყველა ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მთელი საკუთარი პროდუქციის (როგორც საბითუმო, ისე საცალო) დამზადებასა და რეალიზაციასთან, აგრეთვე შესყიდული საქონლის რეალიზაციასთან, ამასთან ხარჯების დონის მაჩვენებლები გაანგარიშებულია მხოლოდ საცალო საქონელბრუნვის მიმართ. გაანგარიშების ასეთი მეთოდი მიგვიყვანს ხარჯების დონის გადამეტებამდე და გვემასთან შედარებისას გვიჩვენებს ხელფასის ფონდისა და ყველა დანახარჯის გადახარჯვას. ამიტომ ხარჯების დონეთა გაანგარიშების სწორი მეთოდი მდგომარეობს იმაში, რომ ისინი პროცენტულად შევეუფარდოთ საწარმოს მთელ საქონელბრუნვას. ჩვენს მაგალითში იგი იქნება:

$$\text{ხარჯების დონე} = \frac{60 \cdot 100}{500} = 12\%.$$

$$\text{მათ შორის ხელფასი} = \frac{20 \cdot 100}{500} = 4\%.$$

საქონელბრუნვის მთელი მოცულობა უნდა ავიღოთ აგრეთვე მოგების დონის, ერთ მუშაკზე საქონელბრუნვის საშუალო სიდიდისა და სხვა ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშებისთვისაც.

აქამდე ჩვენ ვლაპარაკობდით ცალკეული საწარმოსათვის საქონელბრუნვის ანგარიშების შედგენაზე, მთელი ორგანიზაციის (ტრესტი, სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაცია, მუშათა მომარაგების განყოფილება) მიხედვით საქონელბრუნვის კრებითი ანგარიშების შედგენისას წარმოიშობა ბრუნვების განმეორებითი ანგარიშის გამოკლების საჭიროება ყოველი ორგანიზაციის ფარგლებში. განმეორებითი ანგარიში იქმნება თავისი ორგანიზაციის ფარგლებში ერთი საწარმოს მიერ მეორისათვის საკუთარი წარმოების პროდუქციის საბითუმო მიყიდვის ანგარიშზე, ამიტომ ერთი ორგანიზაციის ყველა საწარმოს ანგარიშებათა უბრალო შეჯამება აღნიშნული ფორმით გარღვევალად მიგვიყვანს ბრუნვების განმეორებით აღრიცხვამდე. ასე მაგალითად, საწარმო, რომელმაც დაამზადა 1000 მანეთის ნახევარფაბრიკატები და მიჰყიდა ისინი ტრესტის სხვა საწარმოს, ამ გაყიდვას აღრიცხავს თავის საქონელბრუნვაში. მეორე საწარმო, რომელმაც იყიდა ეს ნახევარფაბრიკატები, დაამზადა მათგან 1300 მანეთის მზა კერძები (გადამუშავების ღირებულების ჩათვლით) და მიჰყიდა მომხმარებელს, აღრიცხავს მათ აგრეთვე თავის საქონელბრუნვაში. ამრიგად, თუ შევაჯამებთ ორივე საწარმოს საქონელბრუნვას (1000 + 1300 = 2300), დავუშვებთ ნახევარფაბრიკატების ღირებულების განმეორებით

ანგარიშს. ცხადია, ორივე საწარმოს საქონელბრუნვა, განმეორებითი ანგარიშის გამოკლებით, შედგენს არა 2300, არამედ 1300 მანეთს (1000+1300—1000).

საქონელბრუნვის განმეორებითი აღრიცხვის თავიდან ასაცილებლად ორგანიზაციათა საქონელბრუნვის კრებისთი ანგარიშის შედგენისას საჭიროა გვექნდეს მონაცემები მზა ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების ბრუნვების შესახებ მოცემული ორგანიზაციის საწარმოთა შორის. ამ მიზნით საწარმო, რომელმაც გასცა თავისი ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები სხვა საწარმოებზე, საკუთარი ანგარიშის 1 გ სტრიქონში (საბითუმო გაყიდვა) იძლევა შემდეგი შინაარსის ცნობას: „მათ შორის გაცემულია თავისი ორგანიზაციის საწარმოებზე“. მაშინ ტრესტის ან მუშათა მომარაგების განყოფილების კრებისთი ანგარიშის შედგენისას ამ ცნობის მონაცემები გამოირიცხება საქონელბრუნვის ჯამიდან 1 ბ სტრიქონით, რითაც თავიდან ავიცილებთ ბრუნვების განმეორებით ანგარიშს.

ერთდროულად მხედველობაში უნდა მივიღოთ სხვა გარემოებაც. საქმე ისაა, რომ საწარმოებს, რომლებმაც სხვა საწარმოებიდან მიიღეს მზა ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები, შეუძლიათ დამატებით გადაამუშაონ ისინი და მიჰყიდონ მომხმარებელს მზა ნაწარმის სახით, ანდა ყოველგვარი გადაამუშავების გარეშე (მაგალითად, ნახევარფაბრიკატები, კომპოტები, ხილის წვენი და სხვა). ცხადია, პირველ შემთხვევაში საწარმონი ამ გადაამუშავებული ნაწარმის გაყიდვას საქონელბრუნვის ანგარიშში აჩვენებენ როგორც საკუთარი წარმოების პროდუქციას, მეორე შემთხვევაში კი—როგორც შესყიდულ საქონელს. ცალკეული საწარმოსათვის ეს წარმოადგენს ანგარიშის შედგენის ერთადერთ სწორ მეთოდს. მაგრამ მზა ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები, აღრიცხული იმ საწარმოთა საქონელბრუნვაში, რომლებმაც ისინი მიიღეს როგორც შესყიდული საქონელი, ტრესტის ან მუშათა მომარაგების განყოფილებისათვის წარმოადგენს საკუთარი წარმოების პროდუქციას. ეს გამოწვეულია იმით, რომ ისინი გამოიმუშავეს მსხვილ საწარმოებში, რომლებმაც შემდეგში მიჰყიდეს ამავე ორგანიზაციის სხვა საწარმოებს. ამრიგად, ტრესტის ან მუშათა მომარაგების განყოფილების კრებისთი ანგარიშში საჭიროა მოხდეს ბრუნვების გადანაწილება შესყიდულ საქონელსა და საკუთარი წარმოების პროდუქციას შორის. ამ მიზნით საწარმონი, რომლებმაც სხვა საწარმოებიდან მიიღეს ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები, რაც გაყიდეს გადაამუშავების გარეშე და ეს ბრუნვა უჩვენეს შესყიდულ საქონელში, თავის ანგარიშში საქონელბრუნვის შესახებ (მე-2 სტრიქონში) იძლევიან შემდეგი შინაარსის ცნობას: „მათ შორის ნაწარმი და ნახევარფაბრიკატები, მიღებული თავისი ორგანიზაციის საწარმოებიდან და გაყიდული დამატებითი დამუშავების გარეშე“. ტრესტის ან მუშათა მომარაგების განყოფილების კრებისთი ანგარიშის შედგენისას ამ ნაკეთობებისა და ნახევარფაბრიკატების ჯამი ცნობის საფუძველზე გამოირიცხება შესყიდული საქონლის ბრუნვის ჯამიდან (სტრიქონი 2) და მიემატება საკუთარი წარმოების პროდუქციის საცალო გაყიდვას (სტრიქონი 1 ა).

მთელი ორგანიზაციის მიხედვით კრებისთი ანგარიშის შედგენა ვერცხვით ტრესტის ორი სასაღილოს მაგალითზე (ათას მან.).

	სასაღილო № 1	სასაღილო № 2	ჯამი ორევე სასაღილოს მიხედვით	შინაგანი გაყვამბარესტის ფარულეში	ბრუნების გადაწეწილება საკუთარ პროდუქციასა და შესყიდულ საქონელს შორის	ჯამი განმეორებითი ანგარიშის ვაჭარულეში
1. საკუთარი წარმოების პროდუქციის რეალიზაცია სულ მათ შორის:	10000	3000	13000	2000	+400	11400
ა) საცალო გაყიდვა	7000	3000	10000	—	+400	10400
ბ) საბითუმო მიყიდვა საზოგადოებრივი კვების საწარმოთათვის	2800	—	2800	2000	—	800
გ) საბითუმო მიყიდვა საცალო ვაჭრობის საწარმოთათვის	200	—	200	—	—	200
2. შესყიდული საქონლის საცალო გაყიდვა	16000	4000	20000	—	-400	19600
3. მთელი საქონელბრუნვა მათ შორის საცალო საქონელბრუნვა (1ა-2)	26000	7000	33000	2000	—	31000
	23000	7000	30000	—	—	30000

ცნობები: 1. მათ შორის ნახევარფაბრიკატები, გაყიდული № 2 სასაღილოზე—2000 ათასი მან.

2. მათ შორის ნახევარფაბრიკატები, რომლებიც მიღებულია № 1 სასაღილოდან და გაყიდულია დამატებითი დამუშავების გარეშე— 400 ათასი მანეთი.

ცხრილის პირველ ორ სვეტში ნაჩვენებია ფაქტიური საანგარიშო მონაცემები ტრესტის ორი სასაღილოს მიხედვით, მე-3 სვეტში კი—მათი საქონელბრუნვის ჯამი. თანახმად ცნობისა, № 1 სასაღილომ გასცა № 2 სასაღილოზე 2000 ათასი მანეთის ნახევარფაბრიკატები, რომლებიც შევიდა № 2 სასაღილოს ბრუნვაში, ეს ჯამი ნაჩვენებია მე-4 სვეტში და იგი უნდა გამოირიცხოს საკუთარი პროდუქციის ჯამიდან (სტრუქონი 1) და ორივე სასაღილოს საქონელბრუნვის საერთო მოცულობიდან (სტრუქონი 3). მეორე ცნობის თანახმად, № 2 სასაღილომ № 1 სასაღილოდან მიღებული ნახევარფაბრიკატების ნაწილი 400 ათასი მანეთისა გაყიდა ყოველგვარი გადამუშავების გარეშე, უში სახით და თავის ანგარიშში აჩვენა იგი შესყიდული საქონლის ბრუნვის შემადგენლობაში. № 2 სასაღილოსათვის ეს ნახევარფაბრიკატები ნამდვილად შესყიდული საქონელია, მაგრამ მთელი ტრესტისათვის იგი უნდა აღირიცხოს როგორც საკუთარი წარმოების პროდუქცია. ამიტომ, საქონელბრუნვის საერთო ჯამის შეუცვლელად, საჭიროა გადაეანაწილოთ ბრუნვები შესყიდულ საქონელსა და საკუთარ პროდუქციას შორის, სახელობარ: შესყიდული საქონლის ჯამს (სტრუქონი 2) უნდა გამოვავლოთ 400 ათასი მანეთი და იგი მიეუმატოთ საკუთარი პროდუქციის ჯამს (სტრუქონი 1). ერთდროულად ამ თანხით დიდდება საკუთარი პროდუქციის საცალო გაყიდვა (სტრუქონი 1 ა) ჩატარებული კორექტირების შემდეგ. მე-6 სვეტში მიიღება განმეორებითი ანგარიშიდან განთავისუფლებული მთელი ორგანიზაციის კრებსითი ჯამები. სწორედ ამ

მონაცემებით უნდა ვისარგებლოთ მთელი ორგანიზაციის რენტაბელობისა და ხელფასის ფონდის მაჩვენებელთა ანალიზისას, მხოლოდ ეს მაჩვენებლები უნდა შევიდეს ანგარიშგებაში საქონელბრუნვის შასახებ.

საქონელბრუნვის სტრუქტურის ხტატისტიკა ფაწარმოქმნის ელემენტთა მიხედვით

ფაწარმოქმნის ძირითადი პრინციპები საზოგადოებრივ კვებაში შემდეგია: მიმწოდებლები საქონელს მიჰყიდნიან საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და ორგანიზაციებს საცალო ფასებით სავაჭრო დარიცხვის გამოკლებით, რომლის რაოდენობა დიფერენცირებულია ცალკეული საქონლის მიხედვით. სავაჭრო დარიცხვის დანიშნულება ისაა, რომ უზრუნველყონ საწარმოთა სავაჭრო ხარჯები და მიიღონ ვაჭრობიდან ნორმალური მოგება. საზოგადოებრივი კვების საწარმონი, საცალო ვაჭრობისაგან განსხვავებით, მიმწოდებლებისაგან მიღებულ საქონელს ამუშავენ და შემდეგ მიჰყიდნიან მოსახლეობას მზა პროდუქციას. ამ დამატებითი საწარმოო ხარჯების დასაფარად და ნორმალური მოგების შესაქმნელად საზოგადოებრივი კვების საწარმონი აწარმოებენ დარიცხვას პროდუქტების საცალო ღირებულებაზე. დაწესებულია სხვადასხვა სახის დარიცხვა სასადილოთა კატეგორიების მიხედვით (უფრო მაღალი დარიცხვაა რესტორნებსა და I კატეგორიის სასადილოებში, უფრო დაბალი—III კატეგორიის მასობრივ სასადილოებში). ამრიგად, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა შემოსავალი შედგება ორი ნაწილისაგან: სავაჭრო ფასდაკლებისა და დარიცხვისაგან; თუ შემოსავლის თანხიდან გამოვრიცხავთ ხარჯებს, მივიღებთ მოგებას საქონლის რეალიზაციიდან.

განვიხილოთ საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტრუქტურა ფაწარმოქმნის ელემენტთა მიხედვით ქვემოთნაჩვენებულ მაგალითზე:

	ათას მან.	პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ
1. ნელეულისა და საქონლის შესყიდვის ღირებულება	29167	80,7
2. სავაჭრო ფასდაკლება	1920	5,5
3. ნელეულისა და საქონლის ღირებულება საცალო ფასებით (1+2)	30087	86,2
4. დარიცხვა	4827	13,8
5. საქონელბრუნვა გასაყიდი ფასებით (3+4)	34914	100,0
6. საზოგადოებრივი კვების შემოსავალი (2+4)	6747	19,3
7. დანახარჯები	5863	16,8
8. მოგება საქონლის რეალიზაციიდან (6-7)	884	2,5

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტრუქტურა შედგება შემდეგი ელემენტებისაგან: საქონელბრუნვის ძირითადი ნაწილი (81%-მდე) მოდის ნელეულისა და საქონლის შესყიდვის ღირებულებაზე; მიმწოდებელთა სავაჭრო ფასდაკლება შეადგენს საქონელბრუნვის

5,5 %-ს, ანუ ნედლეულისა და საქონლის საცალო ღირებულების 6,4%-ს; უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების დარიცხვას, რომელიც შეადგენს საქონელბრუნვის 13,8%-ს, ანუ ნედლეულისა და საქონლის საცალო ღირებულების 16%-ს. საზოგადოებრივი კვების მთელი შემოსავალი საწამო და სავაჭრო ოპერაციებით შეადგენს საქონელბრუნვის 19,3%-ს, მოგება საქონლის რეალიზაციიდან განისაზღვრება საქონელბრუნვის 2,5%-ის რაოდენობით.

ფასწარმოქმნის ელემენტების მიხედვით საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტრუქტურის მონაცემებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმ ღონისძიებათა შესამუშაებლად, რომლებიც საჭიროა საზოგადოებრივი კვების საღილებისა და სხვა პროდუქციის ღირებულების გასაიფხვრად.

საზოგადოებრივ კვებაში ფასწარმოქმნის ანალიზისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ, საკუთარი პროდუქციისა და შესყიდული საქონლის დარიცხვის ღონეთა განსხვავების გამო, დარიცხვის საშუალო ღონე პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ იცვლება პროდუქციის სახეთა მიხედვითაც (საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილების შედეგად). ვუჩვენოთ ეს შემდეგ მაგალითზე. (ათას მან.):

	საბაზისო პერიოდი			საანგარიშო პერიოდი		
	საქონელბრუნვა	დარიცხვა		საქონელბრუნვა	დარიცხვა	
		პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ	ათას მან.		პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ	ათას მან.
საკუთარი წარმოების პროდუქცია	320	20	64	500	20	100
შესყიდულ საქონელს	480	10	48	500	10	50
<b>ს უ ლ</b>	<b>800</b>	<b>14</b> $\left(\frac{112 \times 100}{800}\right)$	<b>112</b>	<b>1000</b>	<b>15</b> $\left(\frac{150 \times 100}{1000}\right)$	<b>150</b>

დარიცხვის რაოდენობა საკუთარ პროდუქციასა და შესყიდულ საქონელზე ორივე პერიოდის განმავლობაში უცვლელი რჩებოდა (20% და 10%), დარიცხვის საშუალო ღონემ კი აიწია 14%-დან (საბაზისო პერიოდში) 15%-მდე (საანგარიშო პერიოდში). ეს შედეგია საქონელბრუნვის სტრუქტურის შეცვლისა: საკუთარ პროდუქციის წილმა, რომელსაც ჰქონდა დარიცხვის უფრო მაღალი ღონე, საბაზისო პერიოდის 40%-დან  $\left(\frac{320 \cdot 100}{800}\right)$  იმატა საანგარიშო პერიოდის 50%-მდე

$$\left(\frac{500 \cdot 100}{1000}\right).$$

ერთიმეორეს რომ დავეუპირისპიროთ საშუალო დარიცხვის სიდიდეები საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში, მივიღებთ საშუალო დარიცხვის ინდექსს.



$$J \text{ საშუალო დარიცხვის } = \frac{15}{14} = 1,07, \text{ ანუ } 107\%.$$

რამდენადაც ჩვენს მაგალითში დარიცხვის დონე პროდუქციის სახეთა მიხედვით არ იცვლებოდა, საშუალო დარიცხვის ცვლილება ახასიათებს საქონელბრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების გავლენას დარიცხვის საშუალოდონეზე.

**საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის სტატისტიკა**

საზოგადოებრივი კვების საწარმოებში სასურსათო პროდუქტთა უმეტესი ნაწილი გადამუშავდება და მზა კერძების სახით მიეყიდება მოსახლეობას. ეს გარემოება თავისებურად სვამს საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის შესწავლის საკითხს. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ განისაზღვროს პროდუქტთა დანახარჯები, რომლებიც საჭიროა კერძების დამზადებასა და შესყიდული საქონლის გაყიდვაზე. ეს ამოცანა გადაწყდება განსაკუთრებულ ყოველკვარტალურ ანგარიშში პროდუქტთა ხარჯების შესახებ, რომლის წარდგენა ხდება შემდეგი ფორმით:

	ზომის ერთეული	დაიხარჯა სამზარეულოში და გაიყიდა ბუფეტებისა და საეპკო კსელის მეშვეობით	
		რაოდენობა	თანხა საცალო ფასებში
ხორცი			
თევზი			
და ა. შ. (ნომენკლატურის მიხედვით დაახლოებით 35 დასახელებიდან)			
<b>ჯ ა მ ი</b>			
დარიცხვა			
მთელი საქონელბრუნვა			

როგორც ანგარიშიდან ჩანს, პროდუქტთა ხარჯვა ნაჩვენებია საცალო ფასებით, ხოლო საზოგადოებრივი კვების დარიცხვა—საერთო თანხით, რომელიც განაწილებული არ არის სასაქონლო ჯგუფებად. ასე განაწილება საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა სასაქონლო ჯგუფებისა და საქონლის იმავე ნომენკლატურის მიხედვით, რომელიც მიღებულია საცალო ვაჭრობის სტატისტიკაში.

პროდუქტთა ხარჯვა საზოგადოებრივ კვებაში შედგება ორი ნაწილისაგან: ერთია ნედლეულის ხარჯვა საკუთარი წარმოების პროდუქციის გამოსამუშავებლად.

ხოლო მეორე—შესყიდული საქონლის გაყიდვა ბუფეტებისა და სავაჭრო ქსელის საშუალებით. პროდუქტების ხარჯვა ზემოდასახელებულ დანიშნულებათა მიხედვით სხვადასხვაგვარი მეთოდებით განისაზღვრება. საზოგადოებრივი კვების საწარმოსთან არსებული საკუჭნაო ან საწყობი ყოველდღიურად გადასცემს სამზარეულოს პროდუქტთა საჭირო რაოდენობას ზედნადებით დღიური მოთხოვნის ფარგლებში; იგი გათანაგარიშება პროდუქციის ცალკეულ სახეთა გამოშვების დაგეგმვისა და პროდუქციის ყოველ სახეობაზე ცალკეული სახის ნედლეულის დანახარჯის ნორმათა საფუძველზე. თუ ფაქტიურად უფრო ნაკლები კერძია გამოშვებული, ვიდრე გათვალისწინებული იყო დღიური გეგმით, მაშინ მოუხმარებელი ნედლეულის ნაშთებს სამზარეულო ზედნადებითვე აბარებს საწყობს. ამრიგად, წარმოებაში ფაქტიურად დახარჯული ნედლეულის რაოდენობა ადვილი განსასაზღვრია. იგი წარმოადგენს სხვაობას საწყობის მიერ გაცემულ ნედლეულსა და დაბრუნებულ მოუხმარებელ პროდუქტთა ნაშთებს შორის. ასეთი მონაცემები განისაზღვრება ყოველდღიურად პროდუქტთა ყოველ ცალკეულ სახეზე ნატურალური და ფულადი გამოსახულებით საცალო ფასებში.

სხვაგვარი მდგომარეობაა შესყიდული საქონლის გაყიდვის აღრიცხვისას ბუფეტებისა და საზოგადოებრივი კვების სავაჭრო ქსელის მეშვეობით. ბუფეტებში, ისევე როგორც საცალო საწარმოებში, არ არსებობს გაყიდვის საქონლობრივი აღრიცხვა. ამიტომ შესყიდული საქონლის გაყიდვა ბუფეტებში, ისევე როგორც საცალო ქსელში, განისაზღვრება არაპირდაპირი გზით საბალანსო ფორმულის გამოყენებით:

$$O_1 + II - D_p - O_2 = P,$$

სადაც  $O$  არის საქონლის ნაშთი პერიოდის დასაწყისისა (1) და ბოლოსათვის (2);

II—საქონლის მიღება;

$D_p$ —დოკუმენტირებული გასავალი, რომელიც არ არის საცალო გაყიდვა.

ამ საბალანსო ფორმულის გამოყენება საზოგადოებრივი კვების საწარმოებში გაცილებით ადვილია, ვიდრე საცალო ვაჭრობაში, რადგანაც საქონლის მარაგი ბუფეტში მცირეა. საცალო ვაჭრობისაგან განსხვავებით, შესყიდული საქონლის გაყიდვა განისაზღვრება ნატურალური და ფულადი გამოსახულებით.

საზოგადოებრივი კვების ბევრი საწარმო გადავიდა ნედლეულისა და საქონლის აღრიცხვაზე გასაყიდ ფასში, რომელიც შეიცავს საზოგადოებრივი კვების დარიცხვისა. საცალო ფასებში პროდუქტთა ხარჯვის შესახებ ანგარიშის შედგენიას საჭიროა წინასწარ მოეხსნათ დარიცხვა ყოველ საქონელზე დაწესებული ოდენობით. თუ, მაგალითად, დარიცხვის მონაცემებით ხორცის ხარჯვა გასაყიდ ფასებში განსაზღვრულია 240 ათასი მანეთის ოდენობით საცალო ფასზე 20%-ის დარიცხვისას, ეს იმას ნიშნავს, რომ 240 ათასი მანეთი უდრის საცალო ღირებულებების 120%-ს. მაშასადამე, ხორცის საცალო ღირებულება შეადგენს:

$$\frac{240 \times 100}{120} = 200 \text{ ათას მან.}$$

დარიცხვის თანხა ხორცზე შეადგენს 40 ათას მან. ასეთი გაანგარიშება ხდება ყოველი საქონლისათვის. შედეგად მიიღება ნელლეულის საცალო ღირებულება და დარიცხვის საერთო თანხა თითოეულ საქონელზე.

მონაცემები პროდუქტთა ხარჯვის შესახებ საუკეთესოდ ახასიათებს საზოგადოებრივ კვებას. თუ გავიანგარიშებთ ცალკეული საქონლის ღირებულებას პროცენტულად საქონელბრუნვის საერთო მოცულობის მიმართ, მივიღებთ საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურას.

როდესაც ჩვენს განკარგულებაშია ასეთი მონაცემები რიგი წლებისათვის, შეიძლება შევისწავლოთ სტრუქტურული ძვრები საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვაში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების განვითარების ანალიზის დროს. საანგარიშო მონაცემები 1955—1965 წლებისათვის ნათელყოფს, რომ საზოგადოებრივ კვებაში მაღლდება კვების მალახმარისხოვან პროდუქტთა წილი: ხორცპროდუქტებისა—11,9-დან 19,5%-მდე, რძისა და რძის პროდუქტებისა—3,2-დან 6,3%-მდე, კვერცხისა—0,9-დან 2,4%-მდე, ხილისა—1,4-დან 2,0%-მდე. ამავე დროს საგრძნობლად შემცირდა არყის გაყიდვა. მონაცემები პროდუქტთა ხარჯვის შესახებ გამოიყენება აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ფიზიკური მოცულობისა და ფასების ინდექსების გაანგარიშებისას.

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტრუქტურის შესწავლის შემადგენელი ნაწილია ნახევარფაბრიკატების დანერგვის აღრიცხვა.

მოქმედი ანგარიშგება პასუხობს შემდეგ კითხვებს: 1) რა წყაროებიდან შემოდის ნახევარფაბრიკატები საზოგადოებრივ კვებაში—მრეწველობიდან, საზოგადოებრივი კვების მსხვილი საწარმოების საკუთარი გამომუშავებიდან; 2) როგორაა გამოყენებული ნახევარფაბრიკატები—რამდენი დაიხარჯა კერძების დამზადებაზე და რამდენი მიეყიდა მოსახლეობას უმად (თბური დამუშავებას გარეშე). ეს მაჩვენებლები შეისწავლება უმნიშვნელოვანეს სასაქონლო ჯგუფთა მიხედვით.

განვიხილოთ მონაცემები ნახევარფაბრიკატების მიღების წყაროთა შესახებ 1965 წლისათვის:

	ყველა ნახევარფაბრიკატი (მლნ მან.)	ხორცის ნახევარფაბრიკატი (ათას ტ.)	თევზის ნახევარფაბრიკატი (ათას ტ.)	გაფუჭვნილი კარტოფილი (ათას ტ.)
მიღებულია საკუთარი გამომუშავების საფუძველზე საზოგადოებრივი კვების საწარმოებიდან	387,4	155,1	9,9	76,9
მიღებულია მრეწველობიდან	207,1	97,9	20,0	38,4
<b>ს უ ლ</b>	<b>594,5</b>	<b>253,0</b>	<b>29,9</b>	<b>117,3</b>
მრეწველობიდან მიღებული ნახევარფაბრიკატების წილი	35,0	59,0	67,0	33,0

მრეწველობაზე მოდის საზოგადოებრივი კვების მიერ მიღებული ნახევარფაბრიკატების საერთო ჯამის 1/3-ზე ცოტა მეტი. მაგრამ ეს არის ნახევარფაბრიკატების დამზადების ყველაზე პროგრესული მეთოდი. 1960 წელს მრეწველობის წილად მოდიოდა ნახევარფაბრიკატების საერთო ჯამის სულ 15%. უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მდგომარეობა გაუმჯობესდა, მაგრამ არასაკმარისად, რაც აფერხებს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გარდაქმნას.

მოტივანოთ მონაცემები საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ნახევარფაბრიკატების გამოყენების შესახებ 1965 წელს:

	ყველა ნახევარფაბრიკატი (მლნ მან.)	ხორცის ნახევარფაბრიკატები (ათასი ტ.)	თევზის ნახევარფაბრიკატები (ათასი ტ.)	გაფუჭებული კარტოფილი (ათასი ტ.)
დაიხარჯა კერძების დამზადებაზე	391,6	178,5	24,7	115,4
მიეყიდა მოსახლეობას უმად (ნელლი სახით)	202,9	74,5	5,2	1,9
<b>ს უ ლ</b>	<b>594,5</b>	<b>253,0</b>	<b>29,9</b>	<b>117,3</b>
კერძების დამზადებაზე დახარჯული ნახევარფაბრიკატების წილი	66	70	83	98

1965 წელს ნახევარფაბრიკატების თითქმის 2/3 დაიხარჯა კერძების მომზადებაზე. სწორედ ამაში მდგომარეობს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაობის გარდაქმნის არსი. საინტერესოა, რომ ახალ სისტემაზე გადასვლის პირველ წელს (1959 წ.) მთელი ნახევარფაბრიკატების 80% მოსახლეობაზე იყიდებოდა ნელლი სახით და მხოლოდ 20% მიდიოდა წარმოებაში. ეს ძვრები დადებითად უნდა შეფასდეს.

დიდ ინტერესს იწვევს ნახევარფაბრიკატების წილის განსაზღვრა ცალკეულ პროდუქტთა, განსაკუთრებით ხორცის ხარჯვაში. ნახევარფაბრიკატებისა და ხორცის რაოდენობის უმუშალო შედარება შეუძლებელია, რამდენადაც ნახევარფაბრიკატები უკვე გაწმენდილია ძვლებისა და სხვა ნარჩენებისაგან. ამიტომ საჭიროა საკუთარი გამოკვლევებისა და მრეწველობიდან მიღებული ნახევარფაბრიკატების რაოდენობა, შესაბამისი კოეფიციენტის გამოყენებით, წინასწარ გადავიანგარიშოთ ხორცად. ამჟამად მიღებულია ხორცის ნახევარფაბრიკატების გადაყენა ხორცად 1,34 კოეფიციენტის მიხედვით, ე. ი. ნახევარფაბრიკატების წონა მრავლდება ამ კოეფიციენტზე. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ანგარიშგებაში ხორცის ხარჯვის შესახებ ნაჩვენებია აგრეთვე საკუთარი გამოკვლევების ნახევარფაბრიკატებზე დახარჯული ხორცი, მაგრამ მრეწველობიდან მიღებული ნახევარფაბრიკატები მოცემულია ცალკე და არ არის შეტანილი სტრუქტურში „ხორცი“. ამიტომ, ვიდრე გავიანგარიშებდეთ ნახევარფაბრიკატების წილს, უნდა განვსაზღვროთ მრეწველობიდან მიღებული ხორცის ნახევარფაბრიკატების წონა, მიუხედავად დახარ-

ჯული ხორცის რაოდენობას და შემდეგ დავადგინოთ ყველა ნახევარფაბრიკატის წილი ხორცის საერთო გასავალში. ეს გაანგარიშებანი უეჩვენოთ მაგალითზე.

კვარტალის განმავლობაში საზოგადოებრივი კვების საწარმოებში დახარჯულია 80 ათასი ტონა ხორცი, გარდა ამისა, მიღებულია მრეწველობიდან 3 ათასი ტონა ხორცის ნახევარფაბრიკატები; საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები რეალიზებულია 10 ათასი ტონის ოდენობით. გადავიანგარიშოთ მრეწველობიდან მიღებული ნახევარფაბრიკატები:  $3 \cdot 1,34 = 4$  ათას ტონას, მაშასადამე, ხორცის საერთო დანახარჯი უდრის:  $80 + 4 = 84$  ათას ტონას. გადავიანგარიშოთ საკუთარი გამომუშავების ნახევარფაბრიკატები ხორცად:  $10 \cdot 1,34 = 13,4$  ათას ტონას. მაშასადამე, ნახევარფაბრიკატების საერთო ოდენობა შეადგენს:  $4 + 13,4 = 17,4$  ათას ტონას ხორცზე გადაყვანით. ახლა ვიპოვოთ ნახევარფაბრიკატების წილი ხორცის საერთო დანახარჯში:  $\frac{17,4 \cdot 100}{84} = 21\%$ . გადაანგარიშების სათანადო კოეფი-

ციენტთა გამოყენებით ანალოგიურად გამოიანგარიშება ნახევარფაბრიკატების წილი სხვა პროდუქტების მიხედვითაც.

#### 4. საზოგადოებრივი კვების პროდუქციის სტატისტიკა

საკუთარი წარმოების პროდუქციის ძირითადი ნაწილი (სასადილო პროდუქცია) იგეგმება და აღირიცხება ნატურალური გამოსახულებით—კერძებით.

სასადილო პროდუქციას მიეკუთვნება შემდეგ ნაწარმი: საკუთრივ სასადილო პროდუქცია, რომელიც შედგება სამი თავი კერძისაგან: პირველი, მეორე და მესამე. ცივი და ცხელი საუზმეები ულუფების სახით და კულინარული ნაწარმი, რომელიც იყიდება წონით. ამასთან, კერძად აქ ითვლება ულუფა, რომელიც შეადგენს 100 გრამს.

კერძი, როგორც აღრიცხვის ნატურალური ერთეული, არ წარმოადგენს მუდმივ სიდიდეს. პროდუქციის აღრიცხვა კერძების მიხედვით არის სხვადასხვა დასახელებისა და სიდიდის სადილთა გამოთვლა ცალკობით. კერძების რაოდენობა გვიჩვენებს მოსახლეობისათვის მიყიდული პროდუქციის (ულუფების) ერთეულთა რაოდენობას. 1940 წლიდან 1965 წლამდე საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიერ გამოშვებული კერძების რაოდენობა გაიზარდა 8,1 მლრდ-დან 22,1 მლრდ-მდე. გაყიდული კერძების რიცხვის ზრდა ცხადყოფს მოსახლეობის რაოდენობის მატებას, რომელსაც ცხელი საკმელებით აკმაყოფილებს საზოგადოებრივი კვების სისტემა.

მონაცემები გაყიდული კერძების საერთო რაოდენობაზე შესაძლებლობას გვაძლევს გავიანგარიშოთ მოსახლეობის მიახლოებითი რიცხვი, რომელიც სარგებლობს სასადილოების სადილებით. დავეშვათ, რომ საქარხნო სასადილოში თვის განმავლობაში გაიყიდა 120 ათასი კერძი, ამასთან სასადილო მუშაობდა 25 დღეს. ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ დღეში იყიდებოდა:

$$120\ 000 : 25 = 4800 \text{ კერძი.}$$

პირობით მივიღოთ, რომ სადილი შედგება ორი თავისაგან. მაშასადამე, სასადილოში ყოველდღიურად სადილობდა:

სულ კი, ვთქვათ, ქარხანაში მუშაობს 3000 მუშა-მოსამსახურე. ეს ნიშნავს იმას, რომ სასადილო მთლიანად ვერ უზრუნველყოფს სადილებით (ე. ი. ცხელი საკმელებით) ქარხნის პერსონალს. საზოგადოებრივი კვების მომსახურება ჩვენს მაგალითში იქნება:

$$2400 : 3000 = 0,80 \text{ ანუ } 80\%.$$

ასეთი მაჩვენებელი გვიხასიათებს მუშა-მოსამსახურეთა მომსახურებას საზოგადოებრივი კვებით ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონების ცალკეულ საწარმოსა და დაწესებულებაში.

კერძების საერთო გამოშვების მონაცემთა საფუძველზე შეიძლება დავადგინოთ მოსახლეობის რაოდენობა, რომელიც სარგებლობს საზოგადოებრივი კვების სადილებით. 1965 წელს სულ გამოშვებული იყო 22,1 მლრდ ანუ 60 მლნ-ზე მეტი კერძი დღეში. კერძთა ამ რიცხვის ორ თავზე გაყოფით მივიღებთ, რომ 1965 წელს სადილებით სარგებლობდა დაახლოებით 30 მლნ-მდე კაცი.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოებრივი კვების მომსახურების ხარისხის გაანგარიშების აღნიშნული მეთოდი დამყარებულია მხოლოდ გაცემულ კერძთა რაოდენობის მონაცემებზე. ეს მეთოდი ძირითადად, რამდენადაც საზოგადოებრივი კვების წინაშე დასმულია ამოცანა მოსახლეობის უზრუნველყოფისა სასადილო პროდუქციით. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს მაჩვენებელი არ ახასიათებს ყოველნაირი საუზმეებით მოსახლეობის მომსახურების ხარისხს.

კერძებით მოსარგებლეთა რიცხვის დადგენის აღნიშნული მეთოდი სრულიად ვერ ასახავს საზოგადოებრივი კვებით მოსახლეობის მომსახურებას, რადგან აქ ლაპარაკია მხოლოდ სადილზე, რომელიც პირობით ორი თავისაგან შედგება. მაგრამ თუ საზოგადოებრივი კვებით მოსახლეობის სრული უზრუნველყოფიდან გამოვალთ (საუზმე, სადილი და ვახშამი), კერძების სადღეღამისო რიცხვი ერთ კაცზე უნდა გადიდდეს სამჯერ მაინც. მაშინ საზოგადოებრივი კვებით 1965 წელს უზრუნველყოფილი იქნებოდა დაახლოებით 10 მლნ კაცი. ასეთი გაანგარიშებიდან ჩანს საზოგადოებრივი კვების განვითარების მასშტაბები მომავალში.

დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების პროდუქციის სტრუქტურის შესწავლას კერძების სახეთა მიხედვით. მოქმედ ანგარიშგება გამოყოფს კერძების შემდეგ სახეებს: ა) კერძების პირველი თავი; ბ) მეორე თავი—მათ შორის ხორცის, თევზის, ბოსტნეულის ბურღულის, რძის; გ) მესამე თავი; დ) ცივი კერძები. პროდუქციის მოტანილი კლასიფიკაცია აგებულია ორი ნიშნის მიხედვით.

ძირითად ნიშანს წარმოადგენს კვების რაციონი. ამ თვალსაზრისით, პროდუქცია გაყოფილია ორ ჯგუფად: 1) სადილები—პირველი, მეორე და მესამე თავი კერძები; 2) საუზმეები—ცივი კერძები. კლასიფიკაციის მეორე ნიშანს შეადგენს

დახარჯული ნედლეულის სახეობა, რომლის მიხედვით მეორე თავი კერძები იყოფა ხორცის, თევზის, ბოსტნეულისა და სხვა კერძებად.

კვების სრული რაციონი შედგება სამი თავი კერძისაგან, ამიტომ პირველი, მეორე და მესამე თავი კერძების წილი გამოშვებული კერძების საერთო რაოდენობაში დაახლოებით ერთნაირი უნდა იყოს. ქვემოთ მოტანილია ფაქტიური მონაცემები სახელმწიფო ორგანიზაციებში კერძების განაწილების შესახებ 1965 წლისათვის (სახეთა მიხედვით):

	მლნ კერძი	პროცენტობით ჯამის მიმართ
პირველი თავი კერძები	3438	19
მეორე თავი კერძები	9172	51
მათ შორის:		
ხორცის	4920	54
თევზის	587	6
ბოსტნეულის	788	9
ბურღულისა და ფქვილის რძის	1904	21
დანარჩენი	627	7
მესამე თავი კერძები	346	3
ცივი კერძები	2757	16
	2597	14
<b>ს უ ლ</b>	<b>17964</b>	<b>100</b>

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ ერთ პირველ თავ კერძზე მოდის 2,5 მეორე და მხოლოდ 0,6 მესამე თავი კერძი. ასეთი მონაცემების ანალიზმა უნდა გამოავლინოს კერძებს შორის შექმნილი თანაფარდობის მიზეზი: ხომ არ იფარება იგი პირველი თავი კერძების დაბალი ხარისხით და მესამე (ტკბილი) თავი კერძების არასაკმარის გამოშვებით? მეორე თავი კერძების ასორტიმენტის აღრიცხვის დიდი სიძნელის გამო 1968 წლიდან ამ კერძების ცალ-ცალკე აღრიცხვა გაუქმებულია.

#### 5. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი

იმისათვის, რომ გავიანგარიშოთ საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი შესაძარ ფასებში, საჭიროა საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვა გადავიანგარიშოთ საბაზისო პერიოდის ფასებში, შემდეგ კი საანგარიშო პერიოდის გადაანგარიშებული საქონელბრუნვა გავყოთ საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვაზე. საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის გადაფასება საბაზისო პერიოდის ფასებში ხდება ყოველი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით, რომელიც

გვიხსიათებს პროდუქტების ხარჯვას საზოგადოებრივ კვებაში. ყოველი სასაქონლო ჯგუფისათვის აიღება ფასების იგივე ინდექსები, რომლებიც გაანგარიშებულია საქონლის გაყიდვის გადასაფასებლად საცალო ვაჭრობაში.

განსაკუთრებით უნდა შეეჩერდეთ საზოგადოებრივი კვების დარიცხვის გადაფასების მეთოდებზე შესაძარ ფასებში. როგორც ცნობილია, დარიცხვის დანიშნულებაა აანაზღაუროს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საქმლის მომზადებასა და საქონლის რეალიზაციასთან, აგრეთვე შექმნას ნორმალური მოგება. დარიცხვის ოდენობა განსხვავდება საქონლის ორი ძირითადი ჯგუფის მიხედვით: საქონელზე, რომელიც ძირითადად გამოიყენება მზა საქმლის დასამზადებლად (ხორცი, თევზი, ერბო, კარტოფილი, ბოსტნეული და სხვ.). III კატეგორიის საწარმოებში დარიცხვა წარმოებს ამ საქონლის საცალო ღირებულების 20%-ის ოდენობით, ხოლო შესყიდულ საქონელზე, რომელიც იყიდება ყოველგვარი გადამუშავების გარეშე (საკონდიტრო ნაწარმი, ხილი, ძხვეწული და სხვ.), დაწესებულია დარიცხვა 10%-ის ოდენობით. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილების შედეგად დარიცხვის საშუალო ოდენობა შეიძლება შეიცვალოს, თუნდაც დარიცხვა საკუთარ პროდუქციასა და შესყიდულ საქონელზე ცალ-ცალკე უცვლელი რჩებოდეს. როგორ უნდა განვიხილოთ ამ პირობებში საშუალო დარიცხვის ცვლილება: როგორც ფასობრივი ფაქტორი, რომელიც ახსიათებს ფასების ცვლილებას, თუ როგორც რაოდენობრივი, რომლითაც ხასიათდება მოხმარების მოცულობის ცვლილება? ცხადია, საშუალო დარიცხვის ზრდა ან შემცირება, რომელიც გაპირობებულია საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებით, წარმოადგენს მოხმარების ფაქტორს: საკუთარი პროდუქციის წილის ზრდა საქონელბრუნვაში ნიშნავს, რომ მოსახლეობა უფრო მეტად მოიხმარს ისეთ სასადილო პროდუქციას, რომელიც მოითხოვს შრომის მეტ დანახარჯებს, ამიტომ საშუალო დარიცხვის ზრდა ნიშნავს მოხმარების გადიდებას. ამ შემთხვევაში დარიცხვა საანგარიშო პერიოდში არ უნდა გადაფასდეს შესაძარ ფასებში.

მაგრამ თუ საანგარიშო პერიოდში დარიცხვის დაწესებული ოდენობა შეიცვალა საქონლის მითითებულ ჯგუფებზე (მაგალითად, დარიცხვა საკუთარი წარმოების პროდუქციაზე შემცირდა 20-დან 18%-მდე, ხოლო ნაყიდ საქონელზე— 10-დან 8%-მდე და ა. შ.), ეს იქნება ფასობრივი ფაქტორი. ჩვენს მაგალითში საკუთარი წარმოების პროდუქციაზე დარიცხვის ნორმების ინდექსი იქნება 90%  $\left(\frac{18 \cdot 100}{20}\right)$ , ხოლო შესყიდულ საქონელზე— 80%  $\left(\frac{8 \cdot 100}{10}\right)$ . მაშინ დარიცხვის თანხები საანგარიშო პერიოდში უნდა გადაფასდეს შესაძარ ფასებში (დარიცხვის ნორმების ინდექსზე გაყოფის გზით). გადაანგარიშება ეტრევენოთ შემდეგ მაგალითზე (მლნ მან.):



	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	დარიცხვის ნორმების ინდექსი	დარიცხვა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდის შესადარ ფასებში
<b>დარიცხვა:</b>				
საქონელზე, რომელიც დახარჯა საკუთარი წარმოების პროდუქციის დასამზადებლად	600	720	0.90	800
შესყიდულ საქონელზე	500	560	0,80	700
<b>ჯამი</b>	<b>1100</b>	<b>1280</b>	<b>0.85</b>	<b>1500</b>
საქონელბრუნვა	8000	11000	—	11000
დარიცხვა პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ	13,75	11,60	—	13,64

საქონელბრუნვა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით გაიზარდა 8000 მლნ მანეთიდან 11000 მლნ მანეთამდე, ე. ი. 37,5 %-ით, დარიცხვის თანხა კი უფრო ნაკლებად—1100 მლნ მანეთიდან 1280 მლნ მანეთამდე, ანუ 16 %-ით. ამას გამო დარიცხვის დონემ დაიწია 13,75%-დან 11,6%-მდე. მაგრამ საზოგადოებრივი კვების მომსახურების მოცულობა გაიზარდა არა 16 %-ით, არამედ გაცილებით მეტად, რადგან დარიცხვის შემცირების გამო დასარიცხავი თანხა საანგარიშო პერიოდში არ ასახავს მომსახურების მთელ მოცულობას შესადარ ფასებში, საზოგადოებრივი კვებით მოსახლეობის რეალური მომსახურება

შესადარ ფასებში გაიზარდა 36 %-ით  $\left( \frac{1500 \cdot 100}{1100} \right)$ . ამგვარად, ჩვენს მაგალითში საანგარიშო პერიოდში დარიცხვის ოდენობა შესადარ ფასებში უნდა ავიღოთ 1500 მლნ მანეთის ოდენობით.

მაგრამ არსებობს კიდევ მეორე ფასობრივი ფაქტორი, რომელიც განსაზღვრავს დარიცხვის ოდენობას—ეს არის საზოგადოებრივ კვებაში დახარჯული საქონლის საცალო ფასების ცვლილება. თავიდან რომ ავიცილოთ საქონელზე ფასების ცვლილების გავლენა, საჭიროა დარიცხვის თანხაც ასევე გადავიანგარიშოთ სათანადო საქონლის ფასების ინდექსებით. შესადარ ფასებში საზოგადოებრივი კვების დარიცხვის გადაანგარიშებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ორი ფასობრივი ფაქტორი და, მაშასადამე, ფასების ორი ინდექსი: საქონლის ფასებისა და დარიცხვის ნორმების ინდექსები. მათი ნამრავლი მოგვცემს ფასობრივ ფაქტორთა სავსებით ინდექსს, რომელთა მიხედვითაც გადავიანგარიშება დარიცხვის მთელი თანხა.

დავუშვათ, რომ წინა მაგალითში საკუთარი წარმოების პროდუქციის დასამზადებლად დახარჯულ საქონელზე ფასები საშუალოდ შემცირდა 1 %-ით (ფასთა ინდექსია 0,99), ხოლო შესყიდულ საქონელზე გაიზარდა 2 %-ით (ფასთა ინდექსია 1,02). დარიცხვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის გაანგარიშება ვუჩვენოთ მაგალითზე (მლნ მან.).

	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	დარიცხვის ფასობრივი ფაქტორების ინდექსები			დარიცხვა საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდის შესადარ ფასებსა და ნორმებში
			ფასების	დარიცხვის ნორმების	საერთო	
დარიცხვა:						
საქონელზე, რომელიც დაიხარჯა საკუთარი წარმოების პროდუქციის დასამზადებლად შესყიდულ საქონელზე	600 500	720 560	0,99 1,02	0,90 0,80	0,891 0,816	808 688
<b>ჯ ა მ ი</b>	1100	1280	1,003	0,85	0,857	1494
საქონელბრუნვა	8000	11000	—	—	—	11000
დარიცხვა პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ	13,75	11,60	—	—	—	13,58

ამრიგად, საზოგადოებრივი კვების დარიცხვის დონემ, საქონელბრუნვის მიმართ დარიცხვის ნორმების შემცირების კვალობაზე, დაიწია 13,75-დან 11,6%-მდე. დარიცხვის დონემ შესადარ ფასებში შეადგინა 13,58% და შემცირდა მხოლოდ 1,2%-ით.

ფასობრივ ფაქტორთა ინდექსების გაანგარიშების დეტალური გადმოცემა საზოგადოებრივ კვებაში იხ. X თავში.

## თ ა ზ ი VI

### მთლიანი საცალო საქონელბრუნვის კრედიტის სტატისტიკა საზოგადოებრივი კრედიტის ჩათვლით

ვაჭრობის ცალკეულ დარგთა (საცალო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა) საცალო საქონელბრუნვის შესახებ სტატისტიკური მონაცემების გარდა, აუცილებელია კრედიტით მონაცემები მთელ საცალო საქონელბრუნვაზე საზოგადოებრივი კვების ჩათვლით. ასეთი მონაცემები შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლების უმნიშვნელოვანესი მაჩვენებლის სახით. ამიტომ სახელმწიფო გეგმის შესრულების შემოწმებისათვის საჭიროა მთელი საცალო საქონელბრუნვის კრედიტით მონაცემები. ეს მონაცემები აუცილებელია აგრეთვე ჩვენს ქვეყანაში ფულის მიმოქცევის შეფასებისა და რეგულირებისათვის.

მთელი საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის მაჩვენებელი მიიღება როგორც საცალო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის ჯამი. საერთო ჯამის ამგვარი გამოთვლა წარმოებს სავაჭრო ორგანიზაციების, აგრეთვე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით.

მონაცემები მთელი საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ მუშავდება ქალაქისა და სოფლისათვის ცალ-ცალკე. საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსები როგორც სსრ კავშირისათვის მთლიანად, ისე მოკავშირე რესპუბლიკებისათვის გამოიანგარიშება აგრეთვე მთელი საცალო საქონელბრუნვის მიხედვით.

მოსახლეობის ერთ სულზე საქონელბრუნვის მაჩვენებელი განისაზღვრება აგრეთვე საქონელბრუნვის მთელი მოცულობის მიხედვით. განვიხილოთ მონაცემები საცალო საქონელბრუნვის შესახებ მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით (1965 წლისათვის მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით):

რესპუბლიკები	გაყიდულია მოსახლეობის ერთ სულზე (მან.)	პროცენტობით 1940 წლის მიმართ (შესადარ ფასებში)
1	2	3
რსფსრ	501	344
უკრაინა	408	389
ბელორუსია	362	473
ყაზახეთი	412	460

1	2	3
უზბეკეთი	314	304
ყირგიზეთი	334	405
ტაჯიკეთი	287	339
თურქმენეთი	337	261
საქართველო	339	284
აზერბაიჯანი	290	245
სომხეთი	351	334
ლიტვა	429	544
ლატვია	624	445
ესტონეთი	642	397
მოლდავეთი	314	548
სსრ კავშირი	454	358

საცალო საქონელბრუნვა მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით სსრ კავშირში მთლიანად 1965 წელს შეადგენდა 454 მანეთს, ანუ 1 მან. 24 კაპ. დღეში. მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით, ეს მაჩვენებელი მნიშვნელოვნად მერყეობს: 287 მანეთიდან ტაჯიკეთში 642 მანეთამდე ესტონეთში.

მოკავშირე რესპუბლიკებში მნიშვნელოვნად მერყეობს აგრეთვე სულადობრივი საქონელბრუნვის ზრდის ტემპები. 1940 წელთან შედარებით: 245%-დან აზერბაიჯანში, 548%-მდე მოლდავეთში.

ამ მაჩვენებლის შეფასებისას მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მისი სიდიდე ბევრადაა დამოკიდებული ქალაქისა და სოფლის საქონელბრუნვათა თანაფარობაზე. საქონელბრუნვის საშუალო მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე სოფლად უფრო ნაკლებია, ვიდრე ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დაბებში: 1965 წელს სულადობრივი საქონელბრუნვა ქალაქებში შეადგენდა 654 მანეთს, ხოლო სოფლად—225-ს, ანუ სამჯერ ნაკლებს. ეს განსხვავება უმთავრესად აიხსნება სოფლის მოსახლეობის ნაკლები მოთხოვნილებით სასურსათო საქონელზე. ამიტომ სოფლის მოსახლეობის წილი ამა თუ იმ რესპუბლიკაში ამცირებს სულადობრივ საქონელბრუნვას იმ მოკავშირე რესპუბლიკებთან შედარებით, სადაც მისი წილი უფრო დაბალია. ასე მაგალითად, მოლდავეთში სოფლის მცხოვრებნი შეადგენენ მთელი მოსახლეობის 72%-ს, ტაჯიკეთში—65%-ს, უზბეკეთში—65%-ს, ამიტომ ამ რესპუბლიკებში ყველაზე ნაკლებია საქონელბრუნვის მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე. ლატვიასა და ესტონეთში, სადაც ყველაზე მაღალია სულადობრივი საქონელბრუნვის დონე, სოფლის მცხოვრებთა წილად მოდის მთელი მოსახლეობის 38%.

მონაცემები სასაქონლო სტრუქტურის შესახებ საზოგადოებრივი კვების ჩათვლით მუშავდება აგრეთვე მთელი საცალო საქონელბრუნვის მიხედვით (ათას მან.)

სასაქონლო უკუფუძების დასახელება	გაიყიდა საეპრო ქსელში	დაიხარჯა და გაიყიდა საზო- გადოებრივ კვებაში	ს უ ლ	პროცენტო- ბით ჯამის მიმართ
ხორცი ძებველის ნაწარმი თევზი ქაშაყი და ა. შ. საზოგადოებრივი კვების დარიცხვა				
სულ სასურსათო საქო- ნელი				
ბაშის ქსოვილები შალის ქსოვილები ტანსაცმელი და ა. შ.				
სულ არასასურსათო სა- ქონელი				
მთელი საცალო საქონელ- ბრუნვა				

როგორც ცხრილიდან ჩანს, კრებსითი მონაცემები მთელი საცალო საქონელ-ბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის შესახებ მიიღება, ერთი მხრივ, საეპრო ქსელში საქონლის გაყიდვის, ხოლო მეორე მხრივ, საზოგადოებრივ კვებაში საქონლის დახარჯვისა და გაყიდვის შესახებ მონაცემთა შეჯამების გზით. ცხადია, რომ მხოლოდ კრებსითი მონაცემები მთელი საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის შესახებ უნდა იქნეს გამოყენებული ყველა ეკონომიური გაანგარიშების დროს. კერძოდ, საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ზრდის დასახასიათებლად საჭიროა გამოვიყენოთ მონაცემები მთელი საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურაში მომხდარი ძვრების შესახებ, საზოგადოებრივი კვების ჩათვლით: არასასურსათო საქონლისა და განსაკუთრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წილის გადიდება საქონელბრუნვაში შეიძლება სწორად განისაზღვროს მხოლოდ იმ მონაცემებით, რომლებიც ასახავს მთელი საცალო საქონელბრუნვის სტრუქტურას. სახალხო მოხმარების ცალკეული საქონლის გაყიდვის ზრდა უნდა გამოანგარიშებულ იქნეს აგრეთვე მთელი საცალო საქონელბრუნვის სტრუქტურის შესახებ კრებსითი ანგარიშის მონაცემთა საფუძველზე.

მონაცემები საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის ცვლილებების შესახებ 1940—1965 წლებში მოწმობს საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილ-

დღეობისა და კულტურული დონის განუწყვეტელ გაუმჯობესებას. 1940—1965 წწ. განმაჯობაში საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 4,5-ჯერ გადიდების პირობებში სასურსათო საქონლის გაყიდვა გაიზარდა 3,60-ჯერ, ხოლო არასასურსათო საქონლისა—5,67-ჯერ. ეს სრულიად კანონზომიერი ტენდენციაა; იგი ასახავს მოსახლეობის მოთხოვნილებების ზრდას გაუმჯობესებული ხარისხის საქონელზე.

სასურსათო საქონელში ყველაზე მნიშვნელოვნად გაიზარდა კვების მაღალხარისხოვან პროდუქტთა გაყიდვა: ხორცის პროდუქტებისა—6,61-ჯერ, რძის ნაწარმისა—8,43-ჯერ, შაქრისა—5,64-ჯერ. არასასურსათო საქონლიდან განსაკუთრებით გადიდა აბრეშუმის ქსოვილების გაყიდვა—თითქმის 11-ჯერ, ტრიკოტაჟის ნაწარმისა—8,3-ჯერ, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლიდან: რადიომიმღებისა—32-ჯერ, საათებისა—8,8-ჯერ, ველოსიპედებისა—18-ჯერ და ა. შ.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ 1971—1975 წწ. გათვალისწინებულია მოსახლეობის კვების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, განსაკუთრებით ისეთი პროდუქტების გადიდება, როგორცაა რძე, კარაქი, ხორცი, თევზი, შაქარი, ბოსტნეული და ხილი. მნიშვნელოვნად იზრდება ქსოვილების, ტანსაცმლის, თეთრეულის, ფეხსაცმლის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის მიყიდვა მოსახლეობისათვის.

საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოსახლეობის ერთ სულზე ცალკეული საქონლის გაყიდვის გაანგარიშებას. თუ ასეთ გაანგარიშებას ვაწარმოებთ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით, ეს მონაცემები შესაძლებლობას მოგვცემს გაყიდვის დიფერენციატია შევისწავლოთ ტერიტორიულ კრილში.

განვიხილოთ 1963 წლის მონაცემები ძირითადი არასასურსათო საქონლის გაყიდვის შესახებ მოსკოვისა და ლენინგრადის მიხედვით (მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით):

	გაყიდულია მოსახლეობის ერთ სულზე (მან. კაბ.)		მოსკოვი პროცენტობით ლენინგრადის მიმართ	პროცენტობით ჯამის მიმართ	
	მოსკოვი	ლენინგრადი		მოსკოვი	ლენინგრადი
ქსოვილები	32—06	20—52	160	6,93	6,62
ტანსაცმელი და თეთრეული	188—37	119—40	158	38,58	38,56
ყოველგვარი ფეხსაცმელი	50—62	35—30	143	10,96	11,39
საპანი, პარფიუმერია და გალანტერეა	35—63	24—79	148	7,68	8,00
ივეჯი	35—70	22—44	160	7,72	7,25
კულტსაქონელი	57—02	37—49	153	12,32	12,09
დანარჩენი	62—78	49—67	126	15,81	16,09
სულ არასასურსათო საქონელი	462—18	309—61	148	100	100

მოსკოვსა და ლენინგრადში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით არასასურსათო საქონლის შესყიდვის საერთო მოცულობის განსხვავება მეტად არსებითია: მოსკოვში ყიდულობენ თითქმის 1,5-ჯერ მეტს, ვიდრე ლენინგრადში, მაგრამ ასეთი განსხვავება შეიმჩნევა ყველა სასაქონლო ჯგუფის მიხედვით. ამის შედეგად მოსკოვისა და ლენინგრადის საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურა თითქმის ერთნაირია.

გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ ცალკეული ოლქების მიხედვითაც, მოსახლეობის ერთ სულზე არასასურსათო საქონლის გაყიდვის საერთო თანხის მნიშვნელოვანი განსხვავების მიუხედავად, სასაქონლო სტრუქტურა ვერ გამოავლენს არსებით გადახრებს. ასე მაგალითად: ყველა არასასურსათო საქონლის გაყიდვის საშუალო სულადობრივი მაჩვენებელი 1964 წელს დაღესტნის ასს რესპუბლიკაში შეადგენდა 102 მან. 34 კაპ., ჩუვაშეთის ასსრ-ში—110 მან. 01 კაპ., მოლდავეთის ასსრ-ში—112 მან. 41 კაპ., მარიის ასსრ-ში—113 მან. 03. კაპ (ეს არის შესყიდვის ყველაზე დაბალი ღირებულება რსფსრ-ში). შესყიდვის მაქსიმალური მოცულობა მოსახლეობის ერთ სულზე შეადგენდა: მაგადანის ოლქში—339 მან. 49 კაპ., კამჩატკის ოლქში—302 მან. 68 კაპ., სახალინის ოლქში—269 მან. 04 კაპ. არასასურსათო საქონლის ცალკეულ შესყიდვებს შორის სტრუქტურული თანაფარდობა განსხვავებას თითქმის ვერ გვიჩვენებს.

როგორც ზემონათქვამიდან ჩანს, მოსახლეობის ერთ სულზე საქონელბრუნვის მაჩვენებლების გაანგარიშება ეკონომისტებს აძლევს ფრიად მნიშვნელოვან მონაცემებს საქონელბრუნვის ანალიზისა და დაგეგმვისათვის.

ამავე დროს კრებისთი ცხრილი შესაძლებლობას იძლევა შესწავილ იქნეს საცალო და საზოგადოებრივი კვების ქსელის საქონელბრუნვის სტრუქტურის თავისებურებანი. თუ საზოგადოებრივი კვების ქსელი უმთავრესად სასურსათო ვაჭრობას ახორციელებს (არასასურსათო საქონლიდან აქ იყიდება მხოლოდ თამბაქოს ნაწარმი და ასანთი), მაშინ არასასურსათო საქონლის ცალკეულ სახეთა თანაფარდობა საზოგადოებრივ კვებაში მნიშვნელოვნად განსხვავდება საცალოსასურსათო ვაჭრობის სტრუქტურისაგან: საზოგადოებრივ კვებაში ხორცის, თევზის წილი შედარებით მაღალია, ხოლო რძის, შაქრის, საკონდიტრო ნაწარმისა და სხვისა—შედარებით დაბალი. მთავარია თვალყურის დევნება ცალკეული საქონლის გაყიდვის ტემპების ცვლილებაზე საცალო ქსელსა და საზოგადოებრივ კვებაში, აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერაციულ ვაჭრობაში.

ზემომოტანილი კრებისთი ცხრილის მონაცემთა საფუძველზე გამოიანგარიშება საზოგადოებრივი კვებისა და საცალო ქსელის წილი ცალკეული საქონლის მიხედვით: ცალკეული პროდუქტის ხარჯვა განისაზღვრება პროცენტობით მთელ საცალო ვაჭრობაში სთანადო პროდუქტის საერთო გაყიდვის მიმართ. განვიხილოთ შემდეგი მონაცემები 1965 წლისათვის:

	გაყიდულია საცალო ქსელში	გაყიდულია საზოგადოებრივ კვებაში	ს უ ლ
ყველა საქონელი	90	10	100
მათ შორის;			
ხორცი და ფრინველი	70	30	100
ძებვეულის ნაწარმი	84	16	100
თევზი	86	14	100
ერბო-კარაჭი	92	8	100
რძე და რძის ნაწარმი	80	20	100
კვერცხი	72	28	100
შაქარი	95	5	100
კარტოფილი	74	26	100

საზოგადოებრივი კვების წილი მნიშვნელოვნად მერყეობს ცალკეულ პროდუქტთა მიხედვით: საზოგადოებრივ კვებას უფრო დიდი ხვედრითი წილი უკავია ხორცის პროდუქტების, კვერცხის, კარტოფილის გაყიდვაში; საზოგადოებრივი კვების წილი უმნიშვნელოა შაქრის, საკონდიტრო ნაწარმის, ერბო-კარაჭის გაყიდვისას. ამ მონაცემებს დიდი ოპერატიული მნიშვნელობა აქვს საქონელბრუნვის დაგეგმვასა და სასაქონლო ფონდების განაწილებაში.

ცალკეული საქონლის გაყიდვისა და სასაქონლო ჯგუფების გასაანგარიშებელ მონაცემთა შემოწმების მიზნით საჭიროა ისინი შევადაროთ იმ მონაცემებს (საცალო ვაჭრობაში), რომლებითაც ხასიათდება სახალხო მოხმარების საქონლის საბაზრო ფონდების მიწოდება. ასეთი შედარების აუცილებლობა მხოლოდ საბითუმო და საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკის მაჩვენებლების ერთიმეორესთან დაკავშირების მოთხოვნისგან გამომდინარეობს, როდია ნაკარნახევი; მონაცემები საცალო გაყიდვაზე, როგორც ეს ზემოთაღნიშნული იყო მითითებული, გაანგარიშებული მონაცემებია და ამიტომ შესაძლებელია შეიცავდეს შეცდომებს სააღრიცხვო მონაცემებისა და მათზე დამყარებულ გაანგარიშებათა ნაკლები სისრულის გამო.

საბაზრო ფონდებისა და სახალხო მოხმარების ცალკეული საქონლის გაყიდვა ერთმანეთს უნდა ედარებოდეს ორი მიმართულებით: 1) საბაზრო ფონდის მოცულობისა და გაყიდვის ოდენობის, 2) საბაზრო ფონდებისა და გაყიდვის ზრდის ტემპთა მიხედვით.

სამისოდ უნდა ვისარგებლოთ სრული მონაცემებით საბაზრო ფონდის მიწოდებაზე როგორც სახელმწიფო რესურსების, ისე ადგილობრივი წყაროების ხარჯზე. ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჯგუფების გაყიდვის ოდენობა განისაზღვრება ფულად გამოსახულებაში საცალო ფასებით. ამასთანავე, როგორც ცნობილია, სასურსათო საქონლის საბაზრო ფონდის მიწოდება აღირიცხება ნატურალური გამოსახულებით; აქედან გამომდინარეობს, რომ საბაზრო ფონდების



ნატურალური მარცხენებლები წინასწარ უნდა შეფასდეს საცალო ფასებით. საბაზრო ფონდების შემადგენლობაში აღირიცხება საქონლის მიწოდება მთელი საცალო ვაჭრობისათვის მთლიანად; მაშასადამე, საბაზრო ფონდების შედარება აუცილებელია მხოლოდ ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჯგუფთა გაყიდვის მონაცემებთან მთელ საცალო ვაჭრობაში საზოგადოებრივი კვების ჩათვლით.

საბაზრო ფონდებისა და გაყიდვის შედარების მეთოდები ბამბის ქსოვილების მაგალითზე განვიხილოთ შემდეგი მონაცემების მიხედვით (მლნ მან. საცალო ფასებით):

	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
გაყიდულია საცალო ვაჭრობაში	414	571
მიწოდება საბაზრო ფონდის მიხედვით	500	450

როგორც ცხრილიდან ჩანს, გაყიდვის მოცულობა საცალო ვაჭრობაში არ შემთხვევა საბაზრო ფონდის მიწოდების მოცულობას: საბაზისო პერიოდში გაყიდულია 86 მლნ მანეთით, ანუ 17%-ით ნაკლები, ხოლო საანგარიშო პერიოდში—121 მლნ მანეთით, ანუ 27 %-ით მეტი, ვიდრე მიწოდებულია საბაზრო ფონდით. ორივე წყარო გვიჩვენებს სხვადასხვაგვარ დინამიკასაც: საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით საბაზრო ფონდები შემცირდა 50 მლნ მანეთით, ანუ 10%-ით, ხოლო გაყიდვა მნიშვნელოვნად გაიზარდა—157 მლნ მანეთით, ანუ 38%-ით. რით აიხსნება ეს წინააღმდეგობა?

საქონლის გაყიდვა საცალო ვაჭრობაში წარმოებს არა მხოლოდ მიმწოდებლებისაგან საქონლის მიმდინარე მიღების, არამედ სასაქონლო მარაგის საცალო ვაჭრობაში გამოყენების ანგარიშზე. თუ სასაქონლო მარაგი საცალო ვაჭრობაში შემცირდა, მაშინ საბაზრო ფონდის საქონლის გაყიდვა მიმდინარე მიღებაზე მეტი იქნება და პირიქით, თუ სასაქონლო მარაგები გაიზარდა, ეს იმას ნიშნავს, რომ საბაზრო ფონდების ნაწილი ჩაწვა (სასაქონლო მარაგის სახით) და გაყიდვა საბაზრო ფონდის მიწოდებაზე ნაკლები იქნება. აქედან გამომდინარეობს, რომ გაყიდვასთან საბაზრო ფონდების შესადარებლად უნდა მოვახდინოთ ამ ფონდების კორექტირება საცალო ვაჭრობაში სასაქონლო მარაგის ცვლილების საფუძველზე: მარაგის შემცირება მივუმატოთ, ხოლო მარაგის ზრდა გამოვაკლოთ საბაზრო ფონდებს.

დავეშვათ, რომ ბამბის ქსოვილების სასაქონლო მარაგი საბაზისო პერიოდში გაიზარდა 100 მლნ მანეთით, ხოლო საანგარიშო პერიოდში ამავე ოდენობით შემცირდა. ბამბის ქსოვილების გაყიდვა შევეუდაროთ საბაზრო ფონდებს შემდეგ, ცხრილში (მლნ მან.):

	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	საანგარიშო პერიოდის პროცენტობით საბაზისო პერიოდის მიმართ
საცალო გაყიდვა	414	571	137,9
მიწოდება საბაზისო ფონდით	500	450	90,0
სასაქონლო მარაგის ცვლილება საცალო ვაჭრობაში	+100	-100	—
გაყიდვისთან შედარებული საბაზრო ფონდით მიწოდება	400 (500-100)	550 (450-100)	137,5

ამრიგად, კორექტირების შემდეგ საბაზრო ფონდების მოცულობა თითქმის დაემთხვა გაყიდვას და საბაზრო ფონდების დინამიკა შეესაბამება გაყიდვის დინამიკას.

პრაქტიკულად საბაზრო ფონდის კორექტირება არ იწვევს გაყიდვის სიდიდებზე მის აბსოლუტურ დამთხვევას. საჭიროა თვალყურით ვადევნოთ იმას, რომ განსხვავება როგორც მიწოდების მოცულობასა და გაყიდვას, ისე მათ დინამიკას შორის მინიმალური იყოს. მხოლოდ ასეთი შედარების შემდეგ შეიძლება მონაცემები ცალკეული საქონლის გაყიდვის შესახებ მივიჩნიოთ საიმედოდ და გამოვიყენოთ ეკონომიურ ანალიზში. ასეთი შედარება აუცილებელია ვაწარმოოთ არა მარტო საერთოდ სსრ კავშირის, არამედ მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვითაც.

უფრო რთულია გაყიდვის შედარება სასურსათო საქონლის საბაზრო ფონდებთან, რადგანაც ნატურალური მონაცემები მიწოდების შესახებ წინასწარ უნდა შეფასდეს საშუალო საცალო ფასებით (საშუალო საცალო ფასების შესახებ იხ. თავი III). საბაზრო ფონდების საცალო ფასებით შეფასების შემდეგ მათი კორექტირება საცალო ქსელში სასაქონლო მარაგის ცვლილების საფუძველზე წარმოებს ისევე, როგორც არასასურსათო საქონლის მიხედვით.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ რიგ შემთხვევებში საცალო ვაჭრობის მიერ მიღებული ზოგიერთი საქონლის საბაზრო ფონდები გადამუშავდება სხვა სახის საქონლად, მაგალითად: ქსოვილები—შეკერილ ნაწარმად, შაქარი—საკონდიტრო ნაწარმად და სხვ. ამის შედეგად საცალო ვაჭრობაში გაიყიდება მეტი ტანსაცმელი, საკონდიტრო ნაწარმი და ნაკლები ქსოვილები, შაქარი, ვიდრე მიღებულია საბაზრო ფონდით. ეს გარემოება საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული საბაზრო ფონდებთან გაყიდვის შედარების დროს.

დასასრულ, გაყიდვის მონაცემები სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საჭიროა შევედაროთ მრეწველობის მიერ გამოშვებული პროდუქციის მონაცემებს. პროდუქციისა და საცალო გაყიდვის ზრდის ტემპების უბრალო შედარება უმართებულოა, ვინაიდან საცალო ვაჭრობაში შედის არა მთელი გამომუშავებული პროდუქცია, არამედ ამ პროდუქციის მხოლოდ საბაზრო ფონდი. გარდა ამისა, საქონლის მიწოდება საბაზრო ფონდის მიხედვით წარმოებს იმპორტული საქონლის ანგარიშზეც. რომელიმე საქონლის მიხედვით განვიხილოთ შემდეგი პირობითი მაგალითი (მლნ მან.):

	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	საანგარიშო პერიოდში პროცენტობით საბაზისო პერიოდის მიმართ
საქონლის გაყიდვა	240	480	200
შრეწელობის პროდუქცია	400	500	125
საბაზრო ფონდი	300	430	143
მათ შორის იმპორტი	—	30	—
სასაქონლო მარაგის ცვლილება საცალო ვაჭრობაში	+60	-50	—
გაყიდვასთან შედარებული საბაზრო ფონდი	240	480	200

პროდუქციისა და გაყიდვის ზრდის ტემპების უბრალო შედარება კი ცხადყოფს ამ მაჩვენებელთა მკვეთრ განსხვავებას (200 და 125 %). როგორ ავსნათ ეს წინააღმდეგობა? ჰერ ერთი, უნდა გავითვალისწინოთ, რომ იყიდება არა მარტო სამამულო წარმოების პროდუქცია, არამედ იმპორტული საქონელიც. საბაზისო პერიოდში იგი არ იყო, ხოლო საანგარიშოში შემოვიდა 30 მლნ მანეთისა. მეორე, საცალო ქსელში მიემართება არა მთელი სამრეწველო პროდუქცია, არამედ მისი მხოლოდ საბაზრო ნაწილი. საბაზრო ფონდის წილი სამამულო წარმოების პროდუქციაში საანგარიშო პერიოდში გადიდა 75%-დან  $\left(\frac{300 \cdot 100}{400}\right)$  80%-მდე

$\left(\frac{400 \cdot 100}{500}\right)$ . შესამეც, საანგარიშო პერიოდში გაყიდვის ზრდისათვის გამოყენებული იყო სასაქონლო მარაგი. კორექტირების შემდეგ საბაზრო ფონდების გაყიდვისა და მიწოდების ზრდის ტემპები ერთმანეთს ემთხვევა, ე. ი. წინააღმდეგობა გამოაშკარავებულია.

საცალო საქონელბრუნვა ფართოვდება მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდების ბაზაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია საცალო საქონელბრუნვის ზრდის შესწავლა მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდების ზრდასთან დაკავშირებით. მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდს შეადგენს მოსახლეობის ფულადი შემოსავალი, რომელიც განკუთვნილია საქონლის შესყიდვისათვის. იგი წარმოადგენს სხვაობას საანგარიშო წელიწადში მოსახლეობის მიერ მიღებულ ფულად შემოსავალსა და მის ვერეთ წოდებულ არასასაქონლო გასავალს შორის (მომსახურების ანაზღაურება, ნებაყოფლობითი შენატანები, გადასახადები, დანაზოგები). მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდებთან საქონელბრუნვის მოცულობის შესადარებლად, საჭიროა ამ უკანასკნელისაგან გამოირიცხოს საქონელი, რომელიც მიეყიდა ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და საწარმოებს. მოქმედი ანგარიშგება შეიცავს წვრილსაბითუმო საქონელბრუნვის მონაცემებს, რაც ხორციელდება უნაღლო ანგარიშსწორების წესით სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის მეშვეობით; თუმცა სხვადასხვა

ორგანიზაციები, დაწესებულებანი და საწარმოები შესყიდვას აწარმოებენ ნაღდი ფულითაც, რომლის რაოდენობაც ძნელია აღირიცხოს სისტემატურად. საქონლის შესყიდვა საცალო ვაჭრობიდან დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ განისაზღვრება პერიოდული გამოკვლევების მონაცემთა საფუძველზე.

მოსახლეობისათვის საქონლის მიყიდვასთან მსყიდველობითი ფონდების შედარება წარმოებს რამდენიმე მიმართულებით. უწინარეს ყოვლისა, ერთიმეორეს უპირისპირდება მსყიდველობითი ფონდებისა და საქონელბრუნვის აბსოლუტური სიდიდე არა მარტო სსრ კავშირისათვის მთლიანად, არამედ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვითაც. მსყიდველობითი ფონდების გადაამეტება საქონელბრუნვაზე მოწოდებს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნების არსებობას. ამ მონაცემთა შორის შეუსაბამობის გადიდება დამადასტურებელია საქონელბრუნვის ჩამორჩენისა მოსახლეობის მსყიდველობითი ფონდების ზრდისაგან. ასეთი შედარება ვუჩვენოთ შემდეგ პირობით მაგალითზე (მლნ. მან.):

	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი		
		გეგმა	ფაქტიური	პროცენტობით
1. მსყიდველობითი ფონდები	500	550	570	104
2. საცალო საქონელბრუნვა	500	550	555	101
მსყიდველობითი ფონდების შემცველობა (2 : 1)	100	100	97,5	—

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, მსყიდველობით ფონდებსა და საცალო საქონელბრუნვას შორის საბაზისო პერიოდში არსებობდა სრული თანასწორობა. ასეთივე თანასწორობა იყო გათვალისწინებული მიმდინარე პერიოდის გეგმითაც. ფაქტიურად კი მსყიდველობითი ფონდები გაიზარდა უფრო მაღალი ტემპით (4%), რითაც საქონელბრუნვის გეგმა გადაჭარბებით (1 %) იქნა შესრულებული. ამის შედეგად შემოსავალსა და საქონელბრუნვას შორის წარმოიშვა დისპროპორცია (15 მლნ მან.). მისი თავიდან აცილებისათვის საჭიროა მიღებულ იქნეს ღონისძიებანი საქონელბრუნვის გასადიდებლად (გადიდდეს საბაზრო ფონდები, შემცირდეს საქონლის მარაგი და ა. შ.). ამრიგად, ასეთი ანალიზური დაპირისპირება დაგეგმვარება გამოვავლინოთ ვაჭრობის განვითარების შესაბამისობა მსყიდველობით ფონდებთან, რაც დიდად გვეხმარება ვაჭრობის დაგეგმვასა და მიმდინარე რეგულირებაში.

III თავში განხილული იყო საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსებისა და საცალო საქონელბრუნვის საქონლით უზრუნველყოფის ბალანსის მეთოდოლოგიის საკითხები. საბითუმო ვაჭრობის ბალანსი გვიხასიათებს საქონლის მოძრაობას ცალკეულ რგოლთა მიხედვით საბითუმო ვაჭრობის სფეროში წარმოების სფეროდან საცალო ვაჭრობის სფერომდე. (საცალო საქონელბრუნვის საქონლით უზრუნველყოფის ბალანსი ახასიათებს საბითუმო ვაჭრობიდან საცალო ვაჭრო-

ბისაყენ წარმართული სასაქონლო რესურსების სინთეზურ კავშირს და მათ გამოყენებას საცალო ვაჭრობაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქონლით უზრუნველყოფის ბალანსი მოიცავს მხოლოდ სასაქონლო ფონდებს. თუმცა შეიძლება შევადგინოთ საცალო ვაჭრობის ცალკეული სასაქონლო ბალანსი, რომელშიც საგასაჯლო ნაწილი მთლიანად დაემთხვევა საცალო საქონელბრუნვის საქონლით უზრუნველყოფის ბალანსის საგასაჯლო ნაწილს, ხოლო საშემოსავლო ნაწილში ნაჩვენები იქნება საქონლის მიღება (და არა მიწოდება, როგორც ეს საქონლით უზრუნველყოფის ბალანსშია) საბითუმო ვაჭრობიდან. ამოცანა დგება მთელი საბჭოთა ვაჭრობის (საბითუმო და საცალო) კრებისითი სასაქონლო ბალანსის შედგენის შესახებ.

კრებისითი ბალანსის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ვაჭრობის სფეროში შემოსული სასაქონლო რესურსები შევეუდაროთ მათ გამოყენებას ვაჭრობაში. ამასთან, სასაქონლო რესურსთა მიღება ნაჩვენები უნდა იქნეს მათი პირველი მიღების (ძირითადად წარმოებიდან მიღების) მომენტის, ხოლო გამოყენება—ვაჭრობის სფეროდან მათი გამოსვლის მომენტის მიხედვით.

საბჭოთა ვაჭრობის კრებისითი სასაქონლო ბალანსის აგება განვიხილოთ შემდეგ სქემატურ მაგალითზე:

საბჭოთა ვაჭრობის ხასაქონლო ბალანსი (მლნ მან)

	საბითუმო ვაჭრობა			სა- ცალო ვაჭრობა	მთელი საბჭოთა ვაჭრობა (წმინდა ბრუნვა)	პროცენტობით ჯამის მიმართ
	საფაბრიკო საწყობები და საგასაჯლო ბაზები	საქონლო ბაზები	სულ წმინდა ბრუნვა			
	1	2	3	4	5	6
1. მარაგი წლის დასაწყისისათვის	800	5200	6000	16000	22000	19,0
2. მიღებულ იქნა საქონელი:						
ა) ცენტრალიზებული რესურსების წარმოებიდან	78100	—	78100	—	78100	67,2
ბ) ადგილობრივი რესურსებიდან	10000	—	10 000	10 000	10 000	8,6
ვ) იმპორტით	—	4000	4000	—	4000	3,5
დ) საფაბრიკო საწყობებისა და საგასაჯლო ბაზებიდან	—	71000	—	—	—	—
ე) ცენტრალიზებული ფონდები საბითუმო ვაჭრობიდან	—	—	—	76200	—	—
ვ) საზოგადოებრივი კვების დანარიცხა	—	—	—	2000	2000	1,7
<b>ს უ ლ</b>	<b>88900</b>	<b>80200</b>	<b>98100</b>	<b>104200</b>	<b>116100</b>	<b>100,0</b>

	1	2	3	4	5	6
3. საქონლის გასავალი:						
ა) გავზავნა საეპკრო ბაზებისათვის	72380	—	—	—	—	—
ბ) საბაზრო ფონდების მიწოდება ცენტრალისებული რესურსებიდან	3000	74620	77620	—	—	—
გ) საბაზრო ფონდების მიწოდება ადგილობრივი რესურსებიდან	10000	—	10000	—	—	—
დ) მიწოდება არასაბაზრო ფონდიდან	3000	—	9000	—	3000	2,6
ე) საცალო საქონელბრუნვა	—	—	—	86000	86000	74,0
4. სასაქონლო დანაკარგი	20	80	100	200	300	0,3
5. მარაგი წლის ბოლოსათვის	500	5500	6000	18000	24000	20,7
გარდა ამისა, მარაგის ზრდა გზაში	—	—	1380	—	2800	2,4
<b>ს უ ლ</b>	<b>88900</b>	<b>80200</b>	<b>98100</b>	<b>104200</b>	<b>116100</b>	<b>100,0</b>

საბითუმო ვაჭრობის სასაქონლო ბალანსი აგებულია იმ მეთოდოლოგიის საფუძველზე, რომელიც გადმოცემულია III თავში, ე. ი. რგოლების მიხედვით; ამასთანავე, ჯამობრივი ბალანსი (სვეტი 3) გაანგარიშებულია წმინდა ბრუნვის მეთოდით საფაბრიკო საწყობებისა და საეპკრო ბაზების ბალანსებს შორის შიდაბრუნვების გამოკლებით; შიდაბრუნვის მაჩვენებლები ცხრილში მოტანილია შავი-შრიფტით. იმის გამო, რომ ჯამობრივი ბალანსის საგასავლო ნაწილიდან უფრო დიდი თანხაა (72 380) გამორიცხული, ვიდრე საშემოსავლოდან (71000), სხვაობა ნაჩვენებია საგასავლო ნაწილში, როგორც საბითუმო ვაჭრობის ფარგლებში გზაში მყოფი მარაგის მატება.

ანალოგიურადაა შედგენილი მთელი საბჭოთა ვაჭრობის — საბითუმოსა და საცალოს (სვეტი 5) კრებისთი ბალანსი, რომელშიც გამორიცხულია ბალანსთა-შორისი ბრუნვების თანხები: 77 620 და 10 000 — საგასავლო ნაწილში და 76 200 და 10 000 — საშემოსავლო ნაწილში. საგასავლო ნაწილიდან გამორიცხული თანხების გადაშვება საშემოსავლო ნაწილიდან გამორიცხულ თანხებზე (87 620 — 86 200 = 1420) ქმნის საბითუმო და საცალო ვაჭრობას შორის გზაში მყოფი საქონლის მარაგის ნამატს (1420). საბითუმო ვაჭრობის რგოლებს შორის გზაში მყოფი მარაგის ნამატთან ერთად (1380) მთელ საბჭოთა ვაჭრობაში გზაში მყოფი საქონლის მარაგის ნამატის საერთო თანხა იქნება 2800.

კრებისთი სასაქონლო ბალანსი გვაძლევს საქონლის მოძრაობის საფუძველიან დახასიათებას მთელ საბჭოთა ვაჭრობაში. საფაბრიკო საწყობებისა და საგასავლო ბაზების ბალანსებში ახალ რესურსთა მიღება შეადგენდა 88 100 მლნ მანეთს (78 100 + 10000), ხოლო სახალხო მეურნეობაში გავზავნილია 88 400 მლნ მან. (72 380 +

3000+10000+3000+20 დანაკარგები). ამრიგად, ბალანსი გაწონასწორდა 300 მლნ მანეთით სასაქონლო მარაგის შემცირების ხარჯზე. საეკრო ბაზების ბალანსში ახალი რესურსები იქნა მიღებული 75000 მლნ მანეთის ოდენობით (71000+4000), ხოლო გამოყენებულია მხოლოდ 74700 მლნ მანეთისა (74620+80 დანაკარგები); ამრიგად, ამ რგოლში საქონლის მარაგი გადიდდა 300 მლნ მანეთით. მთელ საბითუმო ვაჭრობაში შიდაბრუნებების გამორიცხვის შემდეგ ახალი სასაქონლო რესურსები შეადგენდა 92100 მლნ მანეთს (78100+10000+4000), ხოლო სახალხო მეურნეობაში გამოყენებულ იქნა 90 720 მლნ მანეთი (77620+10 000 + 3000+100 დანაკარგები). ამრიგად, გამოუყენებელი აღმოჩნდა 1380 მლნ მანეთი, რაც იყო გზაში მყოფი მარაგის ნამატი, რადგანაც საბითუმო საწარმოებში მარაგი უცვლელი დარჩა (6000).

ახალი რესურსები საცალო ვაჭრობაში შემოვიდა 88200 მლნ მანეთის ოდენობით (76 200 +10 000+2000), საეკრო ამონაგები და დანაკარგები შეადგენდა 86 200 მლნ მანეთს. ამგვარად, რესურსებსა და მათ გამოყენებას შორის გადიდდა სხვაობა სასაქონლო მარაგის მიხედვით (2000).

მთელი საბჭოთა ვაჭრობის კრებსითი ბალანსი გვიჩვენებს საქონლის მიღების წყაროთა შემადგენლობას ვაჭრობის სფეროში საქონლის შიდა ადგილმონაცვლეობის გამოკლებით. ვაჭრობაში სულ შემოვიდა 94 100 მლნ მანეთის საქონელი; აქედან 92 100 მლნ მანეთისა წარმოებიდან და იმპორტით საბითუმო ვაჭრობის სფეროში, ხოლო 2000 მლნ მანეთისა—საცალო ვაჭრობიდან როგორც საზოგადოებრივი კვების დარიცხვა. გამოიყენეს და საეკრო სფეროდან გამოვიდა 89 300 მლნ მანეთი, აქედან 86 მლნ მანეთისა გაიყიდა საცალოდ, 3000 მლნ მანეთისა მიეყიდა არასაბაზრო მომხმარებლებს, ხოლო 300 მლნ მან. შეადგენდა დანაკარგს. ამრიგად, გამოუყენებელი დარჩა 4800 მლნ მანეთი, რაც გადაიღო მარაგში.

კრებსითი სასაქონლო ბალანსი, რომელიც წმინდა ბრუნვის მეთოდითაა შედგენილი, გვიხასიათებს საბჭოთა ვაჭრობის სასაქონლო კავშირს წარმოების სფეროსა და მოხმარების სფეროს შორის.

## სასაქონლო მარაგისა და საქონელბრუნვის სისწრაფის სტატისტიკა

### 1. სასაქონლო მარაგის სტატისტიკის ამოცანები

საქონელბრუნვის მაჩვენებლებთან ერთად ვაჭრობის სტატისტიკაში დიდი მნიშვნელობა აქვს სასაქონლო მარაგის მაჩვენებლებსაც.

იმისათვის, რომ საქონელბრუნვა განუწყვეტლივ ხორციელდებოდეს, საქონლის მიმოქცევის არხებში ყოველთვის უნდა იყოს საქონლის საკმარისი მარაგი.

...„საქონელი მეტი თუ ნაკლები დროის განმავლობაში ქმნის მარაგს, ვიდრე იგი ამგვარადვე ახალი ეგზემპლარებით არ იქნება შენაცვლებული. მხოლოდ მარაგის ასეთი შექმნით ხდება უზრუნველყოფილი მიმოქცევის პროცესის და, მაშასადამე, იმ კვლავწარმოების პროცესის მუდმივობა და უწყვეტობა, რომელიც მიმოქცევის პროცესსაც შეიცავს“<sup>1</sup>.

საზოგადოების ეკონომიური წყობილება განსაზღვრავს მიმოქცევის არხებში სასაქონლო მარაგის შექმნის ბუნებასა და მათ აბსოლუტურ რაოდენობას.

კაპიტალისტურ მეურნეობაში სასაქონლო მარაგის აბსოლუტური დონე მიმოქცევის არხებში წარმოიშობა საქონლის გასაღების სიძნელეთა ზეგავლენით, რომელსაც მუდმივად განიცდის კაპიტალისტური ვაჭრობა იმ წინააღმდეგობათა ძალით, რაც დამახასიათებელია წარმოების კაპიტალისტური წესისათვის.

განსაკუთრებით მკვეთრად იზრდება სასაქონლო მარაგი ჯარბწარმოების კრიზისების პერიოდში, რომლებიც არყევენ კაპიტალისტურ ეკონომიკას.

სოციალისტური ეკონომიკა თავისუფალია ეკონომიური კრიზისებისაგან. საწარმოო ძალთა განვითარებას სოციალიზმის დროს თან ახლავს ხალხის ცხოვრების დონის განუწყვეტელი ამაღლება.

მშრომელთა ფართო მასების კეთილდღეობისა და კულტურის მუდმივ ზრდა წარმოადგენს სოციალისტური საზოგადოების განვითარების დამახასიათებელ თვისებას და ქმნის საქონელბრუნვის განვითარების ხელშემწყობ პირობებს. საბჭოთა ვაჭრობა მასობრივი მოხმარების საქონელზე, მოსახლეობის მზარდ გადახდისუნარიან მოთხოვნილებათა პირობებში, არ განიცდის სიძნელეებს საქონლის რეალიზაციაში, მას სრული შესაძლებლობა აქვს მიმოქცევის არხებში სასაქონლო

<sup>1</sup> გ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, 1957, გვ. 181.



მარაგის დონე დაიყვანოს ნორმალურ დონემდე, დაც საჭიროა საქონელბრუნვის განუწყვეტელი მიმდინარეობის უზრუნველსაყოფად.

სასაქონლო მარაგის ნორმალური დონე საბჭოთა ვაჭრობაში განისაზღვრება ცალკეული საქონლის გაყიდვის, შენახვისა და სავაჭრო საწარმოებში მისი შემოზიდვის პირობებით, რაც ასახება სასაქონლო მარაგის საგვემო ნორმატივებში.

გვეგვიანი სოციალისტური მეურნეობის უპირატესობა შესაძლებლობას გვაძლევს საბჭოთა ვაჭრობაში ვიჭინოთ შედარებით ნაკლები სასაქონლო მარაგი, ვიდრე კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში, უფრო სწრაფად დავიყვანოთ საქონელი მომხმარებელამდე, თუმცა საბჭოთა ვაჭრობის სავაჭრო ორგანიზაციები ყოველთვის ვერ იყენებენ ამ შესაძლებლობას. ყოველგვარი სახის ბიუროკრატიულ დამახინჯებებს, საქონლის არასწორ შემოზიდვას, საქონლის ხარისხისა და მოსახლეობის მოთხოვნილებებთან მისი შესაბამისობისადმი უყურადღებობას საბჭოთა ვაჭრობის პირობებშიც შეუძლია შექმნას ზედმეტი სასაქონლო მარაგი საქონელგამტარი ქსელის ცალკეულ უბნებზე.

ამასთან, შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ისეთ ფაქტებსაც, როდესაც სავაჭრო ორგანიზაციების არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შედეგად ესა თუ ის სავაჭრო საწარმო უზრუნველყოფილი არ იქნება ნორმალური სასაქონლო მარაგით. ამას შეუძლია გამოიწვიოს შეფერხებები ცალკეული საქონლით მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში.

ამიტომ არის, რომ მონაცემები სასაქონლო მარაგის შესახებ წარმოადგენს ვაჭრობის კონიუნქტურის, მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილების ხარისხისა და ამ მოთხოვნილებებისადმი გასაყიდი საქონლის შესაბამისობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს. სასაქონლო მარაგის სტატისტიკის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

1) სასაქონლო მარაგის ფაქტიური ოდენობის განსაზღვრა, მათი შედარება ნორმატივებთან და ამ საფუძველზე გადახრათა გამოვლენა, სასაქონლო მარაგებით საქონელბრუნვის უზრუნველყოფის მაჩვენებლების გამოანგარიშება;

2) სასაქონლო მარაგის სტრუქტურისა და დინამიკის შესწავლა;

3) საქონელბრუნვის სისწრაფისა და საქონლის მიმოქცევის დროის დინამიკის მაჩვენებელთა გაანგარიშება და ანალიზი.

სასაქონლო მარაგი ვაჭრობაში აღირიცხება საქონლისა და საქონლის ჩგუფთა მიხედვით. იგი წარმოადგენს საქონლის მარაგით საქონელბრუნვის უზრუნველყოფისა და საქონელ ბრუნვის სისწრაფის ანალიზის საფუძველს. კრებს სით სტატისტიკაში სასაქონლო მარაგი იყოფა სავაჭრო რგოლთა (საბითუმო და საცალო ვაჭრობა) მიხედვით, ხოლო სავაჭრო რგოლებში—სავაჭრო ორგანიზაციების, აგრეთვე ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მიხედვით. აღირიცხვას და ანგარიშებაში ცალკე გამოიყოფა სასაქონლო მარაგი გზაში. ეს არის საქონელი, რომელიც შეისყიდეს სავაჭრო ორგანიზაციებმა, გაგზავნეს მიმწოდებლებმა მაგრამ აღირიცხვის მომენტისათვის ჯერ კიდევ არ არის მიღებული საწყობში, ეს ი. გზაში იმყოფება.

სავაჭრო ორგანიზაციების სასაქონლო მარაგი თავისი დანიშნულებით იყოფა სხვადასხვა ჯგუფებად. ესენია:

- 1) მიმდინარე საქიროების სასაქონლო მარაგი;
- 2) სასაქონლო მარაგი სეზონური და ხანგრძლივი საქიროებისათვის;
- 3) ვადამდე შეტანის სასაქონლო მარაგი.

სეზონური საქიროების სასაქონლო მარაგი წარმოიშობა იმის გამო, რომ აუცილებელია წინასწარ შეიქმნას ცალკეული საქონლის მარაგი მასზე სეზონური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ასეთი მდგომარეობაა, მაგალითად, ზამთრის ტანსაცმელზე, ნაბღის ფეხსაცმელზე, ზაფხულის ტანსაცმელზე და ა. შ. სეზონური დაცვის საქონელი აღირიცხება ცალკე. იგი არ შეიტანება ბრუნვადობის საეგემო ნორმატივებში, მას ეძლევა დაკრედიტების შეღავათიანი პირობები.

ასეთივე ხასიათისაა ხანგრძლივად შესანახი საქონელიც. მას მიეკუთვნება ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი და სხვა საქონელი, რომელიც ინახება სპეციალურ საცავში მთელი ზამთრის განმავლობაში. ხანგრძლივად შესანახი სასაქონლო მარაგი აღირიცხვასა და ანგარიშგებაში გამოიყოფა ცალკე.

ვადამდე შეტანილი სასაქონლო მარაგი იქმნება იმ სავაჭრო ორგანიზაციებში, რომლებიც მუშაობას აწარმოებენ ძნელად მისაღვამ რაიონებში (შორეული ჩრდილოეთის რაიონები, მთიანი რაიონები და სხვ.). საქონლის წინასწარი შეტანის საქიროება ხანგრძლივი პერიოდით ამ რაიონებში განისაზღვრება სატრანსპორტო კავშირის დარღვევის პერიოდულობით წლის ცალკეული დროისათვის. სწორედ ამის გამო იქმნება ვადამდე შეტანილი მარაგი. საქონლის მარაგის ეს სახეც სტატისტიკაში ცალკე გამოიყოფა.

სასაქონლო მარაგის ეს სახეები არ გვხვდება ყველა სავაჭრო ორგანიზაციაში. ჩვეულებრივ, სავაჭრო ორგანიზაციებს გააჩნიათ მიმდინარე სასაქონლო მარაგი, რაც უზრუნველყოფს საქონელბრუნვის ნორმალურ განვითარებას.

## 62. სასაქონლო მარაგის ანგარიშგება ვაჭრობაში

სასაქონლო მარაგის ამსოლუტური ოდენობა შეიძლება აღირიცხოს დროის მხოლოდ განსაზღვრული მომენტისათვის, რამდენადაც საქონელბრუნვის პროცესში სასაქონლო მარაგის ოდენობა ცალკეული საქონლის მიხედვით ყოველთვის იცვლება. არსებობს სასაქონლო მარაგის აღირიცხვის სამი წესი: ინვენტარიზაცია ოპერატიული აღრიცხვა და საბალანსო მეთოდი.

ინვენტარიზაცია არის სასაქონლო მარაგის მთლიანი აღწერა. მას, ჩვეულებრივ, ატარებს სპეციალური კომისია, რომელსაც თავის შემადგენლობაში ჰყავს სარევიზიო-საკონტროლო ორგანოთა წარმომადგენელი. ინვენტარიზაციის ჩატარების დროისათვის საწარმოს სავაჭრო საქმიანობა წყდება. კომისია საქონელს სინჯავს ადგილზე, აღწესს მის რაოდენობას ნატურით (წონით ან ზომით) საქონლის ყოველი სახის ან ხარისხის მიხედვით და გამოთვლილ შედეგებს წერს სპეციალურ ბლანკში — საინვენტარიზაციო უწყისში, რომელშიც მოცემულია, საქონლის დაწვრილებითი ნუსხა ყველა საასორტიმენტო ქვეჯგუფის გამოყოფით.

უ ლალტერიაში ტარდება სასაქონლო მარაგის ნატურალური რაოდენობის შეფასება შესაბამის ფასებში (ჩვეულებრივ, საცალო ფასებში), რის შედეგადაც მიიღება სასაქონლო მარაგის მონაცემები მანეთობით. ეს მონაცემები შეიძლება დაიყოს სასაქონლო ჯგუფების მიხედვით და მიღებულ იქნეს ჯამი მთლიანად ყველა საქონლისათვის.

მარაგის ოპერატიული აღრიცხვა (რომელსაც ხშირად პრაქტიკაში უწოდებენ „ნაშთების მოხსნას“) წარმოადგენს მათ მიახლოებით გამოთვლას საქონლის რაოდენობის მთლიანი გამოთვლის გარეშე. მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: ყოველი საქონლის მიხედვით გამოითვლება „ერთეულთა“ (ტომრების, ყუთების, კასრების, ნაჭრების და ა. შ.) რაოდენობა; იგი გადამრავლება სტანდარტით დაწესებული ერთი ერთეულის მოცულობაზე (ცილოგრამები, ცალები, მეტრები, ლიტრები და სხვ.). ამავე დროს განისაზღვრება არასტანდარტულად შეფუთული (ნაკლული ტომრები, ყუთები და ა. შ.) საქონლის რაოდენობა. ამ წესით მიღებული საქონლის ოდენობა შეფასდება დაწესებული ფასებით.

სასაქონლო მარაგის განსაზღვრის საბალანსო (სადავთრო) მეთოდში გულისხმობს საქონლის საწყისი მარაგის, მიღებისა და გასავლის სადავთრო ჩანაწერების შედარებას: მარაგის ჯამი თვის ბოლოსათვის უნდა შეადგენდეს: თვის დასაწყისისათვის მარაგს, პლუს მიღება და მინუს საქონლის გასავალი თვის განმავლობაში. სასაქონლო მარაგის მიღებული ჯამის სიზუსტეს განსაზღვრავს შემოსავლისა და გასავლის სიზუსტე.

თუ საქონლის შემოსავლის შესახებ ხელთა გვაქვს დოკუმენტური მონაცემები (ანგარიშები, ზედნადებები და სხვ.), ეს არ შეიძლება ითქვას ბალანსის საგასავლო ნაწილზე; საცალო ვაჭრობაში საწარმოთა უმეტესობაში საქონლის გაყიდვა არ აღირიცხება ცალკეული საქონლის მიხედვით. ამიტომაც აქ საბალანსო მეთოდს შეუძლია გამოავლინოს მხოლოდ მარაგის საერთო თანხა ცალკეული საქონლის მიხედვით დანაწილების გარეშე. გარდა ამისა, ზენორმატიული სასაქონლო დანაკარგები, საქონლის გაფლანგვები, ვიდრე ისინი აქტირებული არ იქნება, არ ასახება გასავალში; ასეთი არასრული აღრიცხვა საბალანსო მეთოდის გამოყენებისას ავტომატურად გადადის სასაქონლო მარაგის ჯამზე. ამიტომ სასაქონლო მარაგის საბალანსო აღრიცხვის მონაცემთა შედარება მათი ინვენტარიზაციის მონაცემებთან წარმოადგენს საქონლის დანაკლისისა და გაფლანგვის გამოვლენის საშუალებას სავაჭრო ქსელში.

სასაქონლო მარაგის აღრიცხვის ზემოაღნიშნული წესები საფუძვლად უდევს ცნობებს მარაგის შესახებ, რომლებსაც სავაჭრო ორგანიზაციები ადგენენ სტატისტიკური ანგარიშგებით.

სპეციალიზებულ საბითუმო ორგანიზაციებში (გამსაღებელი და სავაჭრო ორგანიზაციები) დაწესებულია ყოველთვიური ანგარიშგება სასაქონლო მარაგზე. მასში მოცემულია ცნობები საქონლის მარაგზე საბითუმო საწარმოთა ცალკეული ტიპების (საფაბრიკო საწყობების, საგასავლო და სავაჭრო ბაზების) მიხედვით. სავაჭრო ბაზების მარაგი მოცემულია ტერიტორიული დანაწილებით და გზაში

არსებული მარაგის გამოყოფით. სასურსათო საქონლის მარაგის ანგარიშგების წარდგენა ხდება ნატურალური მაჩვენებლებით, არასასურსათო საქონლის ანგარიშგებისა კი—ფულადი გამოსახულებით (საცალო ფასებში). ამ მონაცემთა ანალიზი უნდა ჩატარდეს ცალ-ცალკე საფაბრიკო საწყობებისა და საგასაველო ბაზების მიხედვით ერთი მხრივ და საეკონომიკური ბაზების მიხედვით—მეორე მხრივ.

საფაბრიკო საწყობებსა და საგასაველო ბაზებში თავმოყრილი სასაქონლო მარაგი განკუთვნილია მოხმარების რაიონებში გადმოტვირთვისათვის, ამიტომ საჭიროა თვალყურის დევნება, რომ გადაჭარბებით დაგროვებას არ ექნეს ადგილი.

ამ მონაცემთა ანალიზის ერთ-ერთი მხარეა სასაქონლო მარაგის ჯამის შედარება წარმოებული საქონლის ჯამთან. დავეუშვათ, რომ სასაქონლო მარაგის ჯამი საფაბრიკო საწყობებში 1 იანვრისათვის უდრის 50 ათას მანეთს, წარმოების სტატისტიკის მონაცემებით კი დეკემბრის მესამე დეკადაში გამოშვებულია 100 ათასი მანეთის პროდუქცია. აქედან შეიძლება დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, რომ დეკადის პროდუქციის 50% ჩაწვა საფაბრიკო საწყობებში, ე. ი. საწარმოს ხუთდღიური პროდუქცია ელოდება გადმოტვირთვას (გაგზავნას). თუ ეს მაჩვენებელი აღემატება დაწესებულ ნორმატივს და თვიდან თვემდე იზრდება, უნდა მივიღოთ ზომები საქონლის გადმოტვირთვის დასაჩქარებლად.

სასაქონლო მარაგი საეკონომიკური ბაზებში უზრუნველყოფს საცალო საეკონომიკური ორგანიზაციების მომარაგებას საქონლით, ამიტომ საჭიროა ზუსტი დაკვირვება მის სიდიდეზე და საასორტიმენტო შემადგენლობაზე. საეკონომიკური ბაზებში, რომლებიც საქონელს ოლქათშორისი და რესპუბლიკათშორისი მიწოდების წესით იღებენ, საჭიროა ყურადღება მიექცეს სასაქონლო მარაგს გზაში; თუ, მაგალითად, საანგარიშო მონაცემები გვიჩვენებს, რომ საეკონომიკური ბაზებში თავმოყრილია მთელი სასაქონლო მარაგის არაუმეტეს 40%, ხოლო დანარჩენი (60%) იმყოფება გზაში, ეს მოწმობს, რომ საქონლის გადმოტვირთვა არათანაბარზომიერად წარმოებს და მისი ძირითადი ნაწილი გადმოტვირთვა თვის უკანასკნელ დღეებში.

საცალო ვაჭრობაში დაწესებულია სასაქონლო მარაგის შემდეგი ერთიანი ანგარიშგება:

1. თვიური ანგარიშგება—სასაქონლო მარაგის საერთო მასის შესახებ თვის ბოლოსათვის საცალო ქსელსა და საწყობებში.

2. კვარტალური ანგარიშგება—საქონლის მარაგის შესახებ საწყობებსა და საცალო ქსელში კვარტალის დასაწყისისა და დასასრულისათვის (სასაქონლო ჯგუფებად დანაწილებით საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკაში მიღებული ნომენკლატურის მიხედვით).

როგორც ერთი, ისე მეორე ანგარიშგება არ შეიცავს სასაქონლო მარაგს საზოგადოებრივი კვების საწარმოებში და სასაქონლო მარაგს გზაში. ეს განპირობებულია პრაქტიკული მოსაზრებით: სასაქონლო მარაგის მოცულობა საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მცირეა, რადგან პროდუქტთა ძირითადი მასა ინახება საცალო ორგანიზაციების საერთო საწყობებში, საიდანაც წარმოებს მათი

გაცემა საზოგადოებრივი კვების ქსელში. საცალო ვაჭრობაში მცირეა აგრეთვე გზაში არსებული სასაქონლო მარაგის მოცულობა. მონაცემები სასაქონლო მარაგის შესახებ გზაში და საზოგადოებრივი კვების ქსელში არსებობს საბუღალტრო ანგარიშგებაში.

სასაქონლო მარაგის მონაცემთა ანალიზისას აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, გამოვავლინოთ მათი დინამიკა წინა საანგარიშო თარიღთან, ანდა გასული წლის იმავე პერიოდთან სათანადო მონაცემების შედარებით. სასაქონლო მარაგის წლიური დინამიკის ანალიზისას მნიშვნელოვანია მონაცემთა შედარება მიმდინარე და გასული წლის შესაბამისი თარიღებისათვის, რამდენადაც სასაქონლო მარაგი ვანიცდის სეზონურ რხევას და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მიიღება დინამიკის სწორი წლიური რგოლი, მაგრამ იმისათვის რომ სწორად შეფასდეს ეს დინამიკა, საჭიროა იგი შევადაროთ საქონელბრუნვის დინამიკას. სასაქონლო მარაგის ზრდა, თუ მას თან სდევს ასეთივე ან უფრო მეტი ოდენობით საქონელბრუნვის მატება, მოწმობს პროცესის ნორმალურ მსვლელობას. მაგრამ თუ საქონელბრუნვას ზრდა ჩამორჩება სასაქონლო მარაგის მატებას, ეს მაუწყებელია საქონლის ჩაწოლისა. ასეთი ფაქტების გამოვლენა სასაქონლო მარაგისა და საქონელბრუნვის დინამიკის დიფერენცირებული ანალიზის გზით ცალკეული საქონლის, სავაჭრო სისტემის, ორგანიზაციისა და საწარმოს მიხედვით, აგრეთვე ტერიტორიული ქრითით (ოლქების, მხარეების, რესპუბლიკების მიხედვით) წარმოადგენს ანალიზის მნიშვნელოვან ამოცანას ვაჭრობის სტატისტიკაში.

სასაქონლო მარაგის აბსოლუტური თანხის საქონელბრუნვასთან შედარების საფუძველზე განისაზღვრება საქონელბრუნვის უზრუნველყოფა სასაქონლო მარაგით. ამისათვის საჭიროა გავანგარიშოთ ერთდღიური საქონელბრუნვა და, ვავეოფთ რა სასაქონლო მარაგის ჯამს ერთდღიური საქონელბრუნვის სიდიდეზე, განვსაზღვრავთ, თუ რამდენ დღეს უზრუნველყოფს ეს ჯამი საქონელბრუნვას. ასე მაგალითად, თუ სავაჭრო ორგანიზაციაში სასაქონლო მარაგი 1 აპრილისათვის შეადგენდა 1 მლნ მანეთს, ხოლო ერთდღიური საქონელბრუნვა მარტში—25 ათასს, ეს ნიშნავს, რომ სასაქონლო მარაგი 1 აპრილისათვის

უზრუნველყოფდა ამ ორგანიზაციის საქონელბრუნვას 40 დღით  $\left(\frac{1000}{25}\right)$ . სასა-

ქონლო მარაგით საქონელბრუნვის უზრუნველყოფის მაჩვენებლის გასაანგარიშებელ ფორმულას ზოგადად შემდეგი სახე აქვს:

$$\frac{\text{საქონელბრუნვის უზრუნველყოფა სასაქონლო მარაგით (დღეებში)} = \frac{\text{სასაქონლო მარაგი თარიღისათვის}}{\text{ერთდღიური საქონელბრუნვა}}$$

ერთდღიური საქონელბრუნვა, ჩვეულებრივ, განისაზღვრება უკანასკნელი თვის (ან კვარტალის) მონაცემთა საფუძველზე. უზრუნველყოფის უფრო ზუსტი მაჩვენებლის გასაანგარიშებლად უნდა ავიღოთ გეგმური ერთდღიური საქონელბრუნვა მომავალი თვისათვის. სასაქონლო მარაგით საქონელბრუნვის უზრუნველ-

ყოფის მაჩვენებლები ძლიერ განსხვავდება ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჯგუფთა მიხედვით. ეს ჩანს საცალო ვაჭრობის შემდეგი ფაქტიური მონაცემებიდან:

ხავეპრო ორგანიზაციების ხაცალო ქსელის უზრუნველყოფა სასაქონლო მარაგით  
(წლის ბოლოსათვის; საქონელბრუნვა დღეებში)

	1958 წ.	1965 წ.		1958 წ.	1965 წ.
მთელი საქონელი	83	96	არასასურსათო საქონელი	123	145
სასურსათო საქონელი	45	53	ქსოვილები	119	237
ხორცი და ძეხვეულის ნაწარმი	12	15	სამკერვალო ნაწარმი	92	127
თევზი	40	29	ფეხსაცმელი	84	119
კონსერვები	153	172	საპირი სარეცხის	134	151
ერბო-კარაჭი	26	66	გალანტერეა და ძაფი	233	224
კვარცი	18	10	თამბაქოს ნაწარმი	80	85
შაქარი	31	118	ავეჯი	21	38
საქონლიტრო ნაწარმი	63	97	ლითონის ქურქელი	211	205
ფქვილი, ბურღული, მაკარონის ნაწარმი	55	51	მინის, ფაიფურის, ქაშანურის ქურქელი	152	209
კარტოფილი	107	110	კულტსაქონელი	167	131
			მინა ფანჯრის	79	145

როგორც ცხრილიდან ჩანს, უზრუნველყოფის მაჩვენებლები არასასურსათო საქონლის მიხედვით მნიშვნელოვნად მაღალია. ვიდრე სასურსათო საქონლის მიხედვით. ეს აიხსნება საქონლის სამომხმარებლო თვისებებით: სასურსათო საქონელი უფრო სწრაფად უნდა იქნეს დაყვანილი წარმოებიდან მომხმარებლამდე, არ შეიძლება მისი შენახვა ხავეპრო ქსელში ხანგრძლივად; გამონაკლისს შეადგენს კონსერვები, რომელთა უზრუნველყოფის მაჩვენებლები უფრო მაღალია. უზრუნველყოფის მაჩვენებლებზე ზეგავლენას ახდენს აგრეთვე ამა თუ იმ ჯგუფის საქონლის ასორტიმენტის სირთულეც: რაც უფრო რთულია ასორტიმენტი, მით უფრო მაღალია საქონლის მარაგის შეფარდებითი დონე. ეს ფაქტორი ზრდის უზრუნველყოფის მაჩვენებლებს არასასურსათო საქონლის მიხედვით, განსაკუთრებით ისეთი რთულასორტიმენტიანი ჯგუფებისათვის, როგორიცაა: გალანტერეა, კულტსაქონელი და სხვ. უზრუნველყოფის მაჩვენებელზე 1 იანვრისათვის გავლენას ახდენს აგრეთვე რიგი საქონლის (მაგალითად, კარტოფილის, შაქრის, კვარცხის) წარმოების სეზონურობა.

იმისათვის, რომ ვუპასუხოთ კითხვაზე. თუ რამდენად ნორმალურადაა უზრუნველყოფილი საქონელბრუნვა სასაქონლო მარაგით, საჭიროა უზრუნველყოფის ფაქტიური მაჩვენებლები შევადაროთ საგვემო ნორმატივებს. სასაქონლო მარაგის საგვემო ნორმატივები წესდება ბრუნვადღეებში და აბსოლუტურ თანხებში (ბრუნვადღეების გამრავლებით ერთდღიურა საქონელბრუნვის სიდიდეზე), რომლის საფუძველია საქონელბრუნვის საგვემო სტრუქტურა (ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჯგუფების მიხედვით და საშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციისათვის). ამასთან, სასაქონლო მარაგის საგვემო ნორმატივი მხედველობაში იღებს არა მთელ, არამედ მხოლოდ ეგრეთ წოდებულ დაკრედიტებულ საქონელბრუნვას. ეს უკანასკნელი შეესაბამება ნორმალური დაცვის სასაქონლო მარაგს, რომლის მიხედვითაც სსრ კავშირის სახბანკო გასცემს კრედიტს სავაჭრო ორგანიზაციებზე.

დაკრედიტებულ საქონელბრუნვაში არ შედის საცალო სავაჭრო ქსელის საქონელბრუნვის შემდეგი სახეები:

ა) პურისა და პურ-ფუნთუშეულის გაყიდვა (რადგან პურის სასაქონლო მარაგი არ უნდა აღემატებოდეს ერთდღიურ საქონელბრუნვას);

ბ) ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა და სხვა ნივთების ინდივიდუალური შეკერვა და რემონტი;

გ) არასასურსათო საქონლით საკომისიო ვაჭრობა.

დასაკრედიტებელ საქონელბრუნვას შეუფარდება ნორმალური დაცვის სასაქონლო მარაგი (სეზონური დაგროვების საქონლისა და ხანგრძლივი შენახვისათვის გადადებული საქონლის გარეშე).

სასაქონლო მარაგის ანალიზი ნორმატივთან შედარებით ტარდება თვიური და კვარტალური ანგარიშგების საფუძველზე. დაეუშვათ, რომ ერთ-ერთ სავაჭრო ორგანიზაციას აპრილის თვეში აქვს შემდეგი მონაცემები:

1) საცალო საქონელბრუნვა—65 მლნ მანეთი, მათ შორის პურის გაყიდვა—3 მლნ მან. და ინდივიდუალური შეკერვა—2 მლნ მანეთი;

2) სასაქონლო მარაგი 1 მაისისათვის—35 მლნ მან., მათ შორის სეზონური დაგროვებისა და ხანგრძლივი შენახვის საქონელი—3,4 მლნ მან; საქონლის მარაგის საგვემო ნორმატივი დაწესებულია 15 დღისა.

ჩვენს მაგალითში დასაკრედიტებელი საქონელბრუნვის რაოდენობა აპრილის თვეში შეადგენს 60 მლნ მანეთს (65—3—2), მაშასადამე, ერთდღიური დასაკრედიტებელი საქონელბრუნვა უდრის 2 მლნ მან. (60 : 30). შემდეგ განვსაზღვრავთ სასაქონლო მარაგის თანხას 1 მაისისათვის, რაც შედის საგვემო ნორმატივში. ამისათვის ფაქტიური სასაქონლო მარაგის საერთო თანხიდან საჭიროა გამოვრიცხოთ ვადამდე შემოტანილი, სეზონური დაგროვებისა და ხანგრძლივი შენახვისათვის საჭირო სასაქონლო მარაგი. ჩვენს მაგალითში ეს თანხა უდრის 31,6 მლნ მანეთს (35—3,4). ამ ციფრს უნდა დაემატოთ საქონელი გზაში, რომელიც შედის საგვემო ნორმატივში. ჩვენს მაგალითში ასეთი საქონელი არ არის.

ამგვარად, ფაქტიური სასაქონლო მარაგი დღეებში, შედარებული ნორმატივთან, იქნება 15,8 (31,6:2).

ფაქტიურმა სასაქონლო მარაგმა დღეებში გადააქარბა საეგემო ნორმატივს, რაც აღასტურებს მის ერთგვარ შეუსაბამობას ამ საეკრო ორგანიზაციაში მოსახლეობის მოთხოვნილებასთან. ბრუნვადღეების გადაჭარბება უდრის 0,8 დღეს (15,8 — 15), ზენორმატულმა მარაგმა აბსოლუტურ თანხაში შეადგინა  $0,8 \cdot 2 = 1,6$  მლნ მან.

საქონლის მარაგის ნორმირება ვაჭრობაში რთული პრობლემაა. საქონლის მარაგის დაწესებულმა ნორმებმა უნდა უზრუნველყოს საქონელბრუნვის განუწყვეტლობა, საეკრო საწარმოებში შექმნას საქონლის მტკიცე და ფართო ასორტიმენტი, რომელიც უფრო სრულად დააკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნილებას.

მარაგის ნორმები საქონლის ცალკეულა ჯგუფების მიხედვით განისაზღვრება სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ყოველ საწარმოში ამ საწარმოს მუშაობის პირობათა გათვალისწინებით. საცალო საეკრო საწარმოსათვის ასეთ უმნიშვნელოვანეს პირობებს წარმოადგენს: საქონელბრუნვის მოცულობა, საწარმოს მუშაობის ორგანიზაცია, საწარმოში საქონლის შემოზიდვის სისწირე, თანაბარზომიერება, კომპაქტურობა და მოცულობა, სასაქონლო ჯგუფის ასორტიმენტის სირთულე, მისი რეალიზაციის პერაოდის ხანგრძლიობა, მანძილი საეკრო საწარმოებსა და მიმწოდებლებს შორის, საქონლის მიღების, შემოწმებისა და გასაყიდად მომზადებისათვის საჭირო დრო, საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა და სხვ. ამასთან, წარმოების პროცესი გულისხმობს აღნიშნულ ფაქტორებზე აქტიურ ზემოქმედებას, ამ ფაქტორებზე აუცილებელი სასაქონლო მარაგის მოცულობის დამოკიდებულების სიმკიდროვის გამოკვლევას. ამ საქმეში დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ ურთიერთდამოკიდებულების გაზომვის სტატისტიკურ ხერხებს კორელაციის თეორიის დახმარებით.

ასე მაგალითად, მაღაზიის საქონელბრუნვისა და სასაქონლო მარაგის მოცულობას შორის კავშირის ანალიზისას შეიძლება ვიმსჯელოთ ასე: საქონლის მარაგი მაღაზიაში შეიძლება დაიყოს შეუმცირებელ (მინიმალურ) და მიმდინარე მოთხოვნილებისათვის საჭირო მარაგად. შეუმცირებელი მარაგი უზრუნველყოფს ვაჭრობის განუწყვეტლობას და, ბრუნვადღეებში გამოსახვის დროს, ძალიან ნაკლებად არის დამოკიდებული მაღაზიის საქონელბრუნვის სიდიდეზე. მიმდინარე მოთხოვნილებებისათვის საჭირო მარაგი დამოკიდებულია შემოზიდვის სისწირეზე და, როგორც წესი, მისი ოდენობა დიდ მაღაზიებში, გამოსახული ბრუნვადღეებში, ნაკლებია ხოლმე. გარდა ამისა, სასაქონლო მარაგი შესაძლოა მოიცავდეს ზენორმატულ მარაგსაც, რომლის სიდიდე (ბრუნვადღეებში) შეიძლება არ უკავშირდებოდეს მაღაზიის საქონელბრუნვას.

თუ მარაგს დღეებში, რომელიც დამოკიდებული არ არის საქონელბრუნვის სიდიდეზე, აღვნიშნავთ  $a_0$ -ით,  $a_1$ -ით აღვნიშნავთ მარაგდღეებს (მანეთდღეებს) კვარტალში ისე, რომ  $a_1$ -ის გაყოფით საქონელბრუნვაზე ( $x$ ) მივიღოთ საქონლის მარაგის მეორე ნაწილი დღეებში (რაც მიმდინარე მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლადაა გათვალისწინებული), მაშინ კავშირის ფორმა დღეებში საქონლის მარაგსა და საქონელბრუნვას შორის გამოისახება ჰიპერბოლის განტოლებით:



$$y_x = a_0 + a_1 \frac{1}{x}.$$

კავშირის ამ ფორმის გამოყენებამ სპეციალიზებული სავაჭრო ქსელის 1962 წლის 1 იანვრის ერთდროულა აღრიცხვის მონაცემთა ანალიზისას მოგვეცა კორელაციის მაჩვენებელი: უკრაინის სსრ-ის 3139 სასურსათო მალაზიისათვის—0,885 და 1724 არასასურსათო მალაზიისათვის — 0,823 <sup>1</sup>.

სასაქონლო მარაგის ანგარიშგებანი სავაჭრო ორგანიზაციების მიერ გროვდება და მუშავდება ცალკე ყოველი სისტემის მიხედვით. მთელი საბჭოთა ვაჭრობის კრებსითი ანგარიშგება სასაქონლო მარაგის შესახებ მუშავდება სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებში. მთელი სავაჭრო ორგანიზაციები უდგენენ საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ სტატისტიკურ სამმართველოებს საანგარაშო მონაცემებს სასაქონლო მარაგის საერთო ჯამის შესახებ ყოველდღიურად და სასაქონლო მარაგის სტრუქტურაზე ყოველკვარტალურად. ეს ანგარიშგება სტატისტიკური სამმართველოების მიერ იგზავნება სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში საერთო-საკავშირო თავმოყრისათვის: თუ ხელთა გვაქვს მონაცემები სასაქონლო მარაგის შესახებ საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, შესაძლებელია ავავოთ სასაქონლო მარაგის კრებსითი ცხრილი როგორც ცალკეული საქონლის მიხედვით, ისე ყველა საქონლისათვის ერთად.


საბითუმო და საცალო ვაჭრობაში სასაქონლო მარაგის დინამიკის ფაქტიური მონაცემები მოტანილია შემდეგ ცხრილში (წლის ბოლოსათვის):

წლები	სასაქონლო მარაგი (მლნ მან.)			საცალო ვაჭრობის ბედრიითი წონა სასაქონლო მარაგის ჯამში	სასაქონლო მარაგი (საცალო საქონლებრუნვა დღეებში)		
	საცალო ვაჭრობაში	საბითუმო ვაჭრობაში	ჯამი		საცალო ვაჭრობაში	საბითუმო ვაჭრობაში	ჯამი
1950	6410	8220	9630	67	70	35	105
1958	14803	5071	19874	74	83	28	111
1964	25662	7743	33405	77	101	30	131
1965	26381	8568	34969	70	96	31	127

ცხრილიდან და ნახაზიდან ჩანს, რომ სასაქონლო მარაგის დაახლოებით სამეფოთხედი თავმოყრილია საცალო რგოლში.

<sup>1</sup> იხ. Л. П. Наговышина, Опыт применения метода корреляции для анализа торговой деятельности, сб. „Вопросы статистики и учета“, вып. VIII, 1964, стр. 129.

ამ წლებში სასაქონლო მარაგი საბჭოთა ვაჭრობაში იზრდებოდა არა მარტო აბსოლუტურად, არამედ საცალო საქონელბრუნვადღეებში, განსაკუთრებით ვაჭრობის საცალო რგოლში.



ნახ. 1. სასაქონლო მარაგის დინამიკა (საცალო საქონელბრუნვა დღეებში)

### 8. საქონელბრუნვის სისწრაფისა და საქონლის მიმოქცევის დროის მაჩვენებლები

სასაქონლო მარაგის სტატისტიკის საფუძველზე განისაზღვრება საქონელბრუნვის სისწრაფისა და საქონლის მიმოქცევის დროის მაჩვენებლები. ეს მაჩვენებლები გვიხაიათებენ, თუ რამდენად სწრაფად დაჰყავს საევაქრო ქსელს საქონელი მომხმარებლამდე, და ამ თვალსაზრისით აფასებენ მისი მუშაობის ხარისხს. ამიტომ მათ საევაქრო სტატისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლების გამოსათვლელად საჭიროა გავიანგარიშოთ საშუალო (თვიური, კვარტალური, წლიური) სასაქონლო მარაგი. ქვემოთ მოტანილია ამ გაანგარიშების მეთოდიკა.

სასაქონლო მარაგის აღრიცხვა გვაძლევს მათი დონის დახასიათებას განსაზღვრული თარიღებისათვის. ამიტომ საშუალო სასაქონლო მარაგის სიდიდე ყოველთვის იქნება პირობითი სიდიდე, რომელიც მიღებულია სასაქონლო მარაგების ყოველგვარი ცვლილების არამთლიანი აღრიცხვის საფუძველზე. ამ საშუალო სიდიდის პირობითობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მცირე იქნება ინტერვალები აღრიცხვის თარიღებს შორის. პრაქტიკულად ვაჭრობაში საქმე გვაქვს მონაცემებთან სასაქონლო მარაგის შესახებ ყოველი თვის დასაწყისისათვის, ამ

შემთხვევაში საშუალო თვიური სასაქონლო მარაგი დასაწყისსა და ბოლოსათვის არსებული მარაგის მოცულობის ნახევარს შეადგენს.

დავუშვათ, რომ საწარმოში 1 იანვრისათვის მოცემული გვაქვს 15 000 მანეთის სასაქონლო მარაგი, ხოლო 1 თებერვლისათვის—17 400 მანეთისა. ამ შემთხვევაში იანვრის თვის საშუალო მარაგი ტოლი იქნება:

$$\frac{15\,000 + 17\,400}{2} = 16\,200 \text{ მან.}$$

საშუალო თვიური მარაგის საფუძველზე განისაზღვრება საშუალო კვარტალური და საშუალო წლიური სასაქონლო მარაგი.

დავუშვათ, რომ ერთ-ერთ სავაჭრო საწარმოში გვაქვს შემდეგი მონაცემები სასაქონლო მარაგის შესახებ I კვარტალში (ათას მანეთობით): 1 იანვრისათვის—200, 1 თებერვლისათვის—100, 1 მარტისათვის—160 და 1 აპრილისათვის—180.

გამოვიანგარიშოთ სასაქონლო მარაგის საშუალო თვიური ჯამები:

$$\text{საშუალო სასაქონლო მარაგი იანვარში} = \frac{200 + 100}{2} = 150;$$

$$\text{საშუალო სასაქონლო მარაგი თებერვალში} = \frac{100 + 160}{2} = 130;$$

$$\text{საშუალო სასაქონლო მარაგი მარტში} = \frac{160 + 180}{2} = 170.$$

საშუალო თვიური მონაცემების საფუძველზე გამოვიანგარიშოთ საშუალო კვარტალური სასაქონლო მარაგის სიდიდე.

$$\begin{aligned} \text{საშუალო სასაქონლო მარაგი 1 კვარტალში} &= \frac{150 + 130 + 170}{3} = \\ &= \frac{450}{3} = 150. \end{aligned}$$

საშუალო კვარტალური მარაგი შეიძლება განისაზღვროს უშუალოდ სასაქონლო მარაგის მონაცემებიდანაც ყოველი თვის დასაწყისისათვის, მაგრამ ამისათვის უნდა გამოვიყენოთ სამომენტო დინამიკური მწკრივის ქრონოლოგიური საშუალოს ფორმულა, რომელშიც მწკრივის საწყისი და ბოლო წევრები აიღება ნახევარი წონით და წონების ჯამი მიიღება მწკრივის წევრთა რიცხვიდან ერთის გამოკლებით.

$$\begin{aligned} \text{საშუალო სასაქონლო მარაგი 1 კვარტალში} &= \\ &= \frac{\frac{1}{2} 200 + 100 + 160 + \frac{1}{2} 180}{4-1} = \frac{100 + 100 + 160 + 90}{3} = \frac{450}{3} = 150. \end{aligned}$$

თუ სასაქონლო მარაგს განსაზღვრული თარიღისათვის აღვნიშნავთ  $x$  ასოთი, მწკრივის წევრთა რიცხვს— $n$ -ით, შეიძლება საშუალო სასაქონლო მარაგის ( $\bar{x}$ ) გაანგარიშება გამოვსახოთ შემდეგი ზოგადი ფორმულით:

$$\bar{x} = \frac{\frac{1}{2}x_1 + x_2 + \dots + x_{n-1} + \frac{1}{2}x_n}{n-1}$$

საჭიროა სიფრთხილის გამოჩენა, რათა თავიდან ავიცილოთ შეცდომები, რომლებსაც ხშირად უშვებენ პრაქტიკაში, როდესაც საშუალო მარაგს კვარტალისა ან წლისათვის ანგარიშობენ როგორც ყოველი თვის დასაწყისში არსებული მარაგის ჩვეულებრივ არითმეტიკულ საშუალოს. ჩვენს მაგალითში გაანგარიშების ასეთი ხერხი გვაძლევს შემდეგ შედეგს:

$$\frac{200+100+160+180}{4} = \frac{640}{4} = 160.$$

ე. ი. ფაქტიურ საშუალო მარაგს აღიღებს 10 ათასი მანეთით, ანუ 6,67%-ით. ამასთან, წარმოიშობა შეუსაბამობა საშუალო წლიურ და საშუალო კვარტალურ, აგრეთვე საშუალო კვარტალურ და საშუალო თვიურ მარაგს შორის.

ახლა განვიხილოთ საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები. საქონელბრუნვის სისწრაფე რომელიმე პერიოდში გვიხასიათებს იმ სასაქონლო მასის ბრუნვათა ოდენობას, რომელიც აღებულია საშუალო სასაქონლო მარაგის მოცულობით. რაც უფრო სწრაფად ბრუნავს სასაქონლო მასა, მით უფრო მცირეა მისი სიღრმე საქონელბრუნვასთან შედარებით. საბრუნავ საშუალებათა ძირითად ნაწილს ვაჭრობაში შეადგენს სასაქონლო მარაგი. ამიტომ საქონელბრუნვის სისწრაფის ზრდა ნიშნავს საბრუნავ საშუალებათა შემცირებას ვაჭრობაში საქონელბრუნვასთან შედარებით, რასაც დიდი სახალხო მეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს. საქონელბრუნვის სისწრაფე იზომება ამა თუ იმ პერიოდის ბრუნვათა ჯამის შეფარდებით საშუალო სასაქონლო მარაგთან იმავე პერიოდში. თუ, მაგალითად, სავაჭრო საწარმოს ბრუნვა თვეში შეადგენდა 90 ათას მანეთს, ხოლო საშუალო სასაქონლო მარაგი—60 ათასს, მაშინ საქონელბრუნვის სისწრაფე ამ თვეში იქნება 1,5 ბრუნვა. ეს ნიშნავს, რომ სასაქონლო მარაგი თვის განმავლობაში განახლდა საშუალოდ 1,5-ჯერ.

თუ საქონელბრუნვის სისწრაფეს აღვნიშნავთ  $C$  ასოთი, რომელიმე პერიოდის საქონელბრუნვას  $O$ -თი და საშუალო სასაქონლო მარაგს იმავე პერიოდში  $x$ -თი, მივღებთ საქონელბრუნვის სისწრაფის გამოსანგარიშებელ ფორმულას:

$$C = \frac{O}{x}$$

საქონელბრუნვის სისწრაფის შებრუნებულ მაჩვენებელს წარმოადგენს საქონლის მიმოქცევის დროის მაჩვენებელი. სავაჭრო საწარმოში მიღებული საქონელი მისი გაყიდვის მომენტამდე არსებობს სასაქონლო მარაგის სახით. თუ სასაქონლო მარაგი თვის განმავლობაში (30 დღე) განახლდა 1,5-ჯერ, ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ საქონელი იმყოფებოდა სასაქონლო მარაგის სახით 20 დღეს  $\left(\frac{30}{1,5}\right)$ .

მაშასადამე, საშუალო დრო, რომელმაც განვლო სავაჭრო საწარმოში საქონლის მიღების მომენტიდან მის რეალიზაციამდე, შეადგენს 20 დღეს. სწორედ ეს არის საქონლის მიმოქცევის დრო სავაჭრო საწარმოს ფარგლებში. ეს მაჩვენებელი შეიძლება გაანგარიშებულ იქნეს უშუალოდაც, როგორც საშუალო სასაქონლო მარაგის ჯამის შეფარდება ერთდღიური ბრუნვის ჯამთან  $\left( 60 : \frac{90}{30} \right)$ .

საქონლის მიმოქცევის დრო რომ აღვნიშნოთ  $B$  ასოთი, საქონელბრუნვა  $O$ -თი და დღეთა რაოდენობა პერიოდში  $t$ -თი, მივიღებთ საქონლის მიმოქცევის დროის გამოსათვლელ ფორმულას:

$$B = z : \frac{O}{t} = \frac{z \cdot t}{O} .$$

შევადაროთ საქონელბრუნვის სისწრაფისა და საქონლის მიმოქცევის დროის გამოსათვლელი ფორმულები; დავინახავთ, რომ ამ ორი მაჩვენებლის ნამრავლი გვაძლევს დღეთა რაოდენობას პერიოდში:

$$CB = \frac{O}{z} \times \frac{z \cdot t}{O} = t .$$

მაშასადამე, ვიცით რა დღეთა რიცხვა პერიოდში, შესაძლებელია საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლიდან გადავადეთ მიმოქცევის დროის მაჩვენებელზე  $\left( B = \frac{t}{C} \right)$  და პირიქით—მიმოქცევის დროის მაჩვენებლიდან საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელზე  $\left( C = \frac{t}{B} \right)$ .

საქონელბრუნვის სისწრაფე ხასიათდება სასაქონლო მასის ბრუნვათა რიცხვით განსაზღვრულ პერიოდში. ამ მაჩვენებლის აბსოლუტური სიდიდის ხარისხობრივი შეფასება დამოკიდებულია პერიოდზე, რომლისთვისაც გაანგარიშებულია იგი. ერთა სასაქონლო მასის სამი ბრუნვა თვის განმავლობაში, მაგრამ სულ სხვა — ამდენივე კვარტალის განმავლობაში. ცხადია, რომ მეორე შემთხვევაში საქონელბრუნვის სისწრაფე სამჯერ ნაკლები იქნება. ამიტომ, როდესაც მოჰყავთ საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები, საჭიროა აუცილებლად მიეთითოს, თუ რა პერიოდს გვიხასიათებენ ისინი.

სულ სხვაგვარადაა საქმე მიმოქცევის დროის მაჩვენებლის მიმართ. რამდენადაც ამ მაჩვენებელში უკვე ჩართულია პერიოდის სიდიდე, იგი იღებს სხვადასხვა მნიშვნელობას (სისწრაფის ერთი და იმავე მაჩვენებლის დროს) პერიოდის მიხედვით. მართლაც, ჩვენს მაგალითში 3 ბრუნვა თვის განმავლობაში იძლევა მიმოქცევის დროის 10 დღეს  $(30 : 3)$ , ხოლო იგივე 3 ბრუნვა კვარტალის განმავლობაში 30 დღეს  $(90 : 3)$ . მეორე შემთხვევაში უშუალოდ ჩანს, რომ ბრუნვადობა იყო სამჯერ უფრო ნელი.

მეორე მხრივ, ერთი და იმავე სავაჭრო საწარმოში საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელი მატულობს პერიოდის ზრდასთან ერთად (თვიური მაჩვენებლებიდან კვარტალურზე გადასვლასთან ერთად), მაშინ როდესაც მიმოქცევის დროის მაჩვენებელზე პერიოდის ზრდა არ ახდენს ასეთ ზეგავლენას.

ამასთანავე, საჭიროა თავიდან ავიცილოთ პრაქტიკაში გავრცელებული შეცდომები, როდესაც საქონელბრუნვის კვარტალური სისწრაფის მაჩვენებლის მისაღებად ჯამდება საქონელბრუნვის სისწრაფის თვიური მაჩვენებლები. დავუშვათ, რომ საქონელბრუნვის სისწრაფე იანვარში შეადგენდა 4 ბრუნვას, თებერვალში — 3 და მარტში 2 ბრუნვას. თითქოს (და ასეც იქცევიან ხშირად პრაქტიკაში), საქონელბრუნვის სისწრაფე 1 კვარტალში უნდა უდრიდეს 9 ბრუნვას (4+3+2), მაგრამ ეს არ არის სწორი. განვიხილოთ შემდეგი ცხრილი:

მაჩვენებლები	იანვარი	თებერვალი	მარტი	კვარტალი მთლიანად
1. საქონელბრუნვა (ათას მან.)	100	150	200	450
2. საშუალო თვიური სასაქონლო მარაგი (ათას მან.)	25	50	100	$\frac{25+50+100}{3} = 58,3$
3. საქონელბრუნვის სისწრაფე	4	3	2	7,7

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქონელბრუნვის ჯამმა კვარტალში შეადგინა 450 ათასი მანეთი. საშუალო კვარტალური სასაქონლო მარაგი უდრის 58,3 ათას მანეთს, საიდანაც საქონელბრუნვის სისწრაფე კვარტალში შეადგენს 7,7 ბრუნვას (450 : 58,3) და არა 9-ს. ამ მაგალითში სწორი მაჩვენებელი თვიურ მონაცემთა არითმეტიკულ ჯამზე ნაკლებია, რადგან ბრუნვის სისწრაფის შემცირება ხდებოდა საქონელბრუნვის გადიდების პარალელურად, ამიტომ ბრუნვადობის უფრო დაბალი მაჩვენებლები მარტსა და თებერვალში კვარტალურ ჯამებში შედის უფრო დიდი ხვედრითი წილით.

აქამდე ჩვენ ვიხილავდით საქონელბრუნვის სისწრაფის გაანგარიშებას ცალკეულ სავაჭრო საწარმოებთან შეფარდებით. საქონელბრუნვის სისწრაფის კრებისათვის მაჩვენებლების გაანგარიშება საწარმოთა ერთობლიობისათვის ორგანიზაციის ფარგლებში წარმოებს იმავე მეთოდით, ამასთან ყველა შემთხვევაში საქონელბრუნვის მაჩვენებლის სახით უნდა ავიღოთ სავაჭრო ორგანიზაციის წმინდა საქონელბრუნვა.

განვიხილოთ ამ მაჩვენებელთა გაანგარიშება საბითუმო ორგანიზაციის მაგალითზე. აქ საქონელბრუნვის სისწრაფის კრებისათვის მაჩვენებლის გაანგარიშებისას სასაქონლო მარაგის საერთო თანხაში უნდა შევიტანოთ აგრეთვე საქონლის მარაგი გზაში, რამდენადაც სავაჭრო ბაზების საქონლით მომარაგება ხშირად თავისივე

საგასაველო ბაზებიდან წარმოებს. ამ შემთხვევაში სასაქონლო მარაგი გზაში გვიხასიათებს საქონელს, რომელიც იმყოფება მოცემული საცაქრო ორგანიზაციის ფარგლებში.

დაეუშვათ, რომ მოცემული გვაქვს შემდეგი კვარტალური მონაცემები (ათას მან.):

1. საგასაველო ბაზები: ა) საშუალო სასაქონლო მარაგი—100; ბ) ბრუნვა საქონლის გავზავნის მიხედვით—3000, მათ შორის ტრანზიტით—1000.

2. საცაქრო ბაზები: ა) საშუალო სასაქონლო მარაგი საწყობებში—400; ბ) საშუალო სასაქონლო მარაგი გზაში—300; გ) ბრუნვა საწყობებიდან საბითუმო რეალიზაციით—2000.

გავიანგარიშოთ საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები საგასაველო და საცაქრო ბაზებში.

1. საგასაველო ბაზები:

$$ა) \text{ საქონელბრუნვის სისწრაფე} = \frac{3000}{100} = 30\text{-ჯერ კვარტალში};$$

$$ბ) \text{ საქონლის მიმოქცევის დრო} = \frac{90}{30} = 3 \text{ დღე, ანუ } \frac{100 \cdot 90}{3000}.$$

2. საცაქრო ბაზები:

$$ა) \text{ საქონელბრუნვის სისწრაფე} = \frac{2000}{400} = 5\text{-ჯერ კვარტალში};$$

$$ბ) \text{ საქონლის მიმოქცევის დრო} = \frac{90}{5} = 18 \text{ დღე, ანუ } \frac{400 \cdot 09}{2000}.$$

ამრიგად, საგასაველო ბაზებში საქონელი საშუალოდ ჩერდებოდა 3 დღე, ხოლო საცაქრო ბაზების საწყობებში—18 დღე.

ახლა გავიანგარიშოთ კრებისთი მაჩვენებლები საცაქრო ორგანიზაციისათვის მთლიანად.

საბითუმო საცაქრო ორგანიზაციის წმინდა საქონელბრუნვას წარმოადგენს საბითუმო რეალიზაციის საერთო ბრუნვა. რომელიც უდრის საბითუმო რეალიზაციას საწყობებიდან და საბითუმო რეალიზაციას ტრანზიტით. მაშასადამე, საცაქრო ორგანიზაციის წმინდა საქონელბრუნვა ჩვენს მაგალითში უდრის 3000-ს (2000+1000).

საშუალო სასაქონლო მარაგის საერთო ჯამი, რომელიც უნდა ავიღოთ საქონელბრუნვის სისწრაფის კრებისთი მაჩვენებლების განსაზღვრისას, შედგება სასაწყობო და გზაში არსებული მარაგისაგან. ჩვენს მაგალითში იგი ედრება 800-ს (100+400+300). მაშასადამე, საქონელბრუნვის სისწრაფე საცაქრო ორგანიზაციისათვის მთლიანად იქნება 3,75 ბრუნვა (3000 : 800), საქონლის მიმოქცევის დრო კი—24 დღე [(800 · 90) : 3000].

ამრიგად, საქონელი საცაქრო ორგანიზაციის ფარგლებში (საგასაველო ბაზებიდან საცაქრო ბაზებამდე გზაში ყოფნის დროის ჩათვლით) იმყოფებოდა საშუალოდ 24 დღე.

ჩვენი განგარიშება შეიძლება შემოწმდეს სხვა მეთოდით. სავაჭრო ორგანიზაციამ კვარტალის განმავლობაში გაყიდა 3000 ათასი მანეთის საქონელი. ამ საქონლო მასიდან 1000 ათასი მანეთისა გაიყიდა ტრანზიტით საგასავლო ბაზიდან, თავისი სავაჭრო ბაზების გვერდის ავლით. მაშასადამე, 1000 ათასი მანეთის საქონელი გაჩერებული იყო სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში მხოლოდ საგასავლო ბაზებში, ე. ი. 3 დღე. დანარჩენი სასაქონლო მასა (2000 ათასი მანეთი) გაჩერებული იყო საგასავლო ბაზებში 3 დღე, სავაჭრო ბაზების საწყობებში—18 დღე და, გარდა ამისა, იმყოფებოდა გზაში საგასავლო ბაზებიდან სავაჭრო ბაზებამდე. მიმოქცევის დრო შეიძლება ვიპოვოთ, თუ ვისარგებლებთ საშუალო მარაგით გზაში. იგი უდრის 13,5 დღეს [(300 . 90) : 2000]. მაშასადამე, 2000 ათასი მანეთის სასაქონლო მასა იმყოფებოდა სავაჭრო ორგანიზაციის ფარგლებში საშუალოდ 34,5 დღე (3 + 13,5 + 18). გამოვიანგარიშოთ მთელი სასაქონლო მასის მიმოქცევის საშუალო დრო, როგორც ყოველი სასაქონლო მასის მიმოქცევის დროის საშუალო არითმეტიკული:

მიმოქცევის დრო	საქონლის მასა	ნამრავლი
3 დღე	1000	3000
34,5 დღე	2000	69000
<b>ჯ ა მ ი</b>	<b>3000</b>	<b>72000</b>

მიმოქცევის საშუალო დრო უდრის 24 დღეს (72000 : 3000).

ახლა განვიხილოთ საქონელბრუნვის სისწრაფის დინამიკა.

აუცილებელი არ არის, რომ საქონელბრუნვის დაჩქარება თან სდევდეს სასაქონლო მარაგის აბსოლუტური დონის შემცირებას. საბჭოთა ვაჭრობისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია ისეთი ფაქტები, როდესაც სასაქონლო მარაგის აბსოლუტური თანხის ზრდის პირობებში საქონელბრუნვის აბსოლუტური თანხა უფრო მეტად მატულობს.

საილუსტრაციოდ ავიღოთ შემდეგი მაგალითი;

მაჩვენებლები	I კვარტალი	II კვარტალი	ინდექსები
საქონელბრუნვა (მლნ მან.)	20	24	1,20
საშუალო სასაქონლო მარაგი (მლნ მან.)	8	9	1,125
საქონელბრუნვის სისწრაფე	2,5	2,67	1,067



როგორც ცხრილიდან ჩანს, საქონელბრუნვა II კვარტალში, I კვარტალთან შედარებით, გაიზარდა .20 %-ით, გადიღდა სასაქონლო მარაგიც, მაგრამ უფრო ნაკლებად—12,5 %-ით. საქონელბრუნვის უფრო სწრაფმა ზრდამ სასაქონლო მარაგთან შედარებით მიგვიყვანა საქონელბრუნვის სისწრაფის მატებამდე 6,7 %-ით.

მოტანილ მონაცემთა საფუძველზე შეიძლება განვსაზღვროთ საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსი, რომელიც უდრის არა მარტო საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელთა შეფარდებას (2,67 : 2,5), არამედ საქონელბრუნვის ინდექსის შეფარდებასაც სასაქონლო მარაგის ინდექსთან:

$$1,067 = \frac{1,2}{1,125}$$

ინდექსთა ამ კავშირით ფართოდ სარგებლობენ დაგეგმვის პროცესში წარმოებული გამოთვლების დროს. თუ ცნობილია საქონელბრუნვისა და სასაქონლო მარაგის ზრდის საგეგმო დაეალებანი, ადვილად შეიძლება განვსაზღვროთ საქონელბრუნვის სისწრაფის საგეგმო ინდექსი.

საქონელბრუნვის, სასაქონლო მარაგისა და საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლებს შორის კავშირი უფრო დაწვრილებით შეიძლება ვუჩვენოთ შემდეგ ცხრილი—სქემის სახით:

საქონელბრუნვის სისწრაფის ცვლილება

(დაჩქარება — პლუსი (+); შენელება—მინუსი (-))

სასაქონლო მარაგის ცვლილება (პროცენტობით)	საქონელბრუნვის ცვლილება (პროცენტობით)				
	+20	+10	0	-10	-20
+20	0	-	-	-	-
+10	+	0	-	-	-
0	+	+	0	-	-
-10	+	+	+	0	-
-20	+	+	+	+	0

ცხრილში მოტანილია მონაცემები საქონელბრუნვის სისწრაფის ცვლილების დადებით და უარყოფით მნიშვნელობათა შესახებ. დადებითი მნიშვნელობით ხასიათდება შემთხვევები, როდესაც საქონელბრუნვის სისწრაფე იზრდება, ყველა შემთხვევას შეიძლება თავი მოვუყაროთ შემდეგ სამ ჯგუფში. საქონელბრუნვის სისწრაფე იზრდება, თუკი:

1) საქონელბრუნვა იზრდება, ხოლო სასაქონლო მარაგი მცირდება, რჩება სტაბილური, ან იზრდება საქონელბრუნვაზე უფრო ნელა;

2) საქონელბრუნვა რჩება სტაბილური, ხოლო სასაქონლო მარაგი მცირდება:

3) საქონელბრუნვა მცირდება უფრო ნელა, ვიდრე სასაქონლო მარაგი. უარყოფით მნიშვნელობიან მონაცემებს მიეკუთვნება ისეთი შემთხვევები, რომელთა დროსაც საქონელბრუნვის სისწრაფე მცირდება. ისინიც შეიძლება გავაერთიანოთ სამ ჯგუფად. საქონელბრუნვის სისწრაფე კლებულობს, თუკი: 1) საქონელბრუნვა იზრდება უფრო ნელა, ვიდრე სასაქონლო მარაგი; 2) საქონელბრუნვა სტაბილურია, ხოლო სასაქონლო მარაგი იზრდება; 3) საქონელბრუნვა მცირდება, ხოლო სასაქონლო მარაგი იზრდება ან რჩება სტაბილური, ანდა მცირდება უფრო ნელი ტემპით.

#### 4. საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსი

ზემოთ მოტანილია მონაცემები იმის შესახებ, რომ სასაქონლო მარაგი, გამოსახული საქონელბრუნვადლებში, ძლიერ განსხვავდება საქონლისა და სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. ამდენადვე განსხვავდება ერთმანეთისაგან საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლებიც. საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფე ამ პირობებში შეიცვლება არა მარტო ცალკეული საქონლისა და სასაქონლო ჯგუფების, არამედ საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის ცვლილების ზეგავლენითაც.

ამიტომ ყოველთვის არ არის შესაძლებელი საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის დინამიკის საფუძველზე ვიმსჯელოთ სავაჭრო საწარმოთა ნამდვილ მიღწევებზე საქონლის ბრუნვადობის დაჩქარებისათვის ბრძოლაში. პრაქტიკაში შეიძლება შეგვხვდეს ისეთი პარადოქსული შემთხვევები, როდესაც ცალკეული საქონლის მიხედვით ბრუნვადობის დაჩქარებას თანსდევს საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის შენელება მთელი საწარმოსათვის; ანდა, პირიქით, საქონლის ბრუნვადობის აჩქარება საწარმოში მთლიანად ცალკეული საქონლის მიხედვით ბრუნვადობის დაჩქარებით კი არ მოწმდება, არამედ წარმოადგენს ბრუნვისა და სასაქონლო მარაგის შემადგენლობაში მომხდარ სტრუქტურულ ცვლილებათა შედეგს.

აქედან წარმოდგება ცალკეულ ფაქტორთა როლის ანალიზის ამოცანა საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ცვლილებისას. პრობლემის არსი განვიხილოთ შემდეგ მაგალითზე:

საქონელბრუნვა და სასაქონლო მარაგი ხავაჭრო საწარმოში  
(ათის მან.)

სასაქონლო ჯგუფები	საქონელ- ბრუნვა		საშუალო სასაქონლო მარაგი		სასაქონლო მარაგის სტრუქტურა (პროცენ- ტობით ჯამის მიმართ)		საქონელბრუნვის სისწრაფე		საქონელ- ბრუნვის სის- წრაფის ინ- დექსი (სმ. მ. : სმ. 7)
	I კვარ- ტალი	II კვარ- ტალი	I კვარ- ტალი	II კვარ- ტალი	I კვარ- ტალი	II კვარ- ტალი	I კვარ- ტალი	II კვარ- ტალი	
	1(O <sub>0</sub> )	2(O <sub>1</sub> )	3(z <sub>0</sub> )	4(z <sub>1</sub> )	5	6	7(C <sub>0</sub> )	8(C <sub>1</sub> )	9
•	1800	2990	300	460	19,4	25,4	6	6,5	1,08
•	2500	3600	500	600	32,2	33,2	5	6	1,20
•	3000	3000	750	750	48,4	41,4	4	4	1,00
ჯამი	7200	9590	1550	1810	100	100	—	—	—

ცხრილში მოტანილია მონაცემები საქონელბრუნვასა და საშუალო სასაქონლო მარაგზე ერთ-ერთ სავაჭრო საწარმოში. საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები (C) მიღებულია საქონელბრუნვის (O) გაყოფით საშუალო სასაქონლო მარაგზე (z). უკანასკნელ სვეტში მოცემულია საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსები სასაქონლო ჯგუფთა მიხედვით. ეს ინდექსები მოწმობს იმას, რომ ბრუნვის სისწრაფე გაიზარდა „ა“ სასაქონლო ჯგუფის მიხედვით 8%-ით, „ბ“-სი—20%-ით, ხოლო „გ“ ჯგუფის მიხედვით დარჩა უცვლელი.

საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფეს ( $\bar{C}$ ) მთელი საწარმოს მიხედვით ღებულობენ საქონელბრუნვის საერთო ჯამის გაყოფით სასაქონლო მარაგის საერთო ჯამზე. ჩვენს მაგალითში საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფე შეადგენს:

$$a) \text{ I კვარტალში } \bar{C} = \frac{\sum O_0}{\sum z_0} = \frac{7300}{1550} = 4,7 \text{ ბრუნვას;}$$

$$b) \text{ II კვარტალში } \bar{C} = \frac{\sum O_1}{\sum z_1} = \frac{9590}{1810} = 5,3 \text{ ბრუნვას.}$$

მაშასადამე, საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის დინამიკის მაჩვენებელი II კვარტალში, I კვარტალთან შედარებით, იქნება:

$$\frac{\bar{C}_1}{\bar{C}_0} = \frac{5,3}{4,7} = 1,128 \text{ ანუ } 112,8 \%.$$

ადვილად დავრწმუნდებით, რომ იგივე მაჩვენებელი ულრის საქონელბრუნვის დინამიკის კოეფიციენტის

$$\frac{\sum O_1}{\sum O_0} = \frac{9590}{7300} = 1,314$$

შეთვარდება საშუალო სასაქონლო მარაგის დინამიკის კოეფიციენტთან.

$$\frac{\sum z_1}{\sum z_0} = \frac{1810}{1550} = 1,168.$$

საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ზრდა 12,8 %-ით განპირობებულია ერთი მხრივ, საქონლის ბრუნვადობის დაჩქარებით „ა“ და „ბ“ სასაქონლო ჯგუფთა მიხედვით, მეორე მხრივ—სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილებით საწარმოში.

მოტანილი ცხრილის მე-5 და მე-6 სვეტებში მოცემულია სასაქონლო მარაგის სტრუქტურის მაჩვენებლები, საიდანაც ჩანს, რომ II კვარტალში, I კვარტალთან შედარებით, სასაქონლო მარაგის საერთო ჯამში გაიზარდა „ა“ და „ბ“ ჯგუფის საქონლის ხვედრითი წონა და შემცირდა „გ“ ჯგუფის საქონლის ხვედრითი წონა. მაგრამ რადგან „ა“ და „ბ“ ჯგუფები ხასიათდება უფრო მაღალი ბრუნვადობით, ვიდრე „გ“ ჯგუფი, ამიტომ სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ასეთ ცვლილებას საწარმოში აუცილებლად დამატებით უნდა გაეზარდა საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ინდექსი.

სავაჭრო საწარმოს მუშაობის ხარისხის შეფასების თვალსაზრისით სულ ერთი არ არის. თუ რის ხარჯზე ზრდის იგი საქონელბრუნვის სისწრაფეს: ცალკეულ სასაქონლო ჯგუფთა ბრუნვის ნამდვილი დაჩქარების, თუ საქონელბრუნვაში სწრაფდებრუნვადი საქონლის ხვედრითი წონის გადიდების ხარჯზე. ამიტომ შემდგომი ანალიზის ამოცანას წარმოადგენს განვსაზღვროთ, თუ საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ცვლილება რამდენად არის განპირობებული ცალკეული საქონლის ბრუნვის სისწრაფისა და სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილებით.

ამისათვის უნდა აიგოს საინდექსო სისტემა, რომელშიც საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ინდექსი წარმოდგენილი იქნება როგორც საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსისა (სასაქონლო მარაგების უცვლელ სტრუქტურაში) და სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილების გავლენის ინდექსის ნამრავლი.

საინდექსო თეორიის ზოგადი პრინციპებიდან გამომდინარე, საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსი უნდა აიგოს საანგარიშო პერიოდის სასაქონლო მარაგის უცვლელ სტრუქტურაში, ე. ი. ფორმულით:

$$J_c = \frac{\sum C_1 z_1}{\sum C_0 z_1}$$

ჩვენს მაგალითში ეს ინდექსი ტოლი იქნება:

$$\frac{6,5 \times 460 + 6 \times 600 + 4 \times 750}{6 \times 460 + 5 \times 600 + 4 \times 750} = \frac{2990 + 3600 + 3000}{2760 + 3000 + 3000} = \frac{9590}{8760} = 1,095, \text{ ანუ } 109,5 \%$$

ამრიგად, საქონელბრუნვის სისწრაფე საწარმოში საშუალოდ გაიზარდა 9,5 %-ით. ეს ინდექსი რომ საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ინდექსს შევადაროთ, დავინახავთ, რომ უკანასკნელი გაიზარდა უფრო მეტად (12,8%-ით), ცხადია, სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილების დამატებითი გავლენის საფუძველზე.

საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელში მოცემულ აბსოლუტურ სიდიდეებს დიდი ეკონომიური მნიშვნელობა გააჩნია. ამ ინდექსში ერთიმეორეს უპირისპირდება საქონელბრუნვის თანხები, რადგან ბრუნვის სისწრაფისა და სასაქონლო მარაგის თანხის ნამრავლი გვაძლევს საქონელბრუნვის თანხას. ინდექსის მრიცხველში ნაჩვენებია საანგარიშო პერიოდის ფაქტური საქონელბრუნვა (9 590 ათასი მან.). მნიშვნელში მიღებულია საქონელბრუნვის პირობითი თანხა (8760 ათასი მან.), რომელიც იქნებოდა საანგარიშო პერიოდში, თუკი ცალკეული საქონლის ბრუნვის სისწრაფე საბაზისო პერიოდის დონეზე დარჩებოდა. ეს ნიშნავს, რომ სხვაობა ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის ( $\sum C_1 z_1 - \sum C_0 z_1 = 9590 - 8760 = 830$  ათას მან.) ახასიათებს საქონელ-

ბრუნვის აბსოლუტურ მატებას საანგარიშო პერიოდში ცალკეული საქონლის ბრუნვადობის დაჩქარების საფუძველზე.

ჩვენს მაგალითში საქონელბრუნვის აბსოლუტურმა მატებამ II კვარტალში, I კვარტალთან შედარებით, შეადგინა 2290 ათასი მანეთი ( $\Sigma O_1 - \Sigma O_0 = 9590 - 7300 = 2290$ ). ამ თანხიდან მატების 830 ათასი მანეთი წარმოიშობა ცალკეული საქონლის ბრუნვის სისწრაფის გადიდების ხარჯზე, ხოლო 1460 ათასი მანეთი ( $2290 - 830$ ) მოდის საქონელბრუნვის მატებაზე, რომელიც განპირობებულია სასაქონლო მარაგის ზრდით და მათი სტრუქტურის ცვლილებით.

საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსი ავსებს ინდექსს, რომელიც ახასიათებს სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილების გავლენას საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის დინამიკაზე (სიმოკლისათვის მას ვეწოდოთ სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ინდექსი). ამ ინდექსში სასაქონლო მარაგის სტრუქტურა (ე. ი. საქონლის ჯგუფების ხვედრითი წონა სასაქონლო მარაგის საერთო ჯამში საბაზისო და საანგარიშო პერიოდში) უნდა იქნეს შეწონილი საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვის სისწრაფის უცვლელი მაჩვენებლებით. ინდექსის გაანგარიშება ხდება შემდეგი სქემის მიხედვით:

საქონლო ჯგუფები	სასაქონლო მარაგის სტრუქტურა		ბრუნვის სისწ- რამე I კვარ- ტალში	საქონელბრუნვა სასაქონლო მარაგის 100 მანეთზე ბრუნვის უცვლელი სისწრაფის პირობებში	
	პირველი კვარტალი	მეორე კვარტალი		I კვარტალი (სვ. I X სვ. 3)	II კვარტალი (სვ. 2 X სვ. 3)
ა	1	2	3	4	5
	19,4	25,4	6	116,4	152,4
ბ	32,2	33,2	5	161,0	166,0
გ	49,4	41,4	4	193,6	165,6
ჯამი	100	100	—	471,0	484,0

ამ ცხრილში გაანგარიშებულ ციფრებს წარმოადგენს უკანასკნელ ორ სვეტში მოცემული ციფრები. პროცენტული შეფარდებანი პირველ ორ სვეტში შეიძლება განვიხილოთ როგორც სასაქონლო მარაგის აბსოლუტური თანხები მანეთობით. სასაქონლო მარაგის აბსოლუტურ მაჩვენებელთა გადამრავლებით საქონელბრუნვის სისწრაფეზე ვღებულობთ საქონელბრუნვის აბსოლუტურ თანხას. მაშასადამე, ცხრილის მე-4 და მე-5 სვეტების ციფრები შეიძლება განვიხილოთ როგორც საქონელბრუნვის თანხები სასაქონლო მარაგის 100 მანეთზე საქონელბრუნვის უცვლელი სისწრაფის პირობებში. ეს თანხები სხვადასხვაგვარი აღმოჩნდა: I კვარტალში—471 მან., ხოლო II-ში—484. რადგან ვიღებთ სასაქონლო მარაგის უცვლელ საერთო თანხას (100 მან.) და საქონელბრუნვის სისწრაფის უცვლელ მაჩვენებ-

ლებს, საქონელბრუნვის დიდი თანხის გაჩენა II კვარტალში გამოიწვია იმან, რომ სასაქონლო მარაგის სტრუქტურა შეიცვალა. სწორედ ამ თანხების ურთიერთ-შეფარდება გვაძლევს სასაქონლო მარაგის სტრუქტურის საძიებელ ინდექსს:

$$\frac{484}{471} = 1,03$$

ის გარემოება, რომ სტრუქტურის ინდექსის გაანგარიშებისას ვიღებთ ხვედრით წონებს და არა სასაქონლო მარაგის აბსოლუტურ თანხებს, ნიშნავს, რომ ჩვენ გამოვირიცხავთ სასაქონლო მარაგის აბსოლუტური თანხის გავლენას დინამიკის ამ ინდექსზე.

აღვილი შესამჩნევია, რომ საქონელბრუნვის სისწრაფისა და სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ინდექსთა ნამრავლი გვაძლევს საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის ამოსავალ ინდექსს:

$$1,095 \cdot 1,03 = 1,128.$$

სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ინდექსში სხვაობა მრიცხველსა და მნიშვნელს შორის ნათელყოფს საქონელბრუნვის მატებას სასაქონლო მარაგის 100 მანეთზე, რაც განპირობებულია მათი სტრუქტურის ცვლილებით. ჩვენს მაგალითში ამ მატებამ შეადგინა 13 მანეთი (484—471). თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სასაქონლო მარაგის თანხამ II კვარტალში შეადგინა 1810 ათასი მანეთი, მაშინ (ამ თანხაზე გაანგარიშებით) სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილებით განპირობებული საქონელბრუნვის მატება უდრის 235,3 ათას მანეთს (18,1 · 13).

მაშასადამე, საქონელბრუნვის საერთო მატება II კვარტალში—2290 ათასი მანეთი—შედგება სამი შესაკრებისაგან (830+235,3+1224,7), რომელთაგან პირველი განპირობებულია ცალკეული საქონლის ბრუნვის სისწრაფის გადიდებით, მეორე—სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილებით, ხოლო მესამე—სასაქონლო მარაგის დინამიკით. მესამე შესაკრები შეიძლება მიღებულ იქნეს უშუალოდაც I კვარტალის საქონელბრუნვის (7300 ათ. მან.) გამრავლებით სასაქონლო მარაგის მატების კოეფიციენტზე (0,168).

საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფის დინამიკის ანალიზისას გამოყენებულ ინდექსთა სისტემა ზოგადი სახით შეიძლება გამოვსახოთ შემდეგი ფორმით:

$$\left( \frac{\sum C_1 z_1}{\sum C_0 z_0} \quad \frac{\sum z_1}{\sum z_0} \right) = \frac{\sum C_1 z_1}{\sum C_0 z_1} \times \left( \frac{\sum C_1 z_1}{\sum C_0 z_0} : \frac{\sum z_1}{\sum z_0} \right)$$

საქონელბრუნვის
საქონელბრუნვის
სასაქონლო მარაგის  
საშუალო სისწრაფის
სისწრაფის
სტრუქტურის  
ინდექსი
ინდექსი
ინდექსი

ამ საინდექსო სისტემაში სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ინდექსი წარმოდგენილია გაშლილი სახით, როდესაც მარაგის აბსოლუტური თანხები საანგარიშო და საბაზისო პერიოდებშიც შეიწონება საბაზისო პერიოდის ბრუნვის სისწრაფის მიხედვით, შემდეგ კი მიღებული თანხების განაყოფი უფარდება სასაქონლო

მარაგის დინამიკის მაჩვენებელს. ასეთივე შედეგამდე მივალთ, თუ შევწონით მარაგის არა აბსოლუტურ თანხებს, არამედ მათ ხვედრით წონებს, როგორც ეს ნაჩვენებები იყო ადრე მოტანილ მაგალითში:

$$\frac{\sum C_0 z_1}{\sum C_0 z_0} : \frac{\sum z_1}{\sum z_0} = \frac{\sum \frac{C_0 z_1}{\sum z_1}}{\sum \frac{C_0 z_0}{\sum z_0}} = \frac{\sum C_0 z_1^*}{\sum C_0 z_0^*}$$

სადაც  $z^*$  არის თითოეული სასაქონლო ჯგუფის მარაგის ხვედრითი წონა მათ საერთო ჯამში.

(მოტანილი საინდექსო სისტემიდან გამომდინარეობს, რომ როდესაც მოკუმული გვაქვს საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფისა და სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ინდექსები, ადვილად შეიძლება მივიღოთ საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსი (უცვლელ სტრუქტურაში) პირველი ინდექსის მეორეზე გაყოფის გზით.) ამ გარემოებას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს საეკონომიკური საწარმოთათვის; უცვლელი სტრუქტურის პირობებში საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსის უშუალო გაანგარიშება ხშირად ძნელდება იმის გამო, რომ საქონლის ცალკეული ჯგუფების ბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელთა გასაანგარიშებლად საჭიროა ბრუნვების საქონლური შემადგენლობა, ეს მასალები საეკონომიკური ორგანიზაციებში გვხვდება მხოლოდ კვარტალში ერთხელ, ხოლო ასეთი გაანგარიშების წარმოება საჭიროა ყოველთვიურად. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ვისარგებლოთ საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსის გაანგარიშებით სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ინდექსის მეშვეობით, რადგან სასაქონლო მარაგის სტრუქტურა შეიძლება მივიღოთ უფრო მოკლე ვადებშიც.

სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ინდექსში საქონლის ჯგუფთა მიხედვით ბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები გამოიყენება მხოლოდ სიხშირის სახით. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ისინი სწორად ასახევენ საქონლის ცალკეული ჯგუფების ბრუნვის სისწრაფის მაჩვენებელთა თანაფარდობას. ამიტომ დიდი შეცდომა არ იქნება, თუ საბაზისო პერიოდის სისწრაფის ფაქტიურ მაჩვენებლებს ამ ინდექსში შევცვლით საქონლის ბრუნვადობის საგეგმო ნორმატივებით.

## 5. საქონლის მიმოქცევის დროის ინდექსი

როგორც უკვე აღნიშნული იყო, საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლებთან მჭიდროდაა დაკავშირებული საქონლის მიმოქცევის დროის მაჩვენებლები. საქონლის მიმოქცევის დროის დინამიკა უკუდამოკიდებულებაშია საქონელბრუნვის სისწრაფის დინამიკასთან.

განხილულ მაგალითში საქონელბრუნვის საშუალო სისწრაფე I კვარტალში უდრის 4,7-ს და II კვარტალში—5,3-ს. ეს ნიშნავს, რომ ერთი ბრუნვის საშუალო ხანგრძლიობამ შეადგინა I კვარტალში 19,15 დღე (90:4,7), II-ში—17 დღე. ამრიგად, მიმოქცევის საშუალო დრო მთელი საქონელბრუნვის მიხედვით შემცირდა 2,15 დღით, ანუ 11,3 %-ით (17 19,15=0,837). მიმოქცევა საშუალო

დროის შემცირება განპირობებულია საქონლის ცალკეულ ჯგუფთა მიხედვით მიმოქცევის დროის შემცირებით და საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებით, ე. ი. მიმოქცევის უფრო ნაკლები დროის მქონე „ა“ და „ბ“ საქონლის ჯგუფთა ხვედრითი წონის გადიდებით.

საქონელბრუნვის სისწრაფის ინდექსთან ერთად დამოუკიდებელი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს საქონლის მიმოქცევის დროის ინდექსის გამოანგარიშებას საქონელბრუნვის უცვლელ სტრუქტურაში.

საქონელბრუნვის სისწრაფის გაანგარიშებული ინდექსისაგან განსხვავებით, მიმოქცევის დროის ინდექსზე გავლენას ახდენს საქონელბრუნვის და არა სასაქონლო მარაგის სტრუქტურის ცვლილება. მიმოქცევის დროის ინდექსის დასადგენად საჭიროა საქონლის ცალკეულ ჯგუფთა მიმოქცევის დროის მაჩვენებლები ორივე პერიოდში შევწონოთ საანგარიშო პერიოდის ერთდღიური ბრუნვებითა.

საქონელბრუნვის უცვლელ სტრუქტურაში მიმოქცევის დროის ინდექსის გაანგარიშება უჭრეწონოთ იმავე მაგალითზე:

საქონლის ჯგუფები	საქონელბრუნვა კვარტალში (ათას მან.)		ერთდღიური საქონელბრუნვა (ათას მან.)		სასაქონლო მარაგი (ათას მან.)		მიმოქცევის დრო (დღეობით)	
	I კვარტალი	II კვარტალი	I კვარტალი	II კვარტალი	I კვარტალი	II კვარტალი	I კვარტალი	II კვარტალი
ა	1(0 <sub>ა</sub> )	2(0 <sub>1</sub> )	3(m <sub>ა</sub> )	4(m <sub>1</sub> )	5(z <sub>ა</sub> )	6(z <sub>1</sub> )	7(b <sub>ა</sub> )	8(b <sub>1</sub> )
ა.	1800	2990	20	33,2	300	460	15	13,8
ბ.	2500	3600	27,8	40,0	500	600	18	15
გ.	3000	3000	33,3	33,3	750	750	22,5	22,5
ჯამი	7300	9590	81,1	106,5	1550	1810	—	—

მიმოქცევის დროის ინდექსი საქონელბრუნვის უცვლელ სტრუქტურაში უდრის:

$$\frac{\sum b_1 m_1}{\sum b_0 m_1} = \frac{13,8 \times 33,2 + 15 \times 40 + 22,5 \times 33,3}{15 \times 33,2 + 18 \times 40 + 22,5 \times 33,3} = \frac{460 + 600 + 750}{498 + 720 + 750} = \frac{1810}{1968} = 0,919 \text{ ანუ } 91,9 \%$$

ამრიგად, საქონლის მიმოქცევის დრო საშუალოდ შემცირდა 8,1%-ით.

მაგრამ მიმოქცევის დროის ინდექსი საინტერესოა არა მხოლოდ შეფარდებითი სიდიდით, არამედ აბსოლუტური მაჩვენებლებითაც. ამ ინდექსში ერთიგორეს უპირისპირდება სასაქონლო მარაგის ორი თანხა. ინდექსის მრიცხველში ნაჩვენებია სასაქონლო მარაგის ფაქტიური თანხა საანგარიშო პერიოდში (1810 ათასი მან.), მნიშვნელში—სასაქონლო მარაგის პირობითი თანხა (1968 ათასი



მან.), რომელიც უზრუნველყოფდა საქონელბრუნვის საანგარიშო პერიოდში, თუკი ცალკეული საქონლის მიმოქცევის დრო დარჩებოდა საბაზისო პერიოდის ღონეზე. მაშასადამე, სხვაობა ამ ინდექსის მნიშვნელსა და მრიცხველს შორის გვიხსნათებს სასაქონლო მარაგის შემცირების აბსოლუტურ თანხას ცალკეული საქონლის ბრუნვის სისწრაფის გადიდების საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის საბრუნავ საშუალებათა თანხა, რომელიც გათავისუფლებულია საქონელბრუნვადობის დაჩქარების შედეგად.

ჩვენს მაგალითში სასაქონლო მარაგის შემცირებამ საქონლის ბრუნვადობის დაჩქარების ხარჯზე შეადგინა 158 ათასი მანეთი (1968—1810) II კვარტალში. თუ ერთიმეორეს შევედარებთ სასაქონლო მარაგის ფაქტურ თანხებს II და I კვარტალებში, დავრწმუნდებით, რომ სასაქონლო მარაგი II კვარტალში გაიზარდა (აბსოლუტურად) 260 ათასი მანეთით (1810—1550). საქონელბრუნვის სისწრაფე II კვარტალში I კვარტალის ღონეზე რომ დარჩენილიყო, სასაქონლო მარაგი უნდა გაზრდილიყო არა 260 ათასი, არამედ 418 ათასი მანეთით (260+158 ანუ 1968 —1550). ამრიგად, 158 ათასი მანეთი წარმოადგენს საბრუნავ საშუალებათა ეკონომიის თანხას, რომელიც მიიღო სავაჭრო სავარაზომ ცალკეული საქონლის ბრუნვის დაჩქარების წყალობით.

საქონლის მიმოქცევის დროის ინდექსით შეივსება მიმოქცევის საშუალო დროის ღონამიკაზე საქონელბრუნვის სტრუქტურის გავლენის ინდექსი (სიმოკლი-სათვის მას ვუწოდოთ საქონელბრუნვის სტრუქტურის ინდექსი) <sup>1</sup>.

ამ ინდექსში საქონელბრუნვის სტრუქტურა შეწონილ უნდა იქნეს მიმოქცევის დროის საბაზისო მაჩვენებლებით. ინდექსის დადგენა წარმოებს შემდეგი-სკემით:

სასაქონ- ლო ჯგუფები	საქონელბრუნვის სტრუქტურა		საქონლის მიმოქცევის დრო I კვარ- ტალში (ღღეებში)	სასაქონლო მარაგის თანხა ერთდღიური საქონელ- ბრუნვის 100 მანეთზე მი- მოქცევის საბაზისო დროის პირობებში	
	I კვარ- ტალი	II კვარ- ტალი		I კვარტალი	II კვარტალი
ა.ა.	24,7	31,2	15	370,5	468
ბ.ბ.	34,3	37,5	18	617,4	675
ბ.ბ.	41,0	31,3	22,5	922,5	704,25
ჯ.ა.ბ.ი	100	100	—	1910,4	1847,25

<sup>1</sup> მიმოქცევის საშუალო დროის ღონამიკის ანალიზში გამოყენებულ ინდექსთა სისტემა შემოღება დავწეროთ შემდეგი სახით:

$$\left( \frac{\sum b_1 m_1}{\sum b_0 m_0} : \frac{\sum m_1}{\sum m_0} \right) = \frac{\sum b_1 m_1}{\sum b_0 m_1} \times \left( \frac{\sum b_0 m_1}{\sum b_0 m_0} : \frac{\sum m_1}{\sum m_0} \right).$$

მიმოქცევის საშუალო დროის ინდექსი
მიმოქცევის დროის ინდექსი
საქონელბრუნვის სტრუქტურის ინდექსი

$$\text{საქონლებრუნვის სტრუქტურის ინდექსი} = \frac{1847,25}{1910,4} = 0,967,$$

ცხრილის უკანასკნელი ორი სვეტის ჯამობრივი მაჩვენებლები შექს ჰყენს სასაქონლო მარაგის იმ თანხის ცვლილებას, რომელიც აუცილებელია საქონლებრუნვის ერთნაირი მოცულობისათვის მისი სხვადასხვა სტრუქტურის პირობებში (მიმოქცევის დროის ერთსა და იმავე მონაკვეთებში). საანგარიშო პერიოდის საქონლებრუნვის სტრუქტურა მოითხოვდა სასაქონლო მარაგის ნაკლებ თანხას; მაშასადამე, საქონლებრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრა ხელს უწყობდა მიმოქცევის საშუალო დროის შემცირებას 3,3%-ით.

სხვაობა საქონლებრუნვის სტრუქტურის ინდექსის მნიშვნელსა და მრიცხველს შორის გვიხანიათებს სასაქონლო მარაგის შემცირებას ერთდღიური საქონლებრუნვის 100 მანეთზე. ჩვენს მაგალითში ამ შემცირებამ შეადგინა 63,15 მანეთი (1910,4—1847, 25). საანგარიშო პერიოდის ერთდღიური საქონლებრუნვა უდრის 106,5 ათას მანეთს მაშასადამე, სასაქონლო მარაგის შემცირების მთელი თანხა, გამოწვეული სტრუქტურის ცვლილებით, შეადგენს 68 ათას მანეთს (63,15×1065). ახლა შეგვიძლია შევედგინოთ სასაქონლო მარაგის ცვლილების კრებსითი გაანგარიშება ფაქტორთა მიხედვით.

1) სასაქონლო მარაგის შემცირებამ, ცალკეული საქონლის ბრუნვადობის დაჩქარების გამო, შეადგინა 158 ათასი მანეთი; 2) სასაქონლო მარაგის შემცირება, საქონლებრუნვის სტრუქტურის შეცვლის გამო, უდრის 68 ათას მანეთს; 3) სასაქონლო მარაგის საერთო შემცირებამ შეადგინა 226 ათასი მანეთი (158+68); 4) სასაქონლო მარაგის ფაქტიური მატება ეტოლება 260 ათას მანეთს. მაშასადამე, რომ არ შემცირებულყო სასაქონლო მარაგი ცალკეული საქონლის ბრუნვის სისწრაფისა და საქონლებრუნვის სტრუქტურის ცვლილების შედეგად, სასაქონლო მარაგის მატებას უნდა შეედგინა 486 ათასი მანეთი (260+226). ეს ციფრები მიიღება, თუკი სასაქონლო მარაგის თანხას I კვირტალში (1550 ათას მან.) გავამრავლებთ საქონლებრუნვის მატების კოეფიციენტზე (0,314).

თუ საქონლებრუნვის სისწრაფისა და საქონლის მიმოქცევის დროის მაჩვენებლები ცალკეული საქონლისა და საშუალოდ მთელი საქონლებრუნვის მიხედვით ერთიმეორის შებრუნებული სიდიდენია, მაშინ საქონლებრუნვის სისწრაფისა და მიმოქცევის დროის ინდექსები არ არის ტიპიური ინდექსები: ისინი შედიან სხვადასხვა საინდექსო სისტემებში და ამიტომ მათი ნამრავლი, როგორც წესი, არ გვაძლევს ერთს.

## თ ა ვ ი VIII

### სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვის სტატიისტიკა

#### 1. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვის ორგანიზაცია და სტატისტიკის ამოცანები

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვა წარმოადგენს სახალხო მეურნეობის დამოუკიდებელ დარგს, რომელიც შეისყიდის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს ამ პროდუქტთა უშუალო მწარმოებლებისაგან; ესენია საბჭოთა მეურნეობები, კოლმეურნეობები, კოლმეურნეები და სხვა მოსახლეობა. რომელსაც აქვს თავისი დამხმარე სოფლის მეურნეობა. შესყიდვის მეშვეობით სახელმწიფო ახორციელებს სოფლის მეურნეობის სასაქონლო რესურსთა მობილიზაციას სურსათით და სამრეწველო ნედლეულით მოსახლეობის უზრუნველსაყოფად. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვა, მეორე მხრივ, წარმოადგენს კოლმეურნეობის, კოლმეურნეებისა და დამხმარე სოფლის მეურნეობის მწარმოებელი სხვა მოსახლეობის ამ ფულადი შემოსავლის წყაროს, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა საქონლის შესყიდვას. ეს აუცილებელია როგორც სოფლის მეურნეობის წარმოების, ისე სოფლის მოსახლეობის პირადი მოხმარებისათვის. ამრიგად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვა წარმოადგენს სოციალისტურ სოფლის მეურნეობასა და სოციალისტურ მრეწველობას შორის, ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიური კავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმას.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვა სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის ძირითადი ფორმაა; სასაქონლო პროდუქციის მცირე ნაწილის რეალიზაცია ხდება საკოლმეურნეო სოფლის გარეშე ვაჭრობის ფორმით.

შესყიდვის, როგორც სახალხო მეურნეობის დარგის, ცნების გაგებისათვის არსებითია შემდეგი ნიშნები: 1) შესყიდვა მოიცავს მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ყიდვას; მაშასადამე, სამშენებლო მასალების, სათბობისა და სხვათა დამზადება არ შედის შესყიდვის, როგორც სახალხო მეურნეობის დარგის, ცნებაში; 2) შესყიდვას მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ყიდვა მხოლოდ ამ პროდუქტების მწარმოებელთაგან; მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ყიდვა დამამზადებელი ან სავაჭრო ორგანიზაციებისაგან არ წარმოადგენს შესყიდვას, როგორც დარგს; 3) შესყიდვას განეკუთვნება სასოფლო-სამე-

ურნეო პროდუქტთა ყიდვა, რომელსაც აწარმოებს მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციები და საწარმონი (დამამზადებელი და სავაჭრო); მაშასადამე, მოსახლეობის მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ყიდვა უშუალოდ ამ პროდუქტების მწარმოებლებისაგან თავიანთი საჭიროებისათვის არ მიეკუთვნება დამზადებას, როგორც სახალხო მეურნეობის დარგს.

ამრიგად, შესყიდვა ეწოდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ყიდვას სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციებისა და საწარმოების, კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და სხვა მოსახლეობისაგან, რომელსაც აქვს დამხმარე სოფლის მეურნეობა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვა იყოფა ორ სახედ:

1) გვემით წარმოებული სახელმწიფო შესყიდვა, რომელშიც შედის პროდუქციის ჩაბარება საბჭოთა მეურნეობების მიერ და სასაქონლო პროდუქციის შესყიდვა კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფებისაგან;

2) სავაჭრო ორგანიზაციების მიერ წარმოებული შესყიდვა კოლმეურნეებისა და მოსახლეობისაგან საქონელბრუნვის გაშლისათვის. შესყიდვის ძირითადი სახეა სახელმწიფო შესყიდვა, რომელიც ქმნის სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის სახელმწიფო რესურსებს.

სახელმწიფო შესყიდვა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რომელიც განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის განვითარების გეგმას. სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმაში გათვალისწინებულია მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვის მოცულობა ისეთი რაოდენობით, რომელიც უზრუნველყოფს მოსახლეობის მოთხოვნილებას სურსათზე და მრეწველობისას—სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. ამ დავალებებიდან გამომდინარე (მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქტებზე თავის საკუთარ საჭიროებათა მხედველობაში მიღებით), კოლმეურნეობები თვითონ განსაზღვრავენ ნათეს ფართობებს (მთლიანად და ცალკეული კულტურების მიხედვით), პირუტყვის რაოდენობას და მის პროდუქტიულობას.

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვის მოცულობა 1940—1965 წწ. გაიზარდა მნიშვნელოვანი ოდენობით: ბამბის ნედლეულისა—2,24 მლნ ტონიდან 5,66 მლნ ტონამდე, ანუ 2,5-ჯერ, შაქრის ჭარხლისა—17,4 მლნ ტონიდან 67,5 მლნ ტონამდე, ანუ 3,9-ჯერ, პირუტყვისა და ფრინველისა (ცოცხალი წონით)—2,2 მლნ ტონიდან 9,3 მლნ ტონამდე, ანუ 4,2-ჯერ, რძისა—6,5 მლნ ტონიდან 38,7 მლნ ტონამდე, ანუ 6-ჯერ, კვერცხისა—2,7 მლრდ ცალიდან 10,5 მლრდ ცალამდე, ანუ 3,9-ჯერ. შედარებით ნაკლებად გაიზარდა მარცვლეულის შესყიდვა.

სახელმწიფო შესყიდვის რაოდენობისა და ფასების გადიდებასთან ერთად საგრძნობლად გაიზარდა საბჭოთა სოფლის ფულადი შემოსავალი. სახელმწიფო-სათვის სოფლის მეურნეობის პროდუქტთა მიყიდვის შედეგად იმატა კოლმეურ-

ნეობების, კოლმეურნეების, მუშებისა და მოსამსახურეების შემოსავალი 2,7 მილიარდიდან (1952 წელს) 20,2 მლრდ მანეთამდე (1965 წელს).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებით, დაწესებულია სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შესყიდვის ახალი წესი. ეკონომიური მეთოდებით სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირების, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სამეურნეო ანგარიშის დანერგვის მიზნით საგრძნობლად გადიდა შესყიდვის ფასები მარცვლეულ კულტურებზე და შემოღებულ იქნა წანამატი პირუტყვის შესყიდვის ფასებზე. გარდა ამისა, დადგინდა სახელმწიფო შესყიდვის მყარი გეგმა ახალი ხუთწლილისათვის. ამ გადაწყვეტილებამ კიდევ უფრო აამაღლა საკოლმეურნეო სოფლის ფულადი შემოსავალი, უზრუნველყო პროდუქციის მნიშვნელოვანი გადიდება და სახელმწიფო შესყიდვის ზრდა.

სახელმწიფო შესყიდვა ამჟამად შემდეგნაირადაა ორგანიზებული: სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს უშუალოდ ამზადებს (იღებს) სპეციალიზებული დამამზადებელი ორგანიზაციები: მარცვლეულ და ზეთოვან კულტურებს, ბალახის თესლასა და ჭივას ამზადებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო დამამზადების სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მიმღები პუნქტები, ბაზები და საწარმოები; პირუტყვს, ფრინველს, რძესა და რძის პროდუქტებს — ხორციისა და რძის მრეწველობის მიმღები პუნქტები და საწარმოები; ბამბის ნედლეულს, სელის ბოჭკოს, შაქრის ჭარხალს, ჩაის ფოთოლს, თამბაქოს წიკოსა და სხვა ტექნიკურ კულტურებს — მსუბუქი და კვების მრეწველობის მიმღები პუნქტები და საწარმოები; სამკურნალო და ზოგიერთ სხვა კულტურებს — სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიმღები პუნქტები და აფთიაქები; კარტოფილს, ბოსტნეულს, ხილს, კვერცხს, მატყლს, ტყავნედლეულს, ბეწვეულსა და ზოგიერთ სხვა პროდუქტს — სამომხმარებლო კოოპერაციის მიმღები პუნქტები, ბაზები და საწარმოები. გარდა ამისა, სახელმწიფო ვაჭრობის ორგანიზაციები შეისყიდიან კარტოფილს, ბოსტნეულსა და ხილს ქალაქებისა და მუშათა დაბების საგარეუბნო ზონებში; კვების მრეწველობის საწარმოები ამზადებენ კარტოფილს, ბოსტნეულსა და ხილს მოსახლეობის ზონებში და ა. შ.

სტატისტიკის ამოცანას შეადგენს ცალკეულ პროდუქტთა შესყიდვის მოცულობისა და გეგმის შესრულების აღრიცხვა ტერიტორიული კვეთილით (რესპუბლიკები, მხარეები, ოლქები და ადმინისტრაციული რაიონები), აგრეთვე მიღების წყაროების (საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის) მიხედვით.

## 2. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვის აღრიცხვა და ანგარიშგება

სახელმწიფო შესყიდვა აღრიცხება დამამზადებელ ორგანიზაციაში (უშუალოდ დამამზადებელ პუნქტში ანდა სავაჭრო და სხვა ორგანიზაციაში) სოფლის მეურნეობის პროდუქტთა ფაქტიური მიღების მომენტის გათვალისწინებით. დამამ-

ზადებელ პუნქტში პროდუქტთა ყოველი შესყიდვა ფორმდება დაწესებული ნიმუშის მისაღები ქვეთრით. მისაღები ქვეთარი წარმოადგენს ძირითად პირველად დოკუმენტს და შეიცავს შემდეგ რეკვიზიტებს: მეურნეობის დასახელება, რომლისგანაც მოხდა შესყიდვა, პროდუქტის დასახელება და მისი ხარისხობრივი მაჩვენებლები (სარეველიანობა, ტენიანობა, რძის ცხიმოვანობა და სხვ.), წონა, ფასი, თანხა და ქვეთრის გამოწერის თარიღი. მისაღები ქვეთარი, როგორც წესი, გამოიწერება სამ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი გაიცემა მეურნეობაზე სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის ფაქტის დასადასტურებლად, მეორე ეგზენება სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულ ინსპექტორს, ხოლო მესამე რჩება დამამზადებელი ორგანიზაციის საქმეებში. სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულ ინსპექტურაში თითოეულ მეურნეობაზე წარმოებს პირადი ანგარიშები; რაიონული ინსპექტორების მიერ მიღებულ ქვეთართა ასლები გატარდება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირად ანგარიშებში; ეს მონაცემები წარმოადგენს მასალას გეგმის შესრულების შემოწმებისათვის თითოეული მეურნეობის მიხედვით. მისაღებ ქვეთართა ასლები, რომლებიც რჩება დამამზადებელ პუნქტში, წარმოადგენს აღრიცხვის დოკუმენტს საბუღალტრო აღრიცხვის წარმოებისა და საბუღალტრო და სტატისტიკური ანგარიშგების შედგენისათვის. ამგვარად, მისაღები ქვეთარი ერთიანი პირველადი დოკუმენტია, რომლის საფუძველზეც წარმოებს საბუღალტრო აღრიცხვა, დგება სახელმწიფო ანგარიშგება და ხდება ყოველგვარი ფულადი ანგარიშსწორება შესყიდული საქონლისათვის.

შესყიდვის სტატისტიკის მნიშვნელოვანი საკითხია დამზადებულ პროდუქტთა წონის მაჩვენებელი. დამამზადებელ პუნქტებში შედის სხვადასხვა ხარისხის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები: მარცვლეული კულტურები მეტი ან ნაკლები სარეველიანობით ან ტენიანობით, პირუტყვი—სხვადასხვაგვარი ხორციანობის (საშუალო, უმაღლესი და საშუალოზე დაბალი), რძე—სხვადასხვა ცხიმოვანობისა და ა. შ. სახელმწიფო შესყიდვის გეგმა კი მტკიცდება ხარისხის საშუალო სტანდარტზე გაანგარიშებით; აქედან გამომდინარეობს, რომ შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულების შესაფასებლად საჭიროა გვექონდეს მონაცემები ყოველი დამამზადებელი პროდუქტის რაოდენობაზე ხარისხის საშუალო სტანდარტზე გადაანგარიშებით.

ამის საფუძველზე შესყიდვის სტატისტიკაში ერთიმეორისაგან განსხვავდება ფაქტიური, ანუ ფიზიკური და ჩათვლითი წონა. ფაქტიური, ანუ ფიზიკური წონა განისაზღვრება ყოველი პროდუქტის აწონვით იმ სახით, როგორც იგი შემოდის დამამზადებელ პუნქტში (მისი ხარისხობრივი ნიშნებისაგან დამოუკიდებლად). ჩათვლითი წონა ეწოდება დამამზადებელი პროდუქტის წონას, გადაანგარიშებულს ხარისხის საშუალო სტანდარტზე, რაც შესყიდვის გეგმითაა გათვალისწინებული. თუ შესყიდულია უფრო მაღალი ხარისხის პროდუქტია, ვიდრე გეგმით იყო მოცემული, მაშინ ფაქტიურ წონას წაემატება დადგენილი ოდენობა; დაბალი ხარისხის პროდუქციის მიღებისას კი ფაქტიურ წონას გამოაკლდება შესაბამისი დათმობა.

ფიზიკური წონის გადაანგარიშება ჩათვლით წონაზე ვერყენოთ შემდეგ მაგალითზე: კოლმეურნობამ მიჰყიდა დამამზადებელ პუნქტს ჰეავი 5000 კგ რაოდენობით; ეს წონა ფაქტიური, ანუ ფიზიკური წონაა. დამზადებული ჰეავის ლაბორატორიულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ მას აქვს ტენიანობა 17%-ის, ხოლო სარეველიანობა 2%-ის ოდენობით; სახელმწიფო გეგმაში მიღებული კონდიციების მიხედვით კი მარცვლეულის მაქსიმალური ტენიანობა დამზადებული იყო არაუმეტეს 15%-ისა, ხოლო სარეველიანობა—1%-ისა. აქედან გამომდინარეობს, რომ დამზადებული ჰეავის პარტიას აქვს ტენიანობა 2%-ით და სარეველიანობა 1%-ით მეტი დაწესებულ ნორმაზე. მაშასადამე, ჰეავის ფიზიკური წონა 5000 კგ არ შეიძლება მთლიანად ჩათვალოს სახელმწიფო გეგმის შესრულებაში. დაკლების რაოდენობა განისაზღვრება როგორც ლაბორატორიული ანალიზის მონაცემებიდან ხარისხის ფაქტიური მაჩვენებლების პროცენტული გადახრის ჯამი; ჩვენს მაგალითში ეს იქნება:  $2 + 1 = 3\%$ . სწორედ ამ რაოდენობით ხდება ფიზიკური წონიდან დაკლება:

$$\frac{5000 \cdot 3}{100} = 150 \text{ კგ.}$$

მაშასადამე, ჰეავის ჩაბარებული პარტიის ჩათვლითი წონა შესყიდვის გეგმის შესრულების ანგარიშში მიიღება შემდეგი ოდენობით:

$$5000 - 150 = 4850 \text{ კგ.}$$

თუ დამზადებული მარცვლეულის ხარისხი დაწესებულ სტანდარტზე მაღალია, მაშინ ჩათვლითი წონა მეტი იქნება ფიზიკურ წონაზე და, მაშასადამე, შესყიდვის გეგმის შესრულების ანგარიშში ჩათვლება მეტი პროდუქტია, ვიდრე ამას გვიჩვენებს ფიზიკური წონა. რძეზე ფიზიკური წონის ჩათვლით წონაზე გადაანგარიშება წარმოებს ფიზიკური წონის გამრავლებით ცხიმიანობის ფაქტიურ მაჩვენებელზე (პროცენტობით) და მიღებული ნამრავლის გაყოფით გეგმურ სტანდარტზე (ეგრეთ წოდებული საბაზისო ცხიმიანობა—3,6%). დავუშვათ, რომ კოლმეურნობამ გაყიდა 1000 ლ რძე 4%-ის ცხიმიანობით, ჩათვლითი წონა იქნება

$$\frac{1000 \cdot 4}{3,6} = 1111 \text{ ლ.}$$

ნათქვამიდან ჩანს, რომ სახელმწიფო გეგმის შესრულების შესაფასებლად უნდა ვინელმძღვანელოთ შესყიდულ პროდუქტთა ჩათვლითი წონით. სახელმწიფო შესყიდვის მიმდინარე სტატისტიკა წარმოებს ჩათვლით წონაში; მონაცემები შესყიდვაზე ქვეყნდება ჩათვლით წონაშიც. მონაცემები დამზადებულ პროდუქტთა ფიზიკურ, ანუ ფაქტიურ წონაზე აღირიცხება საბუღალტრო ანგარიშგებაში. ფაქტიური წონის მონაცემთა მიხედვით ხდება დამზადებული პროდუქციის ფულადი ანგარიშსწორებანი. დამზადებულ პროდუქტთა მარაგი დამამზადებელ საწყობებსა და ბაზებში აღირიცხება ფიზიკურ წონაში; ბოლოს, ფაქტიურ ანუ ფიზიკურ წონაში ღდება ანგარიშგება დამზადებულ პროდუქტთა მოძრაობის შესახებ.

სტატისტიკური ანგარიშგება სახელმწიფო შესყიდვაზე შეივსება პირველად

დამამზადებელ რგოლში: დამამზადებელ პუნქტში, საწარმოში, სამომხმარებლო კოოპერაციის დამამზადებელ კანტორაში. შესყიდვის სეზონში ანგარიშგება, ჩვეულებრივ, წარედგინება დეკალების, ზოგიერთ პროდუქტებზე — ხუთდღიურების მიხედვით.

სტატისტიკური ანგარიშგება სახელმწიფო შესყიდვაზე ცენტრალიზებულია სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სისტემაში. დამამზადებელი და მიღები პუნქტები, სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონული დამამზადებელი კანტორები, სამრეწველო საწარმოები, რომლებიც შეისყიდიან ნედლეულს უშუალოდ კოლმეურნობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, შესყიდვის ანგარიშგებას წარადგენენ სახელმწიფო სტატისტიკის რაიონულ ინსპექტურაში. რაიონის ინსპექტორი ადგენს კრებსით ანგარიშს შესყიდვის სახელმწიფო გეგმების შესრულებაზე თითოეული პროდუქტის მიხედვით (კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან წარმოებული შესყიდვების გამოყოფით) და უდგენს მას საოლქო (სამხარეო) სტატისტიკურ სამმართველოს. სტატისტიკური სამმართველმა საანგარიშო მონაცემებით უზრუნველყოფს დამამზადებელი ორგანიზაციების ყველა საოლქო (სამხარეო) ცენტრს და კრებსით ანგარიშს ოლქის (მხარის) მასშტაბით თითოეული პროდუქტის მიხედვით უდგენს მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს. იგი, თავის მხრივ, საანგარიშო მონაცემებით უზრუნველყოფს ყველა რესპუბლიკურ დამამზადებელ კანტორას და კრებსით ანგარიშს შესყიდვის შესახებ (ცალკეული პროდუქტების მიხედვით) უდგენს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველს. სტატისტიკური ორგანოები რაიონებში, ოლქებში, მხარეებში სათანადო ხელმძღვანელ ორგანოებს უდგენენ კრებსით ანგარიშს შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებაზე თითოეული პროდუქტის მიხედვით. ამრიგად, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ახორციელებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვის სრულ აღრიცხვას; დამამზადებელი ორგანიზაციების ხაზით ანგარიშგება შესყიდვების შესახებ არ წარედგინება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის (1965 წ.) პლენუმის გადაწყვეტილებით, მარცვლელზე შესყიდვის ფასთა გადიდებასთან ერთად დადგინდა წანამატი 50%-ის ოდენობით ხორბლისა და ჭვავის ფასებზე ამ კულტურების ზეგემური შესყიდვებისათვის. ამასთან დაკავშირებით, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონულ ინსპექტორებს დაეკისრათ სახელმწიფო შესყიდვის მყარი გეგმის შესრულების ზუსტი და დროული აღრიცხვის, ზეგემური ხორბლისა და ჭვავის შესყიდვის ოდენობის სწორი განსაზღვრის ვალდებულება. ეს სამუშაო ტარდება რაიონსპექტურაში შემოსულ მისაღებ ქვეთართა და დამამზადებელი ორგანიზაციების ანგარიშგების ასლთა საფუძველზე. ზეგემური შესყიდვების მაჩვენებელი შემოღებულია იმ ანგარიშგებაშიც, რომელიც წარედგინება სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.

სახელმწიფო შესყიდვის ანგარიშგება წარმოებს ზრდად ჯამებში წლის დასაწყისიდან ან მოსავლის აღებიდან.



მემცენარეობის პროდუქტთა შესყიდვა ხდება მოსავლის აღების დაწყებიდანვე, ამიტომ ამ პროდუქტთა შესყიდვის ანგარიშგება, ივლისიდან დაწყებული, წარმოებს ზრდად ჯამებში. ანგარიშგება მეცხოველეობის პროდუქტთა შესყიდვაზე წარმოებს ზრდად ჯამებში კალენდარული წლის დასაწყისიდან, ე. ი. 1 იანვრიდან.

ანგარიშგების შედგენა ზრდად ჯამებში წლის (ან დამზადების) დასაწყისიდან შესაძლებლობას გვაძლევს ადვილად განვსაზღვროთ შესყიდვის გეგმის შესრულების ხარისხი განვიღო პერიოდში (პროცენტობით გეგმის მიმართ), ანალიზისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო შესყიდვის ტემპებზე სისტემატურ დაკვირვებას, თუ მოცემული გვაქვს საანგარიშო მონაცემები ზრდად ჯამებში წლის დასაწყისიდან, შეიძლება მივიღოთ მონაცემები შესყიდვის რაოდენობის შესახებ (არსებული მონაცემებიდან წინა თარიღის მონაცემების გამოკლებით) ყოველი დედანს ან თვისათვის.

განვიხილოთ მარცვლელის შესყიდვის მონაცემები:

	შესყიდულია ათას მანეთობით		პროცენტობით გეგმის მიმართ	
გ ე გ მ ა	200	—	160	—
ფაქტიურად შესყიდულია:				
1 აგვისტოსათვის	50	—	25	—
11 აგვისტოსათვის	50	30	40	15
21 აგვისტოსათვის	120	40	60	20
1 სექტემბრისათვის	170	50	85	25

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს მარცვლელის შესყიდვის განუზრეკლ ზრდას აგვისტოს განმავლობაში. თუ პირველ დეკადაში შესყიდული იყო 30 ტ, მეორე დეკადაში ამ ციფრმა მიაღწია 40 ტონას, ხოლო მესამეში—50-ს; იზრდება შესყიდვის აბსოლუტური ოდენობა დეკადების მიხედვით; მატულობს შესყიდვის ტემპი და მალღდება გეგმის შესრულების პროცენტი. ეს მონაცემები მოწმობს სახელმწიფო შესყიდვის წარმატებით მიმდინარეობას. საანგარიშო პერიოდში წარმოებული შესყიდვის შედარებით გასული წლის სათანადო პერიოდთან დავადგენთ, თუ როგორ ხდება შესყიდვა საანგარიშო პერიოდში—უეეთესად თუ უარესად.

ყოველი პროდუქტის შესყიდვის სტატისტიკა წარმოებს მიღების წყაროთა (საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და მოსახლეობის სხვა ჯგუფთა) მიხედვით. ამ მონაცემთა საფუძველზე განისაზღვრება თითოეული პროდუქტის მიღების წყაროს სტრუქტურა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები სახელმწიფო შესყიდვის მიხედვით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ძირითადი მიმწოდებლებია. 1960—1965 წწ. მარცვლელის, ბამბის ნელელელის, შაქრის ჭარხლისა და მზესუმზირის შესყიდვა წარმოებდა მხოლოდ საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობებისაგან; 1965 წ. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წილად მოდიოდა სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შეს-

ყიდვის უმეტესი ნაწილიც: რძისა — 96%, პირუტყვისა და ფრინველისა — 91%,  
 ბოსტნეულისა — 93%, კვერცხისა — 74%, კარტოფილისა — 75%.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ დამამზადებელ პუნქტებში შემოსული  
 სოფლის მეურნეობის ყოველგვარი პროდუქტი არ ჩაითვლება შესყიდვის სახელ-  
 მწიფო გეგმის შესრულების ანგარიშში. მაგალითად, საბჭოთა მეურნეობები და  
 კოლმეურნეობები აბრუნებენ მარცვალს სათესად მიღებული სესხის ანგარიშში; ეს  
 მიღება არ ითვლება შესყიდვის გეგმის შესრულებაში, ამიტომ აღრიცხვასა და  
 ანგარიშგებაში იგი ცალკე უნდა იყოს ნაჩვენები. შესყიდვის სახელმწიფო გეგმის  
 შესრულების ანგარიშში არ შეიტანება აგრეთვე რძე, რომელსაც კოლმეურნეობები  
 და კოლწევრები აბარებენ მიმღებ პუნქტებს მათთვის გაცემული მონდილი რძის  
 სამაგიეროდ (მას კოლმეურნეობები იყენებენ პირუტყვის საკვებად), ამიტომ მარცვ-  
 ლეულისა და ზოგიერთი სხვა პროდუქტის შესყიდვის სტატისტიკაში გამოიყენება  
 ორი მაჩვენებელი, რომელიც გვიხასიათებს შესყიდვის მოცულობას (შესყიდვის  
 მთელ მოცულობას და სახელმწიფო გეგმასთან შესაბამის მსოფლიოს).

სახელმწიფო შესყიდვის აღრიცხვა წარმოებს ტერიტორიული კვეთილით —  
 რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ადმინისტრაციული რაიონების მიხედ-  
 ვით. რიგ შემთხვევებში ერთ რაიონში არსებულ დამზადების პუნქტში შემოდის  
 პროდუქტები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან, რომლებიც  
 მდებარეობს მეორე ადმინისტრაციულ რაიონში. დამამზადებელი პუნქტის პირვე-  
 ლად აღრიცხვასა და ანგარიშგებაში პროდუქტთა მიღების აღრიცხვა მკაცრად  
 არის უზრუნველყოფილი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ადგილ-  
 მდებარეობის მიხედვით. ეს ნაკარანახევა სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრუ-  
 ლებაზე კონტროლის აუცილებლობით, რაც დგება ადმინისტრაციული რაიონების  
 ფარგლებში.

სავაჭრო ორგანიზაციების მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პრო-  
 დუქტთა შესყიდვა ვაჭრობის საჭიროებისათვის ანგარიშგებაში გამოიყოფა ცალკე  
 და სახელმწიფო შესყიდვაში არ შეიტანება.

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაიონული  
 ინსპექტორი დამამზადებელი ორგანიზაციების ანგარიშგების საფუძველზე ადგენს  
 კრებსით ანგარიშგებას სახელმწიფო შესყიდვის გეგმის შესრულებაზე შემდეგი  
 ფორმით:

პროდუქტის დასახელება	სახელ- მწიფო გეგმა	ფაქტუ- რად შე- სრულდა 197...წ. ...წ.	გეგმის შესრუ- ლება (პროცენ- ტობით)	ნაწილი სსრ კავშირის გეგმის შესრუ- ლებაში	შესყიდულია მიმ- დინარე წელს (პროცენტობით წინა წლის მიმართ)
1	2	3	4	5	6
პირუტყვი და ფრინველი (ტონობით ცოცხალი წონით)					
სულ შესყიდულია					

1	2	3	4	5	6
მათ შორის: საბჭოთა მეურნეობები- საგან					
კოლმეურნეობებისაგან					
მოსა'ლეობისაგან					
რძე					
და ა. შ.					

ანგარიშგება გვიჩვენებს გეგმის შესრულებას ყოველი პროდუქტისა და თითო-  
ეული წყაროს მიხედვით ცალ-ცალკე; ასეთივე ჭრილშია მოცემული შედარება  
გასული წლის მონაცემებთან. ასეთ ნაკრებს რაიონული ინსპექტორი უდგენს  
რაიონულ ორგანიზაციას და ოლქის, მხარის, ავტონომიური რესპუბლიკის სტატის-  
ტიკურ სამმართველოს, როგორც უკვე აღინიშნა, ხორბლისა და ქვავის მიხედ-  
ვით ცალკე წარედგინება მონაცემები ზეგვეჯური შესყიდვის რაოდენობაზე. კრებ-  
სით ანგარიშს ოლქის (მხარის) მიხედვით სტატისტიკური სამმართველო უდგენს  
საოლქო ორგანიზაციებსა და მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტი-  
კურ სამმართველოებს. თავის მხრივ, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური  
სტატისტიკური სამმართველოები შესყიდვის ნაკრებ ანგარიშს უდგენს რესპუბლი-  
კურ ორგანიზაციებს და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს.  
ამრიგად, სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს სის-  
ტემა უზრუნველყოფს შესყიდვის მოცულობისა და სახელმწიფო გეგმის შესრუ-  
ლების სრულ აღრიცხვას მთელი ქვეყნის მასშტაბით.

## 8. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვის სტატისტიკის განზოგადებული მაჩვენებლები

ზემოთ განხილული იყო ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შეს-  
ყიდვის სტატისტიკური აღრიცხვის მეთოდები. სოფლის მეურნეობის ყველა პრო-  
დუქტის შესყიდვის განზოგადებული მაჩვენებლების მიღების მიზნით, სტატისტიკა  
იყენებს რამდენიმე მეთოდს.

ყველა პროდუქტის შესყიდვის მონაცემთა განზოგადების უმარტივეს მეთოდს  
წარმოადგენს კრებისით ცხრილების შედგენა (დაახლოებით იმავე ფორმით, რო-  
მელსაც ადგენს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს რაი-  
ონული ინსპექტურა).

კრებისთი ცხრილი შესაძლებლობას გვაძლევს ანალიზი გავუკეთოთ შესყიდვის სახელმწიფო გეგმის შესრულებას ცალკეულ პროდუქტთა მიხედვით და დაგადგინოთ, რომელ პროდუქტზე სრულდება გეგმა წარმატებით და რომელზე არაა გეგმის შესრულების მაჩვენებლების შედარება ორი წლისათვის შესაძლებლობას მოგვცემს ვუპასუხოთ კითხვაზე, თუ როგორ მიმდინარეობს გეგმის შესრულება მიმდინარე წელს (უკეთესად თუ უარესად) და რომელ პროდუქტებზე. ცხრილი გვიჩვენებს აგრეთვე შესყიდვის მოცულობის ზრდას ან შემცირებას საანგარიშო პერიოდში გასულ წელთან შედარებით.

მაგრამ კრებისთი ცხრილი არ იძლევა ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შესყიდვის საერთო ჯამს, რადგან მონაცემები ყოველ პროდუქტზე ნაჩვენებია ნატურალური გამოსახულებით, რომელთა შეჯამებაც არ ხერხდება. ყველა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შესყიდვის განზოგადებული ჯამი მთლიანად შეიძლება წარმოვადგინოთ მხოლოდ ფულადი გამოსახულებით. შესყიდვის ღირებულებითი მაჩვენებლები გათვალისწინებულია საბუღალტრო ანგარიშგებაში. ანგარიშგებაში გათვალისწინებულია ცალკეულ პროდუქტთა შესყიდვის მაჩვენებლები ნატურალური გამოსახულებით (ფაქტიური ან ფიზიკური წონით) და შესყიდულ პროდუქტთა ღირებულება შესყიდვის ფასებით.

შესყიდვის ღირებულებით მაჩვენებელთა შედარება ცალკეული პერიოდების მიხედვით გვიპასუხებს კითხვაზე, თუ როგორ შეიცვალა შესყიდვის საერთო მოცულობა ფულადი გამოსახულებით საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით. ეს მაჩვენებელი გვიხანიათებს შესყიდვის მოცულობის ცვლილებას როგორც შესყიდულ პროდუქტთა რაოდენობის, ისე შესყიდვის ფასთა ცვლილების საფუძველზე. ასეთ მაჩვენებელს დიდი მნიშვნელობა აქვს შესყიდვისათვის საჭირო სახელმწიფო ხარჯებისა და საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის მიერ სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული ფულადი შემოსავლის შესასწავლად.

ასეთი შედარება შეიძლება გამოისახოს შემდეგი საინდექსო ფორმულით, რომელიც გვიხანიათებს შესყიდვის საერთო ღირებულების ცვლილებას ფაქტიურ ფასებში:

$$J_{\text{საერთო ღირებულების}} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0}$$

სადაც  $q$  არის პროდუქტთა რაოდენობა საანგარიშო (1) და საბაზისო (0) პერიოდებში;  $p_0$ —ფასი საანგარიშო (1) და საბაზისო (0) პერიოდებში;

შესყიდვის დინამიკის შესწავლისათვის შესაძლოა ფასებში გაიანგარიშება ფიზიკური მოცულობის ინდექსი შემდეგი ფორმულით:

$$J_{\text{ფიზ. მოც.}} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0}$$

ეს ინდექსი გვიჩვენებს შესყიდვის მოცულობის ცვლილებას მხოლოდ რაოდენობრივი ფაქტორის ხარჯზე შესასყიდ ფასთა უცვლელობის პირობებში.

ბოლოს, შესყიდვის ფასთა ცვლილების დასახასიათებლად გაიანგარიშება ფასთა ინდექსი შემდეგი ფორმულით:

$$J_{\text{ფასების}} = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1}$$

ეს ინდექსი პასუხობს კითხვაზე: საშუალოდ როგორ შეიცვლება შესყიდვის ფასები საანგარიშო პერიოდში შესყიდულ პროდუქტებზე.

ეთქვათ, მოცემული გვაქვს შემდეგი მონაცემები: საბაზისო პერიოდში შესყიდული ყველა პროდუქტის საერთო ღირებულება შეადგენდა 5000 ათას მან. ( $\sum q_0 p_0$ ), ხოლო საანგარიშო პერიოდში—10 000 ათას მან. ( $\sum q_1 p_1$ ); თუკი საანგარიშო პერიოდში შესყიდულ პროდუქტებს შევაფასებთ საბაზისო პერიოდში მოქმედი შესყიდვის ფასებით, შესყიდვების ღირებულება ტოლი იქნება 8000 ათასი მანეთისა ( $\sum q_1 p_0$ ).

ეს სამი თანხა საკმარისია იმისათვის, რომ გამოვიანგარიშოთ ზემოაღნიშნული ორი ინდექსი:

$$J_{\text{საერთო ღირებულების}} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{10000}{5000} = 2,0;$$

მატება 5000 ათასი მან.

$$J_{\text{ფიზ. მოყ.}} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{8000}{5000} = 1,60;$$

მატება 3000 ათასი მან.

$$J_{\text{ფასების}} = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1} = \frac{10000}{8000} = 1,25;$$

მატება 2000 ათასი მან.

ინდექსთა სისტემა ხასიათდება ჩამოთვლილი ინდექსების ურთიერთკავშირით, სახელდობრ:

$$J_{\text{ფასების}} \times J_{\text{ფიზ. მოყ.}} = J_{\text{საერთო ღირებულების}}$$

$$1,25 \times 1,60 = 2,00.$$

ინდექსთა ასეთი ურთიერთკავშირი შესაძლებლობას გვაძლევს შესყიდვის ღირებულების საერთო მატება დავშალოთ ორ ფაქტორად: რაოდენობის გადიდება და ფასების ზრდა. გაანგარიშება წარმოვადგინოთ შემდეგი ცხრილის სახით:

	ათას მან.	პროცენტობით ჯამის მიმართ
შესყიდვის ღირებულების საერთო მატება მათ შორის:	5000	100
შესყიდულ პროდუქტთა რაოდენობის გადიდების საფუძველზე	3000	60
შესყიდვის ფასთა ზრდის ხარჯზე	2000	40

ჩვენს მაგალითში შესყიდვის ღირებულების საერთო მატება—60% მოხდა შესყიდულ პროდუქტთა რაოდენობის გადიდებისა და 40%—შესყიდვის ფასების ზრდის ხარჯზე.

შესყიდვის ფიზიკური მოცულობის ინდექსთა განსაზღვრა სპეციალურ განხილვას მოითხოვს, ვთქვათ, მოცემული გვაქვს მონაცემები პირუტყვის შესყიდვის შესახებ: საბაზისო პერიოდში—1000 ც (1 ც—48 მან.) 48 ათასი მანეთის საერთო ღირებულებისა; საანგარიშო პერიოდში—1200 ც (1 ც—52 მანეთად) 62,4 ათასი მანეთის საერთო ღირებულებისა; თუ ამ მონაცემთა საფუძველზე გავიანგარიშებთ ინდექსებს, მივიღებთ:

$$J_{\text{ღირებულ.}} = \frac{\sum q_1 p_1}{\sum q_0 p_0} = \frac{62,4}{48,0} = 1,30;$$

$$J_{\text{ფაზ. მოც.}} = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{57,6(1200 \times 48)}{48,0} = 1,20;$$

$$J_{\text{ფასებ.}} = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1} = \frac{62,4}{57,6} = 1,08.$$

ამრიგად, ჩვენს მაგალითში შესყიდული პირუტყვის საერთო ღირებულება გაიზარდა 30%-ით, შესყიდვის ფიზიკური მოცულობა—20%-ით, რაც შეესაბამება შესყიდული პირუტყვის რაოდენობის ზრდას (1200 : 100 = 1,20); შესყიდვის ფასები გადიდა 8%-ით, რაც შეესაბამება საშუალო ფასების ზრდას (52 : 48 = 1,08).

სწორად არის თუ არა წარმოებული გაანგარიშება? ყურადღებას ვაქცევთ იმას, რომ ჩვენს გაანგარიშებაში გამოყენებულია საერთო მონაცემები მთელი პირუტყვის შესყიდვის შესახებ; მაგრამ პირუტყვები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სიმსუქნით, ე. ი. ხარისხობრივი ნიშნით; შესყიდვის ფასი დამოკიდებულია შესყიდული პროდუქტის ხარისხზე. აქედან გამომდინარეობს, რომ შესყიდული პირუტყვის სტრუქტურის ცვლილება გავლენას ახდენს საშუალო ფასის ცვლილებაზე

მაშინაც კი, როდესაც ცალკეულ პირუტყვზე ფასები რჩება უცვლელი, გავა-  
ფართოვთ მოტანილი პირობა და პირუტყვის შესყიდვის ცხრილი წარმოვადგინოთ  
დიფერენცირებულად სიმსუქნის მიხედვით:

შესყიდული პირუტყვის სახეები ხორციანობის მიხედვით	საბაზისო პერიოდს			საანგარიშო პერიოდი		
	წონა (ც)	1 ც-ის ფასი (მან.)	ლირებულება (ათას მან.)	წონა (ც)	1 ც-ის ფასი (მან.)	ლირებულება (ათას მან.)
უმაღლესი	100	70	7	240	70	16,8
საშუალო	500	50	25	720	50	36,0
საშუალოზე დაბალი	400	40	16	240	40	9,6
სულ	1000	48	48	1200	52	62,4

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირუტყვის ცალკეულ სახეთა ფასები ხორცი-  
ანობის მიხედვით ორივე შესაღარი წლის განმავლობაში უცვლელი რჩება. პირუ-  
ტყვის საშუალო ფასი კი გაიზარდა 48 მანეთიდან 52 მანეთამდე ცენტერზე,  
ადვილი შესამჩნევია, რომ ეს მოხდა შესყიდული პირუტყვის ხარისხის გაუმჯო-  
ბესების შედეგად. საშუალოზე მაღალი ხორციანობის მქონე პირუტყვს საბაზისო  
წელს ექვრა მთელი დამზადებული პირუტყვის 10%, ხოლო საანგარიშო წელს—  
20%, გაიზარდა აგრეთვე საშუალო ხორციანობის მქონე პირუტყვის წილიც—50-  
დან 60%-მდე და შესაბამისად შემცირდა ნაკლებხორციანი პირუტყვის წილი—40-  
დან 20%-მდე.

ამრიგად, საშუალო ფასის მატება ასახავს პირუტყვის ხარისხის და, მაშა-  
სადამე, პირუტყვის შესყიდვის ფიზიკური მოცულობის ზრდას. იგი არ შეიძლება  
განვიხილოთ როგორც ფასობრივი ფაქტორი. ფასთა ინდექსი უნდა უდრიდეს  
1,00-ს. მაშინ შესყიდვის ფიზიკური მოცულობის გაანგარიშებული ინდექსი შემ-  
ცირებულა და უნდა იყოს 1,20-ზე მეტი.

დაშვებული შეცდომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ პირუტყვის შესა-  
ყიდვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი გაანგარიშებულია მთლიანად შესყიდული  
პირუტყვის საერთო რაოდენობის და არა დიფერენცირებულად პირუტყვის ცალ-  
კეული სახეების მიხედვით. პირუტყვის შესყიდვის სტრუქტურა საანგარიშო  
პერიოდში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა საბაზისოსთან შედარებით, მაშასადამე,  
საანგარიშო პერიოდში შესყიდული პირუტყვი უფრო ძვირია, ვიდრე საბაზისოში.  
ამასთან, ჩვენს გაანგარიშებაში საანგარიშო პერიოდში შესყიდული პირუტყვის  
საერთო რაოდენობა (1200 ც) შეფასებულია საბაზისო პერიოდის საერთო სა-  
შუალო შესყიდვის ფასით (1 ც 48 მან), მაშინ როცა ეს საშუალო ფასი ასახავს

პირუტყვის შესყიდვის შემცირებულ სტრუქტურას საბაზისო პერიოდში. მაშასადამე, გაანგარიშებაში სწორად ვერ არის შეფასებული საანგარიშო პერიოდში შესყიდული პირუტყვის შედარებით მაღალი ხარისხი.

აქედან გამომდინარეობს მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური დასკვნა: აგრეგატული ფორმულით შესყიდვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის განსაზღვრისას გაანგარიშება უნდა ჩატარდეს დიფერენცირებულად ყოველი მოცემული პროდუქტის ცალკეულ სახეთა მიხედვით, რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდება ხარისხით და, მაშასადამე, ფასის დონითაც; ყველა პროდუქტისათვის ერთად საინდექსო გამოანგარიშების დროს საშუალო ფასების გამოყენება გაუმართლებელია და ეს იწვევს ფიზიკური მოცულობისა და ფასების ინდექსების დამახინჯებას.

ვუჩვენოთ პირუტყვის შესყიდვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის სწორი გაანგარიშება ჩვენი მაგალითის მიხედვით:

$$J = \frac{\sum q_1 p_0}{\sum q_0 p_0} = \frac{240 \times 70 + 720 \times 50 + 240 \times 40}{100 \times 70 + 500 \times 50 + 400 \times 40} = \frac{62400}{48000} = 1,30.$$

მრიცხველსა და მნიშვნელში აღებულია საბაზისო პერიოდის უცვლელი საშუალო ფასები პირუტყვის ცალკეული ჯგუფების მიხედვით, ცვალებად სიდიდეს წარმოადგენს შესყიდული პირუტყვის რაოდენობა. გაანგარიშება გვიჩვენებს, რომ შესყიდვის მოცულობა შესადარ ფასებში გაიზარდა 30%/-ით, ე. ი. ისეთივე რაოდენობით, როგორც გადიდდა დამზადების ბრუნვის მოცულობა (30%/-ით). აქედან გამომდინარეობს, რომ ფასების ინდექსი დარჩა უცვლელი:

$$J_{\text{ბრუნვის}} : J_{\text{ფასების}} = J_{\text{მოცულობის}}$$

ეს არის ერთადერთი სწორი გაანგარიშება. მართლაც, შესყიდვის ფასები არ შეიცვალა, საშუალო ფასების მატება კი ასახავს პირუტყვის ხარისხის ზრდას, რაც ფიზიკური მოცულობის ფაქტორია და არა ფასობრივი. მაშასადამე, პირუტყვის შესყიდვის ფიზიკური მოცულობა ნამდვილად გაიზარდა 30%/-ით.

საჭიროა ყურადღება მიექცეს იმასაც, რომ ფიზიკური მოცულობის ინდექსი (1,30) არ ემთხვევა ნატურალური წონის ინდექსს (1200 ტ : 1000 ტ. = 120), რადგანაც ნატურალური მოცულობის ინდექსი არ ითვალისწინებს განსხვავებას პროდუქტის ხარისხში. ამიტომ პროდუქტის სტრუქტურაში არსებითი ძვრების პირობებში ნატურალური მოცულობის ინდექსი არ გვიხასიათებს შესყიდვის ფიზიკური მოცულობის ცვლილებას.

შესყიდვის ფიზიკური მოცულობის ინდექსების გაანგარიშება მიზანშეწონილია შეყიდულ პროდუქტთა ჯგუფების მიხედვით:

1. პროდუქტთა წარმოშობის ნიშნის მიხედვით:
  - ა) მიწათმოქმედების პროდუქტთა ინდექსი;
  - ბ) მეცხოველეობის პროდუქტთა ინდექსი.



## 2. პროდუქტთა დანიშნულების მიხედვით:

- ა) სასურსათო პროდუქტთა ინდექსი;
- ბ) სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ინდექსი.

ამ ინდექსებს დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვის დინამიკის შესწავლისას როგორც მთელი ქვეყნის, ისე ცალკეული მოკავშირე რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა შესყიდვის ღირებულებითი მონაცემები გამოიყენება შესყიდვის სტრუქტურის შესწავლისათვის; ცალკეულ პროდუქტთა ხვედრით წონას შესყიდვის საერთო ღირებულებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ცალკეული რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების შესყიდვის სტრუქტურის მონაცემთა შედარებისას.

სახელმწიფო შესყიდვის სტატისტიკაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს შესყიდულ პროდუქტთა ხარისხის აღრიცხვას. ჩათვლითი და ფიზიკური წონის თანაფარდობა მოწმობს შესყიდული პროდუქციის ხარისხის შესაბამისობას დაწესებულ სტანდარტთან (კონდიციებთან). ჩაბარებული პროდუქციის ჩათვლითი წონა რომ გავყოთ ფიზიკურ წონაზე, მივიღებთ შესყიდული პროდუქციის ხარისხის კოეფიციენტს:

$$K = \frac{q_{\text{ჩათვ.}}}{q_{\text{ფიზიკ.}}}$$

შესყიდული პროდუქციის ხარისხის კოეფიციენტები გამოიანგარიშება საანგარიშო ( $K_1$ ) და საბაზისო ( $K_0$ ) პერიოდებისათვის. საანგარიშო პერიოდის კოეფიციენტი რომ გავყოთ საბაზისო პერიოდის კოეფიციენტზე, მივიღებთ შესყიდული პროდუქციის ხარისხის ინდექსს, რომელიც განისაზღვრება ფორმულით:

$$J_{\text{ხარისხ.}} = K_1 : K_0 = \frac{q_{1\text{ჩათვ.}}}{q_{1\text{ფიზ.კ.}}} : \frac{q_{0\text{ჩათვ.}}}{q_{0\text{ფიზიკ.}}}$$

გარდაქმნით მივიღებთ:

$$J_{\text{ხარისხ.}} = \frac{q_{1\text{ჩათვ.}}}{q_{0\text{ჩათვ.}}} : \frac{q_{1\text{ფიზიკ.}}}{q_{0\text{ფიზიკ.}}}$$

უქანასწორი ფორმულა შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად:

$$J_{\text{ხარისხ.}} = \frac{J_{\text{შესყიდვისა ჩათვ. წონით}}}{J_{\text{შესყიდვისა ფიზ. წონით}}}$$

ეს ნიშნავს, რომ, თუ შესყიდული პროდუქციის ჩათვლითი წონა უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე ფიზიკური, მაშინ შესყიდული პროდუქციის ხარისხი გაუმჯობესდა. პირიქით, ჩათვლითი წონის ზრდის ჩამორჩენა ფიზიკური წონის ზრდისაგან მოწმობს შესყიდული პროდუქციის ხარისხის გაუარესებას.

შესყიდვის ხარისხის ინდექსის გაანგარიშება ვუჩვენოთ შერღვევით შემდეგ მაგალითზე:

რევიზია №№	მაჩვენებელთა დასახელება	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	ინდექსები (სვ.2:სვ.1)
ა	ბ	1	2	მ
1	ფიზიკურა წონა (ტ)	200	400	2,00
2	ჩათვლითი წონა (ტ)	190	440	2,32
3	პროდუქციის ხარისხის კოეფიციენტი (2:1)	0,95	1,10	1,16

შესყიდული პროდუქციის ხარისხი საბაზისო პერიოდში ვერ აკმაყოფილებს დაწესებულ კონდიციებს, საანგარიშო პერიოდში კი აქარბებს მათ. ეს ნიშნავს, რომ შესყიდული პროდუქციის ხარისხი საანგარიშო პერიოდში საბაზისოსთან შედარებით გაუმჯობესდა (ინდექსი უდრის 1,16).

შესყიდული პროდუქციის ხარისხის ინდექსის განგარიშება შეიძლება ორი ხერხით: 1) საანგარიშო პერიოდის ხარისხის კოეფიციენტის გაყოფით საბაზისო პერიოდის ხარისხის კოეფიციენტზე ( $1,10 : 0,95 = 1,16$ ); 2) ჩათვლითი წონის ინდექსის გაყოფით ფიზიკური წონის ინდექსზე ( $2,32 : 2,00 = 1,16$ ).

ჩათვლით და ფიზიკურ წონათა თანაფარდობა გვაძლევს შესყიდულ პროდუქტთა ხარისხის ყველაზე ზოგად დახასიათებას. ცალკეული პროდუქტების მიხედვით ხარისხის შესწავლა ემყარება სპეციალიზებულ კონკრეტულ ნიშნებს. მაგალითად, შესყიდული პირუტყვის ხარისხი აღირიცხება ხორციანობის მიხედვით—უმაღლესი, საშუალო და საშუალოზე დაბალი ხორციანობისა. დამამზადებელი პუნქტების კვარტალურ ანგარიშგებაში მოცემულია შესყიდული მსხვილფეხა რქოსანი საქონლის, ღორების, ცხვრებისა და თხების განაწილება ხორციანობის მითითებული ჯგუფების მიხედვით, თანაც ასეთი დაჯგუფება ხდება მიღების ყოველი წყაროს—საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის, მოსახლეობის—მიხედვით ცალკე აღნიშნული მაჩვენებლის საანგარიშო მონაცემები საშუალებას იძლევა განგარიშით პირუტყვის შესყიდვის სტრუქტურა ხორციანობის მიხედვით (პროცენტობით შესყიდული პირუტყვის საერთო რაოდენობის მიმართ). თუ საანგარიშო პერიოდში გასულ პერიოდთან შედარებით გაიზარდა უმაღლესი ხორციანობის ან ერთად უმაღლესი და საშუალო ხორციანობის პირუტყვის წილი, ეს მოწმობს შესყიდული პირუტყვის ხარისხის ამაღლებას. ანგარიშგებაში პირუტყვის ცალკეულ სახეთა მიხედვით ნაჩვენებია შესყიდული პირუტყვის არა მარტო ცალკეული წონა, არამედ რაოდენობაც. ამ მონაცემთა საფუძველზე შეიძლება გამოვანგარიშოთ ერთი სულის საშუალო წონა; ერთი სულის საშუალო წონის ზრდა ცხადყოფს პირუტყვის ხარისხის გაუმჯობესებას და, პირიქით, მისი შემცირება მოწმობს შესყიდული პირუტყვის ხარისხის დაწევას.

განვიხილოთ მონაცემები მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის შესყიდვის შესახებ (ხორციანობის მიხედვით):

შესყიდულია	უმცლესი ხორცი- ნობის	საშუალო ხორცი- ნობის	საშუალო დაბალი ხორცი- ნობის	ჯამი	სულთა რაოდენობა	ერთი სუ- ლის საშუა- ლო წონა (კგ-ობით)
ცენტნერი ცოცხალი წონით:						
საბაზისო პერიოდი	30	75	20	125	50	250
საანგარიშო პერიოდი	40	100	20	160	60	267
პროცენტობით ჯამის მიმართ:						
საბაზისო პერიოდი	24	60	16	100	—	—
საანგარიშო პერიოდი	25	63	12	100	—	—

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს, რომ შესყიდული უმაღლესი და საშუალო ხორციანობის პირუტყვის წილი შესყიდული პირუტყვის საერთო ოდენობაში საბა- ზისო პერიოდის 84%-დან გაიზარდა 88%-მდე საანგარიშო პერიოდში (არაკონ- დიციური პირუტყვის წილის 16-დან 12%-მდე შესაბამის შემცირებასთან ერთად). ერთი სულის საშუალო წონა გაიზარდა 250 კგ-დან 267 კგ-მდე, ანუ 7%-ით.

ეს ნიშნავს, რომ დამამზადებელ პუნქტში მიღებული პირუტყვის ხარისხი საანგარიშო პერიოდში გაუმჯობესდა. გაყიდული პირუტყვის სულთა რაოდენობა გაიზარდა 50-დან 60-მდე, ანუ 20%-ით. საანგარიშო პერიოდში პირუტყვის ხორ- ციანობა რომ არ გაზრდილიყო, მაშინ, იმისათვის, რომ გაგვეყიდა პირუტყვი 160 ც ცოცხალი წონით, დამამზადებელ პუნქტში უნდა მიგვეყვანა არა 60, არამედ 64 სული პირუტყვი ( $160 \text{ ც} : 250 \text{ კგ} = 64$ ). სრულიად ნათელია, რომ მაღალი ხორციანობის მქონე პირუტყვის გაყიდვა ეკონომიურად უფრო ხელ- საყრელია, რადგან ამით მიიღწევა პირუტყვის სულადობის უფრო სრული გამო- ყენება; გარდა ამისა, მაღალი ხორციანობის მქონე პირუტყვის გაყიდვა უფრო რენტაბელურია, რადგანაც ამ სახის პირუტყვზე ხდება შესყიდვის ფასის წანა- მატი 40%-მდე, ხოლო საშუალოზე დაბალი ხორციანობის პირუტყვს აკლდება ფასები 20—22%-მდე.

შესყიდული მარცვლეული კულტურების ხარისხი განისაზღვრება სარევილი- ნობისა და ტენიანობის მაჩვენებლებით, რომლებიც გაიანგარიშება პროცენტო- ბით მარცვლეულის წონასთან შედარებით. რძის ხარისხი განისაზღვრება ცხიმის შემცველობით, რომელიც გამოითვლება პროცენტობით რძის წონის მიმართ. მატყლის ხარისხი განისაზღვრება წმინდა ბოჭკოს გამოსავლის სიდიდით პროცენ- ტობით გაურეცხავი მატყლის წონასთან შედარებით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვის რაოდენობა წარ- მოადგენს სოციალისტური სოფლის მეურნეობის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს. ამიტომ შესყიდვის სტატისტიკის მონაცემები განხილულ უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მონაცემებთან ორგანულ კავშირში.

შესყიდვისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ასეთი კომპლექსური შეს- წავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეთოდს წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის

შედარება საერთო და სასაქონლო პროდუქციასთან. განვიხილოთ ცხრილი, რომელშიც მონაცემები სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წარმოდგენილია პროცენტულად საერთო და სასაქონლო პროდუქციის მიმართ:

	შესყიდვა პროცენტობით წარმოების მიმართ		შესყიდვა პროცენტობით სასაქონლო პროდუქციის მიმართ	
	1940 წ.	1965 წ.	1940 წ.	1965 წ.
კარტოფილი	11	11	66	63
ბოსტნეული	22	44	50	78
პირუტყვი	28	58	50	83
რძე	19	53	60	95
კვერახი	22	36	58	76

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა საქონლიანობის მნიშვნელოვან გადიდებას 1940—1965 წწ. განსაკუთრებით მნიშვნელოვნად გაიზარდა (პროცენტობით წარმოების მიმართ) პირუტყვის, რძისა და ბოსტნეულის, აგრეთვე ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა სასაქონლო ნაწილის სახელმწიფო შესყიდვა, რაც ნიშნავს საკოლმეურნეო ბაზრის წილის შემცირებას და ამის საფუძველზე ორგანიზებულობის ამალგებას სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციაში.

წარმოებასთან შესყიდვის კავშირის დასახასიათებლად მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ცალკეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის შესყიდვის მოცულობა კოლმეურნეობებზე მიზარებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 100 ჰექტარზე გაანგარიშებით; ეს მაჩვენებელი გამოითვლება შემდეგი სქემით:

$$\frac{\text{შესყიდვა} \times 100}{\text{სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (ჰექტარობით)}}$$

პირუტყვისა და რძის შესყიდვა გაიანგარიშება 100 ჰექტარ სახნავზე, სათიბსა და საძოვარზე, ღორის ხორცისა — 100 ჰექტარ სახნავზე, ფრინველისა და კვერახისა — 100 ჰექტარ მარცვლეული კულტურების ნათესებზე.

შესყიდვის მოცულობა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 100 ჰექტარზე გაანგარიშებით მეტად სინთეზური მაჩვენებელია, რომელიც გვიხასიათებს წარმოების ისეთი ძირითადი საშუალების გაროყენების ეფექტურობას, როგორცაა მიწა.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა საერთო მოცულობის შედარება ცალკეული რესპუბლიკების, მხარეების, ოლქების, ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით არ არის საკმარისი სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესაფასებლად, რადგან შესადარებელი ობიექტები განსხვავდება არა

მხოლოდ შესყიდვის მოცულობით, არამედ სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა სიდიდეებითაც. ამიტომ შედარების სწორ მასშტაბს წარმოადგენს შესყიდვის მაჩვენებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა 100 ჰექტარზე გაანგარიშებით. რაც უფრო მეტია შესყიდვა სავარგულთა 100 ჰექტარზე, მით უკეთესადაა დაყენებული მეურნეობა, უფრო ეფექტურად გამოიყენება მასში მიწა.

გავარჩიოთ შემდეგი მაგალითი:

	სასოფლო-სამეურნეო სავარგულები (ა)	რძ-ს სახელმწიფო შესყიდვა (ა)	შესყიდვა 100 ჰა სავარგულზე ( $U = \frac{ს. 2 \times 100}{ს. 1}$ )
ა	ბ	გ	დ
კოლმეურნეობა „გამარჯვება“	300	360	100
კოლმეურნეობა „განთიადი“	300	330	110

რძის გაყიდვის აბსოლუტური ოდენობა კოლმეურნეობა „გამარჯვებაში“ მნიშვნელოვნად მეტია (9%), ვიდრე კოლმეურნეობა „განთიადში“, მაგრამ მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ოდენობაც მეტია, ვაცილებით უფრო მეტი (20%), ვიდრე განსხვავება შესყიდვის აბსოლუტურ სიდიდეებს შორის. შესაძარებელ კოლმეურნეობათა სწორა შეფასებისათვის უნდა გავიანგარიშოთ შესყიდვის შესადარი დონის მაჩვენებლები, ე. ი. ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით; გაანგარიშებას, ჩვეულებრივ, აწარმოებენ 100 ჰექტარზე. სათანადო გაანგარიშების შემდეგ აღმოჩნდება, რომ კოლმეურნეობა „განთიადი“ 10%-ით მეტ რძეს მიჰყიდის სახელმწიფოს; ეს იმას ნიშნავს, რომ ის უფრო ეფექტურად იყენებს მიწას.

სახელმწიფო შესყიდვის ოდენობა მნიშვნელოვნად მერყეობს ცალკეული წლების მიხედვით. მაგალითად. მარ. ვლუული კულტურების შესყიდვა შეადგენდა: 1950 წ.—32,3 მლნ ტ, 1958 წ.—56,6 მლნ ტ, 1960 წ.—46,7 მლნ ტ, 1962 წ.—56,6 მლნ ტ, 1963 წ.—44,8 მლნ ტ, ცალკეულ წლებში ასევე მერყეობს სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტთა შესყიდვებიც.

შესყიდვის განვითარების მტკიცე ტენდენციის გამოსავლენად გამოიყენებენ საშუალო სიდიდეთა მეთოდს დროის ხანგრძლივ მონაკვეთების, მაგალითად ხუთწლეულების მიხედვით. ასეთი შედარება გამორიცხავს ცალკეული მაღალმოსავლიანი და მოუსავლიანი წლების ზეგავლენას და გვიხანიათებს დამზადებისა და შესყიდვის განვითარების ძირითად ტენდენციას. განვიხილოთ საშუალო მრავალწლიანი მონაცემები მარცვლეული კულტურებისა და კარტოფილის სახელმწიფო შესყიდვის რაოდენობის შესახებ:

წლები	მირცვლელ- ლი კულტუ- რები (მლნ ტ)	კარტოფილი (მლნ ტ)
1928—1932	18,2	4,3
1933—1937	27,5	6,3
1938—1940	32,1	6,0
1949—1953	32,8	6,0
1954—1958	43,6	7,8
1959—1963	49,4	6,9

მოტანილი მონაცემები გვიჩვენებს სახელმწიფო შესყიდვის მოცულობის ზრდის მკაფიო ტენდენციას, რომელიც განთავისუფლებულია ცალკეულ წლებში მოსავლის შემთხვევით ფაქტორთა ზეგავლენისაგან.

## საკოლმეურნეო-ვაჭრობის სტატისტიკა

### 1. საკოლმეურნეო ვაჭრობის სტატისტიკის ამოცანები

საკოლმეურნეო ვაჭრობა არის საბჭოთა საცალო ვაჭრობის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც წარმოიშვა სოფლის მეურნეობაში საკოლმეურნეო წყობის გამარჯვების საფუძველზე. მის განმასხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მასში გამყიდველების სახით გამოდიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა უშუალო მწარმოებლები — კოლმეურნეობები, კოლქუჩნეები და მოსახლეობის სხვა ჯგუფები, რომელთაც აქვთ დამხმარე სოფლის მეურნეობა. ისინი მიჰყიდიან თავისი წარმოების პროდუქტებს ამ პროდუქტთა უშუალო მომხმარებელს — მოსახლეობას.

თავისებურია ფასწარმოქმნაც საკოლმეურნეო საბაზრო ვაჭრობაში. საქონელი იქ იყიდება ფასებით, რომლებიც იქმნება ბაზარზე მიწოდებისა და მოთხოვნილების გავლენითა.

საკოლმეურნეო ვაჭრობა უშუალოდ არ იგეგმება სახელმწიფოს მიერ. სახელმწიფო ორგანოები კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებს არ აძლევენ საკოლმეურნეო ბაზარზე რეალიზაციის მოცულობის საგეგმო დავალებას და არ აწესებენ ფასებს. მაგრამ სახელმწიფო ეკონომიურად გავლენას ახდენს საკოლმეურნეო ვაჭრობაზე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მეშვეობით. საბჭოთა სახელმწიფო ხელს უწყობს საკოლმეურნეო საბაზრო ვაჭრობის განვითარებას: იგი დიდ სახსრებს ხარჯავს საკოლმეურნეო ბაზრების მშენებლობასა და კეთილმოწყობაზე, უზრუნველყოფს მაქსიმალურ მოხერხებულობას საქონლის გაყიდვოსათვის და ახორციელებს სანიტარულ ზედამხედველობას გასაყიდი პროდუქციის ხარისხზე.

საბჭოთა სახელმწიფო გავლენას ახდენს აგრეთვე საბაზრო ფასების დონეზე სახელმწიფო საცალო ფასების თანმიმდევრული შემცირებით, ებრძვის სპეკულაციურ ტენდენციებს, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საკოლმეურნეო საბაზრო ვაჭრობაში, იცავს მას სპეკულანტებისა და გადაყიდველებისაგან.

საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების საფუძველია სოციალისტური სოფლის მეურნეობის წარმოების ზრდა და მისი საქონლიანობის ამაღლება. მიღწევები სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებაში, პირველ ყოვლისა, აისახება სოფლის მეურნეობის პროდუქტთა სახელმწიფო შესყიდვის მოცულობის გადიდებაში.

ამის შედეგად იზრდება სასურსათო საქონლის სასაქონლო ფონდები, რომლებიც წარმართება მოსახლეობის მოსახარაგებლად სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის ქსელისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის მეშვეობით. იზრდება იმ სასაქონლო ფონდების მოცულობაც, რომლებიც მიიმართება საკოლმეურნეო ვაჭრობაში. მაგრამ სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო საქონელბრუნვა იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე უშუალოდ კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მიერ მოსახლეობისათვის მიყიდვის მოცულობა. ასე მაგალითად, 1964 წელს, 1940 წელთან შედარებით, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სასურსათო საქონლის საცალო საქონელბრუნვა შესადარ ფასებში შეადგენდა 396 %-ს, ხოლო საკოლმეურნეო არასასოფლო ბაზარზე გაყიდულ პროდუქტთა მოცულობა — 139 %-ს. ამიტომ საკოლმეურნეო ვაჭრობის წილი მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგებაში უკანასკნელ წლებში მცირდება:

	ფაქტიურ ფასებში			ვაჭრობის ყველა ფორმისათვის ერთნაირ ფასებში		
	1950 წ.	1958 წ.	1965 წ.	1950 წ.	1958 წ.	1965 წ.
მთელ საცალო საქონელბრუნვაში	12,0	5,6	3,4	11,4	3,6	2,3
სასურსათო საქონლის გაყიდვაში	18,1	9,4	5,5	17,3	6,1	3,8
შესადარი სასურსათო საქონლის გაყიდვაში	28,7	17,3	10,3	27,6	11,7	7,3

საკოლმეურნეო ვაჭრობის ხვედრითი წონა შესადარ ფასებში უფრო დაბალია, ვიდრე ფაქტიურ ფასებში. იგი ასახავს ფასების მეტად მაღალ ღონეს საკოლმეურნეო ბაზრებზე სახელმწიფო ფასებთან შედარებით.

სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გაყიდვის მოცულობა საკოლმეურნეო არასასოფლო ბაზარზე 50-იან წლებში, აგრეთვე 60-იანი წლების პირველ ნახევარში, შეიკვეცა არა მარტო შეფარდებით, არამედ აბსოლუტურადაც. ასე მაგალითად, თუ 1950 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გაყიდვის მოცულობა საკოლმეურნეო არასასოფლო ვაჭრობაში შეადგენდა 4,9 მლრდ მანეთს, 1965 წელს შექცირდა 3,7 მლრდ მანეთამდე. ეს იყო სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობის შედეგი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის მიერ დასახული ღონისძიებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებასთან დაკავშირებით, ემსახურება საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარებასაც.

ზემომოტანილი მონაცემები გვიხსნაიათებს გაყიდვის საერთო მოცულობას საკოლმეურნეო არასასოფლო ბაზარზე. მასში შედის კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და პირადი დაშხმარე სოფლის მეურნეობის მქონე მოსახლეობის სხვა ჯგუფთა მიერ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვა მუშების, მოსამსახურ-



რეებისა და ორგანიზაციებისათვის ბაზრის ფასებში. სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მიერ გაყიდული პროდუქტები ამ მოცულობაში არ შედის. საკოლმეურნეო არასასოფლო ბაზარზე ცალკეულ პროდუქტთა გაყიდვის მოცულობა განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებისა და განაწილების ბალანსთა შედგენის საფუძველზე. ამასთანავე, გამოიყენება კოლმეურნეობების წლიური ანგარიშები პროდუქტთა რეალიზაციაზე, სამომხმარებლო კოოპერაციის წლიური ანგარიშები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვაზე. ადგილობრივ ბაზარზე შექმნილ ფასებში, კოლმეურნეებისა და მისამსახურეების ბიუჯეტთა შერჩევითი სტატისტიკის მასალები და ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაყიდვის სტატისტიკის მონაცემები. ამ სტატისტიკას აწარმოებს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები საკოლმეურნეო ვაჭრობის წარმოშობის მომენტიდან. იგი გვაძლევს მასალას, რომელიც გვიხანიათებს საქონლის რეალიზაციის მოცულობასა და დინამიკას ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე, ფასების დონესა და დინამიკას, ცალკეულ პროდუქტთა ხვედრით წონას საკოლმეურნეო ვაჭრობის საერთო საქონელბრუნვაში, კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური გამყიდველების (კოლმეურნეებისა და სხვ.) ხვედრით წონას საკოლმეურნეო ვაჭრობაში. ადგილობრივი ორგანოები ამ მონაცემებს გამოიყენებს ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის, აგრეთვე საჭირო ღონისძიებათა დასამუშავებლად საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარებაზე ეკონომიური ზემოქმედებისათვის.

## 2. სოფლის მეურნეობის პროდუქტთა გაყიდვის სტატისტიკის ორგანიზაცია ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე

ვაჭრობას საკოლმეურნეო ბაზრებზე ახორციელებს გამყიდველთა დიდი რაოდენობა, რომლებიც, როგორც წესი, არ აწარმოებენ გაყიდვის არავითარ დოკუმენტურ აღრიცხვას. საბაზრო ვაჭრობის ეს თავისებურებანი წარმოშობს დიდ სიმძლეებს საკოლმეურნეო ბაზრებზე საქონლის რეალიზაციის სტატისტიკური აღრიცხვის ორგანიზაციაში.

მთლიანი სტატისტიკური დაკვირვება საქონლის გაყიდვაზე საკოლმეურნეო ბაზრებზე ძალიან ძნელია და არც არის ამის საჭიროება. აქ გამოყენებულია არამთლიანი დაკვირვება. ამჟამად საქონლის გაყიდვის სტატისტიკა საკოლმეურნეო ბაზრებზე ორგანიზებულია საბჭოთა კავშირის 264 ქალაქში. აქ შედის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის დედაქალაქი, საოლქო (სამხარეო) ცენტრები და მსხვილი სამრეწველო ქალაქები; გარდა ამისა. შერჩეული ქალაქების შემადგენლობაში შეტანილია საშუალო და მცირე ქალაქთა ნაწილიც.

მაგრამ ქალაქთა შერჩეულ ერთობლიობაში მთავარ როლს ასრულებენ მსხვილი ქალაქები; ამიტომ შერჩევითი ქსელი, მართალია, სსრ კავშირის ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების სულ რაღაც 5,1%-ს შეადგენს (1965 წლის 1 იანვრისათვის — 5193), მაგრამ აღრიცხვისათვის შერჩეულ ქალაქებში ცხოვრობს სსრ კავშირის ქალაქის მთელი მოსახლეობის ნახევარზე მეტი. შერჩეული

ქალაქების ფარგლებში საქონლის გაყიდვის აღრიცხვა ტარდება მთლიანად ყველა ბაზარზე და ყოველ სავაჭრო დღეს.

ამრიგად, ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე გაყიდვის სტატისტიკა თავისი ტიპით არამთლიანი დაკვირვებაა, რომელიც ტარდება ძირითადი მასივის მეთოდით. ასეთი წესი გვაძლევს საკმაოდ სრულ მასალას დიდი ქალაქებისა და მუშათა დაბების საკოლმეურნეო ბაზრების კონსტრუქტურისა და ძირითად პროცესებზე მსჯელობისათვის.

ქალაქების შერჩეული ქსელის ყოველ საკოლმეურნეო ბაზარში ბაზრის ადმინისტრაციის მუშაეებიდან გამოყოფილია სპეციალური აღმრიცხველ-სტატისტიკოსი, რომელიც მუშაობს სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივ ორგანოთა ზედამხედველობით. იგი ყოველდღიურად აღრიცხავს გაყიდული საქონლის რაოდენობას. აღმრიცხველ-სტატისტიკოსის ამოცანას შეადგენს ზედმიწევნით სრული და სანდო ცნობების მიღება ბაზარში გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და პირუტყვის რაოდენობის შესახებ.

გაყიდვა აღრიცხება ნატურალურ ერთეულებში (კილოგრამებში, ცალებში და ა. შ.) საქონლის ნომენკლატურის მიხედვით, რომელიც შედგება 76 დასახელებისაგან და შეიცავს საკოლმეურნეო ბაზარში გასაყიდ ყველა უმნიშვნელოვანეს საქონელს; ასეთებია: პურის ჯგუფი (ქვაფი, ხორბალი, ქვაფის ფქვილი, ხორბლის ფქვილი და სხვ.), ბოსტნეული კულტურები (კომბოსტო, კიტრი, ხახვი და სხვ.), კარტოფილი, ხორცის პროდუქტები (ძროხის ხორცი, ცხვრის ხორცი, ღორის ხორცი და სხვ.), რძის პროდუქტები (რძე, კარაქი, ერბო, ხაჭო, არაყანი და სხვ.) და ა. შ.

აღმრიცხველი პირველ რიგში აღრიცხავს ყოველი საქონლის ბაზარში შემოტანის მოცულობას. შემოტანა ემთხვევა გაყიდვას იმ შემთხვევაში, თუ ბაზარში მოტანილი მთელი პროდუქცია გაიყიდა. მაგრამ თუ საბაზრო დღის ბოლოსათვის აღმოჩნდება გაუყიდავი საქონლის მნიშვნელოვანი ნაშთები, მაშინ ისინი უნდა ცალკე აღირიცხოს; რეალიზაცია ამ შემთხვევაში ტოლი იქნება შემოტანისა ნაშთების გამოკლებით. რეალიზებული პროდუქციის მთელი აღრიცხვა წარმოებს დაყოფილად. ცალკე აღრიცხება კოლმეურნეობის პროდუქცია და ცალკე ინდივიდუალურ გამყიდველთა (კოლმეურნეთა და სხვა) პროდუქცია.

კოლმეურნეობების მიერ გაყიდული საქონლის გამოყოფა და აღრიცხვა არ წარმოადგენს დიდ სიძნელეს, — როგორც წესი, განისაზღვრება საბუთების მიხედვით. ჩვეულებრივ, ბაზარზე პროდუქციის გასაყიდად კოლმეურნეობები მიავლენენ თავის ნდობით აღჭურვილ პირებს, რომელთაც აქვთ თანმხლები საბუთები (ზედნადებები), ამიტომ ბაზრის ადმინისტრაციას საშუალება აქვს მიიღოს ყველა საჭირო ცნობა საკოლმეურნეო საქონლის გამყიდველებისაგან.

უფრო ძნელია ინდივიდუალურ გამყიდველთა მიერ ბაზარში მოტანილი საქონლის გაყიდვის აღრიცხვა. აქ აღრიცხვის ძირითად მეთოდს წარმოადგენს საქონლის უშუალო აღრიცხვა აღმრიცხველის მიერ, რომლის მუშაობა იწყება ბაზრის გაღებიდან და მთავრდება დღის ბოლოსათვის.

მოტანილ პროდუქტთა აღრიცხვა წარმოებს სხვადასხვა ხერხებით: რაოდენობის პირდაპირი გამოთვლით, მიხსლოებითი აღრიცხვით, რაოდენობის განსაზღვრის საექსპერტო წესით (ტარის ტევადობის, ტარის მოცულობის და სხვა საფუძველზე).

ბაზრის ვალებისთანავე აღმრიცხველი დაუყოვნებლივ მოივლის ბაზრის მთელ ტერიტორიას და აღრიცხავს შემოზიდულ პროდუქტებს. აღრიცხვის შედეგები მას შეაქვს სპეციალურ ბლოკნოტში. პირველი შემოვლის დამთავრების შემდეგ აღმრიცხველი აწარმოებს მეორე შემოვლას, მესამეს და ა. შ.; ამ დროს იგი აღრიცხავს მხოლოდ ახალმოსულ გამყიდველთა პროდუქტებს, რომლებიც არ იყო შესული პირვან დელ აღრიცხვაში. საბაზრო ვაჭრობის შეწყვეტის წინ აღმრიცხველი ახდენს დასკვნით შემოვლას, რომლის დროსაც აღრიცხავს და იწერს გაუყიდავ პროდუქტთა ნაშთებს უშუალო გაანგარიშების წესით.

ხორციისა და რძის პროდუქტების აღსაზრისთვის რეგისტრაციული იყენებს ხორციისა და რძის საკონტროლო სადგურთა მასალებს. ხორციის საკონტროლო სადგურებში ხორცპროდუქტების ყოველი გამყიდველის მიხედვით გამოიწერება ზედნადები, რომელშიც ნაჩვენებია შემთვმებული პროდუქტის სახე და რაოდენობა. ამ ზედნადების ასლი რჩება სადგურში. რძის საკონტროლო სადგურში არსებობს უწყისები, რომლებშიც ასევე მითითებულია შემთვმებულ პროდუქტთა სახე და რაოდენობა.

დიდი ქალაქების მსხვილ ბაზრებზე გამოიყენება ერთჯერადი გადასახადის გადახდევინების საკასო სისტემა. ერთჯერადი გადასახადის გადასახდელად საბაზრო სალაროების საშუალებით ბაზრის ადმინისტრაცია ყოველ პიროვნებას წინასწარ გამოუწერს განსაკუთრებულ საკონტროლო ტალონს, რომელშიც ნაჩვენებია ბაზარში მოტანილ პროდუქტთა დასახელება, რაოდენობა და კუთვნილი ერთჯერადი გადასახადის თანხა. საკონტროლო ტალონთა ასლები რჩება საბაზრო ადმინისტრაციას, რომელთა საფუძველზე აღმრიცხველს შეუძლია უფრო ზუსტად განსაზღვროს ბაზარში შემოტანილი ყველა საქონლის მოცულობა, ერთდროული გადასახადის მოკრეფის საკასო სისტემის შემდგომი დანერგვა საკოლმეურნეო ბაზრებში ქმნის საბაზრო გაყიდვის აღრიცხვის დოკუმენტურ ბაზას.

საბაზრო დღის დამთავრების შემდეგ აღმრიცხველი ამუშავებს თავის ჩანაწერებს და მონაცემები გაყიდულ პროდუქტთა მოცულობის შესახებ შეაქვს აღრიცხვის ბლანკში. ამ ბლანკს აქვს შემდეგი სახე:

რიგითი №	საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	რეალიზებულია	თვის რიცხვები			სულ თვეში
				25	26	27	
	კარტოფილი	კგ	კოლმეურნეობები				
	დ. ა. შ.		კოლმეურნეობი				

თვიური ჯამები ამ ბლანკში გამოიყვანება წარსული თვის 25 რიცხვიდან საანგარიშო თვის 24 რიცხვამდე. ყოველი თვის 25 რიცხვში ბლანკები ბარდება სახელმწიფო სტატისტიკის საქალაქო ორგანოებს.

### 3. საბაზრო ფასების აღრიცხვა

საკოლმეურნეო ბაზრების ფასთა წარმოქმნა და შეცვლა დამოკიდებულია ურთიერთობაზე, რომელიც არსებობს მიწოდებასა და მოთხოვნილებას შორის. ეს აუცილებელს ხდის საქონლის საბაზრო ფასთა სისტემატურ რეგისტრაციას. სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ასეთი რეგისტრაცია ორგანიზებულია იმავე ქალაქებში, სადაც ტარდება პროდუქტთა რეალიზაციის აღრიცხვა საკოლმეურნეო ბაზრებზე; იგი წარმოებს თვეში ერთხელ—25 რიცხვისათვის.

მსხვილ ქალაქებში, ჩვეულებრივ, რამდენიმე საკოლმეურნეო ბაზარია. ფასების რეგისტრაცია ხდება ყველა ბაზარზე ანდა ყველაზე უფრო დიდ ბაზარზე. ქალაქში რეგისტრაციის დღისათვის ყოველი პროდუქტის საშუალო ფასი უდრის ცალკეულ ბაზარზე რეგისტრირებული ფასების საშუალო არითმეტიკულს.

ფასთა რეგისტრაციის ბლანკის სასაქონლო ნომენკლატურა შეიცავს საქონლის 70-ზე მეტ დასახელებას. ფასები იწერება ყოველი საქონლის მიხედვით ცალკე კოლმეურნეობებისა და ცალკე ინდივიდუალური გამყიდველებისა. ფასთა რეგისტრაცია ტარდება უშუალოდ საკოლმეურნეო ბაზრებზე და აუცილებლად გაცხოველებული ვაჭრობის საათებში. ამ დროს ბაზარში იმყოფება მყიდველთა ძირითადი მასა და იყიდება ყველაზე მეტი რაოდენობის პროდუქტები, თანაც აღირიცხება ფაქტიური გაყიდვის და არა დაფასებითი ფასები. რადგან ამ დროსაც ერთი და იგივე საჩონელი შეიძლება იყიდებოდეს სხვადასხვა ფასებით, რეგისტრაციაში ტარდება ის ფასი, რომლითაც იყიდება ამა თუ იმ საქონლის ყველაზე მეტი ნაწილი, ე. ი. მხედველობაში მიიღება მოდალური (ყველაზე უფრო ხშირი) ფასები.

ფასთა სტატისტიკური რეგისტრაციის დროს მეტად მნიშვნელოვანია, რათა ფიქსირებული ფასი წარმოადგენდეს საქონლის განსაზღვრულ ხარისხს, თუკი საქონელი იყოფა ხარისხებად. მაგალითად, ხორცის ყველა პროდუქტისათვის რეგისტრაციაში ტარდება საშუალო სიმსუქნის პირველი ხარისხის ხორცის ფასი. ზოგიერთი საქონლის (რძე, კარაქი, ხაჭო, არაყანი და სხვ.) ხარისხებად დაყოფა საბაზრო ვაჭრობაში, ჩვეულებრივ, არ არსებობს. ამ შემთხვევაში რეგისტრაციაში ტარდება იმ საქონლის საშუალო ფასი, რომელსაც არა აქვს აშკარა დეფექტები.

შეიძლება მოხდეს, რომ ნომენკლატურით გათვალისწინებული გარკვეული ხარისხის საქონელი რეგისტრაციის დღეს ბაზარში არ იყიდება. მაშინ დაშვებულია გათვალისწინებული ხარისხის შეცვლა ამ საქონლის სხვა ხარისხით (ბლანკში შენიშვნის გაკეთებით), მაგრამ „ორმაგი რეგისტრაციის წესის“ აუცილებელი დაცვით. ეს წესი მდგომარეობს იმაში, რომ სარეგისტრაციო ბლანკში იწერება საქონლის ფასი არა მარტო რეგისტრაციის თარიღისათვის, არამედ წინა თარიღისთვისაც,

რაც საშუალებას გვაძლევს თვალი გავადევნოთ ფასების დინამიკას ყოველ ბლანკ-ში რეგისტრაციის ერთი ვალიდან მეორემდე. ბლანკში მითითებული საქონლის ხარისხის სხვა ხარისხით შეცვლის შემთხვევაში შესაძლებლობა გვეძლევა შემცვლელი საქონლის ფასთა დინამიკის მიხედვით ვიმსჯელოთ ძირითადი საქონლის ფასის ცვლილებაზე.

დავუშვათ, რომ საშუალო სიმსუქნის I ხარისხის საქონლის ხორცი, რომლის ფასიც უნდა აღრიცხულიყო, არ არსებობდა ბაზარზე და იყიდებოდა საშუალოზე დაბალი სიმსუქნის II ხარისხის ხორცი. ცხადია, ამ შემთხვევაში ჩაიწერებოდა II ხარისხის ხორცის ფასი, ვთქვათ, კილოგრამი 1 მან. 20 კაპიკად. რამდენადაც ეს ფასები შეეხება სხვადასხვა ხარისხს, ისინი არაშესაღარი ფასებია და მათ საფუძველზე დასკვნების გამოტანა ფასთა დინამიკაზე არ შეიძლება. მეტიც, საანგარიშო თარიღისათვის რეგისტრირებული ფასი (1 მან. 20 კაპ.) არ შეიძლება შევიტანოთ შემდგომ დამუშავებაში საშუალო ფასთა განსაზღვრისას, რამდენადაც ეს ფასები გაიანგარიშება სხვა ხარისხის — საშუალო სიმსუქნის პირველი ხარისხის საქონლის ხორცის მიხედვით. მაშასადამე, ამ ხარისხის ფასი უნდა განისაზღვროს საანგარიშო თარიღისათვის, თუმცა ბაზარში ასეთი ხარისხის საქონლის ხორცი არ იყიდებოდა. გაანგარიშებისათვის საჭიროა დავიცვათ „ორმაგი რეგისტრაციის წესი“. როდესაც საანგარიშო თარიღისათვის რეგისტრაციაში გავატარებთ შემცვლელი საქონლის ფასს (კილოგრამში 1 მან. 20 კაპ.), იმავე ხარისხის საქონლის ფასი უნდა ჩავსვათ წინა თარიღისთვისაც. ამისათვის რეგისტრატორი თავის ბლანკებში უსაძებს, ჩვეულებრივ, აღრიცხავს საქონლის ხარისხის მნიშვნელოვნად უფრო ფართო ნომენკლატურის მიხედვით, ვიდრე ეს ანგარიშგებისათვის არის საჭირო. დავუშვათ, რომ საშუალოზე დაბალი სიმსუქნის II ხარისხის საქონლის ხორცი წინა თარიღისათვის კილოგრამი ღირდა 1 მან. და 10 კაპ. ახლა შეიძლება განვსაზღვროთ ამ ფასის დინამიკის მაჩვენებელი:

$$\frac{120}{110} = 1,091, \text{ ანუ } 109,1\%.$$

თუ დავემყარებთ შემცვლელი საქონლის ფასის დინამიკას და ვიცით ძირითადი საქონლის ფასი წინა თარიღისათვის, შეიძლება გავიანგარიშოთ ეს ფასი საანგარიშო თარიღისთვისაც, რაც ჩვენი მაგალითის მიხედვით ტოლი იქნება:

$$1,6 \times 1,091 = 1 \text{ მან. } 75 \text{ კაპ.}$$

რეგისტრირებული ფასები შეიტანება სპეციალურ ბლანკში (ფორმა № 2), სადაც ყოველი საქონლისა და თითოეული გამყიდველის მიხედვით (კოლმეურნეობები, ინდივიდუალური გამყიდველები) აღინიშნება ფასები რეგისტრაციის საანგარიშო და წინა თარიღებისათვის. ეს შესაძლებლობას იძლევა შემოწმდეს ბლანკთა შევსების სისწორე. ცალკეული საქონლის ფასის მკვეთრი ცვლილების დროს ბლანკის მეორე გვერდზე მიუთითებენ ფასთა ასეთი ცვლილების მიზეზს.

გარდა ქალაქებისა, საბაზრო ფასთა რეგისტრაცია ხდება ყველა რაიონულ ცენტრში ყოველი თვის 25 რიცხვისათვის ან ამ რიცხვის მახლობელი კვირა დღისათვის (თუ ბაზარი არ მუშაობს ყოველდღიურად). რაიონულ ცენტრებში აღი-რიცხება მხოლოდ ინდივიდუალურ გამყიდველთა პროდუქტების ფასები 17 ძირ-თადი დასახელების მიხედვით.

რაიონულ ცენტრებში საბაზრო ფასთა აღრიცხვისას მთლიანად გამოიყენებ-ბივე მეთოდები, რომლებიც საბაზრო ფასთა რეგისტრაციისას ქალაქებში.

#### 4. საკოლმეურნეო ვაჭრობის სტატისტიკის მახაღების კონტროლი

საკოლმეურნეო ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო საქონლის რეალიზაციის აღრიცხვის ზუსტი ასახვა და საბაზრო ფასთა სწორი რეგისტრაცია მთლიანად დამოკიდებულია აღმრიცხველთა და რეგისტრატორთა გამოცდილებასა და კეთილ-სინდისაერებაზე. მათი მუშაობის შემოწმებისა და შეცდომების თავიღინ აცილების მიზნით, ცსს-ის ადგილობრივი ორგანოები ატარებენ საქონლის გაყიდვის მოცუ-ლობისა და ფასთა აღრიცხვის საკონტროლო შემოწმებას საკოლმეურნეო ბაზ-რებზე. ეს შემოწმება წარმოადგენს საკოლმეურნეო ვაჭრობის სტატისტიკის განუ-ყრელ ნაწილს.

გაყიდვის მოცულობის აღრიცხვის საკონტროლო შემოწმებას ატარებს სპე-ციალური ბრიგადა თვეში ერთხელ მინც ყოველ ბაზარზე. მათში შედიან: ცსს ინსპექტორი, რომელიც მეთაურობს ბრიგადას, ბაზრის დირექტორი, საქალაქო საეაქრო განყოფილებისა და საქალაქო (რაიონული) საბჭოს წარმომადგენლები. საოლქო ცენტრებში ბრიგადის მუშაობაში მონაწილეობას იღებს საოლქო სტა-ტისტიკური სამმართველოს წარმომადგენელიც.

საკონტროლო შემოწმების დროს ბრიგადა, აღმრიცხველისაგან დამოუკე-დებლად, აღრიცხავს ბაზარზე შემოზიდვას მთელი საბაზრო დღის განმავლობაში და განსაზღვრავს ნაშთებს რეალიზაციის მოცულობის გამოსავლენად. ამასთან, ბრიგადამ უნდა დაადგინოს საბაზრო ბრუნვის სხვადასხვა დოკუმენტაციის (პაეი-ლიონების, ხორცისა და რძის საკონტროლო სადგურების, ხორცის დასაკრეღი პუნქტების. საბაზრო სასწორების, კოლმეურნეობათა ზედნადებებისა და სხვა სააღრიცხვო მონაცემთა) გამოყენების ხარისხი, ამ დოკუმენტაციის უტყუარობა და ის, თუ რამდენად სრულად აწარმოებს აღმრიცხველი შემოზიდული პროდუქ-ციის მოცულობისა და გაყიდული ნაშთების აღრიცხვას.

გაყიდული საქონლის აღრიცხვის საკონტროლო შემოწმების შედეგები იმავე დღეს შეუდარდება მიმდინარე აღრიცხვის მონაცემებს, ირკვევა განსხვავებათა სიღღენი და განისაზღვრება მათი მიზეზები. აღრიცხვის სისწორის შედეგებზე დგება აქტი, რომლის ერთი ეგზემპლარი რჩება ბაზრის დირექტორთან, მეორე კი მიღს ადგილობრივ სტატისტიკურ სამმართველოში.

ფასების რეგისტრაციის საკონტროლო შემოწმება ტარდება ქალაქის ცალ-კეულ ბაზრებში ფასების რეგისტრაციის დღეს კვარტალში ერთხელ მაინც. ამ

შემოწმებათა მიზანია გაირკვეს: 1) ფასთა რეგისტრაციის სისწორე; 2) საქონლის ხარისხის, აგრეთვე იმ პირუტყვის ასაკისა და ხორციანობის შერჩევის სისწორე, რომელთა ფასების რეგისტრაციაც ხდება; 3) აღრიცხული ფასების ჩაწერისას მოცულობითი საზომების წონითში და ადგილობრივი საზომების მეტრულში გადაყვანის სისწორე. საკონტროლო შემოწმებით გამოვლენილი ნაკლოვანებანი და შეცდომები ფასთა რეგისტრაციისას სწორდება სარეგისტრაციო ბლანკში.

## 5. საკოლმეურნეო ვაჭრობის სტატისტიკის მასალების თავმოყრა

ყოველი თვის ბოლოს (ჩვეულებრივ, 25 რიცხვში) საკოლმეურნეო ბაზრის აღმრიცხველ-სტატისტიკოსი აკეთებს ყოველდღიურ ჩანაწერთა თვიურ ჯამებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვაზე და გადასცემს ბლანკს სახელმწიფო სტატისტიკის ინსპექტორს, რომელიც ყველა ბაზრიდან ცნობების მიღებისთანავე ამოწმებს მათ. ჩანაწერთა შემოწმებამ უნდა დაადგინოს მათი სისტემატურობა (ხომ არ იყო გამოტოვება, გაურკვეველი გადახრა რეალიზაციის მოცულობაში ცალკეული დღეების მიხედვით და ა. შ.), აგრეთვე შესაბამისობა ზომის ერთეულებსა, რომლებიც აღირიცხება გაყიდვის მოცულობა. ბლანკში მითითებულ ერთეულებთან ერთდროულად ხორციელდება თვიურ ჯამთა სისწორის არითმეტიკული კონტროლი. მასალის გულდასმით შემოწმების შემდეგ, ცის საქალაქო ინსპექტორი ანგარიშების განსაკუთრებულ ფორმაში იწერს გაყიდვის თვიურ ჯამებს ქალაქის ყველა ბაზრის მიხედვით და ანგარიშს უდგენს ოლქის, მხარის, რესპუბლიკის სტატისტიკურ სამმართველოს.

ყოველი საქონლის ნაკრებ ანგარიშში განსაზღვრულია კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური გამყიდველების მიერ გაყიდული საქონლის მოცულობა. ამრიგად, ამ ნაკრები ანგარიშების მონაცემთა მიხედვით შეიძლება დავადგინოთ კოლმეურნეობათა ხვედრითი წონა ქალაქის ბაზრებზე ყოველი პროდუქტის რეალიზაციაში. უდარებს რა ცალკეული საქონლის გაყიდვის მოცულობას წინა თვის ან გასული წლის ამავე თვის მონაცემებს, სტატისტიკური სამმართველო ანგარიშობს საკოლმეურნეო ბაზარზე გაყიდვის მოცულობის ინდექსებს, რომლებიც გვიჩვენებენ საკოლმეურნეო საბაზრო ვაჭრობის დინამიკას ქალაქში.

ქალაქის ნაკრები ანგარიშის ბოლოს მოტანილია თვიური საკონტროლო შემოწმების შედეგები. სადაც სასაქონლო ჯგუფთა მიხედვით (პურ-პროდუქტები, ბოსტნეული, რძის პროდუქტები და ა. შ.) აღნიშნულაა გაყიდული პროდუქციის მოცულობა, ნაკლორიცხვის ანდა გადამეტების სიდიდე.

საოლქო სტატისტიკური სამმართველოები მასალის გულდასმით შემოწმების შემდეგ ადგენენ კრებსით ანგარიშებს მთელი ოლქის მიხედვით. საოლქო კრებსითი ანგარიში დგება საქალაქო კრებსითი ანგარიშის ანალოგიურად და გააჩნია შემდეგი ფორმა:

**სახოფლო-სამეურნეო საქონლის გაყიდვის მოცულობა ოლქის საკომერციო  
ბაზრებზე 197\_\_წ. \_\_\_\_\_ თვეში.**

საქონელი	ზომის ერთეული	გაყიდვა ცალკეულ ქალაქებში (ქალაქის დასახელება)					სულ გაყიდულია ოლქში							
		კომუნურნი- ბების მიერ	ინდ.ვიღალდ- რი გამყიდვე- ლების მიერ	სულ		ცვლილება თვის განმარტობაში (პროცენტობით)	და ა. შ.	კომმუნურნი- ბების მიერ	ინდივიდუალური გამყიდველების მიერ	სულ		ცვლილება თვის განმარტობაში (პროცენტობით)		
				საანგარიშო თვეში	გასულ თე ში					საანგარიშო თვეში	გასულ თვეში			

ეს კრებისითი ანგარიშები შემდგომ დამუშავდება მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებში და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში.

ქალაქის საბაზრო ფასთა რეგისტრაციის ბლანკები იგზავნება უშუალოდ საოლქო სტატისტიკურ სამმართველოში, აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებში. ამ ბლანკების მონაცემთა საფუძველზე განისაზღვრება საბაზრო ფასთა ინდექსები.

რაიონული ცენტრების საბაზრო ფასთა რეგისტრაციის ბლანკები იგზავნება საოლქო სტატისტიკურ სამმართველოებში. ამ ბლანკების საფუძველზე საოლქო სტატისტიკური სამმართველოები ადგენენ რაიონულ საბაზრო ფასთა ცხრილებს. ცხრილების ქვემდებარეში ჩამოთვლილია რაიონული ცენტრები, ხოლო შემასმენელში—ცალკეული საქონლის ფასები საანგარიშო თარიღისათვის; შემაჯამებელ სტრიქონში ნაჩვენებია საშუალო ფასები ოლქის მიხედვით, რომლებიც გაანგარიშებულია როგორც მარტივი არითმეტიკული საშუალო რაიონული ფასებისა. ამ ცხრილებს ოლქის სტატისტიკური სამმართველოები გზავნიან მოკავშირე რესპუბლიკებისა და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებში.

კვარტალში ერთხელ წარმოებს ცხრილების მონაცემთა დამუშავება. კრებისითი ცხრილები დგება ყოველ საქონელზე ცალკე. ცხრილის ქვემდებარეში ნაჩვენებია ოლქები, მხარეები, ჯამები მოკავშირე რესპუბლიკათა მიხედვით და მთელი საბჭოთა კავშირისათვის, ხოლო შემასმენელში — რაიონების რიცხვი, საშუალო ფასი საანგარიშო თარიღისათვის, რაიონების განაწილება 5-6 ჯგუფად (პროცენტობით საერთო რიცხვის მიმართ ოლქების, რესპუბლიკების მიხედვით) მოცემულ



საქონელზე ფასების დონის მიხედვით. ფასის დონის საფუძველზე წარმოებული დაჯგუფება განსხვავდება საქონლის მიხედვით. საშუალო ფასები ოლქისათვის გამოიყენება როგორც მარტივი საშუალო რაიონული ფასებიდან, მოკავშირე რესპუბლიკებისათვის—როგორც საშუალო საოლქო ფასებიდან, მთელი სსრ კავშირისათვის—როგორც საშუალო რესპუბლიკური ფასებიდან.

კრებსითი ცხრილი შესაძლებლობას გვაძლევს მოვახდინოთ ყოველი საქონლის საშუალო ფასის, ოლქებსა და რესპუბლიკების მიხედვით მათი განსხვავების, წინა წელთან ან კვარტალთან შედარებით მათი ცვლილების ანალიზი. საშუალო ფასების ანალიზი შეიძლება შეიქსოს რაიონულ საბაზრო ფასთა ვარიაციის ანალიზით ყოველი ოლქისა და რესპუბლიკის ფარგლებში.

### მ. საკოლმეურნეო ბაზრებზე საქონლის გაყიდვის მონაცემთა ანალიზი

საკოლმეურნეო საბაზრო ვაქრობის სტიტისტიკის მასალები, უპირველეს ყოვლისა, გამოიყენება საკოლმეურნეო ბაზრებზე საქონლის გაყიდვის დინამიკის ანალიზისათვის.

გაყიდვის მოცულობის საქალაქო და საოლქო კრებსით ანგარიშებში გათვალისწინებულია ყოველი პროდუქტის გაყიდვის დინამიკის თვიური გაანგარიშება. თუ საანგარიშო პერიოდის კრებსით ანგარიშებს დაემატებთ წინანდელი აღრიცხვის მასალებს (ამასთან უნდა დაეიცვათ შესაღარ ქალაქთა წრე), შესაძლებლობა გექნება მოვახდინოთ საკოლმეურნეო ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისა და პირუტყვის გაყიდვის დინამიკის ანალიზი. ამ დინამიკურ მაჩვენებელთა გაანგარიშების სქემა, მაგალითად 1973 წლის ოქტომბრისათვის, შემდეგია (ციფრები პირობითია):

საკოლმეურნეო ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გაყიდვის დინამიკის ანალიზი 1973 წლის ოქტომბრისათვის (ნატურალურ ერთეულებში)

პროდუქტთა დასახელება	ზომის ერთეული	გაყიდულია 1973 წ.			გაყიდულია 1972 წ.		გაყიდვის მოცულობის ინდექსები		
		ოქტომბერი	სექტემბერი	10 თვეში	ოქტომბერი	10 თვეში	1973 წლის ოქტომბერი (პროცენტობით)		1973 წლის 10 თვეში პროცენტობით
							1973 წლის სექტემბრის მიმართ	1972 წლის ოქტომბრის მიმართ	
1	2	3	4	5	6	7	8		
ხორცი (საქონლისა)	ტ.	600	450	4000	500	3400	133,3	120,0	117,6
ხორცი (ცხვრისა)	ტ.	300	200	1500	230	1350	150,0	107,1	111,1
ხორცი (ღორისა)	ტ.	800	550	6000	400	3800	145,4	200,0	157,8
კარტოფილი	ტ.	5000	4500	30000	4900	28000	111,1	102,0	107,1
რძე	ლ.	6 000	8000	500000	64000	490000	75,0	93,7	103,0

ცხრილის პირველ ხუთ სვეტში მოტანილია აბსოლუტური მონაცემები: პირველ სვეტში — საანგარიშო თევსა, მეორეში — გასული თვისა, ხოლო მე-3 სვეტში — ყველა თვის ჯამობრივი მაჩვენებელი წლის დასაწყისიდან. მე-4 და მე-5 სვეტებში წარმოდგენილია გასული წლის სათანადო მაჩვენებლები. ამ აბსოლუტურ მონაცემთა საფუძველზე ცხრილის უკანასკნელ სამ სვეტში გაიანგარიშება გაყიდვის მოცულობის ინდექსები. ისინი გვიჩვენებენ ცალკეულ პროდუქტთა გაყიდვის მოცულობის ზრდის ტემპებს თვესა (სვეტი 6) და წელიწადში (სვეტი 7).

ასეთი ცხრილები შეიძლება შედგეს ცალკეული ქალაქების, აგრეთვე ოლქის, რესპუბლიკისა და მთელი ქვეყნის მიხედვით. ოლქის, რესპუბლიკის, მთელი ქვეყნისათვის ცხრილთა შედგენისას ქალაქთა წრე დროის ყველა პერიოდში ერთნაირი უნდა იყოს. ინდექსები მხოლოდ ამ შემთხვევაში ახასიათებს სწორად ცალკეული პროდუქტის გაყიდვის მოცულობის დინამიკას.

იმისათვის, რომ მივიღოთ ბაზრებზე გაყიდვის მოცულობის განზოგადებული მაჩვენებლები, საჭიროა საკოლმეურნეო ვაჭრობის ბრუნვა გამოვიანგარიშოთ ფასობრივ გამოსახულებაში. ეს ხდება გაყიდულ პროდუქტთა აღრიცხული რაოდენობის შეფასებთა საბაზრო ფასებში. რადგანაც საბაზრო ფასთა რეგისტრაცია ხდება ყოველი თვის 25 რიცხვისათვის, ამიტომ საქონლის გაყიდვის თვიურ მონაცემთა შესაფასებლად უნდა განისაზღვროს ცალკეული საქონლის საშუალო თვიური ფასები, როგორც საშუალო არითმეტიკული საანგარიშო და გასული თვის 25 რიცხვის ფასებისა. ყოველი სახის გაყიდული პროდუქტის რაოდენობას თუ გავამრავლებთ საშუალო თვიურ ფასზე, მივიღებთ გაყიდულ პროდუქტთა მოცულობას ფულად გამოსახულებაში. შემდეგ, საქონლის ამ ბრუნვების შეჭამებით ვიღებთ მოცემული ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრების მთელ ბრუნვას საანგარიშო თვეში (კოლმეურნეობებისა და ინდივიდუალური გამყიდველების მიხედვით ცალ-ცალკე).

ამა თუ იმ თვეში საკოლმეურნეო ვაჭრობის ბრუნვათა გაანგარაშება ფულად გამოსახულებაში განსაზღვრული ქალაქის მიხედვით შეიძლება გავაერთიანოთ ქვემომოტანილ ცხრილში (ციფრები პირობითია).

სახაქონლო ჯგუფთა დასახელება	გაყიდულია (ათას მან.)			ბრუნვების სტოქტურა (პროცენტობით) ჯამის შიშართ			კოლმეურნეობათა ბრუნვები პროცენტობით მთელი საანგარიშო პერიოდის შიშართ
	კოლმეურნეობების მიერ	ინდივიდუალური გამყიდველების მიერ	ჯამი	კოლმეურნეობებისა	ინდივიდუალური გამყიდველებისა	მთელი საანგარიშის	
1	2	3	4	5	6	7	8
შემცენარეობის ყველა პროდუქტი	10	24	34	40,0	36,9	37,9	29,4
მათ შორის:							
ა) მარცვლული	1,8	3,2	5	4,0	6,2	5,6	36,0

1	2	3	4	5	6	7	8
ბ) კარტოვილი	4	8	12	16,0	12,3	13,3	33,3
გ) ზოსტნეული და ა. შ.	2	6	8	8,0	9,2	8,9	25,0
მეცხოველეობის ყველა პროდუქტი	15	41	56	60,0	63,1	62,2	26,8
მათ შორის:							
ა) ხორცის	3,5	16,5	20	14,0	25,4	22,2	17,5
ბ) რძის და ა. შ.	8	14	22	32,0	21,5	24,4	36,4
მთელი ბრუნვა	25	65	90	100,0	100,0	100,0	27,9

ამ ცხრილში საკოლმეურნეო ბაზარზე გასაყიდი საქონელი თავმოყრილია სასაქონლო ჯგუფებში, რომლებიც ერთაანდებიან ორ დიდ ქვედანაყოფად: მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტებად. ცხრილის შემასწავლელში მოცემულია ბრუნვები ფულად გამოსახულებაში, ბრუნვათა სტრუქტურა სასაქონლო ჯგუფების მიხედვით და კოლმეურნეობების ხვედრითა წილი ყოველი სასაქონლო ჯგუფის ბრუნვაში. ანალიზი რომ გავუყეთოთ ასეთ ცხრილს, დავინახავთ, თუ როგორ იცვლება სასაქონლო ჯგუფთა შეფარდება ბაზრების ბრუნვებში და რომელ სასაქონლო ჯგუფებში აქვს ყველაზე დაღრმე მნიშვნელობა კოლმეურნეობათა მიერ სასაქონლო გაყიდვას. ამასთანავე, საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ უკანასკნელ წლებში კოლმეურნეობებმა თავისი პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს ყიდიან სამომხმარებლო კოოპერაციის საკომისიო ვაჭრობის მეშვეობით.

საკოლმეურნეო ბაზრების ბრუნვას მოჯანილი ცხრილი ფულად გამოსახულებაში შეიძლება გამოვიყენოთ ბრუნვის დინამიკის ანალიზისათვის საქონლის ცალკეულ ჯგუფთა მიხედვით ცალ-ცალკე და ყველა ჯგუფისათვის ერთად. ეს დინამიკა გვიჩვენებს, თუ როგორ იცვლება საკოლმეურნეო ბაზრების ბრუნვა ფაქტურ ფასებში და, მაშაადამე, სოფლას მოსახლეობის ფულადი შემოსავალი საკოლმეურნეო ვაჭრობიდან. რადგანაც ბრუნვები გამოსახულია ფაქტურ ფასებში, საკოლმეურნეო ბაზრებზე კი ფასები ცვალებადია, ამ ბრუნვათა დინამიკის შესასწავლად აუცილებელი ხდება საკოლმეურნეო ბაზრის ბრუნვების გადაანგარიშება (შესადარ ფასებში ფასებმა ინდექსთა მეშვეობით). მაჩვენებლებს, რომლებიც საჭიროა საკოლმეურნეო ბაზრების ბრუნვათა დინამიკის ანალიზისათვის, შეიძლება თავი მოვუყაროთ შემდეგ ცხრილში:

საკოლმეურნეო ბაზრების ბრუნვის დინამიკა

სასაქონლო ჯგუფების დასახელება	გამყიდველთა კატეგორიები	ბრუნვები ფაქტურ ფასებში (ათას მან.)		საანგარიშო თვის ბრუნვა საბაზისო პერიოდის ფასებში (სვ. 2 : სვ. 4)	საანგარიშო თვის ინდექსები საბაზისო თვის მიმართ, რომელიც აღებულია 100-ად		
		საბაზისო თვე	საანგარიშო თვე		ფასების	ბრუნვების ფაქტურ	ბრუნვის ინდექსი
ა	ბ	1	2	3	4	5	6
მემკვიდრეობის პროდუქტები	ა) კოლმეურნეობები	8	10	10,9	92	125,0	136,2
	ბ) კოლმეურნეები	22	24	25,2	95	169,0	114,5
	ჯამი	30	34	58,1	—	113,3	121,3
მეცხოველეობის პროდუქტები	ა) კოლმეურნეობები	10	15	15,8	96	150,0	156,0
	ბ) კოლმეურნეები	40	41	42,3	97	102,5	105,7
	ჯამი	50	56	57,9	—	112,0	115,8
მთელი ბრუნვა	ა) კოლმეურნეობები	18	25	26,5	—	137,9	147,2
	ბ) კოლმეურნეები	62	65	67,5	—	104,8	108,9
	ჯამი	80	90	94,0	—	112,5	117,5

ცხრილში ჯერ ჩაიწერება საბაზისო (სვ. 1) და საანგარიშო (სვ. 2) პერიოდების ბრუნვები ფაქტურ ფასებში და ფასთა ინდექსები (სვ. 4), შემდეგ, საანგარიშო პერიოდის ბრუნვების (ფაქტიური ფასებით) გაყოფით ფასთა ინდექსებზე, გაიანგარიშება საანგარიშო პერიოდის ბრუნვები შესადარ (საბაზისო) ფასებში, რომლებიც ჩაიწერება ცხრილის მე-3 სვეტში. მე-5 სვეტი გვიჩვენებს, თუ როგორ შეიცვალა ბრუნვები შესადარ ფასებში, ე. ი. გაყიდვის ფიზიკური მოცულობა. ასეთი ცხრილის ანალიზი პასუხს გვაძლევს კითხვაზე, თუ როგორ იცვლება საკოლმეურნეო ვაჭრობის ბრუნვები გაყიდული საქონლის რაოდენობისა და ფასთა ცვლილების საფუძველზე. ეს ანალიზი შეიძლება მოვახდინოთ მთელი ბრუნვისა და ცალკეული სასაქონლო ჯგუფების (უფრო მკირე ჯგუფების მიხედვითაც, ვიდრე ეს ნაჩვენებია მოტანილ ცხრილში), აგრეთვე გამყიდველთა ცალკეული კატეგორიების მიხედვით.

მსხვილი ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გაყიდვის ფიზიკური მოცულობის ინდექსები სისტემატურად ქვეყნდება წლიურ ინდექსთა გამოსაანგარიშებელ ბაზას წარმოადგენს 1950 წელი. რამდენადაც საკოლმეურნეო ვაჭრობის სტატისტიკა შემოღებული იყო მხოლოდ 251 ქალაქში, ეს ინდექსები გაიანგარიშება 251 ქალაქის მიხედვით. მოვიტანოთ ინდექსთა ცხრილი, რომელიც გამოქვეყნებულია სტატისტიკურ კრებულში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა 1964 წელს“ (ცხრილი მოგვაქვს შემოკლებით):

**დიდი ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებზე ხოფლის მეურნეობის  
პროდუქტთა გაყიდვის ფიზიკური მოცულობის ინდექსები**  
(251 შერჩეული ქალაქის ქსელის მონაცემებით—პროცენტებით 1950 წლის მიმართ)

საქონელი და საქონლის ჯგუფები	1958 წ.	1960 წ.	1963 წ.	1964 წ.
მთელი საქონელი (პირუტყვის ჩათვლით)	135	109	92	91
მთელი საქონელი (პირუტყვის გარეშე)	142	118	99	99,2
მემცენარეობის პროდუქტები	180	165	129	139
მათ შორის:				
პურ-პროდუქტები	145	117	89	88
კარტოფილი	166	153	109	118
ბოსტნეული	193	184	135	142
ხალი	229	214	200	210
მცენარეული ზეთი	74	73	60	51
მეცხოველეობის პროდუქტები	101	70	67	58
მათ შორის:				
ხორცპროდუქტები	97	63	68	55
რძის პროდუქტები	85	59	44	43
კერძები	314	273	211	193

საკოლმეურნეო საბაზრო ვაჭრობაში დიდი მნიშვნელობა აქვს საქონელბრუნვის სეზონურობის ანალიზს. საკოლმეურნეო ბაზრებზე ცალკეულ პროდუქტთა რეალიზაციის დინამიკა წლის განმავლობაში იცვლება მეტ-ნაკლები კანონზომიერებით სეზონთა მიხედვით, რაც განპირობებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების თავისებურებებით. ასე მაგალითად, ცნობილია, რომ რძისა და რძის პროდუქტების რეალიზაციის მოცულობა მკვეთრად იზრდება გაზაფხულზე და ზაფხულის დასაწყისში, ბოსტნეულისა და კარტოფილის რეალიზაციის მოცულობა მატულობს ზაფხულის ბოლოს და შემოდგომაზე და ა. შ. უფრო მასობრივი შემოტანის თვეებში ამ პროდუქტებზე, ჩვეულებრივ, მცირდება საბაზრო ფასებიც.

საკოლმეურნეო ვაჭრობის ხელმძღვანელობისათვის მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, თუ როგორი ბრუნვები იქნება საქონლის ცალკეულ ჯგუფთა მიხედვით უახლოეს თვეებში. ამ მიზნით წარმოებს სეზონურობის განსაზღვრა საკოლმეურნეო ბაზრებზე. სეზონურობის შესასწავლად სტატისტიკას აქვს რამდენიმე ხერხი. აქ შემოვიფარგლებით უმარტივესი ხერხით, მაგრამ ისეთით, რომელიც საესეებით საკმარისია საკოლმეურნეო ბაზრების ბრუნვათა სეზონურობის ანალიზისათვის.

საკოლმეურნეო ბაზრების ბრუნვათა შიდაწლიური სეზონურობის დახასიათებისათვის უნდა გვეჩვენოს მონაცემები ყოველთვიური ბრუნვების შესახებ მთელი რიგი წლებისათვის; ისინი საჭიროა იმისათვის, რომ დასკვნები სეზონურობის შესახებ

არ ატარებდეს შემთხვევით ხასიათს, რაც დაკავშირებულია ერთი წლის განსაკუთრებულ პირობებთან.

მაგალითისათვის ავიღოთ მონაცემები რძის რეალიზაციის შესახებ სამი წლისათვის (თვეების მიხედვით; ციფრები პირობითია)

რძის რეალიზაცია ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარზე სამ წელიწადში  
(ათას ლიტრებით)


წლები და მაჩვენებლები	თ ვ ე ე ბ ი												სულ
	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	
პირველი წელი	1533	1922	2746	3289	2749	3282	2597	2144	2249	1983	1495	1461	27450
მეორე წელი	1599	2446	3397	3985	3282	3915	2843	2263	2529	2290	1936	1798	32285
მესამე წელი	1759	2568	3229	4038	4000	4536	3154	2524	2660	2200	1680	1513	33911
სულ სამ წელიწადში	4891	6936	9372	11307	10031	11783	8594	6951	7438	6479	5111	4777	93646
საშუალოდ სამი წლისათვის თვეების მიხედვით	1630	2312	3124	3769	3344	3928	2865	2310	2479	2158	1704	1592	2601
ოგოვე, პროცენტობით საშუალო წლიურის (2601-ის) მიმართ	62,7	88,9	120,1	144,9	128,6	151,0	110,0	111,2	95,3	83,0	65,5	61,2	100

ცხრილის პირველ სამ სტრიქონში მოტანილია აბსოლუტური მონაცემები რეალიზაციის შესახებ თვეების მიხედვით სამ წელიწადში. მეოთხე სტრიქონი გვაძლევს თვიურ მონაცემთა ჯამებს სამ წელიწადში. ცხრილის მეხუთე სტრიქონი მიღებულია ამ ჯამების სამზე გაყოფით, ე. ი. ახასიათებს რძის საშუალო რეალიზაციას თვეთა მიხედვით სამ წელიწადში. უქანასკნელ სტრიქონში საშუალო თვიური მაჩვენებლები გაანგარიშებულია საერთო სამწლიანი საშუალოს მიმართ (2601). თუ უქანასკნელი სტრიქონის მაჩვენებლებს გადავიტანთ გრაფიკზე, იგი ნათლად გვიჩვენებს საკოლმეურნეო ბაზარზე რძის რეალიზაციის სეზონურ რხევას.

როგორც ვხედავთ, სეზონური რხევის ანალიზის მოცემული ხერხის არსი მდგომარეობს მარტივ საშუალო თვიურ მონაცემთა გაანგარიშებაში რამდენიმე წლისათვის (ჩვენს მაგალითში სამი წლისათვის) და შემდგომ საშუალო თვიურ მონაცემთა გამოსახვაში პროცენტობით საერთო საშუალო წლიური მაჩვენებლების მიმართ.

ჩვენს მაგალითში რძის რეალიზაცია საკოლმეურნეო ბაზრებზე სისტემატურად, წლიდან წლამდე იზრდება, მაგრამ ზრდის ხარისხი სეზონურ რხევებთან შედარებით უმნიშვნელოა, ასეთი ზრდა არა ჩქმალავს ამ რხევებს. რძის რეალიზაციის სისტემატური მატების ტენდენცია უფრო ნათლად რომ გამოგვესახა, უნდა.

გამოგვეყენებინა სეზონური რხევის ანალიზის უფრო რთული ხერხი სამწლიან მონაცემთა წინასწარი მოსწორებით. ამ შემთხვევაში საჭირო იქნება სეზონური გადახრების გაანგარიშება არა მუდმივ საშუალო წლიურ დონესთან, არამედ მოსწორებულ ცვალებად დონესთან შეფარდებით.



თვეები

ნახ. 2. საკოლმეურნეო ბაზრებზე რძის რეალიზაციის სეზონური რხევის გრაფიკი

საკოლმეურნეო ბაზრებზე რეალიზაციის სტატისტიკა გვაძლევს ცნობებს შერჩეულ ქალაქთა მიხედვით. მართალია, ამ ქალაქებში ცხოვრობს მთელი ქალაქის მოსახლეობის ნახევარზე მეტი, მაგრამ შერჩევითი აღრიცხვის მონაცემთა უშუალო გავრცელება ქალაქთა მთელ ერთობლიობაზე შეუძლებელია, რადგანაც შერჩევითი ერთობლიობა რეპრეზენტატიული არ არის. როგორც ცნობილია, მასში კაპობის დიდი ქალაქები, რომლებშიც საკოლმეურნეო ვაჭრობის დინამიკა და სტრუქტურა, აგრეთვე მათი როლი სასურსათო საქონლით მოსახლეობის მომარაგებაში განსხვავებულია, ვიდრე პატარა ქალაქებში.

ამიტომ საკოლმეურნეო ვაჭრობის მეშვეობით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა გაყიდვის საერთო მოცულობის გაანგარიშებანი წარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა წარმოებისა და განაწილების ბალანსთა აგების საფუძველზე. სტატისტიკური მასალების მიხედვით, როდესაც მოცემული გვაქვს მონაცემები სოფლის მეურნეობის ცალკეულ პროდუქტთა საერთო პროდუქციის შესახებ (ნატურალური ერთეულებში) და გავანგარიშებთ პირად და საწარმოო მოხმარებას სოფლის მეურნეობაში, აგრეთვე მარაგის მატებას მწარმოებლებთან, შეიძლება მივიღოთ საქონლიანობის მაჩვენებელი (ცალკეულ პროდუქტთა მიხედვით). შემდეგ, თუ ვიცით ყოველი პროდუქტის დამზადების (შესყიდვის) მოცულობა და მას გამოვრიცხავთ გაანგარიშებული საქონლიანობის საერთო მასიდან, მივიღებთ საკოლმეურნეო ვაჭრობის მეშვეობით ცალკეულ პროდუქტთა რეალიზა-

ციის მოცულობას ნატურალურ ერთეულებში. თუ მათ საკოლმეურნეო ბაზრის ფაქტიური საშუალო ფასებით შეეფასებთ, შეიძლება განვსაზღვროთ საკოლმეურნეო ვაჭრობის ბრუნვათა საერთო მოცულობა ფულად გამოსახულებაში. ყველა ამ გაანგარიშებას, ცხადია, თან ახლავს გულდასმითი ეკონომიური შემოწმება და მიღებულ შედეგთა ანალიზი. ისინი, დანამიკის თვალსაზრისით, უპირისპირდება სხვა წყაროებსაც, კერძოდ: ა) ბაზარზე პროდუქტთა რეალიზაციის შესახებ კოლმეურნეობათა წლიურ ანგარიშებსა და კოლმეურნეთა საბიუჯეტო გამოკვლევებს; ბ) ბაზარზე პროდუქტთა შექმნის შესახებ მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტების სტატისტიკას; გ) დიდი ქალაქების საკოლმეურნეო ბაზრებზე გაყიდვის სტრუქტურასა და დინამიკას. ამ გაანგარიშებათა და შედარებათა საფუძველზე განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვის საერთო მოცულობა სოფელგარეშე საკოლმეურნეო ბაზრებზე.

## 7. საკოლმეურნეო ვაჭრობის ერთდროული გამოკვლევები

დიდ ქალაქთა საკოლმეურნეო ვაჭრობის სისტემატური შერჩევითი სტატისტიკის გარდა, ეპიზოდურად წარმოებს საკოლმეურნეო ვაჭრობის ერთდროული გამოკვლევებიც. ასე მაგალითად, 1957 წლის აპრილში სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ განახორციელა საკოლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვის მთლიანი გამოკვლევა ყველა ქალაქსა და ქალაქის ტიპის დაბაში, აგრეთვე ყველა სასოფლო რაიონულ ცენტრში. გამოკვლევა ჩატარდა ერთი კვირის განმავლობაში—10-დან 16 აპრილამდე და მოიცავდა ძირითად სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს (26 სასაქონლო ჯგუფი); ისინი შეადგენდნენ 70%-ს 251 ქალაქის იმ საკოლმეურნეო ბაზრების საქონელბრუნვაში, რომლებშიც ხდებოდა სისტემატური აღრიცხვა. კვლევის ამოცანა იყო საკოლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის დახასიათება ცალკეულ რესპუბლიკებსა და ოლქებში, აგრეთვე ცალკეული ტიპის ქალაქებში. გამოკვლევის მონაცემთა შედარებამ 251 მსხვილი ქალაქის სისტემატური აღრიცხვის მასალებთან, შესაძლებლობა მოგვცა შევვემოწმებინა მისი რეპრეზენტატულობა.

სულ გამოკვლეული იყო 2812 ქალაქი და ქალაქის ტიპის დაბა, მათში 3888 საკოლმეურნეო ბაზარი, 1787 რაიონული ცენტრი და მათში 1809 საკოლმეურნეო ბაზარი<sup>1</sup>.

1957 წლის აპრილის ერთი კვირის განმავლობაში საკოლმეურნეო ბაზრებზე აღრიცხული საქონელბრუნვის საერთო მოცულობა შეადგენდა 49,71 მლნ მანეთს; მათ შორის 46,04 მლნ მან., ანუ 93% მოდიოდა ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების საკოლმეურნეო ვაჭრობაზე, ხოლო 7% — რაიონული ცენტრების საკოლმეურნეო ვაჭრობაზე. ქალაქებს, რომლებშიც სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკურ სამმართველო სისტემატურად აღრიცხავდა გაყიდვას საკოლმეურნეო

<sup>1</sup> გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ჟურნალში „ვესტნიკ სტატისტიკი“, № 3, 1958.



ბაზრებზე, ეჭირათ 56% საკოლმეურნეო ვაჭრობის მთელ საქონელბრუნვაში და 60% — ქალაქთა საქონელბრუნვაში. გამოკვლევამ ცხადყო, რომ საკოლმეურნეო ბაზრების საქონელბრუნვის სტრუქტურა არსებითად განსხვავდება დასახლებულ პუნქტთა ტიპის მიხედვით; ამ თვალსაზრისით ქალაქის ქსელი, სადაც ტარდება სისტემატური აღრიცხვა, არ არის საკმარისად რეპრეზენტატიული. მაგალითად, ამ ქსელში, სადაც სჭარბობდა მსხვილი ქალაქები, საქონელბრუნვაში უფრო დიდი ხვედრითი წონა ეჭირა ზორცს, ბოსტნეულს, ხილს, უფრო მცირე — პურეულს. ბურღულსა და ზოგიერთ სხვა პროდუქტს.

1959 წლის ოქტომბერში ქალაქებში, რომლებშიც სისტემატურად აღირიცხებოდა გაყიდვა საკოლმეურნეო ბაზრებზე, ჩატარდა ერთდროული გამოკვლევა იმ რაიონების, ოლქებისა და რესპუბლიკების დასახსიათებლად, საიდანაც შემოიტანებოდა 33 ძირითადი პროდუქტი მოცემული ქალაქის ბაზრებზე. ამ მიზნით, 5-დან 18 ოქტომბრამდე (14 დღე) წარმოებდა ბაზრების ყველა გამყიდველის გამოკითხვა, თუ საიდან შემოიტანეს პროდუქტები. თუ პროდუქტები შემოიტანილი იყო კოლმეურნეობების მიერ, საჭირო ცნობების დადგენა ხდებოდა საბუთებით. გამოკვლევამ მოგვცა დამატებითი მასალა, რომელიც ახასიათებს ამა თუ იმ ქალაქის მოსახლეობის პროდუქტებით მომარაგებას საკოლმეურნეო ვაჭრობის მეშვეობით. განსაკუთრებით საინტერესო მასალები იყო მიღებული დიდი ქალაქების შესახებ, რომელთა პროდუქტებით მომარაგებაში მონაწილეობდნენ არა მარტო საკუთარი ოლქის, არამედ სხვა ოლქებისა და რესპუბლიკების კოლმეურნეობებიც.

1965 წლის 1 დეკემბრისა და 1966 წლის 15 მარტის მდგომარეობით ჩატარდა ყველა საკოლმეურნეო ბაზრას ერთდროული აღრიცხვა როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამ აღრიცხვით გამოირკვა საკოლმეურნეო ბაზრების რიცხვი და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობა: ფართობი (ასფალტირებული და მოკირწყლული ფართობის ცალკე გამოყოფით), პროდუქტთა გასაყიდი მაგიდების სიგრძე, პაეილიონებისა და ფარდულების რაოდენობა, საყინულეების, სარდაფების, მაცივრებისა და სასაწყობო შენობების, აგრეთვე სტრანსპორტო საშუალებებისა და მთელი მოწყობილობის რიცხვი. აღრიცხვის ეს მონაცემები საფუძვლად დაედო საკოლმეურნეო ბაზრების შემდგომი განვითარებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებებს.

ამრიგად, ერთდროული სტატისტიკური გამოკვლევები გვაძლევს დამატებით მასალებს საკოლმეურნეო ვაჭრობის სისტემატური აღრიცხვისათვის.

## ფასების სტატისტიკა

### 1. ფასების სახეები და ფასების სტატისტიკის ამოცანები

ფასი — საქონლის ღირებულების ფულადი გამოსახულება — წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ეკონომიურ კატეგორიას. ფასთა დანე, თანაფარდობა და დინამიკა სახალხო მეურნეობაში არსებით ზეგავლენას ახდენს ეკონომიკაზე, საქონლის ცალკეულ სახეთა წარმოების რენტაბელობაზე, ხალხის კეთილდღეობაზე. ამიტომ ფასების სტატისტიკა ძველთაგანვე წარმოადგენდა ეკონომიური სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს ნაწილს. ფასების სტატისტიკის უმნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. როდესაც წარმოების ეფექტურობის ამაღლებისათვის სამეურნეო რეფორმის ცხოვრებაში გატარება მოითხოვს ფასებისა და ფასწარმოქმნის სისტემის სრულყოფას ღირებულების კანონის მოქმედების გათვალისწინებით.

სოციალისტურ საზოგადოებაში ფასებს აწესებს სახელმწიფო გეგმური წესით. საქონლის წარმოების ღირებულების შემცირების საფუძველზე, ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებისათვის საბჭოთა მთავრობა თანმიმდევრულად ახორციელებს საცალო ფასების შემცირებას. ასე მაგალითად, 1947 წლიდან 1954 წლამდე 7-ჯერ ჩატარდა საცალო ფასების მასობრივი შემცირება, რის შედეგადაც სახელმწიფო საცალო ფასები 1954 წელს 2,3-ჯერ უფრო დაბალი იყო, ვიდრე 1947 წელს. შემდგომ წლებშიც არაერთხელ ტარდებოდა ფასების შემცირება სახალხო მოხმარების მთელ რიგ საქონელზე. სახელმწიფო საცალო ფასების ინდექსი 1965 წელს, 1950 წლის საშუალო წლიურ ფასებთან შედარებით (რომელიც აღებულია ასად), იყო საერთოდ ყველა საქონლისათვის (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით) — 75, სასურსათო საქონლის მიხედვით ალკოჰოლიანი სასმელების გარეშე — 71, საზოგადოებრივი კვების მიხედვით — 79, არასასურსათო საქონლის მიხედვით — 76, ალკოჰოლიანი სასმელების მიხედვით — 90.

ს კვბ XXIII ყრილობის მიერ დამტკიცებულ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების მერვე ხუთწლიანი გეგმის ღირებულებებში ნათქვამი იყო: „მოსახლეობის რეალური შემოსავლის გადიდების მიზნით სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისა და საჭირო სასაქონლო და ფინანსური რესურსების დაგროვების კვალობაზე განვახორციელოთ ღონისძიებანი სა-

ხალხო მოხმარების ცალკეული სასურსათო და სამრეწველო საქონლის სახელმწიფო საცალო ფასების შესამცირებლად, უწინარეს ყოვლისა საბავშვო ასორტიმენტის საქონლის ფასებისა<sup>1</sup>.

ფასების უმნიშვნელოვანეს სახეებს საბჭოთა ვაჭრობაში წარმოადგენს საცალო, საბითუმო და შესყიდვის ფასები.

საცალო ფასები ის ფასებია, რომლითაც საქონელი მიეყიდება მოსახლეობას. მის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო საცალო ფასები, რომლითაც ხორციელდება საქონლის გაყიდვა სახელმწიფო და კოოპერატიული საცალო სავაჭრო ქსელის, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის მიერ. სახელმწიფო საცალო ფასების გარდა, არსებობს კიდევ ფასები, რომლებიც იქმნება ადგილობრივ ბაზარზე. ეს არის საკოლმეურნეო ბაზრისა და მათთან ახლოს მდგომი ფასები, რომლითაც სამომხმარებლო კოოპერაცია ქალაქებში ყიდის კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ მიღებულ და კოლმეურნეებთან ურთიერთშეთანხმებულ ფასებში შესყიდულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. სახელმწიფო საცალო ფასები შეიძლება იყოს (მთელი ქვეყნისათვის) ერთიანი და ზოლობრივი. ფასების ზოლობრივი დიფერენციაცია განპირობებულია სხვადასხვა რაიონში საქონლის წარმოების დანახარჯების განსხვავებული დონით, აგრეთვე სხვადასხვაგვარი სატრანსპორტო ხარჯებით, თუკი მათი წილი საქონლის ღირებულებაში დიდია. ამჟამად საქონლის უმრავლესობისათვის დაწესებულია ფასების სხვადასხვა დონის სამი ზოლი, რომელთაგან თითოეული მოიცავს სსრ კავშირის რაიონების დიდ რიცხვს: სოფლის მეურნეობის წარმოების რიგ საქონელზე (კარტოფილზე, ბოსტნეულზე, ხილსა და სხვა) წესდება სეზონური საცალო ფასები, რომლებიც უფრო დაბალია ამ პროდუქტების მასობრივი წარმოების პერიოდებში და უფრო მაღალია—წლის სხვა დროს. შაქრის ქარხლის დამზადებისას შაქრის ფხვნილზე, რომელიც ჩამბარებულს შემხვედრი ვაჭრობის წესით მიეყიდება, მოქმედებს შეღავათიანი სახელმწიფო საცალო ფასი—38 კაპ. 1 კილოგრამზე. არის შემთხვევები. როცა ახალი სახის საქონელზე ზუსტად განსაზღვრული ვადით (არაუმეტეს ერთი წლისა) წესდება დროებითი ფასები. მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ დროებითი ფასი იცვლება მუდმივით. დროებითი ფასი, როგორც წესი, მუდმივზე უფრო მაღალია, რადგან ის ასახავს დანახარჯების უფრო მაღალ დონეს საქონლის წარმოების ათვისების დაწყებით პერიოდში.

მრეწველობის საბითუმო ფასები არის ფასები, რომლითაც სავაჭრო ორგანიზაციები იძენენ საქონელს მრეწველობისაგან. სახელმწიფო საცალო ფასი იქმნება მრეწველობის საბითუმო ფასისა და სავაჭრო დანარიცხისაგან, რომელიც ანაზღაურებს მიმოქცევის ხარჯებსა და სავაჭრო ორგანიზაციების მოგებას. სავაჭრო დანარიცხები დაწესებულია საცალო ფასებიდან სავაჭრო ფასდაკლების სახით (პროცენტულად მის მიმართ). ამიტომ პრაქტიკულად მრეწველობის საბით-

<sup>1</sup> სკკპ XXIII ყრილობის მასალები, 1966, გვ. 320.

თუმცა ფასი განისაზღვრება საცალო ფასებიდან სავაჭრო ფასდაკლების გამოკლებით. მრეწველობის საბითუმო ფასებისაგან უნდა განევასხვაოთ საწარმოს საბითუმო ფასები, რომლებიც არ შეიცავენ ბრუნვის გადასახადს და გამოიყენებიან სამრეწველო საწარმოთა მუშაობის რენტაბელობის ანალიზის, აგრეთვე მრეწველობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის შეფასებისათვის.

შესყიდვის ფასებს წარმოადგენს ფასები, რომლითაც სახელმწიფო ორგანიზაცია შეისყიდის სოფლის მეურნეობის სასაქონლო პროდუქციას კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის (ხვა მწარმოებელთაგან. ფასებს, რომლითაც საბჭოთა მეურნეობები აბარებენ თავიანთ პროდუქციას სახელმწიფო დამამზადებელ ორგანიზაციებს, ეწოდება ჩაბარებას ფასები.

ფასების სტატისტიკის ძირითადი ამოცანაა ფასების დონეებსა და მათ დინამიკაზე სისტემატური დაკვირვება როგორც ცალკეული საქონლის, ისე სასაქონლო ჯგუფებისა და მთელი საქონელბრუნვის მიხედვით. ფასების სტატისტიკა სწავლობს აგრეთვე თანფარგობებს, ერთი მხრივ, ცალკეული საქონლის ფასთა ყოველ სახეობას (საბითუმო და საცალო, სახელმწიფო, საკომისიო გაყიდვები, საბაზრო და ა. შ.), სოლო მეორე მხრივ, ცალკეული საქონლის ფასებს შორის (ფასობრივი ეკვივალენტები). ფასთა სტატისტიკაში განისაზღვრება ფასების ინდექსები, რის საფუძველზეც წარმოებს საქონელბრუნვის გადაანგარიშება შესადარ ფასებში, აგრეთვე საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსების გამოანგარიშება; გარდა ამისა, შეისწავლება უმნიშვნელოვანესი საქონლის ფასთა სტრუქტურა ფასწარმოქმნის ელემენტების მიხედვით.

სავაჭრო საწარმოთა მუშაობის ყველა ძირითადი მაჩვენებლის აღრიცხვა ხდება ფასობრივ გამოსახულებაში. საქონელბრუნვის სტატისტიკა წარმოებს ფასობრივ მაჩვენებლებში. სწორედ ფასობრივი მაჩვენებლები უდევს საფუძველად მიმოქცევის ხარჯების, შრომის ნაყოფიერების დონის განსაზღვრას ვაჭრობაში. ამიტომ სავაჭრო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის დაგეგმვისა და ანალიზისას გვერდს ვერ ავუვლით იმ მასალებს, რომლებიც გვიხასიათებენ ფასების დონის ცვლილებას ცალკეული საქონლისა და მთელი საქონელბრუნვის მიხედვით.

## 2. ფასების სტატისტიკის ორგანიზაცია

ფასების გეგმიანმა ბუნებამ საბჭოთა ვაჭრობაში პრინციპულად შეცვალა მათზე სტატისტიკური დაკვირვების მეთოდები და ორგანიზაცია. სტატისტიკის ისტორიაში პირველად მოგვეცა შესაძლებლობა საბჭოთა კავშირში ვაჭარმოთ ისეთი სტატისტიკა, რომელსაც სისტემაში მოჰყავს სახელმწიფო საგეგმო ფასებში მომხდარი ცვლილებები.

საბჭოთა პირობებში არ არის აუცილებელი მოეწყოს სახელმწიფო ფასების სპეციალური სტატისტიკური რეგისტრაცია დამამზადებელ ან სავაჭრო საწარმოებში, რადგან გეგმური წესით დაწესებული ფასები არ შეიძლება შეცვალოს სავაჭრო ორგანიზაციამ. სტატისტიკური დაკვირვება სახელმწიფო საბითუმო და საცალო ფასების დონეებსა და მათ ცვლილებებზე ხდება საპრეისკურანტო ფასების

სისტემატიზაციის, მათ ცვლილებათა შესახებ მონაცემთა საფუძველზე. სტატისტიკას ამასთანავე შესაძლებლობა აქვს აღრიცხოს ფასების ყოველგვარი ცვლილება უკლებლივ ყველა საქონელზე, შერჩევითი რეგისტრაციის გამოყენების გარეშე.

განვიხილოთ სახელმწიფო საცალო ფასების სტატისტიკის ორგანიზაცია.

სახალხო მომხარების უმნიშვნელოვანეს საქონელზე სახელმწიფო საცალო ფასები წესდება. ცენტრალიზებულად—საკავშირო მთავრობის ორგანოების მიერ, დანარჩენ საქონელზე კი ფასებს აწესებს რესპუბლიკური და საოლქო ორგანიზაციები. ცენტრალიზებულად წესდება ფასები წამყვან საქონელზე, რომლებიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავენ მათზე დამოკიდებული საქონლის ფასებს და რომლებიც წესდება ადგილებზე. ასე მაგალითად, ფასებს შექარზე, ქსოვილზე, ღორცზე აწესებს საკავშირო მთავრობა, ხოლო საქეკრვალო საქონელზე, საკონდიტრო და ხორცის ნაწარმზე—რესპუბლიკური ორგანოები.

ამის შესაბამისად სტატისტიკურ ორგანოთა მოვალეობანი სახელმწიფო საცალო ფასებზე დაკვირვების დარგში შემდეგნაირად განსაზღვრება: სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო უშუალო მეთვალყურეობას უწევს საცალო ფასებს, რომლებიც დამტკიცებულია ცენტრალიზებული წესით (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, საკავშირო სამინისტროების მიერ). სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ყოველკვარტალურად ატყობინებს მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს საკავშირო ორგანოების მიერ წარმოებული ფასების ყველა ცვლილებას, რაც ხორციელდება ფასების ცვლილების პროცენტის აღნიშვნით საქონლის ცალკეული ჯგუფების ან ქვეჯგუფების მიხედვით.

მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები თვალყურს ადევნებენ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოების მიერ დამტკიცებულ საცალო ფასებს, რაც წარმოებს ადგილობრივ სტატისტიკურ სამმართველოთა საშუალებით. სტატისტიკის ორგანოთა მხრივ სახელმწიფო საცალო ფასებისადმი თვალყურის დევნება გამოიხატება შემდეგში: მათ უნდა გაითვალისწინონ ფასთა ცვლილების შესახებ შესაბამის ორგანოთა დადგენილებანი და განკარგულებანი, აგრეთვე საცალო ფასების ის პრისკურანტები, რომლებიც გამოიცემა სახელმწიფო საცალო ფასებში ცვლილების შეტანის მიზნით.

სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები სახელმწიფო საცალო ფასების ყველა ცვლილების აღსანიშნავად ახორციელებენ ინფორმაციის შემდეგ სისტემას:

1. ადგილობრივი სტატისტიკური სამმართველოები (საოლქო, სამხარეო, საქალაქო და ა. შ.) ყოველკვარტალურად, საანგარიშო კვარტალის დამთავრებიდან მე-15—20 დღეს ფორმა № 5 „ფ“—თი აცნობებენ მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებს სახელმწიფო საცალო ფასების ყველა იმ ცვლილების შესახებ, რომლებიც განახორციელეს ადგილობრივმა ორგანოებმა კვარტალის განმავლობაში. მხედველობაში არ მიიღება მხოლოდ კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის ფასები, რომლებისთვისაც დაწესებულია ინფორმაციის

სპეციალური წესი. ასეთი ინფორმაციის ნიმუში მოტანილია ქვემოთ (ციფრები ბირობითია).

მონაცემები წარმოების წლიური მოცულობისა (ძველსა და ახალ ფასებში) და ფასების ცვლილების საერთო თანხის შესახებ (წლიურად და წლის ბოლომდე გაანგარიშებით) აიღება საოლქო (სამხარეო) აღმასკომების ვაჭრობის სამმართველოებისა და საოლქო (სამხარეო) საფინანსო განყოფილებების გაანგარიშებიდან, რომელიც აუცილებლად თან უნდა ახლდეს გადაწყვეტილებას ფასების ცვლილების შესახებ. ფასების ცვლილების პროცენტი სასაქონლო ჯგუფებისა და საშუალოდ ყველა საქონლის მიხედვით (სვეტი 6) განისაზღვრება წლიურად გაანგარიშებული ფასების ცვლილების თანხის გაყოფით (სვეტი 4) წარმოების წლიურ მოცულობაზე ძველი ფასების მიხედვით (სვეტი 2). ამ ფორმის დანართში მოტანილია მონაცემები იმ ცალკეული უმნიშვნელოვანესი საქონლის ფასების ცვლილების შესახებ, რომელსაც დიდი ხვედრითი წონა აქვს ფასშეცვლილ ჯგუფებში. საქონლის დასახელებისა და ფასცვლის თარიღის გარდა, უნდა იქნეს შეტყობინებული ძველი და ახალი ფასები, აგრეთვე მოცემული საქონლის რეალიზაციის ან წარმოების მოცულობა.

...ოლქის (მხარის, ასრ) 1973 წლის III კვარტალის ნაკრები მონაცემები (აღვილობრივ ხახელმწიფო ორგანოთა მიერ დაწესებული) საცალო ფასების ცვლილებების შესახებ

საქონლის ჯგუფების დასახელება	ადგილობრივი ორგანოების განყოფილების მიხედვით ცვლილება	წარმოების მოცულობა 1973 წლისათვის (ათ. მან.)		ფასების ცვლილების თანხა ათას მან. (შემოცირება — მომატება +)		ფასების ცვლილების პროცენტი
		ძველ ფასებში	ახალ ფასებში	წელიწადზე გაანგარიშებით	წლის ბოლომდე	
ქალის თავსაშკაულები	1/VIII	200	180	-20	-9	-10
პლასტმასის გალანტერეა	1/IX	80	70,4	-9,6	-3,2	-12
რკინის საწოლები და ა. შ.	1/IX	100	85	-15	-5	-15
სულ	—	380	335,4	-44,6	-17,2	—

2. მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები აჯამებენ ხახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოების ფორმა № 5-ფ ანგარიშებს და ყოველი კვარტალის დამთავრებიდან 25-ე დღეს წარუდგენენ ნაკრებ ანგარიშს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს იმავე ფორმით.

გარდა ამისა, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველოებმა უნდა აცნობონ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ხახელმწიფო საცალო ფასების ყველა ცვლილება, გატარებული რესპუბლიკური ორგანოების მიერ, 10 დღის ვადაში ახალი ფასების შემოღების შემ-

დევ, საცალო ფასების ცვლილების თაობაზე მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი, აგრეთვე ფასშეცვლილი საქონლის ნუსხა.

განსაკუთრებული წესია შემოღებული კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის სახელმწიფო საცალო ფასების ცვლილების აღსაწესიანად. ამ ფასებს, როგორც წესი, აწესებენ მშრომელთა დეპუტატების საპრობლემო საბჭოებს, სამხარეო და საქალაქო (საქალაქო დაქვემდებარების ქალაქების) აღმასკომები. ამ ორგანოების გადაწყვეტილებათა საფუძველზე ადგილობრივი სტატისტიკური სამმართველოები აწარმოებენ ფასების რეგისტრაციის, აგრეთვე კარტოფილისა და ძიძითად სახეობათა ბოსტნეულის (ახალი კომბოსტოს, დამკვებელი კომბოსტოს, თავიანი ხახვის, სუფრის ჭარხლის, სტაფილოს, ახალი კიტრის, მკავე კიტრის, ახალი პამიდორის, მკავე პამიდორის), ხილის (ვაშლის, ყურძნის, ფორთოხლის, მანდარინის, ლიმონის) ფასების ყველა ცვლილების რეგისტრაციის უზრუნველყოფას. რეგისტრაციაში უნდა გატარდეს მხოლოდ იმ პროდუქტების ფასები, რომლებიც მასობრივად იყიდებოდა.

დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ შესაძარი ფასები რეგისტრირებულ იქნეს ისეთი პროდუქტების მიხედვით, რომლებიც ერთი და იმავე სახის, ხარისხისა და ზომისაა. ამ საეურნალო რეგისტრაციის საფუძველზე ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ადგილობრივი ორგანოები ყოველი თვის 27 რიცხვში უზაინან მოკავშირე რესპუბლიკის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებს კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის ფასების დონის შესახებ საანგარიშო და წინა თვის 25 რიცხვის მდგომარეობით, აგრეთვე იმ ფასების შესახებ, რომლებიც მოქმედებდა საანგარიშო თვის განმავლობაში (მათი ცვლილების თარიღების მიხედვით), თუკი ამ პერიოდში იცვლებოდა ფასები. ამ ინფორმაციის საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები აწარმოებენ კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის საცალო ფასების რეგისტრაციის უზრუნველყოფას ცალკეული ოლქების, მხარეებისა და ასს რესპუბლიკების მიხედვით.

სახელმწიფო საცალო ფასებზე დაკვირვების ზემომოტანილი წესი საშუალებას იძლევა ვიჭონიოთ ამომწურავი ინფორმაცია ფასების დონესა და მათ ცვლილებებზე საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე. ამასთან, საგულისხმოა ერთი მეტად მნიშვნელოვანი მეთოდოლოგიური საკითხი: რა უნდა ჩაითვალოს ადრე მოქმედი საცალო ფასის ცვლილებად და რა უნდა მივიჩნიოთ პრინციპულად ახალი ფასის, ე. ი. ახალი სახეობის ან ხარისხის საქონლის ფასის წარმოშობად? ამ საკითხის გადაწყვეტაზე დამოკიდებული, შეიტანება თუ არა ფასის ეს ცვლილება ინდექსში, რომელიც მხოლოდ ადრე მოქმედი ფასების ცვლილების მაჩვენებელია. პრაქტიკაში სავსებით მართებულადაა მიღებული, რომ ფასცვლად მიიჩნევა ამა თუ იმ საქონელზე ახალი ფასის დაწესება, ნაცვლად წინათ მოქმედი მუდმივი ფასისა, თუკი შენარჩუნებულია საქონლის არტიკული, მისი წარმოების ტექნიკური პირობები, ხარისხი, ზომა და ა. შ.

ამ განსაზღვრის თანახმად, ფასცვლად არ იქნება მიჩნეული ისეთი შემთხვევები, როცა ახალი ფასი წესდება ისეთ საქონელზე, რომელიც ადრე არ იწარმოებოდა, ან როცა ახალი ფასის დაწესებას თანსდევს სახელმწიფო სტანდარტის, არტიკულის ან ამ საქონლის წარმოების ტექნიკური პირობების შეცვლა იმის გამო, რომ სახე იცვალა მისმა ხარისხმა, ფორმამ, ზომამ და ა. შ. ფასცვლად არ ჩაითვლება აგრეთვე გადიღებული დროებითი ფასების დაწესება გაუმჯობესებული ხარისხისა და ასორტიმენტის საქონელზე, მუდმივი ფასის დაწესება ნაცვლად დროებითისა, ნაკლებგასავლიანი და ჩაწოლილი საქონლის ჩამოფასება.

ყოველივე ეს მოწმობს, რომ დაკვირვება სახელმწიფო საცალო ფასებსა და მათ ცვლილებებზე სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის მუშაებისაგან მოითხოვს იმ დოკუმენტაციის გულდასმით შესწავლას, რაც, ჩვეულებრივ, თან ახლავს ფასების ცვლილების სათანადო პროექტის მიღებას ამ ცვლილების საჭიროების დასაბუთების მიზნით.

გარდა სახელმწიფო საცალო ფასებისა, სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები თვალყურს ადევნებენ საცალო ფასიდან სავაჭრო დათმობის ოდენობას, დარიცხვის ღონესა და ცვლილებას საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, აგრეთვე იმ საქონლის ფასებს, რომლებსაც სამომხმარებლო კოოპერაცია ადგილობრივი ბაზრის ფასებით ყიდის. ამასთანავე, სახელმწიფო სტატისტიკურ ორგანოთა დაკვირვების სფეროში შედის საკოლმეურნეო ბაზრისა და იმ პროდუქტების ფასები, რომლებიც სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობით სახელმწიფო საცალო ფასებისაგან განსხვავებულ ფასებში იყიდება.

სავაჭრო დათმობა მოცემულია ფასების პრეისკურანტებში და, ჩვეულებრივ, დაწესებულია პროცენტობით საცალო ფასის მიმართ. იგი გამოხატავს ვაჭრობის წილს საქონლის ფასში. სავაჭრო დათმობის ოდენობას გაფართოებული საქონლის ჯგუფების მიხედვით ცენტრალიზებულად აწესებენ, რომელიც ფასების ცვლილების დროს, როგორც წესი, არ იცვლება. პერიოდულად ხდება სავაჭრო დათმობის გადასინჯვა იმ მიზნით, რომ უფრო ზუსტად შეესაბამებოდეს საქონლის მიმოქცევის ხარჯების ოდენობას და შეიქმნას უკეთესი პირობები ცალკეული საქონლით რენტაბელური ვაჭრობისათვის. მაგალითად, 1966 წლის 1 იანვარს რამდენადმე გადიღდა ფასდათმობა ძირითად სასურსათო საქონელზე და შემცირდა ზოგიერთ არასასურსათო საქონელზე. ამასთან, სავაჭრო ფასდათმობის ცვლილებამ გავლენა არ მოახდინა საცალო ფასების ღონეზე. რამდენადაც სავაჭრო ფასდათმობის დაწესება და შეცვლა ცენტრალიზებულად ხორციელდება, მის რეგისტრაციასა და შესწავლას აწარმოებს სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო; მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ადგილობრივი წარმოების რომელიმე საქონელზე სავაჭრო დათმობა ადგილზე დაწესდა ან შეიცვალა, ინფორმაცია ამის შესახებ მიიღება სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების სისტემის მეშვეობით.

სხვაგვარად არის დარიცხვების საქმე სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების საწარმოებში; აქ ხდება დარიცხვა ნედლეულისა და ნაყიდი საქონლის საცალო ფასზე, რომელიც ანაზღაურებს საქმლის დამზადე-



ბისა და საეკონომიკო მომსახურების ღირებულებას. ამ დარიცხვის ოდენობას (პროცენტობით საცალო ფასის მიმართ), დიფერენცირებულს პროდუქტის სახეთა მიხედვით (საკუთარი წარმოების პროდუქცია და ნაყიდი საქონელი მისგან არაყისა და ღვინის გამოყოფით), საზოგადოებრივი კვების თითოეული საწარმოსათვის აწესებენ შესაბამისი სასაღილოების ტრესტები, საეკონომიკური ორგანიზაციები, მუშათა მომარაგების განყოფილებები და ა. შ. (რომელთა გამგებლობაშია საწარმო) ფაქტიური ხარჯების გათვალისწინებით. მაგრამ კონკრეტული დარიცხვები არ უნდა აღემატებოდეს ზღვრულ დარიცხვებს, რომლებიც დაწესებულია რესპუბლიკური ორგანიზაციების მიერ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ცალკეული კატეგორიებისათვის: I კატეგორია—რესტორნები, II კატეგორია—საწარმოები, რომლებიც ემსახურებიან საწარმოების, სკოლების, დაწესებულებებისა და სხვათა კონტინგენტს, III კატეგორია—საერთო სასაღილოები, კაფეები, სასაუზმეები და ა. შ.

მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოებში წარმოებს იმ მონაცემების რეგისტრაცია და სისტემატიზაცია, რომლებიც შეეხება ზღვრულ დარიცხვებს სახელმწიფო ვაჭრობისა და სამომხმარებლო კომპერაციის საზოგადოებრივი კვების საწარმოებში დაახლოებით შემდეგი სქემით (იხ. ქვემოთ):

ზღვრული დარიცხვების ყველა ცვლილების შესახებ მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველოებმა უნდა აცნობონ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს. დარიცხვების ზღვრული ნორმების დინამიკის მასალები, როგორც შემდეგ დაფიქსავთ, გამოიყენება საზოგადოებრივი კვების ფასთა ინდექსების გაანგარიშების დროს.

მოკავშირე რესპუბლიკათა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები დაახლოებით წელიწადში ერთხელ, სპეციალური გამოკვლევის წესით, ატარებენ დარიცხვების ფაქტიური ოდენობის რეგისტრაციას საზოგადოებრივი კვების ცალკეული კატეგორიების საწარმოებში ცალ-ცალკე საკუთარი წარმოების პროდუქციაზე და ნაყიდი საქონელზე. დარიცხვების საშუალო ნორმათა გაანგარიშებისათვის ბლანკებში გათვალისწინებულია მონაცემების მიღება დახარჯული პროდუქტების ღირებულების შესახებ საცალო ფასებში.

**დარიცხვების ზღვრული ნორმები პროცენტობით პროდუქტების საცალო ფასის მიმართ**

პროდუქტების დასახელება	საზოგადოებრივი კვების საწარმოს კატეგორია		
	I	II	III
	2	3	4
1			
1. დარიცხვები პროდუქციის ჯგუფების მიხედვით საკუთარი წარმოების პროდუქცია ნაყიდი საქონელი (არაყისა და ღვინის გარეშე) ღვინო, არაყი			

1	2	3	4
II. დარიცხვები და ფასდაკლებები მომსახურების ხასიათის მიხედვით ფასდაკლება სადილების სახლში გაცემის დროს ფასდაკლება ნახევარფაბრიკატების გაცემისას დარიცხვები შეკვეთილი კერძების დამზადების დროს			

სამომხმარებლო კოოპერაცია აწარმოებს ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვას კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისა და სხვა მოქალაქეებისაგან შეთანხმებულ ფასებში. კოლმეურნეობებისაგან შესყიდვა ხდება საკომისიო საწყისებზე. შესყიდული და კოლმეურნეობებისაგან საკომისიოდ მიღებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გაყიდვა წარმოებს ქალაქებში სპეციალურად მოწყობილი სავაჭრო ქსელის საშუალებით, რომელიც საქალაქო კოოპერაციის გამგებლობაშია. კოოპერაცია ექვემდებარება რესპუბლიკურ (საოლქო, სამხარეო) სამომხმარებლო კავშირებთან არსებულ სამეურნეო ანგარიშზე მყოფ სექციას— კოოპგასაღებსექციას. ამ პროდუქტების გაყიდვა წარმოებს კოოპგასაღებსექციის გამგეობის მიერ დაწესებულ ფასებში, გამოძინარე ადგილობრივ ბაზარზე ანალოგიური პროდუქტების ფასის დონიდან. კოოპერაციული ვაჭრობის ფასების დონე და დინამიკა შეისწავლება შერჩევითი წესით ყოველთვიური რეგისტრაციის საშუალებით. მხედველობაში მიიღება ყოველი თვის 25 რიცხვის მდგომარეობა რესპუბლიკურ, საოლქო, სამხარეო ცენტრებსა და ზოგიერთ დიდ სამრეწველო ქალაქში (სულ 102 ქალაქი), რომლებშიც არსებობს კოოპერაციები.

კოოპერაციის ფასების რეგისტრაცია წარმოებს ქალაქის კოოპერაციის მონაცემთა საფუძველზე. მასალის სისტემატიზაციის მიზნით სტატისტიკური სამმართველოები აწარმოებენ იმ პროდუქტების საცალო ფასთა რეგისტრაციის უზრუნავს, რომლებიც სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ იყიდება ადგილობრივ ბაზარზე ყოველი თვის 25 რიცხვში არსებული ფასებით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ნომენკლატურა მათი ხარისხის აღნიშვნით გათვალისწინებულია სტატ-სამმართველოს ანგარიშგების ფორმით (ფორმა № 1-კ) და მოიცავს 35-მდე დასახელებას. ანგარიშგებაში თითოეული საქონლის მიხედვით აღინიშნება კოოპერაციული ვაჭრობის ფასები როგორც საანგარიშო, ასევე გასული თვის 25 რიცხვისათვის, აკრეფენ საკოლმეურნეო ბაზრის ფასები საანგარიშო თვის 25 რიცხვისათვის. ამასთან საქირთა ზუსტად იქნეს დაცული სამივე ფასის შესადარისობა, ე. ი. ისინი უნდა ეკუთვნოდნენ ერთი და იმავე ხარისხისა და სახის საქონელს. ამ ანგარიშის საფუძველზე მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები აწარმოებენ კოოპერაციული ვაჭრობის ფასთა რეგისტრაციის უზრუნავს იმ ქალაქების მიხედვით, სადაც ხდება ფასების რეგისტრაცია.

გარდა ამისა, ქალაქის კოოპერაციის ანგარიშგების მონაცემთა მიხედვით ადგილობრივი სტატისტიკური სამმართველოები კვარტალში ერთხელ ადგენენ ან-

გარიშს იმ სასოფლო-სამეურნეო საქონლის საცალო გაყიდვის შესახებ, რომელსაც სამომხმარებლო კოოპერაციის საეკონომიკური ადგილობრივი ბაზრის ფასებით ყიდის (ფორმა № 2-კ). ამ ანგარიშში საჭიროა აისახოს საქონლის 23 ჯგუფის მონაცემები კვარტალის განმავლობაში გაყიდული საქონლის რაოდენობისა და თანხის აღნიშვნით. ამ ანგარიშის საფუძველზე შეიძლება საშუალო კვარტალური ფასების გამოანგარიშება საქონლის ჯგუფის მიხედვით (ფქვილი და მარცვლეული, პური და პურ-ფუნთოშეულის ნაწარმი, ბურღული, კარტაფილი, ბოსტნეული, ხორცი და ა. შ.).

საკოლმეურნეო ვაჭრობის ფასთა რეგისტრაცია ხდება ქალაქთა შერჩევით ყოველი თვის 25 რიცხვისათვის. რეგისტრაციის წესი გადმოცემული იყო IX თავში. საბჭოთა მეურნეობების საზოგადოებრივი კვების საჭიროებისათვის უზღუდება აქვთ გასცენ ხორცი, რძე, კარტაფილი და ბოსტნეული, აგრეთვე მიჰყიდონ ეს პროდუქტები თავიანთ მუშა-მოსამსახურეებს საეკონომიკური თვითღირებულების ფასებით, მაგრამ არაუმეტეს სახელმწიფო საცალო ფასებისა. ამიტომ სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ საბჭოთა მეურნეობების პროდუქციის საცალო ფასების დონე და დინამიკა, რაც წარმოებს სპეციალური შერჩევითი გამოკვლევის საშუალებით. ამ გამოკვლევით დგინდება საბჭოთა მეურნეობების მიერ გაყიდული პროდუქციის კონკრეტული ფასები და ცალკეული სახის პროდუქტთა რეალიზაციის მოცულობა.

იმ ფასებს, რომლითაც სახელმწიფო და კოოპერაციული ორგანიზაციები შეისყიდნან სოფლის მეურნეობის პროდუქციას დამზადების სახელმწიფო გეგმის ანგარიშში, ეწოდება შესყიდვის ფასები, ხოლო იმ ფასებს, რომელთა მიხედვით საბჭოთა მეურნეობების პროდუქციას ლეზულობენ დამამზადებლები, — ჩაბარების ფასები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებით, მნიშვნელოვნად გადიდდა სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების შესყიდვისა და ჩაბარების ფასები. დადგენილია, რომ სახელმწიფოსათვის პროდუქტთა ზეგეგმით მიყიდვა უნდა განაღდებულ იქნეს უფრო მაღალ ფასებში, რამდენადაც შედის ძირითადი შესყიდვის ფასის წანამატი. მაგალითად, ჰევისა და ხორბლის გაყიდვის დროს ეს წანამატი შეადგენს შესყიდვის ფასის 50%-ს.

ამა თუ იმ რაიონში შესყიდვისა და ჩაბარების ფასების, აგრეთვე დამზადებული პროდუქტების მთელი ნომენკლატურის აღწერას სტატისტიკა აწარმოებს დამამზადებელი ორგანიზაციების საბუღალტრო ანგარიშგებიდან, რომელშიც მოტანილია მონაცემები დამამზადებელ პროდუქტებზე წელიწადში ან კვარტალში (ნატურალურ და ლირებულებით გამოსახულებაში). ეს მონაცემები მოცემულია ცალკე დამამზადების წყაროთა მიხედვით: შესყიდულია კოლმეურნეობების ან მოსახლეობისაგან, ჩაბარებულია საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო მეურნეობების მიერ. დამამზადებული პროდუქციის ლირებულება (მანეთობით წელიწადში ან კვარტალში) რომ გაეყოთ მის რაოდენობაზე (ნატურალურ მაჩვენებლებში), მივიღებთ დამამზადებული პროდუქტის ერთეულის საშუალო შესყიდვის (ან ჩაბარების) ფასს.

ფასების აღრიცხვის ზემოაღნიშნული წესი საბჭოთა პირობებში პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტურისაგან. ანარქიისა და კონკურენციის პირობებში კაპიტალისტურ ქვეყნებში ფასების სტატისტიკა წარმოებს მხოლოდ ფასების შერჩევითი რეგისტრაციის საფუძველზე. შერჩევა, პირველ ყოვლისა, ხდება სასაქონლო მასის ფარგლებში. ბაზარზე მიმოქცევაშია ათეულ და ასეულ ათასობით სხვადასხვა ხარისხისა და სახეობის საქონელი ფასების სხვადასხვა დონეებით. ცხადია, წარმოდგენელია რეგისტრირებულ იქნეს ფასების მთელი ნაირსახეობა ბაზარზე. ამიტომ აწესებენ საქონელ-წარმომადგენლების ნომენკლატურას, რომლის მიხედვითაც აწარმოებენ ფასების რეგისტრაციას. ამ ნომენკლატურაში შეაქვთ ყოველი სასაქონლო ჯგუფის უფრო ვასავლიანი საქონელი და მიიჩნევენ, რომ მისი ფასების დინამიკა ასახავს მოცემული ჯგუფის საქონლის ყველა ხარისხისა და სახის ფასთა დინამიკას. შემდეგ წესდება ფასთა რეგისტრაციის განსაზღვრული თარიღები.

ფასები კაპიტალისტურ მეურნეობაში მუდმივად იცვლება. ამ პირობებში შეუძლებელია საქონლის ფასების ყოველგვარი ცვლილების რეგისტრაცია. ამიტომ იფარგლებიან ფასების დონეთა რეგისტრაციით მტკიცედ განსაზღვრული თარიღებისათვის. რეგისტრაციის თარიღთა სიხშირე განისაზღვრება რეგისტრაციაში გასატარებელი ფასის სახეობით. ნაკლებად მტკიცე (საცალო) ფასები რეგისტრაციაში ტარდება უფრო ხშირად, ვიდრე მტკიცე (საბითუმო). წესდება ფასთა რეგისტრაციის პუნქტთა განსაზღვრული ქსელი, რამდენადაც ფასები სხვადასხვა პუნქტებში განსხვავდება ერთმანეთისაგან დონითაც და დინამიკითაც. ფასების ხშირი მერყეობის გამო კაპიტალისტურ მეურნეობაში ფასების სტატისტიკას შეუძლია მათი ცვლილების მხოლოდ მიახლოებითი დახასიათება. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ ფასების სტატისტიკის მასალები ხშირად განიცდიან ფალსიფიკაციას, რათა დაფარონ ფასების ზრდა.

## 8. ცალკეული საქონლის საშუალო ფასების გამონაგარიშება

როგორც დავინახეთ, ფასებზე სტატისტიკური დაკვირვების დროს წარმოებს მათი დონის რეგისტრაცია განსაზღვრული თარიღებისათვის. პირველ შემთხვევაში რეგისტრაციის შედეგად წარმოიქმნება ფასთა დინამიკის სამომენტო მწკრივები, მეორეში კი—ინტერვალური, რომლებიც გვიხასიათებენ ფასების ცვლილებას თარიღებს შორის არსებულ ინტერვალში. ფასების საბჭოთა სტატისტიკაში ჰარბობს მწკრივთა მეორე ჯგუფი, რაც მნიშვნელოვნად აღიღებს ფასების სტატისტიკის პირველადი მასალების საიმედოობას შემდგომი გაანგარიშებისათვის. ერთ-ერთ პირველ ასეთ გაანგარიშებას წარმოადგენს საშუალო ფასების გაანგარიშება.

ფასთა სტატისტიკის მასალათა გამოყენების დროს შეფასებითი სამუშაოებისათვის და ფასთა ინდექსების გამოსაანგარიშებლად აუცილებელია ცალკეული საქონლის საშუალო ფასთა გაანგარიშება. თუ ფასები შეიცვალა თვის, კვარტალის, წლის განმავლობაში, მაშინ მოგვიხდება საშუალო თვიური, საშუალო კვარტალურ-

რი და საშუალო წლიური ფასების გამოანგარიშება. თუ მოცემულ საქონელზე ერთიანი სახელმწიფო ფასი კი არაა დაწესებული, არამედ განსხვავდება ზოლების მიხედვით, მაშინ საჭიროა საშუალო ფასის განსაზღვრა მთელი საბჭოთა კავშირისათვის მთლიანად. აუცილებელია საქონლის მთელი ჩვეულის საშუალო ფასის გაანგარიშებაც (მაგალითად, ყველა სახის ბამბის ქსოვილების ან მთლიანად კარაქისა და ა. შ.).

მდიდარი პირველადი მასალა, რომელიც საბჭოთა სტატისტიკას გააჩნია, საშუალებას იძლევა მეტად გულდასმით მივუღდეთ საშუალო ფასების გაანგარიშებას. როგორც წესი, საბჭოთა სტატისტიკაში საშუალო ფასები გამოიანგარიშება როგორც საშუალო შეწონილი. ამასთან სიხშირეებზე გამოიყენება სხვადასხვა მონაცემები და ამის მიხედვით ირჩევენ საჭირო საშუალოს. ასე მაგალითად, სიხშირეებზე შეიძლება გაყიდული საქონლის ნატურალური რაოდენობის გამოყენება. დავუშვათ, რომ 1 კგ „ა“ საქონლის ფასი მარტამდე იყო 40 კაპ., 1 მარტიდან კი დაწესებულია 30 კაპიკის ოდენობით, ვეით რიცხვით, რომ იანვარ-თებერვალში ეს საქონელი გაიყიდა 1000 კგ-ის, ხოლო მარტში—700 კგ-ის ოდენობით. როგორ გავიანგარიშოთ საქონლის საშუალო კვარტალური ფასი?

გაყიდული საქონლის რაოდენობის გამრავლებით სათანადო ფასზე მიიღება ნამრაველი, რომელიც წარმოადგენს საქონლის გაყიდვის ფაქტიურ ბრუნვას კვარტალში. მას ყოფენ კვარტალში გაყიდული საქონლის მთელ რაოდენობაზე და ლეზლობენ საშუალო ფასს. მაშასადამე, საშუალო ფასი კვარტალში უდრის:

$$\bar{p} = \frac{\sum pq}{\sum q} = \frac{(1000 \cdot 40) + (700 \cdot 30)}{1000 + 700} = \frac{61000}{1700} = 36 \text{ კაპ.}$$

საშუალო ფასის გაანგარიშების დროს ამ შემთხვევაში გამოყენებული იყო შეწონილი საშუალო არითმეტიკული. იგი გამოიყენება რეალიზებული საქონლის რაოდენობრივი აღრიცხვის დროს. სახელდობრ, საშუალო შესყიდვის ფასებისა და საკოლმეურნეო ბაზრის საშუალო ფასების გამოანგარიშებისას (გარდა საშუალო თვიური ფასებისა), რასაც ქვემოთ შევეხებით.

სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო ვაჭრობის საქონლებრუნვის სტატისტიკა არ აწარმოებს გაყიდული საქონლის აღრიცხვას ნატურალურ გამოსახულებაში. აქ შეიძლება ცნობილი იყოს მხოლოდ ბრუნვები მანეთობით, რომლებიც შეესაბამება ფასთა სხვადასხვა დონეებს. ამ შემთხვევაში არითმეტიკული საშუალო არ იძლევა სწორ შედეგს.

დავუშვათ, რომ ზემომოტანილ მაგალითში ცნობილია იანვარ-თებერვალსა და მარტში გაყიდული საქონლის არა რაოდენობა, არამედ ბრუნვები მანეთობით: 400 მანეთი იანვარ-თებერვალში და 210 მანეთი მარტში. თუ გამოვიყენებთ შეწონილ არითმეტიკულ საშუალოს, ე. ი. გადავამრავლებთ ბრუნვებს ფასებზე და ნამრავლების ჯამს გავყოფთ ბრუნვათა ჯამზე, მივიღებთ არასწორ შედეგს—37 კაპიკს. სწორი გაანგარიშება ამ შემთხვევაში იქნება შეწონილი კარტო ნიუ-

ლი საშუალოს გამოყვანა. გაანგარიშება ასეთია: პირველად ბრუნვებს ყოფენ შესაბამის ფასებზე (40000 : 40 = 1000 და 21000 : 30 = 700). შედეგად ლეზულობენ გაყიდული საქონლის ნატურალურ რაოდენობებს, შემდეგ კი ბრუნვების ჯამს ყოფენ ამ რაოდენობათა ჯამზე. საშუალო ფასი კვარტალში, გამოანგარიშებული შეწონილი ჰარმონიული საშუალოთი, იქნება:

$$\bar{p} = \frac{\sum pq}{\sum \frac{pq}{p}} = \frac{40000 + 21000}{\frac{40000}{40} + \frac{21000}{30}} = \frac{61000}{1000 + 700} = \frac{61000}{1700} = 36 \text{ კაპ.}$$

ამრიგად, შეიძლება ჩამოვყალიბოთ ზოგადი წესი: თუ საშუალო ფასის გაანგარიშებისას სიხშირედ იყენებენ ბრუნვას მანეთობით, გაანგარიშება უნდა ჩატარდეს შეწონილი ჰარმონიული საშუალოს ფორმულით. ამ მეთოდით, ჩვეულებრივ, წარმოებს საშუალო კვარტალური, საშუალო წლიური, საშუალო საკავშირო სახელმწიფო საცალო ფასების გამოანგარიშება.

თუ არაა ცნობილი არც ნატურალური რაოდენობა, არც გაყიდვის ბრუნვები, რომლებიც შეესაბამება ფასების სხვადასხვა დონეებს, მაშინ საშუალო ფასების გამოანგარიშებისას სიხშირის სახით გამოიყენება ვაჭრობის დღეთა რიცხვი.

დაეუშვათ, რომ 20 მარტამდე ფასის დონე იყო 50 კაპ. (1 კგ), 21 მარტიდან კი შემცირდა 45 კაპიკამდე. უნდა გამოვიანგარიშოთ საშუალო ფასი მარტის თვეში, თანაც ცნობილი არ არის, თუ რამდენი და რა თანხის საქონელი იყო გაყიდული 1-დან 20-მდე და 21-დან 31 მარტამდე. შეწონვას ვაჭარობებთ ვაჭრობის დღეთა რაოდენობით. მარტში 50-კაპიკიანი ფასით ვაჭრობდნენ 20 დღეს (1-დან 20-მდე), 45-კაპიკიანი ფასით კი 11 დღეს (21-დან 31-მდე).

ამასთან ისმება კითხვა: საშუალოს რომელი ფორმა უნდა გამოვიყენოთ — არითმეტიკული თუ ჰარმონიული? როგორც ზემომოტანილი მაგალითებიდან ჩანს, საშუალო ფასების გაანგარიშებისას საშუალო არითმეტიკული გამოიყენება გაყიდული საქონლის რაოდენობით შეწონვის დროს, ხოლო საშუალო ჰარმონიული — საქონელბრუნვით შეწონვის დროს. მაშასადამე, საჭიროა გადაწყდეს შეწონვის რომელი განაწილებაა უკეთესი — გაყიდული საქონლის რაოდენობა ვაჭრობის დღეების მიხედვით თუ საქონელბრუნვა? ფასის ცვლილება, როგორც წესი, მკვეთრ გავლენას ახდენს გაყიდული საქონლის რაოდენობაზე: თუ ფასი მცირდება — გაყიდული საქონლის რაოდენობა იზრდება, ხოლო თუ დიდდება — რაოდენობა მცირდება. ამრიგად, გაყიდული საქონლის რაოდენობის განაწილება არ შეესაბამება ვაჭრობის დღეთა განაწილებას ძველი და ახალი ფასით. სხვაგვარია საქონელბრუნვის განაწილება: ფასების შემცირების დროს საქონელი უფრო დაბალ ფასში იყიდება, რაც ამცირებს საქონელბრუნვას. პირიქით, ფასების ზრდის პირობებში გაყიდული საქონლის შემცირებული რაოდენობა უფრო მაღალი ფასებით შეფასდება. ამგვარად, საქონელბრუნვის განაწილება უკეთ (თუმცა არასრულად) შეესაბამე-

ბა ვაქრობის დღეთა განაწილებას ძველი და ახალი ფასით, ამიტომ ვაქრობის დღეთა რაოდენობის შეწონვის დროს გამოიყენება ჰარმონიული საშუალო:

$$\text{საშუალო ფასი მარტში: } \frac{31}{\frac{20}{50} + \frac{11}{45}} = \frac{31}{0,4 + 0,244} = \frac{31}{0,644} = 48 \text{ კაპ.}$$

ამ გაანგარიშებაში საშუალო არითმეტიკულის გამოყენება სისტემატურად ამცირებს შემცირებული ფასების ხვედრით წონას ან აღიდებს ახალი, გაზრდილი ფასების წილს, ე. ი. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში ზრდის საშუალო ფასს. ჩვეულებრივ, პრაქტიკაში საშუალო წლიური ფასის გამოანგარიშებისას გვიხდება გაანგარიშების სხვადასხვა მეთოდის კომბინირება. დაეუშვათ, რომ „ა“ საქონლის ფასი იცვლებოდა წელიწადში 2-ჯერ: 15 მარტამდე ის შეადგენდა 50 კაპ. (1 კვ-ზე), 15 მარტიდან 31 აგვისტომდე 43 კაპ., ხოლო სექტემბრიდან 48 კაპ. გამოვიანგარიშოთ „ა“ საქონლის საშუალო წლიური ფასი, თუ ცნობილია ამ საქონლის ბრუნვები კვარტალების მიხედვით: I კვარტალი—300 მანეთი, II კვარტალი—350 მანეთი, III კვარტალი—400 მანეთი და IV კვარტალი—500 მანეთი.

ჯერ უნდა გავიგოთ საშუალო კვარტალური ფასები. ფასი შეიცვალა I და III კვარტალებში. II კვარტალში იგი შეადგენდა 43 კაპიკს, IV კვარტალში კი 48 კაპიკს, ვაწარმოთ საშუალო ფასების გამოანგარიშებანი I და III კვარტალებისათვის; სინშირის სახით გამოვიყენოთ ვაქრობის დღეთა რიცხვი.

$$\text{საშუალო ფასი I კვარტალში: } \frac{90}{\frac{74}{50} + \frac{16}{43}} = \frac{90}{1,85} = 49 \text{ კაპ.}$$

$$\text{საშუალო ფასი III კვარტალში: } \frac{92}{\frac{62}{43} + \frac{30}{48}} = \frac{92}{1,44 + 0,63} = \frac{92}{2,07} = 44 \text{ კაპ.}$$

გამოანგარიშება ვაწარმოთ მთელი წლისათვის, სინშირის სახით გამოვიყენოთ კვარტალური ბრუნვები:

კვარტა- ლები	ფასი (კაპი- კობით)	ბრუნვები (კაპიკობით)	გახყოფი, მიღებული ბრუნვების გაყოფით ფასებზე (კოლოგ- რამობით)
I	49	30000	612,2
II	43	35000	813,9
III	44	40000	909,0
IV	48	50000	1041,6
		155000	3376,7

$$\text{საშუალო წლიური ფასი: } \frac{155000}{3376,7} = 46 \text{ კაპ.}$$

შეწონილი საშუალოს გამოყენება გვაძლევს უფრო სწორ შედეგს, ვიდრე შეუწონავი საშუალოსი. ამ უკანასკნელს საბჭოთა ვაჭრობის სტატისტიკაში მიმართავენ მაშინ, როდესაც ფასი რეგისტრირებულია განსაზღვრული თარიღებისათვის და ფასის დონეთა ცვლლება თარიღებს შორის უცნობია. ასეთ მდგომარეობას ხვდებიან, როცა საკმე აქვთ საკომეურნეო ბაზრის ფასებთან. ამ შემთხვევაში საშუალო თვიური ფასი გამოიანგარიშება როგორც მარტივი არითმეტიკული საშუალო წინა და საანგარიშო თვეების 25 რიცხვისათვის არსებული ფასებიდან. საშუალო კვარტალური და საშუალო წლიური ფასი გამოიანგარიშება საშუალო თვიური ფასებიდან შეწონილი არითმეტიკული საშუალოს ფორმულით (ყოველ თვეში გაყიდული საქონლის რაოდენობის მიხედვით). მარტივ შეუწონავ საშუალოებს იყენებენ რაიონული ცენტრების ფასებიდან საკომეურნეო ბაზრის საშუალო საოლქო ფასების გამოანგარიშების დროსაც.

ცალკე უნდა შევჩერდეთ იმ საქონლის ჯგუფის საშუალო ფასების გაანგარიშებაზე, რომელიც შედგება ცალკეული საქონლისაგან და ფასების სხვადასხვა დონე აქვთ; ყურადღებას დაეთმობთ აგრეთვე ერთი სახის საქონლის საშუალო ფასის გაანგარიშებას იმ შემთხვევაში, თუ ეს საქონელი მომხმარებელს მიეყიდება ვაჭრობის სხვადასხვა არხის საშუალებით სხვადასხვა ფასებში. ასეთ ვითარებაში საშუალო ფასები შეიძლება იცვლებოდეს (კონკრეტული ფასების უცვლელობის პირობებში) და ასახავდეს ერთობლიობის სტრუქტურის ცვლილებას.

მაგალითისათვის გავიანგარიშოთ კარაქის საშუალო კვარტალური ფასები რომელიმე სავაჭრო ორგანიზაციაში:

კარაქის ხარისხები	I ტონის ფასი (ათას მან.)	გაყიდა (ტ.)		იგივე (პროცენტობითა და ჯამის მიმართ)	
		II კვარტალი	III კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი
ვოლოგდის	3,8	50	150	6,3	17,6
უმაღლესი ხარისხის უმარილო	3,6	400	400	50,0	47,1
უმაღლესი ხარისხის მარილიანი	3,5	200	250	25,0	29,4
შოკოლადის	3,4	150	50	18,7	5,9
<b>ს უ ლ</b>	—	<b>800</b>	<b>850</b>	<b>100,0</b>	<b>100,0</b>

რადგან შეწონვა ხდება გაყიდული საქონლის რაოდენობის მიხედვით (ან პროცენტობით რაოდენობის ამსახველი ხვედრითი წონის მიხედვით), ამიტომ უნდა გამოვიყენოთ საშუალო არითმეტიკული.

საშუალო ფასი II კვარტალში:

$$\frac{3,8 \times 6,3 + 3,6 \times 50 + 3,5 \times 25 + 3,4 \times 18,7}{100} = \frac{23,9 + 180,0 + 87,5 + 63,6}{100} = \frac{355,0}{100} = 3,550 \text{ ათასი მან.}$$



საშუალო ფასი III კვარტალში:

$$\frac{3,8 \times 17,6 + 3,6 \times 47,1 + 3,5 \times 29,4 + 3,4 \times 5,9}{100} = \frac{66,9 + 169,6 + 103,0 + 20,1}{100} = \frac{359,6}{100} = 3,596 \text{ ათასი მან.}$$

როგორც ვხედავთ, კარაქის ფასი, მართალია, უცვლელია, მაგრამ საშუალო ფასი III კვარტალში გაიზარდა იმის გამო, რომ შეიცვალა კარაქის სტრუქტურა. ავიღოთ სხვა მაგალითი. გაეიანგარიშოთ მოსახლეობის მიერ ნაყიდი კარტოფილის საშუალო ფასი. მოსახლეობა კარტოფილს ყიდულობს სახელმწიფო საცალო ქსელში სახელმწიფო ფასებში და საკოლმეურნეო ბაზარზე — საბაზრო ფასებში. ეს ფასები შეიძლება სხვადასხვა იყოს. ამიტომ მოსახლეობის მიერ შეძენილი კარტოფილის საშუალო ფასი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შეფარდებაა სახელმწიფო საეკპრო ქსელში და ბაზარზე ნაყიდად შორის. ვუჩვენოთ ეს მაგალითზე:

წლები	1 კგ კარტოფილის საშუალო წლიური ფასი (კაპ.)		ხვედრითი წონა (პროცენტი) მოსახლეობის მიერ კარტოფილის შექენის ხარჯებში	
	სახელმწიფო	საბაზრო	სახელმწიფო საეკპრო ქსელისა	საკოლმეურნეო ბაზრისა
გასული წელი	10	15	20	80
საანგარიშო წელი	15	15	50	50

როგორც მოტანილი მონაცემებიდან ჩანს, საანგარიშო წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა სახელმწიფო საეკპრო ქსელის როლი მოსახლეობის კარტოფილით მომარაგებაში, ხილო რამდენადაც სახელმწიფო ფასი (საშუალო წლიური) საბაზრო ფასზე დაბალია, ამიტომ სახელმწიფო და საბაზრო ფასების უცვლელიობის პირობებშიც კი (როგორც ეს მაგალითშია) შექენის საშუალო ფასმა უნდა დაიკლოს. ვინაიდან სიხშირე ამ მაგალითში ფულადი ხარჯების, ე. ი. გაყიდვის ბრუნვის განაწილებას ასახავს, ამიტომ საჭიროა საშუალო პარმონიულის გამოყენება.

1 კგ კარტოფილის საშუალო ფასი გასულ წელს:

$$\frac{100}{\frac{20}{10} + \frac{80}{15}} = \frac{100}{7,3} = 13,7 \text{ კაპ.}$$

1 კგ კარტოფილის საშუალო ფასი საანგარიშო წელს:

$$\frac{100}{\frac{50}{10} + \frac{50}{15}} = \frac{100}{8,3} = 12 \text{ კაპ.}$$

მოსახლეობის მიერ კარტოფილის შექმნის საშუალო ფასი შემცირდა 13,7 კაპიკიდან 12 კაპიკამდე.

#### 4. ფასების ინდივიდუალური ინდექსები

ფასების ინდექსი ეწოდება მაჩვენებელს, რომელიც გვიხასიათებს ფასთა თანაფარდობას. ყველაზე ხშირად წარმოებს სხვადასხვა დროის ფასების შედარება; ამ შემთხვევაში ფასების ინდექსები ახასიათებენ მათ დინამიკას. მაჩვენებელს, რომელიც ახასიათებს ცალკეული საქონლის ფასთა თანაფარდობას, ეწოდება ინდივიდუალური, ანუ ერთსაქონლიანი ფასის ინდექსი. თუ მაჩვენებელი გვაძლევს ყველა საქონლის (ან საქონელთა ჯგუფის) ფასების თანაფარდობათა კრებსით დახასიათებას, მაშინ მას ეწოდება ფასების საერთო (ან ჯგუფური) ინდექსი. საერთო ინდექსებს ხშირად ეწოდებათ უბრალოდ ფასების ინდექსები. ფასების სტატისტიკა საბჭოთა ვაჭრობაში ამომწურავ მასალას გვაძლევს როგორც ინდივიდუალური, ასევე საერთო და ჯგუფური ფასების ინდექსების ასაგებად.

რომელიმე საქონლის ფასის ინდივიდუალური ინდექსი არის შეფარდებითი სიდიდე, რომელიც მიღებულია ახალი ფასის (შეცვლის შემდეგ) გაყოფით შეცვლამდე არსებულ ფასზე. მაგალითად, ფოტოაპარატ „ფედ-2“-ის ფასი 1960 წ. 1 მარტამდე იყო 65 მანეთი, ხოლო 1 მარტიდან—52 მანეთი; ფასის ინდივიდუალური ინდექსი უდრის  $\left(\frac{52}{65}\right)$  0,8 ანუ 80%-ს, ე. ი. ფოტოაპარატ „ფედ-2“-ის ფასი შემცირდა 20%-ით (100—80).

ამ დინამიკურ ინდექსში დროის პერიოდს, რომლის ფასის დონეც ხასიათდება, ეწოდება საანგარიშო პერიოდი, ხოლო პერიოდს, რომელსაც ეს დონე შეედარება, ჰქვია საბაზისო პერიოდი. საანგარიშო პერიოდის ფასი რომ აღვნიშნოთ  $p_1$ -ით, საბაზისო პერიოდისა კი  $p_0$ -ით, მაშინ ინდივიდუალური (ერთსაქონლიანი) ინდექსი  $i_p$  გამოიანგარიშება ფორმულით:

$$i_p = \frac{P_1}{P_0}.$$

მაშასადამე, ფასის ინდივიდუალური ინდექსი არის საანგარიშო პერიოდის ფასის შეფარდება საბაზისო პერიოდის ფასთან.

ჩვეულებრივ, ფასების ინდექსთა გაანგარიშებანი წარმოებს საანგარიშო პერიოდის საშუალო წლიური ფასების შედარების საფუძველზე საბაზისო პერიოდის საშუალო წლიურ ფასებთან. მაგრამ ამასთან წარმოიშობა ზოგიერთი სიძნელე. განვიხილოთ საშუალო წლიური ფასების ინდივიდუალური ინდექსთა გამომანგარიშების რამდენიმე მაგალითი (ციფრები პირობითია).

მაგალითი 1. „ა“ საქონლის ფასი გასული წლის 1 აპრილიდან შემცირდა 10%-ით, ხოლო მიმდინარე წლის 1 აპრილიდან—კიდევ 5,8%-ით. გამოსაან-

გარიშებელია მიმდინარე წლის საშუალო წლიური ფასის ინდექსი გასული წლის საშუალო წლიურ ფასთან შედარებით. გამანგარიშებას ვაფორმებთ შემდეგ ცხრილში:

პერიოდები	საქონლებრუნვა „ა“ საქონლისა ფაქტიურ ფასებში (მან.)	ფასის ინდექსი (გასული წლის I კვარტალი=1)	საქონლებრუნვა გასული წლის I კვარტალის ფასებში (მან.)
გასული წელი, I კვარტალი	8910	1,00	8910
I-IV კვარტალები	26410	0,9	29344
წლიური ჯამი	35320	0,923	38254
მიმდინარე წელი, I კვარტალი	8510	0,9	9739
II-IV კვარტალები	29520	0,948	34929
წლიური ჯამი	38030	0,959	44718

I სვეტში ჩაწერილია საქონლებრუნვა „ა“ საქონლის მიხედვით ფაქტიურ ფასებში, ფასების სხვადასხვა დონეებით; მე-2 სვეტში—ფასების ინდექსები, გამოსახული გასული წლის I კვარტალის ფასის დონესთან შეფარდებით. ვინაიდან გასული წლის I კვარტალიდან ფასი შემცირდა 10%-ით, ამიტომ მიმდინარე წლის II-IV კვარტალებისა და I კვარტალის ფასის ინდექსი (ფასის ახალ ცვლილებამდე) იქნება 0,9. მიმდინარე წლის I კვარტალიდან ფასი ხელახლა შემცირდა 5,8%-ით, მაშასადამე II—IV კვარტალების ფასების ინდექსი ტოლი იქნება  $0,9 \cdot 0,942 = 0,848$ . მე-3 სვეტში მოცემულია საქონლებრუნვა გასული წლის I კვარტალის ფასებში, რომელიც მიღებულია ფაქტიურ ფასებში საქონლებრუნვის გაყოფით (სვეტი 1) ფასის ინდექსზე (სვეტი 2)<sup>1</sup>. წლიური ჯამობრივი ინდექსები მიღებულია წლის ფაქტიური საქონლებრუნვის გაყოფით საქონლებრუნვაზე გასული წლის I კვარტალის ფასებში. მაგალითად,  $0,923 = 35320 : 38254$  და  $0,859 = 38430 : 44718$ . ეს ინდექსები გვიხანიათებენ ფასების საშუალო წლიურ დონეებს, რომლებიც გამოისახება გასული წლის I კვარტალის ფასთან შეფარდებით. ისინი ერთიმეორეზე რომ გავყოთ, მივიღებთ მიმდინარე წლის საშუალო წლიური ფასის საძიებელ ინდექსს გასული წლის საშუალო წლიურ ფასთან შედარებით. საშუალო წლიურ ფასთა ინდექსი უდრის:  $0,931 \left( \frac{0,859}{0,923} \right)$ , ანუ 93,1%. მიმდინარე

წლის საშუალო წლიური ფასი გასული წლის საშუალო წლიურ ფასთან შედარებით შემცირდა 6,9%-ით.

მაგალითი 2 (სეზონური ფასების დროს). ახალი კომპოსტის ფასი გაზაფხულზე (II კვარტალი), ჩვეულებრივ, უფრო მაღალია 40—50 პროცენტით, ვიდრე სხვა პერიოდში, საანგარიშო და გასულ წელს კომპოსტის ფასები არ შემცირებულა.

<sup>1</sup> მართლაც,  $p_1 q_1 : p_0 = p_0 q_1$ .

ლა, მაგრამ საშუალო წლიური ფასის ინდექსი შეიძლება ერთზე მეტი ან ნაკლები იყოს, რაც დამოკიდებულია საქონელბრუნვის ხვედრითი წონის ცვლილებაზე კვარტალების მიხედვით.

ვეჩვენოთ ეს მაგალითზე (ციფრები პირობითია), სადაც ფასები კომბოსტოზე გაზაფხულის პერიოდში 50%-ით მალაღია.

პერაოდება	ფასების ინდექსები გასული წლის I კვარტალის მიხედვით	საქონელბრუნვა (ათ. მან.)	
		ვაქტიურ ფა-სებში	გასული წლის I კვარტალის ფასებში
გასული წელი			
I კვარტალი	1,0	10	10
II კვარტალი	1,5	30	20
III-IV კვარტალები	1,0	70	70
წლიური ჯამი	1,10	110	100
საანგარიშო წელი			
I კვარტალი	1,0	10	10
II კვარტალი	1,5	45	30
III-IV კვარტალები	1,0	60	60
წლიური ჯამი	1,15	115	100

გაანგარიშების სქემა ისეთივეა, როგორც წინა მაგალითში. მიუხედავად იმისა, რომ კომბოსტოზე ფასი არ შეცვლილა არც გასულ და არც საანგარიშო წელს, კომბოსტოს საშუალო ფასი საანგარიშო წელს უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე წინა წელს (1,15 და 1,10). ეს აიხსნება საანგარიშო წელს საქონელბრუნვის ხვედრითი წონის ამალღებით გაზაფხულის პერიოდში ფასების უფრო მაღალი ღონის გამო. კომბოსტოს საშუალო წლიური ფასის ინდექსი საანგარიშო წელს,

გასულ წელთან შედარებით, უდრის  $\frac{1,15}{1,10} = 1,045$ .

საშუალო წლიური ფასი საანგარიშო წელს გადიდდა 4,5%-ით.

თუ ფასების ინდექსები გამოიანგარიშება დროის რამდენიმე თანმიმდევრული მონაკვეთისათვის (რამდენიმე კვარტალის, წლისათვის), მაშინ წარმოიშობა ფასის ინდექსთა მწკრივები. ისინი შეიძლება აიგოს საბაზისო და ჭაჭვეური სისტემით. საბაზისო სისტემის დროს ყველა პერიოდის ფასები უპირისპირდება ერთი რომელიმე პერიოდის ფასს, რომელიც აღებულია საბაზისო პერიოდად. ჭაჭვეური სისტემის პირობებში ყოველი პერიოდის ფასი უპირისპირდება წინა პერიოდის ფასს. ამრიგად, ინდექსის ბაზა ყოველთვის იცვლება.

საბაზისო და ჭაჭვეური სისტემის ფასთა ინდექსების გამოანგარიშება ვეჩვენოთ ერთი საქონლის მაგალითზე:

საქონლის საბაზისო და ჩაქვური ხისტების ინდექსები „ა“ საქონლისათვის

მაჩვენებლები	ჯანსული წლი: IV კვარტალი	საანგარიშო წელი			
		I კვარტალი	II კვარტალი	III კვარტალი	IV კვარტალი
1. კვ-ის საშუალო ფასი—კაპ.	27	26	26	25	24
ინდექსების საბაზისო სისტემა (ჯანსული წლის IV კვარტალი=100)	100	96,3	96,3	92,6	88,9
ინდექსების ჯანსური სისტემა (წინა კვარტალი=100)	—	96,3	100	96,2	96,0

ფასების ინდივიდუალური ინდექსებისათვის ჩაქვურ ინდექსთა ნამრავლი უდრის საბაზისო ინდექსებს (და პირიქით, განაყოფი, მიღებული საბაზისო ინდექსების გაყოფით, გვაძლევს ჩაქვურ ინდექსს). ჩვენს მაგალითში საანგარიშო წლის IV კვარტალის ინდექსმა გასული წლის IV კვარტალთან შედარებით შეადგინა:  $\frac{24}{27} = 0,889$ , ანუ 88,9%. ეს ინდექსი უდრის შუალედური ჩაქვური ინდექსების ნამრავლს:

$$\frac{24}{27} = \frac{26}{27} \cdot \frac{26}{26} \cdot \frac{25}{26} \cdot \frac{25}{25}$$

5. ფასთა საერთო ინდექსის გამოანგარიშების ძირითადი პრინციპები

დავუშვათ, რომ მოცემული გვაქვს ფასები სამ საქონელზე საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში და გვინდა მოენახოთ ფასების საშუალო ცვლილების კრებითი დახასიათება:

საქონელი	საშუალო ფასები (კაპიტლით)		ფასების ინდივიდუალური ინდექსები
	საბაზისო პერიოდში	საანგარიშო პერიოდში	
ა <sup>ა</sup>	100	90	0,90 ანუ 90 %
ბ <sup>ბ</sup>	160	120	0,75 ანუ 75 %
გ <sup>გ</sup>	200	160	0,80 ანუ 80 %

როგორც ვხედავთ, ფასები შემცირდა სხვადასხვაგვარად: პირველ საქონელზე 10%-ით, მეორეზე—25%,-ით და მესამეზე—20%-ით. როგორ გამოვიანგარიშოთ ფასების საერთო ინდექსი?

რომ შეიძლებოდეს ფასთა შეჯამება (როგორც, მაგალითად, ბრუნვები ცალკეული საქონლის გაყიდვების მიხედვით), მაშინ, თუ შევაჯამებდით მათ საქონლის

ცალკეული სახის მიხედვით საბაზისო და საანგარიშო პერიოდებისათვის, ხოლო საანგარიშო პერიოდის ჯამს გავყოფდით საბაზისო პერიოდის ჯამზე მივიღებდით მათი დინამიკის კრებსით დახასიათებას. ასეთი გაანგარიშება ჩვენს მაგალითში შემდეგ სახეს მიიღებდა:

$$\frac{90+120+160}{100+160+200} = \frac{370}{460} = 0,804 \text{ ანუ } 80,4 \%$$

მაშასადამე, ფასებმა საშუალოდ დაიწია 19,6 %-ით, მაგრამ ასეთი გაანგარიშების გამოყენება არ შეიძლება იმ ფასთა მიმართ, რომლებიც სხვადასხვა სახმარ ღირებულებას ეხება. მაშინაც კი, როდესაც საქონლის ნატურალური რაოდენობა ერთნაირი ერთეულებით იზომება, სხვადასხვა საქონლის ერთსახელიან ერთეულთა ფასების შეჯამება მოკლებულია ყოველგვარ აზრს. არ შეიძლება შევაჯამოთ ფასები 1 კგ პურის, ჩაის, მარლისა, რომ აღარაფერი ვთქვათ ათი ცალი კვერცხისა და ერთი მეტრი ჩითის ფასზე. ამრიგად, ფასთა საშუალო დინამიკის კრებსითი დახასიათება მათი უბრალო შეჯამებით შეუძლებელია.

მაგრამ იქნება შეიძლებოდეს არითმეტიკული საშუალოს გამოანგარიშება ინდივიდუალური ინდექსებიდან? ჩვენს მაგალითში იგი იქნება:

$$\frac{0,90+0,75+0,90}{3} = \frac{2,45}{3} = 0,817 \text{ ანუ } 81,7 \%$$

ე. ი. ამ გაანგარიშებით ფასმა საშუალოდ დაიწია 18,3 %-ით. ეს გაანგარიშება უფრო სწორია, ვიდრე პირველი, რადგან სხვადასხვა ფასების აბსოლუტური დონე გავლენას არ ახდენს ფასთა საშუალო ცვლილების მაჩვენებლებზე. თუმცა ვერც ეს გაანგარიშება ჩაითვლება ზუსტად, რადგან სხვადასხვა საქონელი საქონელბრუნვაში სხვადასხვა როლს ასრულებს. ერთია ფასების ცვლილება, ვთქვით. დილებზე და სულ სხვა—პურზე, რადგან ამ საქონელთა ხვედრითი წონა მოსახლეობის ბიუჯეტში სხვადასხვაგვარია. ფასების საერთო ინდექსი სინამდვილეში არის ინდივიდუალური ინდექსების საშუალოც, მაგრამ შეწონილი საშუალო და არა აუცილებლად არითმეტიკული.

ინდექსებში არითმეტიკულ საშუალოსთან ერთად, როგორც შემდგომ დავინახავთ, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ჰარმონიული საშუალოც.

მაგალითები გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა საქონლის ფასთა ინდექსების გაანგარიშებისას არ შეიძლება შემოვიფარგლოთ მონაცემებით მარტოოდენ ფასების დონეთა შესახებ, საჭიროა ვიხელომდევანელოთ აგრეთვე საქონელბრუნვის მაჩვენებლით, რომლის უმნიშვნელოვანესი ელემენტი ფასია. ცალკეული საქონლის საქონელბრუნვა წარმოადგენს ფასებისა და გაყიდული საქონლის რაოდენობის ნამრავლს. მთელი საქონელბრუნვა არის ცალკეული საქონლის გაყიდვის ბრუნვათა

ჯამი. გაყიდული საქონლის ოდენობა საანგარიშო პერიოდში აღენიშნოთ  $q_1$ -ით და ცალკეული საქონლის განსხვავებულობა—მეტრებით. მთელი საქონელბრუნვა საანგარიშო პერიოდში გამოისახება როგორც გაყიდული საქონლის რაოდენობისა და შესაბამისი ფასების ნამრავლთა ჯამი:

$$p_1'q_1' + p_1''q_1'' + \dots + p_1^nq_1^n = \sum p_1q_1$$

ცხადია, მთელი საქონელბრუნვა საბაზისო პერიოდში გამოისახება ამგვარად:

$$\sum p_0q_0$$

საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვა რომ საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვას შევედაროთ, მივიღებთ საქონელბრუნვის ინდექსს ფაქტიურ ფასებში:

$$I_{pq} = \frac{\sum p_1q_1}{\sum p_0q_0}$$

ამ მაჩვენებლის ცვლილება განპირობებულია ორი ფაქტორით: ფასებისა და გაყიდული საქონლის რაოდენობის ცვლილებებით. ამ მაჩვენებლის საფუძველზე შეიძლება მივიღოთ ორივე ფაქტორის ინდექსები. ფასების საშუალო ცვლილების (ფასების ინდექსის) დასახასიათებლად საკმარისა გამოვიყენოთ გაყიდული საქონლის რაოდენობის ცვლილების გავლენა, ე. ი. გაყიდული საქონლის ოდენობა მრიცხველშიც და მნიშვნელშიც უნდა შეესაბამებოდეს ერთი პერიოდის მაჩვენებელს; ხოლო საქონელბრუნვის მოცულობის დინამიკის უცვლელ ფასებში დასახასიათებლად ინდექსის მრიცხველშიც და მნიშვნელშიც ფასები უნდა ავიღოთ ერთი რომელიმე პერიოდის დონეზე. შედეგად მივიღებთ ორ ინდექსს: ფასების ინდექსს და საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსს.

ამრიგად, ფასების ინდექსის აგება უნდა განვიხილოთ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის აგებასთან კავშირში, რომელთანაც ერთად იგეგმვას ინდექსების ერთან სისტემას; ამოსავალია საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელი ფაქტიურ ფასებში.

შესაძლებელია შეიქმნას ინდექსების ორი სისტემა:

$$(I) \quad \frac{\sum p_1q_1}{\sum p_0q_0} = \frac{\sum p_1q_1}{\sum p_0q_1} \times \frac{\sum p_0q_1}{\sum p_0q_0};$$

$$(II) \quad \frac{\sum p_1q_1}{\sum p_0q_0} = \frac{\sum p_1q_0}{\sum p_0q_0} \times \frac{\sum p_1q_1}{\sum p_1q_0}.$$

ორივე სისტემაში პირველ ინდექსს (ტოლობის მარჯვენა ნაწილში) წარმოადგენს ფასების ინდექსი, ხოლო მეორეს—საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი. ისინი ერთმეორისაგან განსხვავდებიან იმით, რომ პირველ სისტემაში ფასების ინდექსი შეწონილია (თანაშეზომილია) საანგარიშო პერიოდის საქონელთა რაოდენობით, ხოლო საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი—საბაზისო პერიოდის ფასებით; მეორე სისტემაში ფასების ინდექსი შეწონილია

საბაზისო პერიოდის საქონლის ოდენობით, საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსში კი მიღებულია საანგარიშო პერიოდის უცვლელი ფასები. ინდექსების პირველი ან მეორე სისტემის არჩევა განისაზღვრება ინდექსების ეკონომიური მნიშვნელობით.

პირველ რიგში განვიხილოთ ფასების ინდექსი. მუდმივ სიდიდეებად (სიხშირეებად) ავიღოთ საანგარიშო პერიოდის ოდენობანი და მაშინ მისი ფორმულა იქნება ასეთი:

$$I_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1} \quad (1)$$

ეს ინდექსი შედის პირველ სისტემაში.

თუ მუდმივ სიდიდეებად ავიღებთ საბაზისო პერიოდის საქონელთა ოდენობებს, მაშინ ფასების ინდექსის ფორმულა ასეთ სახეს მიიღებს:

$$I_p = \frac{\sum p_1 q_0}{\sum p_0 q_0} \quad (2)$$

ეს ინდექსი შედის მეორე სისტემაში.

ფასების ორივე ინდექსი წარმოადგენს აგრეგატულ ინდექსებს. ისინი გვიხასიათებენ ფასების საშუალო ცვლილებას საანგარიშო პერიოდში საბაზისო პერიოდთან შედარებით.

მაგრამ ერთი და იმავე კონკრეტული მასალის გამოყენებით ფასთა ინდექსის გაანგარიშებამ (1) და (2) ფორმულებით შეიძლება მოგვეცეს ფასთა საშუალო ცვლილების სხვადასხვა სიდიდე საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში (სასაქონლო მასის სხვადასხვა შემადგენლობის გამო). თუ გაანგარიშება ხდება (1) ფორმულით, მაშინ ფასების ინდექსი წარმოადგენს ფაქტიური საქონელბრუნვის ჯამის შეფარდებას საქონელბრუნვის ჯამთან, რომლის დროსაც საანგარიშო პერიოდის სასაქონლო მასა გაიყიდებოდა საბაზისო პერიოდის ფასებით. ამრიგად, ეს ინდექსი გვიჩვენებს საანგარიშო პერიოდში გაყიდული სასაქონლო მასის ფასთა საშუალო ცვლილებას საბაზისო პერიოდთან შედარებით.

თუ გამოანგარიშება წარმოებენ (2) ფორმულის მიხედვით, მაშინ ფასების ინდექსი არის საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვის თანხის შეფარდება (საანგარიშო პერიოდის ფასებში) საბაზისო პერიოდის საქონელბრუნვის ფაქტიურ თანხასთან. ეს ინდექსი გვიხასიათებს აგრეთვე საანგარიშო პერიოდის ფასთა საშუალო ცვლილებას საბაზისო პერიოდის ფასებთან შედარებით, მაგრამ იმ სასაქონლო მასაზე ფასის ცვლილებას, რომელიც გაყიდულია არა საანგარიშო, არამედ საბაზისო პერიოდში.

რადღუნდაც საქონლის ცალკეულ სახეთა თანაფარდობანი ფასების სხვადასხვა ცვლილებით სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულია, ეს ინდექსები მოგვეცემენ ფასების საშუალო ცვლილების სხვადასხვაგვარ მაჩვენებლებს.

პირველი ინდექსის ეკონომიური უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი გვიჩვენებს საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის ფასების ცვლილებას.



მის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია გავიანგარიშოთ არა მარტო ფასების საშუალო ცვლილების შეფარდებითი მაჩვენებლები (ინდექსი), არამედ ამ ცვლილების სახალხო-სამეურნეო ეფექტურობის აბსოლუტური ციფრებიც. ეს უკანასკნელნი გვიხასიათებენ ეკონომიკას, რომელიც შექმნილია ფასების შემცირების შედეგად, ან გადახარჯვას, თუ ფასებმა აიწია.

მართლაც, ინდექსის მრიცხველში ( $\Sigma p_1q_1$ ) მოცემულია საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის ფაქტიური თანხა. თუ შეისწავლება საცალო ფასები, მაშინ ეს არის ფაქტიური თანხა, რომელიც მოსახლეობამ გადაიხადა საანგარიშო პერიოდში საქონლის შესყიდვისას საცალო ვაქრობაში. ინდექსის მნიშვნელში ( $\Sigma p_0q_1$ ) საქონელბრუნვა მოცემულია საბაზისო პერიოდის ფასებით. მაშასადამე, ფასები რომ არ შეცვლილიყო, ეს თანხა უნდა გადაეხადა მოსახლეობას საანგარიშო პერიოდში შექმნილ საქონელში. თუ საანგარიშო პერიოდის ფასები საბაზისო პერიოდის ფასებზე დაბალია, მაშინ ეს თანხა იქნება მეტი (ფასების ინდექსი იქნება ერთზე ნაკლები). ამასთან აბსოლუტურ გამოსახულებაში მეტი იმ თანხით, რომელიც მოიგო მოსახლეობამ ფასების შემცირების გამო.

მაშასადამე, ფასების შემცირების შედეგად ეკონომიის აბსოლუტური თანხა მიიღება როგორც სხვაობა ფასების ინდექსის მნიშვნელსა და მრიცხველს შორის, რომელიც გამოანგარიშებულია ფორმულით (!):

$$\Sigma p_0q_1 - \Sigma p_1q_1$$

ფასების ზრდის შემთხვევაში ეს განსხვავება უარყოფითია, ე. ი. ცხადყოფს საქონლის გაძვირებას.

ფორმულა (2), სადაც ფასების ცვლილება დაკავშირებულია საბაზისო პერიოდის სასაქონლო მასასთან, არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასეთი გამოანგარიშებისათვის.

მართლაც, სხვაობა ინდექსის მნიშვნელსა და მრიცხველს შორის ( $\Sigma p_0q_0 - \Sigma p_1q_0$ ) გვიხასიათებს მოსახლეობის ეკონომიკას. რაც მან მიიღო საანგარიშო პერიოდის იმ შესყიდვიდან, რომელიც მოახდინა საბაზისო წელს, ე. ი. სიდიდეს, რომელსაც უფრო ნაკლები ეკონომიური მნიშვნელობა გააჩნია. ამიტომ ფასების ინდექსის ფორმულა (1) საბჭოთა სტატისტიკაში საყოველთაოდაა მიღებული.

თუ არჩეულაა ფასების ინდექსის ფორმულა (1), მაშასადამე, არჩეულია საინდექსო სისტემა, რომელიც აკავშირებს ფასების ინდექსს საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსსა და საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელთან ფაქტიურ ფასებში. სწორედ ამით განისაზღვრება წინასწარ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის ფორმულაც. თუ ფასების ინდექსი გაიანგარიშება საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის რაოდენობით, მაშინ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი განისაზღვრება ფორმულით:

$$I_p = \frac{\Sigma p_0q_1}{\Sigma p_0q_0}$$

ე. ი. საბაზისო პერიოდის უცვლელი ფასებით.

ასეთა ფასების ინდექსისა და საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის გაანგარიშების პრინციპები საბჭოთა სტატისტიკაში.

**6. ფასების ინდექსის გაანგარიშება აგრეგატული ინდექსის სქემის მიხედვით. შესყიდვის ფასებისა და საკომლმენტო ბაზრის ფასების ინდექსები**

ზემომოტანილი მაგალითი გამოიყენეთ ფასთა ინდექსის გამოსაანგარიშებლად აგრეგატული ინდექსის სქემის მიხედვით:

საქონელი	ზომის ერთეული	საშუალო ფასები (კაპიტალით)		საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის რაოდენობა	საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის ბრუნვა (მანეთობით)	
		საბაზისო პერიოდში	საანგარიშო პერიოდში		საბაზისო პერიოდის ფასებში	საანგარიშო პერიოდის ფასებში
„ა“	კგ	100	90	1000	1000	900
„ბ“	მ	160	120	500	800	600
„გ“	ცალი	200	160	100	200	160
ჯამი	—	—	—	—	2000	1660

დავუშვათ, რომ საანგარიშო პერიოდში გაიყიდა 1000 კგ „ა“ საქონელი, 500 მ „ბ“ საქონელი და 10 ცალი „გ“ საქონელი. ამ საქონელთა რაოდენობა რომ გადავამრავლოთ საანგარიშო პერიოდის საშუალო ფასებზე, მივიღებთ ბრუნვებს ყოველი საქონლის მიხედვით (სვ. 5), ბრუნვების თანხა სამივე საქონელზე უდრის 1660 მანეთს ( $\sum p_1q_1 = 1660$ ). ახლა საქონლის იგივე ოდენობა გადავამრავლოთ საბაზისო პერიოდის საშუალო ფასზე და მიღებული ბრუნვებიც (სვ. 4) შევკრიბოთ. მიღებული თანხა ( $\sum p_0q_1 = 2000$ ) პირველზე მეტი აღმოჩნდა იმის გამო, რომ ფასების საერთო დონე საბაზისო პერიოდში უფრო მაღალი იყო, ვიდრე საანგარიშო პერიოდში. სწორედ პირველი თანხის შეფარდება მეორესთან მოგვცემს ფასების საშუალო ცვლილების დახასიათებას. ფასების ინდექსი, მაშასადამე, უდრის:

$$I_p = \frac{\sum p_1q_1}{\sum p_0q_1} = \frac{1660}{2000} = 0,83 \text{ ანუ } 83\%.$$

სამივე საქონლის ფასი საშუალოდ შემცირდა 17 %-ით. ფასების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიის აბსოლუტური თანხა შეადგენს 340 მანეთს (2000—1660).

ფასთა ინდექსის გამოანგარიშების დროს საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის ცალკეულ სახეთა ოდენობა როგორც საანგარიშო, ისე საბაზისო პერიოდში ფასდება საშუალო ფასებით, ამასთან საშუალოები გაიანგარიშება სათანადო პერიოდის ფაქტიური სტრუქტურით. ეს იმას ნიშნავს, რომ

საქონლის რომელიმე სახის ბრუნვის სტრუქტურის შეცვლა (ვთქვათ, ხვედრითი წონის გადიდება ტერიტორიულ ბრუნვაში, სადაც საქონლის ფასი უფრო მაღალია, ან თვეების ბრუნვაში, როდესაც საქონლის ფასი მატულობს და ა. შ.) გავლენას ახდენს ამ საქონლის საშუალო ფასის ცვლილებაზე და, მაშასადამე, ფასების საერთო ინდექსზე. ამიტომ ფასთა საერთო ინდექსის ფორმულა უნდა დაგვეწერა ასე:

$$I_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1}$$

ხაზი მნიშვნელში  $p_0$ -ის თავზე გვიჩვენებს, რომ საანგარიშო პერიოდში საქონლის ცალკეულ სახეთა ოდენობა ფასდება საშუალო საბაზისო ფასებით. შესაბამისად, საქონლებრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის ფორმულა გამოისახები ასე:

$$I_q = \frac{\sum \bar{p}_0 q_1}{\sum p_0 q_1}$$

განგარიშების ასეთი მეთოდის დროს საქონლის ცალკეულ სახეთა ბრუნვების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილება გავლენას არ ახდენს საქონლებრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსზე.

როგორც განხილული მაგალითიდან ჩანს, ფასების ინდექსის განგარიშება აგრეგატული ინდექსის სქემის მიხედვით შესაძლებელია მაშინ, როდესაც ცნობილია გაყიდული საქონლის ოდენობა ნატურალურ გამოსახულებაში. საბჭოთა ვაჭრობაში გაყიდული საქონლის ოდენობა აღირიცხება დამზადების სტატისტიკასა და საკომპერტუნო ბაზრებზე გაყიდვების სტატისტიკაში, ამიტომ შესყიდვისა და საკომპერტუნო ბაზრების ფასთა ინდექსები გაიანგარიშება აგრეგატული ინდექსის სქემის მიხედვით.

სახელმწიფო შესყიდვის ფასების საფუძველზე სსრ კავშირის ცსს-ში გაიანგარიშება ფასების წლიური ინდექსები. საშუალო წლიური ფასები ამ ინდექსებისათვის განისაზღვრება დამზადების სტატისტიკის მასალების მიხედვით, დამზადებული პროდუქტების ღირებულებისა და რაოდენობის მთლიანი აღრიცხვის საფუძველზე. ამ ფასების დონეზე გავლენას ახდენს მოცემული საქონლის შესყიდვით შექმნილი სტრუქტურა ტერიტორიებისა და სეზონების მიხედვით (თუ შესყიდვის ფასები იცვლება სეზონურად).

1958 წელს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში განისაზღვრა სახელმწიფო დამზადება-შესყიდვების საშუალო ფასთა ინდექსი 1952—1958 წლებისათვის. რამდენადაც 1958 წელს შეიცვალა სახელმწიფო დამზადების წესი, ამ ინდექსში აღებულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უცვლელი რაოდენობა, რომელიც შემოვიდა 1956 წელს სახელმწიფო დამზადების ყველა სახეობიდან (სავალდებულო მიწოდება, კონტრაქტაცია, სახელმწიფო შესყიდვა). თითოეული პროდუქტის დამზადებათა მოცულობა შეფასებულია ყოველი წლის სა-

შუალო ფასებით და მიღებული თანხა პროდუქტთა ცალკეული ჯგუფებისა და მთელი კომპლექტის მიხედვით შეტანილია ამ კომპლექტის ღირებულებაში 1952 წლის ფასებით, რომელიც ბაზადაა აღებული. ეს ინდექსი მოგვსახსნის პროდუქტების უმნიშვნელოვანესი ჯგუფების მიხედვით, რომელიც შეესებულება 1962 წლის მონაცემებით<sup>1</sup>.

კოლმეურნეობების, კოლმეურნეების, მუშებისა და მოხსენაურების მიერ დამზადებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების სახელმწიფო დამზადება-შესყიდვის ფასთა საშუალო ინდექსი 1952—1962 წლებში (1952 წ. = 1,0)

პროდუქტების ჯგუფები	1952 წ.	1956 წ.	1962 წ.
მარცელეული	5,53	6,95	8,48
ტექნიკური აულტურები	1,17	1,43	1,43
ფურცენი და ხ-ლი	1,38	1,79	1,67
კარტოფილი	3,68	7,89	10,43
პირუტყვი	5,45	11,75	15,28
რძე	3,03	4,04	4,74
კვერცხი	1,52	2,97	3,39
მატალი	1,53	2,52	3,16
<b>ყველა პროდუქტი</b>	<b>2,09</b>	<b>2,96</b>	<b>3,32</b>

ცხრილი გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ წლებში მნიშვნელოვანად გაიზარდა სახელმწიფო დამზადება-შესყიდვის ფასები. იგი გადაიქცა სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი აღმავლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად.

შესყიდვის ფასების ახალი მნიშვნელოვანი გადიდება მოხდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის დადგენილებით.

ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე გაყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასთა ინდექსებს სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოები განსაზღვრავს ყოველთვიურად, ყოველკვარტალურად და ყოველწლიურად. ამასთან ბაზად აიღება წინა თვე და გასული წლის შესაბამისი პერიოდი, აგრეთვე ხანგრძლივი დინამიკური მწკრივების რომელიმე წელი, რომელიც მუდმივ ბაზადაა აღებული (1940, 1950 ან სხვა რომელიმე წელი).

მაგალითისათვის მოვიტანოთ უკანასკნელი წლების მონაცემები, რომლებშიც ინდექსები გამოანგარიშებულია პროცენტულად 1950 წლის მიმართ (იგი აღებულია 100-ად) (იხ. შემდეგ გვერდზე).

ცხრილი მიუთითებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასთა მერყეობაზე ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე. ეს იმ სიძნელეთა შედეგია, რომლებიც გამოვლინდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმზე. ამ სიძ-

<sup>1</sup> С. Т. Столяров, О ценах и ценообразовании в СССР, М., 1963, стр. 105.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ფასთა ინდექსები ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებზე  
(251 შერჩეული ქალაქის სსსრ-ის მონაცემები)

სასაქონლო ჯგუფები და ქვეჯგუფები	1958 წ.	1960 წ.	1963 წ.	1964 წ.
ყველა საქონელი (პირუტყვის ჩათვლით)	119	101	131	138
ყველა საქონელი (პირუტყვის გარეშე)	107	107	129	135
მეცენარეობის პროდუქტები	110	107	134	133
პურპროდუქტები	67	64	99,7	119
მათ შორის:				
მარცვლეული	67	62	89	111
საფქვილე	53	49	91	120
საბურღლე	63	63	97	105
კარ. კოვლი	119	119	170	159
ბოსტნეული	131	119	155	161
მათ შორის:				
კომბოსტო	146	148	193	190
ხახვი	124	91	130	162
სილი	118	115	124	118
მცენარეული ზეთი	70	67	68	75
მეცხოველების პროდუქტები	102	105	119	142
ხორცი და ხორცპროდუქტები	115	109	121	151
მათ შორის:				
საქონლას	126	127	143	171
ღორის	84	92	99,6	123
ფრინველის	120	129	146	156
ჩაქე და ჩაქის პროდუქტები	92	96	116	125
მათ შორის:				
ჩაქე	84	88	108	114
ცხრო-კარაქი	67	66	102	151
კვარცხი	96	96	112	123
პირუტყვი	132	128	150	164

ნელეთა შედეგად სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნამატის ტემპები ჩამორჩე-  
ბოდა დეკალბებს და ვერ აკმაყოფილებდა გაზრდილ მოთხოვნილებას მასზე. ყუ-  
რადლებას იქცევს ფასთა დინამიკის დიდი სწვადასვაობა საქონლის ცალკეულ  
ჯგუფთა მიხედვით. საკოლმეურნეო ბაზრის ფასთა დინამიკა იმის მაჩვენებელია,  
რომ სუსტია შეთანხმებულობა მასში; საქონლის ცალკეულ სახეთა ფასები დამო-  
კიდებულია მოცემული პროდუქტის წარმოების პირობებზე, სახელმწიფო ფასებსა  
და სახელმწიფო ვაჭრობაში ცალკეული გასაყიდი პროდუქტების არსებობაზე,  
აგრეთვე ბევრ სხვა ფაქტორზე, რომლებიც განსაზღვრავენ მოთხოვნა-მიწოდებას  
საკოლმეურნეო ბაზარზე.

ცხრილში მოტანილი საქონლის ჯგუფებისა და ქვეჯგუფების ნომენკლატურა  
დამახასიათებელია საკოლმეურნეო ბაზრის ფასების ინდექსთა გაანგარიშებისათვის.

საერთო-სასაქონლო ინდექსი ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: მეცენარეობისა  
და მეცხოველეობის პროდუქტებად. მათში იქმნება საქონლის ჯგუფები (პურპროდუ-

დუქტები, ბოსტნეული, ხორცი, ხორცპროდუქტები და ა. შ.), ხოლო თვით საქონლის ჯგუფებში საქონლის უფრო კონკრეტული ქვეჯგუფები. თითოეულ ქვეჯგუფში, როგორც წესი, რამდენიმე სახის საქონელი შედის. მაგალითად, მარცვლეულში 6 სახის საქონელია, ფქვილეულში—4 სახისა (ქვავისა, ჩვეულებრივად ნაფქვავი ხორბლისა, ხარისხოვანი ხორბლისა, სხვა ფქვილი), ბურღულში—ასევე 4 სახისა.

ერთსა და იმავე საქონელზე ერთსა და იმავე თვეში საკოლმეურნეო ბაზრის ფასი განსხვავდება ერთმანეთისაგან (კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მიხედვით, აგრეთვე სხვადასხვა ქალაქებისათვის). ამიტომ სხვადასხვა ფასის მქონე საქონლის ბრუნვათა ხვედრითი წონის ცვლა საკოლმეურნეო ბაზრის ბრუნვებში გავლენას ახდენს საშუალო ფასსა და ფასთა საერთო ინდექსზე. კერძოდ, კოლმეურნეობების მიერ გაყიდული საქონლის ხვედრითი წონის გადიდებას საკოლმეურნეო ბაზრის ბრუნვებში (რამდენადაც ისინი, როგორც წესი, საქონელს უფრო იაფად ყიდიან, ვიდრე კოლმეურნეები) შედეგად მოსდევს ფასთა საერთო დონის რამდენადმე შემცირება საკოლმეურნეო ბაზარზე.

საკოლმეურნეო ბაზრის ფასთა საერთო ინდექსზე არსებით გავლენას ახდენს ცალკეული ქალაქებისა (საოლქო ინდექსისათვის) და ოლქების (რესპუბლიკური და საერთო-საკავშირო ინდექსებისათვის) ხვედრითი წონის ცვლილებაც. განვმარტოთ ეს მაგალითით.

სიძარტივისათვის დაუშვათ, რომ ფასთა საოლქო ინდექსი განისაზღვრება ორი ქალაქისათვის (A და B) სამი საქონლის („ა“, „ბ“ და „გ“) მიხედვით, რომელთა ფასებიც არსებითად განსხვავდება ამ ქალაქებში. მივიღოთ აგრეთვე, რომ საანგარიშო პერიოდში არსებითად შეიცვალა ამ ქალაქთა ხვედრითი წონა საკოლმეურნეო ბაზარზე საქონლის რეალიზაციის საერთო მოცულობაში.

გავიანგარიშოთ ფასთა საერთო ინდექსები თითოეული ქალაქის მიხედვით ცალ-ცალკე:

ფასთა ინდექსების გაანგარიშება A ქალაქისათვის

საქონლი	საბაზისო პერიოდი			საანგარიშო პერიოდი			საანგარიშო პერიოდის საქონლის რაოდენობა საბაზისო პერიოდის ფასებში (ათას მან.)	ფასთა ინდექსი
	რაოდენობა (ტონობით)	1 მბ-ის საშუალო ფასი (კაპიტობით)	ბრუნვა (ათას მან.)	რაოდენობა (ტონობით)	1 მბ-ის საშუალო ფასი (კაპიტობით)	ბრუნვა (ათას მან.)		
ა.ა.	100	100	100	150	80	120	150	0,8
ა.ბ.	200	50	60	300	30	90	90	1,0
ა.გ.	500	250	750	400	200	800	1000	0,9
ჯამი	—	—	910	—	—	1010	1240	0,815

$$\text{ფასთა საერთო ინდექსი A ქალაქის მიხედვით} = \frac{1010}{1240} = 0,815, \text{ ანუ } 81,5 \% \text{-ს.}$$

ფასთა ინდექსის გაანგარიშება B ქალაქისათვის

საქონელი	საბაზისო პერიოდი			საანგარიშო პერიოდი			საანგარიშო პერიოდის საქონლის რაოდენობა (აბაზისო პერიოდის ფასებში (ათას მ.გ.))	ფასთა ინდექსები
	რაოდენობა (ტონობით)	1 კვ.-ის საშუალო ფასი (კაპიტობით)	ბრუნვა (ათას მ.გ.)	რაოდენობა (ტონობით)	1 კვ.-ის საშუალო ფასი (კაპიტობით)	ბრუნვა (ათას მ.გ.)		
ა.ა.	50	40	40	100	60	60	80	0.75
ბ.ბ.	100	25	25	200	24	48	50	0.96
გ.გ.	150	200	200	300	150	540	600	0.90
ჯამი	—	—	365	—	—	648	750	0,888

ფასთა საერთო ინდექსი B ქალაქის მიხედვით =  $\frac{648}{730} = 0,888$ , ანუ

88,8 %-ს.

ამრიგად, A ქალაქში ფასები საშუალოდ შემცირდა 18,5%-ით, ხოლო B ქალაქში—11, 2%-ით.

ახლა გავიანგარიშოთ ფასთა საერთო ინდექსი A და B ქალაქებისათვის ერთად. ამისათვის შევჯამოთ გაყიდული საქონლის რაოდენობა (სვეტები 1 და 4) და ბრუნვები (სვეტები 3 და 6) საბაზისო და საანგარიშო პერიოდებში, რის საფუძველზეც გავიანგარიშებთ საშუალო ფასებს.

ფასთა ინდექსის გაანგარიშება A და B ქალაქებისათვის ერთად

საქონელი	საბაზისო პერიოდი			საანგარ-შო პერიოდი			საანგარიშო პერიოდის საქონლის რაოდენობა საბაზისო პერიოდის ფასებში (ათას მ.გ.)	ფასთა ინდექსები
	რაოდენობა (ტონობით)	1 კვ.-ის საშუალო ფასი (კაპიტობით)	ბრუნვა (ათას მ.გ.)	რაოდენობა (ტონობით)	1 კვ.-ის საშუალო ფასი (კაპიტობით)	ბრუნვა (ათას მ.გ.)		
ა.ა.	150	93,3	140	250	72	180	294,2	0.77
ბ.ბ.	300	29,3	85	500	27,6	138	141,5	0.97
გ.გ.	450	293	1050	700	191	1340	1631,0	0.92
ჯამი	—	—	1275	—	—	1158	2066,7	0,827

ფასთა საერთო ინდექსი ორივე ქალაქისათვის ერთად =  $\frac{1658}{2005,7} = 0,827$ ,

ანუ 82,7%-ს.

ორივე ქალაქისათვის ერთად ფასები საკოლმეურნეო ბაზარზე შემცირდა 17,3%-ით.

როგორც მაგალითიდან ჩანს, ფასთა საერთო ინდექსი ორივე ქალაქისათვის ერთად გვიჩვენებს ფასების ღონეთა საშუალო ცვლილებას (საანგარიშო პერიოდის)

ერთნაირ საქონელზე, მაგრამ მისი ისეთი გეოგრაფიული განაწილებისას, რომელიც ფაქტიურად წარმოიშვა საბაზისო და საანგარიშგებო პერიოდებში. მასზე, მაშასადამე, გარდა თვით ფასების დონეთა ცვლილებისა, ცალკეული ქალაქების ფარგლებში გავლენას ახდენს აგრეთვე ქალაქთა ხვედრითი წონის ცვლილებაც საქონლის საერთო რეალიზაციაში საკომლექტურნო ბაზარზე. ყერძოდ, საანგარიშო პერიოდში გაიზარდა B ქალაქის ხვედრითი წონა, სადაც ფასთა დონეები საკომლექტურნო ბაზარზე უფრო დაბალია, ვიდრე A ქალაქში. ამ ფაქტორმა დამატებითი გავლენა მოახდინა ორივე ქალაქისათვის გამოანგარიშებულ ფასების საერთო ინდექსზე.

თუ წარმოებს რესპუბლიკური ან საერთო-საკავშირო ფასთა ინდექსების გაანგარიშება, მაშინ მათზე გავლენას მოახდენს ოლქებისა და მოკავშირე რესპუბლიკების ხვედრითი წონების ცვლილება საერთო საქონელბრუნვაში.

საინდექსო მეთოდის დახმარებით შეიძლება დავადგინოთ სასაქონლო მასის გეოგრაფიული განაწილების ცვლილების გავლენის სიდიდე ფასების საშუალო ინდექსზე. ამ გაანგარიშების მეთოდოლოგია ვაჩვენოთ ზემოთ გარჩეულ მაგალითზე.

გეოგრაფიულმა ფაქტორმა ფასთა საერთო ინდექსზე გავლენა მოახდინა იმიტომ, რომ ამ ინდექსის მნიშვნელში საბაზისო პერიოდის საშუალო ფასები გაანგარიშებული იყო საბაზისო პერიოდის ფაქტიური სტრუქტურით. გეოგრაფიულმა ფაქტორმა რომ ფასთა საერთო ინდექსზე გავლენა არ იქონიოს, საჭიროა საბაზისო პერიოდის საშუალო ფასება ინდექსის მნიშვნელში აღებულ იქნეს არა ფაქტიური, არაქედ საანგარიშო პერიოდის სტრუქტურით. სხვაგვარად, ფასთა საერთო ინდექსის მნიშვნელის მისაღებად უნდა შევჯამოთ ცალკეული ქალაქებისათვის დადგენილი ბრუნვები, სადაც საანგარიშო პერიოდის საქონლის რაოდენობა შეფასებულია საბაზისო პერიოდის ფასებით (ცხრილის მესამე სვეტი).

ამრიგად, თუ ფასთა საერთო ინდექსის მნიშვნელში მივიღებთ საბაზისო პერიოდის საშუალო ფასებს, რომლებიც გაანგარიშებულია საანგარიშო პერიოდის სასაქონლო მასის განაწილების სტრუქტურით, მაშინ იგი ტოლი იქნება 1970 ათასი

საქონელი	საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის რაოდენობა საბაზისო პერიოდის ფასებით (ათას მანეთობით)		
	ქალაქი A	ქალაქი B	ორივე ქალაქი
ა	150	80	230
ბ	90	50	140
გ	1000	600	1600
ჯამი	1240	730	1970

სი მანეთისა და არა 2005,7 ათასი მანეთისა, როგორც ამას უფრო ადრე ჰქონდა აღვნიშნო.

მაშასადამე, ფასების ინდექსი გეოგრაფიული ფაქტორის გავლენის გარეშე იქნება

$$\frac{1658}{1970} = 0,842, \text{ ანუ } 84,2 \%$$



ფასების საშუალო შემცირება ორივე ქალაქის მიხედვით „წმინდა სახით“ შეადგენდა 15,80 %-ს.

ფასთა საერთო ინდექსზე სასაქონლო მასის გეოგრაფიული გადანაწილების გავლენის ინდექსს მივიღებთ, თუ ფასების მეორე ინდექსის მნიშვნელს ( $\Sigma p_0q_1 = 1970$ ) გავყოფთ ფასების პირველი ინდექსის მნიშვნელზე ( $\Sigma \bar{p}_0q_1 = 2005,7$ ). გეოგრაფიული ფაქტორის გავლენის ინდექსი ტოლია:

$$\frac{\Sigma p_0q_1}{\Sigma \bar{p}_0q_1} = \frac{1970}{2005,7} = 0,982 \text{ ანუ } 98,2 \%$$

ეს ნიშნავს, რომ B ქალაქის (სადაც უფრო დაბალი ფასებია) ხვედრითი წონის გადიდებას საანგარიშო პერიოდში ფასების ინდექსი დამატებით შეამცირა 1,8 %-ით.

„წმინდა სახით“ ფასების ინდექსის გამრავლება გეოგრაფიული ფაქტორის გავლენის ინდექსზე იძლევა ფასების ამოსავალ ინდექსს:

$$0,842 \cdot 0,982 = 0,827.$$

ამრიგად, ფასების საერთო შემცირება 17, 3%-ით განპირობებულია ცალკეულ ქალაქებში ფასების დონეთა შემცირებით (15,8 %-ით) და სასაქონლო მასის გეოგრაფიული განაწილებით (1,8 %-ით).

ფასების საერთო ინდექსის ორ სუბინდექსად (ფასების ცვლილება „წმინდა სახით“ და გეოგრაფიული ფაქტორის გავლენა) დაშლის განხილულ მეთოდოლოგიას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. იგი გამოიყენება ყოველთვის, როცა საქონლის საშუალო ფასთა ცვლილება განპირობებულია ფასების კონკრეტული დონეებისა და სხვადასხვაფასიანი სასაქონლო მასის სტრუქტურის ცვლილებით. ზემოთ დავინახეთ (იხ. § 3), რომ გეოგრაფიულ ფაქტორთან ერთად აქამდე მიეყვართ აგრეთვე სასაქონლო მასის განაწილების ცვლილებას (წლის დროთა მიხედვით, თუკი არსებობს სეზონური ფასები) და სხვა ანალოგიურ ფაქტორებს. თუ განვიხილავთ პრობლემას ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ ფასთა საერთო ინდექსი უდრის „წმინდა სახით“ ფასების ინდექსისა და სასაქონლო მასაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსის ნამრავლს, ალგებრულად იგი შეიძლება გამოვსახოთ ასე:

$$\frac{\Sigma p_1q_1}{\Sigma p_0q_1} = \frac{\Sigma p_1q_1}{\Sigma p_0q_1} \times \frac{\Sigma p_0q_1}{\Sigma p_0q_1}$$

ფასთა
ფასების ინდექსი
სტრუქტურული  
ინდექსი
(„წმინდა სახით“)
ძვრების გავლენის ინდექსი

ახლა ეს საინდექსო ტოლობა განვიხილოთ ზემოთ მოტანილ მაგალითზე იმ თანხების აბსოლუტურ განსხვავებათა ეკონომიური შინაარსის მიხედვით, რომლებიც შედარებულია ინდექსებში. ფასთა ინდექსის ეს განსხვავებანი ახასიათებს მოგებას, რომელიც მოსახლეობამ ფასების შემცირების შედეგად მიიღო. საანგარიშო

პერიოდში საკოლმეურნეო ბაზარზე ფასების შემცირების შედეგად მოსახლეობის მიერ მიღებული მოგება იქნება:

ა)  $A$  ქალაქის მიხედვით:  $1240 - 1010 = 230$  ათას მან.

ბ)  $B$  ქალაქის მიხედვით:  $730 - 648 = 82$  ათას მან.

სულ  $230 + 82 = 312$  ათას მან.

მიღებული მოგების თანხა ორივე ქალაქისათვის ერთად (312) შეადგენს სხვაობას „წინდა სახით“ ფასთა ინდექსის მნიშვნელსა და მრიცხველს შორის (1970—1658). ფასთა საერთო ინდექსის მნიშვნელსა და მრიცხველს შორის სხვაობა კი უდრის 347,7 ათას მანეთს (2005,7—1685).

## 7. ფასთა აგრეგატული ინდექსის გარდაქმნა.

სახელმწიფო საცალო ფასთა ინდექსის გამოანგარიშება

ფასების აგრეგატული ინდექსი  $\left(\frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1}\right)$  შეიძლება გარდაიქმნას საშუალო

არითმეტიკულ და საშუალო ჰარმონიულ ინდექსებად. ასეთი გარდაქმნის საკიროება ჩნდება იმის გამო, რომ ხშირად არა გვაქვს მონაცემები გაყიდული საქონლის ნატურალურ რაოდენობათა შესახებ და საერთო ინდექსის განსაზღვრის საფუძველს წარმოადგენს ერთსაქონლიანი ან ჯგუფური ინდექსები სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. ამ ინდექსებიდან საშუალო ინდექსის გაანგარიშებისას ხშირად ისმის კითხვა, თუ საშუალოს რომელი ფორმა გამოვიყენოთ და რა მივიღოთ ერთსაქონლიანი და ჯგუფური ინდექსების სიხშირეებად?

საკითხი წყდება სწორედ ფასების ამოსავალი აგრეგატული ინდექსის გარდაქმნით მის იგივეობრივ ინდექსებად—საშუალო არითმეტიკულ და საშუალო ჰარმონიულ ინდექსებად.

გარდაქმნა წარმოებს ფასის ინდივიდუალური ინდექსის დახმარებით  $\left(i = \frac{p_1}{p_0}\right)$

რომელიც წარმოადგენს საანგარიშო და საბაზისო პერიოდის საშუალო ფასები შეფარდებას.

ფასის ინდივიდუალური ინდექსის ფორმულიდან გამოდის:

$$p_1 = i p_0 \text{ და } p_0 = \frac{1}{i} p_1.$$

თუ აგრეგატული ინდექსის მრიცხველში  $p_1$  (უფრო სწორად,  $\bar{p}_1$ ) შევცვალეთ  $i \bar{p}_0$ -ით, მაშინ მივიღებთ ფასების საშუალო არითმეტიკულ ინდექსს:

$$I = \frac{\sum i \bar{p}_0 q_1}{\sum p_0 q_1}.$$

ამ შემთხვევაში ფასთა საერთო ინდექსი მიიღება ინდივიდუალური ინდექსებიდან როგორც საშუალო არითმეტიკული, ხოლო სიხშირეთა სახით გამოიყენება  $\bar{p}_0 q_1$ . სიხშირეთა ასეთ ხასიათს (საშუალო საბაზისო ფასების გამრავლება საანგარიშო პერიოდის რაოდენობებზე) არავითარი უპირატესობა არ გააჩნია აგრეგატულ ინდექსთან შედარებით, რადგან მოითხოვს მონაცემებს საანგარიშო პერიოდში გაყიდულა საქონლის ნატურალური რაოდენობის შესახებ. ამიტომ ფასთა საშუალო არითმეტიკული ინდექსი პრაქტიკაში ძალიან იშვიათად გამოიყენება.

თუ აგრეგატული ინდექსის მნიშვნელში  $\bar{p}_0$ -ს შევცვლით  $\frac{1}{i} p_1$ -ით, მაშინ მივიღებთ ფასების ჰარმონიულ საშუალო ინდექსს:

$$I_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum \frac{1}{i} p_1 q_1}.$$

ამ შემთხვევაში ფასთა საერთო ინდექსი მიიღება როგორც საშუალო ჰარმონიული ინდექსი ინდივიდუალური ინდექსებიდან და სიხშირედ გამოიყენება  $p_1 q_1$ , ე. ი. საანგარიშო პერიოდის ფაქტიური საქონლებრივნა.

მაშასადამე, ფასთა ამოსავალი აგრეგატული ინდექსი ფასების არითმეტიკულ და ჰარმონიულ საშუალო ინდექსთა იგივეობრივია. თითოეულ მათგანს აქვს წონების სრულიად განსაზღვრული სისტემა.

$$\frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1} = \frac{\sum i \bar{p}_0 q_1}{\sum \bar{p}_0 q_1} = \frac{\sum p_1 q_1}{\sum \frac{1}{i} p_1 q_1}.$$

სახელმწიფო საცალო ფასთა ინდექსის განსაზღვრისას ფართოდ გამოიყენება ჰარმონიული საშუალო ინდექსი, რადგან ამ პირობებში საჭიროა მონაცემები არა გაყიდული საქონლის ნატურალური რაოდენობის, არამედ მხოლოდ საანგარიშო პერიოდის ბრუნვების შესახებ (ფაქტიურ ფასებში). აქ იგულისხმება ფასშეცვლილი საქონელი ან საქონელთა ჯგუფება, აგრეთვე ფასების ინდივიდუალური ან ჯგუფური ინდექსები.

მაგრამ ამ შემთხვევაში გვხვდება პრაქტიკული სიძნელეები; ისინი წარმოიშობა იმასთან დაკავშირებით, რომ ანგარიშებაში საცალო საქონლებრივნა ნაჩვენებია მსხვილი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, მაშინ როდესაც ამ საქონელთა ჯგუფებში საქონლის ცალკეულ სახეთა ფასები შესაძლოა ერთნაირად არ იცვლებოდეს. მაშასადამე, ფასთა საერთო ინდექსის დადგენამდე უნდა გავიანგარიშოთ ჯგუფური ინდექსები. საამისოდ განისაზღვრება ხვედრითი წონა ფასების სხვადასხვა ინდექსებიანი საქონლის ჯგუფის ბრუნვაში. ამისათვის იყენებენ მონაცემებს, ამოკრეფილს სავაჭრო ორგანიზაციაში საქონლის მიღების შესახებ არსებული დოკუმენტებიდან, აგრეთვე ასორტიმენტის მიხედვით საბაზრო ფონდების საბითუ-

მო რეალიზაციის სტატისტიკის მასალებს, დაბოლოს საქონლის წარმოების ასორტიმენტის მონაცემებს,

დაევუვათ, რომ საანგარიშო პერიოდის ბრუნვებში „ა“ საქონლის ხვედრითი წონა (სადაც ფასების ინდექსია, ეთქვათ, 0,75) შეადგენდა 60 %-ს, ხოლო „ბ“ საქონლისა (სადაც ინდექსია 0,8)—40 %-ს. მაშინ სასაქონლო ჯგუფის ფასთა ჯგუფური ინდექსი განისაზღვრება შეწონილი ჰარმონიული საშუალოს ფორმულით:

$$\frac{100}{\frac{60}{0,75} + \frac{40}{0,8}} = \frac{100}{80 + 50} = \frac{100}{130} = 0,769, \text{ ანუ } 76,9 \%$$

ასევე განისაზღვრება ყველა იმ სასაქონლო ჯგუფის ჯგუფური ინდექსები, რომელთაც განიცადეს საქონლის ფასების გარკვეული ცვლილებანი. ასეთ გაანგარიშებათა შემდეგ შეიძლება შევუდგეთ ფასთა საერთო ინდექსის განსაზღვრას. ვაჩვენოთ ეს მაგალითზე (იხ. ცხრილი).

ცხრილის პირველ ორ სვეტში წარმოდგენილია უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციების ანგარიშგებებიდან ამოღებული მონაცემები. მესამე სვეტში ჩაწერილია ზემოხსენებული წესით განსაზღვრულ ფასთა ჯგუფური ინდექსები. მეოთხე სვეტი ანგარიშგებადია. მასში გაანგარიშებულია საანგარიშო პერიოდის ბრუნვები საბაზისო (შესადარ) ფასებში (ფაქტიურ ფასებში საანგარიშო პერიოდის ბრუნვების გაყოფით ფასთა ინდექსზე). ყველა სახის საქონლის ბრუნვები უფრო მაღალი აღმოჩნდა, ვიდრე ფაქტიური ფასებით გამოსახული ბრუნვები (ფასები ყველა სახის საქონელზე შემცირებულია). აბსოლუტური სხვაობა მათ შორის წარმოადგენს ეკონომიის თანხას, რომელიც მიიღება ფასების შემცირების შედეგად (სვ. 5).

სასაქონლო ჯგუფების დახასიათება	ბრუნვები ფაქტიურ ფასებში (ათას მან.)		ფასთა ჯგუფური ინდექსები	საანგარიშო პერიოდის ბრუნვა საბაზისო ფასებში (ათას მან.)	ფასების შემცირებით მიღებული ეკონომია (ათას მან.)
	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი			
	1	2			
პურა და პურუქნთუშულის ნაწარმი	250	300	0,72	416,7	116,7
ბურღელი და მკარონის ნაწარმი	175	200	0,80	250,0	50,0
ხორცი და ძეხვეულის ნაწარმი	225	300	0,70	428,6	128,6
თევზი, ქაშაუი, თევზის კონსერვები	200	250	0,76	328,9	78,9
გრძობ-კარაქი	100	150	0,70	214,3	64,3
მცენარეული ზეთი	200	220	0,90	214,4	24,4
სხვ. ცხიმები	250	220	0,67	417,9	137,9
რძე და რძის პროდუქტები	150	200	0,87	229,9	29,9
შაქარი	125	150	0,86	174,4	24,4
ნ. ა. ა.	75	100	0,88	113,6	13,6

	1	2	3	4	5
საკონდიტრო ნაწარმი	200	240	0,85	282,3	42,3
მარილი	50	60	0,58	103,4	43,4
სასურსათო საქონლის ჯამი	2000	2450	0,764	3204,4	754,4
ბაშბის ქსოვილები	200	300	0,85	352,9	52,9
შალის ქსოვილები	500	470	0,88	566,3	96,3
აბრეშუმის ქსოვილები	200	320	0,88	362,6	43,6
სამკერვალო ნაწარმი	500	700	0,86	813,9	113,9
თავსამკაულები	50	70	0,70	100,0	30,0
სატრიაკოტაო ნაწარმი, წინდები	150	200	0,87	250,0	30,0
ტყავის ფეხსაცმელი	600	800	0,85	941,2	141,2
გალანტერეა	200	220	0,80	275,0	55,0
სარეცხისა და ხელის საპონი	200	300	0,57	526,3	226,3
პარფიუმერია	100	150	0,76	205,5	55,5
არასასურსათო საქონლის ჯამი	2500	3530	0,807	4374,7	844,7
<b>ს უ ლ</b>	<b>4500</b>	<b>5980</b>	<b>0,769</b>	<b>7579,1</b>	<b>1599,1</b>

ფასების საერთო ინდექსი მიიღება საანგარიშო პერიოდის ფაქტიური ბრუნვების ჯამის (მე-2 სვეტის ჯამი) გაყოფით დადგენილი ბრუნვების ჯამზე (მე-4 სვეტის ჯამზე).

ასე მაგალითად, სასურსათო საქონლის ფასის ინდექსი უდრის 0,764 (2450 : 3204,4), ანუ 76,4%-ს, არასასურსათო საქონლისა—0,807 (3530 : 4374,7), ანუ 80,7%-ს, მთელი საქონლებრუნვისა კი—0,789 (5980 : 7579,1), ანუ 78,9%-ს.

მაშასადამე, ფასები საშუალოდ შემცირდა სასურსათო საქონელზე 23,6%-ით, არასასურსათოზე—19,3%-ით, ხოლო მთლიანად—21,1%-ით, მოცემულ საეპრო ორგანიზაციაში საქონლის ფასთა შემცირებით მიღებული ეკონომიის საერთო თანხა საანგარიშო პერიოდში შეადგენს 1599,1 ათას მანეთს.

ცხრილის I სვეტი არ არის გამოყენებული ფასების ინდექსის გამოსაანგარიშებლად. ეს ციფრები საჭიროა საქონლებრუნვის მოცულობის ინდექსის დასადგენად, რაზეც ქვემოთ შევიჩრდებით.

როგორც მაგალითიდან ჩანს, ფასების ინდექსზე გავლენას ახდენს არა მარტო ფასების ცვლილება საქონლის ცალკეული ჯგუფების მიხედვით, არამედ საქონლებრუნვის სტრუქტურაც, მასში სასაქონლო ჯგუფების თანაფარდობა ფასების სხვადასხვაგვარი ცვლილებით. ამიტომ, მართალია, სახელმწიფო საცალო ფასების დონეები და ცვლილებანი ერთნაირია ყველა საეპრო სისტემისათვის, მაგრამ ფასთა საერთო ინდექსები შესაძლებელია განსხვავდებოდეს საეპრო სისტემის მიხედვით საქონლებრუნვის სხვადასხვაგვარი სტრუქტურის გამო. ეს განაპირობებს ფასთა საერთო ინდექსების განგარიშების აკვილებლობას საეპრო სისტემების, კერძოდ სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემის მიხედვით. ეს გამოწვეულია იმით,

რომ სამომხმარებლო კოოპერაცია ვაქრობას აწარმოებს სოფლად, სადაც საქონელბრუნვის სტრუქტურა ქალაქთან შედარებით განსხვავებულია.

### 8. საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი

საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსები გვიხასიათებს საქონლას გაყიდვის დინამიკას შესაღარ ფასებში. ფიზიკური მოცულობის ინდექსები ცალკეული საქონლის მიხედვით განისაზღვრება საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის რაოდენობის ( $q_1$ ) გაყოფით საბაზისო პერიოდის საქონლის რაოდენობაზე ( $q_0$ ) ნატურალურ გამოსახულებაში. ასე მაგალითად, თუ ცნობილია, რომ ანგარიშო თვეში ქალაქის საკოლმეურნეო ბაზარზე გაიყიდა 30000 ლ რძე, წინა თვეში კი—25000 ლ, მაშინ გაყიდული რძის ფიზიკური მოცულობის ინდექსი ტოლი იქნება  $1,20 \left( \frac{q_1}{q_0} = \frac{30000}{25000} \right)$ , ანუ 120%-ისა. გაყიდული რძის მოცულობა გაიზარდა 20 %-ით.

სხვადასხვა სახის საქონლის ნატურალურ ოდენობათა შეჯამება არ შეიძლება. მაშასადამე, ეს მაჩვენებლები, ისევე როგორც ფასები, არ შეიძლება შევაჯამოთ სხვადასხვაგვაროვანი საქონლის მიხედვით. ამიტომ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის საერთო ინდექსში ცალკეული სახის საქონლის ნატურალური ოდენობანი წინასწარ მრავლდება ერთნაირ ფასებზე, რის შედეგადაც მიიღება ბრუნვები მანეთობით შესაღარ ფასებში.

უცვლელი ფასები უნდა ავიღოთ საბაზისო პერიოდის დონეზე, რადგან საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი, გამრავლებული ფასების ინდექსზე მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგვცემს საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელს ფაქტიურ ფასებში:

$$\frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0} \times \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_1 q_0} = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_0}$$

მაშასადამე, საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის მრიცხველსა და ფასების ინდექსის მნიშვნელში მოცემულია ერთი და იგივე სიდიდე.

საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის გაანგარიშება ვუჩვენოთ შემდეგ მაგალითზე:

საქონელი	ზომის ერთეული	გაყიდული საქონლის ოდენობა		საშუალო ფასები საბაზისო პერიოდში (კაპიტობით)	გაყიდული საქონლის ბრუნვები შესაღარ ფასებში (მანეთობით)	
		საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი		საბაზისო პერიოდი (სვ. 1 X სვ. 3)	საანგარიშო პერიოდი (სვ. 2 X სვ. 3)
ა	კგ	10000	11000	40	4000	4400
ბ	ლ	50000	65000	10	5000	6500
გ	ლ	250000	300000	20	50000	60000
სულ	—	—	—	—	59000	70900

განგარიშების წესი ნაჩვენებია ცხრილის სათაურებში. საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის საერთო ინდექსი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის ბრუნვების შეფარდებას შესაღარ ფასებში საბაზისო პერიოდის ფაქტიურ ბრუნვასთან:

$$I_q = \frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0} = \frac{70900}{59000} = 1,202 \text{ ანუ } 120,2 \%$$

გაყიდული სამივე სახის საქონლის ოდენობა მთლიანად გადიოდა 20,2 პროცენტით.

ასეთია საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსთა განსაზღვრის პირველი სქემა, რომელიც ემყარება აგრეგატული ინდექსის უშუალო გამოყენებას.

საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის განსაზღვრის ზემომოტანილი სქემის გამოყენება არ შეიძლება სახელმწიფო და კოოპერაციულ საბითუმო და საცალო ვაჭრობაში, რადგან სავაჭრო ორგანიზაციათა ანგარიშგება არ შეიცავს რაოდენობრივ მონაცემებს რეალიზებულ საქონლის შესახებ. ამიტომ ამ შემთხვევაში მიმართავენ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის განსაზღვრის მეორე სქემას, რომელიც ეყრდნობა ფასების ინდექსს.

როგორც საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის ფორმულიდან ჩანს, ინდექსის მრიცხველი წარმოადგენს საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვას სახელმწიფო და კოოპერაციულ საცალო ვაჭრობაში, გამოსახულს საბაზისო პერიოდის ფასებში. ასეთ გადაფასებას აღწევენ საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის გაყოფით ფასთა ინდექსზე. ამრიგად, დაეადგენთ რა ფასთა ინდექსის მნიშვნელს, შეიძლება შემდეგ იგი გამოვიყენოთ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის მრიცხველის სახით. მაშასადამე, ზემომოტანილ ერთ-ერთ ცხრილში (იხ. გვ. 244—245) მოცემული გვაქვს ყველა აუცილებელი მონაცემი საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსთა გასაანგარიშებლად როგორც მთლიანად, ისე სასაქონლო ჯგუფების მიხედვით, მეოთხე სვეტის მონაცემები რომ პირველი სვეტის მონაცემებზე გავყოთ, მივიღებთ ფიზიკური მოცულობის ინდექსებს:

სასურსათო საქონლის მიხედვით:  $\frac{3204,4}{2000,0} = 1,602;$

არასასურსათო საქონლის მიხედვით:  $\frac{4374,7}{2500,0} = 1,750;$

ყველა სახის საქონლის მიხედვით:  $\frac{7579,1}{4500,0} = 1,684.$

სხვაობა მრიცხველსა და მნიშვნელს შორის საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსში წარმოგვიდგენს საანგარიშო წელს რეალიზებული სასაქონლო მასის მატების აბსოლუტურ თანხებს, გამოსახულს საბაზისო ფასებით.

დასასრულ, არსებობს საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის გამომანგარიშების მესამე სქემაც, რომელიც ემყარება საინდექსო სისტემას,

ეს სქემა აკავშირებს მას ფასების ინდექსთან და საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელთან ფაქტიურ ფასებში.

ამ სისტემის მიხედვით, საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი უდრის საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელს ფაქტიურ ფასებში, გაყოფილ ფასთა ინდექსზე.

დავუბრუნდეთ ჩვენს მაგალითს. მასში საქონელბრუნვა ყველა სახის საქონლის მიხედვით (ფაქტიურ ფასებში) 4500 ათასი მანეთიდან გაიზარდა 5980 ათას მანეთამდე საანგარიშო პერიოდში, მაშასადამე, საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელი ფაქტიურ ფასებში შეადგენდა:  $\frac{5980}{4500} = 1,329$ , ანუ 132,9 %-ს.

ფასების ინდექსი უდრიდა 0,789-ს, ხოლო საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი — 1,329-ს. საქონელბრუნვის დინამიკის შემომოტანილი მაჩვენებელი შეიძლება მიღებულ იქნეს ამ ინდექსთა ერთიმეორეზე გადამრავლების შედეგად:  $0,789 \times 1,684 = 1,329$ .

ინდექსთა ეს სისტემა გვიჩვენებს, რომ საქონელბრუნვის გადიდება 32,9%-ით ფაქტიურ ფასებში გაპირობებულია მოსახლეობისათვის მიყიდული სასაქონლო მასის 68,4%-იანი ზრდით, აგრეთვე საქონლის ფასების 21,1%-იანი შემცირებით.

ინდექსთა მოტანილი სისტემა დაეწერათ აბსოლუტური თანხების სახით, რომლებიც ქმნიან შესაბამის მაჩვენებლებს:

$$\frac{5980}{7579,1} \times \frac{7579,1}{4500} = \frac{5980}{4500}.$$

ფასთა ინდექსის მნიშვნელსა და მრიცხველს შორის სხვაობა არის ეკონომიის თანხა, რომელიც მიიღო მოსახლეობამ საანგარიშო პერიოდში ფასების შემცირების შედეგად. იგი უდრის 1599,1 ათას მანეთს (7579,1—5980). საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობა წარმოადგენს საანგარიშო პერიოდში გაყიდული საქონლის მატებას (შესაძარ ფასებში), რომელიც შეადგენს 3079,1 ათას მანეთს (7579,1—4500). საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებლის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის სხვაობა ფაქტიურ ფასებში გვიხასიათებს, თუ რა თანხით მეტი საქონელი გაიყიდა საანგარიშო პერიოდში. იგი შეადგენს 1480 ათას მანეთს (5980—4500) და უდრის სხვაობას საბაზისო ფასებში მოსახლეობისათვის მიყიდული სასაქონლო მასის მატებასა და ფასების შემცირებით მოსახლეობის მიერ მიღებული ეკონომიის აბსოლუტურ თანხას შორის (3079,1—1599,1).

საანგარიშო პერიოდში მოსახლეობამ 3079,1 ათასი მანეთით (შესაძარ ფასებში) მეტი საქონელი იყიდა, ვიდრე საბაზისო პერიოდში, მაგრამ საბაზისო პერიოდთან შედარებით მხოლოდ 1480 ათასი მანეთით მეტი გადაიხადა, რაც გამოწვეული იყო ფასების შემცირებით. ამ გზით მიღებულმა წმინდა მოგებამ 1599,1 ათასი მანეთი შეადგინა.



ამრიგად, ფასებისა და საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსები რომლებიც განიხილება ფაქტიურ ფასებში საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელთან ერთად შესაძლებლობას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნები (ამ ინდექსთა საფუძვლადმდებარე აბსოლუტური თანხების შედარების გზით) ფასების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიისა და სასაქონლო მასის მატების აბსოლუტური თანხის შესახებ.

ზემოთ მითითებულ ფასთა ინდექსის საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსისა და საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებლის (ფაქტიურ ფასებში) კაქშირით შეიძლება ვისარგებლოთ ნებისმიერ ამ ინდექსთა განსაზღვრისათვის თუკი ცნობილია დანარჩენი ორი.

მაგალითად, საქონელბრუნვა ფაქტიურ ფასებში გაიზარდა 15 %-ით (ინდექსი—1,15), ფასები კი შემცირდა 8 %-ით (ინდექსი—0,92). როგორ შეიცვალა რეალიზირებული სასაქონლო მასის მოცულობა? ზემომოტანილი ტოლობიდან გამომდინარეობს, რომ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი უდრის საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელს (ფაქტიურ ფასებში), გაყოფილს ფასების ინდექსზე. მაშასადამე, იგი ტოლია  $1,25$ -ისა ( $1,15 : 0,92$ ). რეალიზებული სასაქონლო მასის მოცულობა გადიდა 25 %-ით.

მეორე მაგალითი. სასაქონლო მასის მოცულობის გადიდება დაგეგმილია 10 %-ით, ერთდროულად ნავარაუდევია ფასების შემცირება 5 %-მდე. როგორ გაიზარდება საქონელბრუნვა ფაქტიურ ფასებში? საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელი ტოლია ფასების ინდექსისა და ფიზიკური მოცულობის ინდექსის ნამრავლისა. მოცემულ შემთხვევაში იგი უდრის  $1,045$  ( $0,95 \times 1,1$ ), ანუ 104,5 %-ს, ე. ი. საქონელბრუნვა ფაქტიურ ფასებში გადიდა 4,5 %-ით.

მსგავს გაანგარიშებებს, დამყარებულს ამ ინდექსთა ურთიერთკავშირზე, ხშირად მიმართავენ დავეგმვის პრაქტიკასა და სავაჭრო საწარმოთა მუშაობის ანალიზის დროს.

### მ. საზოგადოებრივი კვების ფასთა ინდექსი

საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ფასები საცალო ფასების ნაირსახეობას წარმოადგენს. ეს ფასები დამოკიდებულია საცალო ფასთა საერთო დინამიკაზე, რადგან რომელიმე სასურსათო საქონელზე სახელმწიფო საცალო ფასის შემცირება ნიშნავს: ამ საქონელს საზოგადოებრივი კვება შესაბამისად უფრო იაფად მიიღებს და ეს დაეტყობა სადილების, საუზმებისა და სხვა პროდუქციის ფასის კალკულაციას. მაშასადამე, სახელმწიფო საცალო ფასების შემცირების შედეგად მოსახლეობისათვის საქონლის შეძენა ხელსაყრელია საცალო სავაჭრო ქსელში, ხოლო პროდუქციისა—საზოგადოებრივი კვების ქსელში.

მაგრამ საზოგადოებრივი კვების ფასთა ინდექსის გაანგარიშებას თავისებურებანი ახლავს. უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ფასთა ინდექსის გამოყვანა ამ ფასების უშუალო რეგისტრაციის საფუძველზე მეტისმეტად ძნელია იმის გამო, რომ საზოგადოებრივი კვების პროდუქციის შემადგენ-

ლობა ძალზე მრავალფეროვანია და არ არსებობს მისი გაზომვის სტაბილური ერთეული. ამიტომ საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ფასთა ინდექსი სხვა წესით დგინდება.

საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ფასის კალკულაცია შედგება დახარჯულ პროდუქტთა ღირებულებისა და სავაჭრო-საწარმოო დარიცხვისაგან, რომელიც ანაზღაურებს საკმლის მომზადებისა და გაყიდვის ხარჯებს. დარიცხვა გაიანგარიშება განსაზღვრული პროცენტებით საცალო ფასებში შეფასებული ღირებულების მიმართ.

ამიტომ საზოგადოებრივი კვების პროდუქციის ფასთა ინდექსის გაანგარიშებისათვის საჭიროა საზოგადოებრივი კვების საწარმოებში დახარჯული პროდუქტებისა და გაყიდული საქონლის საცალო ფასების საშუალო ინდექსის, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების დარიცხვის ფასობრზე ფაქტორთა ინდექსის გაანგარიშება. საზოგადოებრივ კვებაში დახარჯული პროდუქტებისა და გაყიდული საქონლის ფასთა საშუალო ინდექსი გინისაზღვრება ისევე, როგორც სავაჭრო ქსელიდან გაყიდული სასურსათო საქონლის ფასების საშუალო ინდექსი: ჯერ დადგინდება ფასთა ჯგუფური ინდექსები (ხორცის, ბურღულის და ა. შ.), ხოლო შემდეგ, ამ ინდექსების საფუძველზე, — ფასების საშუალო ინდექსი. ამასთან გაანგარიშება წარმოებს საშუალო პარმონიული ინდექსის ფორმულით. მრავალი სასაქონლო ჯგუფის მიხედვით საცალო ვაჭრობაში საზოგადოებრივი კვების ფასთა ინდექსები ემთხვევა ფასთა ჯგუფურ ინდექსებს.

ეს გაანგარიშება ვუჩვენოთ მაგალითზე (ციფრები პირობითია):

სასაქონლო ჯგუფების დასახელება	პროდუქტთა ღირებულება საანგარიშო პერიოდში საცალო ფასებით (ათას მან.)	ფასთა ჯგუფური ინდექსები	პროდუქტთა ღირებულება საბაზისო ფასებში (ათას მან.)
ხორცი	100	0,92	103,4
თევზი	75	0,95	79,0
ბურღული	20	0,90	22,2
ბოსტნული	30	0,88	31,2
კარტოფილი	60	0,96	62,5
ერბო-კარაჭი	15	0,93	15,3
მცენარეული ზეთი	10	1,0	10
შაქარი	8	0,97	8,3
უალკოჰოლო სასმელები	5	0,95	5,3
პური და პერფუნთუშეული	10	1,0	10,0
საკონდიტრო ნაწარმი	12	1,0	12,0
<b>ს უ ლ</b>	<b>345</b>	<b>0,938</b>	<b>367,6</b>

გაანგარიშებას საფუძვლად უდევს საანგარიშო პერიოდში საზოგადოებრივ კვებაში დახარჯული პროდუქტების ღირებულება ფაქტიური ფასებით (სვე-

ტი 1). სახელმწიფო საცალო ფასთა ინდექსებით (სვეტი 2) ხდება ამ ღირებულების გადაფასება საბაზისო ფაქტორში (სვეტი 3). ფასების საშუალო ინდექსი უდრის:

$$I_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum \frac{1}{i} p_1 q_1} = \frac{345}{367,6} = 0,938, \text{ ანუ } 93,8\% - \text{ს.}$$

ე. ი. საზოგადოებრივ კვებაში დახარჯულ და გაყიდულ პროდუქტთა ფასები საშუალოდ შემცირდა 6,2%-ით.

საზოგადოებრივი კვების ფასთა ინდექსის მეორე ელემენტია საზოგადოებრივი კვების დარაცხვის ფასობრივ ფაქტორთა ინდექსი. ეს ფასობრივი ფაქტორები შედგება დარიცხვის ნორმისა (მისი პროცენტისა საცალო ფასის მიმართ პროდუქტების ცალკეული ჯგუფების მიხედვით) და პროდუქტების საცალო ფასების ცვლილებებისაგან. პროდუქტთა ფასდაკლება ამცირებს საზოგადოებრივი კვების სავაჭრო დარიცხვის თანხასაც, რამდენადაც დარიცხვის ნორმები იანგარიშება პროცენტულად საცალო ფასის მიმართ. ამასთან საჭიროა მხოლოდ იმის გათვალისწინება, რომ ზოგიერთი საქონელი (პური და პურფუნთუშეული, საკონდიტრო საქონელი, უალკოჰოლო სასმელები და თამბაქოს ნაწარმი) საზოგადოებრივი კვების საწარმოებში იყიდება საცალო ფასებში, დარიცხვის გარეშე, ამიტომ ამ საქონლის საცალო ფასთა ცვლილება არ წარმოადგენს საზოგადოებრივი კვების დარიცხვის ცვლილების ფასობრივ ფაქტორს.

საზოგადოებრივი კვების დარიცხვის ნორმათა ინდექსის გაანგარიშებისათვის საჭიროა ამ ნორმების რეგისტრაცია პროდუქტთა ჯგუფების მიხედვით. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ფაქტიური დარიცხვის რეგისტრაციის საფუძველზე სახელმწიფო სტატისტიკის ადგილობრივი ორგანოები აწარმოებენ ჟურნალს, რომელშიც სასაძილოების ცალკეული კატეგორიებისა და პროდუქტთა ჯგუფების გათვალისწინებით იწერება სავაჭრო დარიცხვა ამ ცვლილების თარიღის აღნიშვნით. ამის საფუძველზე განისაზღვრება საშუალო წლიური და ცალკეული კატეგორიების საწარმოთა საშუალო დარაცხვა პროდუქტთა ჯგუფების მიხედვით. დავეშვათ, რომ 1 აპრილიდან ხორცის დარიცხვა გადიდებულია 20-დან 22 %-მდე. თუ ვიცით, რომ წლის დასაწყისიდან დარიცხვის გადიდებამდე დაინარჩა 3000 მანეთის ხორცი საცალო ფასებით, ხოლო გადიდების შემდეგ წლის ბოლომდე — 10000 მანეთისა, მაშინ საშუალო წლიური დარიცხვა ასე იანგარიშება:

$$\frac{20 \times 3000 + 22 \times 10000}{3000 + 10000} = \frac{60000 + 220000}{13000} = \frac{280000}{13000} = 21,5\%$$

როდესაც მოცემული გვაქვს საანგარიშო და საბაზისო პერიოდების საშუალო წლიური დარიცხვა ყველა ჯგუფის პროდუქტთა მიხედვით, საზოგადოებრივი კვების დარიცხვის ფასეულობითი ფაქტორების ინდექსის გაანგარიშებას ვაწარმოებთ შემდეგნაირად:

პროდუქტთა ჯგუფები	პროდუქტთა ღირებულება საანგარიშო პერიოდში (ათ. მანეთობით)			დარიცხვის ნორმები (პროცენტობით)		ნორმების ინდექსები	დარიცხვის თანხა საანგარიშო პერიოდში (ათას მანეთობით)				
	საანგარიშო პერიოდში (ათ. მანეთობით)	საანგარიშო პერიოდში		საქალაქო	საბაზისო პერიოდში		საქალაქო ფასთა ინდექსები	საანგარიშო პერიოდის ფასებით და ნორმებით	საბაზისო პერიოდის ფასებით და ნორმებით	საანგარიშო პერიოდის ფასებით და ნორმებით	საანგარიშო პერიოდის ქაღალდებზე და სხვა საბაზისო პერიოდის ფასებით
		საბაზისო პერიოდში	საბაზისო პერიოდში								
ხორცი	100	22	25	0,68	0,92	22	23,9	27,2	108,8		
თევზი	75	18	20	0,90	0,95	13,5	14,2	15,8	79,0		
ბურღული	20	20	20	1,00	0,90	4	4,4	4,4	22,2		
ბოსტნეული	30	14	15	0,93	0,68	4,2	4,8	5,1	34,2		
კარტოფილი	60	10	10	1,00	0,96	6	6,3	6,8	62,5		
ერბო-კარაჭი	15	12	12	1,00	0,98	1,8	1,8	1,8	15,3		
მცენარეული ზეთი	10	16	18	1,00	1,0	1,8	1,8	1,9	10,0		
შაქარი	8	20	20	1,0	0,97	1,6	1,6	1,6	8,3		
უალკოჰოლი სასმელები	5	—	—	—	0,95	—	—	—	5,3		
პური და პურფუნთუშეული	10	—	—	—	1,0	—	—	—	10,0		
საკონდიტრო ნაწარმი	12	—	—	—	1,0	—	—	—	12,0		
<b>ს უ ლ</b>	<b>345</b>	<b>—</b>	<b>—</b>	<b>—</b>	<b>0,938</b>	<b>—</b>	<b>—</b>	<b>—</b>	<b>367,6</b>		
მათ შორის ბრუნვა უკანასკნელი სამი ჯგუფის გარდა	318	—	—	—	0,934	54,9	58,8	64,0	340,3		

პირველ სვეტში აღნიშნულია საანგარიშო პერიოდში დახარჯულ და გაყიდულ პროდუქტთა ღირებულება ფაქტიური საცალო ფასებით. მე-2 და მე-3 სვეტებში მოცემულია დარიცხვის საშუალო ფაქტიური ნორმები პერიოდის განმავლობაში, ხოლო მათ საფუძველზე მე-4 სვეტში გაანგარიშებულია დარიცხვის ნორმების ინდექსები. მე-5 სვეტში მოტანილია საცალო ფასთა ინდექსები. ამ მონაცემების საფუძველზე შეიძლება დარიცხვის ფასობრივ ფაქტორთა ინდექსის განსაზღვრა. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ დარიცხვის თანხა საანგარიშო პერიოდში (სვეტები 6—8). თავდაპირველად ეს თანხა უნდა ვიანგარიშოთ საანგარიშო პერიოდის ფაქტიური ფასებითა და ნორმებით (სვეტი 6). ამ მიზნით პროდუქციის ღირებულებას (სვეტი 1) ვამრავლებთ ნორმაზე (სვეტი 2) და ვყოფთ 100-ზე. მე-7 სვეტში გამოგვყავს დარიცხვის თანხა საანგარიშო პერიოდში საბაზისო ფასებით, რისთვისაც მე-6 სვეტის მონაცემებს ვყოფთ ფასთა ინდექსზე (სვეტი 5). ამასთან ნორმები რჩება საანგარიშო პერიოდისა. მე-8 სვეტში დარიცხვის თანხები უნდა გადავიანგარიშოთ საბაზისო პერიოდის ნორმებზე და ამ მიზნით მე-7 სვეტის მონაცემებს ვყოფთ ნორმების ინდექსზე (სვეტი 4). საბოლოოდ საანგარიშო პერიოდში დარიცხვის სამ თანხას ვღებულობთ: ფაქტიურითა და ფასე-

ბით (54,9), საანგარიშო პერიოდის ნორმებითა და საბაზისო პერიოდის ფასებით (58,8), საბაზისო პერიოდის ნორმებითა და ფასებით (64,0). დარიცხვის ფასობრივი ფაქტორების საერთო ინდექსი უდრის  $0,858 \left( \frac{54,9}{64,0} \right)$ -ს, ანუ 85,8%-ს, მათ შორის ფასების ცვლილების ხარჯზე მოდის  $0,934 \left( \frac{54,9}{58,8} \right)$ , ანუ 93,4% და ნორმების ცვლილების ხარჯზე —  $0,919 \left( \frac{58,8}{64,0} \right)$  ანუ 91,9%.

კერძო (ფაქტორიული) ინდექსების ნამრავლი მოგვეცეს საერთო ინდექსს 0,858 ( $0,934 \times 0,919$ ).

ახლა შეიძლება განისაზღვროს საზოგადოებრივი კვების ფასთა საერთო ინდექსი, რომელიც ითვალისწინებს როგორც საზოგადოებრივ კვებაში დახარჯული და გაყიდული პროდუქტების ფასთა, ასევე დარიცხვის ფასობრივ ფაქტორთა ცვლილებას:

საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის ელემენტები	საქონელბრუნვის თანხა საანგარიშო პერიოდში ფაქტიური ფასებით (ათას მანეთობით)	ინდექსები	საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვა საბაზისო პერიოდის ფასებით (ათას მანეთობით)
დახარჯული და გაყიდული პროდუქტები საცალო ფასებით	345	0,938	367,6
საზოგადოებრივი კვების დარიცხვა	54,9	0,958	64,0
საზოგადოებრივი კვების მთელი საქონელბრუნვა	399,9	0,926	431,6

საზოგადოებრივი კვების ფასთა საერთო ინდექსი უდრის  $0,926, \left( \frac{399,9}{431,6} \right)$ ,

ანუ 92,6%-ს.

იმ შემთხვევაში, თუ არ წარმოებს საზოგადოებრივი კვების დარიცხვის ფაქტიური ნორმების ცვლილებათა რეგისტრაცია, შეიძლება დარიცხვის ინდექსის არაპირდაპირი გაანგარიშება ნორმების ცვლილების ხარჯზე. დარიცხვის საშუალო ღონე საზოგადოებრივ კვებაში განისაზღვრება დარიცხვის სასაქონლო ნორმებითა და საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურით. ამავე ფაქტორებით დგინდება დარიცხვის საშუალო ღონის დინამიკაც. მაშასადამე, თუ ვიცით ეს დინამიკა, შეიძლება გავიანგარიშოთ დარიცხვის ნორმათა ცვლილების ინდექსი. ამისათვის საჭიროა გავიანგარიშოთ დარიცხვის საშუალო ღონის დინამიკაზე საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილების გავლენის ინდექსი. ამ გაანგარიშებისათვის უნდა ვიცოდეთ საანგარიშო და საბაზისო პერიოდთა საქონელბრუნვის სტრუქტურა (გარდა იმ საქონლისა, რომელზედაც არ არის დარიცხვა საზოგადოებრივ კვებაში) და რომელიმე წარსული პერიოდის დარიცხვის სასაქონლო ნორმები.

განგარიშება ვერცხვით ჩვენს მაგალითზე, ამასთან დამატებით მოვიშველი-  
ოთ ორივე პერიოდის საქონელბრუნვის სტრუქტურა:

საქონლის ჯგუფები	საქონელბრუნვის სტრუქტურა (პროცენ- ტობით)		საბაზისო პე- რიოდის და- რაციის ნორ- მა (პროცენ- ტობით)	დარიცხვის თანხა საქო- ნელბრუნვის 100 მანეთზე (მანეთობით)	
	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი		საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
ბორცო	20	31,4	25	5	7,8
თეხი	17	23,6	20	3,4	4,7
ბურღული	7	6,3	20	1,4	1,3
ბისტნული	15	9,5	15	2,2	1,4
კარტოფილი	30	18,9	10	3,0	1,9
ერბო-კარაქი	5	4,7	12	0,6	0,5
მცენარეული ზეთი	3	3,1	18	0,5	0,6
შაქარი	3	2,5	20	0,6	0,5
<b>ს უ ლ</b>	<b>100</b>	<b>100</b>	<b>—</b>	<b>16,7</b>	<b>18,7</b>

პირველ და მეორე სვეტებში მოტანილია საქონელბრუნვის სტრუქტურა, რომელიც შეიძლება განხილულ იქნეს როგორც 100 მანეთის შემადგენლობა. მესამე სვეტში ნაჩვენებია საბაზისო პერიოდის დარიცხვის ნორმები. მეოთხე და მეხუთე სვეტები საანგარიშოა: მათში ნაჩვენებია, თუ რა თანხის დარიცხვაა საჭირო საბაზისო (სვ. 4) და საანგარიშო პერიოდების (სვ. 5) საქონელბრუნვის (100 მანეთზე) და-  
რაციის ერთნაირი ნორმების პირობებში. ის, რომ საანგარიშო პერიოდში აღნიშ-  
ნული თანხა მეტი გამოვიდა, ვიდრე საბაზისოში (18,7 და 16,7), აიხსნება მხო-  
ლოდ საქონელბრუნვის სტრუქტურის შეცვლით, კერძოდ ხორცისა და თევზის  
ხვედრითი წონის გაზრდით, რომელთა დარიცხვა უფრო მაღალია. 18,7 შეფარ-  
დება 16,7-დმი გვიჩვენებს საშუალო დარიცხვის დინამიკაზე საქონელბრუნვის  
სტრუქტურის ცვლილების გავლენის ინდექსს (მოკლედ—საქონელბრუნვის სტრუქ-  
ტურის გავლენის ინდექსს).

$$\text{საქონელბრუნვის სტრუქტურის გავლენის ინდექსი ტოლია: } \frac{187}{167} = 1,12.$$

მაშასადამე, საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებას 12 პროცენტით  
უნდა გავდიდებინა საშუალო დარიცხვა საანგარიშო პერიოდში, მაგრამ როგორი  
იყო ფაქტიურად საშუალო დარიცხვის დინამიკა? ჩვენს მაგალითში საშუალო და-  
რაცივა საანგარიშო პერიოდში შეადგენდა 17,2%-ს (54,9 : 31,8).

საშუალო დარიცხვა საბაზისო პერიოდში, როგორც უკანასკნელი ცხრილი-  
დან ჩანს, უდრის 16,7%-ს.

ამრიგად, საშუალო დარიცხვის დინამიკა შეადგენდა 1,03 (17,2 : 16,7), ე. ი.  
იგი სულ 3 პროცენტით გაიზარდა. მაშასადამე, მოქმედებდა სხვა ფაქტორ—იდა--

რიცხვის ნორმების შემცირება. თუ დარიცხვის საშუალო დონის დინამიკას გავყოფთ საქონელბრუნვის სტრუქტურის გავლენის ინდექსზე, მივიღებთ დარიცხვის ნორმების ინდექსს.

დარიცხვის ნორმების ინდექსი უდრის  $\frac{103}{112} = 0,919$ , ე. ი. დარიცხვის ნორმები

საშუალოდ 8,1 პროცენტით შემცირდა. თუ ვიცით იმ პროდუქტების საცალო ფასთა ინდექსი, რომლებიც დაიხარჯა და გაიყიდა საზოგადოებრივ კვებაში და რომლებსაც აქვთ დარიცხვა (ჩვენს მაგალითში ინდექსი შეადგენდა 0,934), ადვილია დარიცხვის ფასობრივი ფაქტორების საერთო ინდექსის გამოანგარიშება:

$$0,934 \times 0,919 = 0,858, \text{ ანუ } 85,8 \%$$

ჩვეულებრივ, ფასთა ინდექსთან ერთად ინგარიშება საზოგადოებრივ კვების ფიზიკური მოცულობის ინდექსიც. მაგალითად, თუ ვიცით, რომ საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა საბაზისო პერიოდში ფაქტიური ფასებით 390 ათას მანეთს შეადგენდა, მაშინ საზოგადოებრივი კვების ფიზიკური მოცულობის ინდექსი იქნება 1,107 (431,6 : 390), ანდა სხვაგვარად: თუ ვიცით, რომ საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის ინდექსი ფაქტიური ფასებით 1,02-ს  $\left(\frac{399,9}{390}\right)$  შეადგენდა, ხოლო ფასების ინდექსი—0,926-ს, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი უდრის 1,107 (1,025 : 0,926), ანუ 110,7%-ს. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვა შესადარ ფასებში გაიზარდა 10,7 პროცენტით.

## 10. საცალო ფასთა საერთო ინდექსის გამოანგარიშება

საცალო ფასთა საერთო ინდექსი გამოიანგარიშება ორი ვარიანტით: ა) სახელმწიფო საცალო ფასთა საერთო ინდექსი. ეს ინდექსი, გარდა საცალო სავაჭრო ქსელის სახელმწიფო ფასებისა, მოიცავს აგრეთვე საზოგადოებრივი კვების პროდუქტის ფასებსაც; ბ) საცალო ფასთა საერთო ინდექსი. იგი სახელმწიფო საცალო ფასების ცვლილებასთან ერთად ასახავს სოფლის მეურნეობის იმ პროდუქტთა ფასების ცვლილებასაც, რომლებსაც სამომხმარებლო კოოპერაცია ყიდის ქალაქებში.

პირველ რიგში განვიხილოთ, თუ როგორ დგინდება სახელმწიფო საცალო ფასთა საერთო ინდექსი. ეს ინდექსები ორი სახისაა: საშუალო კვარტალური (წინა კვარტალისა და გასული წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით), საშუალო წლიური (გასულ წელთან შედარებით). გაანგარიშება შემდეგი სქემით წარმოებს (ციფრები პირობითია, საქონლის ჯგუფების რიცხვი შემცირებულია):

საქონლის ჯგუფები	საანგარიშო პერიოდის ფაქტიური საქონელბრუნვა (ათას მან.)	ფასების ინდექსი	საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვა საბაზისო ფასებით (ათას მან.)
<b>სასურსათო საქონელი</b>			
ჯგუფი „ა“	1200	0,95	1263
ჯგუფი „ბ“	500	1,0	500
საზოგადოებრივი კვების დარიცხვა	100	0,87	115
სულ სასურსათო საქონელი	1800	0,958	1878
<b>არასასურსათო საქონელი</b>			
ჯგუფი „ა“	1100	1,0	1100
ჯგუფი „ბ“	900	0,93	968
სულ არასასურსათო საქონელი	2000	0,967	2068
ყველა საქონელი	3800	0,963	3946

ცხრილის პირველ სვეტში მოტანილია როგორც საცალო სავაჭრო ქსელის, ასევე საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის საანგარიშო პერიოდის ფაქტიური საქონელბრუნვა. ამისათვის საქონლის ყველა ჯგუფში შეტანილია იმ შესაბამის პროდუქტთა ღირებულება, რომლებიც საზოგადოებრივ კვებაში დიხარჯა და გაიყიდა სახელმწიფო საცალო ფასებით.

სასურსათო საქონლის შემადგენლობაში ცალკე სტრიქონით არის აღნიშნული დარიცხვა საზოგადოებრივ კვებაში. მე-2 სვეტში მოცემულია ფასების ჯგუფური ინდექსები. ეს არის სახელმწიფო საცალო ფასთა ჯგუფური ინდექსები, რადგან ფასთა ინდექსები საზოგადოებრივ კვებაში, ჩვეულებრივ, ემთხვევა მათ. თუ საზოგადოებრივი კვების რომელიმე საქონლის ჯგუფის ფასთა ინდექსი განსხვავდება საცალო სავაჭრო ქსელის ფასთა ინდექსისაგან (ჯგუფურ ასორტიმენტში შეუსაბამობის გამო ფასების უთანაბრო ცვლილების დროს), მაშინ საჭიროა ფასთა საშუალო ჯგუფური ინდექსის გაანგარიშება. საზოგადოებრივი კვების დარიცხვის სტრიქონში უნდა ვუჩვენოთ დარიცხვის ფასობრივ ელემენტთა ინდექსი. მე-3 სვეტში მოცემულია საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვა საბაზისო პერიოდის ფასებით. ეს საქონელბრუნვა, თანამად ფასთა საშუალო პარამონიული ინდექსის გაანგარიშებისა, მიღებულია საანგარიშო პერიოდის ფაქტიურ ფასებში აღებული საქონელბრუნვის გაყოფით ფასთა შესაბამის ინდექსებზე. სასურსათო, არასასურსათო და ყველა სახის საქონლის ფასთა ინდექსები მიღებულია საანგარიშო პერიოდის ფაქტიური ფასებით გამოხატული საქონელბრუნვის გაყოფით საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვაზე საბაზისო პერიოდის ფასებით.

სასურსათო საქონლის ფასთა ინდექსი:  $\frac{1800}{1878} = 0,958$ , ანუ 95,8%-ს.

არასასურსათო საქონლის ფასთა ინდექსი:  $\frac{2000}{2068} = 0,967$ , ანუ 96,7%-ს.



ყველა საქონლის ფასთა ინდექსი:  $\frac{3800}{3746} = 0,963$ , ანუ 96 3%-ს.

ახლა გადავიდეთ საცალო ფასთა იმ საერთო ინდექსის გაანგარიშებაზე, რომელიც შეიცავს ქალაქებში კოოპერაციული ვაჭრობის ფასთა ცვლილებას. ეს ინდექსებიც გამოიანგარიშება საქონელთა ჯგუფების მიხედვით ცალ-ცალკე და ყველა საქონლისათვის ერთად.

ფასთა საშუალო ინდექსები მთელი საქონელბრუნვისათვის, იმ პროდუქტთა ჩათვლით, რომელთაც სამომხმარებლო კოოპერაცია ადგილობრივი ბაზრის ფასებით ქალაქებში ყიდის, უნდა ისახავდეს არა მარტო სახელმწიფო საცალო ფასებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ფასთა ცვლილებას, არამედ იმ ცვლილებასაც, რასაც ადგილი აქვს ცალკეული პროდუქტების რეალიზაციაში სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის წილის შეფარდებისას, რამდენადაც სახელმწიფო ფასები და კოოპერაციული ვაჭრობის ფასები რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამიტომ ფასთა საერთო ინდექსის გაანგარიშება უნდა ემყარებოდეს იმ ცალკეულ პროდუქტთა საშუალო ფასებს, რომლებიც იქმნება იმის მიხედვით, თუ რა წილი აქვთ მათ (სახელმწიფო და ადგილობრივი ფასებით) რეალიზაციაში ფასების აგრეგატული ინდექსის ფორმულით  $(I_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_1})$ , ან მისი შესაბამისი

ფასების პარმონიული საშუალო ინდექსის ფორმულით  $(I_p = \frac{\sum p_1 q_1}{\sum \frac{1}{i} p_1 q_1}$ , სადაც

$i = \frac{\bar{p}_1}{p_0}$ ). მაგრამ პრაქტიკულად, წარმოქმნილ სიძნელეთა გამო, გაანგარიშება

არ წარმოებს და საცალო ფასების საერთო ინდექსი გაიანგარიშება არაპირდაპირი გზით—საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსის საშუალებით, თანახმად შემდეგი ტოლობისა:

$$\frac{\sum p_1 q_1}{\sum \bar{p}_0 q_1} = \frac{\sum p_1 q_1}{\sum p_0 q_0} \cdot \frac{\sum \bar{p}_0 q_1}{\sum p_0 q_0}$$

ამასთან, საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსში საშუალო ფასების მაგივრად ( $\bar{p}_0$ ) მრიცხველსა და მნიშვნელში გამოიყენება სახელმწიფო საცალო ფასები. გაიხსენოთ, რომ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსში საბაზისად პერიოდის საშუალო ფასები გამოიყენება იმისათვის, რომ სტრუქტურულმა ძვრებმა (სხვადასხვა არხით ცალკეული საქონლის გაყიდვისას) გავლენა არ მოახდინოს ამ ინდექსზე და მთლიანად ფასთა ინდექსში აისახებოდეს. ამის მიღწევა იმ შემთხვევაშიც შეიძლება, როცა საშუალოს ნაცვლად სახელმწიფო საცალო ფასებს იყენებენ; ამასთან, გაანგარიშება მნიშვნელოვნად მარტივდება. რასაკვირველია, იქმნება ერთგვარი უზუსტობა, რომელიც განპირობებულია იმით, რომ სახელმწიფო ფასები, როგორც წესი, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის

ფასებიდან გაანგარიშებულ საშუალო ფასებზე ნაკლებია. მაგრამ იმის გამო, რომ კოოპერაციული ვაჭრობის ხვედრითი წონა მცირეა, ეს განსხვავება დიდი არ არის და არსებით გაუღენას ვერ ახდენს ფიზიკური მოცულობის ინდექსებზე.

სადაც ფასთა საერთო ინდექსის გაანგარიშების სქემა ნაჩვენებია ქვემოშტანდლ მავალითზე (ციფრები პირობითია; საქონლის ჯგუფების რიცხვი შემცირებულია).

საქონლის ჯგუფები	სახელმწიფო და კოოპერა- ციული ვაჭ- რობის საქო- ნელბრუნვა საბაზისო წლის ფასე- ბით		სამომხმარებ- ლო კოოპერა- ციის მიერ პროდუქტების გაყიდვა ქაოა- ქებში საბაზი- სო წლის სა- ხელმწიფო ფასებით		მთელი საქო- ნელბრუნვა საბაზისო წლის სახელ- მწიფო ფა- სებით		საქონლებრუნვის ფიზიკური მო- ცულობის ინდექსი	მთელი საქო- ნელბრუნვა ფაქტიური ფასებით		საქონლებრუნვის ინდექსი ფაქტიური ფასებით	ფასების ინდექსი
	საბაზისო წელი	საანგარი- შო წელი	საბაზისო წელი	საანგარი- შო წელი	საბაზისო წელი	საანგარი- შო წელი		საბაზისო წელი	საანგარი- შო წელი		
	1	2	3	4	5 (1+3)	6 (2+4)		7 (6:5)	8		
ხორცი და ფრინველი	127,0	155,5	1,7	4,4	128,7	159,9	1,242	129,0	144,5	1,116	0,90
ბოსტნეული	50,0	60,0	5,0	8,0	55,0	68,0	1,256	56,5	66,0	1,168	0,946
ერბო-კარაჭი	100,0	110,0	20,0	30,0	120,0	140,0	1,167	123,0	135,0	1,098	0,941
სულ სასურსა- თო საქონე- ლი	277,0	325,5	26,7	42,4	303,7	367,9	1,212	308,5	345,5	1,12	0,924
სულ არასასურ- სათო სა- ქონელი	300,0	330,0	—	—	300,0	330,0	1,10	300,0	315,0	1,05	0,954
ჯველა საქო- ნელი	577,0	655,5	26,7	42,4	603,7	697,9	1,156	608,5	660,5	1,085	0,94

პირველ და მე-2 სვეტებში იწერება სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საქონლებრუნვა საბაზისო წლის ფასებით, მე-3 და მე-4 სვეტებში—ქალაქებში სამომხმარებლო კოოპერაციის საქონლებრუნვა, გადაფასებული საბაზისო წლის სახელმწიფო ფასებში. მე-5 და მე-6 სვეტებში მოცემულია მთელი საქონლებრუნვა საბაზისო პერიოდის სახელმწიფო ფასებით და ამის საფუძველზე გაანგარიშებულია საქონლებრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსები (სვ. 7).

მე-8 და მე-9 სვეტებში ნაჩვენებია მთელი საქონლებრუნვა ფაქტიური ფასე-  
ბით და ამის საფუძველზე მე-10 სვეტში გამოყვანილია საქონლებრუნვის ინდექსი

სები ფაქტიურ ფასებში. ფასების ინდექსები (სვეტი 11) მიღებულია ფაქტიურ ფასებში აღებული საქონლებრუნვის ინდექსთა გაყოფით საქონლებრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსებზე.

## 11. ფასების თანაფარდობათა ინდექსები

ფასთა დინამიკის შესწავლის გარდა, ფასების სტატისტიკის წინაშე დგას ამოცანა დახმარება გაგვიწიოს ფასების თანაფარდობათა ანალიზის საქმეში დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში.

პირველ ყოვლისა, წარმოიშვა სხვადასხვა საქონლის ფასების თანაფარდობათა ანალიზის საჭიროება. ეს განპირობებულია იმით, რომ ფასების დაწესების დროს მეტად მნიშვნელოვანია დავიცვათ სხვადასხვა სახის საქონლის ფასებს შორის თანაფარდობა. ეს თანაფარდობანი განისაზღვრება ცალკეული საქონლის ღირებულებათა თანაფარდობით. თუმცა უნდა ითქვას, რომ გვეგმიანი მეურნეობის პირობებში საქონლის ფასთა თანაფარდობანი შეიძლება არსებობდეს განსხვავებულად ღირებულებათა თანაფარდობებისაგან, რამდენადაც ფასთა დახმარებით სახელმწიფო სტიმულს აძლევს ერთი სახის საქონლის მოხმარებას, მეორე სახის საქონლის მოხმარებას კი ზღუდავს. ასე მაგალითად, ფასები არყის ნაწარმზე ჩვენში საცებით არ შეესაბამება ამ საქონლის ღირებულებას. ამ შემთხვევაში ფასი მეტია ღირებულებაზე. იგი გამოიყენება სახელმწიფოს მიერ არყის ნაწარმის მოხმარების შესაზღუდავად. მეორე მხრივ, ზოგიერთ საქონელზე, მათზე მოთხოვნილების სტიმულირებისათვის, წესდება ღირებულებასთან შედარებით უფრო დაბალი ფასები.

სხვადასხვა სახის საქონლის ფასთა თანაფარდობის ზუსტი განსაზღვრისათვის სტატისტიკა ანგარიშობს ფასობრივ ეკვივალენტებს, ანუ ფასთა თანაფარდობის კოეფიციენტებს, ამისათვის რომელიმე საქონლის ფასი მიიღება როგორც 1 ან 100, ხოლო ფასები ყველა სხვა ჩვენთვის საინტერესო საქონელზე გამოისახება შეფარდებითი რიცხვებით. ამასთანავე, ძალზე საინტერესოა ერთიმეორის შემცვლელი ან ურთიერთ დაკავშირებული საქონლის ფასთა თანაფარდობანი, მაგალითად, ფასთა თანაფარდობანი სხვადასხვა ხარისხის ქსოვილების, ფეხსაცმლის, ტანსაცმლისა და ა. შ., ან ისეთი საქონლისა, როგორიცაა შაქარი, საკონდიტრო ნაწარმი, ფქვილი, გამომცხვარი პური და ა. შ.

იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობა ყიდულობს საქონელს სახელმწიფო, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის საჯარო ქსელში, რომელიც ეპყრობს ქალაქად ადგილობრივი ბაზრის ფასებით და საკოლმეურნეო ბაზრებზე, სადაც ფასების დონეები ერთი და იმავე საქონელზე სხვადასხვაგვარია, საჭირო ხდება სახელმწიფო, საკომისიო და საკოლმეურნეო ბაზრების ფასთა თანაფარდობების გაანგარიშება. თუ ლაპარაკია კონკრეტული საქონლის შესახებ (ვთქვათ, კარტოფილის ან რძის), მაშინ სახელმწიფო საცალო ფასი

ამ საქონელზე შეიძლება მივიღოთ როგორც 1 (ან 100), ხოლო კოოპერაციული და საკოლმწიფო ბაზრის ფასები გამოისახება სახელმწიფო ფასთან შეფარდებით. მაგრამ ამასთანავე წარმოიშობა სახელმწიფო, საკომისიო და საკოლმწიფო ბაზრებზე თანამოსახელე საქონლის მთელი ჯგუფის ფასების დონეთა თანაფარდობის განსაზღვრის პრობლემა. იგი წყდება ფასთა თანაფარდობის ინდექსის აგების გზით. მისი აგების პრინციპი ისეთივეა, როგორც დინამიკის ინდექსისა. თუ ხდება კოოპერაციული ვაჭრობის ფასთა შედარება სახელმწიფო ფასებთან, მაშინ ფასთა თანაფარდობის აგრეგატიული ინდექსი იქნება:

$$I_k = \frac{\sum p_k q_k}{\sum p_r q_k}$$

სადაც  $p_k$  კოოპერაციული ვაჭრობის ფასებია;

$q_k$  — კოოპერაციულ ვაჭრობაში გაყიდული საქონლის რაოდენობანი;

$p_r$  — სახელმწიფო ფასებია.

ინდექსის მრიცხველში კოოპერაციული ვაჭრობით გაყიდული საქონელი შეფასებულია საკომისიო ფასებით, მნიშვნელში კი იგივე საქონელი შეფასდება საშუალო სახელმწიფო ფასებით.

ფასთა თანაფარდობის ინდექსების განგარიშება ვუჩვენოთ პირობით მაგალითზე:

საქონლის დასახელება	ზომის ერთეული	კოოპერაციული ვაჭრობით გაყიდული საქონელი	ფასი (კაპიკობით)		ბრუნებები (მანეთობით)	
			კოოპერაციული	სახელმწიფო	კოოპერაციული ფასებით	სახელმწიფო ფასებით
ხორცი	კგ	10000	180	155	18000	15500
რძე	ლ	80000	30	29	24000	23200
კვერცხი	ათეული	3000	120	109	3600	3270
ჯამი	—	—	—	—	45600	41970

თანაფარდობათა ინდექსი ტოლია  $\frac{45600}{41970} = 1,086$ , ანუ 108,6 %-ისა.

ინდექსი გვიჩვენებს, რომ კოოპერაციული ვაჭრობის ფასებმა სახელმწიფო ფასებს საშუალოდ გადააჭარბეს 8,6%-ით. ასეთ ინდექსებს კოოპერაციული ვაჭრობის საქონლის მთელი ნომენკლატურის მიხედვით სახელმწიფო სტატისტიკის დარგანობები განსაზღვრავს ყოველკვარტალურად. ამასთან ძალზე მნიშვნელოვანია ისიც, რომ კოოპერაციული და სახელმწიფო ფასი ეხებოდეს ამა თუ იმ საქონლის ერთსა და იმავე ხარისხს.

თანაფარდობის კვარტალურ ინდექსთა საფუძველზე საშუალო წლიური ინდექსი დგინდება შემდეგი სქემის მიხედვითა

კვარტალები	კოოპერაციული ვაჭრობის ფაქტიური ბრუნვები (ათას მანეთობით)	ფასების თანაფარლობათა კვარტალური ინდექსები	კოოპერაციული ვაჭრობის ბრუნვა სახელმწიფო ფასებში (ათას მანეთობით)
I	5000	1,086	4604
II	6000	1,095	5179
III	6300	1,042	6525
IV	9000	1,033	8712
მთელი წლისათვის	26800	1,058	25520

ცხრილის პირველ სვეტში ასახულია კოოპერაციული ვაჭრობის ფაქტიური ბრუნვები კვარტალების მიხედვით, მეორეში კი—ფასთა თანაფარდობის კვარტალური ინდექსები. პირველი სვეტის მონაცემთა გაყოფით მეორე სვეტის მონაცემებზე ვლედულობთ კოოპერაციული ვაჭრობის ბრუნვებს სახელმწიფო ფასებში. ამ ბრუნვების ჯამი წელიწადში იძლევა 25 320 ათას მანეთს, კოოპერაციული ვაჭრობის ფაქტიური ბრუნვა კი—26 800 ათასს. მაშასადამე, კოოპერაციული და სახელმწიფო ვაჭრობის ფასთა თანაფარდობის საშუალო წლიური ინდექსი შეადგენდა:

$$\frac{26800}{25320} = 1,058 \text{ ანუ } 105,8\% \text{-ს.}$$

კოოპერაციული ვაჭრობის ფასები საშუალოდ წელიწადში მეტი იყო სახელმწიფო ფასებზე 5,8 %-ით. სხვაობა ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის (26800 — 25320 = 1480 ათას მანეთს) წარმოადგენს ზედმეტ თანხას, რომელსაც მოსახლეობა იხდის კოოპერაციულ ვაჭრობაში საქონლის შესყიდვის შედეგად. როგორც ვხედავთ, მოცემულ გაანგარიშებაში გამოყენებულია საშუალო პარმონიული ინდექსი. ამავე მეთოდიკით გამოიანგარიშება სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ ქალაქად გაყიდულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა ფასებისა და საკომეურნეო ვაჭრობის ფასების თანაფარდობათა ინდექსები. მოვიტანოთ 1960—1963 წწ. გამოქვეყნებული მონაცემები.

თანაფარდობა სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ ადგილობრივი ბაზრის ფასებით გაყიდული საქონლის ფასებსა და საკომეურნეო ბაზრის ფასებს შორის:

	1960 წ.	1961 წ.	1962 წ.	1963 წ.
	1	2	3	4
ყველა საქონელი მათ შორის:	82	81	82	80
ხარისხოვანი ხორბლის ფქვილი	95	90	91	91

	1	2	3	4
ბურღული და პარკოსანი	89	81	78	79
კარტოფილი	74	73	74	65
ბოსტნეული	68	64	66	61
გაშლი	71	70	69	71
საქონლის ხორცი	81	79	84	87
ლორის ხორცი	85	88	89	88
რ მ ე	79	74	72	71
ერბო-კარაქი	93.	89	101	98
კვერცხი	85	80	83	81

მონაცემები გვიჩვენებს, რომ ამ წლების განმავლობაში კოოპერაციული ფაზები სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ქალაქად საკოლმეურნეო ბაზრის ფასებზე მცირე იყო საშუალოდ 18—20%-ით, ხოლო განსაკუთრებით—ბოსტნეულსა და ხილზე. ფასებს შორის ასეთი დაშორება ყველაზე ნაკლები იყო ხორცსა და კარაქზე.

ფასების თანაფარდობის ინდექსთა გამონაკარიშების პრობლემა ჩნდება ცალკეულ ქალაქთა საკოლმეურნეო ბაზრებზე ფასების დონეთა შედარების დროსაც. ცალკეული საქონლისათვის ეს შედარება მდგომარეობს რომელიმე ქალაქის ბაზაზე ფასობრივი კოეფიციენტების გაანგარიშებაში. ასე მაგალითად, ჩვეულებრივ, მოსკოვის ფასები აიღება როგორც 1 ან 100 და მას შეეფარდება თანამოსახლე საქონელთა ფასები სხვა ქალაქებში. მაგრამ თუ გვსურს გამოვიანგარიშოთ ფასთა თანაფარდობის ინდექსი ყველა საქონლისათვის ერთად, მაშინ მის საფუძვლად აიღება იმ ქალაქის ბრუნვების სტრუქტურა, რომელსაც მას უღარებენ, ანდა ბრუნვათა რომელიმე სტანდარტული სტრუქტურა, რომელიც ერთნაირია ყველა ქალაქისათვის.

## 12. ხაცალო ფახის სტრუქტურის შესწავლა

ფასთა სტატისტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეთოდია სამრეწველო პროდუქციის ფასთა სტრუქტურის დამუშავება და ანალიზი ძირითადი ფასწარმომქმნელი ელემენტების მიხედვით. სტრუქტურის დამუშავება შეიძლება წარმოებდეს როგორც მრეწველობის მთელი პროდუქციის, ისე დარგთა ჯგუფების, ცალკეული დარგებისა და ბოლოს ცალკეული საქონლის მიხედვით. აი, მაგალითად, როგორი იყო 1965 წელს მრეწველობის საბითუმო ფასთა სტრუქტურა პროცენტობით ჯამის მიმართ:

ფასწარმოქმნის ელემენტები <sup>1</sup>	მთელი მრეწველობა	მათ შორის	
		მძიმე მრეწველობის დარგებში	მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში
სამრეწველო საწარმოებისა და გამსაღებელი ორგანიზაციების ხარჯები	74,7	81,8	67,6
სამრეწველო საწარმოებისა და გამსაღებელი ორგანიზაციების მოგება	9,4	11,6	7,1
ბრუნვის გადასახადი	15,9	7,1	25,8
მრეწველობის საბითუმო ფასები	100,0	100,0	100,0

როგორც ვხედავთ, მრეწველობის საბითუმო ფასთა სტრუქტურა არსებითად განსხვავდებოდა მძიმე მრეწველობის დარგებში და მსუბუქი და კვების მრეწველობის დარგებში. უკანასკნელებში მნიშვნელოვნად ნაკლები იყო წარმოებისა და გასაღების ხარჯები, აგრეთვე მოგება, მაგრამ სამაგიეროდ დიდ როლს ასრულებდა ბრუნვის გადასახადი. მძიმე მრეწველობის საქონლის დიდი უმრავლესობის ფასები არ შეიცავენ ბრუნვის გადასახადს, მაშინ როცა ფართო მოხმარების საქონლის ფასში ის შესამჩნევ როლს თამაშობს. აქ თავს იჩენს ბიუჯეტში ზედმეტი პროდუქტის აკუმულაციის თავისებურება, რაც მოსახერხებელია საფინანსო სისტემისათვის. ამგვარი სტრუქტურების წლითიწლობით დამუშავება საშუალებას იძლევა თვალი ვადევნოთ ფასწარმოქმნის ძირითად ტენდენციებს. ანალოგიურადაა დამუშავებული საზოგადოებრივი კვების ფასთა (ბრუნვითა) სტრუქტურა V თავში. საცალო ფასთა სტრუქტურის დამუშავება და ანალიზი წარმოებს კონკრეტული საქონლის მიხედვით. იგი ნათელყოფს საქონლის ფასწარმოქმნის თავისებურებებსა და ტენდენციებს ცალკეულ ფასწარმოქმნელი ელემენტების ცვლილებაში. სტრუქტურის ანალიზი ხელს უწყობს სახელმწიფო საცალო ფასთა სწორ დაწესებას. ამჟამად სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო და მთავარი რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები ყოველწლიურად ამუშავებენ უმნიშვნელოვანესი საქონლის საცალო ფასთა სტრუქტურას. რომელიმე საქონლის ფასის სტრუქტურის დამუშავება რთულ ეკონომიურ-სტატისტიკურ გამოკვლევას წარმოადგენს. ასეთი დამუშავებისათვის მასალად იყენებენ საბითუმო და საცალო ფასთა პრეისურანტებს, მწარმოებელ საწარმოთა, დამამზადებელ და სავაჭრო ორგანიზაციათა, სამინისტროთა, უწყებათა საბუღალტრო და სტატისტიკურ ანგარიშებს, ცალკეულ შემთხვევებში კი—საგეგმო განგარიშებებს, ნორმატულ და სხვა მასალებს. ფასთა სტრუქტურის სქემები განსხვავდებიან საქონლის თავისებურების მიხედვით.

ქვემოთ მოტანილია ერბო-კარაქის საცალო ფასის სტრუქტურა 1961 წელს და 1962 წლის 1 ივნისიდან, როცა გადიდდა ერბო-კარაქის საცალო ფასი (განგარიშებულია 1 ტ-ზე)<sup>1</sup>:

<sup>1</sup> С. Т. Столяров, О ценах и ценообразовании в СССР, М., 1963, с. 188.

	1961 წ.		1962 წლის 1 ივნისი-დან	
	მან.	პროცენტობით საცალო ფასის მიმართ	მან.	პროცენტობით საცალო ფასის მიმართ
I. საშუალო საცალო ფასი	2780	100	3475	100
II სახელმწიფოს დანახარჯები ერბო-კარაქის წარმოებისა და რეალიზაციაზე	2391	104,1	2947	84,8
მათ შორის:				
ა) ანაზღაურება კოლმეურნეობებისა და მოსახლეობისათვის (კოლმეურნეობებისაგან საშემოსავლო გადასახადის გამოკლებით)	1592	57,3	1724	49,6
ბ) საბჭოთა მეურნეობების მიერ ჩაბარებული რძის თვითღირებულება	1173	42,2	1056	30,4
გ) რძის დამზადების ხარჯები	53	1,9	53	1,5
დ) რძის გადაამუშავებისა და მზა პროდუქციის ადგილამდე მიტანის ხარჯები	280	10,1	280	8,1
ე) გამოსაყენებელი ნარჩენების ღირებულება (გამოაკლებება)	-350	-12,6	-350	-10,1
ვ) საბითუმო და წვრილსაბითუმო გამსაღებელი ორგანიზაციების ხარჯები	33	1,2	42	1,2
ზ) საცალო ვაჭრობის ხარჯები	113	4,0	142	4,1
III. საცალო ფასების გადამეტება დანახარჯებზე	-114	-4,1	528	15,2
მათ შორის:				
ა) სიმრეწველო საწარმოთა მოგება	105	3,8	564	16,2
ბ) საბჭოთა მეურნეობების ზარალი	-238	-8,6	-121	-3,5
გ) სავაჭრო-გამსაღებელი ორგანიზაციების მოგება	40	1,4	49	1,4
დ) საშემოსავლო გადასახადი კოლმეურნეობებისაგან	13	0,5	16	0,5

როგორც ერბო-კარაქის საცალო ფასთა სტრუქტურის შედარებიდან ირკვევა 1962 წლის 1 ივნისიდან ფასის შეცვლამდე და მის შემდეგ, ერბო-კარაქის წარმოებისა და რეალიზაციის სახელმწიფო დანახარჯები 1962 წლის 1 ივნისამდე 114 მანეთით (1 ტონაზე გადაყვანილ) ანუ 4,1 პროცენტით აღემატებოდა საცალო ფასს. მაშასადამე, სახელმწიფო სისტემატურად ზარალობდა ერბო-კარაქის რეალიზაციის დროს. მას შემდეგ, რაც 1962 წლის 1 ივნისიდან 1 ტონის ფასი საშუალოდ 695 მანეთით გადიოდა (3475—2780), მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა; სახელმწიფო დანახარჯებმა 1 ტონაზე საცალო ფასთან შედარებით 528 მანეთით, ანუ 15,2 პროცენტით იკლო, ე. ი. შეიქმნა ერბო-კარაქით ვაჭრობის ნორმალური პირობები.



ამავე დროს, შესყიდვის ფასთა გაღივების გამო, კოლმეურნეობებსა და მოსახლეობას რძის დამზადების დროს 132 მანეთით მეტი ეძლევა 1 ტონა ერბო-კარაქზე გაანგარიშებით (1724—1592).

მოგვაქვს კიდევ ერთი მაგალითი. მამაკაცის სამგზავრო ველოსიპედ 13—100 „პროგრესის“ საცალო ფასის სტრუქტურის ცვლა 1959 წლის 1 ივლისიდან ფასის შემცირებამდე და მის შემდეგ (ერთ ცალზე)<sup>1</sup>.

	1959 წლის 1 ივლისამდე		1959 წლის 1 ივლისის შემდეგ	
	მან.	პროცენტობით საცალო ფასის მიმართ	მან.	პროცენტობით საცალო ფასის მიმართ
საცალო ფასი	583	100	450	100
I. ველოსიპედების წარმოებასა და გაყიდვაზე სახელმწიფოს ყველა დანახარჯი	283	48,6	271	60,2
მათ შორის:				
ა) სამრეწველო საწარმოთა პროდუქციის თვითღირებულება	221	37,9	223	49,5
ბ) საექპორტო-გასაღების ხარჯები	62	10,7	48	10,7
II. საცალო ფასის გადაშტევა დანახარჯებზე	500	51,4	179	39,8
მათ შორის:				
ა) სიმრეწველო საწარმოთა მოგება	31	5,3	29	6,5
ბ) საექპორტო-გამსაღებელ ორგანიზაციათა მოგება	26	4,4	20	4,4
გ) ბრუნვის გადასახადი ველოსიპედებზე	243	41,7	130	28,9

საცალო ფასი შემცირდა 583-დან 450 მანეთამდე (ფასების ძველი მასშტაბით), ე. ი. 133 მანეთით. ფასის სტრუქტურის შედარება გვიჩვენებს, რომ ეს შემცირება ძირითადად ბრუნვის გადასახადის ხარჯზე მოხდა (243-დან 130-მდე, ე. ი. 113 მანეთით).

მაგალითები გვიჩვენებს, რომ ფასთა სტრუქტურა საშუალებას იძლევა გავარკვევით საქონლის წარმოებისა და რეალიზაციის სახალხო-სამეურნეო რენტაბელობა, სახელმწიფო და სამეურნეო ორგანიზაციათა შემოსავლის ფორმები. საცალო ფასთა სტრუქტურის დამუშავება და ანალიზი გვაძლევს იმ ამოსავალ მასალას, რომლის საფუძველზეც მცირდება ფასები.

<sup>1</sup> С. Г. Столяров, О ценах и ценообразовании в СССР, М., 1963, стр. 149.

## 12. მანეთის მსყიდველობითი უნარის ინდექსები

ფასთა ინდექსები მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს მანეთის მსყიდველობითი უნარისა და რეალური ხელფასის ინდექსების გაანგარიშებისას. მანეთის მსყიდველობითი უნარის ინდექსი გვიჩვენებს იმ მატერიალური ღირებულებისა და მომსახურების მოცულობის ცვლილებას, რომელთა მიღება შეიძლება ერთნაირი თანხით. ცხადია, ეს მოცულობა დამოკიდებულია ფასთა დონეზე: ფასების შემცირების შედეგად, მანეთის მსყიდველობითი უნარი იზრდება. ამ გაგებით მანეთის მსყიდველობითი უნარის ინდექსი არის ფასთა ინდექსის შებრუნებული მაჩვენებელი საქონელბრუნვაში. მაგრამ მანეთის მსყიდველობითი უნარი დამოკიდებულია არა მარტო საქონლის ფასებზე, არამედ იმ მომსახურების განაკვეთებსა და ტარიფებზეც, რომლითაც მოსახლეობა სარგებლობს (ბინის ქირა, ტრანსპორტისა და კომუნალური მომსახურება, თეატრის ბილეთის ფასი და ა. შ.). მაშასადამე, მანეთის მსყიდველობითი უნარის ინდექსის გაანგარიშებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ არა მარტო ფასების, არამედ მომსახურების ღირებულების ინდექსიც.

ამ ინდექსის გაანგარიშების მეთოდიცა ვუჩვენოთ მაგალითზე. დაუშვათ, რომ საანგარიშო წელს მოსახლეობამ გადაიხდა საქონელში 100 მილ. მან. და მომსახურებაში—30 მილ. მან. ვიცით, რომ ფასების ინდექსი საანგარიშო წელს შეადგენდა 0,94-ს, ხოლო მომსახურების განაკვეთებისა და ტარიფებისა—0,91-ს. მაშინ მანეთის მსყიდველობითი უნარის ინდექსი იქნება:

$$\frac{\frac{100}{0,94} + \frac{30}{0,91}}{100 + 30} = \frac{106,4 + 33}{130} = \frac{139,4}{130} = 1,072, \text{ ანუ } 107,2\%.$$

ამ ინდექსის მრიცხველში მოცემულია მოსახლეობის მიერ საანგარიშო წელს შეძენილი და საბაზისო ფასებში გადაანგარიშებული საცალო საქონელბრუნვისა და მომსახურების ღირებულების თანხა, მნიშვნელში—იგივე თანხა, მაგრამ ფაქტურით ფასებით. ამრიგად, ჩვენს მაგალითში მოსახლეობამ საანგარიშო წელს საქონელსა და მომსახურებაში 130 მილ. მან. გადაიხდა, მაგრამ საქონლის ფასები, მომსახურების განაკვეთები და ტარიფები საბაზისო წლის დონეზე რომ ყოფილიყო, საქონლისა და მომსახურების ამ მოცულობაში მას უნდა გადაეხდა 139,4 მილ. მან. ამ თანხების შეფარდება იძლევა საძიებელ ინდექსს. ჩვენს მაგალითში მანეთის მსყიდველობითი უნარი 7,2 პროცენტით გაიზარდა.

**მიმოცევის ხარჯთა სტატისტიკა**

**72 1. მიმოქცევის ხარჯების ცნება და სტატისტიკის ამოცანები**

მიმოქცევის ხარჯები ეწოდება სავაჭრო ორგანიზაციების დანახარჯებს საქონლის შესყიდვაზე, გადატანაზე, შენახვასა და რეალიზაციაზე. ეს დანახარჯები საჭიროა მომხმარებელამდე საქონლის დაყვანის, მოსახლეობის სავაჭრო მომსახურებისათვის.

მიმოქცევის ხარჯები საბჭოთა ვაჭრობაში პრინციპულად განსხვავდება კაპიტალისტური ვაჭრობის ხარჯებისაგან. კაპიტალისტური ვაჭრობის ხარჯებში ძირითადია ის ხარჯები, რომლებიც წარმოშობილია კონკურენციითა და სპეკულაციით, წარმოებისა და მიმოქცევის ანარქიით. ასეთი ხარჯები საბჭოთა ვაჭრობაში არ არსებობს, რადგან სოციალისტურ მეურნეობაში საქონლის მიმოქცევის პროცესი მიმდინარეობს გეგმაზომიერად, წარმოების გაფართოება კი შეხამებულია ხალხის კეთილდღეობის ზრდასთან და გადახდისუნარიანობის გადიდებასთან. ყოველგვარ ხელსაყრელ პირობებს ქმნის სოციალიზმის დროს ვაჭრობის განხორციელებისათვის საზოგადოებრივი შრომის უმცირესი დანახარჯებითა. და მართლაც, მიმოქცევის ხარჯების დონე საბჭოთა ვაჭრობაში ვაცილებით დაბალია, ვიდრე კაპიტალისტურში. ასე მაგალითად, თუ აშშ-ის ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯები (საქალაქო საქონელბრუნვის მიმართ) 35%-ს აღწევს, სსრ კავშირში იგი დაახლოებით 10%-ს შეადგენს. ამაში ვლინდება ვაჭრობის სოციალისტური სისტემის უპირატესობა.

მიმოქცევის ხარჯების სტატისტიკის ძირითადი ამოცანაა მიმოქცევის ხარჯების ამსოლულტური თანხების გამოთვლა და მათი შეფარდებითი დონის (ცო. საქონელბრუნვისადმი პროცენტის) სწორი განსაზღვრა. მიმოქცევის ხარჯების ამსოლულტურ თანხებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სახალხო მეურნეობის ბალანსისა და ეროვნული შემოსავლის გამოანგარიშებასთან დაკავშირებულ სამუშაოთათვის. მიმოქცევის ხარჯების შეფარდებითი დონე ძირითადი მაჩვენებელია, რომელსაც იყენებენ ცალკეული სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციების შედარების დროს; იგი გვიხსნიათებს მიმოქცევის ხარჯების დინამიკასაც.

მიმოქცევის ხარჯები რთული მაჩვენებელია, სავაჭრო ორგანიზაციების სხვადასხვაგვარი ხარჯებისაგან შედგება. ყოველი კონკრეტული სახის ხარჯი სავაჭრო ორგანიზაციის მუშაობის ცალკეულ ფუნქციას ასახავს, აქვს თავისი ფაქტორები, რომლებიც მის დონეს განსაზღვრავენ. საკმარისია შევადაროთ სამი სახის ხარჯი—სააქტომობილო ტრანსპორტით საწარმოში საქონლის მიტანის ხარჯები, ვაჭრობის

მუშაკთა შრომის ანაზღაურება და სავაჭრო სადგომის საიჯარო გადასახადი, რომ ნათელი გახლეს პრინციპული განსხვავება მათ შორის (იმ ფაქტორთა თვალსაზრისით, რომლებიც მათ ღონეს განსაზღვრავენ). მიმოქცევის ხარჯებისა და მათი დინამიკის ანალიზი არ შეიძლება წარმოებდეს გაუპიროვნებლად, ხარჯების კონკრეტულ სახეობათა გამოყოფის გარეშე. ამასთან დაკავშირებით მიმოქცევის ხარჯების სტატისტიკის წინაშე დიდი ამოცანა დგას: მან უნდა შეიმუშაოს მიმოქცევის ხარჯების ობტიმალური კლასიფიკაცია, რომელიც უზრუნველყოფდა ყველა უმნიშვნელოვანესი სახეობის ხარჯის გამოყოფას და ამავე დროს რთულიც არ იქნებოდა.

მაგრამ მიმოქცევის ხარჯები არაერთგვაროვანია ანაზღაურების წყაროთა მიხედვითაც. მათი ერთი ნაწილი გაპირობებულია მიმოქცევის სფეროში გაგრძელებული საწარმოო პროცესებით. ეს ოპერაციებია: საქონლის ტრანსპორტირება, სასაქონლო მარაგის შენახვა, სასაქონლო ოპერაციები საქონლის საბოლოო დამუშავებაზე, დახარისხება, საქონლის შეფუთვა, საქონლის აწონვის, გაზომვის, ჩალაგების ოპერაციები მომხმარებელზე გაცემის დროს და ა. შ. ამ ხარჯთა ანაზღაურება ხდება იმ მუშაკთა შრომით, რომლებიც დასაქმებული არიან ამ პროცესებში და ზრდიან საქონლის ღირებულებას.

საბჭოთა ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯთა მეორე ნაწილს განაპირობებს პროდუქტების გაცვლის სასაქონლო ფორმა იმით, რომ მომხმარებლამდე მათი დაყვანის პროცესი წარმოებს ყიდვა-გაყიდვის, ღირებულების ფორმების შეცვლის გზით. ეს არის დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია საქონლის ყიდვა-გაყიდვასთან, რეკლამასთან, ფულის მიმოქცევასთან, სავაჭრო კორესპონდენციის წარმოებასთან, ფულადი ფორმით აღრიცხვის განხორციელებასა და ა. შ. მიმოქცევის ყველა ამ დანახარჯზე გრცელდება კ. მარქსის მიერ ფორმულირებული საერთო კანონი იმის შესახებ, რომ მიმოქცევის ყველა დანახარჯი, რომელიც განაპირობებულია საქონლის ღირებულების ფორმის ცვლილებით, არ უმატებს არავითარ ღირებულებას. მათი ანაზღაურება ხდება ზედმეტი პროდუქციის ხარჯზე, რომელიც იქმნება წარმოების პროცესში, მიმოქცევის სფეროში წარმოების პროცესის გაგრძელების ჩათვლით.

სტატისტიკამ შესაძლებლობა უნდა მოგვეცეს მიმოქცევის ხარჯები გავყოთ ორ ჯგუფად, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნული შემოსავლის გამომანგაროებისათვის.

მიმოქცევის ხარჯები სახელმწიფო და კოოპერაციულ საბჭოთა ვაჭრობაში წარმოადგენს გეგმურ კატეგორიას. მათი დაგეგმვა ისე უნდა წარიმართოს, რომ მოვსპოთ ზედმეტი ხარჯები, ეფექტურ სავაჭრო მომსახურებასთან ერთად დაკმაყოფილდეთ უმცირესი დანახარჯებით.

სკკპ XXIV ყრილობის ღირეტივები ითვალისწინებენ ეკონომიის უმკაცრესი რეჟიმის, რაგორც წარმოების ეფექტურობის ამაღლების ერთ-ერთი მძლავრი საშუალების, განხორციელებას მიმდინარე ხუთწლეულში. ამას უშუალო დამატებულება აქვს ვაჭრობასთანაც.

სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკის განვითარების გეგმიანი ხასიათი

შესაძლებლობას იძლევა მაქსიმალურად შეიკვეცოს მომხმარებლამდე საქონლის გატარების რგოლები, უფრო რაციონალურად მოეწყოს საქონლის გადაზიდვა სხვადასხვა სახის ტრანსპორტით, მიზანშეწონილად განვითარდეს და განლაგდეს საავტრო-სასაწყობო ქსელი და შეიარაღდეს იგი მოწინავე საავტრო ტექნიკით. დაგეგმვა მიმართულია იქითკენ, რომ ვაჭრობის ახალი, პროგრესული ფორმების შემოღებით (თვითმომსახურება, ვაჭრობა წინასწარ შეფუთული საქონლით, ვაჭრობა სტანდარტული ფასებით, საქონლის მიტანა ბინაზე და სხვა) ავამაღლოთ მოსახლეობის საავტრო მომსახურების ხარისხი და საავტრო საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები (საქონელბრუნვის სისწრაფე, შრომის ნაყოფიერება და ა. შ.). ყველა ეს მომენტი მხედველობაში მიიღება მიმოქცევის ხარჯთა შემცირების საგვემთავე დავალუბათა შედგენისას, რაც ემყარება იმ ფაქტორთა ღრმა შესწავლას, რომლებიც გავლენას ახდენენ მიმოქცევის ხარჯების ღონეზე.

თავისი მეთოდების დახმარებით სტატისტიკა ხელს უნდა უწყობდეს მიმოქცევის ხარჯთა ანალიზს და მათი ღონის შესამცირებელ რეზერვთა გამოვლენას. დაჯგუფების მეთოდის საშუალებით შეიძლება დადგენა, თუ რა გავლენას ახდენს ცალკეული ფაქტორები მიმოქცევის ხარჯების ღონეზე, ხოლო კორელაციის თეორიის დახმარებით განისაზღვრება მიმოქცევის ხარჯების ღონის დამოკიდებულება უმნიშვნელოვანეს ფაქტორზე და კავშირის ფორმის დადგენის შემდეგ შევუდგებით მიმოქცევის ხარჯების მეცნიერულად დასაბუთებულ ნორმირებას. საინდექსო მეთოდი ფართოდ გამოიყენება მიმოქცევის ხარჯების ანალიზის დროს ფასებისა და საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის ცვლილებასთან დაკავშირებით.

მიმოქცევის ხარჯების ანალიზის წარმოება მათ შემამცირებელ რეზერვთა გამოვლენის თვალსაზრისით იმითაცაა მნიშვნელოვანი, რომ მიმოქცევის ხარჯები საავტრო ფასდათმობის უცვლელი ნორმების დროს საავტრო ორგანიზაციათა მუშაობის რენტაბელობის ძირითად ფაქტორს წარმოადგენს. ამასთან, საცალო ფასის საავტრო ფასდათმობის ნორმები მიმოქცევის ხარჯების დასაფარავად დაწესებულია საქონლის ჯგუფების მიხედვით, ვინაიდან მიმოქცევის ხარჯთა ღონე საგრძნობლად განსხვავდება საქონლის მიხედვით. მაგრამ ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯების აღრიცხვა ხორციელდება ყველა საქონლისათვის ერთად. საავტრო მუშაობის სპეციფიკა საშუალებას არ იძლევა, რომ მიმოქცევის ხარჯების აღრიცხვა ყველგან ცალკეული საქონლის მიხედვით წარმოებდეს ისევე, როგორც, მაგალითად, ამას ადგილი აქვს საქონლის წარმოების თვითღირებულების აღრიცხვისას მრეწველობაში. მაგრამ იმისათვის, რომ სწორად დავაწესოთ საავტრო ფასდათმობა და უზრუნველყვათ საავტრო ორგანიზაციების მუშაობის ნამდვილი რენტაბელობა ცალკეული საქონლის მიხედვით, საჭიროა პერიოდულად შემოწმდეს, თუ როგორი იქნება მიმოქცევის ხარჯების ღონე ცალკეული საქონლის მიხედვით. ამასთან დაკავშირებით უნდა მოეწყოს მიმოქცევის ხარჯთა შერჩევითი აღრიცხვა საქონლის მიხედვით.

სტატისტიკა გვეხმარება მიმოქცევის ხარჯთა დაგეგმვაში, მათ შესამცირებელ რეზერვთა აღმოჩენაში.

## 2. მიმოქცევის ხარჯთა სტატისტიკის ორგანიზაცია

მიმოქცევის ხარჯთა სტატისტიკა ემყარება მიმოქცევის ხარჯთა პირველად ბუღალტრულ აღრიცხვას სავაჭრო საწარმოებსა და ორგანიზაციებში. ამ აღრიცხვის საფუძველზე მიმოქცევის ხარჯების ანგარიშგება დგება როგორც წლიური და კვარტალური ბალანსების სავალდებულო დანართი, რომელიც წარმოადგენს მიმოქცევის ხარჯთა კვარტალური და წლიური კრებსითი სტატისტიკის საფუძველს.

სხვადასხვა სავაჭრო ორგანიზაციისა და სისტემის მიმოქცევის ხარჯთა ანგარიშგების კრებსითობა უზრუნველყოფილია იმით, რომ მათი პირველადი ბუღალტრული აღრიცხვა აგებულია სახალხო მეურნეობრივ პრინციპებზე, რომლებიც უზრუნველყოფენ მის ერთიანობას. ეს პრინციპები ვლინდება, პირველ ყოვლისა, იმაში, რომ აღრიცხვაში მკაცრადაა შემოფარგლული მიმოქცევის ხარჯების კატეგორიაც. სავაჭრო საწარმოთა ყველა ხარჯი ამა თუ იმ სახით გავლენას ახდენს მისი მუშაობის რენტაბელობაზე, თუმცა ყველა მათგანი არ შეიძლება მივაკუთვნოთ მიმოქცევის ხარჯებს. მათ მიეკუთვნებიან სავაჭრო საწარმოს მხოლოდ ისეთი ხარჯები, რომლებიც, სახალხო მეურნეობის თვალსაზრისით, ნამდვილად წარმოადგენენ საქონელბრუნვის განხორციელების ხარჯებს. ამ ნიშნის მიხედვით, მიმოქცევის ხარჯებს არ მიეკუთვნება გადასახადები, რომლებსაც იხდის სავაჭრო საწარმო; გადარიცხვები ზემდგომი რგოლების შესანახად, რომელთა გადამხდელია ძირეული სავაჭრო საწარმოანი; ყოველგვარი საურავები და ჯარიმები (კერძოდ, ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის). ამ სახის ხარჯი არ წარმოადგენს დანახარჯს სახალხო მეურნეობრივი თვალსაზრისით, არის მხოლოდ საშუალებათა გადანაწილება სახალხო მეურნეობაში. მიმოქცევის ხარჯებს არ მიეკუთვნება სავაჭრო საწარმოს ზარალიც, რომელიც განპირობებულია მასში კონტროლის ცუდად დაყენებით ან აღრიცხვის არე-დარევით (მაგალითად, დებიტორული დავალიანებით გამოწვეული ზარალი, ზარალი, გამოწვეული შემთხვევითი მიზეზებით, ვთქვათ, სტიქიური უბედურებით). ეს ხარჯები არ არის განპირობებული საქონელბრუნვის პროცესით და ბუღალტრულ აღრიცხვაში ჩამოიწერება მოგება-ზარალის ანგარიშით.

მიმოქცევის ხარჯთა აღრიცხვის სახალხო მეურნეობრივი პრინციპები საბჭოთა ვაჭრობის საწარმოებში კიდევ იმაში ვლინდება, რომ მიმოქცევის ყველა ხარჯი, დაკავშირებული სავაჭრო საქმიანობასთან, აღრიცხება ერთიან ანგარიშზე იმ მოცულობით, რომელიც ეხება გაყიდულ სასაქონლო მასას, განურჩევლად იმისა, თუ რასთანაა ეს ხარჯები დაკავშირებული — საქონლის ყიდვასთან თუ გაყიდვასთან. ეს პრინციპები, ბოლოს, ვლინდება იმაში, რომ ყველა სავაჭრო ორგანიზაციაში მიღებულია მიმოქცევის ხარჯთა კლასიფიკაციის ერთიანი სქემები საქმიანობის დარგთა და ხარჯების სახეთა მიხედვით, რომელთა საფუძველზე წარმოებს მათი პირველადი აღრიცხვა და დგება ანგარიშგება.

მიმოქცევის ხარჯთა კლასიფიკაცია საქმიანობის დარგების მიხედვით ითვალისწინებს მათ ცალ-ცალკე აღრიცხვას საბითუმო და საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, სასოფლო-სამეურნეო დამზადების, ბოტანიკისა

და კარტოფილის გრძელვადიანი შენახვის მიხედვით. გარდა ამისა, აღრიცხვისას ცალკე გამოიყოფა ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები. მიმოქცევის ხარჯთა ცალ-ცალკე აღრიცხვა საქმიანობის დარგების მიხედვით განპირობებულია იმით, რომ მიმოქცევის ხარჯთა სტრუქტურისა და ღონის მხრივ სხვადასხვა დარგები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ეს კი იწვევს მათი ცალკეული დარგების მიხედვით დაგეგმვის აუცილებლობას. ასე მაგალითად, დანახარჯები დამზადებასთან დაკავშირებულ საქმიანობაზე ღონისა და შემადგენლობის მიხედვით არსებითად განსხვავდება სავაჭრო საქმიანობასთან დაკავშირებული დანახარჯებისაგან. მათი ღონე, როგორც წესი, ღვინდება პროცენტობით დამზადებული პროდუქციის ბრუნვის მიმართ შესყიდვის ფასებით. ეს ღონე, როგორც წესი, მნიშვნელოვნად მალალია, ვიდრე სავაჭრო საქმიანობაში. დამზადების დანახარჯთა შემადგენლობაში დიდი ხვედრითი წონა უჭირავს ტრანსპორტის, პროდუქციის შენახვისა და დამატებითი დამუშავების ხარჯებს. ერთგვაროვანი პროდუქტების დამზადებისას მიმოქცევის ხარჯთა დაგეგმვა და აღრიცხვა ხორციელდება დამზადებული პროდუქციის ერთ ტონაზე გაანგარიშებით.

არსებითად განსხვავდება აგრეთვე საბითუმო და საცალო ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯები. საბითუმო ვაჭრობაში მიმოქცევის ხარჯთა ღონე, როგორც წესი, 4—5-ჯერ მცირეა, ვიდრე საცალო ვაჭრობაში, და აქვს სხვა შემადგენლობა. ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი კვების ხარჯები, სადაც სავაჭრო დანახარჯებთან ერთად შედის საქმლის დამზადების ხარჯებიც. მათი ღონე, ჩვეულებრივ, 2—3-ჯერ მალალია საცალო ვაჭრობასთან შედარებით. ბოსტნეულისა და კარტოფილის გრძელვადიანი შენახვის საწყობების ხარჯთა ღონე განისაზღვრება არა პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ, არამედ მანეთობით შენახული პროდუქციის 1 ტონაზე.

მაგალითის სახით მოვიტანოთ 1965 წლის მონაცემები მიმოქცევის ხარჯების შესახებ სახელმწიფო და კოოპერაციული საბჭოთა ვაჭრობის დარგთა მიხედვით (დამზადებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ხარჯების გარეშე):

ვაჭრობის დარგები	აბსოლუტური თანხა (მილ. მან.)	პროცენტობით დარგის საქონელბრუნვის მიმართ	პროცენტობით საცალო საქონელბრუნვის მიმართ	რგოლის ხვედრითი წონა საერთო ჯამში (პროცენტობით)
საბითუმო ვაჭრობა	685	1,17	0,86	9,5
საცალო ვაჭრობა	6134	6,61	5,97	66,5
კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის შეზიდვისა და საცავებში მათი შენახვის ხარჯები	339	—	0,32	3,5
საზოგადოებრივი კვება	1697	18,85	1,85	20,5
<b>ს უ ლ</b>	<b>9251</b>	<b>—</b>	<b>9,00</b>	<b>100</b>

საბჭოთა ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯებმა, რომელთაც კაპიტალისტურ ვაჭრობასთან შედარებით მცირე ხვედრითი წონა აქვთ საქონელბრუნვაში (9%), აბსოლუტური ოდენობით 1965 წელს შეადგინა 9 მლრდ მანეთზე მეტი. ამ თანხის ორი მესამედი (66,5%) მოდის საცალო ვაჭრობაზე, 20,5%—საზოგადოებრივ კვებაზე და 9,5%—საბითუმო ვაჭრობაზე. ცხრილში განსაზღვრულია მიმოქცევის ხარჯთა ორი დონე: პროცენტობით დარგის საქონელბრუნვის მიმართ და პროცენტობით საცალო საქონელბრუნვის მიმართ (საზოგადოებრივი კვების ჩათვლით). პირველი—დარგობრივი მეთოდი საშუალებას იძლევა შევადაროთ დონეები ცალკეულ დარგებში. მონაცემებიდან ჩანს, რომ ხარჯების დონე საზოგადოებრივ კვებაში ყველაზე მაღალია, ხოლო საბითუმო ვაჭრობაში—ყველაზე დაბალი. მეორე მეთოდი—სანჯონო-სამეურნეო—ცხადყოფს ცალკეული დარგების როლს მიმოქცევის ხარჯთა საერთო დონის ფორმირებაში.

იღი მნიშვნელობა აქვს მიმოქცევის ხარჯებიდან ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების გამოყოფას ვაჭრობაში. მას მიეკუთვნება ცენტრალური აპარატის შენახვის ხარჯები, შუალედური რგოლების (რაიონული, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკური) სავაჭრო სისტემებისა და მსხვილი სავაჭრო საწარმოების სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯები. ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯთა ერთი ნაწილი მიეკუთვნება უშუალოდ საქმიანობის ამა თუ იმ დარგს (დამზადებანი, ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება). მაგრამ არსებობს აგრეთვე სავაჭრო სისტემათა და ორგანიზაციათა სამმართველო აპარატის შენახვის ხარჯები, რომლებიც ემსახურება მათი საქმიანობის ყველა დარგს. ეს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები საერთო ხარჯებია და სტატისტიკური თავმოყრის დროს უნდა განაწილდეს საქმიანობის ყველა დარგს შორის.

ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები ხასიათდება დაგეგმვის განსაკუთრებული რეჟიმით. მიმოქცევის ხარჯთა მთელი გეგმის ძირითად მაჩვენებლებს წარმოადგენს მათი შედარებითი დონეები. დანახარჯების აბსოლუტურ თანხებს ამასთანავე აქვთ არაძირითადი მნიშვნელობაც. სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვის გეგმის მნიშვნელოვან გადაჭარბებას შეუძლია გამოიწვიოს დანახარჯთა ცალკეული სახეების უფრო გადიდება, მაგრამ თუ ამავე დროს მათი პროცენტი საქონელბრუნვის მიმართ არ იქნება გეგმით გათვალისწინებულზე მეტი, მიმოქცევის ხარჯების გეგმა შინც შესრულებულად ჩაითვლება. სულ სხვაგვარად დვას ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების საკითხი. ეს ხარჯები ნაკლებადაა დაკავშირებული საქონელბრუნვის მოცულობასთან და გეგმაში წესდება აბსოლუტური თანხებით. არ უნდა დავუშვათ ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების აბსოლუტური თანხების გადახარჯვა საქონელბრუნვის გეგმის შესრულებისაგან დამოუკიდებლად.

ამიტომ ანგარიშგებაში საჭიროა ცალკე გამოიყოს ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები, ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების საერთო თანხიდან, ჩვეულებრივ, გამოიყოფა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის ხელფასი.

საქმიანობის დარგთა მიხედვით დაყოფასთან ერთად მიმოქცევის ხარჯები



საბჭოთა ვაჭრობის აღრიცხვასა და ანგარიშგებაში იყოფა ხარჯების სახეთა მიხედვით. მიმოქცევის ხარჯები შედგება მრავალი სხვადასხვა სახის ხარჯისაგან, რომლებშიც შედის საეპრო ორგანიზაციათა ხარჯები საქონლის ყიდვა-გაყიდვაზე, სასაქონლო მარაგის შენახვაზე, საქონლის გადაზიდვაზე, საეპრო და სასაწყობო სადგომების შენახვაზე, აღრიცხვის წარმოებასა და სხვ. ყოველი ცალკეული სახის დანახარჯი ასახავს საეპრო ორგანიზაციის მუშაობის რომელიმე მხარეს. მიმოქცევის ხარჯთა დაგეგმვა წარმოებს ხარჯების ცალკეულ სახეთა მიხედვით სპეციალურ გაანგარიშებათა საფუძველზე ყოველი სახის ხარჯის წარმოშობის თავისებურებებიდან გამომდინარე. მიმოქცევის ხარჯთა შემცირების ოპერატიულ ღონისძიებათა შინაარსი განისაზღვრება აგრეთვე სხვადასხვა სახის ხარჯთა სპეციფიკური თავისებურებებით. ცხადია, აღრიცხვასა და ანგარიშგებაში მიმოქცევის ხარჯები ნაჩვენები უნდა იყოს ხარჯების სახეთა მიხედვით.

ხარჯთა ნუსხას, რომელიც გამოიყოფა მიმოქცევის ხარჯების აღრიცხვაში, ეწოდება მიმოქცევის ხარჯთა კლასიფიკაცია ხარჯების სახეთა მიხედვით. კლასიფიკაციის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ცალკე გამოყოს უმნიშვნელოვანესი, წარმოშობით ერთგვაროვანი ხარჯები და ამით უპასუხოს დაგეგმვისა და ოპერატიული ხელმძღვანელობის მოთხოვნებს. ბუნებრივია, რომ საქმიანობის ცალკეულ დარგთათვის (ვაჭრება, საზოგადოებრივი კვება, დაშალდება) კლასიფიკაციები სხვადასხვაგვარი იქნება კონკრეტული დარგის თავისებურებათა შესაბამისად. კლასიფიკაციები რამდენადმე განსხვავდება სხვადასხვა საეპრო სისტემებშიც (სახელმწიფო საეპრო ორგანიზაციები, დიდი უნივერსიტეტები, სასოფლო ქსელი და ა. შ.), რომლებიც ასახავენ მათი მუშაობის სპეციფიკას.

ერთიანობისა და კრებისითობის მოთხოვნა მდგომარეობს იმაში, რომ აღრიცხვისათვის მიღებული კლასიფიკაციის ყოველგვარი განსხვავების შემთხვევაში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მინიმალური კლასიფიკაციის ერთიანი შინაარსი, რომელიც მიღებულია მიმოქცევის ხარჯთა ანგარიშგებასა და სახალხომეურნეობრავ ნაკრებში. ამ კლასიფიკაციის მაგალითად მოვიტანოთ სსრ კავშირის მიმოქცევის ხარჯების კრებისითი ანგარიში საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში 1965 წლისათვის:

ხარჯთა სახეები	საცალო ვაჭრობა		საზოგადოებრივი კვება	
	პროცენტობით საქონლებრუნვის მიმართ	პროცენტობით ჯამის მიმართ	პროცენტობით საქონლებრუნვის მიმართ	პროცენტობით ჯამის მიმართ
	1	2	3	4
სარკინიგზო, წყლისა და ავტოსაკაპანო გადაზიდვების ხარჯები	1,13	17,0	1,29	6,8
ხელუასი	2,91	44,0	11,29	59,9
იჯარის, სადგომებისა და ინვენტარის შენახვის ხარჯები	0,62	12,4	1,60	8,5
მიმდინარე რემონტის ხარჯები	0,13	2,0	0,36	1,9

	1	2	3	4
საქონლის დამუშავების, დახარისხების, შედგენის, შენახვის, ყინულის შესყიდვისა და სამაცივრო დანადგარების შენახვის ხარჯები	0,11	1,7	—	—
სათბობი, ორბილი, ელექტრობა (საწარმოო საბირთვიანობისთვის)	—	—	0,94	5,0
სანსპეცტანსაკლის, სასადილოს თეთრეულისა და მცირეფასიანი ნივთების, მურღლის, სასადილო ხელსაწყოებისა და სკათა ცეფთა	—	—	1,09	5,8
პროცენტი კრედიტზე	0,35	5,3	—	—
საქონლის დანაკარგები დაწესებულის ნორმის უარგლებში	0,17	2,6	0,12	0,6
საქონლის დანაკარგები დაწესებულის ნორმის ზევით	0,05	0,8	0,03	0,2
ტარის ხარჯები და დანაკარგები	0,11	1,7	0,13	0,7
ზემდგომი რგოლების აღმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯები	0,23	3,5	0,41	2,2
დანარჩენი ხარჯები	0,60	9,0	1,59	8,4
<b>ს უ ლ</b>	<b>6,61</b>	<b>100,0</b>	<b>18,85</b>	<b>100,0</b>

ცხრილი გვიხატავს ხარჯების უმნიშვნელოვანეს სახეობათა ხვედრით წონას მიმოქცევის საერთო ხარჯებში და ამ უკანასკნელის განსხვავებას საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში. ჩვენ ვხედავთ, რომ საბჭოთა ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯებში ძირითადი ადგილი უჭირავს ვაჭრობის მუშაკთა ხელფასს, რომელიც საცალო ვაჭრობაში შეადგენს მიმოქცევის მთელი ხარჯების 44 %-ს, ხოლო საზოგადოებრივ კვებაში—60%-ს. მეორე ადგილი საცალო ვაჭრობაში უჭირავს სატრანსპორტო ხარჯებს—17%, ხოლო მესამე—ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია სავაჭრო სადგომებისა და ინვენტარის შენახვასა თუ მიმდინარე რემონტთან—14,4%. ხარჯთა ეს სამი სახე შეადგენს საცალო ვაჭრობის მთელი მიმოქცევის ხარჯების 75,4%-ს.

მოტანილი კლასიფიკაცია არ არის სრულყოფილი და მას სამართლიანად აკრიტიკებენ. მასში, მაგალითად, სატრანსპორტო ხარჯები მოცემულია ერთად, მაშინ როცა გადაზიდვას სხვადასხვა სახის ტრანსპორტით თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც გავლენას ახდენს სატრანსპორტო ხარჯებზე. არ არის გამოყოფილი რეკლამისა და რიგი სხვა ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებასთან.

სსრ კავშირის ყველა სავაჭრო ორგანიზაცია ადგენს მიმოქცევის ხარჯთა კვარტალურ და წლიურ ანგარიშგებას. ამ ანგარიშგებებში ხარჯები დაყოფილია საქმიანობის დარგებისა და ხარჯების სახეთა მიხედვით. მის საფუძველზე ზორციულდება კონტროლი მიმოქცევის ხარჯთა შემცირების გეგმის შესრულებაზე და წარმოებს ამ ხარჯების სახალხომეურნეობრივი თავმოყრა ოლქების, რესპუბლიკებისა და საერთოდ სსრ კავშირის მასშტაბით. მასში მიმოქცევის ხარჯები ასევე

ცალ-ცალკე გაანგარიშება (აბსოლუტურ თანხებში) დარგებისა და ხარჯთა სახეების მიხედვით.

მიმოქცევის ხარჯთა აბსოლუტური თანხების გამოთვლა წარმოადგენს შეფარდებითი მაჩვენებლების ანალიზისა და განსაზღვრის ბაზას; გარდა ამისა, მას აქვს თავისთავადი მნიშვნელობაც, რადგან გვიჩვენებს, თუ რა უჯდება სახალხო მეურნეობას საქონელგატარების პროცესი. ეს გამოთვლა დიდ როლს ასრულებს აგრეთვე სახალხო მეურნეობის ბალანსის შედგენის, კერძოდ ვაჭრობის წმინდა პროდუქციის დადგენის საქმეში.

### მ. მიმოქცევის ხარჯთა დონის გაანგარიშება საქონელბრუნვასთან შეფარდებით

მიმოქცევის ხარჯთა სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს წარმოადგენს მათი დონე, რომელიც გაანგარიშებულია საქონელბრუნვასთან შეფარდებით. თუ, მაგალითად, ცნობილია, რომ სავაჭრო ორგანიზაციის საქონელბრუნვა შეადგენდა 10 მილიონ მანეთს. ხოლო მიმოქცევის ხარჯები—600 ათასს, მაშინ მათი დონე საქონელბრუნვასთან შეფარდებით ტოლი იქნება 0,06-ისა (600 : 10000), ანუ 6%-ისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, საქონელბრუნვის ყოველ მანეთში 6 კპ. შეადგენს მიმოქცევის ხარჯებს.

როდესაც მიმოქცევის ხარჯთა შემცირების შესახებ ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ მათი დონის და არა აბსოლუტური თანხების დინამიკა. მიმოქცევის ხარჯთა საგვემო დავალება ასევე მოცემულია მათი დონის შემცირების რაოდენობის სახით. ამიტომ მიმოქცევის ხარჯთა დონის სწორ განსაზღვრას საქონელბრუნვასთან შეფარდებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს სტატისტიკაში.

როდესაც ლაპარაკია ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციის შესახებ, არავითარ შემთხვევაში არ წარმოიშობა ამ დონის განსაზღვრის დროს. საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციაში მიმოქცევის ხარჯთა დონე განისაზღვრება პროცენტობით საბითუმო საქონელბრუნვის მიმართ, რომელშიც შეიტანება როგორც სასაწყობო საბითუმო საქონელბრუნვა, ისე სატრანზიტო საქონელბრუნვა სახსრების დაბანდებით. სატრანზიტო ბრუნვა სახსრების დაბანდების გარეშე (ორგანიზებული ბრუნვა) მიმოქცევის ხარჯთა დონის გაანგარიშების დროს მხედველობაში არ მიიღება. საცალო სავაჭრო ორგანიზაციაში ეს დონე განისაზღვრება პროცენტობით საცალო საქონელბრუნვის, ან საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის მიმართ (საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებში), მიმოქცევის ხარჯთა დონის განსაზღვრის რამდენადმე განსხვავებული პრინციპია დამამზადებელ ორგანიზაციებში. რამდენადაც მათი ძირითადი ამოცანაა სასაქონლო მასის დამზადება (შესყიდვა) და არა გაყიდვა, დამამზადებელი ორგანიზაციების ხარჯთა დონე განისაზღვრება დამზადებულ და არა გაყიდულ სასაქონლო მასასთან შეფარდებით, რაც შეფასებულია დამზადების ფასებში, ანდა აღებულია ნატურალური მოცულობით (დამზადებული პროდუქციის ერთ ტონაზე).

მთელი საქონელბრუნვის მიმოქცევის ხარჯთა დონის განსაზღვრისას წარმოიშობა სიძნელენი მრავალ რგოლიან სავაჭრო სისტემაში, რომელთაც აქვთ საბითუმო და საცალო რგოლები. მიმოქცევის ხარჯები წარმოიშობა ყოველ რგოლში, და რომ განვიხილოთ საქონელბრუნვის მთელი პროცესი, მაშინ მთელი საქონელბრუნვის მიმოქცევის ხარჯთა საერთო თანხა ტოლი იქნება საბითუმო და საცალო რგოლების მიმოქცევის ხარჯთა არითმეტიკული ჯამისა. სხვა მდგომარეობაშია საქონელბრუნვა. საბითუმო რგოლში გაყიდული სასაქონლო მასა გადადის საცალო რგოლში და აქ ხელმეორედ იყიდება. ამიტომ საერთო საქონელბრუნვაში, რომელიც წარმოადგენს გაყიდვის არითმეტიკულ ჯამს საქონელგატარების ყველა რგოლში, ერთი და იგივე სასაქონლო მასა იანგარიშება ორჯერ და მეტად რგოლების იმ რიცხვთა შესაბამისად, რომლებიც გაიარა წარმადებიდან მომხმარებლამდე. გაყიდული სასაქონლო მასის ფაქტიური მოცულობა, როგორც ცნობილია, გვიხსნიათებს სხვა კრებისთ მიჩვენებელს—წმინდა საქონელბრუნვას, რომელიც წარმოადგენს ყველა რგოლში საბოლოო გაყიდვის ჯამს. ისმება კითხვა, მიმოქცევის ხარჯთა საერთო დონის გაანგარიშება რომელ საქონელბრუნვასთან შეფარდებითაა უფრო სწორი—საერთოსთან თუ წმინდასთან? (მთელი საქონელბრუნვისათვის კი ეს იქნება საცალო).

თუ მას განვსაზღვრავთ საერთო ბრუნვასთან შეფარდებით, მაშინ დავამახინჯებთ მიმოქცევის ხარჯთა დონის დინამიკას, რადგანაც საქონელგატარების რგოლადობის გადიდება მექანიკურად მიგვიყვანს მიმოქცევის ხარჯთა დონის შემცირებამდე. ეს კი ეწინააღმდეგება პრობლემის ეკონომიურ არსს, რადგან რგოლადობის გადიდება, სხვა თანაბარ პირობებში, ეკონომიურად ნიშნავს საქონელგატარებაზე დანახარჯების ზრდას, ე. ი. მიმოქცევის ხარჯთა საერთო დონის გადიდებას. ასეთი წინააღმდეგობა არ წარმოიშობა, თუ მიმოქცევის ხარჯთა საერთო დონეს გავიანგარიშებთ წმინდა საქონელბრუნვასთან შეფარდებით. ეს ნათელგყვით მრავალრგოლიან სავაჭრო ორგანიზაციაში მიმოქცევის ხარჯთა დონის დინამიკის სხვადასხვა მეთოდებით გამოანგარიშების მაგალითით (მონაცემები პირობითია).

მაჩვენებლები	I პერიოდი	II პერიოდი	III პერიოდი	ინდექსები I პერიოდთან შეფარებით	
				II პერიოდი	III პერიოდი
	1	2	3	4	5
<b>მიმოქცევის ხარჯები (მლნ მან.)</b>					
1. საბითუმო საწარმოებში	8	14,4	14,4	1,8	1,8
2. საცალო საწარმოებში	48	69,6	69,6	1,45	1,45
3. ორგანიზაციაში მთლიანად (1+2)	56	84	84	1,5	1,5
<b>საქონელბრუნვა (მლნ მან.)</b>					
1. საბითუმო—სულ	400	720	800	1,8	2,0

	1	2	3	4	5
<b>მათ შორის:</b>					
ა) თავის საწარმოებზე გაყიდვით	300	620	700	2,07	2,33
ბ) სხვა ორგანიზაციებზე გაყიდვით	100	100	100	1,0	1,0
2. საცალო	800	1160	1200	1,45	1,5
3. საერთო (1+2)	1200	1890	2000	1,57	1,67
4. წმინდა (1ბ+2)	900	1260	1300	1,40	1,44
<b>მიმოქცევის ხარჯები პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ</b>					
1. საბითუმო საწარმოებში (საბითუმოს მიმართ)	2	2	1,8	1,0	0,9
2. საცალო საწარმოებში (საცალოს მიმართ)	6	6	5,8	1,0	0,97
3. ორგანიზაციაში მთლიანად:					
ა) საერთო საქონელბრუნვის მიმართ	4,667	4,47	4,2	0,957	0,9
ბ) წმინდა საქონელბრუნვის მიმართ	6,22	6,66	6,46	1,071	1,038
რგოლადობის კოეფიციენტი ორგანიზაციაში	1,33	1,49	1,538	1,120	1,154

მაგალითში მოტანილია მონაცემები დროის სამი პერიოდისათვის. მეორე პერიოდში საბითუმო და საცალო საწარმოებში საქონელბრუნვა და მიმოქცევის ხარჯთა აბსოლუტური თანხა იზრდებოდა ერთნაირი ტემპებით, რის გამოც მათი დონეები რგოლთა მიხედვით უცვლელი დარჩა. მაგრამ საბითუმო საქონელბრუნვის შემადგენლობა შეიცვალა: აიწია თავის ორგანიზაციებზე შიდაგაყიდვის დონემ, ორგანიზაციის გარეთ კი საბითუმო საქონელბრუნვის მოცულობა არ გადიდებულა. ამის გამო საერთო საქონელბრუნვა უფრო მეტად გაიზარდა, ვიდრე წმინდა, ხოლო რგოლადობა ორგანიზაციაში—1,33-დან 1,49-მდე. ამან ობიექტურად უნდა მიგვიყვანოს მიმოქცევის ხარჯთა დონის ზრდამდე ორგანიზაციის მიხედვით მთლიანად. მართლაც, ასეთ ზრდას ადგილი ექნება, თუ დონე განისაზღვრება წმინდა საქონელბრუნვასთან შეფარდებით, რაც შეეხება გაანგარიშებას საერთო საქონელბრუნვასთან შეფარდებით, იგი გვიჩვენებს მიმოქცევის ხარჯთა დონის შემცირებას.

III პერიოდში ხდება რგოლადობის კოეფიციენტის შემდგომი ზრდა (1,538-მდე). ამიტომ, მიუხედავად მიმოქცევის ხარჯთა დონის შემცირებისა როგორც საბითუმო (2-დან 1,8%-მდე), ისე საცალო (6-დან 5,8%-მდე) რგოლში, მთლიანად ორგანიზაციაში ხარჯთა დონე, დადგენილი წმინდა საქონელბრუნვასთან შეფარდებით, რამდენადმე გადიდდა (6,22-დან 6,46%-მდე), თუმცა უფრო ნაკლებად, ვიდრე II პერიოდში. ხარჯთა დონე კი, განსაზღვრული საერთო საქონელბრუნვის

მიმართ, გვიჩვენებს მნიშვნელოვან შემცირებას (4,667-დან 4,2%/₆-მდე), რაც თავისი ტემპებით აღემატება საბითუმო და საცალო რგოლებში ღონეთა საშუალო შემცირებასაც კი, რადგანაც მასზე, რგოლების მიხედვით ხარჯების შემცირების გარდა, გავლენას ახდენს რგოლადობის ზრდა.

წმინდა და საერთო საქონელბრუნვის მიმართ გაანგარიშებული მიმოქცევის ხარჯთა ღონეები და რგოლადობის კოეფიციენტი ერთმანეთთან შვიდროდაა დაკავშირებული: საერთო საქონელბრუნვის მიმართ დადგენილი ღონე, გამრავლებული რგოლადობის კოეფიციენტზე, უდრის წმინდა საქონელბრუნვის მიმართ დადგენილ ღონეს. ხოლო რადგან რგოლადობის კოეფიციენტი, ჩვეულებრივ, არ არის ერთზე ნაკლები, ამიტომ საერთო ბრუნვის მიმართ გაანგარიშებული ღონე ყოველთვის დაბალია წმინდა საქონელბრუნვის მიმართ გაანგარიშებულ ღონეზე (იმდენჯერ, რამდენ რგოლსაც საშუალოდ გაივლის საქონელი). ასეთივე კავშირია დინამიკის მაჩვენებლებს—ინდექსებს შორის: საერთო ბრუნვის მიმართ დადგენილი ღონის ინდექსი, გამრავლებული რგოლადობის ინდექსზე, უდრის წმინდა საქონელბრუნვის მიმართ დადგენილი ღონის ინდექსს (მაგალითად:  $1,038 = 0,9 \times 1,154$ ). აქედან ნათელია, რომ რგოლადობის ზრდისას საერთო საქონელბრუნვის მიმართ მიმოქცევის ხარჯთა ღონის დინამიკა სულ უფრო მცირდება, ხოლო რგოლადობის შემცირებისას—ზრდება. წმინდა საქონელბრუნვის მიმართ მიმოქცევას ხარჯთა ღონის განსაზღვრის პრინციპი გულისხმობს, რომ ყველა შემთხვევაში ამ ღონეს საფუძვლად უნდა დაედოს სასაქონლო მასის ფაქტიური მოცულობა, გაანგარიშებული ერთხელ, განმეორებითი ანგარიშის გარეშე. ეს ნიშნავს, რომ სახალხო მოხმარების საქონლის მიმოქცევის მთელი სფეროსათვის მიმოქცევის ხარჯთა ღონე უნდა განისაზღვროს პროცენტობით საცალო საქონელბრუნვის მიმართ,

7 } 4. მიმოქცევის ხარჯთა სტატისტიკის მაჩვენებელთა სისტემა

მიმოქცევის ხარჯთა დინამიკის საანალიზოდ და მათი შემცირების გეგმის შესრულების შესამოწმებლად მიმოქცევის ხარჯთა სტატისტიკაში გამოიყენება მაჩვენებელთა შემდეგი სისტემა:

1. მიმოქცევის ხარჯთა აბსოლუტური თანხა;
2. მიმოქცევის ხარჯთა ღონე (პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ);
3. მიმოქცევის ხარჯთა ღონის დინამიკა;
4. მიმოქცევის ხარჯთა ღონის ცვლილების სიდიდე (პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ).
5. ცვლილების ტემპი (პროცენტობით პირვანდელი ღონის მიმართ).
6. მიმოქცევის ხარჯთა ცვლილებით მიღებული ეკონომიის ან დანაკარგთა აბსოლუტური თანხა.

მაჩვენებელთა ეს სისტემა განვიხილოთ მიმოქცევის ხარჯთა დინამიკის ანალიზის მაგალითზე ომისშემდგომი წლების საბჭოთა ვაჭრობაში:

მაჩვენებლები	1950 წ.	1958 წ.	1965 წ.
მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხა (მილიონ მანეთობით)	3,90	5,71	9,251
მიმოქცევის ხარჯების დონე (პროცენტულად საქონელბრუნვის ზიმართ)	4,50	7,02	9,00
მიმოქცევის ხარჯთა დონის დინამიკა:			
ა) 1950 წ. = 100	100	80,2	84,7
ბ) 1958 წ. = 100	—	100	112,1
მიმოქცევის ხარჯთა დონის შემცირების სიდიდე (პროცენტულად საქონელბრუნვის მიმართ):			
ა) 1950 წელთან შედარებით	—	1,88	0,57
ბ) 1958 წელთან შედარებით	—	—	-1,39
შემცირების ტემპი (პროცენტობით პირვანდელი დონის მიმართ):			
ა) 1950 წელთან შედარებით	—	19,8	5,3
ბ) 1958 წელთან შედარებით	—	—	-18,1
მიმოქცევის ხარჯთა შემცირებით მღლებული წლიური ეკონომია (მილიონ მანეთობით):			
ა) 1950 წელთან შედარებით	—	125	51
ბ) 1958 წელთან შედარებით	—	—	-142
საჯალ საქონელბრუნვა (მილიარდ მანეთობით)	35,68	66,55	102,79

1950—1965 წწ. მიმოქცევის ხარჯთა აბსოლუტური თანხა საბჭოთა ვაჭრობაში (საბითუმო, საჯალ რგოლებსა და საზოგადოებრივ კვებაში) გაიზარდა 2,7-ჯერ და მეტად, ანუ 5,8 მილიარდ მანეთზე მეტით; 1965 წელს იგი 9251 მილიონ მანეთს შეადგენდა. საჯალ საქონელბრუნვა ამავე დროისათვის თითქმის 2,9-ჯერ გადიდა. საქონელბრუნვის უფრო სწრაფი ზრდა მიგვიყვანს მიმოქცევის ხარჯთა დონის შემცირებამდე. მართლაც, მიმოქცევის ხარჯთა დონე 1950 წლის 9,50%-დან შემცირდა 9,0%-მდე 1965 წელს. მიმოქცევის ხარჯთა დონის შემცირება ხდება მათი თანხის გადიდებით საქონელბრუნვის უფრო სწრაფი ზრდის გამო.

74 მიმოქცევის ხარჯთა დონის შემცირება იზომება ორი მაჩვენებლით: შემცირების სიდიდით და ტემპით. შემცირების სიდიდე წარმოადგენს სხვაობას პირვანდელ და საანგარიშო დონეებს შორის. შემცირების სიდიდე გამოისახება ისევე, როგორც მისი დონე (პროცენტულად საქონელბრუნვის მიმართ). შემცირების სიდიდე დამოკიდებულია საბაზისო წლის შერჩევაზე, რომლის დონე აღებულია როგორც პირვანდელი დონე ანუ, სხვაგვარად, დამოკიდებულია იმ პერიოდის სიდიდეზე, რომელიც ამ შემცირებას ახასიათებს. ცხრილში შემცირების სიდიდე განგარიშებულია ორ ვარიანტად: 1950 და 1958 წელთან შედარებით. ციფრები გვიჩვენებს, რომ

8 წლის მანძილზე (1950—1958 წწ.) მიმოქცევის ხარჯები საბჭოთა ვაჭრობაში შემცირდა 1,88%-ით საქონელბრუნვის მიმართ, შემდგომ 7 წელიწადში (1958—1965 წწ.) მათი ღონე გაიზარდა 1,38%-ით, რის შედეგადაც საერთო შემცირება 15 წელიწადში შეადგენდა 0,50%-ს საქონელბრუნვის მიმართ.

შემცირება, გამოსახული პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ, უშუალოდ ვერ ახასიათებს შემცირების ინტენსიობას. შემცირების ინტენსიობა დამოკიდებულია არა მარტო შემცირების, არამედ პირვანდელი ღონის სიდიდებზეც. ასე მაგალითად, ორ სავაჭრო ორგანიზაციაში, რომელთაგან პირველის მიმოქცევის ხარჯები შეადგენს 6%-ს საქონელბრუნვის მიმართ, ხოლო მეორისა—4%-ს, შემცირების სიდიდე 0,5% საქონელბრუნვის მიმართ ნიშნავს შემცირების სრულიად სწავდასხვავებარ ინტენსიობას. თუ შემცირების სიდიდეს გამოვსახავთ პროცენტულად პირვანდელი ღონის მიმართ, მაშინ მიღებული მაჩვენებელი, რომელსაც ეწოდება შემცირების ტემპი, დაგვიხასიათებს შემცირების ინტენსიობას. ჩვენს მაგალითში პირველ ორგანიზაციაში შემცირების ტემპი იქნება  $8,33\% \left( \frac{0,5 \cdot 100}{6} \right)$ ,

ხოლო მეორეში— $12,5\% \left( \frac{0,5 \cdot 100}{4} \right)$ . ცხადია, შემცირების ერთნაირი სიდიდის პირობებში შემცირების ინტენსიობა მეორე სავაჭრო ორგანიზაციაში უფრო მაღალი იყო, ვიდრე პირველში.

იმასთან დაკავშირებით, რომ მიმოქცევის ხარჯთა ღონე ცალკეულ ორგანიზაციებში და საწარმოებში სხვადასხვანაირია, მიმოქცევის ხარჯების შემცირების საგეგმო დავალებები მთელი სავაჭრო სისტემებისათვის, ჩვეულებრივ, წესდება შემცირების ტემპების მაჩვენებლებით.

ზემომოტანილ ცხრილში მიმოქცევის ხარჯთა შემცირების ტემპი მთელ საბჭოთა ვაჭრობაში 8 წლის მანძილზე (1950—1958 წწ.) შეადგენდა 19,8%-ს, ხოლო შემდგომ 7 წელიწადში (1958—1965 წწ.) მიმოქცევის ხარჯების ღონე გაიზარდა 18,1%-ით. შემცირების ტემპი დამოკიდებულია შემცირებისა და პირვანდელი ღონის სიდიდეებზე. მიმოქცევის ხარჯთა პირვანდელი ღონის შემცირება ნიშნავს, რომ შემცირების ერთი და იგივე სიდიდე გამოსახება ტემპის უფრო მაღალი მაჩვენებლით. მაგალითად, 1958 წელს საქონელბრუნვის მიმართ მიმოქცევის ხარჯთა ღონის შემცირების 1%, 1950 წლის ღონესთან შედარებით, ნიშნავდა 10,5%-იან ტემპს (19,8: 1,88), ხოლო 1965 წელს საქონელბრუნვის მიმართ მიმოქცევის ხარჯების ღონის იგივე 1%-ით შემცირება 1958 წელთან შედარებით (როდესაც ღონე უფრო დაბალი იყო), ხასიათდება უკვე 13,1% ზრდის ტემპით (18,1:1,38).

ცხრილით დადგენილი შემცირების ტემპები მოიცავს დროის სხვადასხვა პერიოდებს (8 და 7 წელს). იმისათვის, რომ გავარკვიოთ, თუ რომელ პერიოდში იყო უფრო მაღალი შემცირების ტემპი, საჭიროა გავიანგარიშოთ მიმოქცევის ხარჯთა საშუალო წლიური ტემპები.



შემცირების საშუალო წლიური ტემპის გაანგარიშება წარმოებს მიმოქცევის ხარჯთა დონის დინამიკის მაჩვენებელთა საფუძველზე გეომეტრიული საშუალოს ფორმულით. მაგალითად, პირველ რეა წელიწადში მიმოქცევის ხარჯების დონის დინამიკის მაჩვენებელი შეადგენდა 80,2%-ს, ანუ 0,802-ს. ამ მაჩვენებლიდან მერვე ხარისხის ფესვია (რადგან იგი მოიცავს დროის რეაწლიან პერიოდს) 0,973. მაშასადამე, შემცირების საშუალო წლიური ტემპი 1950—1958 წწ. უდრიდა 2,7%-ს (100—97,3). შეიღწლიან პერიოდში (1958—1965 წწ.) მიმოქცევის ხარჯთა დონის დინამიკა შეადგენდა 118,1%, ანუ 1,181-ს. ამ მაჩვენებლიდან მეშვიდე ხარისხის ფესვი ეტოლება 1,024-ს, მაშასადამე, მიმოქცევის ხარჯთა დონის ზრდის საშუალო წლიური ტემპი 1958—1965 წლებში იყო 2,4%.

მიმოქცევის ხარჯთა დონის ცვლილებით მიღებული სახალხო მფერუნობრივი ეფექტის დასახასიათებლად წარმოებს წლიური ეკონომიის ან გადახარჯვის აბსოლუტური თანხის გაანგარიშება. ეს თანხა დამოკიდებულია მიმოქცევის ხარჯთა ცვლილების სიდიდეზე პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ და საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის თანხაზე. მიმოქცევის ხარჯთა დონის შემცირება, მაგალითად 0,2%-ით, როდესაც საქონელბრუნვა უდრის 30 მილიარდ მანეთს, გვაძლევს 60 მილიონი მანეთის ეკონომიას, ხოლო როცა საქონელბრუნვა შეადგენს 50 მილიარდ მანეთს, — 100 მილიონი მანეთის ეკონომიას.

მაშასადამე, ეკონომიის თანხა მიიღება საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის გამრავლებით შემცირების სიდიდეზე და მიღებული ნამრავლის გაყოფით 100-ზე, იგივე თანხა შეიძლება განისაზღვროს როგორც სხვაობა (პირვანდელი დონის უცვლელობის პირობებში) მიმოქცევის ხარჯთა პირობით თანხასა და მიმოქცევის ხარჯთა ფაქტიურ თანხას შორის. ზემოთხსენებულში მიმოქცევის ხარჯთა შემცირების შედეგად მიღებული წლიური ეკონომიის თანხა 1958 წელსათვის, 1950 წელთან შედარებით, შეადგენდა 125 მლნ მანეთს (66,55×1,88); 1965 წელს, 1950 წელთან შედარებით, — 51 მლნ მანეთს (102,8×0,5). 1965 წელს, 1958 წელთან შედარებით, მიმოქცევის ხარჯთა დონე გაიზარდა 1,38%-ით საქონელბრუნვის მიმართ. მაშასადამე, მიმოქცევის ხარჯთა გადიდების გამო წლიური დანაკარგი შეადგენდა 142 მლნ მანეთს (102,8×1,38).

მიმოქცევის ხარჯთა მაჩვენებლების ანალოგიური სისტემა გამოიყენება მათი შემცირების გეგმის შესრულების შემოწმების დროსაც. ეუჩვენათ ეს შემდეგ მაგალითზე:

მიმოქცევის ხარჯთა შემცირების გეგმის შესრულების მაჩვენებლები  
ხავეპრო ორგანიზაციაში

მაჩვენებლები	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი		
		გეგმით	ფაქტიური	შესრულების პროცენტი
	1	2	3	4
1. საქონელბრუნვა (მილიონ მანეთობით)	100	120	135	112,5
2. მიმოქცევის ხარჯები (ათას მანეთობით)	5000	5520	6075	110

	1	2	3	4
3. მიმოქცევის ხარჯთა ღირებულება (პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ)	5	4,6	4,5	97,8
4. მიმოქცევის ხარჯთა შემცირება (პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ)	—	0,4	0,5	125
5. შემცირების ტემპი (პროცენტობით)	—	8	10	125
6. შემცირებით მიღებული ეკონომიის თანხა (ათას მანეთობით)	—	460	675	140,6

როგორც ცხრილიდან ჩანს, სავაჭრო ორგანიზაციაში საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვანი გადაჭარბებით იქნა შესრულებული საქონელბრუნვის გეგმა (12,5%-ით). მიმოქცევის ხარჯთა აბსოლუტური თანხაც გეგმურზე მაღალი იყო, მაგრამ შედარებით ნაკლებად (10%-ით). ეს განაპირობა იმან, რომ მიმოქცევის ხარჯთა ღირებულება ფაქტიურად (4,5) გეგმურზე (4,6) დაბალი აღმოჩნდა. მაშასადამე, საქონელბრუნვის მიმართ მიმოქცევის ხარჯთა დაგეგმილი ღირებულების შემცირება 0,4%-ით, ანუ 8%-ით საბაზისო ღირებულების მიმართ, გადაჭარბებულ იქნა 25%-ით.

მიმოქცევის ხარჯთა შემცირებით მიღებული დაგეგმილი ეკონომიის თანხა 0,4%-ის ოდენობით გეგმური საქონელბრუნვის მიმართ, ე. ი. 480 ათასი მანეთი, დიდად იქნა გადაჭარბებული (40,6%). ეს მოხდა იმიტომ, რომ ეკონომია შეადგენს ფაქტიური საქონელბრუნვის თანხის (135 მლნ მან.) 0,5%-ს, მაშასადამე, იგი განისაზღვრება მიმოქცევის ხარჯთა ღირებულების ფაქტიური შემცირებისა და ფაქტიური საქონელბრუნვის სიდიდებით. გეგმურ ეკონომიასთან შესადარებლად ფაქტიური ეკონომია უნდა გადავიანგარიშოთ გეგმურ საქონელბრუნვაზე. მაშინ ეკონომია, შედარებული გეგმასთან, ტოლი იქნება 600 ათასი მანეთისა:  $\left(\frac{120000 \cdot 0,5}{100}\right)$ ,

მიმოქცევის ხარჯთა შემცირებით მიღებული ეკონომია, რომელიც საქონელბრუნვის გეგმის გადაჭარბებით შესრულების შედეგია, ტოლი იქნება 75 ათასი მანეთისა  $\left(\frac{150000 \cdot 0,5}{100}\right)$ , ანუ (675—600). ახლა შეიძლება ითქვას, რომ მიმოქცევის ხარჯთა შემცირებით მიღებული ეკონომიის თანხის გეგმა, ისე როგორც შემცირების მაჩვენებელთა გეგმა, გადაჭარბებულია 25%-ით, რადგან  $\frac{600}{480} = 1,25$ -ს, ანუ 125%-ს.

### 5. მიმოქცევის ხარჯთა შესადარ ფასებში გადაანგარიშების მეთოდოლოგია

ფასების ცვლილება საქონელბრუნვაში მოითხოვს მიმოქცევის ხარჯთა გადაანგარიშებას შესადარ ფასებში, რათა სწორად შემოწმდეს მიმოქცევის ხარჯთა შემცირების გეგმის შესრულება და განისაზღვროს მათი დინამიკა.

საქონელთა ფასების შემცირება თავისთავად წარმოადგენს მიმოქცევის ხარჯთა დონის შემცირების ხელშემწყობ ფაქტორს, რადგან იგი კმნის საქონელბრუნვის ზრდის ახალ სტიმულებს. მაგრამ ფასების ეს შემცირება, თუკი მიმოქცევის ხარჯთა დონის შედარება ფაქტიურ ფასებში ხდება, მიმოქცევის ხარჯთა დონის ზრდის ფაქტორად გვევლინება. ეს გამოწვეულია იმით, რომ სასაქონლო მასის ერთი და იგივე მოცულობა, რომელიც მოთავსებულია მიმოქცევის ხარჯთა დონის მაჩვენებლის მნიშვნელში, შეადგენს უფრო ნაკლებ თანხას (შემცირებული ფასებით).

დაეუშვათ, რომ გასულ წელს სავაჭრო ორგანიზაციას ჰქონდა ასეთი მაჩვენებლები: საქონელბრუნვა—10 მილიონი მანეთი, მიმოქცევის ხარჯები—500 ათასი; მაშასადამე, მიმოქცევის ხარჯთა დონე უდრის 0,05 ანუ 5%-ს. საანგარიშო წელს საქონელბრუნვა შეადგენდა 11 მილიონ მანეთს, ხოლო მიმოქცევის ხარჯები—605 ათას მანეთს. მიმოქცევის ხარჯთა დონე შეადგენდა 0,055, ანუ 5,5%-ს. მაშასადამე, დონემ აიწია. მაგრამ საანგარიშო წელს საცალო ფასები შემცირდა 15 %-ით. თუ საქონელბრუნვას გადავიანგარიშებთ შესადარ ფასებში, მივიღებთ 12947 ათას მანეთს (11000:0,85). მიმოქცევის ხარჯთა დონე საქონელბრუნვის მიმართ შესადარ ფასებში იქნება 0,047 (605:12947), ანუ 4,7%. როგორც ვხედავთ, მიმოქცევის ხარჯთა დონემ საქონელბრუნვის მიმართ შესადარ ფასებში კი არ აიწია, არამედ, პირიქით, დაიწია, რაც, მართლაც, სწორად ასახავს მის დინამიკას.

მაგრამ საქონელზე ფასების შემცირება გავლენას ახდენს არა მარტო საქონელბრუნვის, არამედ ზოგიერთი სახის მიმოქცევის ხარჯთა თანხაზეც. რომლებიც საქონელბრუნვის აბსოლუტური თანხების პროპორციულად წარმოიშობა (მაგალითად, ნორმირებული დანაკარგები, გადარიცხვები კაღრების მოსამზადებლად, ხელფასის ის ნაწილი, რომლის გაცემაც ხდება პროცენტულად საქონელბრუნვის მიმართ). როდესაც საქონელბრუნვას გადავიანგარიშებთ შესადარ ფასებში, საჭიროა ამ სახეობათა მიმოქცევის ხარჯთა აბსოლუტური თანხებიც შესადარ ფასებში გადავიანგარიშოთ, რისთვისაც უნდა გამოვიყენოთ ან ფასების საერთო სასაქონლო ინდექსი, ანდა სპეციალურად გაანგარიშებული ფასთა ინდექსი (მაგალითად, ფასთა ინდექსი, გაანგარიშებული საქონელთა დანაკარგების მიხედვით, რომელიც მოიცავს ისეთ საქონელს, რომელიც ბუნებრივი დანაკლისით ხასიათდება).

საქონლის ფასთა ცვლილების გარდა, მიმოქცევის ხარჯების აბსოლუტური თანხებზე გავლენას ახდენს ფასების ცვლილება შესაფუთავ, საკანცელარიო და და სხვა მასალებზე, რომელთა მოხმარებაც ხდება ვაჭრობაში. ასეთ მასალებზე ფასთა შემცირება მიგვაყვანს მათი ფულადი თანხის შემცირებამდე ამ მასალების იმავე ნატურალური მოცულობით მოხმარებისას და ამით გავლენას მოახდენს მიმოქცევის ხარჯთა საერთო დონის შემცირებაზე. თუმცა უნდა ითქვას, რომ ფასების ცვლილების გამო მომხდარი ეს შემცირება არ წარმოადგენს მატერიალურ ფასეულობათა მომპირნეობით ხარჯვის და ამის საფუძველზე მიმოქცევის ხარჯთა დონის შემცირებისათვის სავაჭრო ორგანიზაციების ბრძოლის შედეგს. სწორედ

ასეთივე მდგომარეობაა იმ ხარჯების მხრივაც, რომლებსაც ვაჭრობა იხდის სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მომსახურებაში და რომელთაც მიმოქცევის ხარჯების საერთო ჯამში უჭირავთ 40—45%. ტარიფებისა და განაკვეთების ცვლილება ამ მომსახურებაზე (მაგალითად, სატრანსპორტო ტარიფი საქონლის გადაზიდვაზე, განაკვეთები სადგომების იჯარაზე და ა. შ.) არსებით გაელენას ახლენს სათანადო სახის ხარჯთა აბსოლუტურ თანხებზე. მაგრამ მიმოქცევის ხარჯთა თანხების ეს ცვლილება, რაც ტარიფებისა და განაკვეთების ცვლილებითაა გამოწვეული, არ ახასიათებს სავაჭრო ორგანიზაციებს მიმოქცევის ხარჯთა ღონის შემცირებისათვის ბრძოლაში.

მომსახურებაში, მიმოქცევის ხარჯთა ღონის გადაანგარიშება შეესაღარ ფასებში ნიშნავს არა მარტო საქონელბრუნვის, არამედ მიმოქცევის ხარჯების გადაანგარიშებასაც (ფასთა განაკვეთებისა და ტარიფების სპეციალური ინდექსების საფუძველზე). ეს გაანგარიშება მიზნად ისახავს მიმოქცევის ხარჯთა შემცირების გეგმის შესრულების მართებულ შემოწმებასა და მათი დინამიკის დახასიათებას. იგი განთავსიუფლებული იქნება ფასთა ცვლილების გაელენისაგან, ნამდვილად ასახავს მიმოქცევის ხარჯთა ღონის შემცირებისათვის სავაჭრო ორგანიზაციების ბრძოლის შედეგს. შესაღარ ფასებში მიმოქცევის ხარჯთა თანხების გადაანგარიშების საფუძველზე წარმოებს იმ ფასებისა და განაკვეთების შემცირების შედეგად მიღებული ეკონომიის გაანგარიშებანიც, რომლებიც წარმოიშვა სავაჭრო ორგანიზაციებში. ამ გადაანგარიშებისათვის საჭიროა ფასთა და განაკვეთთა სპეციალური ინდექსები ხარჯების ყველა სახეობის მიხედვით, რომლებშიც კი აღგილი ჰქონდა არსებით ფასობრივ ძვრებს. ასეთ ინდექსთა გაანგარიშების მეთოდი ვუჩვენოთ მაგალითებზე.

დაეუშვათ, საანგარიშო წლის 1 აპრილიდან შემცირდა ტელეფონის სარგებლობის განაკვეთი 10%-ით, ტელეგრაფით გზავნილებისა—20%/ით და საფოსტო გზავნილებისა—5%-ით. ერთდროულად ფასები საკანცელარიო ნივთებზე შემცირდა 15%-ით. საჭიროა გავიანგარიშოთ, თუ როგორ შემცირდა საშუალოდ ფასები და განაკვეთები საკანცელარიო ხარჯებში და კავშირგაბმულობის მომსახურების ანაზღაურების ხარჯებში საანგარიშო წელს გასულ წელთან შედარებით. ხარჯების სახეთა მიხედვით მიმოქცევის ხარჯთა ზემომოტანილი კლასიფიკაციით ეს ხარჯები შედის „დანარჩენი ხარჯების“ ჯგუფში.

ამ გაანგარიშებისათვის, პირველ ყოვლისა, საჭიროა გამოვიყენოთ საანგარიშო წლის ყოველი სახის ხარჯთა ფაქტიური თანხები, რომლებშიც აღგილი ჰქონდა ფასებისა და განაკვეთების ცვლილებას. ამ შემთხვევაში უნდა გამოიყოს ტელეფონის ხარჯები, სატელეგრაფო და საფოსტო გზავნილების, საკანცელარიო ხარჯები, საფოსტო და სატელეგრაფო გზავნილების განაკვეთები ერთნაირი პროცენტით რომ შეცვლილიყო, აღარ დაგვეკირდებოდა მათზე ფაქტიური თანხების ცალკე გამოყოფა. ხარჯთა ფაქტიური თანხები საანგარიშო წელს (ფასთა და განაკვეთთა ცვლილებების დაყოფით თარიღამდე და ამ თარაღის შემდეგ) შეიძლება მიღებულ იქნეს სავაჭრო ორგანიზაციებში პირველადი დოკუმენტებიდან ამოკრეფილ მონაცემთა საფუძველზე.

დანახარჯთა ცალკეული სახეების მიხედვით ფაქტიური ხარჯების თანხის მიღების შემდეგ, შეიძლება დავადინოთ ფასთა და განაკვეთთა საშუალო ინდექსი ქვემომოტანილ ცხრილში ხარჯთა მოცემული ჯგუფისათვის:

ფასთა და განაკვეთთა საშუალო ინდექსის განგარიშება საკანცელარიო და კავშირგაბმულობის ნომსახურების ხარჯთა მიხედვით

ხარჯთა სახეები	ფასთა და განაკვეთთა დონე I აპრილამდე	ხარჯები I კვარტალში	ფასთა და განაკვეთთა დონე I აპრილიდან წლის ბოლომდე	ხარჯები II-IV კვარტალებში	ფაქტიური ხარჯების საანგარიშო წესს (სტ. 2+სტ. 4)	ხარჯები II-IV კვარტალებში I კვარტალის ფასებში (სტ. 4+სტ. 5)	ხარჯები წელწალში I კვარტალის ფასებში (სტ. 2+სტ. 6)	ფასთა და განაკვეთთა შეფერხების შედეგად მიღებული ეკონომია (სტ. 7-სტ. 5)
	1	2	3	4	5	6	7	8
1. საკანცელარიო	1	220	0,85	510	730	600	820	90
2. სატელეფონო	1	300	0,90	810	1110	900	1200	90
3. სატელეგრაფო	1	80	0,80	160	240	200	260	40
4. საფოსტო	1	200	0,95	475	675	500	700	25
ს უ ლ	—	800	—	1955	2755	2200	3000	245

პირველ სვეტში აღნიშნულია ფასთა და განაკვეთთა დონე მათ ცვლილებამდე, რომელიც მიღებულია ერთ ერთეულად. ფასთა და განაკვეთთა ცვლილება რომ წლის დასაწყისში მომხდარიყო, მაშინ აქ აღნიშნული იქნებოდა გასული წლის დონეც.

მე-3 სვეტში აღნიშნულია ფასთა და განაკვეთთა ახალი დონეები მათი ცვლილების შემდეგ, აგრეთვე ერთთან შეფარდებით, ე. ი. არსებითად ფასთა და განაკვეთთა ინდივიდუალური ინდექსები. მე-2, მე-4 და მე-5 სვეტებში მოცემულია ხარჯთა ფაქტიური თანხები ფასთა და განაკვეთთა ცვლილებამდე და ცვლილების შემდეგ ცალ-ცალკე. ცვლილება რომ წლის დასაწყისში მომხდარიყო, ასეთი დაყოფა არ იქნებოდა საჭირო. მე-6 სვეტში მოცემულია ხარჯთა თანხები ფასთა და განაკვეთთა ცვლილების შემდეგ, რომლებიც გადაანგარიშებულია ძველ ფასებსა და განაკვეთებში. ეს გადაანგარიშება წარმოებს საერთო მეთოდის თანახმად ფაქტიური თანხის გაყოფით ფასთა შესაბამის ინდივიდუალურ ინდექსზე (მაგალითად, საკანცელარიო ხარჯების მიხედვით— $510:0,85=600$ ). მე-7 სვეტში მიღებულია ხარჯთა წლიური თანხები ძველ ფასებსა და განაკვეთებში, ხოლო მე-8 სვეტი, სადაც მოცემულია სხვაობა წლიურ თანხებსა (ძველ ფასებსა და განაკვეთებში) და ფაქტიურ წლიურ თანხებს შორის, გვიხასიათებს ფასებისა და განაკვეთების შემცირებით მიღებულ წლიურ ეკონომიას.

ფასთა და განაკვეთთა საშუალო ინდექსი საკანცელარიო და კავშირგაბმულობის მომსახურების ხარჯების მიხედვით მიიღება მე-5 სექტის მონაცემთა ჯამის გაყოფით მე-7 სექტზე.

$$\text{ფასთა და განაკვეთთა საშუალო ინდექსი: } \frac{2755}{3000} = 0,918 \text{ ანუ } 91,8\%.$$

ფასები და განაკვეთები საკანცელარიო ხარჯებისა და კავშირგაბმულობის მომსახურების ანაზღაურების ხარჯების მიხედვით საანგარიშო წელს გასულ წელთან შედარებით საშუალოდ შემცირდა 8,2%-ით.

ამ გაანგარიშებისას გამოყენებული იყო ჰარმონიული საშუალო ინდექსი, მიღებული ფასებისა და განაკვეთების ინდივიდუალური ინდექსების საფუძველზე, რომელთა სიხშირესაც წარმოადგენს ფაქტიური ხარჯები.

ეს ნიშნავს, რომ ინდექსში შეიძლება დაეკმაყოფილდეთ აბსოლუტური თანხების გარემუც—ზნიშნელოვანია სწორად ავსახოთ საანგარიშო წლის ფაქტიური ხარჯების თანაფარდობანი შათი სახეების მიხედვით (ზედერთი წონები). ამისათვის კი შეიძლება ფართოდ გამოვიყენოთ შერჩევითი მეთოდი პირველად ლოკუმენტებზე მუშაობისას.

მოვიტანოთ მეორე მაგალითი. დავეუშვათ, წლის დასაწყისიდან (1 იანვრიდან) შეეკლილია ტარიფები საავტომობილო გადაზიდვებზე: „ა“ ჯგუფის საქონელზე ისინი შემცირებულია 8%-ით, ხოლო „ბ“ ჯგუფის საქონელზე—5%-ით. დანარჩენ საქონელზე ტარიფები არ შეეკლილა. იგივე დარჩა ტარიფები აგრეთვე სხვა სახის ტრანსპორტით საქონლის გადაზიდვებზეც.

სატრანსპორტო ტარიფთა საშუალო ინდექსის გასაანგარიშებლად საჭიროა საანგარიშო წლის სატრანსპორტო ხარჯების საერთო ჯამიდან გამოვეოთ ხარჯები, რომლებიც მოდის „ა“ ჯგუფის საქონლის საავტომობილო გადაზიდვებზე და ხარჯები, რომლებიც მოდის „ბ“ ჯგუფის საქონლის საავტომობილო გადაზიდვებზე. დავეუშვათ, პირველადი ლოკუმენტებით დადგენილია, რომ „ა“ ჯგუფის საქონლის საავტომობილო გადაზიდვათა ხარჯებს უჭირავს სავაჭრო ორგანიზაციის სატრანსპორტო ხარჯთა საერთო ჯამის 10%, ხოლო „ბ“ ჯგუფის საავტომობილო გადაზიდვების ხარჯებს—15%.

ამ მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ სატრანსპორტო ტარიფთა საშუალო ინდექსი:

გადაზიდვის ხერხები და საქონლის სახეები	ტარიფთა ინდექსი	სატრანსპორტო ხარჯების 100 მან. შედგენილობა	სატრანსპორტო ხარჯების 100 მან. გასული წლის ტარიფებით
	1	2	3
1. „ა“ ჯგუფის საქონლის საავტომობილო გადაზიდვა	0,92	10	10,87
2. „ბ“ ჯგუფის საქონლის საავტომობილო გადაზიდვა	0,95	15	15,79

	1	2	3
3. სხვა საქონლის გადაზიდვა ყველა სახის ტრანსპორტით და "ა" და "ბ" ჯგუფების საქონლის გადაზიდვა სხვა სახის ტრანსპორტით	1	75	75
ჯ ა მ ი	—	100	101,66

ცხრილის პირველ სვეტში აღნიშნულია განაკვეთთა ინდივიდუალური ინდექსები, მეორეში—სატრანსპორტო ხარჯების 100 მან. შედგენილობა; მესამეში სატრანსპორტო ხარჯების 100 მანეთი გადაანგარიშებულია გასული წლის ტარიფებით, რომელიც მიღებულია მე-2 სვეტის მონაცემთა გაყოფით 1-ლი სვეტის მონაცემებზე.

როგორც ვხედავთ, რომ არ შეცვლილიყო ტარიფები სატრანსპორტო გადაზიდვებზე, 100 მანეთის ნაცვლად უნდა დაგვესარჩა 101 მანეთი და 66 კაპიკი. მაშასადამე, ტარიფების ცვლილებით მივიღეთ ეკონომია 1 მან. და 66 კაპ. სატრანსპორტო ხარჯების ყოველ ას მანეთზე. ტარიფთა საერთო ინდექსი მიიღება 100 მანეთის გაყოფით 101,66 მანეთზე.

$$\text{სატრანსპორტო ტარიფთა საშუალო ინდექსი} : \frac{100}{101,66} = 0,983, \text{ ანუ } 98,3\%$$

სატრანსპორტო ტარიფები საშუალოდ შემცირდა 1,7%-ით.

ახლა განვიხილოთ მიმოქცევის ხარჯთა დონის დინამიკის კრებებითი გამოანგარიშება შესაღარ ფასებში. მას შემდეგ, რაც განისაზღვრა ფასთა და განაკვეთთა საშუალო ინდექსები ხარჯების ყველა იმ სახეობის მიხედვით, რომლებზეც შეიცვალა ფასები ან განაკვეთები, შეიძლება მოვახდინოთ მიმოქცევის ხარჯთა დონის დინამიკის კრებისითი განგარიშება შესაღარ ფასებში. ამ განგარიშებაში დინამიკა განთავისუფლდება საჭონელებრუნვასა და მატერიალური მოხმარების ელემენტების ფასთა ცვლილებაში მომხდარი გავლენისაგან, აგრეთვე მომსახურების იმ განაკვეთებისაგან, რომლებსაც იხდის ვაჭრობა. ასეთი დონის დინამიკა უფრო სწორად ასახავს სავაჭრო ორგანიზაციითა მუშაობის ხარისხის ცვალებადობას. უზრუნველთ ასეთი განგარიშება მაგალითზე.

დავუშვათ, რომ საანგარიშო წელს, გასულ წელთან შედარებით, მოცემული სავაჭრო ორგანიზაციის მომსახურების ანაზღაურების განაკვეთებსა და მატერიალური მოხმარების ელემენტთა ფასებში მოხდა შემდეგი ცვლილებანი: ტარიფები სარკინიგზო გადაზიდვებზე შემცირდა საშუალოდ 12%-ით, ტარიფები ავტოსაქაპანო გადაზიდვებზე—4%-ით, საიჯარო განაკვეთები სავაჭრო სადგომებზე გაიზარდა 5%-ით, განაკვეთები საფოსტო-სატელეგრაფო გზავნილებზე უცვლელი დარჩა, ფასები საკანცელარიო ნივთებზე შემცირდა 14%-ით, შესაფუთავ მასალებზე—

9%-ით. გაყიდულ საქონელზე ფასები საშუალოდ შემცირდა 20%-ით, მათ შორის ისეთ საქონელზე, რომელზეც სასაქონლო დანაქარგები ჩამოიწერება—25%-ით. განაგარიშება წარმოდგენილია ქვემოთმოტანილ ცხრილში.

ცხრილში გამოყოფილია ხარჯთა სახეები, რომელთაც შეეხო ფასებისა და განაკვეთების ცვლილება. საანგარიშო წლის მიმოქცევის ხარჯთა ფაქტიური თანხის გაყოფით ფასებისა და განაკვეთების ინდექსზე მიღებულია საანგარიშო წლის მიმოქცევის ხარჯთა თანხები გასული წლის შესადარ ფასებსა და განაკვეთებში (სვ. 4). უკანასკნელ სტრიქონში, მაშასადამე, მიღებულია საანგარიშო წლის საქონელბრუნვა გასული წლის ფასებით. სხვაობა მეოთხე და მეორე სვეტების ჯამებს შორის წარმოადგენს ხარჯთა წლიურ ეკონომიას, რომელიც მიიღო საეკონომიკური ზაცია ფასებისა და განაკვეთების შემცირებით; იგი ნაჩვენებია მეხუთე სვეტში. სადგომების იჯარის თანხა აღნიშნულია მინუსით ნიშნით, რადგან საიჯარო განაკვეთების ზრდასთან დაკავშირებით წარმოიშვა გადახარჯვის თანხა და არა ეკონომია. საქონელბრუნვის სტრიქონში სხვაობა გვიხასიათებს ფასების შემცირების შედეგად მოსახლეობის მიერ მიღებულ მოგებას. უკანასკნელ სამ სვეტში გამოანგარიშებულია მიმოქცევის ხარჯთა დონეები: გასული წლის ხარჯთა დონე უდრის 5,0%-ს, საანგარიშო წლის დონე ფაქტიურ ფასებში—5,212%-ს, ხოლო გასული წლის დონე შესადარ ფასებსა და განაკვეთებში—4,557%-ს.

მიმოქცევის ხარჯთა დინამიკის განაგარიშება შესადარ ფაქტებში

ხარჯთა სახეები	მიმოქცევის ხარჯები (ათას მანეთობით)		ინდექსი და განაკვეთი	საანგარიშო წლის ხარჯები გასული წლის ფასებსა და განაკვეთებში (ათას მან.)	ფასთა და განაკვეთთა შემცირებით მიღებული წლიური ეკონომიის თანხა (ათას მანეთობით)	მიმოქცევის ხარჯთა დონეები (პროცენტობით)		
	გასულ წელს	საანგარიშო წელს				გასულ წელს	საანგარიშო წელს	საანგარიშო წელს შესადარ ფაქტებში
	1	2	3	4	5	6	7	8
1. რკინიგზის ტრანსპორტი	200	190	0,88	215,9	25,9	0,250	0,224	0,203
2. ავტოსაკაპანო ტრანსპორტი	400	450	0,96	468,7	18,7	0,500	0,529	0,441
3. სადგომთა იჯარა	350	367,6	1,05	350,0	-17,5	0,437	0,433	0,329
4. საკანცელარიო ხარჯები	100	80	0,86	93,0	13,0	0,125	0,094	0,088
5. ხარჯები ტარაზე	150	152,5	0,91	167,6	15,1	0,188	0,179	0,158
6. სასაქონლო დანაქარგები	50	40	0,75	53,3	13,3	0,063	0,047	0,050
7. ხარჯები პროცენტობით, ბრუნვის მიმართ	1250	1375	0,80	1718,8	343,8	1,562	1,618	1,618
8. ყველა დანარჩენი ხარჯი	1500	1775	—	1775	—	1,875	2,088	1,670
<b>ს უ ლ</b>								
მიმოქცევის ხარჯები	4000	4430	—	4842,3	412,3	5,000	5,212	4,557
საქონელბრუნვა	80000	85000	0,80	106250	21250	—	—	—



ცხრილის მონაცემთა მიხედვით შეიძლება განისაზღვროს რიგი მაჩვენებლები, რომლებიც წარმოადგენს მიმოქცევის ხარჯთა დინამიკას.

მიმოქცევის ხარჯთა დონის ინდექსი უდრის საანგარიშო წლის ხარჯთა ფაქტიური დონის შეფარდებას გასული წლის დონესთან:

$$5,212 : 5,0 = 1,042 \text{ ანუ } 104,2\%$$

იგივე მაჩვენებელი მიიღება მიმოქცევის ხარჯთა დინამიკის მაჩვენებლის (4430 : 4000 = 1,1075) შეფარდებით საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელთან (85000 : 80000 = 1,0625), სახელდობრ:  $1,1075 : 1,0625 = 1,042$ .

მიმოქცევის ხარჯთა ფიზიკური მოცულობის ინდექსი უდრის საანგარიშო წლის მიმოქცევის ხარჯთა თანხის შეფარდებას გასული წლის მიმოქცევის ხარჯებთან შესაღარ ფასებში:

$$4842,3 : 4000 = 1,21$$

მაშასადამე, მიმოქცევის ხარჯი გადიდა 21%-ით დანახარჯთა ნატურალური მოცულობის ცვლილების ხარჯზე. მაგრამ რადგან ხარჯთა ფაქტიური თანხა გაიზარდა მხოლოდ 10,75%-ით (თანხის ცვლილების მაჩვენებელი უდრის 1,1075), ამიტომ აქედან გამომდინარეობს, რომ ფასები და განაკვეთები საშუალოდ შემცირდა ხარჯთა ელემენტებში და მათი საშუალო ინდექსი შეადგენს 0,915 ( $1,1075 : 1,21$ ), ანუ 91,5%-ს. შევნიშნავთ, რომ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსი უდრის საანგარიშო წლის საქონელბრუნვის თანხის შეფარდებას გასული წლის საქონელბრუნვის თანხასთან შესაღარ ფასებში ( $106250 : 80000 = 1,328$ ). სხვაგვარად, იგი უდრის საქონელბრუნვის დინამიკის მაჩვენებელს, გაყოფილს ფასების ინდექსზე ( $1,0626 : 0,8 = 1,328$ ).

(მიმოქცევის ხარჯთა შეფარდებითი დონის ინდექსი შესაღარ ფასებში უდრის საანგარიშო წლის მიმოქცევის ხარჯთა დონის (4,557) შეფარდებას გასული წლის მიმოქცევის ხარჯთა დონესთან შესაღარ ფასებში) ( $4,557 : 5,0 = 0,911$ ); სხვაგვარად, იგი უდრის მიმოქცევის ხარჯთა ფიზიკური მოცულობის ინდექსის შეფარდებას საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსთან ( $1,21 : 1,328 = 0,911$ ).

ამრიგად, ყველა მაჩვენებელი ერთმანეთთან ორგანულ კავშირშია; ეს შეიძლება გამოვსახოთ საინდექსო ტოლობაში, სადაც ცალკეული ინდექსები გვიხასიათებენ იმ ფაქტორთა როლს, რომლებიც განსაზღვრავენ მიმოქცევის ხარჯთა დონის ინდექსს. ხარჯები გაიზარდა 4,2%-ით, ე. ი. შეფარდებითი დონის ინდექსი უდრის 1,042-ს, მაგრამ ამ მატებამ ფასთა ცვლილების შედეგად თავი იჩინა როგორც საქონელბრუნვაში, ისე ხარჯებში. ცალკეული მაჩვენებლების გარჩევის საფუძველზე შეიძლება შევადგინოთ ასეთი საინდექსო ტოლობა:  $1,042 = 0,911 \times (0,915 : 0,80)$ , ორი უკანასკნელი ინდექსი ტოლობის მარჯვენა ნაწილში, რომლებიც ფრჩხილებშია მოთავსებული, ცხადყოფს ფასობრივი ძვრების გავლენას ხარჯთა შეფარდებითი დონის დინამიკაზე.

ანალიზიდან შეიძლება გაკეთდეს ასეთი დასკვნა: ხარჯთა შეფარდებითი ღონის შემცირება, რაც განპირობებულია სავაჭრო საწარმოთა მუშაობის ხარისხის ცვლილებით, შეადგენდა 8,9%-ს (ინდექსი—0,911). მაგრამ იმის გამო, რომ ხარჯების ელემენტთა ფასები უფრო ნაკლებ შემცირდა, ვიდრე საქონელბრუნვის ფასები (ინდექსები—0,915 და 0,80), ერთობლივმა ფასობრივმა ძვრებმა დაფარა მიმოქცევის ხარჯთა ღონის ფაქტიური შემცირება; ამის შედეგად ღონე ფაქტიურ ფასებში გადიოდა 4,2%-ით (ინდექსი—1,042).

მოგვაქვს ფაქტიური მონაცემები მიმოქცევის ხარჯთა პროცენტის შესახებ (საქონელბრუნვის მიმართ). ისინი ნათელყოფენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დინამიკის სწორი ანალიზისათვის გადაანგარიშებას უცვლელ ფასებზე გადაყვანით (მოცემულ შემთხვევაში—1940 წლის ფასებზე):

წლები	საბაზო ვაჭრობა				საზოგადოებრივი კვება			
	ფაქტიური ფასებით		1940 წლის ფასებით		ფაქტიური ფასებით		1940 წლის ფასებით	
1940	8,21	100	8,21	100	19,63	100	19,63	100
1950	6,78	82	10,74	131	13,35	68	23,85	121
1958	5,59	68	7,59	92	15,65	80	22,16	113
1960	5,74	70	7,63	93	16,29	83	23,42	119
1964	6,22	76	8,30	101	17,01	86	25,95	132
1965	6,61	81	8,72	106	18,85	96	28,73	146

ცხრილიდან ჩანს, რომ ფასის ცვლილება ძლიერ ამახინჯებს დინამიკის ტემპებს, ზოგჯერ კი მას დინამიკის ტენდენციის დამახინჯებამდეც მიყვავართ. მაგალითად, 1950 წელს მიმოქცევის ხარჯთა ღონე ფაქტიური ფასებით 1940 წლის ღონეზე დაბალი იყო როგორც საბაზო ვაჭრობაში (18 პროცენტით), ისე საზოგადოებრივ კვებაში (32 პროცენტით), ხოლო თუ ფასთა ღონის ცვლილებას მივღებთ მხედველობაში, მაშინ გამოვა, რომ მიმოქცევის ხარჯთა ღონე 1950 წელს გაცილებით მაღალი იყო, ვიდრე 1940 წელს (31 პროცენტით საბაზო ვაჭრობაში და 21 პროცენტით საზოგადოებრივ კვებაში). 1950—1958 წლებში მიმოქცევის ხარჯთა ღონე შემცირდა. ამავ პერიოდში არაერთგზის მცირდებოდა სახელმწიფო საბაზო ფასებიც, რაც ჩრდილადა მიმოქცევის ხარჯთა შემცირებას. აღნიშნულ პერიოდში ხარჯთა ღონე საბაზო ვაჭრობაში ფაქტიური ფასებით 17 პროცენტით შემცირდა (68:82), უცვლელი ფასებით კი—30 პროცენტით (92:131). საზოგადოებრივ კვებაში ხარჯთა ღონე ამ წლებში ფაქტიური ფასებით 18 პროცენტით გადიოდა (80:68), მაშინ როცა უცვლელი ფასებით ის შემცირდა 7 პროცენტით (113:121). შემდგომ პერიოდში მიმოქცევის ხარჯთა ღონე იზრდებოდა როგორც ფაქტიური, ისე უცვლელი ფასებით, მაგრამ ზრდის ტემპები, განსაკუთრებით საზოგადოებრივ კვებაში, მაინც არსებითად განსხვავდებოდა.

**მ. მიმოქცევის ხარჯთა დონის დინამიკაზე საქონელბრუნვის შემადგენლობის ცვლილებების გავლენის გაანგარიშების მეთოდოლოგია**

მიმოქცევის ხარჯთა დონე წარმოადგენს საშუალო მაჩვენებელს. მიმოქცევის ხარჯები ცალკეული საქონლის მიხედვით ერთნაირი არ არის. ამიტომაც საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის ცვლილება გავლენას ახდენს მიმოქცევის ხარჯთა საშუალო დონის დინამიკაზე, რომელიც იცვლება საქონლის მიხედვით ხარჯების დონეებისა და საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილების გავლენით. საანდექსო მეთოდის დახმარებით შეიძლება ვუჩვენოთ, თუ როგორ არის განპირობებული მიმოქცევის ხარჯთა დონის დინამიკა თითოეული ამ ფაქტორით. იგი მიიღწევა ბრუნვების უცვლელ სტრუქტურაში მიმოქცევის ხარჯების დონის ინდექსისა (სიმოკლისათვის ვუწოდოთ მას მიმოქცევის ხარჯთა ინდექსი) და მიმოქცევის ხარჯების საშუალო დონეზე ბრუნვათა სტრუქტურის ცვლილების გავლენის ინდექსის გამოანგარიშების საფუძველზე. ამ ორი ინდექსის ნამრავლი გვაძლევს მიმოქცევის ხარჯთა დონის დინამიკის მაჩვენებელს.

მიმოქცევის ხარჯთა ინდექსის დასადგენად საჭიროა გვეჩვენოს მონაცემები ხარჯთა ფაქტიური საქონლობრივი დონეების შესახებ საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში. მართალია, ჩვენთვის ცნობილია, რომ ცალკეული საქონლის მიხედვით ხარჯთა აღრიცხვა სავაჭრო ორგანიზაციებში არ არსებობს, მაგრამ სიმარტივისათვის დავუშვათ, რომ ასეთი მონაცემები გვხვდება. თუ როგორი იქნებოდა ამ შემთხვევაში მიმოქცევის ხარჯთა ინდექსი, განვიხილოთ კონკრეტულ მაგალითზე:

საქონელი	საქონელბრუნვა (ათას მანეთობით)		მიმოქცევის ხარჯები (ათას მანეთობით)		მიმოქცევის ხარჯების დონე (პროცენტობით ბრუნვის მიმართ)		მიმოქცევის ხარჯთა დონის ინდექსი	საანგარიშო პერიოდის მიმოქცევის ხარჯების საბაზისო პერიოდის დონით (ათას მანეთობით)
	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი		
	1	2	3	4	5	6	7	8
ა	100	110	4	4	4,000	3,636	0,9090	4,400
ბ	150	175	7	7,2	4,667	4,114	0,8815	8,168
გ	200	250	10	12	5,000	4,80	0,9600	12,500
დ	220	300	15	18	6,818	6,00	0,8800	20,454
ე	300	450	20	32	6,666	7,111	1,0667	30,000
ჯ ა მ ი	970	1285	56	73,2	5,773	5,696	0,987	75,522

ცხრილის პირველი ოთხი სვეტი შევსებულია ფაქტიური საანგარიშო მონაცემებით, ისინი ჩვენი გაანგარიშების ამოსავალ მასალას წარმოადგენს. მე-5 და მე-6 სვეტებში გაანგარიშებულია მიმოქცევის ხარჯთა დონეები საქონლის მიხედვით და საშუალოდ (შემაჯამებელ სტრიქონში). მე-7 სვეტში ნაჩვენებია დონეთა ინდექსები, ხოლო ამავე სვეტის შემაჯამებელ სტრიქონში—მიმოქცევის ხარჯის დონის ინდექსი, რომელიც უდრის 0,987-ს და გვიჩვენებს, რომ ხარჯების საშუალო დონე შემცირდა 1,3%-ით, ეს ინდექსი არის საანგარიშო პერიოდის ხარჯთა სა-

შუალო დონის შეფარდება საბაზისო პერიოდის საშუალო დონესთან (5,696:5,773). უკანასკნელ სვეტში გაანგარიშებულია მიმოქცევის ხარჯები, რომლებიც წარმოიქმნებოდა იმ შემთხვევაში, თუკი მიმდინარე პერიოდში შენარჩუნებული იქნებოდა ხარჯების საბაზისო დონეები. მაშასადამე, ისინი მიიღება საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის თანხების გადამრავლებით (სვ. 2) საბაზისო პერიოდის ხარჯთა დონეზე (სვ. 5) და ამ ნამრავლის გაყოფით 100-ზე, რადგან დონეები მოცემულია პროცენტობით.

მიმოქცევის ხარჯთა ინდექსი ბრუნვის უცვლელ სტრუქტურაში მიიღება მაშინ, თუ საანგარიშო პერიოდის ფაქტიურ ხარჯებს (73,2 ათას მანეთს) გავყოფთ საბაზისო პერიოდის დონის მიხედვით გადაანგარიშებულ ხარჯებზე (75,522 ათას მანეთზე). იგი უდრის 0,969 (73,2:75,522), ანუ 96,9%-ს. ამრიგად, მიმოქცევის ხარჯთა ინდექსი გვიჩვენებს საქონლის მიხედვით ხარჯთა შემცირებას საშუალოდ 3,1%-ით, ე. ი. მნიშვნელოვნად მეტს, ვიდრე მიმოქცევის ხარჯთა დონის ინდექსი (1,3%). ეს განსხვავება გაჩნდა საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილების ანგარიშზე.

ამავე მაგალითზე ახლა გამოვიანგარიშოთ ინდექსი, რომელიც გვიჩვენებს საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილების გავლენას მიმოქცევის ხარჯთა დონის დინამიკაზე. ამისათვის უნდა ავიღოთ ბრუნვითა სტრუქტურა (ცალკეული საქონლის ხვედრითი წონები საერთო ბრუნვაში ორივე პერიოდისათვის) და ამ სტრუქტურის თანამშრომთა (ინდექსის წონათა) სახით—საბაზისო პერიოდის მიმოქცევის ხარჯთა უცვლელი დონეები:

საქონელი	საქონელბრუნვა (ათას მანეთობით)		ბრუნვების სტრუქტურა (პროცენტობით, ჯამის შიშაით)		საბაზისო პერიოდის მიმოქცევის ხარჯთა დონეები	მიმოქცევის ხარჯები (კაპიტობით ბრუნვის 100 მანეთზე)	
	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი		საბაზისო პერიოდის სტრუქტურაში	საანგარიშო პერიოდის სტრუქტურაში
	1	2	3	4	5	6	7
ა	100	110	10,31	8,56	4,00	41,24	34,24
ბ	150	175	15,46	13,62	4,66	72,04	65,46
გ	200	250	20,62	19,15	5,00	104,10	97,30
დ	220	300	22,69	23,34	6,82	154,08	159,17
ე	300	450	30,93	35,02	6,67	206,30	233,56
ჯ ა მ ი	970	1285	160,60	100,00	—	577,66	587,73

ბრუნვითა სტრუქტურა საანგარიშო პერიოდში (სვეტები 3 და 4) საბაზისო პერიოდის ბრუნვის სტრუქტურასთან შედარებით რამდენადმე შეიცვალა. იმის გამო, რომ ხარჯთა დონეები საქონლის მიხედვით სხვადასხვაგვარია, სტრუქტურის ცვლილება უქვეყლად უნდა აისახოს ხარჯთა საშუალო დონის დინამიკაში. მე-5 სვეტში მოტანილია საბაზისო პერიოდის ხარჯთა დონეები, რომლებიც ამ შემთხვევაშიც წარმოადგენს ცალკეული საქონლის ხარჯთ ევალობის თანამშრომებს.

გასაანგარიშებელ სვეტებს ცხრილში წარმოადგენს ორი უკანასკნელი სვეტი. ბრუნვათა სტრუქტურის მაჩვენებლებისა (როგორც 100 მანეთის ბრუნვის ნაწილები) და მიმოქცევის ხარჯთა დონეების გადამრავლებით ვლემულობთ მიმოქცევის ხარჯებს (კაპიკობით), რომლებიც საჭიროა საქონლის რეალიზაციისათვის. ასე მაგალითად, „ა“ საქონლის მიხედვით 10,31 მანეთის ბრუნვის რეალიზაციისათვის საბაზისო პერიოდში (4% ნორმის დროს) საჭიროა ხარჯების 41,24 კაპიკი, ხოლო 8,56 მანეთის რეალიზაციისათვის საანგარიშო პერიოდში (იმავე ნორმის დროს)— ხარჯების 34,24 კაპიკი.

ხარჯები „ა“ საქონლის მიხედვით, „ბ“ და „გ“ საქონლის მსგავსად, შემცირდა, რადგან იქლო ამ საქონლის ხვედრითმა წონამ ბრუნვაში. ხარჯები გაიზარდა „დ“ და „ე“ საქონლის მიხედვით, რომელთა დონეებიც უფრო მაღალია, რადგან ამ საქონლის ხვედრითი წონა საანგარიშო პერიოდის ბრუნვაში გადიდდა. მე-6 და მე-7 სვეტების ჯამები გვიჩვენებს, თუ ხარჯების რა თანხებია საჭირო ბრუნვის 100 მანეთის რეალიზაციისათვის საბაზისო და საანგარიშო პერიოდებში. რამდენადაც საქონლებრუნვის თანხა ერთი და იგივეა (100 მან.), ხარჯთა დონეები საქონლის მიხედვით უცვლელია; სხვაობა ამ თანხებში აიხსნება საქონლის მიხედვით ბრუნვების სხვადასხვა შემადგენლობით: რაც უფრო მეტია მაღალდონიან ხარჯთა ხვედრითი წონა საქონლის ბრუნვებში, მით მეტი იქნება ეს თანხა.

ჩვენს მაგალითში ხარჯების თანხა ბრუნვის 100 მანეთზე საანგარიშო პერიოდში უფრო მაღალია (587,73 კაპიკი), ვიდრე საბაზისო პერიოდში (577,36 კაპიკი). სწორედ ამ თანხების თანათარღობა გვაძლევს ინდექსს, რომელიც გვიხასიათებს საქონლებრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების გავლენას მიმოქცევის ხარჯთა საშუალო დონის დინამიკაზე. იგი უდრის 1,018 (587,73:577,36), ანუ 101,8%-ს. სტრუქტურული ძვრები საქონლებრუნვაში მიმოქცევის ხარჯთა საშუალო დონეს ადიდებს 1,8%-ით.

მიმოქცევის ხარჯთა საინდექსო სისტემა მიიღება მიმოქცევის ხარჯთა ინდექსის გამრავლებით საქონლებრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსზე. რომელიც გვაძლევს მიმოქცევის ხარჯთა დონის ინდექსს 0,987-ს (0,969×1,018). ეს ნიშნავს, რომ მიმოქცევის ხარჯთა შემცირებას 1,3%-ით განაპირობებს ხარჯების დონეთა შემცირება საქონლის ცალკეული ჯგუფების მიხედვით საშუალოდ 3,1%-ით და ხარჯების ზრდა საქონლებრუნვის სტრუქტურაში მომხდარი ცვლილების საფუძველზე 1,8%-ით.

თუ მიმოქცევის ხარჯთა სასაქონლო დონეებს აღვნიშნავთ  $n$ -ით, საქონლებრუნვას საქონელთა ჯგუფების მიხედვით— $m$ -ით, მაშინ ინდექსების სისტემა გამოისახება ასე:

$$\frac{\sum n_1 m_1}{\sum n_0 m_0} : \frac{\sum m_1}{\sum m_0} = \frac{\sum n_1 m_1}{\sum n_0 m_1} \times \left( \frac{\sum n_0 m_1}{\sum n_0 m_0} : \frac{\sum m_1}{\sum m_0} \right)$$

მიმოქცევის ხარჯების
მიმოქცევის ხარჯების
საქონლებრუნვის სტრუქტურის  
საშუალო დონის
ინდექსი
ცვლილების გავლენის  
ინდექსი
ინდექსი

როგორც ცნობილია, ეკონომიურ სტატისტიკაში გაანგარიშებული ყოველი ინდექსი საინტერესოა არა მარტო შეფარდებითი მაჩვენებლებით, არამედ იმ აბსოლუტური სიდიდეებითაც, რომლებიც საფუძვლად უდევს მას და შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ საინდექსო მაჩვენებელთა დინამიკის ეფექტის აბსოლუტური თანხები. მიღებული საინდექსო სისტემა განვიხილოთ ჩვენს მაგალითზე.

მიმოქცევის ხარჯთა ინდექსი უდრის 0,969-ს (73200:75522). სხვაობა ინდექსის მნიშვნელსა და მრიცხველს შორის შეადგენს ეკონომიის აბსოლუტურ თანხას, რომელიც მიიღება საქონელზე მიმოქცევის ხარჯთა შემცირების შედეგად:

$$(75522 - 73200) = 2322 \text{ მანეთი.}$$

მიმოქცევის ხარჯთა საშუალო დონის ინდექსი შეადგენს 0,987-ს (5,696:5,773). მასში ურთაერთდაპირისპირებულია საანგარიშო და საბაზისო პერიოდების ხარჯთა საშუალო ფაქტიური დონეები. სხვაობა მნიშვნელსა და მრიცხველს შორის გვიჩვენებს შემცირების სიდიდეს პროცენტობით ბრუნვის მიმართ; ჩვენს მაგალითში იგი უდრის 0,077-ს (5,773—5,696). როგორც ცნობილია, თუ შემცირების სიდიდეს გავამრავლებთ საანგარიშო პერიოდის ბრუნვის აბსოლუტურ თანხაზე და ნამრავლს გავყოფთ 100-ზე, მივიღებთ ფაქტიური ეკონომიის თანხას, რომელიც შედეგია მიმოქცევის ხარჯთა შემცირებისა. ჩვენს მაგალითში ეს თანხა ტოლი იქნება  $0,989 \left( \frac{0,077 \cdot 1285}{100} \right)$  ათასი მანეთისა, ანუ 989 მანეთისა.

ფაქტიური ეკონომიის თანხა მნიშვნელოვნად ნაკლებია ეკონომიაზე, რომელიც მიიღება საქონლის მიხედვით ხარჯების დონეთა შემცირების შედეგად. მაშასადამე, ეკონომიის ნაწილი მოხმარდა მიმოქცევის ხარჯთა გადიდებას საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილების გავლენის ანგარიშზე.

საქონელბრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსი უდრის 1,018-ს  $\left( \frac{587,73}{577,36} \right)$ . აქ ერთმანეთს ეფარდება მიმოქცევის ხარჯთა პირობითი თანხები ბრუნვის 100 მანეთზე, რომლებიც მიღებულია საბაზისო პერიოდის ხარჯთა დონეებისა და ორივე პერიოდის სტრუქტურის მიხედვით. სხვაობა ინდექსის მნიშვნელსა და მრიცხველს შორის არის საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილების შედეგად მიღებული შეფარდებითი ეკონომია (ბრუნვის 100 მანეთზე).

ჩვენს მაგალითში ეს სხვაობა უარყოფითია, რაც ნიშნავს არა ეკონომიას, არამედ გაძვირებას 10,37 კაპიკის ოდენობით (587,73—577,36) ბრუნვის 100 მანეთზე, ანუ 1,037 მან. ყოველ 1000 მანეთზე. ეს სიდიდე რომ გავამრავლოთ საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვაზე (ათას მანეთებში), მივიღებთ გაძვირების თანხას—1333 მანეთს (1,037 · 1285) საქონელბრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების ანგარიშზე. ამრიგად, ფაქტიურად მიღებული ეკონომია (989 მან.) შე-

დგვია საქონლის მიხედვით ხარჯთა დონეების შემცირებით მიღებული ეკონომიისა (2322 მან.) და სტრუქტურული ძვრებით გამოწვეული გაძვირებისა (1333 მან.).

მიმოქცევის ხარჯთა ინდექსის გაანგარიშების განხილული მაგალითი აგებულია იმ მონაცემთა საფუძველზე, რომლებშიც წარმოდგენილია ცალკეული საქონლის ხარჯთა დონეები. მაგრამ პრაქტიკულად ასეთი მონაცემები არ არსებობს: საბუღალტრო აღრიცხვაში მიმოქცევის ხარჯები აღრიცხვება საქონლის მიხედვით დაუნაწილებლად. ამიტომ მიმოქცევის ხარჯთა ინდექსის გამოანგარიშება უშუალოდ აღრიცხვის მონაცემთა მიხედვით შეუძლებელია. მაგრამ მისი დადგენა შესაძლებელია, თუ გამოვყენებთ ზემომოტანილ საინდექსო სისტემას, საიდანაც გამოვძინა-რეობს, რომ მიმოქცევის ხარჯთა ინდექსი უდრის ხარჯთა დონის ინდექსს, გაყოფილს საქონლებრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსზე.

ხარჯების დონის ინდექსი ადვილად შეიძლება განესაზღვროთ საანგარიშო მონაცემების საფუძველზე. მაშასადამე, საჭიროა გავიანგარიშოთ საქონლებრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსი, რის შემდეგაც ადვილია მიმოქცევის ხარჯთა საძიებელი ინდექსის მიღება; ამისათვის აუცილებელია მონაცემები საქონლებრუნვის სტრუქტურის შესახებ (საქონლებრუნვის ანგარიშგებიდან) და საქონლის მიხედვით მიმოქცევის ხარჯთა დონეები საბაზისო პერიოდში. მიმოქცევის ხარჯთა დონეები ამ ინდექსში ასრულებენ მხოლოდ დანახარჯების თანაზომადების როლს ცალკეულ საქონელზე. ინდექსის სწორად გაანგარიშებისათვის მნიშვნელოვანია ის, რომ ისინი ზუსტად ასახავდნენ დონეებს შორის თანაფარდობას ცალკეული საქონლის მიხედვით. ამიტომ ამ მიზნით შეიძლება გამოვიყენოთ მიმოქცევის ხარჯთა შერჩევითი განმეორებითი აღრიცხვის მონაცემები.

ასეთი აღრიცხვა ფართო მასშტაბით პირველად განახორციელა საბჭოთა ვაჭრობის დაუსწრებელმა ინსტიტუტმა 1963 წლისათვის. ამ მიზნით ქალაქებში შეირჩა 500-მდე სხვადასხვა ტიპისა და სპეციალიზაციის მაღაზია და ამ ქსელში მოეწყო მიმოქცევის ხარჯთა აღრიცხვა საქონლის მიხედვით. ამ მუშაობის გამოცდილებამ ცხადყო აღნიშნული აღრიცხვის პრაქტიკული შესაძლებლობა. მთელი რიგი ხარჯები, როგორცაა სატრანსპორტო, საქონლის დანაკარგები, ტარა და სხვა, რომლებიც მიმოქცევის ყველა ხარჯის ნახევარზე მეტს შეადგენს, შეიძლება პირდაპირ შესაბამის საქონელს მიეკუთვნოს. საჭირო ხდებოდა ხარჯების დანარჩენი ნაწილის მიკუთვნება ამა თუ იმ საქონლისათვის არაპირდაპირი გზით; ამასთან მათი განაწილება საქონლის მიხედვით იმ მაჩვენებელთა პროპორციულად წარმოებდა, რომლებიც მოცემული სახის ხარჯს განსაზღვრავდნენ (ეთქვათ. კრედიტის ხარჯები—საქონლის მარაგის თანხების პროპორციულად, სადგომის ხარჯები—ფართობის პროპორციულად და ა. შ.). ეს აღრიცხვა მუდმივი უნდა იყოს, ხოლო აღრიცხვისათვის შერჩეული ქსელი—საკმაოდ მრავალრიცხოვანი, რათა შეიძლებოდეს დასაბუთებული დასკვნების გაკეთება.

დავუშვათ, რომ საანგარიშო წელს საქონლებრუნვა შეადგენდა 6000 მანეთს, ხოლო გასულ წელს — 4500 ათასს. მიმოქცევის ხარჯები შესაბამისად შეადგენდა 270 ათასს და 216 ათასს მანეთს, საიდანაც მიმოქცევის ხარჯთა საშუალო

დონეები უდრიდა საანგარიშო წელს 4,5%-ს  $\left(\frac{270.100}{6000}\right)$  და გასულ წელს 4,8%-ს  $\left(\frac{216.100}{4500}\right)$ . ამრიგად, მიმოქცევის ხარჯთა დონე შემცირდა 0,3%-ით ბრუნვის მიმართ, რაც გვაძლევს წლიური ეკონომიის თანხას 1800 ათასი მანეთის  $\left(\frac{0,3 \times 600}{100}\right)$  ოდენობით.

თუ ცნობილია ბრუნვათა სტრუქტურა ორივე წლისათვის და ხარჯთა მიახლოებითი დონეები საქონლის მიხედვით (ან სავაჭრო ფასდაკლებანი), მაშინ შესაძლებელია გავიანგარიშოთ საქონელბრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსი:

სასაქონლო ჯგუფები	საქონელბრუნვის სტრუქტურა		მიმოქცევის ხარჯთა დონეები ბრუნვის 1 მანეთზე (კაპიკობით)	მიმოქცევის ხარჯები ბრუნვის 100 მანეთზე (კაპიკობით)	
	გასული წელი	საანგარიშო წელი		გასული წელი	საანგარიშო წელი
აა"	30	50	0,06	1,8	3,0
აბ"	30	20	0,05	1,5	1,0
აგ"	40	30	0,04	1,6	1,2
ჯამი	100	100	—	4,9	5,2

საქონელბრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსი შეადგენს 1,06-ს (5,2 : 4,9), ანუ 106%-ს; მიმოქცევის ხარჯთა დონის ინდექსი უდრის 0,94-ს (4,5 : 4,8), ანუ 94%-ს; მიმოქცევის ხარჯთა ინდექსი ტოლია 0,885 (0,94 : 1,06), ანუ 88,5%-ისა. მაშასადამე, მიმოქცევის ხარჯთა შემცირება (საქონელბრუნვის უცვლელი სტრუქტურის პირობებში) შეადგენდა 11,5%-ს (100—88,5).

რადგან ცნობილია საანგარიშო პერიოდის მიმოქცევის ხარჯთა ფაქტიური თანხა (270 ათასი მან.), რომელიც მიმოქცევის ხარჯთა ინდექსის მრიცხველია, და ცნობილია თვით ინდექსი (0,885), ადვილად შეიძლება მივიღოთ მისი მნიშვნელი. იგი წარმოადგენს საანგარიშო წლის ხარჯებს, გაანგარიშებულს საბაზისო პერიოდის სასაქონლო დონეთა შენარჩუნების პირობებში და შეადგენს 306 ათას მანეთს (270 : 0,885). საქონელზე მიმოქცევის ხარჯთა შემცირებით მიღებული ეკონომიის თანხა შეადგენს 36 ათას მანეთს (306—270). ამ თანხის ნახევარი დაფარულია საქონელბრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების ხარჯზე.

ანალოგიური გაანგარიშებანი შეიძლება ჩატარდეს მიმოქცევის ხარჯთა საშუალო დონეზე საქონელბრუნვის სტრუქტურის ცვლილებისა და სხვა ნიშნების გავლენის გასაზომად. ასე მაგალითად, საბითუმო ვაჭრობის ხარჯთა ანალიზისას მხედველობაში მიიღება საბითუმო საქონელბრუნვის ცალკეული სახეების — სა-



საწყობო და სატრანზიტო ბრუნვების თანაფარდობათა ცვლილების გავლენა. საწყობიდან საქონლის გაყიდვა საბითუმო ორგანიზაციებისაგან მოითხოვს ბრუნვებთან დაკავშირებულ მნიშვნელოვნად უფრო მეტ დანახარჯებს, ვიდრე ტრანზიტით გაყიდვა. სატრანზიტო გაყიდვის დროს საბითუმო ორგანიზაციებს არ სჭირდებათ სახსრების ხარჯვა სასაწყობო ოპერაციებზე, სასაწყობო პერსონალის და სხვათა შენახვაზე.

რადგან საბითუმო ორგანიზაციებში საბითუმო ვაჭრობის ყველა დანახარჯი ერთად აღირიცხება და, ჩვეულებრივ, მიეკუთვნება სასაწყობო და სატრანზიტო ბრუნვის თანხას, ხარჯთა დონის საგვეგმო მაჩვენებლების შესრულების ანალიზისას ყოველთვის ყურადღება უნდა მივაქციოთ ბრუნვის შემადგენლობას. სატრანზიტო ბრუნვის ხვედრითი წონის ამაღლება გვემასთან ან წინა პერიოდთან შედარებით მექანიკურად ამცირებს საბითუმო ვაჭრობის საერთო დონეს.

ნათქვამი ნათელეყოთ მაგალითით:

	გვეგმო	ფაქტობრივად
მიმოქცევის ხარჯთა მთელი თანხა (ათას მანეთობით)	600	600
სასაწყობო საბითუმო საქონელბრუნვა (ათას მანეთობით)	40000	36000
სატრანზიტო საქონელბრუნვა (ათას მანეთობით)	10000	16000
მთელი საბითუმო საქონელბრუნვა (ათას მანეთობით)	50000	52000
ხარჯების პროცენტი საქონელბრუნვის მიმართ	1.2	1,154

ამ მიმოქცევის ხარჯთა ფაქტიური დონე საგვეგმოზე დაბალია საბითუმო ვაჭრობის გვეგმის გადაჭარბებით შესრულების გამო, მაგრამ, ამასთანავე, სასაწყობო საბითუმო ბრუნვის გვეგმა არ არის შესრულებული, ხოლო სატრანზიტო ბრუნვის გვეგმა მნიშვნელოვნად გადაჭარბებულია.

შესაძლებელია თუ არა ამის საფუძველზე ხარჯების გვეგმა შესრულებულად მივიჩნათ? არა, არ შეიძლება, რადგან სატრანზიტო ბრუნვა მოითხოვს მნიშვნელოვნად ნაკლებ ხარჯებს, ვიდრე სასაწყობო. მიმოქცევის ხარჯთა დონეზე საბითუმო ბრუნვის სტრუქტურის ცვლილების გავლენის გათვალისწინება შეიძლება საქონელბრუნვის სტრუქტურაში მომხდარი ძვრების გავლენის ზემოხსენებული ინდექსის საშუალებით.

დაეუშვათ, სავაჭრო დარიცხვა (რეალიზებული) მთლიანად სასაწყობო ბრუნვის მიხედვით 3-ჯერ მაღალია, ვიდრე სატრანზიტო ბრუნვისა. ესარგებლობთ რა, ამ მაჩვენებლებით, ვაწარმოებთ შემდეგ გაანგარიშებას:

საბითუმო ბრუნვათა სახეები	ბრუნვათა ჯამი (ათას მანეთობით)		პროცენტობით ჯამის მიმართ		საეკპრო დარიცხვის პროცენტი (დაახლოებით)	საშუალო დარიცხვა ბრუნვის 100 მანეთზე	
	გეგმით	ფაქტიურად	გეგმით	ფაქტიურად		გეგმით	ფაქტიურად
სასაწყობო	40000	36000	80	69,2	3	2,4	2,076
სატრანზიტო	10000	16000	20	30,8	1	0,2	0,308
ჯამი	50000	52000	100	100	—	2,6	2,384

2,384-ის შეფარდება 2,6-თან წარმოადგენს ბრუნვის სტრუქტურის ცვლილების გავლენის ინდექსს მიმოქცევის ხარჯთა საშუალო დონეზე და არის 0,917, ანუ 91,7%. ბრუნვის სტრუქტურის ცვლილების გავლენით მიმოქცევის ხარჯთა დონე გეგმასთან შედარებით უნდა შემცირებულიყო 8,3%-ით. მიმოქცევის ხარჯთა ფაქტიური შემცირების დონე გეგმასთან შედარებით შეადგენდა 0,962-ს (1,154 : 1,2), ანუ 96,2%-ს, ე. ი, სულ მხოლოდ 3,8%-ს. მაშასადამე, მიმოქცევის ხარჯთა შემცირების გეგმა არ არის შესრულებული.

მართლაც. მიმოქცევის ხარჯთა ფაქტიური დონე რომ გავყოთ საქონელბრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრების გავლენის ინდექსზე, მივიღებთ საანგარიშო პერიოდის დონეს გეგმასთან (გასულ წელთან) შესადარ საქონელბრუნვის შემაღენლობაში:  $1,154 : 0,917 = 1,257$ . ამრიგად, ხარჯთა დონე გეგმით დაწესებულზე უფრო მაღალია (1,2%).

საქონელბრუნვაში მომხდარი სტრუქტურული ძვრები მხედველობაში უნდა მივიღოთ საზოგადოებრივი კვების ხარჯთა ანალიზის დროსაც. სასაღილო პროდუქციის ხვედრითი წონის ზრდა საზოგადოებრივი კვების საწარმოს საქონელბრუნვაში ზრდის საზოგადოებრივი კვების ხარჯთა დონეს, რადგან სასაღილო პროდუქციის დამზადება მოითხოვს დანახარჯებს, რომლებიც არ არსებობს, თუ საწარმო ვაჭრობს შესყიდული საქონლით. ასევე, სასოფლო საქონელბრუნვის ხვედრითი წონის ამარღება საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობაში წარმოადგენს ფაქტორს, რომელიც ადიდებს მიმოქცევის ხარჯთა დონეს, რადგან მიმოქცევის ხარჯები საშუალოდ სასოფლო ვაჭრობაში უფრო მაღალია, ვიდრე საქალაქოში. აქ მიმოქცევის ხარჯთა საერთო დონის დინამიკაზე ამ ფაქტორის გავლენის დასადგენად შეიძლება გამოვიყენოთ სამომხმარებლო კოოპერაციის მონაცემები სოფლის მომხმარებელთა საზოგადოების მიმოქცევის ხარჯთა შესახებ.

## 7. დაჯგუფების მეთოდის გამოყენება მიმოქცევის ხარჯთა ანალიზისას

საეკპრო საწარმოს მიმოქცევის ხარჯთა დონე სინთეზურ მაჩვენებელს წარმოადგენს. მასში შეტანილია მიმოქცევის ხარჯთა განმსაზღვრელი სხვადასხვა ფაქტორების მოქმედება, პირველ რიგში საეკპრო საწარმოს საქონელბრუნვის მოცუ-

ლობისა და მისი საქონლის სპეციალიზაციისა; ის გამოხატავს სავაჭრო საწარმოს მუშაობის სხვადასხვაგვარ პირობებს, აგრეთვე მისი მუშაობის ხარისხს.

ამიტომ მიმოქცევის ხარჯთა სპეციალური დაკვირვებისა და ანგარიშების მაკალეების დამუშავებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება დაჯგუფების მეთოდს.

დაჯგუფების მეთოდი მიმოქცევის ხარჯთა ანალიზისას გამოიყენება სავაჭრო საწარმოს მუშაობის ხარისხის შეფასებისა და ამას საფუძველზე—მიმოქცევის ხარჯთა შემცირების გამოყენებელი რეზერვების გამოვლენისათვის, აგრეთვე იმის შესასწავლად, თუ რამდენადაა დამოკიდებული მის განმსაზღვრელ ძირითად ფაქტორებზე მიმოქცევის ხარჯთა დონე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მიმოქცევის ხარჯთა მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივების დასადგენად საწარმოს ცალკეული ტიპების მიხედვით. პირველ შემთხვევაში მეტად ეფექტურია სავაჭრო საწარმოს დაჯგუფება საქონელბრუნვის გეგმის შესრულების დონის საფუძველზე. სავაჭრო საწარმოს სადგომის სიდიდე, მის მუშაკთა შტატი ვათვალისწინებულია განსაზღვრული საგვემო მოცულობის საქონელბრუნვის შესასრულებლად. სადგომის შენახვისა და სავაჭრო პერსონალის შრომის ანაზღაურების ხარჯები კი საცალო ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯებში 60 პროცენტს შეადგენს.

ამიტომ, ბუნებრივია, რომ საქონელბრუნვის გეგმის შესრულებლობა ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერებისა და ვაჭრობის ძირითად საშუალებათა გამოყენების ეფექტიანობის შემცირებასთან ერთად ზრდის მიმოქცევის ხარჯთა დონეს. საწინააღმდეგო შედეგს იძლევა საქონელბრუნვის გეგმის გადაჭარბებით შესრულება. ასე მაგალითად, ერთ ორგანიზაციაში ჩატარდა დაახლოებით ერთნაირ პირობებში მყოფ სავაჭრო საწარმოს დაჯგუფება საქონელბრუნვის გეგმის შესრულების დონის მიხედვით და მოხდა მიმოქცევის ხარჯთა დონის ანალიზი. დადგინდა, რომ გეგმის შესრულების დონის ზრდასთან ერთად მცირდება მიმოქცევის ხარჯთა დონე, რაც ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

მიმოქცევის ხარჯთა დონის დამოკიდებულება საქონელბრუნვის გეგმის შესრულებაზე

საქონელბრუნვის გეგმის შესრულების დონე (პროცენტობით)	საწარმოს რიცხვი	საქონელბრუნვა წელიწადში (ათას მანეთობით)	მიმოქცევის ხარჯები წელიწადში (ათას მანეთობით)	მიმოქცევის ხარჯთა დონე
1. 90-მდე	9	1198	84	7,02
2. 90—95	5	2263	134	5,92
3. 95—100	8	4005	213	5,33
4. 100 და მეტი	24	13102	635	4,85
ჯ ა მ ი	40	20568	1066	5,19
მათ შორის იმ საწარმოს მიხედვით, რომელთაც ვერ შეასრულეს გეგმა (1+2+3)	16	7466	431	5,78

საწარმოებში, რომლებმაც საქონელბრუნვის გეგმა შეასრულეს და გადააჭარბეს, მიმოქცევის ხარჯთა ღონე, 5,19% საშუალო ღონის დროს, შეადგენდა 4,85%-ს საქონელბრუნვის მიმართ. საშუალო ღონე გადაჭარბებულია იმ საწარმოთა ხარჯზე, რომელთაც ვერ შეასრულეს გეგმა, ამასთან რაც უფრო ნაკლებადაა გეგმა შესრულებული, მით მეტად იზრდება ხარჯთა ღონე. ცხრილის უკანასკნელი სტრიქონი გვიჩვენებს, რომ 16 საწარმოში, რომელთაც ვერ შეასრულეს გეგმა, ხარჯები შეადგენდა 5,78%-ს, რითაც გეგმის 100%-იანი შესრულების პირობებში ხარჯების ღონეს გადააჭარბებს 0,93%-ით ბრუნვის მიმართ (5,78—4,85).

განმსაზღვრელ ფაქტორებზე მიმოქცევის ხარჯთა ღონის დამოკიდებულების ანალიზისათვის მნიშვნელოვანია დაჯგუფების ნიშანთა სწორი დადგენა.

ასეთ ნიშნებს პირველ რიგში წარმოადგენს სავაჭრო საწარმოთა საქონელბრუნვის სიდიდე, სპეციალიზაცია, ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ღონე, საქონელბრუნვის სისწრაფე და სხვა. საწარმოთა დაჯგუფება საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით. ამ ნიშნის საფუძველზე სავაჭრო საწარმო-ორგანიზაციათა დაჯგუფებისას შეიძლება თვალყური ვადევნოთ მიმოქცევის ხარჯთა ღონის დამოკიდებულებას სავაჭრო საწარმოთა სიდიდეზე. როგორც წესი, რაც უფრო დიდია სავაჭრო საწარმო (ან ორგანიზაცია) მით უფრო დაბალია მიმოქცევის ხარჯთა ღონე. ამას ცხადყოფს, მაგალითად, სამომხმარებლო კოოპერაციის 1960 წლის წლიური ანგარიშის მონაცემთა ანალიზი<sup>1</sup>.

წლიური	საქონლის მარაგი 1961 წლის 1 იანვრისათვის (საქონელბრუნვა დღეებში)	საქონელბრუნვა საშუალოდ საცალო ქსელის ერთ მუშაკზე (ათას მან.)	პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ		
			რეალურებული დარიცხვა	მიმოქცევის ხარჯები	მოგება რეალიზაციიდან
150-მდე	417	11	14,80	11,87	2,98
151—200	171	18	10,03	7,61	2,42
201—250	144	28	9,4	7,38	1,96
251—300	129	25	8,42	6,89	1,53
301—400	117	27	8,01	6,35	1,66
401—500	110	29	7,92	6,25	1,67
501—600	109	30	7,83	6,05	1,78
601—800	104	31	7,80	5,91	1,89
801—1000	98	33	7,69	5,82	1,87
1001—1200	99	33	7,58	5,66	1,92
1201—1500	92	35	7,44	5,62	1,82
1501—2000	87	36	7,21	5,34	1,88
2001—2500	81	37	7,27	5,17	2,10
2500-ზე მეტი	90	42	7,78	5,33	2,45
მომხმარებელთა ყველა საზოგადოება	96	35	7,65	5,64	2,01

ცხრილში ნათლად ჩანს საცალო საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების დამოკიდებულება სოფლის მომხმარებელთა საზოგადოების საქონელბრუნ...

<sup>1</sup> Советская торговля, სტატისტიკური კრებული, 1964, გვ. 284.

ვის ოდენობაზე. საქონელბრუნვის ზრდის პარალელურად მცირდება საქონლის მარაგი (უფრო ხშირად წარმოებს საქონლის შეზიდვა), იზრდება ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერება, კლებულობს მიმოქცევის ხარჯთა ღირებულება. ამაში მკვლევარებმა მსხვილ საწარმოთა უპირატესობანი.

საწარმოთა დაჯგუფება სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით. სავაჭრო საწარმოს მეორე არსებით ნიშანს, რომელიც გავლენას ახდენს მიმოქცევის ხარჯთა ღირებულებაზე, წარმოადგენს მისი სასაქონლო სპეციალიზაცია, რაც ჩანს შემდეგი ცხრილიდან.

ქალაქის მაღაზიათა მიმოქცევის ხარჯები მათ ხასაქონლო სპეციალიზაციასთან დაკავშირებით

მაღაზიათა სპეციალიზაცია	მიმოქცევის ხარჯთა პროცენტი საქონელბრუნვის შიქართ	ხვედრითი წონა მიმოქცევის ხარჯებში				
		სატრანსპორტო ხარჯების	ხელფასის	სადღირებზე გაწეული ხარჯების	სასაქონლო დანაკარგების	დანარჩენი ხარჯების
ა	1	2	3	4	5	6
<b>1. სასურსათო</b>	5,7	14,4	39,6	17,5	8,9	19,6
მათ შორის:						
ა) ხილ-ბოსტნეულის	9,9	15,7	55,4	23,7	13,0	12,2
ბ) ხორციანა და თევზის	6,0	11,2	31,4	17,8	13,5	23,1
გ) საკონდიტრო	5,2	16,6	37,9	16,0	8,2	21,3
დ) საბაკალაურო-გასტრონომიული	4,9	14,4	39,4	16,9	10,7	18,6
ე) პურის	4,4	4,7	46,8	15,2	13,9	19,4
ვ) რძის	3,9	19,8	37,8	16,3	9,3	16,8
<b>2. არასასურსათო</b>	5,6	12,8	45,1	21,0	1,4	19,7
მათ შორის:						
ა) სააუთოაქო	16,8	4,8	64,4	14,5	3,1	13,2
ბ) შუშა და სე-ტყის მაგალა	16,2	47,8	23,9	6,9	4,8	11,6
გ) წიგნების	14,4	16,2	56,8	18,9	0,4	13,7
დ) კულტურული და სამეურნეო საქონლის	7,0	22,6	37,8	21,7	3,0	14,9
ე) კულტურული საქონლის	6,8	13,8	49,5	20,1	1,9	14,7
ვ) საპარფუმერო საქონლის	6,4	8,7	43,4	27,8	1,2	18,9
ზ) ავეჯის	6,0	36,1	31,4	19,6	0,2	12,7
თ) შუა ტანსაცმლის	4,5	5,2	46,6	29,0	0,3	18,9
ი) მანუფაქტურულ-სავალო-ატორეო	3,7	8,3	47,6	27,0	0,6	16,5
კ) ფესსაცმლის	3,1	10,6	45,3	29,4	0,6	14,1
<b>შედეგული</b>	5,8	17,0	42,8	17,8	5,3	17,1
<b>ყველა მაღაზია</b>	5,6	14,0	42,9	19,3	4,5	19,3

ცხრილიდან ჩანს არსებითი განსხვავებანი სხვადასხვა სპეციალიზაციის მაღაზიების მიმოქცევის ხარჯთა ღონეებსა და შემადგენლობაში, რაც აიხსნება პირველ რიგში საქონლის თავისებურებებით.

მიმოქცევის ხარჯთა შეფარდებითი ღონე და შემადგენლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქონლის სახეთა მიხედვით. ეს განსხვავება განპირობებულია საქონელზე მოთხოვნილებით, რაც განსაზღვრავს საქონელბრუნვის სისწრაფეს და მარაგების სიდიდეს; საქონლის სახმარი თვისებებით, რომლებიც სხვადასხვა მოთხოვნებს უყენებს საქონლის გადატანის, შენახვისა და გაყიდვის პირობებს; საქონლის ცალკეულ სახეთა წარმოების თავისებურებებით—წარმოების განლაგებით, სეზონურობით, სპეციალიზაციით; მოხმარებისათვის საქონლის გამზადების ხარისხით წარმოებაში და ა. შ. ამიტომ სტატისტიკაში დიდ მნიშვნელობას იძენს მიმოქცევის ხარჯთა საქონლური შესწავლა, რაც მნიშვნელოვანია აგრეთვე საქონელზე სავაჭრო დარიცხვის სწორი დადგენის, მაშასადამე, სამეურნეო ანგარიშის სწორი განხორციელებისათვის ვაჭრობაში.

სავაჭრო საწარმოთა დაჯგუფება სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით, მართალია, ვერ ცვლის მიმოქცევის ხარჯთა საქონლურ შესწავლას, რადგან იგი ეხება მხოლოდ სპეციალიზებულ ვაჭრობას და საკმაოდ ფართოდ სასაქონლო ჯგუფებს, მაგრამ მაინც გვეხმარება იმ ფაქტორთა ანალიზში, რომლებიც გავლენას ახდენს მიმოქცევის ხარჯების ღონესა და სტრუქტურაზე, მეცნიერულად დასაბუთებულ მათ ნორმირებაზე.

დაჯგუფების ორი ზემომოტანილი ნიშანი (საწარმოს სავაჭრო ბრუნვის სიდიდე და მისი სასაქონლო სპეციალიზაცია) წარმოადგენს ძირითად ნიშნებს იმ ფაქტორთა შესწავლისას, რომლებიც ქმნიან მიმოქცევის ხარჯებს.

მიმოქცევის ხარჯთა ანალიზისათვის ცალკეული სახის ვაჭრობაში ან ცალკეული სახის ხარჯების ანალიზისათვის, რა თქმა უნდა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სახის დაჯგუფებანიც. მაგალითად, სოფლად ვაჭრობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებების დაჯგუფებას მომარაგების ძირითადი ბაზებიდან ან რკინიგზის სადგურებიდან მანძილის მიხედვით; შრომის ანაზღაურების ხარჯთა ანალიზისათვის—დაჯგუფებას შრომის ნაყოფიერების ღონის მიხედვით და ა. შ.

## 8. კორელაციის მეთოდის გამოყენება მიმოქცევის ხარჯთა ანალიზისათვის

უმნიშვნელოვანეს ფაქტორებზე მიმოქცევის ხარჯთა ღონის დამოკიდებულების ანალიზისათვის დაჯგუფების მეთოდის გამოყენების ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს კორელაციის მეთოდი. დაჯგუფების საშუალებით გამოირკვა, რომ მიმოქცევის ხარჯთა ღონე სავაჭრო საწარმოებში მცირდება მათი საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად. ეს უფრო მსხვილი საწარმოს ეკონომიური უპირატესობით აიხსნება. ამრიგად, საწარმოს საქონელბრუნვა გვევლინება როგორც ფაქტორი, რომელიც მისი ხარჯების ღონეს განსაზღვრავს. მაგრამ საქონელბრუნვა, ალბათ, არ არის ხარჯთა ღონის განმსაზღვრველ ერთადერთი ფაქტორი.

ასეთ ფაქტორებს წარმოადგენს საწარმოს საქონლური სპეციალიზაცია, მანძილიც მომარბების ბაზიდან და რიგი სხვა მომენტები. აქედან გამომდინარე, შემდგომი კვლევის საგანია იმის დადგენა, თუ რა ძალისაა მოცემული ფაქტორი და თუ ეს ძალა საკმაოდ დიდია, შევეცადოთ ისეთი ნორმატივის დადგენას, რომელიც ასახავს საქონელბრუნვის ზრდის გავლენას მიმოქცევის ხარჯების დონეზე; ეს დაგვეზმარებოდა მიმოქცევის ხარჯთა დაგეგმვისა და ნორმების უკეთ დასაბუთებისათვის.

ამ ამოცანების გადაწყვეტა შეიძლება მიმოქცევის ხარჯთა საანალიზოდ კორელაციის თეორიის გამოყენებით. კორელაციის თეორიის შესაბამისად ამა თუ იმ ფაქტორის მოქმედების ძალა ( $x$ ) რეზულტატთან სილიდებზე ( $y$ ) კავშირის სიმჭიდროვის მაჩვენებლებით განისაზღვრება (ე. ი. კორელაციური კავშირის სიმჭიდროვის ფორმის დადგენისა და კავშირის ხაზის პარამეტრების (რეგრესიის ხაზის) მონახვის საფუძველზე).

კავშირის სიმჭიდროვის მაჩვენებლებს შეიძლება წარმოადგენდეს ემპირიული კორელაციური შეფარდება ( $\eta$ ), კორელაციის ინდექსი, რომელსაც აკრუთვე თეორიული კორელაციური შეფარდება ეწოდება ( $R$ ), და კორელაციის კოეფიციენტი ( $r$ ).

ემპირიული კორელაციური შეფარდების გაანგარიშება დაჯგუფების დახმარებით ხდება და მას საფუძვლად უდევს დისპერსიების შეკრების წესი. ამ მაჩვენებლის გაანგარიშებისათვის უნდა ვიცოდეთ მიმოქცევის ხარჯების დონეთა საერთო დისპერსია შესასწავლ ერთობლიობაში ( $\sigma^2$ ) და მიმოქცევის ხარჯების ჯგუფურ საშუალო დონეთა დისპერსია ფაქტორიული ნიშნის მიხედვით შექმნილ დაჯგუფებაში ( $\sigma_x^2$ ). როგორც ცნობილია, დაჯგუფების დროს საერთო დისპერსია დანაწევრდება ჯგუფურ საშუალოთა დისპერსიად და იმ საშუალოდ, რომელიც გამოიყვანება ჯგუფურ დისპერსიებიდან ( $\sigma_x^2$ ), ე. ი.  $\sigma^2 = \sigma_x^2 + \sigma_y^2$ .

ჯგუფურ საშუალოთა დისპერსია შეიძლება განვიხილოთ როგორც იმ ჯგუფთაშორისი ვარიაციის გამზომი მაჩვენებელი, რომელსაც განაპირობებს დაჯგუფების ნიშნის მოქმედება, ხოლო ჯგუფური დისპერსიებიდან გამოყვანილი საშუალო—როგორც იმ შიდაჯგუფობრივი ვარიაციების გამზომი მაჩვენებელი, რომლებსაც, გარდა დაჯგუფების ნიშნისა, სხვა ფაქტორებიც განაპირობებს.

ამის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ  $K = \frac{\sigma_x^2}{\sigma^2}$  არის დეტერმინაციის

კოეფიციენტი, რომელიც იმის მაჩვენებელია. თუ მთელი ვარიაციის რა წილს განაპირობებს დაჯგუფების ნიშანი, ხოლო ამ კოეფიციენტის კვადრატული ფესვი სწორედ ის ემპირიული კორელაციური შეფარდება იქნება, რომელიც კავშირის ძალის მაჩვენებელია:

$$\eta = \sqrt{\frac{\sigma_x^2}{\sigma^2}}$$

თუ დაჯგუფების ნიშანი დიდ გავლენას ახდენს მიმოქცევის ხარჯთა დონეზე, მაშინ იზრდება ჯგუფთაშორისი ვარიაციის წილი და, მაშასადამე, კორელაციური შეფარდებაც. საზღვარი იქნება ისეთი შემთხვევა, როცა ჯგუფთაშორისი ვარიაცია ამოწურავს მთელ ვარიაციას, ე. ი. შექმნილ ჯგუფებში არ არის მიმოქცევის ხარჯთა დონის არაერთი ვარიაცია. ასეთ შემთხვევაში კოეფიციენტი  $K$ , აგრეთვე  $\eta$  ერთის ტოლი იქნება, რაც ახასიათებს ფუნქციონალურ ანუ ისეთ კავშირს, როცა დაჯგუფების ნიშნის ცვლილება მთლიანად განსაზღვრავს მიმოქცევის ხარჯთა დონეს.

ქვემო საზღვარი ისეთი შემთხვევა იქნება, როცა ჯგუფთაშორისი ვარიაცია ნულს უდრის, ე. ი. მთელი ვარიაცია მოქცეულია ჯგუფებს შიგნით. ამ შემთხვევაში  $K=0$ , მაშასადამე,  $\eta$ -ც ნულის ტოლია. ეს იმას ნიშნავს, რომ არ არსებობს კავშირი დაჯგუფების ნიშანსა და მიმოქცევის ხარჯების დონეს შორის.

ამრიგად კორელაციური დამოკიდებულება იცვლება 0-დან 1-მდე. მიღებულია, რომ თუ  $\eta > 0,5$ -ზე, მაშინ კავშირი შესამჩნევია, თუ  $\eta > 0,7$ -ზე, მაშინ კავშირი მკიდრია და თუ  $\eta > 0,9$ , კავშირი ძალზე მკიდრია.

როცა კავშირი მკიდრია, მით უმეტეს ძლიერ მკიდრო, შეიძლება მუშაობის შემდეგ სტადიაზე გადასვლა, რაც გულისხმობს მიმოქცევის ხარჯთა დონის დაწორებას (დაჯგუფების ნიშნის ცვლილების გათვალისწინებით). ამისათვის საჭიროა მიმოქცევის ხარჯთა ჯგუფურ საშუალო დონეთა გათანაბრება, ე. ი. კავშირის თეორიული ხაზის (რეგრესიის ხაზის) მოძებნა.

ვაჩვენოთ ამ ანალიზის მეთოდის ერთ-ერთი რაიკვებვაჭრობის 41 მაღაზიის მაგალითზე. გავანალიზოთ კავშირი საქონელბრუნვის ოდენობასა და მიმოქცევის ხარჯებს შორის. ამისათვის მაღაზიები უნდა დავაჯგუფოთ მიმოქცევის ხარჯთა დონისა (საერთო დისპერსიის გასაანგარიშებლად) და საქონელბრუნვის ოდენობის მიხედვით (ჯგუფურ საშუალოთა დისპერსიის გასაანგარიშებლად). ქვემოთ მოგვაქვს პირველი დაჯგუფება და მის საფუძველზე მიმოქცევის ხარჯთა დონის საერთო დისპერსიის გაანგარიშება.

ჯგუფები მიმოქცევის ხარჯთა დონის მიხედვით (პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ)	მაღაზიების რიცხვი	საქონელბრუნვა-f (ათას მან.)	$\frac{x-A}{i} = x'$	$x'f$	$x'^2f$
	1	2	3	4	5
3—4,5	3	2333	-1	-2333	2333
4,5—6	18	12750	0	0	0
6—7,5	10	3022	1	3022	3022
7,5—9	5	623	2	1246	2492
9—10,5	3	213	3	639	1917
10,5—12	2	79	4	316	1264
<b>ს უ ლ</b>	<b>41</b>	<b>19020</b>	<b>—</b>	<b>2890</b>	<b>11141</b>

საერთო დისპერსიის გაანგარიშებას ვაწარმოებთ მამენტების წესით (პირობითი ნულიდან ათვლით). ნულს ვუტოლებთ მეორე ვარიანტს, რომლის საშუალო



მნიშვნელობა 5,25 უდრის ( $A=5,25$ ). ვარიაციული მწკრივი ჩვენს მაგალითში ტლინტერვალანია და ინტერვალ უდრის 1,5 ( $i=1,5$ ). ვარიანტების პირობითი მნიშვნელობანი ( $x'$ ) უნდა შევწონოთ საქონელბრუნვის ოდენობის მიხედვით ჯგუფში, რადგან საქონელბრუნვაზე მიმოქცევის ხარჯთა დონის ნამრავლი გვაძლევს მიმოქცევის ხარჯთა თანხას, ამის შედეგად ვღებულობთ:

$$m_1 = \frac{\sum x' f}{\sum f} = \frac{2890}{19020} = 0,15; \quad m_1^2 = (0,15)^2 = 0,0225;$$

$$m_2 = \frac{\sum x'^2 f}{\sum f} = \frac{11141}{19020} = 0,60; \quad \sigma^2 = i^2 (m_2 - m_1^2) = 2,25 \times (0,60 - 0,0225) = 2,25 \times 0,58 = 1,31.$$

საქონელბრუნვის სიდიდის მიხედვით დაჯგუფების საფუძველზე გავიანგარიშოთ ჯგუფური საშუალოების დისპერსია:

ჯგუფები საქონელბრუნვის ოდენობის მიხედვით (ათას მან.)	მაღაზნი-ბის რა-სები	საქონელბრუნვა (ათას მან.)	მიმოქცევის ხარჯები (ათას მან.)	მიმოქცევის ხარჯების დონე (პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ)	$y - \bar{y}$	$(y - \bar{y})^2$	$y - \bar{y}$
	1	2	3	4	5	6	7
100-შლე	7	464	46,3	10,00	+4,46	19,90	9213,70
100-200	4	591	46,2	7,82	+2,28	5,20	3073,20
200-400	11	3116	191,5	6,16	+0,62	0,38	1184,08
400-800	13	7771	413,0	5,32	-0,22	0,05	388,55
800 და მეტი	6	7078	856,0	5,03	-0,51	0,26	1840,28
სულ	41	19020	1053,0	5,54	-	-	15699,81

41 მაღაზიის მიმოქცევის ხარჯთა საერთო საშუალო დონე ( $\bar{y}$ ) უდრის 5,54%-ს საქონელბრუნვის მიმართ. ჯგუფური დონეები (სვეტი 4) კანონზომიერად მცარდება საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად. მე-5 და მე-6 სვეტებში გაანგარიშებულია ჯგუფურ დონეთა გადახრა საშუალოდან და ამ გადახრის კვადრატები. გადახრის კვადრატები მე-7 სვეტში შეწონილია საქონელბრუნვის თანხების მიხედვით ჯგუფში. ამის შედეგად ჯგუფურ საშუალოთა დისპერსია უდრის:

$$\sigma_x^2 = \frac{\sum (y - \bar{y})^2 f}{\sum f} = \frac{15699,81}{19020} = 0,825$$

მაშასადამე, ჯგუფთაშორისი ვარიაციის წილი საერთოში შეადგენს:

$$R = \frac{\sigma_x^2}{\sigma^2} = \frac{0,825}{1,31} = 0,63 \quad \text{და} \quad \eta = \sqrt{0,63} = 0,794.$$

როგორც ვხედავთ, კავშირი დიდია.

ამ შემთხვევაში კორელაციის მაჩვენებლის შეცდომა შეადგენს:

$$S\eta = \frac{1-\eta^2}{\sqrt{n-1}} = \frac{1-0,63}{\sqrt{40}} = \frac{0,37}{6,4} = 0,06.$$

მაშასადამე, 0,683 ალბათობით შეიძლება იმის მტკიცება, რომ კორელაციური შეფარდება იქნება არანაკლებ 0,73-ისა (0,79—0,06).

ახლა გადავიდეთ მიმოქცევის ხარჯთა დონის ნორმირებაზე მალაზიის საქონელბრუნვის ოდენობის მიხედვით. კავშირის თეორიული ხაზის (რეგრესიის ხაზის) ფორმა კავშირის ეკონომიური ანალიზის საფუძველზე იმყოფება განსახილველ ნიშნებს შუა. კავშირი საწარმოს მიმოქცევის ხარჯთა დონესა და საქონელბრუნვის ოდენობას შორის უქუბროპორციულია: დონე მცირდება საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად. ამასთან ზოგიერთი სახის ხარჯები, რომელთა თანხა დაახლოებით საქონელბრუნვის ზრდის პროპორციულად დიდდება (როგორც, მაგალითად, სატრანსპორტო ხარჯები, ხელფასი, რომელიც გაიცემა პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ, და სხვა), თავისა დონით უცვლელი რჩება საქონელბრუნვის ზრდისას (აღვნიშნოთ მათი დონე  $a_0$ -ით), სხვა სახის ხარჯები კი უფრო ნაკლებად იზრდება, ვიდრე საქონელბრუნვა და მათი დონე მცირდება. აღვნიშნოთ ამ ხარჯების თანხა  $a_1$ -ით, ხოლო დონე  $\frac{a_1}{x}$ -ით. მაშინ მიმოქცევის ხარჯთა თეორიული დონე, რომელიც მხოლოდ საქონელბრუნვის ცვლილებაზეა დამოკიდებული ( $y_x$ ), შეიძლება ასე გამოისახოს:

$$y_x = a_0 + a_1 \frac{1}{x}.$$

ჰიპერბოლის ეს განტოლება სწორედ იმ კავშირის თეორიული ხაზის გამომხატველი იქნება, რომელიც არსებობს მიმოქცევის ხარჯთა დონესა და საქონელბრუნვას შორის. თეორიული კავშირი ნიშნავს კავშირს, რომელიც იარსებებდა მიმოქცევის ხარჯთა დონეზე მხოლოდ საქონელბრუნვის ოდენობის ფაქტორს რომ ემოქმედა.

მაშასადამე, ამოცანა ის არის, რომ მიმოქცევის ხარჯთა ჯგუფური საშუალო დონეები ამოსწორდეს ჰიპერბოლის მიხედვით.

ამოსწორება ხდება გადახრათა უმცირესი კვადრატების წესით, რომელიც ჰიპერბოლის პარამეტრების მოსაძებნად გვაძლევს ორი განტოლების შემდეგ სისტემას:

$$\sum na_0 + \sum \frac{1}{x} na_1 = \sum yn;$$

$$\sum \frac{1}{x} na_0 + \sum \frac{1}{x^2} na_1 = \sum yn \frac{1}{x},$$

სადაც წონას ( $n$ ) გამოხატავს საქონელბრუნვა ჯგუფების მიხედვით, ხოლო  $x$ -ის სახით აღებულია საქონელბრუნვის საშუალო მნიშვნელობანი ჯგუფებში. ჩვენი მაგალითისათვის გაანგარიშება ასეთი იქნება:

საქონელბრუნვის საშუალო ოდენობა ჯგუფში — $x$ (ათ. მბზ.)	მიმოქცევის ხარჯთა საშუალო დონე (პროცენტებით საქონელბრუნვის მიმართ) — $y$	საქონელბრუნვა ჯგუფში (პროცენტებით ჯამით ჯამის მიმართ) — $n$	$yn$	$\frac{1}{x} n$	$\frac{1}{x^2} n$	$\frac{1}{x} yn$	$yx$
1	2	3	4	5	6	7	8
75	10,00	2,5	25,0	0,0333	0,000444	0,333	10,27
150	7,82	3,1	24,2	0,0267	0,00158	0,162	7,47
300	6,16	16,4	101,0	0,0547	0,000182	0,337	6,07
600	5,32	41,0	218,1	0,0653	0,000114	0,363	5,37
1200	5,03	37,0	186,1	0,0303	0,00025	0,155	5,02
ს უ ლ	—	100,0	554,1	0,2078	0,000903	0,350	—

ცხრილის მონაცემთა მიხედვით ვაღვანთ განტოლებებს ჰიპერბოლის პარამეტრების მოსაძებნად:

$$100a_0 + 0,2078 a_1 = 554,1;$$

$$0,2078 a_0 + 0,000903 a_1 = 1,35.$$

იმისათვის, რომ გავუტოლოთ  $a_0$ -ის კოეფიციენტები, მეორე განტოლება უნდა გავამრავლოთ 481-ზე:

$$100 a_0 + 0,434 a_1 = 649,3.$$

ახლად მიღებულ განტოლებას უნდა გამოვაკლოთ პირველი:

$$0,2265 a_1 = 95,2,$$

საიდანაც

$$a_1 = \frac{95,2}{0,2265} = 420,3.$$

$a_1$ -ის მნიშვნელობა პირველ განტოლებაში რომ ჩავსვათ, მივიღებთ:

$$100 a_0 + 87,3 = 554,1,$$

საიდანაც  $a_0 = 4,67$ .

მაშასადამე, კვეზირის (რეგრესიის) თეორიულ ხაზს ასეთი სახე აქვს:

$$y_x = 4,67 + 420,3 \frac{1}{x}$$

$x$ -ის კონკრეტულ მნიშვნელობათა ჩასმით მივიღებთ მიმოქცევის ხარჯთა თეორიულ ღონეებს ( $y_x$ ).

ასე მაგალითად, პირველ ჯგუფში:


$$y_x = 4,67 + \frac{420,3}{75} = 4,67 + 5,60 = 10,27;$$

მეორე ჯგუფში:

$$y_x = 4,67 + \frac{420,3}{150} = 4,67 + 2,80 = 7,47.$$

და ა. შ. (იხ. ცხრილის მე-8 სვეტი).

როგორც ვხედავთ, მიმოქცევის ხარჯთა ღონის თეორიული მნიშვნელობანი გრაფიკზე ძალიან უახლოვდება ფაქტიურს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ნორმატივები. ამ განტოლებაში საქონელბრუნვის ყოველნაირი მნიშვნელობის ჩასმით შეგვიძლია მივიღოთ მიმოქცევის ხარჯთა ნორმატიული ღონე.



საქონელბრუნვა (ათას მან.)

ნახ. 3. მიმოქცევის ხარჯთა ღონის საქონელბრუნვაზე დამოკიდებულების გრაფიკი

პ ი რ ო ბ ი თ ი ნ ი შ ნ ე ბ ი :

- ემპირიული მონაცემები
- კავშირის თეორიული ხაზი.

მაგალითად, თუ საქონელბრუნვა უღრის 500 ათას მანეთს, მაღაზიის ხარჯთა თეორიული ღონე იქნება:

$$y_x = 4,67 + \frac{420,3}{500} = 4,67 + 0,84 = 5,47\% \text{ საქონელბრუნვის მიმართ.}$$

კორელაციური შეფარდების მეშვეობით ანალიზის ხსენებული მეთოდისაგან განსხვავებრთ, ანალიზი კორელაციის ინდექსის ან კორელაციის კოეფიციენტის საშუალებით მოითხოვს თავდაპირველად კავშირის ფორმის დადგენას,  $y_x$ -ის იმ თეორიულ მნიშვნელობათა მოძებნას, რომლებიც გაანგარიშებულია  $x$ -ისა და  $y$ -ის ფუნქციონალური დამოკიდებულების საფუძველზე. ამის შემდეგ საერთო დისპერსიისა და  $y_x$ -ის ამოსწორებულ მნიშვნელობათა დისპერსიის შედარებით განისაზღვრება კავშირის ძალა კორელაციის ინდექსით:

$$R = \sqrt{\frac{\sigma^2 - \sigma_{y_x}^2}{\sigma^2}},$$

სადაც  $\sigma^2$  არის საერთო დისპერსია, რომელიც გაანგარიშებულია მუდმივი საშუალოდან ( $\bar{y}$ ).

$\sigma_{y_x}^2$  —  $y$ -ის ამოსწორებული მნიშვნელობებიდან ( $y_x$ ) გამოანგარიშებული დისპერსია.

$$\sigma_{y_x}^2 = \frac{\sum (y - y_x)^2 n}{\sum n} \sigma_y^2$$

ამ შემთხვევაში კავშირი მით უფრო მკვიდრია, რაც უფრო მეტად უახლოვდება  $y_x$ -ის ფაქტიურ მნიშვნელობებს. იმ ზღვარზე, როცა  $y_x$  ემთხვევა  $y$ -ს,  $\sigma_{y_x}^2$  იქნება ნული და კორელაციის ინდექსი ერთს შეადგენს. მეორე უკიდურესობა მაშინ გვექნება, როცა  $\sigma_{y_x}^2$  ედრება  $\sigma^2$ -ს და  $R$  იქნება 0. ამ შემთხვევაში კავშირი  $y$  და  $x$  შორის არ იარსებებს, რადგან  $y_x$  არაფრით იქნება განსხვავებული  $y$ -ისაგან. პირდაპირი კავშირის შემთხვევაში კორელაციის ინდექსი შეიძლება შეიცვალოს კორელაციის კოეფიციენტით, რომელიც არ მოითხოვს  $y_x$ -ის თეორიულ მნიშვნელობათა გაანგარიშებას.

რაგორც ვხედავთ, ანალიზი კორელაციის ინდექსის საშუალებით მოითხოვს  $x$  და  $y$  ნიშანთა მნიშვნელობის ინდივიდუალური მონაცემების დამუშავებას. როცა მასალა მასობრივია, ეს მონაცემები, ჩვეულებრივ, კორელაციურ ცხრილში შეჯამდება. ის მოითხოვს აგრეთვე ჯერ საკითხის გადაწყვეტას კავშირის ფორმის, მაშასადამე, კავშირის ხაზის (რეგრესიის ხაზის) განტოლების შერჩევის მხრივ, შემდეგ კი კავშირის სიმკვიდროვის მაჩვენებლის მოძებნას. ამავე დროს კორელაციის ინდექსის სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნა შერჩეული კავშირის ხაზის განტოლება.

ანალიზი კორელაციური შეფარდების საშუალებით მით უფრო მოსახერხებელია, რომ მისი გამოყენება შეიძლება ჯგუფური ცხრილებისათვის, რომლებიც მაკობრივ მასალას მოიცავენ, ე. ი. აღწერათა და გამოკვლევათა მასალების დამუ-

შავების შედეგებისათვის. ის არ მოითხოვს კორელაციურ ცხრილებში შეჯამებულ ინდივიდუალურ მონაცემებს, საკმარისია გეჭონდეს ჯგუფური ცხრილები უმნიშვნელოვანესი ფაქტორიული ნიშნების მიხედვით, აგრეთვე ვარიაციული მწკრივები, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო ნიშნის (ამ შემთხვევაში—მიმოქცევის ხარჯთა ღონის) საერთო დისპერსიის გაანგარიშების საშუალებას გვაძლევს. ამასთან, რაც უფრო მასობრივი იქნება მასალა, მით უკეთესია. ეს სრულიადაც არ ართულებს ანალიზს, პირიქით, უფრო დასაბუთებულს ხდის მას.

76

**9. სავაჭრო ორგანიზაციათა რენტაბელობის მაჩვენებლები**

მიმოქცევის ხარჯთა დონე გადამწყვეტი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს საბჭოთა ვაჭრობის საწარმოთა სავაჭრო საქმიანობის რენტაბელობას. სავაჭრო საქმიანობის რენტაბელობა დღევანდელ პირობებში ხასიათდება საქონლის რეალიზაციიდან მიღებული მოგების სიდიდით, რომელიც გამოისახება პროცენტულად საქონელბრუნვის მიმართ.

აი, ფაქტიური მონაცემები სსრ კავშირის საცალო ვაჭრობის საწარმოთა რენტაბელობის შესახებ:

**ვაჭრობის სამინისტროების, მუშათა მომარაგების განყოფილებების, სურსათმომარაგებათა და სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო ვაჭრობის რენტაბელობა**

წლები	დარიცხვა გაყიდულ საქონელზე		მიმოქცევის ხარჯები		მოგება საქონლის რეალიზაციიდან	
	მლნ მან.	პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ	მლნ მან.	პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ	მლნ მან.	პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ
1940	1375	10,70	1050	8,17	325	2,53
1950	2228	8,16	1763	6,46	465	1,70
1958	4662	8,01	3089	5,31	1573	2,70
1964	6150	7,51	4817	5,88	1333	1,63
1965	6740	7,55	5580	6,25	1160	1,30

მოგება საქონლის რეალიზაციიდან არის სხვაობა გაყიდულ საქონელზე დარიცხვების თანხასა (რეალიზებულ ზედნაღებსა), რომელიც აქვს საცალო ვაჭრობას, და მის მიერ გაწეულ მიმოქცევის ხარჯებს შორის. გაყიდულ საქონელზე დარიცხვის თანხა განისაზღვრება სავაჭრო ზედნაღებით, რომელსაც შეიცავს ყოველი საქონლის ფასი და გამოისახება საცალო ფასებიდან ფასდაკლების სახით სავაჭრო ორგანიზაციების სასარგებლოდ (პროცენტობით საცალო ფასების მიმართ ან აბსოლუტურ თანხებში საქონლის ერთეულიდან). საცალო ფასიდან ფასდაკლების სიდიდენი, რომლებიც განსხვავდებიან საქონლის ჯგუფთა მიხედვით, მტკიცდება მთავრობის მიერ. ცალკეულ სავაჭრო საწარმო-ორგანიზაციებს არა აქვთ უფლება დააწესონ ან შეცვალონ ისინი და ამ გზით გაზარდონ ფასმატების თანხა გაყიდულ საქონელზე. ამიტომ ვაჭრობის რენტაბელობის ამადლება საბჭოთა ვაჭრობაში უმთავრესად განისაზღვრება მიმოქცევის ხარჯთა ღონის შემცირებით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, უკანასკნელ წლებში საცალო ვაჭრობის რენტაბელობა მცირდება. ეს იმის შედეგია, რომ კლებულობს რეალიზებული დარიცხვის საერთო დონე (საქონელბრუნვაში სტრუქტურული ცვლილებების გამო) და ამასთანავე იზრდება მიმოქცევის ხარჯები (განსაკუთრებით 1965 წელს), რაც დაკავშირებულია ვაჭრობის მუშაკთა ხელფასის გადიდებასთან.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული მოგება განსაზღვრავს სავაჭრო საქმიანობის რენტაბელობას და წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს, რომელზეც დამოკიდებულია სავაჭრო ორგანიზაციათა საბოლოო, წმინდა მოგება. საქონლის რეალიზაციიდან მიღებული მოგების გარდა, წმინდა მოგებაზე გავლენას ახდენს იმ საწარმოთა არასავაჭრო საქმიანობაც, რომლებიც იმყოფებიან სავაჭრო ორგანიზაციათა განკარგულებაში (სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელი და სხვა საწარმოები), აგრეთვე შემოსავლები და გასავლები, რომლებიც არაა დაკავშირებული უშუალოდ სავაჭრო საქმიანობასთან (მიღებული და გადახდილი ჯარიმები, დებიტორული დავალიანებით ჩამოწერილი ზარალი და სხვა). წმინდა მოგების შექმნის წყაროთა სრული სქემა ვაჭრობაში ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

ვაჭრობის სამინისტროების, მუშათა მომარაგების განყოფილებების, სურსათმომარაგებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის წმინდა მოგების შექმნის წყაროები (მლნ მან.)

მაჩვენებლები	1950 წ.	1958 წ.	1964 წ.	1965 წ.
1. დარიცხვა გაყიდულ საქონელზე საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კეებაში	2887	5784	7854	8539
2. მიმოქცევის ხარჯები	2370	4076	6414	7482
3. საქონლის რეალიზაციით მიღებული მოგება საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კეებაში (1+2)	517	1708	1440	1107
4. საქონლის რეალიზაციით მიღებული მოგება საბითუმო ვაჭრობაში	10	231	359	334
5. საქონლის რეალიზაციით მიღებული მთელი მოგება	527	1939	1779	1441
6. სავაჭრო ორგანიზაციათა არასავაჭრო საქმიანობის სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, დამამზადებელ და სხვა საწარმოთა მოგება	158	400	365	325
7. ბიუჯეტიდან დაფინანსება ხელუხასის გადიდებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად	—	—	—	430
8. სავაჭრო და არასავაჭრო საქმიანობიდან მიღებული მოგების ჯამი (5+6+7)	685	2339	2164	2196
9. მიღებული ჯარიმები და სხვა მოგება	150	116	109	133
10. გადახდილი ჯარიმები, დებიტორული დავალიანებით ჩამოწერილი ზარალი და სხვა	298	270	193	212
11. წმინდა მოგება (8+9-10)	537	2185	2080	2117
პროცენტებით საქონელბრუნვის მიმართ	1,69	3,38	2,28	2,14

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქონლის რეალიზაციით მიღებული მოგება წარმოადგენს წმინდა მოგების ძირითად ელემენტს.

ამ მხრივ ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ცალკეული საქონლის სავაჭრო ფასდათმობანი შეესაბამებოდეს მიმოქცევის ხარჯთა ფაქტიურ ღონეს საქონლის მიხედვით, რის საფუძველსაც უნდა შეადგენდეს სავაჭრო საწარმოებში მიმოქცევის ხარჯთა შერჩევითი საქონლობრივი აღრიცხვა.

სავაჭრო საწარმოთა მუშაობის რენტაბელობის გადიდებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ეკონომიურ ღონისძიებათა შეუქმნე, რომლებიც განხორციელდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის სექტემბრის პლენუმისა და სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა საფუძველზე სამეურნეო მუშაობაში ეკონომიური სტიმულირების გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. ისევე როგორც მრეწველობაში, ვაჭრობაშიც განხორციელდა საწარმოთა გადასვლა დაგეგმვის ახალ სისტემაზე ორი მაჩვენებლით: საქონელბრუნვისა და მოგების მიხედვით.

როგორც ცნობილია, წარმოების რენტაბელობის ანალიზი მრეწველობაში ხორციელდება იმ მაჩვენებლის საფუძველზე, რომელიც გამოხატავს მოგების ოდენობას ძირითადი და საბრუნავი ფონდების ერთ მანეთზე. ეს მეთოდოლოგია სასაშუალებას იძლევა უფრო სწორად და სრულად აისახოს წარმოების ყველა ფაქტორი რენტაბელობის მაჩვენებლებში. მას პირდაპირი კავშირი აქვს ვაჭრობასთანაც. როგორც ჩანს, სავაჭრო ფასდათმობის ოდენობა საქონლის ფასში უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა საქონლის ბრუნვის სხვადასხვაგვარ ფონდტევადობას. საქონელბრუნვის ფონდტევადობით განისაზღვრება ვაჭრობაში დაბანდებულ იმ ძირითად და საბრუნავ საშუალებათა საშუალო წლიური ღირებულება, რომელიც მოდის წლიური საქონელბრუნვის ათას მანეთზე.

ვაჭრობაში გამოყენებული ძირითად საშუალებათა უდიდესი ნაწილი შედგება იმ სავაჭრო სადგომებისაგან, რომელთაც სავაჭრო ორგანიზაციები იჯარით იღებენ საქალაქო საბჭოებისაგან. დიდ დავას იწვევს საკითხი, საჭიროა თუ არა იჯარით აღებულ საშუალებათა გათვალისწინება ვაჭრობის რენტაბელობის გაანგარიშებისას. თუკი მარტო სავაჭრო ორგანიზაციების საკუთარ ძირითად და საბრუნავ საშუალებებს ავიღებთ, მნიშვნელოვანი ადგილი მათში საქონლის მარაგს უჭირავს. ამასთან, იმ საქონლის მარაგის საშუალო წლიური ოდენობა, რომელიც წლიური საქონელბრუნვის ათას მანეთს უზრუნველყოფს, არსებითად განსხვავდება საქონლის მიხედვით.

ამიტომ მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქონლის ჯგუფთა მიხედვით სავაჭრო ფასდათმობის დაწესებისას გათვალისწინებულ იქნეს საქონელბრუნვის ფონდტევადობა საქონლის მარაგის მიმართ. ის განისაზღვრება საქონელბრუნვის ნორმატიული სიჩქარით. რაც უფრო დიდია საქონელბრუნვის სიჩქარე, საქონლის მით უფრო ნაკლები მარაგი მოდის საქონელბრუნვის ერთ მანეთზე და, ცხადია, ნაკლებია ფონდტევადობა. იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფთ ფონდების თანაბარი რენტაბელობა, უკანასკნელის ოდენობა, გაანგარიშებული პროცენტობით საქონელბრუნვის



მიმართ ცალკეული საქონლის მიხედვით, უკუდამოკიდებულებაში უნდა იყოს საქონელბრუნვის სიჩქარის მაჩვენებლებთან.

განვმარტოთ ეს პირობით მაგალითზე:

საქონელი	საქონლის საშუალო მარაგი (ათ. მან.)	ბრუნვათა რიცხვი წელიწადში	საქონელ-ბრუნვა წლის განმავლობაში (ათაი მან.)	რენტაბელობის პროცენტები ფონდების მიმართ	წლიური მიწევა (ათაი მან.)	რენტაბელობის პროცენტები საქონელბრუნვის მიმართ	მიმოქცევის ხარჯების პროცენტი	საეკონომიკური ფასდათმობა (პროცენტებით)
ა.ა.	200	5	1000	10	20	2	5	7
ა.ბ.	200	10	2000	10	20	1	8	9

როგორც ცხრილიდან ჩანს, „ა“ საქონლის საქონელბრუნვის სიჩქარე ორჯერ უფრო ნაკლებია „ბ“ საქონელთან შედარებით. ამ პირობებში, იმისათვის, რომ უზარუნველყოფილი იქნეს თანაბარი რენტაბელურობა ფონდების მიმართ (ამ მაგალითში აღებულია 10% საშუალო სასაქონლო მარაგის ღირებულებიდან), საჭიროა ამ საქონლის რენტაბელობა საქონელბრუნვის მიმართ ორჯერ მეტი იყოს, ვიდრე „ბ“ საქონლისა (2 და 1 %). თუ ცალკეული საქონლის აღრიცხვის საფუძველზე გამოირკვა, რომ „ა“ საქონლის მიმოქცევის ხარჯთა ღირებულება, ვთქვათ, 5%-ს შეადგენს, ხოლო „ბ“ საქონლისა—8%-ს, მაშინ საეკონომიკური ფასდათმობის ოდენობა „ა“ საქონლისათვის განისაზღვრება როგორც 7% (5+2) და „ბ“ საქონლისათვის—9% (8+1). ამ წესით დადგენილი საეკონომიკური ფასდათმობა ითვლისწინებს არა მარტო საქონელბრუნვის სხვადასხვა ხარჯთგვედობას საქონლის ჯგუფთა მიხედვით, არამედ საქონლის მარაგის სხვადასხვა ფონდტევადობასაც. მაგრამ ამისათვის საჭიროა საქონლის მარაგის მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივები საქონლის ჯგუფთა მიხედვით.

საქონლის მიხედვით საეკონომიკური ფასდათმობათა სწორი დადგენა სამეურნეო ანგარიშის უმნიშვნელოვანესი პირობაა ვაჭრობაში, ხოლო ბრძოლა რენტაბელობის ამოღებისათვის შეუძლებელია, თუ სამეურნეო ანგარიშში თანმიმდევრულად არ დაინერგა საეკონომიკური მუშაობის ყველა რგოლსა და ქვეგანყოფილებაში. ავლენს რა დაგროვების ოდენობას საეკონომიკური საწარმოებში და მათი მუშაობის რენტაბელობას, ქმნის რა დაგროვების გადიდებისადმი მუშაკის დაინტერესების სტიმულებს, სამეურნეო ანგარიშში მძლავრი იარაღი ხდება გეგმური ვაჭრობის უპირატესობის რეალიზაციის, ვაჭრობაში შრომისა და მატერიალურ საშუალებათა რაც შეიძლება მომპოვებით, ეკონომიკურად ხარჯვისათვის ბრძოლაში, რათა მინიმალური დანახარჯებით მიღწეულ იქნეს მაქსიმალური შედეგები.

**10. ვაჭრობაში შექმნილი ეროვნული შემოსავლის გაანგარიშება**

ვაჭრობის მუშაკთა შრომა უმნიშვნელოვანწილად მიმართულია საწარმოო პროცესთა გაგრძელებისაგან მიმოქცევის სფეროში. ეს შრომა წარმოადგენს ერთობ-

ლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ახალი ღირებულების, მაშასადამე, ეროვნული შემოსავლის შექმნის წყაროსაც. ამიტომ გაიანგარიშება საბჭოთა ვაჭრობაში შექმნილი ეროვნული შემოსავალი.

როგორც ცნობილია, მატერიალური წარმოების ამა თუ იმ დარგში შექმნილი ეროვნული შემოსავლის სიდიდე განისაზღვრება შექმნილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებით მოხმარებულ საწარმოო საშუალებათა ღირებულების გამოკლებით და ანორციელებს ახლად შექმნილ ღირებულებას. ამიტომ მოცემული დარგის ეროვნული შემოსავლის დასადგენად უნდა ვიცოდეთ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის საერთო ღირებულება და მოხმარებულ საწარმოო საშუალებათა ფულადი გამოსახულება.

ვაჭრობაში შექმნილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტი არის სასაქონლო მიმოქცევის სფეროში გაყიდული საქონლის ღირებულების ნაშთი. ამ ნაშთის განსაზღვრისათვის ამოსავალ მასალას წარმოადგენს საანგარიშო წელს ვაჭრობის მიერ რეალიზებული სავაჭრო დარიცხვების თანხები.

ზემოთ მოტანილ ცხრილში ეს თანხა საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში 1965 წელს შეადგენდა 8539 მლნ მანეთს.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ მთელი რეალიზებული დარიცხვა არ ქმნის ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებას ვაჭრობაში. მიმოქცევის ხარჯთა შემადგენლობაში არსებობს სახალხო მეურნეობის სხვა დარგთა მომსახურების ხარჯები, მათ შორის მატერიალური წარმოების დარგთა ხარჯები; ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება ტრანსპორტი (საქონლის გადაზიდვა) და კავშირგაბმულობა. ვაჭრობისათვის განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ტრანსპორტს, რომლის ხარჯები, როგორც დავინახეთ, შეადგენს საცალო ვაჭრობის ხარჯების 18%-ს და საზოგადოებრივი კვების ხარჯების 6,8%-ს. სავაჭრო ორგანიზაციათა ხარჯები მატერიალური წარმოების სხვა დარგთა მომსახურების ასანაზღაურებლად წარმოადგენენ ამ დარგთა შემოსავალს და ცხადყოფენ მათ მონაწილეობას ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის შექმნაში. ამიტომ ისინი არ შეიძლება გავითვალისწინოთ ვაჭრობაში წარმოებული ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის გამოანგარიშებისას. ამრიგად, ვაჭრობაში შექმნილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულება უდრის რეალიზებული სავაჭრო დარიცხვების თანხას ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მომსახურების ღირებულების გამოკლებით. ეს არის ვაჭრობის საერთო პროდუქციია.

სიმართლე რომ ითქვას, ამ წესით განსაზღვრული ღირებულება არ წარმოადგენს მთლიანად ვაჭრობაში შექმნილ ღირებულებას. როგორც ამ თავის დასაწყისში იყო აღნიშნული, საბჭოთა ვაჭრობის მიმოქცევის ხარჯთა შემადგენლობაში არსებობს ორი სახის ხარჯი: ხარჯები, რომლებიც განპირობებულია საწარმოო პროცესის გაგრძელებით მიმოქცევის სფეროში და ხარჯები, რომლებიც განპირობებულია პროდუქციის სასაქონლო ფორმით. ამ უკანასკნელს ასანაზღაურებულ წყაროდ აქვს შრომა, დახარჯული მატერიალური წარმოების სფეროში. ამიტომ რეალიზებული დარიცხვის ის ნაწილი, რომელიც ანაზღაურებს მიმოქცევის ხარჯთა

მეორე სახეს, გვიხსნათებს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებას, რომელიც შექმნილია მატერიალური წარმოების სფეროში და მხოლოდ აღრიცხულია ვაჭრობაში. მაგრამ პრაქტიკულად ასეთი გამოყენა არ ხდება, რაც რამდენადმე აღიღებს ვაჭრობის როლს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის შექმნაში.

მატერიალურ მოხმარებაზე გაწეული ხარჯები ვაჭრობაში (რომლებიც ნაციონალური შემოსავლის მისაღებად უნდა გამოვრიცხოთ ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებიდან) წესდება მიმოქცევის ხარჯთა სტატისტიკის საფუძველზე. ამ ხარჯთა შემადგენლობაში, რომლებიც გვიხსნათებენ მატერიალურ მოხმარებას ვაჭრობაში, შედის ძირითად საშუალებათა (შენიშვნის, სავაჭრო მოწყობილობის, საკუთარი სატრანსპორტო საშუალებების და ა. შ.) ამორტიზაცია, სავაჭრო ინვენტარის ყიდვა, სათბობის ანაზღაურება, განათებისა და შესაფუთი მასალების, საკანცელარიო ნივთების მიმდინარე რემონტზე მოხმარებული სამშენებლო მასალებისა და სხვათა ანაზღაურება. ამ ხარჯთა დიდი ნაწილი მიმოქცევის ხარჯების მოქმედი ნომენკლატურით შედის კომპლექსურ მუხლებში. მაგალითად, მუხლში „ხარჯები მიმდინარე რემონტზე“ სამშენებლო მასალების ღირებულებასთან ერთად შედის მიმდინარე რემონტით დასაქმებულ მუშაკთა შრომის ანაზღაურებაც; მუხლში „ხარჯები სადგომებისა და ინვენტარის იჯარასა და შენახვაზე“ მატერიალურ დანახარჯებთან ერთად შედის კომუნალური მომსახურების ანაზღაურებაც და ა. შ. იმისათვის, რომ ამ მუხლებიდან გამოიყოს ხარჯები მატერიალურ მოხმარებაზე, აწარმოებენ შერჩევით გამოკვლევებზე დამყარებულ სპეციალურ გაანგარიშებებს. ამ წესით ანგარიშობენ მატერიალურ დანახარჯებს ვაჭრობაში, შემდეგ გამოვრიცხავენ მათ ვაჭრობაში შექმნილი ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებიდან დაღებულ ობიექტებში ვაჭრობაში შექმნილ ნაციონალურ შემოსავალს.

მაგრამ ნაციონალური შემოსავლის განსაზღვრისათვის არ არის საჭირო ყველა მატერიალური დანახარჯის გამოკლება. მიმოქცევის ხარჯები, რომლებიც განპირობებულია პროდუქციის ასაქონლო ფორმით, მოიცავენ მატერიალურ დანახარჯებსაც; მაგრამ რადგან მიმოქცევის ამ ხარჯების ანაზღაურების წყარო მატერიალური წარმოების სფეროში შექმნილი წმინდა შემოსავალია, ამიტომ, ცხადია, ისინი მთლიანად უნდა მიეკუთვნონ ნაციონალურ შემოსავალს, რომელიც შექმნილია იქ, მაგრამ აღრიცხულია ვაჭრობაში.

ამრიგად, ნაციონალური შემოსავლის გაანგარიშების სქემა ვაჭრობაში შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი სახით:

1. რეალიზებული სავაჭრო ღირებულება;
2. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მომსახურების ანაზღაურება;
3. ვაჭრობის საერთო პროდუქტია (1—2);
4. მატერიალური დანახარჯები იმ ხარჯებში, რომლებიც განპირობებულია საწარმოო პროცესის გაგრძელებით მიმოქცევის სფეროში;
5. ნაციონალური შემოსავალი (3—4).

პრაქტიკულად, მიმოქცევის ხარჯთა ორ სახეობად ვაყოფის სირთულის გამო, ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებიდან აკლებენ ყველა მატერიალურ დანახარჯს ვაჭრობაში, მიუხედავად იმისა, თუ მიმოქცევის რომელ ხაზ-ჯგუფს მიეკუთვნებიან ისინი. სწორედ ამით რამდენადმე მცირდება ნაციონალური შემოსავლის თანხა; სახელდობრ, მატერიალური დანახარჯების იმ თანხით, ზაც შედის პროდუქციის სასაქონლო ფორმით განპირობებულ ხარჯებში.

ნაციონალური შემოსავალი საბჭოთა ვაჭრობაში გაიანგარიშება ცალკეული დარგების—დამზადებების, საბითუმო ვაჭრობის, საცალო ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების—მიხედვით. კრებსითი ჯამები ჯგუფდება საკუთრების ფორმების (სახელმწიფო ვაჭრობა და კოოპერაციული ვაჭრობა) მიხედვით.

**შრომისა და ხელფასის სტატისტიკა ვაჭრობაში**

**1. შრომის სტატისტიკის ამოცანები ვაჭრობაში**

77. საბჭოთა ვაჭრობის მუშაკთა შრომა მიმართულია ვაჭრობის მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებისა და მოსახლეობის მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილების მიზნით.

გეგმიანი სოციალისტური მეურნეობის უპირატესობას წარმოადგენს სასაქონლო მიმოქცევის სფეროში დასაქმებული შრომის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანი შემცირება და წარმოების სფეროში დასაქმებული შრომის წილის შესაბამისი გადიდება.

კაპიტალისტურ ვაჭრობაში ადგილი აქვს შრომის არანაყოფიერ დანახარჯებს, დაც განპირობებულია მიმოქცევის ანარქიით, კონკურენციით, სპეკულაციითა და არნახულად გაბერილი რეკლამით. ამის გამო კაპიტალისტური ქვეყნების ვაჭრობაში დასაქმებულია ამ ქვეყნების მოსახლეობის 5—7%.

საბჭოთა ვაჭრობა თავისუფალია შრომის არანაყოფიერი დანახარჯებისაგან, რაც დამახასიათებელია კაპიტალიზმისათვის. ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში, დამზადებაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებასა და გასაღებაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვი 1965 წელს შეადგენდა 6009 ათას კაცს, ანუ სსრ კავშირის მოსახლეობის საერთო ოდენობის 2,6%-ს.

საბჭოთა ვაჭრობაში შრომის სტატისტიკის ამოცანებია: იმ მასალათა სისტემატური მიწოდება, რომლებიც დაგვიხასიათებს ვაჭრობის მუშაკთა რიცხვისა და ხელფასის ფონდის ხარჯვას (მის საფუძველზე ხდება შრომის გეგმის შესრულების შემოწმება); ვაჭრობის მუშაკთა თვისებრივი შემადგენლობის დადგენა რიგი ნიშნების მიხედვით; ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებელთა განგარიშება.

შრომის სტატისტიკის მაჩვენებლებში ასახულია საბჭოთა კავშირის მშრომელთა ისტორიული მონაპოვრები, რომლებიც მიმართულია შრომის პირობების ყოველმხრივი შემსუბუქებისაკენ, სამუშაო დღის ხანგრძლიობის შემოკლებისაკენ, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ. 1960 წელს საბჭოთა ვაჭრობაში დამთავრდა ვაჭრობის ყველა მუშაკის გადაყვანა 7-საათიან სამუშაო დღეზე ხელფასის წინანდელი დონის შენარჩუნებით. 1964 წელს მოემატათ ხელფასი განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობისა და საზო-

გაღობრივი კვების მუშაკებს, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ ემსახურებიან მოსახლეობას.

შემოღებულ იქნა შრომის ანაზღაურების ახალი პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა ხელფასის გადიდებას საშუალოდ 18 პროცენტით. გარდა ამისა, პირადი და კოლექტიური მატერიალური დაინტერესების გაძლიერების მიზნით, შემოღებულია პრემიების გაცემა საქონელბრუნვის ყოველთვიური გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველი პროცენტისათვის. 1965 წლიდან შემოღებულია დამატებითი დაჯილდოება საცალო ვაჭრობის საწარმოთა გამყიდველების, მოლარეების, მოლარე-კონტროლიორების, კონტროლიორების, ხელმძღვანელი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტ-მოსამსახურეთათვის ხელფასის 10 პროცენტის ოდენობით ყოველთვიური გეგმების შესრულებისათვის.

შრომის სტატისტიკის ცნობების ძირითად წყაროს წარმოადგენს სავაჭრო ორგანიზაციათა ანგარიშები, აგრეთვე სპეციალური სავაჭრო აღწერებისა და გამოკვლევების მასალები.

**2. შრომის სტატისტიკის მაჩვენებლები და მათი ანალიზი**

საბჭოთა ვაჭრობის ყველა საწარმო შრომის შესახებ აღგენს კვარტალურ და წლიურ ანგარიშებს, რომლებიც შეიცავენ მუშაკთა სიობრივი რიცხვისა და ხელფასის ფონდის მაჩვენებლებს. ეს მაჩვენებლები ანგარიშებში მოცემულია მეურნეობის სახეთა მიხედვით: 1) საცალო ვაჭრობა და სასაწყობო ქსელი, მათ შორის საცალო სავაჭრო საწარმოთა გამოყოფით; 2) საზოგადოებრივი კვების საწარმოები, სასაწყობო ქსელის ჩათვლით, მათ შორის სამზარეულოს მუშაკთა გამოყოფით; (3) სქონლის ბინაზე მიტანა, გარდა წინასწარ შეეკეთილი მაგიდებისა; 4) სამრეწველო საწარმოები; 5) ტრანსპორტი; 6) სოფლის მეურნეობა; 7) საბითუმო საწყობები და ბაზები; 8) სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციები—ტრესტები, კანტორები, განყოფილებები, ვაჭრობის სამმართველოები; 9) მეურნეობის დანარჩენი სახეები.

შრომის მაჩვენებელთა დაგეგმვა და ანალიზი ხორციელდება ყოველი მეურნეობის ფარგლებში, სავაჭრო და საწარმოო მუშაობის მაჩვენებლებთან კავშირში. ანგარიში შეიცავს შრომის ორ მაჩვენებელს: სიობრივი შემადგენლობის მუშაკთა რიცხვსა და ხელფასის ფონდს.

მუშაკთა სიობრივ შემადგენლობას, პირველ ყოვლისა, მიეკუთვნებიან ის მუშაკები, რომელთათვისაც შემოღებულია შრომის წიგნაკები, ე. ი. საწარმოს მუდმივი და აგრეთვე დროებითი მუშაკები, რომლებიც დაქირავებულნი არიან 5 დღეზე მეტი ვადით. გარდა ამისა, სიობრივ შემადგენლობას მიეკუთვნებიან დროებითი მუშაკები, რომლებიც დაქირავებული არიან 1-დან 5 დღემდე ვადით, თუკი ისინი ასრულებენ სამუშაოს, რომელიც ეხება საწარმოს ძირითად საქმიანობას. სიობრივ შემადგენლობას არ მიეკუთვნებიან მოსწავლეები,

რომლებიც საწარმოში გადაინ საწარმოო პრაქტიკას, და მუშაკები, რომლებიც დაქირავებული არიან შემთხვევითი სამუშაოებისათვის 5 დღეზე ხაკლები ვალით (თოვლის აღება, ბოსტნეულის გადაჩევა და სხვა). საანგარიშო პერიოდის სიობრივ შემდგენლობაში შეიტანება ყველა მუშაკი, როგორც ფაქტიურად მომუშავენი, ისე ის მუშაკები, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით (ავადმყოფობა, შვებულება და სხვა) არ მუშაობდნენ, მაგრამ არ დაურღვევიათ სახელშეკრულება კავშირი საწარმოსთან.

მუშაკთა სიობრივი რიცხვისაგან უნდა განვასხვაოთ ფაქტიურად მომუშავეთა რიცხვი, რომელიც დადგინდება სიაში მყოფი ყველა მუშაკის სამუშაოზე გამოცხადების ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე. სავაჭრო ორგანიზაციათა ანგარიშგებაში ამ აღრიცხვის მონაცემები არ აისახება.

მუშაკთა სიობრივი შემდგენლობის რიცხოვნება ანგარიშში შეიტანება საშუალოდ საანგარიშო კვარტალის ან წლისათვის. წლიურ ანგარიშში, გარდა ამისა, შეიტანება მუშაკთა სიობრივი რიცხოვნება მომდევნო წლის 1 იანვრისათვის, მათ შორის ქალების გამოყოფით. მუშაკთა შემდგენლობის საშუალო თვიური სიობრივი რიცხოვნება, ჩვეულებრივ, გამოიანგარიშება როგორც მარტივი საშუალო არითმეტიკული თვის დასაწყისსა და ბოლოსათვის მოცემულ მუშაკთა რიცხოვნებიდან. საშუალო კვარტალური ან წლიური რიცხოვნება განისაზღვრება როგორც საშუალო არითმეტიკული კვარტალის ან წლის ყველა თვის საშუალო თვიური მაჩვენებლებიდან.

მუშაკთა სიობრივი შემდგენლობის საშუალო რიცხოვნების სწორი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამუშაოზე მათი გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის ყოველდღიური აღრიცხვის საფუძველზე.

რომელიმე დღეს სამუშაოზე გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის რაოდენობა (გამოუცხადებლობის მიზეზის მიუხედავად) წარმოადგენს მუშაკთა სიობრივი შემდგენლობის რიცხოვნებას ამ დღისათვის. თუ შეეჯამებთ ყველა გამოცხადებასა და გამოუცხადებლობას თვის ყველა დღისათვის (გამოსასვლელი დღეების ჩათვლით) და მიღებულ ჯამს გაყოფთ თვის კალენდარულ დღეთა რიცხვზე, მივიღებთ მუშაკთა საშუალო თვიურ სიობრივ რიცხვს.

დავუშვათ, რომ თვის 30 კალენდარულ დღეში გამოცხადებათა რიცხვი შეადგენდა 1150 კაცდღეს, ხოლო გამოუცხადებლობათა რიცხვი—200 კაცდღეს. მუშაკთა საშუალო თვიური სიობრივი რიცხოვნება ტოლი იქნება:

$$\frac{\text{გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის ჯამი}}{\text{კალენდარულ დღეთა რიცხვი}} = \frac{1150 + 200}{30} = 45 \text{ კაცს.}$$

[ შრომის ანგარიში შეიცავს ხელფასის ფონდის ხარჯვის მაჩვენებლებსაც.

საბუთო სტატისტიკაში დაწესებულია ხელფასის ფონდის ერთნაირი განსაზღვრა სახალხო მეურნეობის ყველა დარგისათვის. ხელფასის ფონდში მთლიანად შეიტანება მუშაკებზე დარიცხული ფულადი თანხები საანგარიშო პერიოდში

შესრულებული სამუშაოებისათვის, ხელფასის ფორმების, დაფინანსების წყაროების, საგადასახადო საბუთების, აგრეთვე მუშაკებზე უფასოდ გაცემული ბინებისა და კომუნალური მომსახურების ანაზღაურებისაგან დამოუკიდებლად.

ხელფასის ფონდში შედის შრომის ანაზღაურების ფორმებით გათვალისწინებული პრემიები, პრემია-წინამატები და პროგრესული დანამატები; კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული შვებულების ანაზღაურება, გამოუყენებელი შვებულებების კომპენსაციები, სამუშაოდან განთავისუფლების დროს კომპენსაციები, მუშაკისაგან დამოუკიდებელი მიზეზით მოცდენის ანაზღაურება, მოზარდებისა და მაწოვარი დედების საშელავათო საათების ანაზღაურება და ა. შ.

ანგარიშში შეიტანება მუშაკებზე დარიცხული ხელფასის სრული თანხები, დაქვითვების ჩათვლით (გადასახადები, დაქვითვა აღმასრულებელი ფურცლით და სხვა). არ შეიტანება გადარიცხვები სოციალური დაზღვევის ფონდში და დროებით შრომისუნარდაკარგვის დროს გაცემული თანხები, პენსიები და სტიპენდიები, გაცემული სპეცტანსაცმლის ღირებულება, აგრეთვე მუშაკთა მიერ დახარჯული თავისი ინსტრუმენტების, მასალებისა და სატრანსპორტო საშუალებების ანაზღაურება. ხელფასის ფონდში არ შეიტანება აგრეთვე სხვადასხვა ერთდროული ფულადი პრემიები, რომლებიც გათვალისწინებული არ არის პრემიების მოქმედი სისტემით.

ხელფასის ფონდში შედის როგორც სიობრივი შემადგენლობის მუშაკთა სამუშაოების შრომის ანაზღაურება, ისე იმ სამუშაოთა ანაზღაურება, რომლებიც შესრულებულია სიობრივ შემადგენლობაში შეუსვლელ მუშაკთა მიერ. არასიობრივი შემადგენლობის ხელფასის ფონდი ნაჩვენებია ანგარიშის ბოლოს ცალკე სტრიქონში მეურნეობის დარგთა მიხედვით დაუნაწილებლად.

შრომის ანგარიშის მასალების ანალიზი, პირველ ყოვლისა, მიმართულია მუშაკთა სიობრივი შემადგენლობის რიცხოვნებისა და ხელფასის ფონდის გეგმის შესრულების შესამოწმებლად. მუშაკთა რიცხოვნებისა და ხელფასის ფონდის გეგმა აწესებს საზოგადოებრივად აუცილებელ შრომით დანახარჯთა განსაზღვრულ ლიმიტს საქონელბრუნვის გეგმის—სავაჭრო ორგანიზაციების საქმიანობის ამ ძირითადი მაჩვენებლის შესასრულებლად.

შრომის ანგარიშება ვაჭრობაში შედგება ორი ნაწილისაგან: ერთია საცალო ვაჭრობა და საზოგადოებრივი კვება, მეორე კი საქმიანობის სხვა დარგები. ასეთი დაყოფა განპირობებულია შრომის დაგეგმვის სხვადასხვა სისტემით.

საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივი კვებაში მოცემული არ არის მუშაკთა რიცხოვნების საგეგმო მაჩვენებელი, ხოლო ხელფასის ფონდი იგეგმება პროცენტულად საქონელბრუნვის მიმართ. საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ანგარიში შეიცავს შემდეგ მაჩვენებლებს: მუშაკთა ფაქტიურ საშუალო სიობრივ რიცხოვნებას, ხელფასის ფონდს პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ (გეგმით და ფაქტიურად), მუშაკებზე ფაქტიურად დარიცხულ ხელფასსა და საცალო საქონელბრუნვას (გეგმით და ფაქტიურად), შრომითი გეგმის შესრულების შემოწმება ხორციელდება საქონელბრუნვის მიმართ ხელფასის ფაქტიური პროცენტის



შედარებით გეგმასთან. თუ ფაქტიური პროცენტი საგეგმოზე დაბალია—სავაჭრო ორგანიზაციას მიუღწევია ხელფასის ეკონომიური ხარჯვისათვის. საგეგმო პროცენტის გადაჭარბება მეტყველებს ხელფასის ფონდის გადახარჯვაზე.

მეურნეობის სხვა დარგთა მიხედვით ანგარიშში მოცემულია მუშაკთა სიობრივი რიცხოვნებისა (გეგმით და ფაქტიურად) და დარიცხული ხელფასის (გეგმით და ფაქტიურად) მაჩვენებლები. გეგმის შესრულების შემოწმება ხორციელდება მუშაკთა რიცხოვნებისა და ხელფასის ფონდის აბსოლუტური ციფრების შედარებით.

იმასთან დაკავშირებით, რომ საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების ანგარიშში არ არის მოცემული ხელფასის თანხის საგეგმო მაჩვენებელი, რამდენადმე რთულდება მასალის თავმოყრა. საქონელბრუნვის მიმართ ხელფასის ფაქტიური და საგეგმო პროცენტების გაანგარიშება კრებისით ცხრილებში ჩვენ თვითონ გვიხდება. ვუჩვენოთ ეს მაგალითზე:

კვარტალური ანგარიშების კრებში შრომითი გეგმის შესრულების შესახებ საცალო ვაჭრობაში

(სასაწვობო ქსელის ჩათვლით)

სავაჭრო ორგანიზაციები	მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვნა კვარტალში (კაცი)	ხელფასის ფონდი პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ		ფაქტიური დარიცხული ხელფასი მუშაკებზე კვარტალში (თხის მან.)	საცალო საქონელბრუნვა (ათას მხნეთობით)	
		გეგმით	ფაქტიურად		გეგმით	ფაქტიურად
№ 1	1200	2,34	2,32	240	10000	10355
№ 2	1800	2,56	2,50	378	15000	15120
№ 3	1400	1,92	1,84	268	14000	13665
ს უ ლ	4400	2,27	2,26	684	39000	39140

ცხრილში მოტანილია ექვსი მაჩვენებელი, რომლებსაც საცალო ვაჭრობის შრომის ანგარიშში შეიცავს. ოთხი მათგანი გამოხატულია აბსოლუტური ციფრებით: მუშაკთა რიცხვი (სვეტი 1), ხელფასი (სვეტი 4), საცალო საქონელბრუნვა გეგმით და ფაქტიურად (სვეტი 5 და 6). ამ მაჩვენებელთა მიხედვით შენაჯამები სტრიქონი, რომელიც სამივე ორ ანიზაციის ნაკრებს იძლევა, თითოეული ორგანიზაციის მდინაცემთა შეჯამებით მიიღება. დანარჩენი ორი მაჩვენებელი შეფარდებითი სიდიდეებია. ესენია ხელფასის ფონდი პროცენტობით საქონელბრუნვის მიმართ გეგმით და ფაქტიურად (სვეტები 2 და 3). ხელფასის ფაქტიური პროცენტი საქონელბრუნვის მიმართ უდრის მე-4 სვეტის შეფარდებას მე-6 სვეტისადმი, გამრავლებულს 100-ზე. ასევე გაიანგარიშება იგი ჩვენი ცხრილის შენაჯამებ სტრიქონში:

$$2,26\% = \frac{884.100}{39140}$$

საქონლებრუნვის მიმართ ხელფასის საგეგმო პროცენტის (სვეტი 2) შენა-  
ჯამებ სტრიქონში გაანგარიშება გვიხდება როგორც ცალკეული სავაჭრო ორგანი-  
ზაციების მონაცემთა საშუალო არითმეტიკული მაჩვენებლისა, ამასთან სიხშირის  
სახით უნდა გამოვიყენოთ საცალო საქონლებრუნვის გეგმა, ე. ი. მე-5 სვეტის  
მონაცემები:

$$\frac{2,34 \times 10000 + 2,56 \times 15000 + 1,92 \times 14000}{10000 + 15000 + 14000} = \frac{23400 + 38400 + 26900}{39000} =$$

$$= \frac{88700}{39000} = 2,27\%$$

საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში შრომის გეგმის შესრულე-  
ბის ანალიზი წარმოებს საქონლებრუნვის გეგმის შესრულების ანალიზთან კავშირში.  
საქონლებრუნვის გეგმის წარმატებით შესრულებასა და გადაჭარბებას, რაც, ჩვეუ-  
ლებრივ, თან სდევს ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ზრდას, გარდუ-  
ვალად მოსდევს საქონლებრუნვის მიმართ ხელფასის ფონდის პროცენტის შემცო-  
რება, რაც ჩანს ზემომოტანილი ცხრილიდან.

მეურნეობის სხვა სახეობათა მიხედვით ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება  
ფაქტიურ მონაცემებს მუშაკთა აბსოლუტური რაოდენობისა და ხელფასის აბსო-  
ლუტური თანხის შესახებ, რომელთა შედარებაც ხდება საგეგმო მაჩვენებლებთან.  
ხელფასის ფონდის ხარჯვის გეგმა ითვლება შესრულებულად მაშინ, როდესაც  
ლიმიტი არ არის გადაჭარბებული აბსოლუტური თანხით.

მუშაკთა რიცხოვნებისა და ხელფასის ფონდის ხარჯვის შესახებ ანგარიშის  
საფუძველზე შეისწავლება შრომის მაჩვენებლების დინამიკა საქონლებრუნვის დინა-  
მიკასთან კავშირში საქონლებრუნვის ზრდას ახლავს ვაჭრობის მუშაკთა რიცხვის  
მატება. ასე მაგალითად, 1940 წელთან შედარებით საცალო საქონლებრუნვა  
(უცვლელ ფასებში) გადიდა 2,74-ჯერ 1958 წელს და 4,35-ჯერ 1965 წელს.  
რაც ძველზე საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა საშუალო  
წლიურ რიცხოვნებას, იგი 1940 წლის 2202 ათასი კაციდან გაიზარდა 2847 კა-  
ცამდე 1958 წელს (1,3-ჯერ) და 4440 ათას კაცამდე 1964 წელს (2-ჯერ). ერთ-  
დროულად მატულობდა ხელფასის ფონდები და საშუალო ხელფასი ერთ მუ-  
შაკზე.

ვაჭრობის მუშაკთა საშუალო ხელფასის ზრდის ერთ-ერთ ფაქტორს წარ-  
მოადგენს მათი შრომის ნაყოფიერების ამაღლება. იგივე ფაქტორი მიგვიყვანს  
საქონლებრუნვის მიმართ ხელფასის პროცენტის შემცირებამდე, თუკი ბრუნვის  
ზრდა ერთ მუშაკზე გატარდება საშუალო ხელფასის ზრდას.

შრომის მაჩვენებელთა დინამიკის პრინციპები განვიხილოთ შემდეგ მაგა-  
ლითზე:

აბსოლუტური მაჩვენებლები	საბაზისო კვარტალი	საანგარიშო კვარტალი	ინდექსები
საქონელბრუნვა (ათას მან.)	450	540	1,20
მუშაკთა საშუალო რიცხოვნება (კაცი)	50	55	1,10
ხელფასის ფონდი	12000	13660	1,14

ცხრილიდან ჩანს, რომ ხელფასის ფონდი იზრდება (14%-ით), მაგრამ უფრო ნელა, ვიდრე საქონელბრუნვა (20%-ით) და სწრაფად, ვიდრე მუშაკთა რიცხვი (10%-ით). ამ მაჩვენებელთა დინამიკის ასეთი თანაფარდობა ნორმალურია და გვიჩვენებს, რომ საქონელბრუნვის ზრდას თან სდევს ერთ მუშაკზე ბრუნვის ზრდა, საშუალო ხელფასის მატება და ხელფასის შემცირება პროცენტობით ბრუნვის მიპართ. გავიანგარიშოთ ეს მაჩვენებლები:

მაჩვენებლები	საბაზისო კვარტალი	საანგარიშო კვარტალი	ინდექსები
ბრუნვა ერთ მუშაკზე (მან.)	9000	9818	1,091
საშუალო კვარტალური ხელფასი (მან.)	240	249,5	1,036
ხელფასის პროცენტი ბრუნვის მი- მართ	2,66	2,53	0,95

საქონელბრუნვის ზრდამ გადააპარბა მუშაკთა მატებას, ამიტომ ბრუნვა ერთ მუშაკზე გაიზარდა 9,1%-ით.

ბრუნვა ერთ მუშაკზე უდრის საქონელბრუნვას, გაყოფილს მუშაკთა საშუალო რიცხვზე. ასეთივეა ინდექსების თანაფარდობაც: ერთ მუშაკზე ბრუნვის ინდექსი უდრის საქონელბრუნვის ინდექსს, გაყოფილს მუშაკთა საშუალო რიცხვის ინდექსზე:

$$1,20 : 1,10 = 1,091 \quad (1)$$

საქონელბრუნვის აბსოლუტური მატება საანგარიშო კვარტალში საბაზისოს-თან შედარებით შეადგენდა 90 ათას მანეთს (540—450). ეს მატება განპირობებულია ერთ მუშაკზე ბრუნვის ზრდით და მუშაკთა რიცხოვნების გადიდებით (50-დან 55-მდე). ბრუნვა ერთ მუშაკზე საბაზისო კვარტალის დონეზე რომ დარჩენილიყო (9000), მაშინ საქონელბრუნვის მოცულობა საანგარიშო კვარტალში იქნებოდა 495 ათასი მანეთი (55×9). მაშასადამე, 90 ათასი მანეთის საქონელბრუნვის საერთო მატებიდან 45 ათასი (495—450) მოდის მუშაკთა რიცხოვნების გადიდების ფაქტორზე და 45 ათასი მანეთი (540—495)—ერთ მუშაკზე ბრუნვის ზრდაზე.

ერთდროულად გაიზარდა საშუალო ხელფასი 240-დან 248,5 მანეთამდე, ე. ი. 3,6%-ით.

საშუალო ხელუფასის ინდექსი უდრის ხელუფასის ფონდის ინდექსს, გაყოფილს მუშაკთა საშუალო რიცხვის ინდექსზე:

$$1,14 : 1,10 = 1,036 \quad (2)$$

რამდენადაც საქონელბრუნვის ზრდა წინ უსწრებდა ხელუფასის ფონდის გადიდებას, ხელუფასის ფონდის პროცენტულ საქონელბრუნვის მიმართ შემცირდა 2,66-დან 2,53-მდე. ე. ი. 0,13%-ით ბრუნვისადმი ანუ 5%-ით პირვანდელი დონის მიმართ; საქონელბრუნვის მიმართ ხელუფასის დონის ინდექსი უდრის ხელუფასის ფონდის ინდექსს, გაყოფილს საქონელბრუნვის ინდექსზე:

$$1,14 : 1,20 = 0,95 \quad (3)$$

ბრუნვის მიმართ ხელუფასის დონის შემცირება აქ განპირობებულია ბრუნვის ზრდით ვაკუუმის ერთ მუშაკზე. შეიძლება გამოვიანგარიშოთ მიღებული ეკონომიის აბსოლუტურა თანხაც. ხელუფასის ფონდის პროცენტი ბრუნვის მიმართ საანგარიშო კვარტალში რომ ისეთივე აარჩენილიყო, როგორც საბაზისოში (2,66), მაშინ ხელუფასის ფონდი ტოლი იქნებოდა 540000-დან 2,66%-ისა, ე. ი. 14364 მანეთისა. ფაქტიური ფონდი უდრიდა 13680 მანეთს, მაშასადამე, ეკონომია უდრის 684 მანეთს.

ხელუფასის ფონდის აბსოლუტური მატება საანგარიშო კვარტალში საბაზისოსთან შედარებით შეადგენდა 1680 მანეთს (13680—12000). ეს მატება განპირობებულია მუშაკთა რიცხვის და საშუალო ხელუფასის ზრდით. საბაზისო კვარტალის საშუალო ხელუფასის შენარჩუნების დროს (240 მან) ხელუფასის ფონდი საანგარიშო კვარტალში იქნებოდა 13200 მანეთი (55×240). მაშასადამე, ხელუფასის ფონდი გაიზარდა 1200 მანეთით (13200—12000) მუშაკთა რიცხვის გადიდების ხარჯზე და 480 მანეთით—საშუალო ხელუფასის ზრდის საფუძველზე.

შეიძლება შევადაროთ შემდეგი კრებსითი ცხრილი, რომელიც დაგვიხასიათებს ხელუფასის ფონდის დინამიკის ფაქტორებს (მანეთობით):

1. საანგარიშო კვარტალის ხელუფასის ფონდი	
საქონელბრუნვის მიმართ საბაზისო პროცენტის პირობებში	14364
2 ბრუნვის მიმართ ხელუფასის პროცენტის შემცირებით მიღებული ეკონომია	684
3. საანგარიშო პერიოდის ხელუფასის ფაქტიური ფონდი (1—2)	13680
4. მატება საბაზისო პერიოდის ფონდთან შედარებით	1680
მათ შორის:	
ა) მუშაკთა რიცხოვნების ზრდის ხარჯზე	1200
ბ) საშუალო ხელუფასის ზრდის ხარჯზე	480

საქონელბრუნვის მიმართ ხელუფასის დონის ინდექსი უდრის განაყოფს, რომელიც მიიღება საშუალო ხელუფასის ინდექსის გაყოფით ერთი მუშაკის ბრუნვის

ინდექსზე (რადგანაც ორივე მაჩვენებლის მნიშვნელში მოცემულია მუშაკთა საშუალო რიცხვი, რომელიც მათი გაყოფის დროს იკვეცება):

$$1,036 : 1,091 = 0,95 \quad (4)$$

აღნიშნული საინდექსო თანაფარდობანი (1), (2), (3), (4) ფართოდ გამოიყენება საგეგმო და სტატისტიკურ გაანგარიშებებში.

შრომითი გეგმის შესრულებისა და დინამიკის მაჩვენებლების შესწავლასთან ერთად ანგარიშები შესაძლებლობას გვაძლევს შევეისწავლოთ მუშაკთა რიცხოვნებისა და ხელფასის ფონდის განაწილება საქმიანობის სახეთა მიხედვით ცალკეულ სავაჭრო ორგანიზაციებში, სავაჭრო სისტემებსა და მთელ საბჭოთა ვაჭრობაში, აგრეთვე შევადაროთ საშუალო ხელფასის დონეები ცალკეულ დარგებში. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა აქვს მაჩვენებლებს, რომლებიც გვიჩვენებს ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის (მმართველობის აპარატის, კანტორების და სხვ.) ხვედრითი წონის შემცირებას ამა თუ იმ ორგანიზაციის მუშაკთა საერთო რიცხოვნებაში.

მეტრეობის დარგთა მიხედვით მუშაკთა განაწილებაში მომხდარი ძვრები შესაძლებლობას გვაძლევს დავინახოთ ცვლილებანი სავაჭრო ორგანიზაციათა საქმიანობაში.

### წ. 8. ვაჭრობის მუშაკთა შემადგენლობის შესწავლა

ვაჭრობის მუშაკთა შემადგენლობის შესწავლამ, პირველ ყოვლისა, უნდა გვარკვიოს მუშაკთა განაწილება პროფესიების მიხედვით. ეს დახასიათება აშუქებს მუშახელის მდგომარეობას საბჭოთა ვაჭრობაში, ძირითადი წამყვანი პროფესიების კადრებით უზრუნველყოფას.

სპეციალურ ანგარიშებებში, რომლის წარდგენაც ხდება პერიოდულად, მოცემულია საბითუმო საწყობებისა და ბაზების, აგრეთვე საცალო ქსელისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკთა რიცხოვნების დახასიათება პროფესიებისა და თანამდებობების მიხედვით. საბითუმო საწყობებისა და ბაზების მუშაკები იყოფიან შემდეგ კატეგორიებად: საწყობებისა და ბაზების დირექტორები და გამგეები, საწყობებისა და ბაზების დირექტორებისა და გამგეების მოადგილეები და თანაშემწეები, განყოფილებებისა და სექციებს გამგეები, განყოფილებებისა და სექციების გამგეების მოადგილეები და თანაშემწეები, საქონელმცოდნეები, მიმღებნი, მეკუჭნაეები, დამხარისხებლები და გადამრჩეველები, შემფუთავები და ჩანწყობები, საანგარიშო დარგისა და დაცვის მუშაკები, დანარჩენი მუშაკები.

მოკავშირე რესპუბლიკათა ვაჭრობის სამინისტროების საცალო ქსელის, მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და სურსათომომარაგების მუშაკთა შემადგენლობა თანამდებობების მიხედვით 1963 წლის 1 დეკემბრისათვის ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

	ათასი კაცი	პროცენტობით ჯამის მიმართ
სულ საეკპრო ქსელსა და საწყობებში	1572,2	100
საეკპრო ქსელის მუშაკები	1384,9	84,9
ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალი	200,2	12,7
ყველა გამყიდველი	724,0	46,1
უფროსი გამყიდველები	105,6	6,7
გამყიდველები	221,5	14,2
უმცროსი გამყიდველები	310,5	19,7
წერილი საცალო ქსელის გამყიდველები	86,0	5,5
მოლარეები, კონტროლიორები, თვითმომსახურე მაღაზიების მოლარე-კონტროლიორები	75,0	4,8
საწყობის გამგებები	4,2	0,3
დამფასებლები	4,9	0,3
ექსპედიტორები, გეორაის გამცალებლები	6,9	0,4
მექანიკოსები	7,5	0,5
დაცვის მუშაკები	52,9	2,1
სხვა მუშაკები (დამლაგებლები, მუშები და სხვა)	279,3	17,7
საწყობების, ბაზების, ბოსტანებისა და კარტოფილის საცავ- ების მუშაკები	237,3	15,1

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მუშაკები იყოფიან შემდეგ ჯგუფებად: ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალად, სამზარეულოსა და სასადილო დარბაზის მუშაკებად და ვაჭრობის მუშაკებად. ამ ჯგუფებში გამოიყოფა ცალკეული პროფესიები. ეს ჩანს შემდეგი ცხრილიდან:

მოკავშირე რესპუბლიკათა ვაჭრობის სამინისტროების საზოგადოებრივი კვების საწარმოების, მუშათა მომარაგების განყოფილებების და სურსათმომარაგების მუშაკთა რიცხვებზე თანამდებობების მიხედვით 1963 წლის

1 დეკემბრისათვის

	ათასი კაცი	პროცენტობით ჯამის მიმართ
	1	2
სულ	1658,7	100
ადმინისტრაციულ-მომსახურე პერსონალი	153,3	14,5
სამზარეულოს მუშაკები	491,2	40,4
წარმოების გამგებები და მზარეულები	313,0	29,6
ბოსტანების მუშაკები	17,4	1,6
მექანიკოსები	17,4	1,6
მცხოვლები, მღვწეულები	8,0	0,8
სამზარეულოს მუშაკები	93,2	8,8
სამზარეულოს დამლაგებლები, იატაკის მრეცხავები	13,6	1,3

	1	2
კერძ-ს დამრიგებლები	11,7	1,1
დამხარისხებ-ები	6,5	0,6
ცეცხლფარეშები	4,4	0,4
სამზარეულოს სხვა მუშაკები	6,0	0,6
დარბაზის მუშაკები	227,2	21,4
მიმტანები, ოფიცანტები	43,4	4,1
დარბაზის განმკარგულებლები, მეტრდოტელები	7,5	0,7
მოლარე-კონტროლიორები	15,7	1,5
მოლარეები	14,7	1,4
მესერეიზე-მელქიორები	1,0	0,1
პურის მკრელები	2,3	0,2
დარბაზის დამლაგებლები	57,8	5,4
ქერქლის მრეცხავები	72,7	6,9
...ები	5,3	0,5
დარბაზის სხვა მუშაკები	6,8	0,6
ვაკრობის მუშაკები	167,0	17,7
მზღუვეტეები	111,3	10,5
ბუფეტის გამყიდველები	14,1	1,3
ბუფეტის მუშები	8,5	0,8
წერილი საცალო ქსელის გამყიდველები	27,2	2,6
დანარჩენი მუშაკები	25,9	2,5

მოტანილი ნომენკლატურები მოიცავენ მოკავშირე რესპუბლიკათა ვაკრობის სამინისტროების საქალაქო ვაკრობის საწარმოთა ვაკრობის მუშაკებს. სამომხმარებლო კოოპერაციაში, რომელიც ემსახურება სასოფლო ქსელს, არ არსებობს ვაკრობის მუშაკთა პროფესიების ასეთი ნაირსახეობა და ეს ნომენკლატურები მნაშენელოვანდაა შეკვეცილი.

ვაკრობის მუშაკთა შემადგენლობის უფრო დეტალური დახასიათება პროფესიების მიხედვით მოცემული იყო სპეციალურ საჯარო აღწერებში (1932, 1935 და 1949 წწ.). ვაკრობის მუშაკთა რიცხვის შესახებ მთლიანად და უმნიშვნელოვანესი პროფესიების მახედვით მონაცემთა მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მოახლეობის აღწერებიც. ასე მაგალითად, მოსახლეობის 1939 და 1959 წწ. აღწერების მასალებმა გვიჩვენა, რომ 20 წლის განმავლობაში ვაკრობის მუშაკთა საერთო რიცხვი გაიზარდა 39%-ით, მათ შორის საჯარო ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელებისა—37%-ით, ხოლო დახლის მუშაკებისა—63%-ით. საზოგადოებრივ კვებაში მუშაკთა რაოდენობა გაიზარდა 36%-ით. მათ შორის მზარეულებისა—47%-ით, ხოლო ოფიცინტებისა შემცირდა 1%-ით (თვითმომსახურების ფართოდ გავრცელებასთან დაკავშირებით).

მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ვაკრობის მუშაკთა კვალიფიკაციის შესწავლა, რაც დამოკიდებულია მათ ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალურ

მომზადებაზე, აგრეთვე სავაჭრო მუშაობის სტაჟზე. ძირითადი პროფესიების მუშაეთა დახასიათება ზოგადსაგანმანათლებლო და სპეციალური მომზადების მიხედვით სავაჭრო აღწერების მასალებში მოცემული იყო შემდეგი მაჩვენებლების საფუძველზე: მუშაკები, რომლებსაც არ მიუღიათ სასკოლო განათლება, დაწყებითი და დაუმთავრებელი საშუალო განათლების, აგრეთვე საშუალო და უმაღლესი განათლების მქონენი. სპეციალური სავაჭრო მომზადების კადრების (საანგარიშო დარგის მუშაკებისათვის კი სპეციალური სააღრიცხვო მომზადების) დასახასიათებლად მუშაკთა საერთო რიცხვიდან გამოიყოფოდა სპეციალური მომზადებას მქონენი შემდეგი დაყოფით: რომლებიც სწავლობდნენ სპეციალურ სასწავლო დაწესებულებებში და რომლებიც სწავლობდნენ კურსებზე.

მოსახლეობის აღწერებში გაშუქებულია აგრეთვე ვაჭრობის მუშაკთა განათლების დანე. ასე მაგალითად, მოსახლეობის 1939 და 1959 წწ. აღწერების მონაცემებით, ვაჭრობის 1000 მუშაკზე 1939 წელს მოდიოდა საშუალო და უმაღლესი განათლების მქონე 182 მუშაკი, ხოლო 1959 წელს—737.

სავაჭრო მუშაობის სტაჟი განსაზღვრავს ვაჭრობის მუშაკთა გამოცდილებას; ამ ნიშნის მიხედვით დახასიათება მოცემული იყო მუშაკთა დაჯგუფებით სტაჟის მიხედვით (ერთ წლამდე, 1-დან 3 წლამდე, 3-დან 5 წლამდე, 5-დან 10 წლამდე და 10 წელზე მეტი).

ვაჭრობის მუშაკთა შემადგენლობის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს სქესსა და ასაკს. საბჭოთა ვაჭრობაში ფართოდაა გამოყენებული ქალის შრომა; და მისი ხვედრითი წონა იზრდება. ასე მაგალითად, თუ 1940 წელს ქალთა ხვედრითი წონა ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მუშაკთა შორის შეადგენდა 44%-ს, 1950 წელს იგი უდრიდა 58%-ს, ხოლო 1964 წელს—74%-ს. მონაცემები ქალთა ხვედრითი წონის შესახებ საჭმიანობის ცალკეულ დარგებში შეიძლება მივიღოთ წელიწადში ერთხელ შრომის წლიური ანგარიშებიდან 1 იანვრის მდგომარეობით. დაჯგუფებამ ასაკის მიხედვით, რაც გამოყენებულია სავაჭრო აღწერებში, გამოავლინა ახალგაზრდობის როლი საბჭოთა ვაჭრობის ცალკეულ უბნებზე. ვაჭრობის მუშაკები ხასიათდებოდნენ აგრეთვე პარტიულობის, ეროვნებისა და იმ საქმიანობის მიხედვით, რასაც ვაჭრობაში მოსვლამდე ეწეოდნენ. ამან შესაძლებლობა მოგვცა გამოგვევლინებინა საბჭოთა ვაჭრობის კადრების შევსების წყაროები.

მუშაობის სტაჟის მიხედვით დაჯგუფება ვაჭრობაში წარმოადგენს საფუძველს ვაჭრობის ძველი და ახალი კადრების დასახასიათებლად კომბინაციურ ცხრილთა შედგენის გზით. ამგვარი დაჯგუფებებით ვაჭრობის მუშაკები ხასიათდებოდნენ ასაკის, განათლებისა და ვაჭრობაში სამუშაოდ მოსვლამდე უკანასკნელი საქმიანობის მიხედვით.

ვაჭრობის მუშაკთა შემადგენლობა სქესის, ასაკისა და მუშაობის სტაჟის მიხედვით შეისწავლება აგრეთვე სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში და მათ შორის ვაჭრობაში ჩატარებულ მუშა-მოსამსახურეთა ერთდროული აღრიცხვის დროსაც.



#### 4. შრომის ნაყოფიერების დინამიკის გაზომვა ვაქრობაში

შრომის სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს ამოცანას საბჭოთა ვაქრობაში წარმოადგენს ვაქრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების დინამიკის შესწავლა. საბჭოთა ვაქრობისათვის დამახასიათებელია ვაქრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ამაღლება საქონელბრუნვის განუზრეკელი ზრდის, ვაქრობის ახალი, პროგრესული ფორმების დანერგვის, სავაჭრო ტექნიკის გაუმჯობესების, მისი მაქსიმალური გამოყენებისა და სხვა ფაქტორთა საფუძველზე. ასე მაგალითად, საქონელბრუნვა 1940 წლის ფასებში ერთ მუშაკზე გაანგარიშებით 1963 წელს, 1940 წელთან შედარებით, შეადგენდა: სარ კავშირის საცალო ვაქრობაში—197%-ს, ხოლო საზოგადოებრივ კვებაში—142%-ს. სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია სავაჭრო ქსელის თანამედროვე მოწყობილობით შემდგომი აღჭურვა და ვაქრობის პროგრესული მეთოდების ფართოდ დანერგვა, რაც აკმაყოფილებს მზარდი საქონელბრუნვის მოთხოვნებს და ამაღლებს ვაქრობის კულტურას. მყიდველთა მომსახურების გაუმჯობესების მიზნით გათვალისწინებულია საქონლის წინასწარი დაფასობის მაქსიმალური გადიდება, თვითმომსახურების მალაზიებია და სასაბაზოების ქსელის განვითარება, აგრეთვე ვაქრობა ავტომატების საშუალებით. ეს ღონისძიებები შესაძლებლობას მოგვცემენ შევამციროთ შრომითი დანახარჯები და მიმოქცევის ხარჯები ვაქრობაში.

მუშაკთა ძირითადი მასა ვაქრობაში დასაქმებულია საქონლის გაყიდვით. მათი შრომის შედეგები, საბოლოო ანგარიშით, გამოისახება საქონელბრუნვის თანხაში. ამიტომ ვაქრობის მუშაკთა ამ კატეგორიის შრომის ნაყოფიერების ყველაზე ზოგადი მაჩვენებელი მიაღება საქონელბრუნვის თანხის შეფარდებით დახარჯული შრომის მოცულობასთან. ასეთი მაჩვენებელი, ჩვეულებრივ, დადგინდება მუშაკთა საშუალო თვიურ, საშუალო კვარტალურ და საშუალო წლიურ რიცხვზე გაანგარიშებით. ამასთან, მუშაკთა შემადგენლობაში შეიძლება შეყვანილი იქნენ როგორც დაბლაში მომუშავენი (კერძო მაჩვენებელი), ისე სავაჭრო სწარმოს მთელი პერსონალი, ადმინისტრაციული და მომსახურე პერსონალის ჩათვლით. საქონელბრუნვა ყველა შემთხვევაში უნდა ავიღოთ როგორც წმინდა საქონელბრუნვა, გაყიდული სასაქონლო მასის განმეორებითი ანგარიშის გარეშე.

ბრუნვა ერთ მუშაკზე გამოსახულია მანეთობით ფაქტიურ ფასებში. ამიტომ ამ მაჩვენებლის დინამიკა ასახავს არა მარტო გაყიდული საქონლის ოდენობის, არამედ მათი ფასების დონის ცვლილებასაც. თუ საქონელზე ფასები მცირდება, ეს თავს იჩენს იმაში, რომ ბრუნვა ერთ მუშაკზე ზრდას უფრო ნელა დაიწყებს, ვიდრე დროის ერთეულში გაყიდული საქონლის რაოდენობა. ამიტომ შრომის ნაყოფიერების ზრდის უფრო ზუსტ დახასიათებას გვაძლევს ბრუნვის მაჩვენებელი ერთ მუშაკზე, გამოსახული შესაძარ ფასებში.

დავეუვათ, მოცემული გვაქვს შემდეგი მონაცემები საქონელბრუნვის, მუშაკთა რიცხოვნებისა და ფასთა ცვლილების შესახებ საანგარიშო წლისათვის წინა წელთან შედარებით:

მაჩვენებლები	საბაზისო წელი	საანგარიშო წელი	ინდექსები
საქონელბრუნვა (მლნ მანეთობით)	100	120	1,20
მუშაკთა საშუალო წლიური რიცხვი (კაცი)	2500	2750	1,10
საშუალო ბრუნვა ერთ მუშაკზე (ათას მანეთობით)	40	43,6	1,09
ფასთა ინდექსი	1,00	0,92	
საქონელბრუნვა შესაღარ ფასეუში (მლნ მანეთობით)	100	130,4	1,304
საშუალო ბრუნვა ერთ მუშაკზე შესაღარ ფასებში (ათას მანეთობით)	40	47,4	1,185

როგორც ცხრაილიდან ჩანს, საანგარიშო წელს საქონელბრუნვა ფაქტიურ ფასებში გაიზარდა 20%-ით, ხოლო მუშაკთა საშუალო წლიური რიცხვი 10%-ით. საქონელბრუნვის უფრო სწრაფმა ზრდამ საანგარიშო წელს მუშაკთა რიცხოვნებასთან შედარებით განაპირობა ერთ მუშაკზე ბრუნვის გადიდება 40 ათასიდან 43,6 ათას მანეთამდე, ე. ი. 9%-ით. თუ ამასთანავე ფასები საქონელზე საანგარიშო წელს საბაზისოსთან შედარებით საშუალოდ შემცირდა 8%-ით (ფასთა ინდექსი უდრის 0,92), მაშინ ერთ მუშაკზე ბრუნვის 9%-ით გადიდებისას (ფულად გამოსახულებამში) საანგარიშო წელს გაყიდული საქონლის რაოდენობა (ერთ მუშაკზე გაანგარიშებით) გაიზარდა უფრო მეტად. მაშასადამე, ბრუნვა ერთ მუშაკზე მიმდინარე ფასებით ფასთა შემცირებისას ამცირებს შრომის ნაყოფიერების ნამდვილ ზრდას.

საანგარიშო წლის საქონელბრუნვა რომ ფასთა ინდექსზე გავყოთ, მივიღებთ საანგარიშო წლის საქონელბრუნვას, გამოსახულს საბაზისო წლის შესაღარ ფასებში:  $120 \text{ მლნ მან.} : 0,92 = 130,4 \text{ მლნ მანეთს.}$

საქონელბრუნვის დინამიკა შესაღარ ფასებში ხასიათდება საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსით. ჩვენს მაგალითში ეს ინდექსი უდრის 1,304-ს ( $130,4 : 100$ ).

შესაღარი ფასებით გამოსახულ საანგარიშო წლის საქონელბრუნვას თუ გავყოფთ მუშაკთა საშუალო წლიურ რიცხვზე, მივიღებთ ერთ მუშაკზე ბრუნვას შესაღარ ფასებში:  $130,4 \text{ მლნ მანეთი} : 2750 = 47,4 \text{ ათას მანეთს.}$

თუ მას შევუდარებთ ერთ მუშაკზე ბრუნვას საბაზისო პერიოდში (40), შეიძლება დავრწმუნდეთ, რომ საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობა ერთ მუშაკზე საანგარიშო წელს გაიზარდა არა 9,1%-ით, არამედ 18,5%-ით ( $47,2 : 40 = 1,185$ ). სწორედ ამ მაჩვენებელს ეწოდება ერთ მუშაკზე ბრუნვის ინდექსი შესაღარ ფასებში. იგი უდრის საქონელბრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსს, გაყოფილს მუშაკთა რიცხოვნების ინდექსზე ( $1,304 : 1,10 = 1,185$ ), ანუ ფაქტიური ფასებით ერთ მუშაკზე ბრუნვის ინდექსს, გაყოფილს ფასთა ინდექსზე ( $1,09 : 0,92 = 1,185$ ).

უკანასკნელი შეფარდება გვიჩვენებს, რომ, თუ ვიცით ერთ მუშაკზე ბრუნვის დინამიკა ფაქტიური ფასებით და ფასთა ინდექსი, შეიძლება გავიანგარიშოთ

ერთ მუშაკზე ბრუნვის ინდექსი შესადარი ფასებით, ამავე ფასებში საქონელბრუნვის წინასწარი გადაანგარიშების გარეშე.

მაგრამ ერთ მუშაკზე ბრუნვა, შესადარ ფასებში გამოსახულიც კი, ძალიან პირობითად გვიხსნაიათებს შრომის ნაყოფიერების ღონესა და ღირსების ვაჭრობაში. ეს პირობითობა, პირველ ყოვლისა, იხსნება იმით, რომ სხვადასხვა საქონელი ხასიათდება სხვადასხვაგვარი შრომატევადობით. საქონელთა შრომატევადობა ეწოდება შრომის რაოდენობას, რომელიც უნდა დაიხარჯოს ვაჭრობაში განსაზღვრული ფასობრივი მოცულობის სასაქონლო მასის გასაყიდად ტექნიკის, ფასების ღონისა და მყიდველთა არსებული მოთხოვნის პირობებში. ცხადია, 10 მანეთის ღირებულების კარტოფილსა და ბოსტნეულის გასაყიდად მნიშვნელოვნად უფრო მეტი შრომა უნდა დაიხარჯოს, ვიდრე 10 მანეთის გასტრონომიული საქონლის გასაყიდად. გასტრონომიული საქონლის გაყიდვის შრომატევადობა ნაკლებია, ამიტომ გამყიდველთა გამომემუშავეების ნორმები ამ საქონელზე უფრო მაღალია, ვიდრე ბოსტნეულზე. ასეთივე მდგომარეობაა არასასურსათო საქონლის მიხედვითაც: გამყიდველთა გამომემუშავეების ნორმები სათამაშოებსა და საკანცელარიო საქონელზე უფრო დაბალია. ვიდრე სამკერვალო ნაწარმზე, მაგრამ ნორმები სამკერვალო ნაწარმზე თავის მხრივ უფრო მცირეა, ვიდრე აბრეშუმისა და შალის ქსოვილებზე.

სავაჭრო საწარმოს ბრუნვას სტრუქტურაში მომხდარი ყოველგვარი არსებითი ცვლილება გარდუვალად აისახება ერთ მუშაკზე ბრუნვის ღირსებაში: მცირე შრომატევადობის საქონლის ხეუროთი წონის ამაღლება გააღვიძებს ბრუნვა, ერთ მუშაკზე და პირიქით ამიტომ შრომის ნაყოფიერების ღირსების ანალიზისას წხედველობაში უნდა მივიღოთ სასაქონლო ასორტიმენტის სტრუქტურაში მომხდარი ძვრების გავლენა ერთ მუშაკზე ბრუნვის მაჩვენებლის ღირსებაზე. ამისათვის გავიანგარიშებთ სპეციალურ ინდექსს, რომელიც ასახავს საქონელბრუნვის შრომატევადობის ცვლილებას.

საცალო სავაჭრო საწარმოებში საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსის გაანგარიშება უნდა ემყარებოდეს გამყიდველთა გამოყენების ნორმებს ცალკეულ სასაქონლო ჯგუფთა მიხედვით, გამყიდველთა გამომემუშავეების იმ ნორმებს, რომლებიც ამ ინდექსში წარმოადგენენ სასაქონლო ჯგუფთა შრომატევადობის თანამზომებს. ინდექსის გაანგარიშება ექრევენთ შემდეგ მაგალითზე:

სასაქონლო ჯგუფთა დასახელება	საქონელბრუნვა შესადარ ფასებში (ათას მანეთით)		მუშაკების რაოდენობა (მანეთით)	107 ათასი მანეთის საქონელბრუნვის სტრუქტურა		საქონლო კატეგორიების 107 ათასი მანეთის საქონელბრუნვა	
	I კვარტალი	II კვარტალი		I კვარტალი	II კვარტალი	I კვარტალი	II კვარტალი
1. შხა ტანსაცმელი	40	35	71,4	31,75	23,41	45,1	33,3
2. თევრული	5	10	350	3,97	6,87	11,3	19,0
3. თევსამკეთლები	3	14	200	2,38	9,33	11,9	46,7

ა	1	2	3	4	5	6	7
4. ფესვამელი	50	55	800	39,68	36,67	49,6	45,8
5. ვალანტურა და პარფუმერია	10	16	190	7,93	10,66	44,0	59,2
6. ტრ-კატაი	8	8	450	6,35	5,33	14,1	11,8
7. საქონელარიო საქონელი	2	4	110	1,59	2,67	14,4	24,3
8. პუნჯურა და სამაღრო და ნინულებს საკოვლე	8	8	210	6,35	5,33	30,2	25,4
ს უ ლ	126	150	—	100,00	100,00	220,9	265,5

ცხროლის I და მე-2 სვეტებში მოტანილია საქონელბრუნვის ფაქტორი თანხეი I და II კვარტალებში. მე-4 და მე-5 სვეტებში მოცემულია საქონელბრუნვის სტრუქტურა და ცალკეული საქონლის ხვედრითი წონა საერთო ჯამში, ამასთან საქონელბრუნვის თანხა I და II კვარტალებში გატოლებულია 100 ათას მანეთთან. უკანასკნელ ორ სვეტში წარმოდგენილია 100 ათასი მანეთის საქონლის რეალიზაციისათვის საჭირო კაცდღეთა რიცხვის განაგარიშება ყოველ კვარტალში (გამომუშავების უცვლელი ნორმებიდან გამომდინარე). მე-6 სვეტი მიიღება მე-4 სვეტის მონაცემთა გაყოფით მე-3 სვეტის შესაბამის მონაცემებზე, მე-7 სვეტი—მე-5 სვეტის მონაცემთა გაყოფით მე-3 სვეტის მონაცემებზე; მაგალითად, „მზა ტანსაცმლის“ მიხედვით 31,75 ათასი მანეთის ბრუნვისათვის, გამყიდველის დღიური გამომუშავების 700-მანეთიანი ნორმის დროს, საჭირო იქნება 45,4 დღე, ხოლო 23,34 ათასი მანეთის ბრუნვისათვის—33,3 დღე. ამის შედეგად I კვარტალში სათანადო სტრუქტურის 100 ათასი მანეთის სასაქონლო მასის რეალიზაციისათვის საჭირო ყოფილა 220,9 კაცდღე; II კვარტალში იგივე, მაგრამ სხვა სტრუქტურის სასაქონლო მასის რეალიზაციისათვის საჭიროა 265,5 კაცდღე. II კვარტალში შეიცვალა საქონელბრუნვის სტრუქტურა I კვარტალთან შედარებით, უფრო შრომატევადი საქონლის ხვედრითი წონის გადიდებით.

ამ სიდიდეთა თანაფარდობა გვიჩვენებს საქონელბრუნვის შრომატევადობის ცვლილებას, ე. ი. საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსს.

ამრიგად, საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი არის კაცდღეთა იმ რიცხვებს შორის თანაფარდობა, რომლებიც გაანგარიშებულია გამყიდველთა გამომუშავების ერთი და იმავე ნორმების საფუძველზე და აუცილებელია ერთნაირი მოცულობის, მაგრამ სხვადასხვა შედგენილობის ორი სასაქონლო მასის რეალიზაციისათვის. ჩვენს მაგალითში საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი უდრის  $1,20$ -ს  $\left(\frac{265,5}{220,9}\right)$ , ე. ი. საქონელბრუნვის შრომატევადობა გაიზარდა 20%-ით საქონელბრუნვის სტრუქტურაში თეთრეულის,

თავსამკაულების, გალანტერიისა და პარფიუმერიის ხვედრითი წონის გადიდების, ფენსაცმელისა და მზა ტანსაცმლის ხვედრითი წონის შემცირების ანგარიშზე.

საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი საჭიროა საქონელბრუნვის უცვლელ სტრუქტურაში შრომის ნაყოფიერების ინდექსის ვასაანგარიშეალად.

დაეუშვათ, რომ მთელი სასაქონლო მასის რეალიზაციაზე ჩვენს მაგალითში დახარჯულია I კვარტალში 335 კაცდღე, ხოლო II-ში—385. მაშინ ბრუნვა I კაცდღეზე იქნება (შესადარ ფასებში): I კვარტალში 376,1 მანეთი (126 ათ. მან. : 335), II კვარტალში—389,6 მანეთი (150 ათ. მან. : 335). მაშასადამე, ერთ მუშაკზე ბრუნვის ინდექსი უდრის 1,036-ს (389,6 : 376,1), რაც შეადგენს 3.6% -იან ზრდას. ამას, როგორც წინა განაგარიშებიდან ჩანს, თან ახლდა საქონელბრუნვის შრომატევადობის მნიშვნელოვანი (20%-ით) ზრდა. იმისათვის, რომ შესადარ ფასებსა და საქონელბრუნვის უცვლელ სტრუქტურაში გაეიანგარიშოთ შრომის ნაყოფიერების ინდექსი ფაქტობაში, ერთ მუშაკზე ბრუნვის ინდექსი უნდა გავამრავლოთ საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსზე; ჩვენს მაგალითში:  $1,036 \times 1,20 = 1,243$ , რაც გვიჩვენებს შრომის ნაყოფიერების ზრდას 24,3%-ით.

ეს თანაფარობა დავამტკიცოთ ალგებრულად.

1. ერთ მუშაკზე ბრუნვის ინდექსი შესადარი ფასებით უდრის:

$$\frac{\sum p_0 q_1}{\sum T_1} : \frac{\sum p_0 q_0}{\sum T_0} = \frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0} : \frac{\sum T_1}{\sum T_0}$$

სადაც  $T$  არის შრომითი დანახარჯების მასა (ჩვეულებრივ, მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი);

შრომითი დანახარჯების საერთო მასა ( $\sum T$ ) შეიძლება წარმოდგენილ იქნეს როგორც საქონელბრუნვისა ( $pq$ ) და ბრუნვის ერთ მანეთზე შრომითი დანახარჯების ( $t$ ) ნამრავლთა ჯამი. ეს უქანასკნელნი, თუკი მათ შევადარებთ ცალკეულ საქონელთა მიხედვით, ცხადყოფენ საქონელბრუნვის შეფარდებით შრომატევადობას.

მაშასადამე,  $\sum T_1 = \sum p_0 q_1 t_1$  და  $\sum T_0 = \sum p_0 q_0 t_0$ , ხოლო  $\frac{\sum T_1}{\sum T_0} = \frac{\sum p_0 q_1 t_1}{\sum p_0 q_0 t_0}$

ამრიგად, ერთ მუშაკზე ბრუნვის ინდექსი შესადარ ფასებში შეიძლება გამოისახოს ასე:

$$\frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0} : \frac{\sum p_0 q_1 t_1}{\sum p_0 q_0 t_0}$$

2. ინდექსის გამყოფი გვიჩვენებს შრომის დანახარჯთა დინამიკას. ის განპირობებულია ორი ფაქტორით: ბრუნვათა ცვლილებით შესადარ ფასებში ( $p_0 q$ ) და შრომის დანახარჯთა ცვლილებით ბრუნვის ერთ მანეთზე ( $t$ ). საინდექსო მეთოდის ჩვეულებრივი ხერხით ეს მაჩვენებელი შეიძლება დავშალოთ ორ ინდექსად, რომლებიც გვიჩვენებს ყოველი ფაქტორის როლს:

$$\frac{\sum p_0 q_1 t_1}{\sum p_0 q_0 t_0} = \frac{\sum p_0 q_1 t_1}{\sum p_0 q_1 t_0} \cdot \frac{\sum p_0 q_1 t_0}{\sum p_0 q_0 t_0}.$$

3. პირველი ინდექსი ტოლობის მარჯვენა ნაწილში გულისხმობს შრომით დანახარჯთა ცვლილებას საქონელბრუნვის ერთნაირი მოცულობისა და შედგენილობის პირობებში, სახელდობრ საანგარიშო პერიოდის საქონელბრუნვის დროს შესადარ ფაქტებში. იგი განპირობებულია ბრუნვის ერთ მანეთზე შრომით დანახარჯთა ცვლილებით ცალკეული სასაქონლო ჯგუფების მიხედვით. სწორედ ამ ინდექსის შებრუნებული შეფარდება  $\left(\frac{\sum p_0 q_1 t_0}{\sum p_0 q_1 t_1}\right)$  არის შრომის ნაყოფიერების ინდექსი ვაკრობაში საქონელბრუნვის უცვლელი შედგენილობის პირობებში.

ამ ინდექსის მრიცხველში მოცემულია შრომის დანახარჯები საანგარიშო პერიოდში, რ.ს.ა.ც იმ შექაზვევაში ექნებოდა ადგილი, თუკი ბრუნვის ერთ მანეთზე შრომის დანახარჯთა ნორმები საქონლის ჯგუფთა მიხედვით საბაზისო პერიოდის დონეზე დარჩებოდა; ინდექსის მნიშვნელში მოცემულია შრომის ფაქტიური დანახარჯები საანგარიშო პერიოდში ( $\sum p_0 q_1 t_1 = \sum T_1$ ). სხვაობა ინდექსის მრიცხველსა და მნიშვნელს შორის გვიჩვენებს შრომითი დანახარჯების ეკონომიას, რომელიც მიღებულია მისი ნაყოფიერების ზრდის შედეგად.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ინდექსი შეიძლება განისაზღვროს როგორც საშუალო არითმეტიკული საქონლის ჯგუფებისათვის გაანგარიშებული ინდივიდუალური ინდექსებიდან, შეწონილი საანგარიშო პერიოდის შრომითი დანახარჯებით:

$$\frac{\sum p_0 q_1 t_0}{\sum p_0 q_1 t_1} = \frac{\sum p_0 q_1 \frac{T_0}{p_0 q_0}}{\sum T_0} = \frac{\sum \left( \frac{p_0 q_1}{T_1} : \frac{p_0 q_0}{T_0} \right) T_1}{\sum T_1}.$$

4. ინდექსი  $\left(\frac{\sum p_0 q_1 t_0}{\sum p_0 q_0 t_0}\right)$  გვიჩვენებს შრომის მასის ცვლილებას გაყიდული სასაქონლო მასის მოცულობისა და შემადგენლობის ცვლილების საფუძველზე. (შრომით დანახარჯთა ნორმები ბრუნვის ერთ მანეთზე ინდექსში უცვლელია და აღებულია საბაზისო პერიოდის დონეზე). სასაქონლო მასის მოცულობის ცვლილება შეიძლება გამოარჩებოს, თუკი ამ ინდექსს გავყოფთ საქონელზრუნვის ინდექსზე შესადარ ფაქტებში:

$$\frac{\sum p_0 q_1 t_0}{\sum p_0 q_0 t_0} : \frac{\sum p_0 q_1 t_0}{\sum p_0 q_1 t_0} = \frac{\sum \frac{p_0 q_1}{p_0 q_1} t_0}{\sum \frac{p_0 q_1}{p_0 q_0} t_0}.$$

ეს ინდექსი ასახავს შრომით დანახარჯთა ცვლილებას მხოლოდ საქონელზრუნვის შემადგენლობის ცვლილებას ხარჯზე (საქონლის ჯგუფთა მიხედვით), სწორედ ეს არის სასაქონლო ბრუნვის შრომატევადობის ინდექსი. მის

გასაანგარიშებლად ჩვენ ამოსავალი, მეორე ინდექსი გავყავით საქონელბრუნვის ინდექსზე შესაღარ ფასებში. მაშასადამე, მეორე ინდექსი უღრის საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსისა და შესაღარი ფასებით საქონელბრუნვის ინდექსის ნამრავლს:

$$\frac{\sum p_1 q_1 t_0}{\sum p_0 q_1 t_0} = \frac{\sum \frac{p_0 q_1}{p_0 q_1} t_0}{\sum \frac{p_0 q_1}{p_0 q_1} t_0} \times \frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0}$$

5. ერთ მუშაზე ბრუნვის ინდექსი შესაღარი ფასებით შეიძლება დავწეროთ ასე:

$$\frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0} : \frac{\sum p_0 q_1 t_1}{\sum p_0 q_1 t_0} = \frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0} : \left[ \frac{\sum p_0 q_1 t_1}{\sum p_0 q_1 t_0} \times \frac{\sum \frac{p_0 q_1}{p_0 q_1} t_0}{\sum \frac{p_0 q_1}{p_0 q_1} t_0} \times \frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0} \right]$$

გარდაქმნის შემდეგ მივიღებთ:

$$\frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0} : \frac{\sum p_0 q_1 t_1}{\sum p_0 q_1 t_0} = \frac{\sum p_0 q_1 t_1}{\sum p_0 q_1 t_0} : \frac{\sum \frac{p_0 q_1}{p_0 q_1} t_0}{\sum \frac{p_0 q_1}{p_0 q_1} t_0}$$

ანუ

$$\frac{\sum p_0 q_1 t_0}{\sum p_0 q_1 t_1} = \left[ \frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0} : \frac{\sum p_0 q_1 t_1}{\sum p_0 q_1 t_0} \right] \times \left[ \frac{\sum p_0 q_1 t_0}{\sum p_0 q_1 t_0} : \frac{\sum p_0 q_1}{\sum p_0 q_0} \right]$$

შრომი ნაყოფიერების ინდექსი ბრუნვის ინდექსის ბრუნვის ინდექსი  
 ერთ მუშაზე საქონელბრუნვის  
 შრომატევადობის  
 სტრუქტურაში ბრუნვის ინდექსი

შრომის ნაყოფიერების ინდექსის გაანგარიშება ბრუნვის უცვლელ შემადგენლობაში, როგორც ერთ მუშაზე ბრუნვის ინდექსისა და შრომატევადობის ინდექსის ნამრავლი, არ საჭიროებს ცალკეულ ვაწყველის შრომის ნაყოფიერების დინამიკის ანალიზს; იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ისეთ საწარმოში, სადაც ცალკეული გამყიდველის შრომის დანორმვა არ ხდება და მისი გამომქმნევა ცალკე არ აღირიცხება.

იმ საწარმოებში, სადაც ყოველი გამყიდველის გამომქმნევის აღრიცხვა წარმოებს ცალკე და თითოეულ მათგანს გააჩნია საკუთარი სავაჭრო ნორმა, მიზანშეწონილია შრომის ნაყოფიერების ინდექსი გავანგარიშოთ როგორც საშუალო ცალკეული გამყიდველის მიერ გამომქმნევის ნორმათა შესრულების მაჩვენებლებიდან. ასეთი გაანგარიშება ვუჩვენოთ მაგალითზე.

შრომის ნაყოფიერების ინდექსის გაანგარიშება

ლაზის მუშაკთა ჩამოთვა	სასაქონლო ვაგონი	დღიური გამოტვირთვების ნორმა	თეორიული საქონლებრუნვა (მანეთობით)			ფაქტური დღიური გამოტვირთვა		ნორმების შესრულების ინდექსი		შრომის ნაყოფიერების ინდექსები
			საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი		საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	
				მე-6	მე-7					
ა	ბ	1	2	3	4	5	6	7	8	9
1	ა	170	4100	4250	4400	164	176	0,965	1,035	1,073
2	ბ	100	2400	2500	2550	96	102	0,960	1,020	1,033
3	გ	100	2500	2500	2500	100	100	1,000	1,000	1,000
4	დ	220	5500	5500	6000	220	240	1,000	1,090	1,080
5	ე	150	3600	3750	3700	144	146	0,950	0,986	1,028
6	ვ	120	3800	3750	3800	152	152	1,012	1,012	1,040
7	ზ	120	3000	3000	3050	120	122	1,000	1,017	1,017
8	თ	120	3100	3000	3050	124	122	1,032	1,017	0,945
სულ	კ	—	—	—	—	—	—	—	—	—
8	კაც	—	—	28000	28250	29050	—	—	—	—

ცხრილში მოტანილია მონაცემები ნორმებისა და ფაქტური შესრულების შესახებ ორ თვეში ყოველი გამყიდველისათვის ცალ-ცალკე. მე-7 და მე-8 სვეტების ციფრები ახასიათებენ ცალკეული მუშაკის მიერ გამოტვირთვების დაწესებული ნორმების შესრულების ხარისხს, უკანასკნელი მე-9 სვეტი არის საანგარიშო პერიოდში გამყიდველის ფაქტური დღიური გამოტვირთვების შეფარდება მის ფაქტურ დღიურ გამოტვირთვასთან საბაზისო პერიოდში. იგი შეიცავს ყოველი გამყიდველს შრომის ნაყოფიერების ზრდის მაჩვენებლებს (ინდივიდუალურ ინდექსებს). რამდენადაც გამოტვირთვების საგეგმო ნორმა ორი შესაძარი პერიოდისათვის უცვლელი რჩება, ეს მაჩვენებლები უდრის აგრეთვე მე-8 სვეტის რიცხვთა შეფარდებას მე-7 სვეტის რიცხვებთან.

შესაძარ პერიოდებში საგეგმო ნორმათა ცვლილების შემთხვევებში ინდივიდუალურ ინდექსთა გაანგარიშება უნდა მოხდეს იმაზე დამოკიდებულებით, თუ რა მიზეზით მოხდა ნორმათა ცვლილება. ჩვეულებრივ, საგეგმო ნორმათა ცვლილება ხდება სავაჭრო მუშაობის პირობების ცვლილების შედეგად (ვაჭრობის ტექნიკის გაუმჯობესებით, სამუშაო ადგილის რაციონალიზაციით და ა. შ.). ამასთან, თვით გამოტვირთვების საგეგმო ნორმათა ვადიდება წარმოადგენს მუშაობის მოწინავე მეთოდთა დანერგვის გავლენით მიღებული შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგს ვაჭრობაში. ამ შემთხვევაში შრომის ნაყოფიერების ინდივიდუალური ინდექსები განისაზღვრება ფაქტური გამოტვირთვებიდან გამომდინარე საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში, საგეგმო ნორმების მხედველობაში მიუღებლად. ზოგჯერ გამოტვირთვების საგეგმო ნორმა იცვლება სასაქონლო ჯგუფის ფარგლებში ასორტიმენტის ცვლილების გამო. ამასთან, საგეგმო ნორმის შეცვლა გვიჩვენებს ბრუნვის შრამატევალობის მარტივ ცვლილებას საქონლის მოცემული ჯგუფის მიხედვით.



ასეთ შემთხვევაში ინდივიდუალური ინდექსები არ შეიძლება განისაზღვროს ფაქტიური გამომუშავების მიხედვით, იგი უნდა ემყარებოდეს საგეგმო ნორმების შესრულების ინდექსთა თანაფარდობას. ამ თანაფარდობისას მხედველობაში მიიღება შრომატევადობის ცვლილება.

ინდივიდუალური ინდექსებიდან გამომდინარე, საშუალო ინდექსი მალაზიის მიხედვით მთლიანად გავიანგარიშოთ ფორმულით

$$J_{შრომ. ნაყოფ.} = \frac{\sum i T_1}{\sum T_1}$$

სადაც  $i$  არის შრომის ნაყოფიერების ინდივიდუალური ინდექსები;  $T_1$ —საანგარიშო პერიოდში დახარჯული შრომის რაოდენობა.

ჩვენს მაგალითში ინდივიდუალური ინდექსები გაანგარიშებულია ცალკეული გამყიდველის მიხედვით. ყველა გამყიდველი მუშაობდა 25 დღეს. მაშასადამე, ყველა ინდივიდუალური ინდექსის წონა ერთნაირია და შეიძლება გაუტოლდეს ერთს. ცალკეული ინდივიდუალური ინდექსები რომ ეხებოდეს გამყიდველთა სხვადასხვა რაოდენობას, ანდა ცალკეულ გამყიდველებს რომ ემუშავათ სხვადასხვა რაოდენობის დღეები საანგარიშო თვეში, ინდივიდუალური ინდექსები შეიწონებოდა გამომუშავებულ დღეთა ფაქტიური რაოდენობის მიხედვით.

მე-9 სექტის რიცხვთა ჯამი შეადგენს 8,256-ს. თუ მას გავყოფთ გამყიდველთა რიცხვზე (8), მივიღებთ შრომის ნაყოფიერების საშუალო ინდექსს:

$$J_{შრომ. ნაყოფ.} = \frac{8,256}{8} = 1,032, \text{ ანუ } 103,2\%$$

შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 3,2%-ით. ვაიხსენოთ, რომ ეს მაჩვენებელი გაანგარიშებულია საქონელბრუნვის უცვლელ სტრუქტურაში. მართლაც, საშუალო ბრუნვა საანგარიშო პერიოდში შეადგენდა 3631,2 მანეთს (29050 : 8).

საშუალო ბრუნვა საბაზისო პერიოდში უდრის 3500 მანეთს (28000 : 8).

საშუალო ბრუნვის ინდექსი შეადგენს 1,032-ს (3631,2 : 3500) ანუ 103,2%-ს. გავიანგარიშოთ საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსი:

საქონელი	საქონელბრუნვა შესაღარ ფასებში (მანეთობით)		გამყიდველის დღური გამომუშავება საბაზისო პერიოდში	საქონელბრუნვის სტრუქტურა		საჭირო კაცდღეთა რიცხვი საქონელბრუნვის 100 ათას მანეთზე	
	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი		საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი
ა. ბ.	4100	4400	164	14,6	15,1	89	92
ბ. გ.	4900	5050	93	17,5	17,1	178	178
გ. დ.	5500	6000	220	19,7	20,7	90	94
დ. ე.	7400	7500	148	26,4	25,8	178	174
ე. ვ.	6100	6100	122	21,8	21,0	179	172
ჯამი	28000	29050	—	100,0	100,0	714	710

შრომატევადობის ინდექსი უღრის 0,994-ს (710 : 714), ანუ 99,4%-ს, ე. ი. საქონელბრუნვის შრომატევადობა შემცირდა 0,6%-ით. რაკი შემცირდა საქონელბრუნვის შრომატევადობა, ერთ მუშაკზე ბრუნვის ინდექსი გადაამეტებს შრომის ნაყოფიერების ზრდას. სწორედ ეს ჩანს ჩვენს მაგალითშიც: შრომის ნაყოფიერების ინდექსი უღრის 1,032-ს, ხოლო ერთ მუშაკზე ბრუნვის ინდექსი—1,038-ს, შრომის ნაყოფიერების ინდექსი საქონელბრუნვის უცვლელ სტრუქტურაში ტოლია 1,032-ისა (1,038 × 0,994).

შრომის ნაყოფიერების საშუალო ინდექსის, როგორც ცალკეულ მუშაკთა მიერ გამომუშავების ნორმათა შესრულების ინდექსებიდან მიღებული საშუალო მაჩვენებლის, გამოანგარიშების მიყენება მართებულია ჯაჭრობის მუშაკთა იმ კატეგორიებისადმი, რომლებიც გადაყვანილი არიან გამომუშავების ინდივიდუალურ ნორმათა შესრულების მიხედვით შრომის ანაზღაურებაზე. ეს გაანგარიშება ნაჩვენებია სავაჭრო ქსელის გამყიდველთა მაგალითზე, მაგრამ იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებრივი კვების მუშაკთა მიმართაც, სადაც ერთი კატეგორიისათვის გამომუშავების ნორმები დაწესებულია ბრუნვა-მანეთობით, მეორისათვის—კერძთა რაოდენობით, ხოლო მესამისათვის—დამუშავებული ნედლეულის ნატურალური მაჩვენებლებით. იმის გამო, რომ გაანგარიშება აგრეთვე საშუალო მაჩვენებლები ნორმათა შესრულების ინდექსებიდან, გამომუშავების ნორმების სხვადასხვაგვარი გამოსახვა მუშაკთა ცალკეული კატეგორიებისათვის გავლენას არ ახდენს ჩვენს გამოანგარიშებაზე.

ზემოთ გაანგარიშებული მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ინდექსი (1,032) წარმოადგენს საანგარიშო და საბაზისო პერიოდების ნორმათა საშუალო შესრულების ინდექსთა თანაფარდობას.

ვუჩვენოთ ეს მაგალითზე:

საქონელი	გამომუშავების დღეული ნორმა (მანეთობით)	საქონელბრუნვა (მან.)		კაცდღეთა რაოდენობა			
		საბაზისო პერიოდი	საანგარიშო პერიოდი	საბაზისო პერიოდი		საანგარიშო პერიოდი	
				ნორმით	ფაქტიურად	ნორმით	ფაქტიურად
ა	1	2	3	4	5	6	7
ჩაბა	170	4100	4400	24,1	25	25,9	25
ჩაბა	100	4900	5050	49,0	50	50,5	50
ჩაბა	220	5500	6000	25,0	25	27,3	25
ჩაბა	150	7400	7500	49,3	50	50,0	50
ჩაბა	120	6100	6100	50,8	50	50,8	50
ჯამი	—	28000	29050	196,2	200	204,5	200

ცხრილის მე-4 და მე-6 სვეტებში გაანგარიშებულია კაცდღეთა რაოდენობა, რომელიც საჭიროა საქონელბრუნვის საწარმოებლად საბაზისო და საანგარიშო.

თვეებში გამომუშავების დაწესებულები ნორმიდან გამოდინარე (სვეტი 1). რადგან ყველა გამყიდველმა ორივე თვეში იმუშავა ოცდახუთ-ოცდახუთი დღე, ამიტომ ადვილად შეიძლება მივიღოთ შრომის ფაქტიური დანახარჯები მე-5 და მე-6 სვეტებში, თუკი გამყიდველთა რიცხვს ყოველ სასაქონლო ჯგუფში გავმარაგლებთ 25-ზე.

ნორმის შესრულების ინდექსი განისაზღვრება ნორმით გათვალისწინებულ კაცდღეთა რაოდენობის გაყოფით ფაქტიურ კაცდღეთა რაოდენობაზე.

საბაზისო პერიოდში ფაქტიურად დახარჯული იყო 200 კაცდღე, ნორმის მიხედვით კი უნდა დახარჯულიყო 198,2. მაშასადამე, ნორმის შესრულების ინდექსი საბაზისო თვისათვის უდრის 0,991-ს (198,2 : 200), ანუ 99,1%-ს.

საანგარიშო პერიოდში ფაქტიურადაც დახარჯული იყო 200 კაცდღე, ხოლო ნორმით უნდა დახარჯულიყო 204,5. მაშასადამე, ნორმის შესრულების ინდექსი საანგარიშო პერიოდისათვის უდრის 1,0225-ს (204,5 : 200), ანუ 102,25%-ს.

სწორედ ნორმის შესრულების ინდექსთა თანაფარდობა გვაძლევს შრომის ნაყოფიერების ინდექსს:  $102,25 : 99,1 = 1,032$  ანუ 103,2 პროცენტს.

ამრიგად, ვაქრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების ინდექსი ბრუნვის უცვლელ სტრუქტურაში შეიძლება განისაზღვროს:

1) როგორც ერთ მუშაკზე ბრუნვის ინდექსის ნამრავლი შრომატევადობის ინდექსზე.

2) როგორც საშუალო არითმეტიკული ინდექსი ცალკეული მუშაკის მიერ ნორმის შესრულების ინდექსებიდან.

3) როგორც ნორმების საშუალო შესრულების ინდექსთა თანაფარდობა საანგარიშო და საბაზისო პერიოდებში.

შრომის ნაყოფიერების ინდექსის გაანგარიშების თითოეული ეს მეთოდი მოგიყვანს ერთნაირ შედეგამდე. მათი კონკრეტული გამოყენება დამოკიდებულია ჩვენს ხელთ არსებულ მასალებზე.

პირველი მეთოდი მაშინ გამოიყენება, როდესაც უცნობია გამომუშავების ინდივიდუალური ნორმები. ამ შემთხვევაში საშუალო ბრუნვის დინამიკის მაჩვენებლის კორექტირება ხდება საქონელბრუნვის შრომატევადობის ინდექსის მაჩვენებლით, რომლის დასადგენად გამოიყენება ცალკეულ სასაქონლო ჯგუფთა შრომატევადობის გაზომვის ზოგიერთი პირობითი კოეფიციენტი.

მეორე მეთოდი გამოიყენება ცალკეულ სავაჭრო საწარმოებში იმ მუშაკთა კატეგორიების მიმართ, რომლებიც ვადაყვანილი არიან გამომუშავების ინდივიდუალურ ნორმებზე.

მესამე მეთოდი გვაძლევს შრომის ნაყოფიერების ზრდის კრებისით დახასიათების შესაძლებლობას საწარმოთა ერთობლიობისათვის მუშაკთა იმ კატეგორიების მიმართ, რომელთათვისაც დაწესებულია გამომუშავების ინდივიდუალური ნორმები.

შრომის ნაყოფიერების ზრდის კრებისით დახასიათებისათვის შეიძლება

გამოვიყენოთ სპეციალური ანგარიშგება საზოგადოებრივი კვების საწარმოების გამყიდველთა და მუშაკთა მიერ გამომუშავების ნორმების შესრულების შესახებ, რასაც მოკავშირე რესპუბლიკათა ვაჭრობის სამინისტროების საეპრო საწარმოები წარადგენენ წელიწადში ერთხელ.

გამყიდველთა მიერ ნორმების შესრულების ანგარიშში მოცემულია ცნობები საანგარიშო თვეში (ჩვეულებრივ, ოქტომბერი) ფაქტურად გამომუშავებულ კაცი-დღეთა რაოდენობის შესახებ და ნორმის შესრულების საშუალო პროცენტი, აგრეთვე ნარდად მომუშავეთა განაწილება გამომუშავების ნორმის შესრულების ხარისხის მიხედვით (პროცენტობით): 90-მდე, 90—1000-მდე, 100—110-მდე, 110—125-მდე და 125-ზე ზევით. ცნობები მოცემულია ყველა გამყიდველის მიხედვით, და მათ შორის გამოიყოფა უმნიშვნელოვანეს სასაქონლო ჯგუფთა გამყიდველები.

ანალოგიური მაჩვენებლები მოცემულია საზოგადოებრივი კვების საწარმოების მუშაკთა მიერ გამომუშავების ნორმების შესრულების ანგარიშშიც, ცალკე სამზარეულოს მუშაკებისათვის და ცალკე ოფიცინანტებისათვის. ცნობები წარედგინებათ იმ საწარმოთა მიხედვით, რომლებშიც გამომუშავების ნორმები დაწესებულია ბრუნვა-მანეთებში, და იმ საწარმოთა მიხედვით, რომლებშიც ეს ნორმები დაწესებულია კერძებში. ცნობები ცალკეა მოცემული აგრეთვე ხორცისა და თევზის, საკონდიტრო, ბოსტნეულისა და სხვა საამქროთა მუშაკებისათვის, სადაც გამომუშავების ნორმები დაწესებულია ნატურალურ ერთეულებში.

შრომის ნაყოფიერების დინამიკის ანალიზისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული 1960 წლიდან ვაჭრობის მუშაკთა გადაყვანა 7-საათიან სამუშაო დღეზე და 41 საათიან სამუშაო კვირაზე. ეს ნიშნავს იმას, რომ თითოეული მუშაკი შემოკლებული დღის პირობებში კვირაში მუშაობს ექვსი საათით ნაკლებს (47 საათის ნაცვლად—41 საათს). ამ შემთხვევაში ერთ მუშაკზე საშუალო ბრუნვის დინამიკა (თვეში, კვარტალში, წელიწადში) შეამცირებს შრომის ნაყოფიერების ზრდას, რომელიც სწორად იქნებოდა ასახული საშუალო საათობრივი გამომუშავების მაჩვენებლებში. მაგრამ რამდენადაც ასეთი მაჩვენებლები ვაჭრობაში არ არსებობს, ერთ მუშაკზე ბრუნვა იმ პერიოდში, როდესაც მუშაკები მუშაობენ შემოკლებული დღის პირობებში, კორექტირებულ უნდა იქნეს სათანადო კოეფიციენტზე (1,145) გამრავლებით, რაც ცხადყოფს მუშაობის ხანგრძლიობის შემცირებას კვირაში (41-ის 6 საათი შეადგენს 14,6 პროცენტს).

##### 5. კორელაციის თეორიის გამოყენება

მაღაზიის საქონელბრუნვის სიდიდისადმი

გამყიდველთა გამომუშავების დამოკიდებულების საანალიზოდ

გამყიდველთა შრომის ნორმირება ვაჭრობაში რთულ პრობლემას წარმოადგენს. გამყიდველის გამომუშავებას მანეთობით აწესებენ (დღეში ან თვეში) ცალკეული საქონლის ან საქონლის ჯგუფების მიხედვით. მაგრამ ერთი და იმავე

დასახელების საქონლის ჯგუფის ფარგლებშიც კი გამოიღველის საშუალო გამომუშავება არსებითად განსხვავდება ცალკეულ მაღაზიებში იმის მიხედვით, თუ რა ოდენობისაა მაღაზიის საქონელბრუნვა, როგორია ასორტიმენტის შემადგენლობა საქონლის ჯგუფში, მყიდველთა ნაკადის ხასიათი და მრავალი სხვა ფაქტორი. ნორმების სწორად დაწესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გამოკვლევას, თუ რა დამოკიდებულება არსებობს გამოიღველის გამომუშავებასა და მაღაზიის ძირითად მაჩვენებლებს, უწინარეს ყოვლისა, მისი საქონელბრუნვის საერთო ოდენობას შორის. ესაა ძირითადი ფაქტორი, რომელიც ასახავს ვაჭრობის ორგანიზაციის, მყიდველთა მოთხოვნისა და ასორტიმენტის შემადგენლობის თავისებურებებს დიდსა და პატარა მაღაზიებში. ამ გამოკვლევებში გარკვეული დახმარების გაწევა შეუძლია კორელაციის თეორიას.

როგორც ცნობილია, კორელაციის თეორიის საშუალებით კავშირის სტატისტიკური გაზომვის ძირითადი საკითხებია კავშირის ფორმის მოძებნა და მისი სიმჭიდროვის გაზომვა. ორივე ეს საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან: კავშირის სიმჭიდროვის საკმაოდ მაღალი მაჩვენებლის დროს შეიძლება კავშირის თეორიული ხაზის პარამეტრების გამოყენება დანორმებაში.

თეორიული კავშირი გამოიღველის გამომუშავებასა და მაღაზიის საქონელბრუნვის სიდიდეს შორის შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც პირდაპირი დამოკიდებულება: უფრო დიდი მაღაზიების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ მათში, როგორც წესი, გამოიღველის გამომუშავებაც დიდია. მთელი საკითხი ისაა, თუ როგორი იქნება ეს პირდაპირი დამოკიდებულება: ერთია სწორხაზოვანი, როდესაც მაღაზიის საქონელბრუნვის ყოველგვარი მოცულობის დროს მისი მატების ერთ მანეთზე ერთნაირი ხარისხით იზრდება (საშუალოდ) გამოიღველის გამომუშავება, და მეორეა მრუდხაზოვანი. შეიძლება იმის მტკიცება, რომ უმრავლეს შემთხვევაში კავშირი მრუდხაზოვანი იქნება: საქონელბრუნვის ზრდასთან ერთად კლებულობს გამომუშავების ზრდა საქონელბრუნვის მატების ერთ მანეთზე. ზოგიერთ გამოკვლევაში აღნიშნულია, რომ ყველაზე მეტად ეს დამოკიდებულება ახასიათებს კავშირის თეორიულ ხაზს ლოგარითმული მრუდის სახით:

$$y_x = a_0 + a_1 \log x^1.$$

ლოგარითმული ფუნქცია ასახავს საშუალო გამომუშავების თანდათანობით მატებას მცირე საქონელბრუნვის მქონე მაღაზიებში და მის ზრდის ტემპთა შენელებას დიდი საქონელბრუნვის მქონე მაღაზიებში.

ქვემოთ მოტანილ ცხრილში ნაჩვენებია ლოგარითმული ფუნქციის გამოყენება იმ დამოკიდებულების ანალიზისათვის, რომელიც არსებობს გამოიღველის საშუალო გამომუშავებასა ( $y$ ) და საქონელბრუნვას ( $x$ ) შორის ქ. მოსკოვის 24

<sup>1</sup> იხ. Л. Наговицина, Опыт применения метода корреляции для анализа показателей статистики торговли, аспирантская диссертация, напечатано в МГУ, Москва, 1964.

პურის მაღაზიაში. საქონელბრუნვა და გამომუშავება მოცემულია ერთი კვარტალისათვის.

ლოგარითმული მრუდის პარამეტრებს ვპოულობთ განტოლებათა შემდეგი სისტემიდან:

$$\begin{aligned} a_0 n + a_1 \sum \log x &= \sum y; \\ a_0 \sum \log x + a_1 \sum (\log x)^2 &= \sum y \log x. \end{aligned}$$

ჩავსვით ცხრილის მონაცემები:

$$\begin{aligned} 24 a_0 + 37,37 a_1 &= 152,35; \\ 37,37 a_0 + 60,145 a_1 &= 243,515. \end{aligned}$$

მოვასწოროთ  $a_0$ -ის დროს მიღებული კოეფიციენტები, რისთვისაც პირველ განტოლებას ვამრავლებთ 1,557-ზე; მივიღებთ:

$$37,37 a_0 + 56,185 a_1 = 237,209.$$

თუ მეორე განტოლებას გამოვაკლებთ ახლად მიღებულს, მივიღებთ:  $1,96 a_1 = 6,306$ , სადაც  $a_1 = 3,217$ .

პირველ განტოლებაში აღნიშნული მნიშვნელობის ჩასმით მივიღებთ:

$$24 a_0 = 152,35 - 120,22 = 32,14, \text{ სადაც } a_0 = 1,34.$$


მაშასადამე, კავშირის განტოლებას აქვს შემდეგი სახე:

$$\underline{1,34 + 3,214 \log x = y_x}$$

საქონელბრუნვა (ათას მანეთობით) $x$	გამომუშაება (ათას მანეთობით) $y$	$\log x$	$(\log x)^2$	$y \log x$	$y_x$	$y - \bar{y}$	$(y - \bar{y})^2$	$y - y_x$	$(y - y_x)^2$
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
10,2	5,1	1,0086	1,017	5,114	4,59	-1,25	1,563	0,52	0,2704
10,4	5,2	1,0170	1,035	5,268	4,61	-1,15	1,323	0,59	0,3481
15,3	5,1	1,1847	1,403	6,042	5,15	-1,25	1,563	-0,05	0,0025
16,2	5,4	1,2095	1,462	6,531	5,23	-0,95	0,9025	0,17	0,0289
20,0	5,0	1,2010	1,493	6,505	5,52	-1,35	1,823	-0,52	0,2704
20,8	5,2	1,3181	1,738	6,854	5,58	-1,15	1,323	-0,38	0,1444
22,0	5,5	1,3424	1,801	7,568	5,66	-0,85	0,7225	-0,16	0,0256
22,5	5,25	1,3522	1,828	7,099	5,69	-1,10	1,210	-0,44	0,1936
26,0	6,5	1,4150	2,002	9,193	5,89	1,15	0,0225	0,61	0,3721
33,2	5,5	1,5211	2,313	8,366	6,23	-0,85	0,7225	-0,73	0,5329
34,0	6,8	1,5315	2,345	10,414	6,27	0,45	0,2025	0,53	0,2809
34,8	5,3	1,5416	2,377	8,941	6,30	-0,55	0,3025	-0,50	0,2500
39,2	5,6	1,5933	2,543	8,921	6,47	-0,75	0,5625	-0,87	0,7569
42,0	7,0	1,6252	2,634	11,365	6,56	0,65	0,4225	0,44	0,1936
46,5	6,5	1,6580	2,749	10,777	6,67	0,15	0,0225	-0,17	0,0289

1	2	3	4	5	6	7	8	9	10
56,0	7,0	1,7482	3,035	12,237	6,96	0,65	0,4225	0,04	0,0016
64,0	8,0	1,8062	3,262	14,450	7,15	1,65	2,723	0,65	0,7225
67,5	7,5	1,5293	3,335	13,720	7,23	1,15	1,323	0,27	0,0729
69,0	6,8	1,8425	3,370	12,461	7,24	0,45	0,2025	-0,44	0,1936
69,0	6,9	1,8388	3,381	12,698	7,26	0,55	0,3025	-0,36	0,1296
72,0	7,2	1,8573	3,450	13,373	7,32	0,65	0,7225	-0,12	0,0144
78,0	7,8	1,8921	3,579	14,758	7,40	1,45	2,103	0,40	0,1600
93,6	7,8	1,9713	3,666	15,376	7,68	1,45	2,103	0,12	0,0144
94,8	7,9	1,9768	3,907	15,614	7,70	1,55	2,403	0,20	0,0400
$\Sigma$	152,35	37,37	60,145	243,515	152,55	—	15,0925	—	5,04

ამ განტოლების საფუძველზე ვანგარიშობთ  $y_x$ ,  $y$  და  $y_x$  მნიშვნელობა გრაფიკზე რომ აღენიშნოთ, დაინახავთ, რომ კავშირის თეორიულ ხაზში საკმაოდ კარგად შეიძინევა  $y$ -ის ემპირიულ მნიშვნელობათა ცვლილების ტენდენცია.



ნახ. 4. საქონელბრუნვის სიდიდეზე (x) გამყიდველის გამომუშავების (y) დამოკიდებულების გრაფიკი:

$$y = a_0 + a_1 \log x.$$

ცხრილის უკანასკნელ ოთხ სვეტში გაანგარიშებულია  $y$ -ის ემპირიულ მნიშვნელობათა გადახრები და გადახრათა კვადრატები  $y$ -ის საერთო საშუალოდან

$\left(\bar{y} = \frac{152,35}{24} = 6,35\right)$  და  $y_x$ -ის ცვლადი საშუალოდან. ამის საფუძველზე

გაანგარიშებულია დისპერსიები: საერთო ( $\sigma^2$ ) და ცვლადი საშუალოდან  $\sigma_{y_x}^2$

$$\sigma^2 = \frac{\sum (y - \bar{y})^2}{n} = \frac{15,0925}{24} = 0,63;$$

$$\sigma_{y_x}^2 = \frac{\sum (y - y_x)^2}{n} = \frac{5,04}{24} = 0,21.$$

კორელაციის კოეფიციენტი ( $R$ ), რომელიც გვიხსნიათებს კავშირის სიმკიდროვეს, ტოლია:

$$R = \sqrt{\frac{\sigma^2 - \sigma_{y_x}^2}{\sigma^2}} = \sqrt{\frac{0,63 - 0,21}{0,63}} = \sqrt{0,67} = 0,82^1,$$

ეს იმის მაჩვენებელია, რომ გამყიდველის გამომუშაებასა და მალაზიის საქონელბრუნვას შორის მჭიდრო კავშირია.

ეს ცხადყოფს, რომ კავშირის განტოლების პარამეტრები და გაანგარიშებული თეორიული დონეები შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც ნორმატივები მოცემული ერთობლიობისათვის. კერძოდ, ეს ნიშნავს, რომ გამომუშაება იზრდება საქონელბრუნვის ლოგარითმის პროპორციულად. თუ პატარა საწარმოებში (10—20 ათას მან. ბრუნვით) გამომუშაების ზრდა საქონელბრუნვის მატების 1000 მანეთზე შეადგენდა 70 მანეთს, დიდ საწარმოებში (60—90 ათასი მან. ბრუნვით) იგი საქონელბრუნვის მატების 1000 მანეთზე მცირდება 20 მანეთამდე.

<sup>1</sup> ერთობლიობის მცირე რიცხვის გამო საჭიროა კორელაციის კოეფიციენტის შესაძლო შეცდომის გაანგარიშება, რაც იქნება:

$$S_R = \frac{1 - R^2}{\sqrt{n - 1}} = \frac{1 - 0,67}{\sqrt{23}} = \frac{0,33}{4,8} = 0,07.$$

მაშასადამე, 0,683 ალბათობით შეიძლება დაემატა ცოტა, რომ კორელაციის კოეფიციენტი იმყოფება 0,82—0,07 ფარგლებში, ე. ი. შეადგენს არანაკლებ 0,75-ს.



## თავი XIII

### ვაჭრობის მატერიალური ბაზის სტატიისტიკა

#### 1. ვაჭრობის მატერიალური ბაზა და სტატისტიკის ამოცანები

ვაჭრობის მატერიალური ბაზა წარმოადგენს მატერიალურ ელემენტთა სისტემას, რომლის საშუალებით ვაჭრობა ახორციელებს საქონლის მოძრაობის ფუნქციას წარმოების სფეროდან მოხმარების სფერომდე.

ვაჭრობის მატერიალური ბაზა, პირველ ყოვლისა, შეიცავს სავაჭრო საწარმოთა ქსელს, რომელიც სპეციალიზებულია ვაჭრობის ცალკეულ სახეთა მიხედვით. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვების შესასრულებლად იქმნება დამამზადებელ საწარმოთა ქსელი. საცალო ვაჭრობაშიც საქონლის დაყვანის პროცესს მომსახურებას უწევს საბითუმო საწარმოთა სპეციალიზებული ქსელი. საცალო ვაჭრობაში იქმნება სავაჭრო საწარმოთა მეტად განშტოებული და სხვადასხვაგვარი ქსელი: საცალო საწარმოთა ქსელი, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი და საკომლემენტარული ბაზრების ქსელი.

ვაჭრობის მატერიალური ბაზა მოიცავს აგრეთვე სავაჭრო ქსელის აღჭურვას საჭირო მოწყობილობით: სამაცივრო, თბო, ტექნოლოგიური, ამწესატრანსპორტო მოწყობილობით, სასწორებით, საკასო აპარატებით და სხვა.

ბოლოს. ვაჭრობის მატერიალურ ბაზას მიეკუთვნება აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციების ტრანსპორტი.

ვაჭრობის მატერიალური ბაზა უნდა ვითარდებოდეს საქონელბრუნვის ზრდის შესაბამისად; ერთდროულად უნდა ამაღლდეს ვაჭრობის ტექნიკური დონეც—სავაჭრო ოპერაციების მექანიზაცია, სასურსათო ვაჭრობის მაცივრებით უზრუნველყოფის დონე, სავაჭრო მოწყობილობის უფრო სრულყოფილ და ხელსაყრელ სახეობათა დანერგვა და ა. შ.

ქვემოთ მოტანილია მონაცემები საქონელბრუნვისა და ვაჭრობის მატერიალური ბაზის ზრდის შესახებ 1940-1965 წლებში.

მონაცემები გვიჩვენებს საქონელბრუნვის ზრდისაგან ვაჭრობის მატერიალური ბაზის მნიშვნელოვან ჩამორჩენას. საცალო საქონელბრუნვა 1958 წელს, 1940 წელთან შედარებით, გაიზარდა შესადარ ფასებში 2,7-ჯერ, კიდევ უფრო მეტად გადიდდა სასაქონლო მარაგები: 4,9-ჯერ, ხოლო სავაჭრო საწარმოთა რიცხვი—მხოლოდ 14-32 %-ით. მატერიალური ბაზის ჩამორჩენა ვერ იქნა დაძლეული გასულ შეიღწეულ წლებში: საქონელბრუნვა ამ პერიოდში გაიზარდა 59 %-ით, სასაქონლო მარა-

	1958 წ. პრო- ცენტობით 1940 წლის მიმართ	1965 წ. პრო- ცენტობით 1958 წლის მიმართ	1965 წ. პრო- ცენტობით 1910 წლის მიმართ
საბალო საქონლებრუნვა (შესაღარ ფასებში)	274	150	435
სასაქონლო მარაგი (შესაღარ ფასებში)	486	167	815
სასაქონლო საწყობთა რიცხვი	114	106	120
საბალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი	132	129	169

გები—67 %-ით, სავაჭრო საწარმოთა რიცხვი კი—მხოლოდ 6-29 %-ით. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი მოსახლეობის 10 ათას კაცზე განგარიშებით 1940 წლის 25 ერთეულიდან გაიზარდა 35 ერთეულამდე 1965 წელს, რაც საბჭოთა ხალხის სავაჭრო მომსახურების გაუმჯობესებას მოასწავებს. მიუხედავად ამისა, სავაჭრო მომსახურების დონე ჩვენში მნიშვნელოვნად ჩამორჩება მთელ რიგ სოციალისტურ ქვეყნებს და კაპიტალიზმის ყველაზე უფრო განვითარებულ სახელმწიფოებს. სსრ კავშირში ერთ სავაჭრო საწარმოზე 1965 წელს მოდიოდა 357 მოსახლე—გაცილებით მეტი, ვიდრე უნგრეთში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, საფრანგეთში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებში.

ვაჭრობის მატერიალური ბაზის სტატისტიკის წინაშე დგას შემდეგი ამოცანები:

1. ტიპებისა და სიდიდის მიხედვით სავაჭრო საწარმოთა რიცხოვნებისა და მათი განლაგების სტატისტიკა.

2. სავაჭრო საწარმოთა ტექნიკური აღჭურვის სტატისტიკა;

3. სავაჭრო ქსელით მოსახლეობის უზრუნველყოფის დახასიათება.

ამ ამოცანებს სტატისტიკა წყვეტს ვაჭრობის ყველა სახეობასთან შეხამებით მისი სპეციფიკის გათვალისწინებით: დამუშავებულია სავაჭრო საწარმოთა კლასიფიკაცია ყოველი სახისათვის და მაჩვენებლები მათი სიდიდის დასახასიათებლად.

სავაჭრო საწარმოთა რიცხვი დგინდებოდა რომელიმე განსაზღვრული თარიღისათვის. სავაჭრო ქსელი, ჩვეულებრივ, აღირიცხება წელიწადში ორჯერ—1 ივლისისათვის და 1 იანვრისათვის.

სავაჭრო ქსელის სტატისტიკის ორგანიზაცია მოითხოვს სავაჭრო საწარმოს ცნების ზუსტ განსაზღვრას. სავაჭრო საწარმოს უმნიშვნელოვანეს ნიშანს წარმოადგენს მისი ტერიტორიალური განცალკევებულობა. ცალკეული შენობა, რომელიც განკუთვნილია დამზადების ან ვაჭრობისათვის, წარმოადგენს სავაჭრო საწარმოს; თუ მალაზიას აქვს ფილიალი, რომელიც მოთავსებულია სხვა შენობაში, მაშინ

ფილიალი აღირიცხება როგორც დამოუკიდებელი საეპარო საწარმო. ხშირად ვაჭრობისათვის გამოიყოფა არა მთელი შენობა, არამედ ცალკეული მისი სადგომი; ამ შემთხვევაში საეპარო საწარმოს ზუსტი განსაზღვრისათვის საჭიროა მოვიშველიოთ მეორე ნიშანი — ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა. თუ მალაზიას ერთსა და იმავე შემთხვევაში რამდენიმე სადგომი უკავია (თუნდაც ისინი მომიჯნავენი არ იყვნენ), მაშინ ყველა ეს სადგომი (თუნდაც ტერიტორიულად განცალკევებული, მაგრამ ადმინისტრაციულად გაერთიანებული) ერთ საეპარო საწარმოდ უნდა ჩითვალოს; თუ ერთსა და იმავე შენობაში მოთავსებული ცალკეული სადგომები სხვადასხვა მალაზიებს ეკუთვნის, მაშინ ტერიტორიულად განცალკევებული და ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი თითოეული ეს სადგომი ცალკე საეპარო საწარმოდ უნდა მივიჩნიოთ; თუ მალაზიის მიერ დაკავებულ სადგომში მოთავსებულია სხვა საეპარო ორგანიზაციის კიოსკი, ფარდული, მაშინ ეს კიოსკი ან ფარდული დამოუკიდებელი საეპარო საწარმო იქნება, რადგან ამ შემთხვევაში, მართალია, ტერიტორიული განცალკევებულობა არ არის, მაგრამ სახეზეა ადმინისტრაციულად დამოუკიდებელი ერთეული. ამრიგად, იმ საეპარო საწარმოთათვის, რომელთაც უკავიათ ცალკეული შენობები, გადამწყვეტ ნიშანს წარმოადგენს ტერიტორიული განცალკევებულობა, ხოლო იმ საეპარო საწარმოთათვის, რომლებიც მდებარეობენ შენობათა ცალკეულ სადგომებში, უნდა ავიღოთ ერთდროულად ორი ნიშანი: ტერიტორიული განცალკევებულობა და ადმინისტრაციული დამოუკიდებლობა.

ზემონათქვამის საფუძველზე საეპარო საწარმოს ცნება შეიძლება განვსაზღვროთ შემდეგნაირად: საეპარო საწარმო ეწოდება ტერიტორიულად განცალკევებულ შენობას ან სხვა შენობაში განცალკევებულ სადგომს, რომელსაც ჰყავს დამოუკიდებელი ადმინისტრაცია და განკუთვნილია საქონლის დამზადების, შენახვის, საბოლოო დამუშავების, დახარისხების, შეფუთვისა და გაყიდვისათვის.

ზოგჯერ საეპარო საწარმო ერთდროულად ახორციელებს რამდენიმე საეპარო ფუნქციას: მალაზია ან სასადილო ნაწილობრივ აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვას, დამამზადებელი პუნქტი ყიდის საქონელს კოლმეურნეობებსა და კოლმეურნეებზე, მალაზია ახორციელებს საბითუმო ვაჭრობას და ა. შ. ასეთი საეპარო საწარმო აღირიცხება ვაჭრობის ძირითადი დარგის საწარმოთა რიცხვში, რომელსაც იგი ახორციელებს. მაშასადამე, მალაზია, რომელიც აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესყიდვას და საბითუმო ვაჭრობას, აღირიცხება საცალო საწარმოთა რიცხვში და დამამზადებელ თუ საბითუმო საწარმოთა რიცხვში არ შეიტანება. მეორე მხრივ, სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოები, რომლებიც საქონელს მიჰყიდნიან მოსახლეობას საეპარო ქსელის გვერდის ავლით, არ ითვლებიან საეპარო საწარმოებად და საცალო საწარმოთა შემადგენლობაში არ აღირიცხებიან. ამავე მოსაზრებით საცალო საწარმოთა შორის არ აღირიცხებიან ატელიეები და სარემონტო სახელოსნოები.

სტატისტიკა აღრიცხავს სავაჭრო საწარმოთა მხოლოდ მოქმედ ქსელს, ამასთან დროებით დაკეტილი სავაჭრო საწარმო, მაგალითად, რემონტის ან სეზონურობის გამო, აღირიცხება მოქმედი ქსელის შემადგენლობაში. არსებული ქსელის ანგარიშგებაში არ შეიტანება მხოლოდ ისეთი საწარმოები, რომლებიც სამუდამოდ არიან დახურული ანდა გამოიყენებიან სხვა მიზნით.

## 2. დამზადების ქსელის სტატისტიკა

შესრულებული ფუნქციების ხასიათის მახედვით დამამზადებელი საწარმოები შეიძლება დაიყოს შემდეგ ტიპებად: 1) დამამზადებელ პუნქტებად; 2) დამამზადებელ საწყობებად; 3) ელევატორებად.

დამამზადებელი პუნქტები წარმოადგენს საწყობებს, რომლებიც განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების უშუალო მიღებისათვის ამ პროდუქტთა მწარმოებელთაგან (საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების, კოლმეურნეებისაგან). ეს არის პირველადი დამამზადებელი ქსელი, ძლიერ განშტოებული და ხშირად წვრილი. დამამზადებელი საწყობები და ელევატორები არის მძლავრი საწარმოები, რომლებიც ძირითადად განკუთვნილია დამამზადებელ პუნქტთა მიერ დამზადებული პროდუქტების კონცენტრაციისათვის; საწყობები და ელევატორები უმრავლეს შემთხვევაში წარმოადგენს მექანიზებულ საწარმოებს, რომლებშიც ხდება დამზადებულ პროდუქტთა შენახვა და საბოლოო დამუშავება, აგრეთვე მათი საბითუმო რეალიზაცია.

დამამზადებელ საწარმოთა სიდიდე ხასიათდება ტევადობის მაჩვენებლებით ტონობით, ე. ი. იმ პროდუქტის რაოდენობით, რომლისთვისაც გათვალისწინებულია დამამზადებელი საწარმო. ზოგ შემთხვევაში დამამზადებელი საწარმოს სიდიდე განისაზღვრება სასარგებლო ფართობით კვადრატული მეტრობით, ე. ი. ფართობით, რომელიც განკუთვნილია საქონლის შესანახად. ფართობი, რომელიც უკავია კანტორას, საყოფაცხოვრებო დაწესებულებებს და საერთო სარგებლობის ადგილებს, სასარგებლო ფართობად არ ითვლება.

დამზადების ქსელის შესწავლისას დიდი მნიშვნელობა აქვს მის განლაგებას რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, მათში კი — ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით. ამიტომ საჭიროა შედგეს ცხრილები დამამზადებელ საწარმოთა რაოდენობის შესახებ ტერიტორიული კრილით: საწარმოთა ტიპებისა და სიდიდის შესახებ მაჩვენებლებით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა შესყიდვა წარმოადგენს ვაჭრობის ისეთ დარგს, რომელიც ყველაზე მეტად ხასიათდება სეზონურობით. შესყიდვების სეზონში დამზადების ქსელის საჭიროება განსაკუთრებით მწვავედება. ამიტომ სეზონისათვის დამზადების ქსელის დროულად მოსამზადებლად, ჩვეულებრივ, გაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში, ტარდება დიდი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები. ქსელის მომზადების შესამოწმებლად ამ პერიოდში მოქმედებს სასწრაფო სატელეგრაფო ანგარიშგება შეკეთებულ დამამზადებელ საწარმოთა რაოდენობისა და სიმძლავრის შესახებ.

### მ. საბითუმო ქსელის სტატისტიკა

საბითუმო ქსელი წარმოადგენს სასაქონლო საწყობთა სისტემას, რომელიც განკუთვნილია საქონლის საბითუმო გაყიდვისათვის. ეს არის საბჭოთა ვაჭრობის მსხვილი და ტექნიკურად მეტად სრულყოფილი საწარმოები.

საბითუმო საწარმონი საქმიანობის ხასიათით ერთნაირი როლია; მის საფუძველზე ისინი იყოფა შემდეგ ტიპებად: საფაბრიკო საწყობებად, საგასავლო ბაზებად, საოლქო სავაჭრო ბაზებად.

საფაბრიკო საწყობები განკუთვნილია სამრეწველო საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქციის მისაღებად და საბითუმო კანტორების განწესთა მიხედვით მის გასაგზავნად სავაჭრო ბაზებში, აგრეთვე ტრანზიტით უშუალოდ მყიდველთა მისამართით. ანალოგიურ ფუნქციებს ასრულებს საგასავლო ბაზებიც მხოლოდ რამდენიმე სამრეწველო საწარმოს მიმართ, რომლებსაც ისინი უწევენ მომსახურებას. სავაჭრო ბაზები წარმოადგენს მსხვილ სავაჭრო საწარმოებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ საცალო ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებას.

სავაჭრო და საგასავლო ბაზებს, როგორც წესი, აქვთ რთული სასაწყობო მეურნეობა, რომელიც აერთიანებს რამდენიმე განცალკევებულ სასაწყობო ნაგებობას. ამიტომ სტატისტიკა გამოყოფს სასაწყობო მეურნეობათა აღრიცხვას და ბაზების განკარგულებაში მყოფ ცალკეულ საწყობთა აღრიცხვას.

საბითუმო საწარმოთა სიდიდე ხასიათდება იმ სასარგებლო ფართობით, რომელიც განკუთვნილია საქონლის შესანახად.

საბითუმო საწარმოთა განლაგებებს დასახსიათებლად საჭიროა შედგეს ცხრილები არსებულ საბითუმო საწარმოთა შესახებ რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით; ასეთი ცხრილები შეიცავენ მონაცემებს საწარმოთა რიცხვსა (ტიპების მიხედვით) და მათ სიდიდეებზე. რამდენადაც საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციები სპეციალიზებულ ორგანიზაციებს წარმოადგენს, ამდენად მათი საბითუმო საწარმონიც ასევე სპეციალიზებული საწარმოებია. ამიტომ ცხრილები არსებული საბითუმო ქსელის შესახებ დგება ყოველი სპეციალიზებული საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციებისათვის: ტექსტილვაჭრობის, ფესსაცემლვაჭრობის, ტანსაცმელვაჭრობის, ბაკალეასათვის და სხვა. გარდა ამისა, დგება კრებისითი ცხრილი ყველა საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციაში არსებულ საბითუმო საწარმოთა შესახებ.

საბითუმო რგოლს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქონელგამტარ ქსელში. საბითუმო ქსელში თავს იყრის საქონლის მასა, რომელიც იგზავნება საცალო ვაჭრობაში წინასწარი დახარისხებისა და რთული საქონლის სავაჭრო ასორტიმენტის შექმნისათვის. ამიტომ საბითუმო საწარმოთა ქსელის მდგომარეობა, მათი ტექნიკური აღჭურვა დიდ ყურადღებას მოითხოვს. ამ მიზანს ემსახურება საბითუმო ქსელის აღწერა ან მისი ერთდროული აღრიცხვა.

საბითუმო ქსელის ერთდროული აღრიცხვა სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ჩაატარა 1961 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. გამოკვლევის ამოცანას შეადგენდა საბითუმო საწარმოთა ოდენობისა და მათი

ტექნიკური აღჭურვილობის დახასიათება. გამოკვლევის შედეგებზე გვიჩვენა საბითუმო საწარმოთა დაქუცმაცებულობა და მათი არაღამაკმაყოფილებელი ტექნიკური აღჭურვილობა.

სულ აღირიცხა 5350 სასაწყობო სადგომი 2343 ათასი კვმ საერთო ფართობით; ერთი საწყობის საშუალო სიდიდე შეადგენდა 440 კვმ-ს. ქვემოთ მოტანილია მონაცემები საბითუმო საწყობთა დაჯგუფების შესახებ ფართობის სიდიდის მიხედვით:

საწყობთა ჯგუფები ფართობის სიდიდის მიხედვით (კვმ)	პროცენტობით ჯამის მიმართ	
	საწყობთა რიცხვი	მათი ფართობი
100-მდე	14	2
100-200	23	8
200-400	29	19
400-600	15	17
600-1000	12	21
1000-2000	5	17
2000-ზე მეტი	2	16
სულ	100	100

ეს მონაცემები მეტყველებს საბითუმო ვაჭრობის სასაწყობო ქსელის დიდ დაქუცმაცებულობაზე. საწყობთა საერთო რიცხვის ერთ მესამედზე მეტს აქვს 200 კვმ-მდე ფართობი, ამასთან მათ წილად მოდის ყველა საბითუმო ორგანიზაციის საერთო სასაწყობო ფართობის მხოლოდ 10%. საწყობთა ორი მესამედი განეკუთვნება პირველ სამ ჯგუფს, ამასთან მათი საშუალო ფართობი შეადგენს დაახლოებით 250 კვმ-ს. ეს მაჩვენებლები მიუთითებენ შედარებით წვრილ ქსელზე,

რომელიც არასაკმარისადაა მოწყობილი საქონლის მარაგის შესანახად და სადაც ძნელია სამუშაოთა მექანიზაციის განხორციელება.

საბითუმო საწყობთა ტექნიკური აღჭურვის ხარისხის დასახასიათებლად სტატისტიკა ორ მაჩვენებელს იყენებს: ამა თუ იმ მოწყობილობის მქონე საწყობთა რიცხვს და მოქმედი მოწყობილობის ერთეულთა რაოდენობას.

განვიხილოთ მონაცემები საბითუმო ბაზების ტექნიკური აღჭურვილობის შესახებ:

	მოწყობილობის მქონე საბითუმო ბაზების რიცხვი (პროცენტობით ბაზების საერთო რაოდენობასთან)	მოწყობილობის ერთეულთა საშუალო რიცხვი ერთ ბაზაზე
ვაგონეტები	4	27
ავტორიკები	2	2
ელექტრორეკები	15	6
ავტოსატვირთელები	15	2
ავტომწეები	0,7	1
კასამწეები	1	3
შტაბელდამწეები	11	5

ეს მონაცემები ჩვენი საბითუმო ქსელის მნიშვნელოვან ტექნიკურ ჩამორჩენილობაზე მეტყველებენ, ბაზების სრულიად უმნიშვნელო ნაწილს აქვს ტვირთის

ასაწვევი მოწყობილობა (საავტომობილო ამწეები — 0,7 %, კასრების ამწეები-1 %); რამდენადმე მაღალია ტვირთის გადაადგილებასთან დაკავშირებული შრომის მექანიზაცია (ვაგონეტები, ავტოურიკები, ელექტროურიკები), მაგრამ ეს დღემდე სრულად არ არის საკმარისი.

სასაწყობო სადგომთა მხოლოდ 1 პროცენტს აქვს კონვეიერები, 2 პროცენტს უბრალო ჩასაყვებები, 8 პროცენტს — ტრანსპორტიორები და მოტორიანი ამწეები. ჩვეულებრივი სატვირთო ურიკებიც კი საწყობთა საერთო რაოდენობის მხოლოდ 28 პროცენტს აქვს.

#### 4. საცალო სავაჭრო ორგანიზაციათა სასაწყობო ქსელის სტატისტიკა

საქონლის შენახვისა და ამ საქონლით სავაჭრო ქსელის მომარაგებისათვის სასაქონლო საწყობთა გაშლილი ქსელი აქვთ აგრეთვე საცალო სავაჭრო ორგანიზაციებსა და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციებს. ასეთ საწყობებს ეწოდება განმანაწილებელი საწყობები. ეს სასაქონლო საწყობები, საბითუმო საწყობებისაგან განსხვავებით, უპირატესად არასპეციალიზებული საწყობებია და განკუთვნილია არაერთი, არამედ რამდენიმე სასაქონლო ჯგუფის, ზოგჯერ კი მთელი სასურსათო საქონლის ერთად შენახვისათვის.

ანგარიშგებაში გამოიყენება საცალო ორგანიზაციების სასაქონლო საწყობთა შემდეგი კლასიფიკაცია:

##### I. საერთო სასაქონლო საწყობები:

- ა) სასურსათო;
- ბ) არასასურსათო;
- გ) შერეული.

##### II. სპეციალიზებული საწყობები:

- ა) ბოსტნეულსაცავი;
- ბ) მაცივრები;
- გ) საყინულები და სარდაფები;
- დ) მარილის;
- ე) ნავთსაცავები;
- ვ) ხე-ტყისა და სათბობის;
- ზ) საამშენებლო მასალების.

საწყობთა ყოველი ტიპის მიხედვით ხდება ორი მაჩვენებლის წარდგენა: საწყობის რიცხვისა და სასარგებლო ფართობისა, ხოლო სპეციალიზებულ საწარმთა მიხედვით — ტევადობა ტონობით.

ანგარიშგება სასაწყობო ქსელის შესახებ მუშავდება რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით. ანგარიშგება საცალო სავაჭრო ორგანიზაციების საწყობთა შესახებ არ მოიცავს მალაზიებთან არსებულ დამხმარე სადგომების ქსელს.

1966 წლის დასაწყისისათვის ვაჭრობის განკარგულებაში იყო 127 ათასი სასაქონლო საწყობი, ნაცულად 105 ათასისა 1940 წელს. ამასთან, საერთო-სასაქონლო საწყობთა რიცხვი ამ პერიოდში გაიზარდა 55 ათასიდან 69 ათასამდე, ხოლო მათი სასარგებლო ფართობი—7,8 მილიონი კვმ-დან 19,3 მილიონ კვ მეტრამდე. სპეციალიზებულ საწყობთა რიცხვმა 51 ათასი ერთეულიდან იმატა 57 ათასამდე. მათი ტევადობა კი გაიზარდა 5,4 მლნ ტონიდან 7,2 მლნ ტონამდე.

საწყობებით საცალო ვაჭრობის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მაჩვენებელს წარმოადგენს სასაწყობო მეურნეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტი, რომელიც გვიხსნაიათებს საწყობებისა და მათ მომსახურებაში მყოფი საცალო სავაჭრო ქსელის თანაფარდობას.

სიმჭიდროვის კოეფიციენტი იანგარიშება ორ ვარიანტად:

$$K_1(\text{საწყობების რიცხვის მიხედვით}) = \frac{\text{საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი}}{\text{საწყობთა რაოდენობა}}$$

$$K_2(\text{საწყობთა ფართობის მიხედვით}) = \frac{\text{საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი} \times 1000}{\text{საწყობთა ფართობი (კვადრატულ მეტრობით)}}$$

პირველი კოეფიციენტი წარმოადგენს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საშუალო რიცხვს ერთ საწყობზე გადაანგარიშებით: საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაც უფრო ნაკლები რიცხვი მოდის ერთ საწყობზე, მით უფრო მაღალია საცალო ვაჭრობის საწყობებით უზრუნველყოფის ხარისხი. მაგრამ ეს მაჩვენებელი ძალზე პირობითია, რადგან იგი მხედველობაში არ იღებს საწარმოთა სიდიდეს. ამიტომ გაიანგარიშება მეორე კოეფიციენტი, რომელიც გვიჩვენებს საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საშუალო რიცხვს სასარგებლო სასაწყობო ფართობის 1000 კვადრატულ მეტრზე გაანგარიშებით.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტროს, მუშათა მომარაგების განყოფილებებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის სასაწყობო მეურნეობის სიმჭიდროვის კოეფიციენტები გავიანგარიშეთ 1940 და 1965 წლებისათვის:

	1940 წ.	1965 წ.
საცალო ვაჭრობის საწყობთა რიცხვი (ათასობით)	105	127
ფართობი (ათას კვმ)	13000	26500
საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი (ათასობით)	450	836
სიმჭიდროვის კოეფიციენტი (საცალო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი):		
ერთ საწყობზე	4,3	6,6
სასაწყობო ფართობის 1000 კვმ-ზე	34,0	31,6



სიმქიდროვის კოეფიციენტი საწინააღმდეგო მაჩვენებლებს იძლევა: ერთ საწყობზე გაანგარიშებით სიმქიდროვის კოეფიციენტი იზრდება, ე. ი. საცალო ვაჭრობის მომსახურება გაუარესდა; 1000 კვმ-ზე გაანგარიშებით სიმქიდროვის კოეფიციენტი მცირდება, მაშასადამე, გაუმჯობესდა საცალო ვაჭრობის უზრუნველყოფა საწყობებით. ადვილი მისახვედრია, რომ საცალო ვაჭრობის საწყობებით უზრუნველყოფის სწორ დახასიათებას გვაძლევს სიმქიდროვის მეორე კოეფიციენტი. რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების, აგრეთვე სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით გაანგარიშებული სიმქიდროვის კოეფიციენტები მდიდარ მასალას იძლევა საწყობთა განლაგების თანაბარზომიერების შესაფასებლად.

საცალო ვაჭრობის სასაწყობო ქსელით უზრუნველყოფის შეფასების საშუალებას გვაძლევს სხვა მაჩვენებელიც — საცალო საქონელბრუნვის საშუალო ოდენობა, რომელიც მოდის სასაწყობო ფართობის 1 კვ მეტრზე. ეს მაჩვენებელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასარგებლო ფართობის მიხედვით საწყობთა დაჯგუფებისას; ასეთ დაჯგუფებას შეუძლია პასუხი გასცეს კითხვაზე, თუ რამდენად არის გააოყენებული სასაწყობო ფართობი სხვადასხვა სიდიდის საწყობებში.

## 5. საცალო ქსელის სტატისტიკა

საცალო ქსელი შედგება მრავალრაიონიანი საწარმოებისაგან (მაღაზიების, ფარდულების, დუქნების, კიოსკების, პავილიონების, დამტარებელი და სხვა საწარმოებისაგან), რომლებიც ერთიმეორისაგან განსხვავდება საბელწოდებით, ტიპებითა და დანიშნულებით. ერთა ჯგუფის საწარმოები წარმოადგენს მუდმივმოქმედ საწარმოებს, ხოლო მეორე ჯგუფის საწარმოები იხსნება მხოლოდ განსაზღვრულ სეზონში. ზოგიერთი საწარმო ვაჭრობს ყველა სასურსათო და არასასურსათო საქონლით, ზოგიერთი — მხოლოდ სასურსათო ან მხოლოდ არასასურსათო საქონლით, ზოგი კი — სასურსათო ან არასასურსათო საქონლის მხოლოდ განსაზღვრული ჯგუფით და ა. შ. ბოლოს, ზოგი სავაჭრო საწარმო მდებარეობს ცალკე შენობაში ან სპეციალურად მოწყობილ სადგომში, ზოგი კი ვაჭრობს დატარებით სპეციალურ მოწყობილობათა საშუალებით.

სავაჭრო საწარმოთა მთელი ეს მრავალსახეობა ანგარიშგებაში თავს იყრის კლასიფიკაციის სისტემაში, რომელიც აგებულია: ა) ორგანიზაციული ტიპის მიხედვით, ბ) სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით.

ორგანიზაციული ტიპის მიხედვით საცალო ქსელი იყოფა საწარმოთა შემდეგ ტიპებად:

1) სტაციონარული ქსელი: ა) მაღაზიები (სავაჭროები), ბ) ფარდულები (ფანჩატურები, კიოსკები);

2) მოძრავი ქსელი (დატარება).

მაღაზიებს (სავაჭროებს) მიეკუთვნება საწარმონი, რომლებსაც აქვთ სავაჭრო დარბაზი მყიდველთათვის, სადაც წარმოებს საქონლის გაყიდვა. სავაჭრო საწარმო-

ები, რომლებსაც არა აქვთ სავაჭრო დარბაზი მყიდველთათვის, მიეკუთვნება ფარდულებს (ფანჩატურებს).

საცალო ვაჭრობის ორგანიზაციის ძირითად ტიპს წარმოადგენს ვაჭრობა მაღაზიებისა და ფარდულების სტაციონალური ქსელის საშუალებით; სტაციონარული ქსელის წილად მოდის ყველა საცალო საწარმოს 90 %-ზე მეტი.

საცალო ვაჭრობის საწარმოთა ქსელი ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	საწარმოთა რაოდენობა წლის ბოლოსათვის (ათასობით)		
	1940 წ.	1950 წ.	1965 წ.
მაღაზიები	207,1	294,4	471,7
ფარდულები	100,1	117,4	171,6
ჯამი	407,2	415,8	643,3

რაგორც ზემომოტანილი მონაცემებიდან ჩანს, 1950 წლის ბოლოსათვის საცალო საწარმოთა რაოდენობა მთლიანადაა აღდგენილი, თუმცა წერილი საფარდულო ქსელის ხარჯზე; მაღაზიათა რიცხვი კი უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 1940 წელს. უკანასკნელ წლებში საცალო ქსელი იზრდება უპირა-

ტესად მაღაზიების ხარჯზე, რომლებიც წარმოადგენენ საცალო საწარმოთა ძირითად ტიპს. ამჟამად მაღაზიების წილად მოდის მთელი საცალო საწარმოების 75 %.

საცალო საწარმოთა კლასიფიკაცია ორგანიზაციული ნაშნის მიხედვით გვიხასიათებს საცალო ქსელის ორგანიზაციას რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში, აგრეთვე ქალაქებსა და სოფელ ადგილებში: სტაციონარული და მოძრავი ქსელის თანაფარდობას, მაღაზიებისა და წერილი საფარდულო ქსელის თანაფარდობას და ა. შ.

საცალო სავაჭრო საწარმოს სიდიდე ანგარიშგებაში ხასიათდება სამუშაო ადგილთა რიცხვის მაჩვენებლებით. სამუშაო ადგილი ეწოდება ადგილს, რომელიც გამოყოფილია გამყიდველისათვის და აღკურვლია საჭირო მოწყობილობით საქონლის გასაცემად (სასწორი, საკრელი, საზომი ხელსაწყოები და სხვა). სამუშაო ადგილთა რიცხვი სავაჭრო საწარმოში ყოველთვის არ ემთხვევა გამყიდველთა რაოდენობას. თუ მაღაზია მუშაობს ერთ ცვლად და ყოველ გამყიდველს აქვს ცალკე მოწყობილი ადგილი, მაშინ სამუშაო ადგილის რიცხვი ემთხვევა გამყიდველთა რაოდენობას; ერთნახევარ და ორცვლიან მაღაზიაში სამუშაო ადგილები ნაკლებია გამყიდველებზე. ზოგიერთ შემთხვევაში მაღაზიაში მოწყობილი ყველა სამუშაო ადგილი ფაქტიურად არ გამოიყენება; ეს ნიშნავს იმას, რომ მაღაზიაში არის გამოუყენებელი რეზერვი ვაჭრობის გაფართოებისათვის. სტატისტიკაში აღი-რიცხება სამუშაო ადგილთა რიცხვი, რომელზეც ნაგარაუდევია მაღაზია, ყოველ სამუშაო ადგილზე დაწესებული სათანადო მოწყობილობის პირობით.

სამუშაო ადგილთა რიცხვი გვაძლევს მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების მეტად ზუსტ დანახათებას. განვიხილოთ მონაცემები მაღაზიების საცალო ქსელისა და სამუშაო ადგილთა რიცხვის ზრდის შესახებ 1955-1965 წლებში:

	რაოდენობა წლის ბოლოსათვის		1965 წ. პროცენტობით 1955 წლის მიმართ
	1955 წ.	1965 წ.	
მაღაზიების რიცხვი (ათასობით)	552,5	471,7	124
სამუშაო ადგილთა რიცხვი (ათასობით)	535,8	1091,6	193
სამუშაო ადგილთა საშუალო რიცხვი ერთ საწარმოზე	1,66	2,31	139

მაღაზიების რიცხვი უკანასკნელ 10 წელიწადში გადიდდა 34 %-ით, ხოლო სამუშაო ადგილების ოდენობა—98 %-ით; სამუშაო ადგილთა საშუალო რიცხვი ერთ მაღაზიაზე გაიზარდა 1,66-დან 2,31-მდე, ანუ 39 %-ით. ეს ნიშნავს, რომ, თუ ადგილი არ ექნა საწარმოთა გამსხვილებას, მაშინ იმისათვის, რომ უზრუნველყოფილიყო 1965 წლის მუშაობის მოცულობა 1091,6 ათას სამუშაო ადგილით, 1966 წლის 1 იანვრისათვის უნდა გვექონოდა 660 ათასი საცალო საწარმო, ე. ი. 188 ათასით მეტი, ვიდრე იყო. ფაქტიურად.

აღწერებისა და ერთდროული გამოკვლევების ჩატარებისას მაღაზიების დაჯგუფება ხდება სამუშაო ადგილთა რიცხვის მიხედვით. მოვიტანოთ ერთდროული აღრიცხვის მონაცემები 1962 წლის 1 იანვრისათვის სახელმწიფო ვაჭრობის მიხედვით.

მაღაზიების დაჯგუფები სამუშაო ადგილთა რიცხვის მიხედვით	პროცენტობით ჯამის მიმართ		
	მაღაზიების რაოდენობა	სამუშაო ადგილთა რიცხვი	საცალო საქონელბრუნვა 1961 წლის IV კვარტალში
1	37,3	11,7	8,3
2	25,4	16,0	12,3
3	12,6	11,9	10,8
4	8,2	10,3	10,3
5	4,5	7,1	7,7
6—7	5,5	11,0	12,5
8—10	3,2	9,0	10,7
11—15	1,8	7,4	8,8
15-ზე მეტი	1,5	15,6	18,6
ჯამი	100,0	100,0	100,0

პირველ ორ ჯგუფში, 1-2 სამუშაო ადგილით, თავმოყრილია სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიების თითქმის ორი მესამედი, მაგრამ მათ წილად მთლის ყველა მაღაზიის საქონელბრუნვის მხოლოდ 20,6 %. უმაღლესი ჯგუფში, 10-ზე მეტი სამუშაო ადგილით, მოცემულია მაღაზიათა საერთო რიცხვის 3,3 %, მაგრამ მათი საქონელბრუნვა შეადგენს საქონელბრუნვის საერთო მოცულობის 27,4

პროცენტს. ეს მონაცემები მოწმობს, რომ სახელმწიფო ვაჭრობის ქსელი ძირითადად შედგება პატარა საწარმოებისაგან. უფრო მეტად ეს ეხება სამომხმარებლო კოოპერაციას, სადაც ერთ სამუშაო ადგილიან მაღაზიებს უჭირავთ ყველა მაღაზიის საერთო რიცხვის 80 პროცენტამდე.

ამ მონაცემებიდან იმ დასკვნის გაკეთებაც შეიძლება, რომ მაღაზიების ერთ-ორ ჯგუფში დიდი კონცენტრაციის გამო, მათი დაჯგუფება სამუშაო ადგილების რაოდენობის მიხედვით არ წარმოადგენს ეკონომიურ დაჯგუფებას, რომელიც ამოცანად ისახავს სწარმოთა სიდიდესა და ვაჭრობის ხარისხობრივ მაჩვენებლებს შორის კავშირითიერთობის გამოკვლევას. კერძოდ, ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერება თითქმის არ იცვლება სამუშაო ადგილთა სხვადასხვა რიცხვიან ჯგუფებში. როგორც ეტყობა, ამ დაჯგუფების ძირითადი დანიშნულება ის არის, რომ მიღებულ იქნეს მაღაზიების განაწილების მწკრივი ჯგუფთა მიხედვით, რის გამოყენებაც შეიძლება ქსელის დაპროექტების დროს.

მაღაზიის სიდიდის დასახასიათებლად სხვა ნატურალური მაჩვენებელიც გამოიყენება — მაღაზიის ფართობი. ამ ნიშანს გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს საწარმოს სიდიდის შესასწავლად. ვაჭრობის მთელი პროცენტის ორგანიზაციის ბაზას მაღაზიის ფართობი წარმოადგენს. იგი განსაზღვრავს სამუშაო ადგილთა რაოდენობას, საქონლის მარაგის შენახვას, სავაჭრო მოწყობილობის განლაგებას, სავაჭრო დარბაზის მუშაობის ორგანიზაციას, ერთი სიტყვით, ვაჭრობის პროცენტის მთელ ორგანიზაციას. განვიხილოთ მონაცემები სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიების ფართობის მიხედვით დაჯგუფების შესახებ 1962 წლის 1 იანვრის ერთდროული აღრიცხვის მონაცემთა საფუძველზე:

მაღაზიების ჯგუფების საერთო ფართობის მიხედვით (კვ²)	პროცენტობით ჯამის მიმართ			სავაჭრო დარბაზის ფართობით პროცენტობით საერთო ფართობის მიმართ	საქონლბრუნვის მაჩვენებლის 1 კვ²-ზე (მან.)
	მაღაზიების რაოდენობა	მათი საერთო ფართობი	მათი საქონლბრუნვა		
30-მდე	18,0	3,1	3,7	71	1250
30—50	22,0	7,4	7,1	63	1150
50—80	19,6	10,7	9,9	60	1150
80—110	11,1	8,9	8,5	58	1220
110—150	8,3	9,1	8,8	56	1280
150—200	6,8	11,9	9,6	55	1340
200—300	7,1	14,9	14,3	51	1590
300-ზე მეტი	7,3	36,1	38,2	48	1640
სულ	100,0	100,0	100,0	54	1380

ცხრილი გვიჩვენებს მაღაზიების უფრო თანაბარზომიერ განაწილებას ჯგუფთა მიხედვით. მაღაზიების კონცენტრაცია უფრო დაბალ ჯგუფებში გაცილებით ნაკ-

ლებია, ვიდრე სამუშაო ადგილთა რაოდენობის მიხედვით დაჯგუფებისას; თბ დაბალ ჯგუფში თავმოყრილია ყველა მაღაზიის 40%, წინააღმდეგ 62,7 %-ისა მანამდე განხილულ დაჯგუფებაში. ყურადღებას იქცევს მაღაზიების თანაბარზომიერი განაწილება საერთო ფართობისა და საქონელბრუნვის მაჩვენებლების მიხედვით. ეს გულისხმობს ამ ნიშნთა მკიდრო კავშირს.

ცხრილი სხვა კანონზომიერებათა მაჩვენებელიც არის. საეკრო დარბაზის ფართობის წილი სისტემატურად მცირდება მაღაზიების საერთო ფართობის გადიდების პირობებში. ეს იმას ნიშნავს, რომ უფრო დიდ მაღაზიებში შედარებით მეტი ფართობი გამოიყოფა საქონლის შენახვისა და საბოლოო დამუშავებისათვის, ე. ი. საბოლოო ანგარიშით მოსახლეობის ნომსახურების გასაუმჯობესებლად. დაბოლოს, რაც უფრო დიდია მაღაზიის ფართობი, მით უფრო მეტი საქონელბრუნვის დატვირთვა მოდის საეკრო დარბაზის 1 კვ.მ.-ზე. ეს მიუთითებს საეკრო დარბაზის უფრო ეფექტურ გამოყენებაზე დიდ მაღაზიებში. მაღაზიის სიდიდის დახასიათების მიზნით ფართოდაა გამოყენებული საქონელბრუნვის მაჩვენებელი. ესაა უმნიშვნელოვანესი ეკონომიური მაჩვენებელი, რომელიც უკლებს შესაძლებლობებს ქმნის ვაჭრობის ორგანიზაციის კანონზომიერებათა შესწავლისთვის და საშუალებას იძლევა დაისახოს მაღაზიების ოპტიმალური სიდიდე სხვადასხვა სახეობათა საქონლის სპეციფიკაციის მიხედვით.

განვიხილოთ ცხრილი სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიათა დაჯგუფების შესახებ 1961 წლის IV კვარტალის საქონელბრუნვის მიხედვით:

მაღაზიათა ჯგუფები საქონელბრუნვის ოდენობის მიხედვით (ათ. მან.)	მაღაზიათა რიცხვი პროცენტობით ჯამის მიმართ	საეკრო დარბაზის ფართობი პროცენტობით საერთო ფართობის მიმართ	საეკრო დარბაზის საშუალო ფართობი 1 სამუშაო ადგილზე (კვმ)	საქონელბრუნვა საეკრო დარბაზის ფართობის 1 კვ.მეტრზე (მან.)
5-მდე	4.0	64	19	131
5-10	8.4	62	19	52.4
10-15	9.7	61	19	473
15-20	8.9	59	20	605
20-40	23.2	57	19	606
40-60	12.0	56	20	9.9
60-80	7.4	55	20	113.5
80-100	4.9	54	20	125.6
100-150	7.8	53	20	133.3
150-200	4.3	52	21	156.3
200-ზე მეტი	9.4	51	19	214
სულ	100.0	54	20	1280

ამ დაჯგუფებით ხორციელდება მაღაზიების თითქმის ნორმალური განაწილება. საერთო ფართობში საეკრო დარბაზის წილისა და საეკრო დარბაზის ფართობის 1 კვ.მეტრზე საშუალო საქონელბრუნვის ცვლილების კანონზომიერება, რომელიც აღნიშნულია ფართობის მიხედვით დაჯგუფების ანალიზისას, თავს

იჩენს საქონელბრუნვის ოდენობის მიხედვით დაჯგუფების დროსაც: რაც უფრო დიდია მაღაზიის საქონელბრუნვა, მით უფრო ნაკლები წილი მოდის სავაჭრო დარბაზის ფართობზე და მით მეტია საქონელბრუნვის დატვირთვა 1 კვმ-ზე. ყურადღებას იქცევს ერთი სამუშაო ადგილისათვის სავაჭრო დარბაზის საშუალო ფართობის (დაახლოებით 20 კვმ) მაჩვენებლის სიმყარე. ეს გარემოება დამატებით არაგუმენტს წარმოადგენს იმის დასაბუთებლად, რომ მაღაზიის სიდიდის დახასიათებისათვის უპირატესობა ფართობის მაჩვენებელს უნდა მიენიჭოს.

ზემოთ მოტანილი იყო მონაცემები იმის შესახებ, რომ მაღაზიის საქონელბრუნვის მოცულობის სიდიდეზე დამოკიდებულია უმნიშვნელოვანესი ხარისხობრივი მაჩვენებლები. ყოველივე ეს საფუძველს იძლევა მივიჩნიოთ, რომ სიდიდის მიხედვით მაღაზიათა დაჯგუფების საუკეთესო ეკონომიურ ნიშანს საცალო საქონელბრუნვის მოცულობა წარმოადგენს. ცალკეული ტიპის საწარმოებში ჩატარებული დაჯგუფებანი (საქონელბრუნვის ოდენობისა და ფართობის ნიშანთა საფუძველზე) ამომწურავად გვიხსნისათვის საცალო ქსელსა და მის როლს, როგორც ვაჭრობის უმნიშვნელოვანესი ხარისხობრივი მაჩვენებლების განმსაზღვრელ ფაქტორებს.

ჩვენ განვიხილეთ საცალო ქსელის კლასიფიკაცია ორგანიზაციული ნიშნის მიხედვით.

მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საცალო ქსელის კლასიფიკაციას სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით. მაღაზიის სასაქონლო სპეციალიზაცია წარმოადგენს საცალო ვაჭრობის ორგანიზაციის უალრესად პროგრესულ მეთოდს. განსაზღვრული სასაქონლო ჯგუფის ან რამდენიმე ერთგვაროვანი სასაქონლო ჯგუფის რეალიზაციაში დასპეციალებულ მაღაზიას მთელი რიგი უპირატესობანი აქვს მყიდველების უკეთ მომსახურების საქმეში: მას გააჩნია საქონლის უფრო ფართო ასორტიმენტი, მისი გამყიდველები უფრო მეტად არიან დახელოვებული საქონელმცოდნეობაში, უკეთესად იციან თავისი ჯგუფის საქონლის სამომხმარებლო თვისებები და ამიტომ შეუძლიათ მყიდველებს გაუწიონ უფრო კვალიფიციური კონსულტაცია. ამ მიზეზთა გამო სპეციალიზებული მაღაზია უკეთაა მოწყობილი მყიდველთა მრავალმხრივი მოთხოვნების შესასწავლად.

სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიების ყველაზე ზოგადი კლასიფიკაცია სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით მოიცავს შემდეგ ჯგუფებს:

განვიხილოთ მონაცემები სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიების სპეციალიზაციაზე 1966 წლის 1 იანვრისათვის (ათასობით):

სასაქონლო სპეციალიზაციის სახეები	სპეციალიზებული მაღაზიები	არასპეციალიზებული მაღაზიები	სულ	სპეციალიზებული მაღაზიები პროცენტობით მაღაზიების საერთო რიცხვის მიმართ
სასურსათო მაღაზიები	40,2	46,9	87,1	46
ირისსურსათო მაღაზიები	55,1	20,1	75,2	73
შერეული მაღაზიები	—	21,0	21,0	—
სულ	95,3	88,0	183,3	52

სპეციალიზაციის შესაფასებლად სტატისტიკაში გაიანგარიშება განსაკუთრებული მაჩვენებელი — სპეციალიზაციის დონე შემდეგი სქემით:

$$\text{სპეციალიზაციის დონე} = \frac{\text{სპეციალიზებულ მალაზიათა რიცხვი} \times 100}{\text{მალაზიების საერთო რაოდენობა}}$$

სპეციალიზაციის დონე 1965 წელს შეადგენდა 52%-ს, წინააღმდეგ 44 %-ისა 1940 წელს და 41%-ისა 1950 წელს. ყველაზე მეტად სპეციალიზაცია გავრცელებულია არასასურსათო ვაჭრობაში, სადაც სპეციალიზაციის დონე შეადგენს 73 პროცენტს, წინააღმდეგ 46 პროცენტისა სასურსათო ვაჭრობაში. დამახასიათებელია, რომ შერეული მალაზიები სახელმწიფო ვაჭრობაში მცირდება როგორც შეფარდებითი, ისე აბსოლუტური გამოხატულებით: 1940 წლის 32 ათასიდან 29 ათასამდე 1951 წელს და 21 ათასამდე 1965 წელს.

სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციების ანგარიშგებაში მალაზიების სპეციალიზაცია შეისწავლება უფრო დეტალური სასაქონლო ნომენკლატურით. პირველ ყოვლისა, სასურსათო და არასასურსათო მალაზიები იყოფა ორ ქვეჯგუფად: ა) სპეციალიზებულ მალაზიებად, რომლებიც ვაჭრობენ ერთი ან რამდენიმე მონათესავე სახის სასურსათო ან არასასურსათო საქონლით, ბ) არასპეციალიზებულ მალაზიებად, რომლებიც ვაჭრობენ ყველა სახის სასურსათო ან არასასურსათო საქონლით. სპეციალიზებულ სასურსათო მალაზიებს განეკუთვნება: პურ-ფუნთუშეულის, საბაკალეო-გასტრონომიული, ხილ-ბოსტნეულის, სარძეო და სხვა. სპეციალიზებული არასასურსათო მალაზიები იყოფა მრავალრიცხოვან ქვეჯგუფებად: ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, საბავშვო საქონლის, კულტსაქონლის, აუჯის, წიგნების, საოჯახო საქონლის, საგალანტერეო, ტრიკოტაჟის, პარფიუმერიის, სამშენებლო მასალების მალაზიები, აფთიაქები, სანიტარულ-ჰიგიენური მალაზიები და სხვ.

გაშლილი კლასიფიკაციით ქსელის სპეციალიზაციის შესწავლა შესაძლებლობას გვძლევს დავახასიათოთ ჩვენი მიღწევები მოსახლეობის უფრო კვალიფიციური სავაჭრო მომსახურებით უზრუნველყოფაში. ასე, მაგალითად, საანგარიშგებო მონაცემები გვიჩვენებს რძისა და ხილ-ბოსტნეულის სპეციალიზებული მალაზიების მნიშვნელოვან ზრდას, რაც ცხადყოფს სახელმწიფოს მიღწევებს ამ პროდუქტებით მოსახლეობის მოპარაკების საქმეში; მნიშვნელოვანი ტემპებით იზრდება კულტსაქონლის, სამეურნეო საქონლისა და სამშენებლო მასალების სპეციალიზებული მალაზიების ქსელი, რაც ნიშნავს მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის ამაღლებას.

მალაზიების სპეციალიზაციის ანგარიშგებაში მალაზიების რიცხვთან ერთად მოტანილია მონაცემები სავაჭრო აღვილების რაოდენობისა და საქონელბრუნვის მოცულობის შესახებ. სპეციალიზებულ მალაზიებზე უფრო დაწვრილებით მასალები მოგვცა ერთდროულმა აღრიცხვამ 1964 წლის 1 იანვრისათვის. განვიხილოთ შემდეგი ცხრილი:

	მალაზიის საშუალო ფართობი (კვმ)	1961 წლის IV კვარ- ტალის საქონელბრუნ- ვის საშუალო მო- ცულობა ერთ მალა- ზიაზე (ათას მან.)	საშუალო საქონელ- ბრუნვა სავაჭრო დარბაზის ფართობის 1 კვმ-ზე (მან.)
სასურსათო მალაზიები	114	84	1452
არასასურსათო მალაზიები	129	83	1259
შერეული მალაზიები	70	41	1060
<b>ს უ ლ</b>	<b>114</b>	<b>78</b>	<b>1334</b>
სასურსათო მალაზიებში:			
სპეციალიზებული	122	86	1389
არასპეციალიზებული	107	83	1513
არასასურსათო მალაზიებში:			
სპეციალიზებული	115	61	1102
არასპეციალიზებული	128	94	1276

ეს მონაცემები მოწმობს, რომ შერეული მალაზიები წარმოადგენს ყველაზე პატარა მალაზიებს როგორც ფართობით (70 კვმ), ისე საქონელბრუნვის მოცულობით (41 ათასი მან. კვარტალში). ყველაზე დიდი ფართობი მოდის არასასურსათო მალაზიებზე—128 კვ. მეტრი, მაგრამ საქონელბრუნვის მოცულობით ისინი სასურსათო მალაზიებს ჩამორჩებიან. ამის შედეგად სავაჭრო დარბაზის ფართობი ყველაზე უფრო ეფექტიანად სასურსათო მალაზიებში გამოიყენება — 1452 მან. ერთ კვ. მეტრზე, ნაცვლად 1258 მანეთისა არასასურსათო მალაზიებში.

სპეციალიზებული სასურსათო მალაზიები სჭარბობს არასპეციალიზებულ მალაზიებს როგორც ფართობით, ისე საქონელბრუნვის მოცულობით, მაგრამ დატვირთვა სავაჭრო დარბაზის ფართობის 1 კვმ-ზე მათში ნაკლებია, ვიდრე არასპეციალიზებულ მალაზიებში. რაც შეეხება სპეციალიზებულ არასასურსათო მალაზიებს, ისინი ყველა მაჩვენებლით ჩამორჩებიან არასპეციალიზებულებს.

როგორც ნათქვამიდან ირკვევა, სასაქონლო სპეციალიზაციის ნიშნით დაჯგუფებული მალაზიების ფართობისა და საქონელბრუნვის მაჩვენებლები მნიშვნელოვნად ადვილებს სავაჭრო ქსელის მდგომარეობის ანალიზს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ მაჩვენებელთა განჯარიშება მალაზიების ცალკეულ სახეობათა სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით.

მოსახლეობის ნომსახურების გაუმჯობესების მიზნით ვაჭრობაში ინერგება პროგრესული მეთოდები: იხსნება თვითმომსახურების, დაფასობული საქონლის მალაზიები, ფართოდება ვაჭრობა საქონლის ღია გამოლაგებით, ნიმუშთა მიხედვით და სხვა. სტატისტიკა გულდასმით ადევნებს თვალყურს ვაჭრობის ამ ფორმების განვითარებას. ქვემოთ მოგვაქვს მონაცემები სახელმწიფო ვაჭრობის იმ მალაზიათა რიცხვის შესახებ, რომლებიც ვაჭრობის პროგრესულ მეთოდებს იყენებენ:



	მალაზიების რიცხვი	
	1960 წ.	1965 წ.
თვითმომსახურების სასურსათო მალაზიები	3148	5397
დაფასოებული საქონლის სასურსათო მალაზიები	544	159
მალაზია-ავტომატები	233	262
თვითმომსახურების, საწარმოს ღია გამოღებებითა და ნიმუშების მიხედვით მოვაჭრე არასასურსათო მალაზიები	4801	12825
გამჭირავებელი მალაზიები	409	963

ცხრილი გვიჩვენებს იმ მალაზიათა რიცხვის მნიშვნელოვან ზრდას, რომლებიც ვაჭრობის პროგრესულ მეთოდებს იყენებენ, მაგრამ საუკეთესოა მონაცემები, რომლებიც ასახავენ ასეთ მალაზიათა წილს მალაზიების საერთო რიცხვში. 1960 წელს თვითმომსახურების მალაზიების ოდენობა შეადგენდა სასურსათო მალაზიების საერთო რიცხვის მხოლოდ 4,5 %-ს, ხოლო 1965 წელს იგი 6,7 პროცენტამდე გადიდა. ეს მაჩვენებელი რამდენადმე უკეთესია არასასურსათო საქონლის მიხედვით: 8%-1960 წელს და 18%—1965 წელს. უნდა ვაღიაროთ, რომ ეს მაჩვენებლები სრულიადაც არაა საკმარისი. ვაჭრობის ახალმა მეთოდებმა ფართო გავრცელება ვერ პოვა სპეციალიზებულ მალაზიებს შორისაც: 1962 წლის 1 იანვრისათვის მათ წილად მოდიოდა პურ-ფუნთუხეულის მალაზიებს შორის—26%, ხილ-ბოსტნეულის მალაზიებში — 11%, საბაკალეო-გასტრონომიულში—6%, რძისა—3%, ფეხსაცმლისა—25%, საგალანტერიო-ტრიკოტაჟ-საპარფიუმერიოში — 16%, კულტსაქონლის მალაზიებში — 13 % და ა. შ.

სავაჭრო ქსელის სპეციალიზაცია სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემაშიც ხორციელდება. სპეციალიზაციის სახეობათა ნომენკლატურაში ნაკლები სიზუსტით არის დაცული სასაქონლო სპეციალიზაციის პრინციპი. სამომხმარებლო კოოპერაციის სპეციალიზებულ საწარმოთა ძირითადი ტიპებია სასურსათო მალაზიები, სოფლის და რაიონული უნივერსალები. მათ წილად მოდის სპეციალიზებული მალაზიების საერთო რაოდენობის თითქმის 70 %. იზრდება ქსოვილების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, კულტსაქონლის, წიგნების, სამეურნეო საქონლისა და საშენ მასალათა სპეციალიზებული მალაზიების ქსელი. სამომხმარებლო კოოპერაციის მალაზიათა სპეციალიზაციის საერთო დონე 1958 წელს შეადგენდა 33,5 %-ს, ხოლო 1965 წელს 48 %-მდე გაიზარდა. სახელმწიფო ვაჭრობისგან განსხვავებით, სამომხმარებლო კოოპერაციის სპეციალიზებული მალაზია ორჯერ და მეტად დიდია არასპეციალიზებულ მალაზიებზე.

სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა მომენტურ სიდიდეს წარმოადგენს. არსებული სავაჭრო ქსელის მონაცემთა დინამიკური მჭკრივებიდან შეიძლება განისაზღვროს ქსელის მატება ერთ წელიწადში, ორ წელიწადში და ა. შ.

სავაჭრო ქსელის შემადგენლობაში მომხდარ ცვლილებათა ანალიზისათვის საკმარისი არ არის მონაცემები ქსელის მატების შესახებ, საქმე ისაა, რომ ქსელის

შემადგენლობაში ხდება ცვლილებანი: იხსნება ახალი საწარმოები, მოკმედი საწარმოების ნაწილი სხვადასხვა მიზეზებით იხურება, წერილი საწარმოები ერთიანდებიან, ხდება ერთი ტიპის საწარმოს გარდაქმნა მეორე ტიპის საწარმოდ (მაგალითად, ფარდული—მაღაზიად) და ა. შ. ქსელის ამ მოძრაობას წლის განმავლობაში არსებითი მნიშვნელობა აქვს წლიური მატების შესაფასებლად.

ქსელის მოძრაობისა და მისი გადიდების წყაროთა შესწავლის მიზნით დაწესებულია სპეციალური ანგარიშგება შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

1. მაღაზიების რიცხვი წლის დასაწყისისათვის.
2. გადიდება წლის განმავლობაში სულ.

მათ შორის:

- ა) ახალმშენებლობათა ხარჯზე;
- ბ) ახალმშენებლობათა პირველი სართულების მოწყობის ხარჯზე;
- გ) უწყება-ორგანიზაციათა მიერ გამოყოფილი სადგომების მოწყობის ხარჯზე;
- დ) წინათ არადანიშნულებისამებრ დაკავებულ სავაჭრო სადგომთა ათვისების ხარჯზე;
- ე) ერთი ტიპის საწარმოს მეორე ტიპად გარდაქმნის ხარჯზე;
- ვ) სხვა სავაჭრო ორგანიზაციებისაგან მიღების ანგარიშზე.

3. შემცირება წლის განმავლობაში სულ

მათ შორის:

- ა) ლიკვიდირებულია (დახურულია);
- ბ) საწარმოთა ერთი ტიპის მეორე ტიპად გარდაქმნასთან დაკავშირებით;
- გ) გადაკუმულია სხვა სავაჭრო ორგანიზაციათათვის;
- დ) ქსელის გამსხვილება.

4. მაღაზიების რიცხვი წლის ბოლოსათვის.

ანგარიშგება დგება ქსელის მოძრაობის ბალანსის ფორმით: სახეზე მყოფ საწარმოთა რიცხვს წლის დასაწყისისათვის პლუს გადიდება წლის განმავლობაში, უდრის შემცირება წლის განმავლობაში პლუს სახეზე მყოფ საწარმოთა რიცხვი წლის ბოლოსათვის.

ამასთანავე, ბალანსის შემაჯამებელ (1, 2, 3, 4) სტრიქონებში, ახალი მშენებლობის ანგარიშზე ქსელის მატებასა (2ა) და ახალ შენობათა პირველი სართულების მოწყობაში (2ბ) მოჰყავთ მონაცემები სამუშაო ადგილების რიცხვის შესახებ.

ამ ფორმაში განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მონაცემები ქსელის გადიდების შესახებ ახალ მშენებლობათა და ახალ შენობებში პირველ სართულთა მოწყობის ხარჯზე; ეს ორი წყარო სავაჭრო ქსელს აფართოებს მეტად ძვირფასი და საუკეთესოდ მოწყობილი საწარმოებით.

ქსელის შემცირების განაყოფში მოცემულია მაჩვენებელი ლიკვიდირებულ (დახურულ) საწარმოთა რიცხვის შესახებ. გულდასმით უნდა მოხდეს მონაცემთა ანალიზი საწარმოთა ლიკვიდაციის შესახებ, რადგან ორი სხვა მაჩვენებელი — „საწარმოთა ერთი ტიპის მეორე ტიპად გარდაქმნასთან დაკავშირებით“ და „გადა-

ცემულია სხვა სავაჭრო ორგანიზაციათათვის“ — მთლიანად რესპუბლიკაში, მხარესა და ოლქში ურთიერთგაწონასწორდება ანალოგიურ მაჩვენებელთა ანგარიშზე ქსელის გადიდების განაყოფში. ამრიგად, თუ კრებსიდან გამოვრიცხავთ ამ ორ ურთიერთმაკორესპონდირებელ მაჩვენებელს ქსელის გადიდებისა და შემცირების განაყოფთა მიხედვით, მაშინ ქსელის შემცირების განაყოფში დარჩება მხოლოდ ძირითადი მაჩვენებელი — „ლიკვიდირებულია (დახურულია)“ და, გარდა ამისა, ლიკვიდირებულია ქსელის გამსხვილებასთან დაკავშირებით, ხოლო ქსელის გადიდების განაყოფში — ხუთი მაჩვენებელი (II. „ა“, „ბ“, „გ“, „დ“, „ე“). ამ მაჩვენებლების თანაუარღობა განსაზღვრავს ქსელის საერთო მატებისა და ქსელის შევსების წყაროთა სტრუქტურას.

განვიხილოთ მონაცემები სახელმწიფო ვაჭრობის მალაზიების ქსელის მოძრაობის შესახებ 1965 წელს:

	მალაზიების რაოდენობა	სამუშაო ადგილების რიცხვი მალაზიებში	სამუშაო ადგილითა სამუშაო რაოდენობა ერთ მალაზიაზე	განსწრული მალაზიების რიცხვი პროცენტობით დახურულთა და ლიკვიდირებულთა მიმართ
გადიდება წლის განმავლობაში	21115	63728	3,97	140
მათ შორის ახალ მშენებლობათა ანგარიშზე	8799	28499	3,24	58
ახალმშენებლობათა პირველი სართულების მოწყობა	2435	17629	7,24	16
უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ გამოყოფილ სადგომთა მოწყობა	4648	6576	1,48	30
არადანიშნულებისამებრ დაკავებული სავაჭრო სადგომების ათვისება	833	1337	1,60	6
შემცირება წლის განმავლობაში	15204	23771	1,57	100
მათ შორის ლიკვიდირებულია	10418	16243	1,56	—
მატება წლის განმავლობაში	5911	61888	—	—

ცხრილი ვაჭმენდილია ურთიერთმაკორესპონდირებელი მუხლებისაგან ქსელის მიღება-გადაცემისა და ერთი ტიპიდან მეორეში გადასვლის მიხედვით. მონაცემები ცხადყოფს, რომ წლის განმავლობაში გაიხსნა 21115 ახალი მალაზია, მაგრამ ამავე დროს ლიკვიდირებულ და დახურულ იქნა 15204; ამრიგად, მალაზიების რიცხვის წმინდა მატება წლის განმავლობაში შეადგენდა 5911 ერთეულს. როგორ ანაზღაურდა მალაზიების ლიკვიდირებული ქსელი? ამ კითხვაზე პასუხობს ცხრილის უკანასკნელ სვეტში მოთავსებული მონაცემები. ლიკვიდირებული და დახურული მალაზიების რიცხვს თუ 100%-ად მივიღებთ და მას შევუდარებთ მონაცემებს მალაზიების რაოდენობის გადიდებაზე ცალკეული წყაროების მიხედვით, აღმოჩნდება შემდეგი: ლიკვიდირებული და დახურული მალაზიები 58 %-ით

ყოფილა ანაზღაურებული ახალ-მშენებლობათა, ხოლო 16 %-ით — ახალმშენებლობებში პირველ სართულთა მოწყობის საფუძველზე. ამრიგად, დახურული და ლიკვიდირებული მალაზიების 74 პროცენტი ანაზღაურდა ახალი, სპეციალურად მოწყობილი და უაღრესად სრულყოფილი საწარმოების საექსპლოატაციოდ გადაცემის ხარჯზე. გარდა ამისა, ეს მონაცემები გვიჩვენებს, რომ იხურება წვრილი მალაზიები, რომლებსაც აქვთ საშუალოდ 1,57 სამუშაო ადგილი, ხოლო იხსნება უფრო მახვილი საწარმოები — საშუალოდ 3,97 სამუშაო ადგილით. უფრო მსხვილი საწარმოები მოდის ახალმშენებში პირველი სართულების მოწყობის ანგარიშზე — 7.24 სამუშაო ადგილით.

აზრივად, მონაცემები ქსელის მოძრაობის შესახებ ცხადყოფს საეაქრო ქსელის განახლებასა და სრულყოფას.

მოსახლეობის საეაქრო ქსელით უზრუნველყოფის ხარისხი შეისწავლება სპეციალური მაჩვენებლის — საეაქრო ქსელის სიმჭიდროვის კოეფიციენტის მეშვეობით, რომელიც გვიხასიათებს საეაქრო საწარმოთა რიცხვისა და მოსახლეობის რაოდენობის ახ ტერიტორიის სიდიდის თანაფარდობას. სიმჭიდროვის კოეფიციენტები გაიანგარიშება როგორც მოსახლეობასთან, ისე ტერიტორიასთან შეფარდებით შემდეგი სქემების მიხედვით:

$$K_{\text{ქსელის სიმჭიდროვის მაჩვენებელი}} = \frac{\text{საეაქრო ქსელის საწარმოთა რიცხვი} \times 10\,000}{\text{მოსახლეობის რიცხვი}} = \\ = \text{საეაქრო საწარმოთა საშუალო რიცხვს მოსახლეობის 10\,000 კაცზე}$$

$$K_{\text{ქსელის სიმჭიდროვის ტერიტორიის მაჩვენებელი}} = \frac{\text{საეაქრო ქსელის საწარმოთა რიცხვი} \times 1000}{\text{ტერიტორიის ფართობი (კვ კმ-ით)}} =$$

= საეაქრო საწარმოთა საშუალო რიცხვს 1000 კვკმ-ზე.

საეაქრო საწარმოთა რაც უფრო მეტი რიცხვი მოდის მოსახლეობის 10 000 კაცზე ან ტერიტორიის 1000 კვკმ-ზე, მით უკეთესადაა უზრუნველყოფილი მოსახლეობა საეაქრო ქსელით: 1940 წელს მოსახლეობის 10000 კაცზე მოდიოდა 21 საეაქრო საწარმო, ხოლო 1965 წელს — 28. სიმჭიდროვის კოეფიციენტები განისაზღვრება რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების მიხედვით. ამასთან, რამდენადაც საწარმოთა რიცხვი აღირიცხება წლის ბოლოსათვის, მოსახლეობის რაოდენობაც წლის ბოლოსათვის უნდა იქნეს აღებული.

გაიანგარიშება აგრეთვე მოსახლეობის მიმართ სიმჭიდროვის შეზღუდვებული კოეფიციენტი, ე. ი. მოსახლეობის საშუალო რიცხვი, რაც მოდის ერთ საეაქრო საწარმოზე; მოსახლეობის რაც უფრო ნაკლები რიცხვი მოდის ერთ საწარმოზე, მით უკეთესაა უზრუნველყოფილი მოსახლეობა საეაქრო ქსელით.

ჩვენ მოვიტანეთ ქსელის სიმჭიდროვის კოეფიციენტთა გაიანგარიშების სქემები საწარმოთა რიცხვის მიხედვით; ქსელის უფრო ზუსტ დახასიათებას გვაძლევს სიმჭიდროვის მაჩვენებელი, განსაზღვრული სამუშაო ადგილთა რაოდენობის მიხედვით: სამუშაო ადგილთა საშუალო რიცხვი მოსახლეობის 10000 კაცზე ან ტერიტორიის 1000 კვკმ-ზე.

## 6. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის სტატისტიკა

საზოგადოებრივი კვების ქსელი შედგება მრავალრიცხოვანი საწარმოებისაგან, რომლებიც განსხვავდება სასელწოდებით, ტიპით და დანიშნულებით. საზოგადოებრივი კვების საწარმოები აღირიცხება შემდეგი ტიპური კლასიფიკაციის მიხედვით:

1. ფაბრიკა-სამზარეულოები, ფაბრიკა-დამამზადებლები;
2. სასადილოები და რესტორნები;
3. საჩაიეები;
4. სასაუზმეები.

ფაბრიკა-სამზარეულოებს მიეკუთვნება მსხვილი საწარმოები, რომლებიც აწარმოებენ ნახევარფაბრიკატებს საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოების მოსამარაგებლად, აგრეთვე ამზადებენ მზა პროდუქციას მოსახლეობისათვის მისაყიდად საკუთარ სასადილო დარბაზებში. ფაბრიკა-სამზარეულოების გვერდით არსებობს ფაბრიკა-დამამზადებლები, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ნახევარფაბრიკატების დამამზადებელ საწარმოებს საზოგადოებრივი კვების სხვა საწარმოთა მოსამარაგებლად. ფაბრიკა-სამზარეულოები და ფაბრიკა-დამამზადებლები წარმოადგენენ მაღალმექანიზებულ საწარმოებს, რომლებიც აღჭურვილია სხვადასხვა მექანიკური მოწყობილობით ნედლეულის დასამუშავებლად და ტექნიკური მოწყობილობით საქმლის მოსამზადებლად.

სასადილოები და რესტორნები წარმოადგენენ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ძირითად ტიპს, რომელიც საქმელს ამზადებს და მიჰყიდის მოსახლეობას სასადილო დარბაზებიდან. სასადილოებსა და რესტორნებს აქვთ სამზარეულო, სადაც ხდება საკუთარი წარმოების პროდუქციის მომზადება, სასადილო დარბაზი, სადაც რეალიზაცია უკეთდება საკუთარი წარმოების სასადილო პროდუქციას, და ბუფეტები, სადაც ძირითადად სორციელდება შესყიდული საქონლისა და საკუთარი წარმოების საუზმეების რეალიზაცია. სასადილოებს მიეკუთვნება საჩაიეებიც, რომლებსაც აქვთ სამზარეულო სადილებისა და საუზმეების დასამზადებლად.

საჩაიე არის სასაუზმის ტიპის საწარმო, რომელიც ძირითადად აწარმოებს შესყიდული საქონლისა და სხვადასხვა საუზმეების რეალიზაციას. საჩაიეები უმთავრესად იხსნება სოფლად.

სასაუზმეები წარმოადგენენ საწარმოებს, რომლებიც მოსახლეობას უზრუნველყოფენ არა სასადილო პროდუქციით, არამედ ცხელი და ცივი საუზმეებით; სასაუზმეებს მიეკუთვნებიან ბუფეტები, კაფეები, სამწვადეები, საღვებულებები და ა. შ.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელი ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

	საწარმოთა რაოდენობა წლის ბოლოსათვის (ათასობით)		
	1940 წ.	1950 წ.	1965 წ.
ფაბრიკა — სამზარეულოები	0,133	0,092	0,187
სასადილოები და რესტორნები	44,5	31,0	96,7
სასაუზმეები და ბუფეტები	43,0	64,3	95,8
<b>სულ</b>	<b>87,6</b>	<b>95,4</b>	<b>192,7</b>

საზოგადოებრივი კვების ქსელის გაშლა ძირითადი ტიპების მიხედვით ხდება არათანაბარზომიერად: 1940—1950 წლებში ქსელის ზრდა ხორციელდება სასაუზმეებისა და საჩაიების ხარჯზე, მაშინ როცა სასადილოებისა და რესტორნების რიცხვი ამ პერიოდში შემცირდა. 1950—1965 წლებში ქსელი იზრდება უპირატესად სასადილოებისა და რესტორნების ხარჯზე. ერთდროულად მიმდინარეობს ფაბრიკა-სამზარეულოების აღდგენა.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა შესწავლისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქსელის განაწილებას მომსახურე საწარმოთა და დაწესებულებათა ჯგუფების მიხედვით. განვიხილოთ 1963 წლის მონაცემები:

	საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რიცხვი (ათასობით)	პროცენტობით ჯამის მიმართ
სიმრეწველო საწარმოები	47,7	24
სისწავლო დაწესებულებანი და სკოლები	55,9	25
პარკები, ბაღები, სტადიონები, თეატრები	6,7	5
დაწესებულებანი დანარჩენი	8,1	6
<b>ჯამი</b>	<b>141,9</b>	<b>100</b>

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა უმრავლესობა მოწყობილია მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლეთა უშუალოდ წარმოების ან სწავლის ადგილზე მომსახურებისათვის. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა საერთო რიცხვში ასეთ ქსელს 70% უჭირავს, საერთო სარგებლობის სხვა საწარმოთა წილად კი 30% მოდის. საზოგადოებრივი კვების საწარმოთა უდიდესი ნაწილი თვითმომსახურების სისტემაზეა გადაყვანილი. ეს ქსელი საწარმოთა საერთო რიცხვის დაახლოებით 90%-ს შეადგენს. უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად განვითარდა საოჯახო სამზარეულოთა ქსელი, რომელთა საშუალებით საზოგადოებრივი კვება მომხმარებელთა ოჯახებს უახლოვდება: 1965 წელს საოჯახო სამზარეულოთა ქსელი 1,5 ათას ერთეულზე მეტი იყო.

სტატისტიკის ამოცანაა შეისწავლოს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მოცულობა და მასზე მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების დამოკიდებულება.

საწარმოთა მოცულობის შესწავლა რამდენიმე ნიშნის მიხედვით წარმოებს. ესენია: საქონელბრუნვის ოდენობა, ფართობი და ადგილთა რიცხვი. სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ჩაატარა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ერთდროული აღრიცხვა 1963 წლის 1 აპრილისათვის. განვიხილოთ სახელმწიფო ვაჭრობის სასაიდლოების, საოჯახო სამზარეულოებისა და საჩაიების დაჯგუფება 1963 წლის I კვარტალის საქონელბრუნვის ოდენობის მიხედვით:

ჯგუფები საქონელ- ბრუნვის მიხედვით (ათას მან.)	საქონელბრუნვა საშუალოდ (მან.)		კერაების გამოშვება საშუალოდ	
	ერთ დასაჯ- ლომ ადგილზე	სასაიდლო დარბაზის 1 კემ-ზე	ერთ დასაჯ- ლომ ადგილზე	სასაიდლო დარბაზის 1 კვ მეტრზე
მ-მდე	54	89	261	206
3-4,5	104	79	402	305
4,5-6,0	126	95	468	354
6,0-7,5	148	109	528	389
7,5-10,0	1-2	126	664	454
10-15	2-7	151	892	563
15-25	318	194	1121	672
25-45	445	253	1440	819
45-75	598	327	1782	973
75-120	719	400	2033	1130
120-ზე მეტი	940	504	2114	1134
<b>ჯ ა მ ი</b>	<b>401</b>	<b>245</b>	<b>1220</b>	<b>746</b>

ცხრილი გვიჩვენებს მკიდრო კავშირს, რომელიც არსებობს საქონელბრუნვის მიხედვით საწარმოს მოცულობის ცვალებასა და ფართობის ერთეულზე (ერთ ადგილზე) საქონელბრუნვის სიდიდეს, აგრეთვე კერძების გამოშვებას შორის. რაც უფრო დიდია საწარმოს საქონელბრუნვის მოცულობა, მით უფრო მეტია საქონელბრუნვა, კერძების გამოშვება ერთ ადგილზე და სასაიდლო დარბაზის ფართობის 1 კვ მეტრზე. ეს მონაცემები ფართობისა და ადგილების გამოყენების ეფექტიანობის მაჩვენებელია, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის გაშლის დროს. ასეთივე კავშირი იჩენს თავს საქონელბრუნვის მიხედვით საწარმოს სიდიდესა და შრომის ნაყოფიერებას შორის. ამრიგად, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა დაჯგუფებას საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით, ისევე როგორც ამავე ნიშნით საცალო ქსელის დაჯგუფებას, დიდი მნიშვნელობა აქვს საზოგადოებრივი კვების ქსელის განვითარებაში კანონზომიერებათა შემეცნებისათვის.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის სიმკიდროვის მაჩვენებელთა გაანგარიშება ისევე ხდება, როგორც საცალო საწარმოთა ქსელისა: მოსახლეობის 10 000 კაცზე და ტერიტორიის 1000 კვ კმ.ზე გაანგარიშებით.

სავაჭრო ქსელის ტექნიკური აღჭურვის სტატისტიკა

კულტურული ვაჭრობის გაშლა მოითხოვს სავაჭრო ტექნიკის გამოყენების დონის მკვეთრ ამაღლებას. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მოვახდინოთ შრომის მექანიზაცია ვაჭრობაში, ავამაღლოთ ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერება და გავაუმჯობესოთ მომხმარებლის მომსახურების ხარისხი. სავაჭრო ქსელი უნდა აღჭურვოს თანამედროვე მაღალნაყოფიერი მოწყობილობით.

სავაჭრო მოწყობილობა შეიძლება დავეყოთ შემდეგ ძირითად ჯგუფებად:

- ა) სამაცივრო მოწყობილობა;
- ბ) სათბობი მოწყობილობა;
- გ) ტექნოლოგიური მოწყობილობა;
- დ) სასასწორო მეურნეობა;
- ე) საკასო მოწყობილობა;
- ვ) ამწე-სატრანსპორტო მოწყობილობა.

სტატისტიკის ამოცანა მდგომარეობს სავაჭრო მოწყობილობის ცალკეულ სახეობათა აღრიცხვასა და სავაჭრო ქსელის სავაჭრო მოწყობილობით უზრუნველყოფის დონის დახასიათებაში. სავაჭრო მოწყობილობა აღირიცხება ყოველი ჯგუფისათვის მოწყობილობის სპეციალიზებული ნომენკლატურით მოწყობილობის ცალკეული სახეების მიხედვით. აღრიცხვისას მთელი მოწყობილობა იყოფა დადგმულ და დაუდგმულ მოწყობილობად. დადგმულია მოწყობილობა, რომელიც მოწყობილია სამუშაო აღვილზე ელექტროქსელთან, წყალსადენთან შეერთების ჩათვლით და სხვა. დაუდგმელ მოწყობილობად ითვლება მოქმედი, აგრეთვე შეკეთების პროცესში მყოფი მოწყობილობა. დაუდგმელია მონტაჟის პროცესში მყოფი მოწყობილობა, აგრეთვე მოწყობილობის მარაგი, რომელიც იმყოფება საწყობებში. დადგმული და დაუდგმელი მოწყობილობის თანფარდობა გვიხასიათებს გამოუყენებელი მოწყობილობის წილს.

განვიხილოთ სახელმწიფო ვაჭრობის სამაცივრო მოწყობილობით აღჭურვის მონაცემები 1950 და 1965 წლებში:

	საქალაქური ვაჭრობის საწარმოებში		საზოგადოებრივი კვების საწარმოებში	
	1950 წ.	1965 წ.	1950 წ.	1965 წ.
დადგმული სამაცივრო მოწყობილობა: სამაცივრო მანქანები	2390	23062	1038	17921
სამაცივრო კარადები კომპრესორებით	1857	50692	1397	79620
სამაცივრო დახლები კომპრესორებით	292	96929	78	55433
სამაცივრო დახლებზეთა ვიტრინები კომპრესორებით	32	20548	25	7522
სამაცივრო მოწყობილობით აღჭურვილი საწარმოთა წილი პროცენტებით მლ- ფუტეზადი საქონლით მოვაჭრე ყველა საწარმოს საერთო რიცხვის მიმართ	28,3	81,2	17,1	76,3



მონაცემები გვიჩვენებს ყველა სახის სამაცივრო მოწყობილობის მნიშვნელოვან ზრდას როგორც საცალო ქსელში, ისე საზოგადოებრივი კვების საწარმოებში. ცხრილში მოტანილია მონაცემები სამანქანო-სამაცივრო მოწყობილობის ძირითად სახეობა შესახებ, რომლებიც წარმოადგენს სამაცივრო მეურნეობის ყველაზე სრულყოფილ სახეებს; გარდა ამისა, საეპრო საწარმონი იყენებენ მარტივ სამაცივრო მოწყობილობებსაც: საყინულეები, სარდაფები, აბაზანები და სხვა.

სასურსათო ვაჭრობის სამაცივრო მოწყობილობით მომარაგების ხარისხი ხასიათდება მაცივრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტით, რომელიც გაიანგარიშება შემდეგი სქემის მიხედვით:

$$K_{\text{მაცივრებით უზრუნველყოფისა}} = \frac{\text{საწარმოთა რიცხვი, რომელთაც აქვთ სამაცივრო მოწყობილობა X 100}}{\text{საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ვაჭრობენ მალეუქვებადი საქონლით}}$$

მაცივრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტი საცალო ვაჭრობაში 1950 წლის 28 %-დან ამაღლდა 81 %-მდე 1965 წელს და საზოგადოებრივ კვებაში — შესაბამისად 17-დან 76 %-მდე.

როგორც უკვე ითქვა, სამაცივრო მეურნეობის ტექნიკურად უფრო სრულყოფილ სახეს წარმოადგენს სამანქანო-სამაცივრო მოწყობილობა. სამანქანო მოწყობილობისა და უმარტივეს სამაცივრო საშუალებათა თანაფარდობა გვიხასიათებს სამაცივრო მეურნეობის ტექნიკურ დონეს, რომელიც დადგინდება შემდეგი სქემის მიხედვით:

$$\text{სამაცივრო მეურნეობის ტექნიკური დონე} = \frac{\text{საწარმონი, რომლებიც აღჭურვილია სამანქანო-სამაცივრო მოწყობილობით X 100}}{\text{საწარმონი, რომლებიც აღჭურვილია ყველა სახის სამაცივრო მოწყობილობით და უმარტივეს სამაცივრო საშუალებებით}}$$

1950 წელს მალაზიების წილად, რომლებიც აღჭურვილი იყო სამანქანო სამაცივრო მოწყობილობით, მოდიოდა სამაცივრო მეურნეობის მქონე ყველა მალაზიის 56 %. დღეისათვის ყინულ-მარილით გაციების მარტივ დანადგართა რიცხვი სახელმწიფო ვაჭრობაში მკვეთრად შემცირდა და შეიცვალა მანქანური დანადგარებით.

ქვემოთ მოტანილია მონაცემები თბური მოწყობილობის რაოდენობის შესახებ სახელმწიფო ვაჭრობის საზოგადოებრივი კვების საწარმოებში 1950 და 1965 წლებში:

	1950 წ.	1965 წ.
1. საკმლის მოსახარში ქვაბები	2:06	4(5)6
მათ შორის:		
ელექტრონის	—	31154
გაზის	335	1554

	1950 წ.	1965 წ.
ორიკლის ელექტრონისა და გაზის წილი ქვაბების საერთო რაოდენობაში (პროცენტობით)	1823	6006
2. ფილაქურები მათ შორის:	21825	76511
ელექტრონის გაზის	436	49216
ცეცხლის ელექტრონისა და გაზის წილი ფილაქურების საერთო ოდენობაში (პროცენტობით)	763	16492
3. განუწყვეტელი მოქმედების მალულარები მათ შორის:	20636	10803
ელექტრონის გაზის	6	16
ცეცხლის ელექტრონისა და გაზის წილი მალულარების საერთო რიცხვში (პროცენტობით)	6504	65436
4. ელექტრონის მარმიტები კერძების შესაბამისად	225	56873
5. ელექტროტაფები	244	6106
6. ელექტროკარადები (მოსახარაკი და საკონდიტრო)	5825	2457
	7	96
	97	54190
	425	25323
	276	26183

სათბობი მოწყობილობის მნიშვნელოვან განვითარებას ადგილი აქვს ყველა სახეობის მიხედვით, მაგრამ უპირატესი ზრდა ხდება მოწყობილობის უფრო სრულყოფილი სახეების — ელექტრონისა და გაზის დანერგვის ხარჯზე. ელექტრონისა და გაზის მოწყობილობის წილი საკმლის მოსახარაკში ქვაბების მიხედვით 1950 წლის 11 %-დან გაიზარდა 81 %-მდე 1965 წელს; ფილაქურების მიხედვით — 6-დან 86 %-მდე; განუწყვეტელი მოქმედების მალულარების მიხედვით — 7-დან 96 %-მდე; ელექტრონის მარმიტები კერძების გათბობისათვის თითქმის ერთადერთ მოწყობილობად იქცა. ეს მონაცემები ცხადყოფს სათბობი მეურნეობის ტექნიკური დონის ამოღებას საზოგადოებრივ კვებაში.

ტექნოლოგიური მოწყობილობის შესწავლა საზოგადოებრივი კვების საწარმოებში ტარდება დაწვრილებითი ნომენკლატურით: უნივერსალური ამქრავები მანქანების კომპლექტით, კარტოფილის საფცქვნიელები, ბოსტნეულსაჭრელები, სახეხი მანქანები, ხორცსაჭრელები, ცომსახელი მანქანები, პურსაჭრელები და სხვა. მოწყობილობის ზოგიერთი სახეობის მიხედვით ხდება არა მარტო სახეზე მყოფი მოწყობილობის, არამედ იმ საწარმოთა რიცხვის გამოთვლაც, რომელთაც აქვთ ამა თუ იმ სახის მოწყობილობა; ეს მონაცემები შესაძლებლობას გვაძლევს დავადგინოთ საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ამა თუ იმ სახის მოწყობილობით აღჭურვის დონე.

### 8. საკოლმეურნეო ბაზრების სტატისტიკა

საკოლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვის ძირითადი ნაწილი მოდის საქონლის გაყიდვაზე საკოლმეურნეო ბაზარზე. საკოლმეურნეო ბაზარი წარმოადგენს

სპეციალურად მოწყობილ საბაზრო ტერიტორიას, ჩვეულებრივ, შეზღოვბილს, სადაც კოლმეურნეობები და კოლმეურნეები მიჰყიდიან თავიანთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს მოსახლეობას. სტატისტიკის ამოცანას შეადგენს აღრიცხოს საკოლმეურნეო ბაზრების რაოდენობა, მათი ტექნიკური აღჭურვა და კეთილმოწყობა; ასეთი აღრიცხვა ტარდება პერიოდულად, დაახლოებით ხუთ წელიწადში ერთხელ.

ამჟამად აღრიცხულია დაახლოებით 8 ათასი საკოლმეურნეო ბაზარი, აღრიცხვის დროს საკოლმეურნეო ბაზრები იყოფა ჯგუფებად იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი კოლმეურნე ყიდის პროდუქტებს: I ჯგუფს მიეკუთვნება ბაზრები, სადაც კოლმეურნე-გამყიდველთა რიცხვი არ აღემატება 1,5 ათას კაცს თვეში, II ჯგუფს — 1,5 ათასიდან 4 ათას კაცამდე, III ჯგუფს — 4 ათასიდან 10 ათას კაცამდე, IV ჯგუფს — 10 ათასიდან 15 ათას კაცამდე, V ჯგუფს — 15 ათასიდან 25 ათას კაცამდე, VI ჯგუფს — 25 ათასიდან 45 ათას კაცამდე, VII ჯგუფს — 45 ათასიდან 65 ათას კაცამდე და VIII ჯგუფს — 65 ათას კაცზე მეტი. პირველი სამი ჯგუფის ბაზრები (10 ათასამდე კოლმეურნით) წარმოადგენს პატარა ბაზრებს, IV და V ჯგუფები მიეკუთვნება საშუალო ბაზრებს, ხოლო VI-VIII ჯგუფები — მსხვილ ბაზრებს. საკოლმეურნეო ბაზრების ძირითადი ნაწილი მოდის პირველი სამი ჯგუფის (პატარა) ბაზრებზე; მსხვილი ბაზრები მოწყობილია საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში. საკოლმეურნეო ბაზრების დაჯგუფებას კოლმეურნე-გამყიდველთა მიხედვით დიდი მნიშვნელობა აქვს საკოლმეურნეო ვაჭრობის მაჩვენებლების შესწავლის დროს როგორც საქონლებრუნვის სიდიდის, ისე ბაზრების ტექნიკური აღჭურვისა და მათი კეთილმოწყობის მიხედვით.

საკოლმეურნეო ბაზრების ტექნიკური აღჭურვილობის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს წარმოადგენს სავაჭრო ადგილთა რაოდენობა პროდუქტთა გასაყიდად-სტატისტიკა სწავლობს სავაჭრო ადგილთა რიცხვს შემდეგი ჯგუფების მიხედვით: ვაჭრობა პავილიონებში, ე. ი. დახურულ სადგომებში, დახურულ მაგიდებთან და ღია მაგიდებთან; უფრო პროგრესულია ვაჭრობის ორგანიზაცია დახურულ პავილიონებში. სავაჭრო ადგილთა თანაფარდობა ასეთი დაჯგუფების დროს გვიჩვენებს საკოლმეურნეო ვაჭრობის ორგანიზაციის დონეს ბაზრებში. უკანასკნელ წლებში ფართოდ ვრცელდება დახურული ბაზრების მშენებლობა, სადაც მთელი ვაჭრობა რამდენიმე სადგომიდან ერთ დიდ დახურულ სადგომში იყრის თავს; დახურული ბაზრები საუკეთესო პირობებს ქმნის საკოლმეურნეო ვაჭრობისათვის.

სავაჭრო ადგილების გარდა, სტატისტიკა სწავლობს სასაქონლო საწყობებს, სადაც ინახება დღის ბოლოსათვის დარჩენილი გაუყიდავი საქონელი (საწყობები და შესანახი კამერები, ბოსტნეულსაცავეები, მაცივრები, საყინულეები). საკოლმეურნეო ბაზრების სასაწყობო მეურნეობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება ვაჭრობის მოთხოვნებს, ამიტომ სასაქონლო საწყობთა აღრიცხვას დიდი მნიშვნელობა აქვს.

ხორციისა და რძის პროდუქტებით ვაჭრობა ბაზრებში შეიძლება განხორციელდეს განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების დაცვის პირობებში, რომლებიც უზრუნველყოფენ გასაყიდი პროდუქტების კეთილხარისხოვნებას; ამ

მიზნით ეწყობა ხორცის საკონტროლო სადგურები, რომლებიც კონტროლს უწყვენ ბაზარში შემოტანილ ხორცსა და რძის პროდუქტებს. სტატისტიკა აღრიცხავს ხორცისა და რძის საკონტროლო სადგურთა რაოდენობას საკოლმეურნეო ბაზარზე.

საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობის მაჩვენებლებს მიეკუთვნება ბაზრების ტერიტორიის მდგომარეობა, წყალსადენი და ელექტრობა. სტატისტიკა შეისწავლის საკოლმეურნეო ბაზრების ტერიტორიას საფარის ხასიათის მიხედვით: ანტიალტირებული, მოკირწყლული და სხვა (კეთილმოწყობელი) ფართობი. ტერიტორიის წილი, რომელიც დაკავებულია გაუმჯობესებული საფარით (განსაკუთრებით ანტიალტირებული), წარმოადგენს საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობის მნიშვნელოვან მაჩვენებელს.

საკოლმეურნეო ბაზრების ტექნიკური აღჭურვილობა ხასიათდება სასასწორო და სამაცივრო მეურნეობის, აგრეთვე სატვირთო ტრანსპორტის მაჩვენებლებით. სტატისტიკა აღრიცხავს იმ სასწოროთა რიცხვს ბაზრებში, რომლებიც ეძლევა კოლმეურნეებს ვაჭრობისათვის. სასწოროებით უზრუნველყოფის ხარისხი განისაზღვრება საკოლმეურნეო ბაზრების ყოველი ჯგუფის მიხედვით 100 კოლმეურნე — გამყიდველზე გაანგარიშებით. დაეუშვათ, რომ I ჯგუფის ბაზარში (1,5 ათას კაცამდე) არის 40 სასწორი, ხოლო V ჯგუფის ბაზარში (15-დან 25 ათასამდე კაცი) — 600. I ჯგუფის ბაზარში დღეში საშუალოდ ვაჭრობს დაახლოებით 50 კაცი (1500 : 30); მაშასადამე, სასწოროებით გამყიდველთა უზრუნველყოფის ხარისხი იქნება:

$$\frac{40 \times 100}{50} = 80 \%$$

V ჯგუფის ბაზარზე დღეში საშუალოდ ვაჭრობს 667 კაცი (20 000 : 30); სასწოროებით გამყიდველთა უზრუნველყოფის ხარისხი იქნება:

$$\frac{600 \times 100}{667} = 90 \%$$

ეს გაანგარიშება რამდენადმე პირობითია, რადგანაც ზოგიერთი პროდუქტი იყიდება უსასწოროდ (ყვერცხი, რძე და სხვა). მიუხედავად ამისა, ეს მაჩვენებლები შეაქლება შეუფერხებლად გამოვიყენოთ ვაჭრობის მოთხოვნებთან სასწოროთა შესაბამისობის შესაფასებლად.

სტატისტიკა აღრიცხავს აგრეთვე სამაცივრო მოწყობილობის რაოდენობას საკოლმეურნეო ბაზრების სასაქონლო საწყობებში. სამაცივრო მოწყობილობის მქონე საკოლმეურნეო ბაზრების რიცხვის საფუძველზე სტატისტიკა ანგარიშობს საკოლმეურნეო ბაზრების მაცივრებით უზრუნველყოფის კოეფიციენტს შემდეგი სქემის მიხედვით:

$$\frac{\text{სამაცივრო მოწყობილობის მქონე ბაზრების რიცხვი} \times 100}{\text{ბაზრების საერთო რაოდენობა}}$$

*K* მაძიებთ უზრუნველყოფისა =

ბაზრების საერთო რაოდენობა

მაცივრებით უზრუნველყოფის კოფიციენტი იმავე წესით განისაზღვრება, რომლითაც საცალო ვაჭრობისა.

საკოლმეურნეო ბაზრების სატვირთო ტრანსპორტი განკუთვნილია პროდუქტთა ორგანიზებული შემოზიდვისათვის კოლმეურნეობებთან და კოლმეურნეებთან დადებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების საფუძველზე. სტატისტიკა აღწესნავს სატვირთო ავტომანქანების რაოდენობას, რომლებიც ეკუთვნის საკოლმეურნეო ბაზრებს.

ბაზრებში მყოფ კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო მომსახურების შესწავლის მიზნით სტატისტიკა აღრიცხავს ბაზრის ტერიტორიაზე არსებული სსსტენცროებისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა რაოდენობას.

ყველა განხილული მაჩვენებელი საკოლმეურნეო ბაზრების დაკავშირებისას მუშავდება სიდიდის მიხედვით (კოლმეურნე-გამყიდველთა რაოდენობის საფუძველზე). ასეთი დამუშავება ყოველმხრივ გენისასიათებს საკოლმეურნეო ბაზრების მატერიალურ ბაზას.

**სსრ კავშირის საშინაო ვაჭრობის სტატისტიკის  
განვითარების მოკლე მიმოხილვა**

**1. ვაჭრობის სტატისტიკა რევოლუციამდელ რუსეთში**

რევოლუციამდელ რუსეთში სავაჭრო სტატისტიკა ძირითადად წარმოადგენდა სავარეო ვაჭრობის სტატისტიკას. საშინაო ვაჭრობის სტატისტიკა როგორც პრაქტიკული საქმიანობის მხრივ, ისე თეორიულ განზოგადებათა თვალსაზრისით საგრძნობლად ჩამორჩებოდა. ამის მიზეზები უნდა ვეძიოთ რევოლუციამდელი რუსეთის საქონელბრუნვის განვითარების პირობებში. მეურნეობის კაპიტალისტური სისტემა, დამყარებული წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრებაზე, წარმოშობდა კონკურენციას და მასთან დაკავშირებულ კომერციულ საიდუმლოებას. რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენილობა თავს იჩენდა საშინაო ვაჭრობის სავაჭრო საწარმოთა და ქუტცმაცებასა და დაქსაქსავში. ბურჟუაზიული სახელმწიფო არ ესწრაფოდა საქონლის მიმოქცევის ღრმა შესწავლას; ის სწავლობდა სავაჭრო საქმიანობის მხოლოდ ცალკეულ მხარეებს გადასახადით დაბეგვრის მიზნით.

ამის გამო რევოლუციამდელ რუსეთში არ იყო ქვეყნის მთელი ტერიტორიისათვის ერთიანი პროგრამით შემუშავებული პირდაპირი სტატისტიკური მონაცემები საშინაო ვაჭრობის (სავაჭრო ქსელის, სავაჭრო პერსონალის, საბითუმო და საცალო საქონელბრუნვის და ა. შ.) შესახებ.

სტატისტიკურ მონაცემთა ერთადერთ მასობრივ წყაროს, რომლის მიხედვითაც შეიძლებოდა არაპირდაპირ გვემსჯელა საშინაო ვაჭრობის განვითარებაზე, წარმოადგენდა ფინანსთა სამინისტროს მასალები სარეწაო გადასახადის აკრეფის შესახებ. სარეწაო გადასახადის მასალები ყოველწლიურად ქვეყნდებოდა გუბერნიების, მაზრების, ცალკე ქალაქებისა და სასოფლო ადგილების მიხედვით<sup>1</sup>. მათში მოჯანილი იყო მაჩვენებლები პატენტის ამლებ საწარმოთა რიცხვის შესახებ წელიწადში, მათში დასაქმებულ იმ პირთა რაოდენობაზე, რომელთა ბრუნვებიც ექვემდებარებოდა დაბეგვრას, აგრეთვე მონაცემები გადასახადის თანხის შესახებ ყველაფერი ეს ხუთ თანრიგად იყო დანაწილებული, რომლებიც წესდებოდა სარეწაო დაბეგვრის შესაბამისად.

<sup>1</sup> რევოლუციამდელი უკანასკნელი პუბლიკაცია: „პირდაპირი გადასახადებისა და ბაჟების სტატისტიკა, სახელმწიფო სარეწაო გადასახადი 1912 წელს“, ფინანსთა სამინისტრო, შეწერილ გამოსაღებთა დეპარტამენტი, 1915.

პირველ თანრიგს მიეკუთვნებოდა მსხვილი საბითუმო და შემსყიდველი საწარმოები, საბანკო დაწესებულებანი, ელექტორები, რესტორნები, ღიღი აბანოები და სხვა; მეორე თანრიგს—საცალო საწარმოები, საშუალო საბითუმო და შემსყიდველი საწარმოები, საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულებანი, სამიკიტნო სარეწაოები, ავეჯით გაწყობილი ოთახები, აბანოები და სხვა; მესამე თანრიგს—წვრილი ვაჭრობის საცალო საწარმოები, წვრილი შემსყიდველი საწარმოები, უწყრილესი საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულებანი და სამიკიტნო სარეწაოები, პატარა სასტუმროები, აბანოები და სხვა; მეოთხე თანრიგს—ფარდულები და ფიცრულები, ჩაინანები, ყავახანები, საცურაოები და სხვა; მეხუთე თანრიგს—ღატარებითი ვაჭრობა.

სარეწაო დაბეგვრის მასალები არ მოიცავდა მთელ ქვეყანას—მასში ვერ ხვდებოდა 16 გუბერნიის მონაცემები (ციმბირი, შუა აზია), აგრეთვე საწარმოები, რომლებიც ვალდებული იყვნენ გამოექვეყნებინათ ანგარიშგება (სააქციო საზოგადოებანი, სამომხმარებლო კოოპერაცია), და სასმელების სახაზინო გაყიდვის საწარმოები.

ამრიგად, ამ მასალებში სავაჭრო ბრუნვები მნიშვნელოვნად იყო შემცირებული სავაჭრო საწარმოთა არასრული მომცველობის გამო. ამავე დროს ამ მასალებში შესული იყო არასავაჭრო საწარმოთა ბრუნვები—საკრედიტო და სადაზღვევო დაწესებულებების, სასტუმროების, აბანოების და სხვათა, რომლებიც ეჭვემდებარებოდნენ სარეწაო დაბეგვრას.

მასალების დამუშავება და პუბლიკაცია ეჭვემდებარებოდა მხოლოდ ფისკალურ მიზნებს, მათში გამოყოფილი არ იყო არა მარტო საბითუმო ვაჭრობა, შესყიდვა და საცალო ვაჭრობა, არამედ სავაჭრო საწარმოები—არასავაჭრო საწარმოებისაგან. ეს კი ძლიერ ართულებდა ამ მასალების გამოყენებას შინაავაჭრობის განვითარების ანალიზისა და რევოლუციამდელი რუსეთის სავაჭრო ბრუნვების განგარიშების დროს<sup>1</sup>.

რამდენადმე უკეთ იყო დაყენებული რევოლუციამდელი რუსეთის ფასთა სტატისტიკა. 1890 წლიდან სისტემატურად გამოდიოდა კრებულები „Свод товарных цен на главных русских и иностранных рынках“. მასში ქვეყნდებოდა საბითუმო ფასები უმნიშვნელოვანეს საქონელზე, რომელიც ექსპორტის საგანს წარმოადგენდა. პირველადი მონაცემების სახით გამოდიოდა საბირჟო კომიტეტებისა და სპეციალური კორესპონდენტების ცნობები ფასების შესახებ.

ასე მაგალითად: 1913 წლის კრებულში მოტანილია ფასები 150-ზე მეტ საქონელზე თვეების მიხედვით, საშუალო წლიური ფასები უმნიშვნელოვანეს საქონელზე 1890—1913 წლებში და საშუალო წლიურ ფასთა ინდექსები ამავე დროისათვის საშუალო ათწლიურ (1890—1899 წწ.) ინდექსთა ბაზაზე. ჯგუფური ინდექსები გაანგარიშებულია როგორც მარტივი არითმეტიკული საშუალო ერთსაქონლიანი ინდექსებიდან, საერთო კი—ჯგუფური ინდექსებიდან.

<sup>1</sup> ამ მასალების საფუძველზე რევოლუციამდელი რუსეთის სავაჭრო საშუაველო ბრუნვის განგარიშების ცდა ეკუთვნის ს. გ. სტრუმილინს, იხ. მისი წერილი: „Дореволюционный товарооборот России“, ურნალი „Плановое хозяйство“, № 1, 1925.

შინაგაქრობის საკითხები, განსაკუთრებით საბაზრო და საიარმაკო, შეისწავლებოდა საერობო სტატისტიკაშიც. ცალკეული ერობები, კერძოდ მოსკოვისა და იაროსლავლისა, ფართო გამოკვლევებს. იტარებდნენ და სისტემატიურად აქვეყნებდნენ ცნობებს აფგილობრივ იარმაკებსა და ბაზრებზე ფასებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციის შესახებ.

## 2. ვაქრობის სტატისტიკა სსრ კავშირში 1930 წლამდე

შინაგაქრობის სტატისტიკამ ნამდვილი განვითარება პოვა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ, როდესაც ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით იგი ვახდა სახელმწიფო სტატისტიკის საქმიანობის მნიშვნელოვანი დარგი. ამასთან, როგორც მეცნიერება, იგი ვითარდებოდა მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე.

საბჭოთა ვაქრობის სტატისტიკის განვითარება მჭიდროდა დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის პროცესთან. საბჭოთა სახალხო მეურნეობის აშენება დაიწყო ძძიმე ეკონომიურ ვითარებაში, რაც მეფისა და ბურჟუაზიული მთავრობის პოლიტიკის შედეგად შეიქმნა. ქვეყანა სძლევედა მეურნეობის დაშლასთან დაკავშირებულ უდიდეს სიძნელებებს. ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკამ, განაზოგადა რა წარმოების ძირითადი საშუალებანი, მოაწყო სოციალისტური სექტორი მრეწველობაში, სოფლის მეურნეობასა და საქონელბრუნვაში.

ნაციონალიზებული მრეწველობისა და მისი ნაწარმის გასაღების მართვისათვის შექმნილი იყო სახალხო მეურნეობის უმძღვესი საბჭო (სმ-უსი), ხოლო მოსახლეობის მომარაგებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების ხელმძღვანელობისათვის—სურსათის სახალხო კომისარიატი. მოსახლეობის საქონლით უშუალოდ მომარაგების ორგანიზაციაში ჩაბმული იყო სამომხმარებლო კოოპერაცია. სახალხო კომისართა საბჭოს 1918 წლის 10 აპრილის დეკრეტმა „სამომხმარებლო კოოპერაციული ორგანიზაციის შესახებ“ დასაბამი მისცა ძველი ბურჟუაზიული კოოპერაციის გარდაქმნას საბჭოთა სამომხმარებლო კოოპერაციად.

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის სოციალისტური გარდაქმნის პროცესი განსაზღვრავდა იმ მოთხოვნილებებსაც, რომლებიც სტატისტიკის, კერძოდ ვაქრობის სტატისტიკის წინაშე იდგა. ვაქრობის სტატისტიკის მოცულობა და შინაარსი იმ როლით განისაზღვრებოდა, რომელსაც ვაქრობა სსრ კავშირის სოციალისტური მშენებლობის განვითარების განსაზღვრულ პერიოდებში ასრულებდა.

საბჭოთა ვაქრობის სტატისტიკის განვითარების ისტორიაში ერთიმეორისაგან განასხვავებენ რამდენიმე მნიშვნელოვან პერიოდს.

1918—1920 წწ. უცხოელთა სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის პერიოდში ხორციელდებოდა სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა. ქალაქსა და სოფელს შორის საქონელბრუნვის სისტემა შეიცვალა სასურსათო გაწერით. მოსახლეობის უფასო საულღფო მომარაგება სურსათით და ფართო მოხმარების საგნებით სამომხმარებლო კოოპერაციის საშუალებით ხორციელდებოდა. სასაქონლო-ფულადი ურთიერთობა არსებითად შეკვეცილი იყო. ამის გამო საშინაო ვაქრობის



სტატისტიკა ამ წლებში განისაზღვრებოდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტთა დამზადებისა და მიწახლეობის მომარაგების სტატისტიკით.

ამიტომ შინაგაქრობის სტატისტიკის სრული განვითარება იწყება 1921 წლიდან, სამხედრო კომუნისმიდან ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლის შემდეგ, რაც ნიშნავდა მთელი ეკონომიური ცხოვრების გამოცოცხლებას ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაში. 1921—1930 წლებში მიმდინარეობდა საქონელბრუნვის განსაზოგადების, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის განვითარებისა და განმტკიცების პროცესი და ამის საფუძველზე დამზადებიდან, საბითუმო და საცალო ვაჭრობიდან კერძო კაპიტალის განდევნა მის სრულ ლიკვიდაციამდე (1930 წელს). ამ პროცესს თან ახლდა გეგმიანი საწყისის განმტკიცება საქონელბრუნვაში, საქონლის მიმოქცევის სულ უფრო მეტი მომცველობა სახელმწიფო დაგეგმვით, რამაც გააღწია მოახდინა სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრანასა და ორგანიზაციაზე.

შინაგაქრობის სტატისტიკა ამ პერიოდში იქმნებოდა და ვითარდებოდა ვაჭრობის ცალკეულ სავაჭრო სისტემებსა და საერთო-სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოებში, სადაც წარმოებდა დიდი სტატისტიკური სამუშაოები საშინაო ვაჭრობის ხაზით.

საბითუმო ვაჭრობის სტატისტიკა ვაჩნდა მსხვილი სახელმწიფო საბითუმო ორგანიზაციების—სინდიკატების შექმნისთანავე. სინდიკატები, რომლებიც აწარმოებდნენ სახელმწიფო მრეწველობის საქონლის რეალიზაციას, შედიოდნენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს (სმუშ) ემგებლობაში; ამიტომ საბითუმო ვაჭრობის სტატისტიკა ხორციელდებოდა სმუშ-ში. სადაც მუშავდებოდა სინდიკატების თვიური და კვარტალური ანგარიშგება სასაქონლო პროდუქციის რეალიზაციის შესახებ მთლიანად და ცალკეული საქონლის მიხედვით. რეალიზაცია იყოფოდა დანიშნულებისა (საშინაო ბაზრისათვის, საექსპორტოდ, არასაბაზრო მომხმარებლებისათვის) და მყიდველთა კატეგორიების მიხედვით (სახელმწიფო, კოოპერაციული და კერძო ორგანიზაციები). იკრიბებოდა ცნობები გასაყიდი ფასების, რენტაბელობის, მიმოქცევის ხარჯებისა და სინდიკატთა საცალო ვაჭრობის შესახებ.

ვაჭრობის სტატისტიკის ორგანიზაციაში მნიშვნელოვან ღონისძიებას წარმოადგენდა საქალაქო ვაჭრობის საწარმოთა პირველი სავაჭრო აღწერა სსრ კავშირში, რაც ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ჩაატარა 1923 წლის 15 მარტს.

აღწერამ განსაზღვრა სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა, რომლებიც მოქმედებდნენ 1923 წლის 15 მარტისათვის, 1922 წლის IV კვარტალის საქონელბრუნვა, სავაჭრო საწარმოთა პერსონალის რიცხვი, ბაზრის ვაჭართა რაოდენობა, ეს მონაცემები იყოფოდა სოციალური ნიშნის (სახელმწიფო, კოოპერაციული და კერძო ვაჭრობა), ვაჭრობის დარგთა (პურის, საბაკალეო, მზატანსაცმელი და სხვა) მიხედვით, ხოლო ყოველ დარგში გამოყოფილი იყო საბითუმო, საბითუმო-საცალო, საცალო საწარმოები და ბაზრის ვაჭრები. აღწერის მასალები მუშავდებოდა რესპუბლიკების, მხარეების, ოლქებისა და ქალაქების მიხედვით. ქალაქები ჯგუფდებოდა მოსახლეობის რაოდენობის გათვალისწინებით: მოსკოვი, 19 მსხვილი საოლქო.

ცენტრი, დანარჩენი საოლქო ცენტრები, ქალაქები 25 ათას კაცზე მეტი მოსახლით (გარდა საოლქო ცენტრებისა) და ქალაქები 25 ათას კაცზე ნაკლები მოსახლით<sup>1</sup>. 1923 წლის აღწერის ასეთი დეტალური, ეკონომიურად დასაბუთებული პროგრამა დიდი ნაბიჯი იყო მეცნიერული სავაჭრო სტატისტიკის ჩამოყალიბების საქმეში.

1923-24 წლებიდან დაწყებული 1928-29 წლებამდე (ჩათვლით) ცსს ატარებდა ვაჭრობის მთლიან აღრიცხვას. მთლიანი აღრიცხვის საჭიროება იმით აიხსნებოდა, რომ სახელმწიფო სტატისტიკას არ შეეძლო სავაჭრო დაყრდნობა უწყებრივი სტატისტიკის მასალებს. იმ დროს ცოტად თუ ბევრად აწყობილი სტატისტიკა მხოლოდ სამომხმარებლო კოოპერაციას ჰქონდა. შინაგანი ვაჭრობის მოცულობის შესახებ შედარებით სრულ მონაცემებს იძლეოდა სავაჭრო საწარმოთა დაბეგვრის მასალები. მაგრამ ეს მონაცემები ასახავდნენ საანგარიშო პერიოდის არა ფაქტიურ სავაჭრო ბრუნვას, არამედ გადასახადით დაბეგრილ ბრუნვას, რაც არსებითად განხვევდებოდა ფაქტიურისაგან.

მთლიანი აღრიცხვის ამოცანას წარმოადგენდა სრულ მონაცემთა მიღება სავაჭრო საწარმოთა რაოდენობის, მათი სავაჭრო ბრუნვისა და მათში დასაქმებული სავაჭრო პერსონალის შესახებ. ვაჭრობის მთლიანი აღრიცხვისათვის ცნობების წყაროს შეადგენდა რაიონულ საფინანსო ორგანოთა მასალები სავაჭრო საწარმოთა სარეწაო დაბეგვრის შესახებ. იმ პერიოდში ბრუნვის გადასახადს ყველა საწარმო იხდიდა, რომელიც ამასთანავე ვალდებული იყო სავაჭრო პატენტი მიეღო. საწარმოს „სარეგისტრაციო განცხადება“ პატენტის მისაღებად და „განცხადება ბრუნვის შესახებ“ ბრუნვის გადასახადის დასადგენად იმ დოკუმენტებს წარმოადგენდა, რომლებიც საფუძვლად ედებოდა მთლიანი აღრიცხვის სააღწერო ბარათის შედგენას. მთლიანი აღრიცხვის პროგრამა იფარგლებოდა სავაჭრო საწარმოთა რაოდენობის, მათი სავაჭრო ბრუნვისა და დასაქმებული პერსონალის გამოთვლით, სავაჭრო ბრუნვის გაანგარიშებისას მთლიან აღრიცხვაში მიღებული იყო სათანადო ზომები, რათა იგი საანგარიშო პერიოდის ფაქტიური საქონელბრუნვის შესაბამისი ყოფილიყო. მას უმატებდნენ გადასახადისაგან განთავისუფლებულ სავაჭრო ბრუნვებს და აკლებდნენ ნავარაუდევ სავაჭრო ბრუნვებს, რომლებიც მიიღებოდა ახლად შექმნილ საწარმოთა გადასახადის გამოსაანგარიშებლად.

მთლიანი აღრიცხვის მასალათა დამუშავებისას ფართოდ იყო გამოყენებული სავაჭრო საწარმოთა (მთლიანი აღრიცხვის ტერმინოლოგიით—სავაჭრო დაწესებულებათა) დაჯგუფებანი. ამის საფუძველზე მონაცემები საწარმოთა რაოდენობის, მათი ბრუნვისა და პერსონალის შესახებ მუშავდებოდა ვაჭრობის სოციალური სექტორების (სახელმწიფო, კოოპერაციული და კერძო დაწესებულებანი), სავაჭრო საქმიანობის ხასიათის (საბითუმო, საბითუმო-საცალო და საცალო დაწესებულებანი),

<sup>1</sup> აღწერის შედეგები გამოქვეყნებულია: ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს 1924 წლის 1 თებერვლის ბრულებებში სათაურით: „სავაჭრო დაწესებულებანი ქალაქებსა და სოციალურ დასახლებებში 1923 წლის აღწერით“; სტატისტიკური კრებული 1922/23 წ.“ გამოც. 1; ცნობარებში „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა ციფრებში“, 1924 და 1925 წწ.

დაწესებულებათა ადგილსამყოფელის (ქალაქისა და სოფლის), საწარმოთა სიდიდის დამახასიათებელი ვაჭრობის დარგებისა და სავაჭრო პატენტის თანრიგის მიხედვით.

ამრიგად, ვაჭრობის მთლიანი აღრიცხვა, იყენებდა რა მხოლოდ სამ მაჩვენებელს (ქსელს, ბრუნვას და პერსონალს), იმის გამო, რომ მასალათა დამუშავების პროცესში ფართოდ მიმართავდა სტატისტიკურ დაჯგუფებებს, ამავე დროს სსრ კავშირის საშინაო ვაჭრობის მრავალმხრივ დახასიათებასაც იძლეოდა.

მთლიანი აღრიცხვის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი იძლეოდნენ მასალას როგორც ცალკეული აღმინისტრაციული რაიონების, ისე ჩვენი ქვეყნის მთელი ტერიტორიის მიხედვით. მთლიანი აღრიცხვის მონაცემთა გამოყენებით შეიძლებოდა სავაჭრო ქსელისა და საქონელბრუნვის დინამიკის, საქონელბრუნვაში კერძო და სახელმწიფო-კოოპერაციული სექტორის შეფარდების, ჩვენი საშინაო ვაჭრობის ორგანიზაციული სტრუქტურის ძვრების დახასიათება.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ვაჭრობის მთლიან აღრიცხვას საფუძვლად ედო საწარმოთა სარეწაო დაბეგვრის იგივე მასალები, რომლებიც, როგორც უკვე ითქვა, ძირითად წყაროს წარმოადგენდა საშინაო ვაჭრობის ცნობებისათვის რევოლუციამდელ რუსეთშიც. მაგრამ უდავოდ დიდ ნაბიჯს წარმოადგენდა ეკონომიური ანალიზი და დაჯგუფების მეთოდის ფართოდ გამოყენება მასალათა დამუშავებისას, რამაც შესაძლებელი გახადა ვაჭრობის განვითარების ეკონომიური დახასიათება.

მასალის დამუშავების პროგრამის სიფართოვის მხრივ ვაჭრობის მთლიანი აღრიცხვა იმ დროს ერთადერთი იყო მსოფლიოში. როცა აშშ-ში 1930 წელს ბორიგ ცენზში პირველად იქნა შეტანილი საშინაო ვაჭრობის მაჩვენებლები, ამ მასალათა დამუშავების პროგრამა ბევრად ემსგავსებოდა ვაჭრობის ჩვენი მთლიანი აღრიცხვის პროგრამას.

მთელი მასალა მუშავდებოდა დეცენტრალიზებულად ყოველი ქალაქის, რაიონის, ოლქისა და რესპუბლიკის მიხედვით ჯამთა მიღებით. ჯამთა გამოთვლა ქალაქის საწარმოებისა და სასოფლო ადგილების მიხედვით ხდებოდა ცალ-ცალკე<sup>1</sup>.

მთლიანი აღრიცხვის მონაცემები იმდროისათვის ერთადერთ სრულ მასალას წარმოადგენდა და გამოიყენებოდა ვაჭრობის დინამიკის, საქონელბრუნვის განსაზოგადების პროცესის, მისი ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილების დასახასიათებლად.

სოციალისტურ ელემენტთა განმტკიცებამ მიმოქცევის სფეროში გააძლიერა ვაჭრობის სახელმწიფო რეგულირება და დაგეგმვა. ამასთან დაკავშირებით ვაჭრობის სტატისტიკის წინაშე დგება ახალი ამოცანები. სტატისტიკური სამუშაოები საშინაო ვაჭრობის სტატისტიკის დარგში უფრო სრულყოფილი ხდება და უფრო

<sup>1</sup> სულ ჩატარდა რვა მთლიანი აღრიცხვა: პირველი ოთხი 1924-25 და 1925-26 წწ.—ნახევარწლიური, დანარჩენი 1925-26, 1926-27, 1927-28 და 1928-29 წწ.—წლიური. აღრიცხვის ჯამები გამოქვეყნებულია: 1. „სსრ კავშირის საშინაო ვაჭრობა 1924-25 და 1925-26 წწ. ნახევარწლიური საგადასახადო მონაცემების მიხედვით“, 1928; 2. „სსრ კავშირის საბატენტო ვაჭრობა 1925-26 წწ.“ 1929. 3. „სსრ კავშირის ვაჭრობა 1926-27 წწ. ცს მთლიანი აღრიცხვის მონაცემებით“, 1930; უკანასკნელი ორი აღრიცხვა გამოქვეყნდა ნაწილობრივ.

მეტად ფართოვდება, ვაჭრობის სტატისტიკას უკვე აღარ შეეძლო შემოფარგლულიყო ვაჭრობის საერთო მოცულობის აღრიცხვით, მას უნდა ეწარმოებინა ვაჭრობის საფუძვლიანი შესწავლა.

1927—1929 წლებში ვაჭრობის მთლიან აღრიცხვას ემატებოდა სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ ყოველწლიურად ჩატარებული კიდევ ერთი დიდი სამუშაო, რომელსაც ეწოდება ვაჭრობის „საფუძვლიანი გამოკვლევა“. ეს გამოკვლევა ეხებოდა ყველა სახელმწიფო საავაქრო ორგანიზაციას, აგრეთვე—შერჩევითი წესით—კერძო ვაჭრობას ქალაქებში.

სახელმწიფო ვაჭრობის საფუძვლიანი გამოკვლევის პროგრამა მოიცავდა წლიური ანგარიშგების ძირითად საკითხებს. სახელმწიფო საავაქრო სისტემების წლიური ანგარიშგებანი იმ დროს არ იყო უნიფიცირებული, ამიტომ საფუძვლიანი გამოკვლევის ამოცანას საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი საავაქრო ორგანიზაციებს მთლიან მოცვასთან ერთად შეადგენდა წლიური ანგარიშგების მაჩვენებლების უნიფიცაცია (ისე რომ ისინი შესადარისნი და კრებისთნა ყოფილიყვნენ). ამ მხრივ სახელმწიფო ვაჭრობის საფუძვლიანმა გამოკვლევებმა საფუძველი ჩაუყარა საბჭოთა ვაჭრობის წლიური სტატისტიკის დამუშავებულ, შემდგომში ყოვლისმომცველ მაჩვენებელთა ერთიან სისტემას. საფუძვლიან გამოკვლევათა ბლანკს ჰქონდა 16 განაყოფი, რომლებიც მოიცავდა საავაქრო ორგანიზაციის საქმიანობის ყველა მხარეს. იგი შეიცავდა დაწვრილებით ცნობებს საქონელბრუნვის, საქონლის შექმნის წყაროებისა და შეიღველთათვის მიყიდვის ოდენობის, სასაქონლო ჯგუფების მიხედვით საქონლის მოძრაობის (მიღების, გაყიდვისა და მარაგების), საავაქრო სასაწყობო ქსელის, საავაქრო პერსონალის, სახეების მიხედვით ქონების შემადგენლობის, საავაქრო ხარჯების, მუხლების მიხედვით საბუღალტრო ბალანსის, საფინანსო შედეგებისა და სხვათა შესახებ.

კერძო საქალაქო ვაჭრობის შერჩევითი გამოკვლევის პროგრამა შეიცავდა ცნობებს ისეთ საკითხთა შესახებ, როგორცაა საქონელბრუნვა, პერსონალი, საქონლის შექმნის წყაროები, გაყიდვა, სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ნაშთები და დარიცხვა, კერძო კაპიტალის სიდიდე და შემადგენლობა, საავაქრო ხარჯები, საქმიანობის საფინანსო შედეგები.

ამ გამოკვლევათა მიზანს შეადგენდა მასალის შეგროვება კერძო ვაჭრობაში კაპიტალის ოდენობისა და სტრუქტურის გაანგარიშებისათვის, საქონლის შექმნის წყაროების, ბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის, საავაქრო ხარჯთა დონისა და შემაღვენლობის, მოგების ოდენობისა და სხვათა დახასიათება. ამ სამუშაოს ემატებოდა სამომხმარებლო კოოპერაციის წლიური ანგარიშგების მასალები, აგრეთვე სოფლის კერძო ვაჭრობის იმ შერჩევით გამოკვლევათა მონაცემები, რომელთაც სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ატარებდა.

ვაჭრობის საფუძვლიან გამოკვლევათა მასალები საშუალებას გვაძლევდა დაგვედგინა საქონელბრუნვაში მოქცეული საქონლის მასის წყაროები, ვაჭრობის სოციალური სექტორებისა (სახელმწიფო, კოოპერატიული, კერძო) და საავაქრო ქსელის ცალკეულ რგოლთა როლი მის მოძრაობაში. მათ საფუძველზე შეიძლებოდა

ვაჭრობის ცალკეული სექტორებისა და რგოლების წმინდა ბრუნვის განსაზღვრა, არსებული საქონლის მარაგის გამოვლენა, საქონლის მასის მიმოქცევის სისწრაფის განსაზღვრა. გარდა ამისა, ვაჭრობის ამ გამოკვლევის შედეგად მიღებულ იქნა ცნობები ხარჯთა სტრუქტურის შესახებ ცალკეული მუხლების მიხედვით, ე. ი. მიმოქცევის ხარჯთა დონის განსაზღვრისათვის საჭირო მასალები. ვაჭრობის სოციალურ სექტორებად დაჯგუფებულმა მონაცემებმა საქონლის ასორტიმენტის შესახებ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედინა ცალკეულ სექტორთა როლი მოსახლეობის სხვადასხვა საქონლით მომარაგებაში.

პროგრამის სიფართოვისა და მაჩვენებელთა მრავალფეროვნების თვალსაზრისით ასეთი სამუშაო პირველად ჩატარდა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სტატისტიკაში.

მთლიანი აღრიცხვის წლიური მონაცემებისა და საერთო-სახელმწიფოებრივი ხაზით ჩატარებული საფუძვლიანი გამოკვლევების მიხედვით საშინაო ვაჭრობის დახასიათების დამატებას წარმოადგენს ცსს-ს მიერ 1927 წლიდან წარმოებული საქონელბრუნვის ყოველთვიური შერჩევითი კონიუნქტურული სტატისტიკა.

კონიუნქტურული სტატისტიკა გვიჩვენებს საბითუმო და საცალო რგოლების საქონელბრუნვისა და სასაქონლო მარაგთა დინამიკას ვაჭრობის ცალკეული დარგების მიხედვით ცალ-ცალკე სახელმწიფო, კოოპერაციულ და კერძო საწარმოებში. ამასთან კონიუნქტურულ სტატისტიკაში ყოველთვიურად ხდებოდა წარდგენა ვაჭრობის პირობების მიმოხილვისა: მოთხოვნისა და მიწოდების მდგომარეობა, საქონლის ასორტიმენტი და ხარისხი. კონიუნქტურულმა სტატისტიკამ მოიცვა სახელმწიფო ვაჭრობის ყველა მსხვილი სავაჭრო საწარმო, კოოპერაციული ვაჭრობის საქალაქო კოოპერატივების 25% და სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებების 10%, კერძო ვაჭრობის მსხვილ საწარმოთა (რომლებიც ირჩევდნენ IV—VI თანრიგის პატენტებს) 25% და საშუალო საწარმოების (რომლებიც ირჩევდნენ III თანრიგის პატენტს) 5%. წვრილი საწარმოები არ აღირიცხებოდა.

სსრ კავშირის შინაავაჭრობის კონიუნქტურის სტატისტიკურ შესწავლას, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გარდა, რიგი უწყებები აწარმოებდნენ. მაგალითად: ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აღრიცხავდა სააქციო საზოგადოებათა ბრუნვას, ცენტროსოიუზი—ქალაქის მომხმარებელთა კოოპერატივების ბრუნვას და ა. შ.

განსაზოგადებული სექტორის სავაჭრო ორგანიზაციებში, აღრიცხვისა და ანგარიშების განმტკიცების პარალელურად, 1930 წლიდან შესაძლებელი გახდა საავაჭრო საწარმოთა ყოველთვიურ მთლიან ანგარიშებებზე და, მაშასადამე, საბჭოთა

<sup>1</sup> ვაჭრობის კონიუნქტურული სტატისტიკის მონაცემები 1927 წლიდან 1930 წლამდე სისტემატურად ქვეყნდებოდა ჟურნალში „Статистическое обозрение“. 1928 წლიდან ეს მონაცემები იბეჭდებოდა აგრეთვე ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ყოველთვიურ კრებულში „გაცემა-გამოცლის მიმდინარე სტატისტიკის მასალები“.

ვაჭრობის უფრო სისტემატურ დახასიათებაზე გადასვლა (კონიუნქტურული აღრიცხვიდან, რომელიც არამთლიან დაკვირვებას ემყარებოდა).

სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გაცვლა-გამოცვლის სექტორი 1923 წლის 1 ივლისიდან მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებდა შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილების საფუძველზე. იგი ტარდებოდა პურპროდუქტებისა და ძირითად სახეობათა სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის ხილული მარაგის აღსარიცხავად. პურისა და ნედლეულის სტატისტიკა დიდმნიშვნელოვან მასალას იძლეოდა ჩვენი ქვეყნის პურ-ფურაჟისა და ნედლეულის მარაგის მოცულობის შესახებ<sup>1</sup>.

ყოველი კვარტალის დასაწყისისათვის უნდა აღრიცხულიყო პურპროდუქტებისა და ნედლეულის ყველა მარაგი საწყობებში და ცალკე გზაში (ვაგონებში, კარქაპებზე, პაკაუტებში და ა. შ.). ამ სტატისტიკის მასალები გამოიყენებოდა პურ-ფურაჟისა და ნედლეულის ბალანსის შედგენისას.

პირველ წლებში ცენტროსოიუზი იფარგლებოდა სამომხმარებლო საზოგადოებათა წლიური ანგარიშგების დამუშავებით, შემდეგ კი მოეწყო მაჩვენებელთა უფრო მცირე რაოდენობით—კვარტალურ ანგარიშგებათა დამუშავებაც. 1925 წლის ივლისიდან დამატებით შემოღებულ იქნა სასწრაფო კონიუნქტურული თვიური ანგარიშგება შერჩეული ორგანიზაციების მიხედვით.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სისტემაში მთლიანად იყო თავმოყრილი დამზადებათა სტატისტიკა. დამზადებათა მონაცემების გარდა ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ლებულობდა მასალებს ძირითად სავაჭრო ორგანიზაციათა ცენტრებისაგან (სააქციო საზოგადოებების, ტრესტების, სინდიკატების, კოოპერაციული ორგანიზაციებისაგან) ორგანიზაციათა საქონელბრუნვის მოცულობისა და სტრუქტურის შესახებ, რის მიხედვითაც ატარებდა შემაჯამებელ მუშაობას. ვაჭრობის ადგილობრივი განყოფილებები ყოველკვარტალურად ლებულობდნენ ცნობებს ოლქის ან გუბერნიის სავაჭრო ორგანიზაციების ბრუნვის შესახებ. ყოველი სავაჭრო განყოფილება ყოველკვარტალურად იძლეოდა თავისი ოლქის ან გუბერნიის მთელი საქონელბრუნვის დახასიათებას ცალ-ცალკე საბითუმო და საცალო ვაჭრობისათვის, აგრეთვე ცალკეული სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით. ამ სტატისტიკის მასალებზე დაყრდნობით წარმოებდა ვაჭრობის ოპერატიული რეგულირება და დაგეგმვა, კერძოდ საქონელბრუნვის საკონტროლო ციფრების შედგენა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში. მთლიანი აღრიცხვის მონაცემთა დამუშავება, რომელსაც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო ატარებდა, მნიშვნელოვნად ფერხდებოდა (ერთი წლით—წლინახევრით).

სსრ კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის სასოფლო ვაჭრობის სექცია დიდ სტატისტიკურ მუშაობას ატარებდა შერჩევითი მეთოდით სოფლის ვაჭრობის

<sup>1</sup> მონაცემები პურისა და ნედლეულის ხილული მარაგის შესახებ ქვეყნდებოდა 1923-დან 1928 წლამდე სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კვარტალურ კრებულებში: „ხილული პურის მარაგი“ და „ნედლეულის მარაგი“, ხოლო 1928 წლიდან—ყოველთვიურად „გაცვლა-გამოცვლის მიმდინარე სტატისტიკის მასალებში“.

გამოსაკვლევად (1923-დან 1928 წლამდე). აღნიშნულ პერიოდში ჩატარდა ოთხი გამოკვლევა<sup>1</sup>. ეს გამოკვლევები ძირითადად მოიცავდნენ კერძო ვაჭრობას სოფლად, კოოპერაციულ ვაჭრობას კი მხოლოდ შესადარებლად ვნებოდნენ.

ფასთა სტატისტიკა და ფასთა ინდექსების გაანგარიშებასთან დაკავშირებული სამუშაოები 1930 წლამდე ტარდებოდა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში, სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, ფინანსთა სახალხო კომისარიატის კონინტეტურულ ინსტიტუტში, პროფესიულ კავშირთა სრულიად საქვეშრო ცენტრალური საბჭოს შრომის სტატისტიკის ცენტრალურ ბიუროში, სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოში (სმუს-ში), ცენტროსიოუსა და სხვა სისტემებში. ფასთა სტატისტიკა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოში წარმოებს 1919 წლის დასაწყისიდან, როდესაც საგუბერნიო სტატისტიკურ ბიუროებს დაევალებათ მასობრივი მონბარების საქონლის ფასთა რეგისტრაცია. რეგისტრაციაში ტარდებოდა სახელმწიფო, კოოპერაციული და კერძო ვაჭრობის საცალო და საბითუმო ფასები ქალაქებსა და მსხვილ სასოფლო პუნქტებში. 1925 წელს აღსარიცხავ საქონელთა რიცხვი დაწესებული იყო შემდეგი ოდენობით: საგუბერნიო ქალაქებისათვის—150, სამაზრო ქალაქებისათვის—100 და სასოფლო პუნქტებისათვის—50. 1927 წლიდან შემოღებულია მსხვილსაბითუმო და წვირისაბითუმო ფასთა ცალ-ცალკე რეგისტრაცია. 1922 წლის მეორე ნახევრიდან საგუბერნიო სტატისტიკური ბიუროები ყოველთვიურად ანგარიშობდნენ საბაზრო ფასთა ინდექსებს ქალაქებისა და საშუალოდ გუბერნიების მიხედვით. ფასთა ჯგუფური და საერთო ინდექსები განსაზღვრებოდა ლოგორც მარტივი არითმეტიკული საშუალო.

1925 წლიდან ფასთა ადგილობრივი ინდექსების გასაანგარიშებლად მიღებული იყო გეომეტრიული საშუალოს ფორმულა. 1925 წლის იანვრიდან ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ დაიწყო 34 საქონლის ფასების ყოველთვიურ ინდექსთა ცენტრალიზებული გამოთვლა 1913 წლის ფასების ბაზაზე 97 ქალაქში ვაჭრობის სამი კატეგორიის (სახელმწიფო, კოოპერაციული და კერძო) მიხედვით, აგრეთვე საერთო სავაჭრო ინდექსის გაანგარიშება. სიხშირეები საქონლის ჯგუფების მიხედვით განსაზღვრული იყო 1924-25 წწ. ბრუნვების საფუძველზე.

1928-29 წლებიდან საცალო ფასთა ინდექსები განსაზოგადებულ, კერძო სალუქნო და საბაზრო ვაჭრობაში, აგრეთვე ფასთა საერთო სავაჭრო ინდექსები დგინდებოდა ცალ-ცალკე—117 მსხვილი და 257 საშუალო ქალაქის მიხედვით. საქონლის ნომენკლატურა შედგებოდა 65 დასახელებისაგან. საქონლის სიხშირე გაანგარიშებული იყო 1927-28 წლების ბრუნვათა მიხედვით, ინდექსები გაიანგარიშებოდა 1913 წლის ფასთა ბაზაზე გეომეტრიული საშუალოს ფორმულით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ერთ-ერთი მათგანის მასალები ნაწილობრივ გამოქვეყნებულია სპეციალურ კრებულში— „კერძო კაპიტალი სსრ კავშირის ვაჭრობაში“, მოსკოვი, სსრ კავშირისა და რსფრს-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატი, 1928.

<sup>2</sup> ფასთა ინდექსები გამოქვეყნებული იყო ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოცემებში: „საქალაქო საცალო ფასთა ინდექსი 1925 წლის 1 ოქტომბრიდან 1926 წლის 1 აპრილამდე“, „ფასების მოძრაობა“ (1927 წ.), „გაცალა-გამოცალის მიმდინარე სტატისტიკის მასალები“ (1928—1929 წწ.) და „სტატისტიკური მიმოხილვა“ (1929—1930 წწ.).

1922 წლის 1 აგვისტოდან სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში წარმოებდა საბითუმო ფასთა საერთო-სასაქონლო ინდექსების გაანგარიშება ყოველი თვის 1, 11 და 21 რიცხვისათვის. შესაძარ ბაზად პირველ ხანებში აღებული იყო საბითუმო საბირჟო ფასები 1908—1912 წლების საქონლის ფასთა კრებულიდან, ხოლო 1924 წლის ფულის რეფორმის შემდეგ—1923-24 წლების ფასები. ინდექსი იანგარიშებოდა საქონლის 16 ჯგუფში შემაჯალი 73 საქონლის ფასებიდან. მისი გაანგარიშება ხდებოდა შეწონილი საშუალო გეომეტრიულის ფორმით და ასახავდა ფასთა ცვლილებას 65 დიდ ქალაქში. 1927 წლიდან საბითუმო ფასთა ინდექსის გაანგარიშება ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კომპეტენციაში გადავიდა. სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინდექსის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის საფუძვლად დაედო სასაქონლო მანეთის კურსს, რომელიც საბუღალტრო ანგარიშსწორებათა დროს, ხელშეკრულებებსა და სხვა ეკონომიურ გაანგარიშებაში გამოიყენებოდა<sup>1</sup>.

1924 წლიდან ფინანსთა სახალხო კომისარიატის კონიუნქტურულმა ინსტიტუტმა ფართოდ გაშალა მუშაობა საცალო ფასთა ინდექსების გაანგარიშებისათვის. წარმოებდა მოსკოვის საცალო ფასთა ინდექსის განსაზღვრა საქონლის ფართო ნომენკლატურის მიხედვით.

მოსკოვის საცალო ფასთა ინდექსთან ერთად კონიუნქტურული ინსტიტუტი ყოველთვიურად აწარმოებდა საცალო ფასთა სრულიად რუსეთის ინდექსის გაანგარიშებას 15 სახეობის საქონლის მიხედვით.

კონიუნქტურული ინსტიტუტი მთავარ ყურადღებას აქცევდა კერძო ვაჭრობის ფასთა საერთო-საკავშირო ინდექსის გაანგარიშებას. ეს ინდექსი განისაზღვრებოდა 1913 წლის ბაზაზე, ხოლო ფულის რეფორმის შემდეგ ბაზად აღებულ იქნა 1924 წლის აპრილი. ინდექსს საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის 40 ქალაქის 35 საქონლის საცალო ფასები. ინდექსის გაანგარიშება წარმოებდა გეომეტრიული საშუალოს ფორმით<sup>2</sup>.

საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს შრომის სტატისტიკის ცენტრალური ბიურო ანგარიშობდა ფასთა საბიუჯეტო ინდექსებს, რომლებიც ასახვენ საბიუჯეტო ნაკრები საქონლის ღირებულების ცვლილებას. საბიუჯეტო ინდექსის გაანგარიშება ჩვენს ქვეყანაში პირველად ს. გ. სტრუმილინმა განახორციელა 1918 წელს. მან მოახდინა „შავი მუშის (რომელიც მძიმე ფიზიკურ შრომას ეწევა), ნორმალური სადღეღამისო კვების ულუფის“ ღირებულების ინდექსირება. შედარების ბაზა 1913 წელი იყო. საბიუჯეტო ინდექსი იანგარიშებოდა მოსკოვსა და მთელ ჩვენს ქვეყანაში. პირველი საბიუჯეტო ინდექსის სიხშირეთა განსაზღვრას საფუძვლად დაედო მუშების 1918 წლის ბიუჯეტები. ინდექსის გა-

<sup>1</sup> სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ინდექსები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჟურნალში „Плановое хозяйство“.

<sup>2</sup> ინდექსი ქვეყნდებოდა ჟურნალში „კონიუნქტურული ინსტიტუტის ეკონომიური ბიულეტენი“ 1925 წლის № 2-დან.



ანგარიშების პირველ წლებში ინდექსით მოცული ქალაქებისა და საქონლის რიცხვი საკმაოდ ხშირად იცვლებოდა. 1922 წლიდან საბიუჯეტო ინდექსი 100 ქალაქისათვის დგინდებოდა. 1924 წლის 1 იანვრიდან დაიწყო სრულიად საკავშირო საბიუჯეტო ინდექსის გაანგარიშება თვეში ორჯერ. სამრეწველო და სასურსათო საქონლის გარდა, ის შეიცავდა ბინის ქირას, კომუნალური მომსახურებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო ხარჯებს. ამ საბიუჯეტო ინდექსის მონაცემები შთაბეჭდილად და საბჭოთა კავშირის 229 ქალაქის 24 საქონლის საცალო ფასებს. 1924 წლის ფულის რეფორმის შემდეგ შესაძარ ბაზას საბიუჯეტო ინდექსისათვის წარმოადგენდა 1913 და 1924 წლები. 1924 წლიდან კიდევ ერთხელ გადაისინჯა საბიუჯეტო ინდექსის სიხშირეები და ფასები.

მუშათა ხელფასის ზრდასთან ერთად იცვლებოდა მათი ბიუჯეტაც და, მაშასადამე, ინდექსის წონებიც.

სახელმწიფო-კოოპერაციული და კერძო ვაჭრობის არსებობა განაპირობებდა ცალკეული საქონლის ფასთა სხვაობას. საბიუჯეტო ინდექსის გაანგარიშება ხდებოდა არა მარტო კერძო, არამედ სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის, აგრეთვე კერძო და განსაზოგადებული ვაჭრობის საშუალო შეწონილ ფასთა მიხედვით. საბიუჯეტო ინდექსის წონათა შედარებით ხშირი გადასინჯვა მოწმობდა მისწრაფებას — საქონლის ნაკრები მიახლოებოდა მუშის ბიუჯეტს და, მაშასადამე, დაზუსტებულიყო საბიუჯეტო ინდექსი. ამავე დროს მუშის ბიუჯეტი იცვლებოდა განუწყვეტლივ, ხოლო საქონლის ნაკრები — მხოლოდ განსაზღვრული დროის შემდეგ. სწორედ ეს არის ნაკლი საბიუჯეტო ინდექსისა ბუღალტერული საქონლის ნაკრებით. საბიუჯეტო ინდექსი განისაზღვრებოდა აგრეგატული ფორმით<sup>1</sup>.

სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო 1923 წლიდან ანგარიშობდა ტრესტებისა და სინდიკატების გასაცემ ფასთა ინდექსს ჯერ 70, შემდეგ კი 315 საქონლის მიხედვით (1913 წლისა და 1923 წლის 1 ოქტომბრის ფასების ბაზაზე). თავდაპირველად ჯგუფურ და საერთო ინდექსთა გაანგარიშება წარმოებდა საშუალო არითმეტიკულით, 1926 წლიდან კი ბიმართეს შეწონილ გეომეტრიულ საშუალოს. სიხშირეებად გამოყენებული იყო მოცემული წლის სასაქონლო პროდუქციის ღირებულება.

ცენტროსოიუზი აწარმოებდა სამომხმარებლო კოოპერაციის საცალო და წერილსაბითუმო ფასების სტატისტიკას შერჩეულ ორგანიზაციათა მიხედვით. ფასების რეგისტრაცია ხდებოდა ქალაქის კოოპერატივებში 45-60 საქონლის, სოფლისაში — 34-45 საქონლისა და რაიკავშირებში — 38-53 საქონლის მიხედვით. ინდექსები დგინდებოდა აგრეგატული ინდექსის ფორმულით. ძირითად ბაზად აღებული იყო 1926 წლის 1 ოქტომბრის ფასები. 1927-28 წლებიდან სსრ კავშირის საინდექსო გაანგარიშებაში შედიოდა 360 ქალაქისა და მუშათა კოოპერატივის, 1000-ზე მეტი სოფლის კოოპერატივის ფასები და 180 რაიკავშირის საბითუმო ფასები.

<sup>1</sup> საბიუჯეტო ინდექსი სისტემატურად ქვეყნდებოდა ჟურნალში „Статистика труда“.

როგორც მოკლე დახასიათებიდან ჩანს, ფასთა ინდექსების გამომგარიშებასთან დაკავშირებული სამუშაოები ამ პერიოდში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ვაჭრობის სტატისტიკაში. მაგრამ მათი გაანგარიშების მეთოდოლოგიას დიდი ნაკლოვანებანი გააჩნდა.

ფასთა ინდექსები, როგორც წესი, გაიანგარიშებოდა გეომეტრიული საშუალოს ფორმულით, რომელსაც ქადაგებდა ბურჟუაზიული სტატისტიკის ფორმალურ-მათემატიკური სკოლა. ეს იმაზე მიუთითებდა, რომ ფასთა სტატისტიკა სსრ კავშირში ამ პერიოდში ბურჟუაზიული მეთოდოლოგიის მნიშვნელოვან გავლენას განიცდიდა. მანკიერი მეთოდოლოგია გავლენას ახდენდა ამ პერიოდის საინდექსო გაანგარიშებათა სიზუსტეზე. ამან განსაკუთრებით თავი იჩინა ფინსახკომის კონიუნქტურის ინსტიტუტის მუშაობაში. გეომეტრიული საშუალოს გაანგარიშებისას სიზშირეების მუდმივი სისტემის გამოყენებას, რომელიც მხედველობაში არ იღებდა ამ პერიოდის ვაჭრობაში მიმდინარე დიდსა და ხშირ ცვლილებებს სოციალურ სექტორთა თანაფარდობაში, მოსდევდა ის, რომ ფასთა ინდექსები ყოველთვის სწორად ვერ ასახავდა მათ ნამდვილ დინამიკას. 20-იანი წლების მეორე ნახევარში იშლება თეორიული დისკუსიები საინდექსო გაანგარიშების მეთოდოლოგიის შესახებ. პრესაში ჩნდება წერილები, რომელთა ავტორები აკრიტიკებდნენ ფიშერის ბურჟუაზიულ, საინდექსო მეთოდოლოგიას, ამხელდნენ ფინსახკომისა და სახელმწიფო საგეგმო კომისიის კონიუნქტურის ინსტიტუტის ინდექსთა მავნებლურ მიმართულებას. ამასთანავე, მათში დასაბუთებული და გამართლებული იყო ცვალებადწონებიანი აგრეგატული ინდექსი, როგორც ფასთა ინდექსების გაანგარიშებისათვის ეკონომიურად ყველაზე მართებული ინდექსები. საბჭოთა საინდექსო მეთოდოლოგია ამ პერიოდში იკვებოდა ბურჟუაზიულ საინდექსო მეთოდოლოგიასთან ბრძოლაში, საინდექსო გაანგარიშების დარგში მავნებლობის მხილებით.

ვაჭამებთ რა სსრ კავშირის ვაჭრობის სტატისტიკის განვითარების პირველი იოდს, უნდა აღვნიშნოთ, რომ სისტემატურად ჩატარებულ სამუშაოთა პროგრამის სიფართოვითა და მასალების სიმდიდრით იგი უფრო მაღალ დონეზე იდგა. ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანაში. მაგრამ მას მაინც გააჩნდა დიდი ნაკლოვანებანი. განსაზოგადებული ვაჭრობის საწარმოთა სტატისტიკური ანგარიშგება ამ პერიოდში ახლად იქმნებოდა და ჯერ კიდევ მთლიანად არ იყო უნიფიცირებული. საერთოსახელმწიფოებრივი სტატისტიკის კრებისითი სამუშაოები ემყარებოდა სპეციალურად ორგანიზებულ გამოკვლევებს და მათი ჯამები ძლიერ იკვიანებდა.

ასეთი ვითარების მოთმენა შეუძლებელი შეიქნა ამ პერიოდის ბოლოსათვის, როდესაც კერძო ვაჭრობა გამოიღვენა საქონელბრუნვიდან, ხოლო სახელმწიფო დაგვენამ და ვაჭრობის რეგულირებამ სტატისტიკას დიდი მოთხოვნები წაუყენეს.

### 2. ვაჭრობის სტატისტიკა 1930—1940 წწ.

დაგვენის გაზრდილი მოთხოვნების შესაბამისად სკკპ (ბ) XVI კონფერენციამ 1929 წელს დასახა ლონისციებანი ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის

აღრიცხვის ერთიანი სისტემის საბოლოო ჯამოყალიბების შესახებ. 1930—1931 წწ. განხორციელდა სახელმწიფო სტატისტიკის სისტემის გარდაქმნა სსრ კავშირში; ცენტრალური სტატისტიკური სამმართველო შეუერთდა სახელმწიფო საგეგმო კომისიას, სახე იცვალა სტატისტიკურ სამუშაოთა პროგრამამ და ორგანიზაციამ სტატისტიკის მხრივ დაგეგმვის უფრო უკეთესი მომსახურებისათვის. ამ დროიდან ვაჭრობის სტატისტიკა სსრ კავშირში ახალ ორგანიზაციულ და მეთოდოლოგიურ საფუძველზე დგას, რაც შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტური მეურნეობის პირობებში. ამ სტატისტიკის საფუძველი ხიბობდა სახელმწიფო და კოოპერაციულ სავაჭრო საწარმოთა ანგარიშგება, რომელიც იყვება სპეციალური აღწერილობითა და გამოკვლევებით.

საბჭოთა ვაჭრობის სტატისტიკის უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ მიღწევას 30-იან წლებში წარმოადგენს სავაჭრო სტატისტიკის მაჩვენებელთა მეცნიერულად დასაბუთებული, ყოვლისმომკველი სისტემის დამუშავება, რომელიც საფუძველად უდევს სტატისტიკური ანგარიშგების პროგრამას ვაჭრობასა და სავაჭრო აღწერებში.

საბითუმო საქონელბრუნვაში დამუშავდა მაჩვენებელთა ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა უმნიშვნელოვანესი სასურსათო და არასასურსათო საქონლის (როგორც საბაზრო და არასაბაზრო დანიშნულების, ისე უმნიშვნელოვანესი ფონდების მესაკუთრეთა მიხედვით) სასაქონლო ფონდთა გამოყენების კონტროლს. სასაქონლო ფონდების გამოყენების სტატისტიკა 1940 წელს მოიცავდა 19 სასურსათო და 29 არასასურსათო საქონელს და წარმოადგენდა საქონელბრუნვის სახელმწიფო რეგულირებისა და დაგეგმვის უმნიშვნელოვანეს საშუალებას.

საცალო საქონელბრუნვაში მისი საერთო მოცულობის მაჩვენებელთან ერთად დამუშავდა ერთიანი სასაქონლო კლასიფიკაცია და დაწესდა ანგარიშგება ყველა სავაჭრო ორგანიზაციისათვის საქონლის მოძრაობის, მიღების, რეალიზაციისა და მარაგის შესახებ 26 სასაქონლო ჯგუფის მიხედვით. ამ ანგარიშგების საფუძველზე განისაზღვრებოდა საცალო საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურა და საქონელბრუნვის სისწრაფის მაჩვენებლები. დამუშავდა სავაჭრო ქსელის კლასიფიკაცია (სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით), მიმოქცევის ხარჯთა კლასიფიკაცია (ხარჯთა სახეებისა და საქმიანობის დარგების მიხედვით), შრომისა და ხელფასის მაჩვენებელთა ერთიანი სისტემა.

1930—1932 წწ. დაწესდა ანგარიშგების ერთიანი სისტემა განსაზღვრადებული ვაჭრობის ყველა სავაჭრო ორგანიზაციისა და საწარმოსათვის. მასში მონაცემთა წარდგენა საქონელბრუნვის საერთო მოცულობის შესახებ ხდებოდა ტელეგრაფით ყოველდღეადურად საქონელბრუნვის სასაქონლო შემადგენლობასა და სასაქონლო მარაგზე — ფოსტით ყოველთვიურად, სავაჭრო ქსელისა და მიმოქცევის ხარჯების მიხედვით — ყოველკვარტალურად და ა. შ. წლიური ანგარიში შეიცავდა მაჩვენებელთა მთელ სისტემას. ქვედგომი სავაჭრო ორგანიზაციებში უდგენენ ანგარიშგებას ზემდგომ ორგანიზაციებს (რაიონი, ოლქი, რესპუბლიკა, სამინისტრო) და ყოველ რგოლში კრებისით მონაცემების ასლი ეგზავნებოდა ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ორგანოებს. ყოველივე ამის საფუძ-

ველზე შესაძლებელი ხდებოდა სავაჭრო სტატისტიკის კრებისთი სამუშაოები დაყრდნობოდა სავაჭრო ორგანიზაციების ანგარიშგებას; 20-იან წლებში ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მიერ წამოწყებული სპეციალურად ორგანიზებული გამოკვლევების (ვაჭრობის მთლიანი აღრიცხვა, საფუძვლიანი გამოკვლევები, კონიუნქტურული სტატისტიკა) საქიროება მოისპო.

ამ პერიოდში ახლად შეიქმნა საზოგადოებრივი კვების სტატისტიკა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის 1933 წელს ჩატარებულ საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციათა აღწერას.

ყოველწლიურად უმჯობესდებოდა 1932 წელს შემოღებული საბაზრო (საკოლმეურნეო) ვაჭრობის მიმდინარე სტატისტიკა, რომელიც ფასების რეგისტრაციასთან ერთად, პირველად მსოფლიო პრაქტიკაში, აწარმოებდა ბაზრებში ცალკეულ პროდუქტთა რეალიზაციის მოცულობის სისტემატურ აღრიცხვას.

ახალ, მეცნიერულ საფუძველზე მოეწყო სტატისტიკა სახელმწიფო ფასებისა, რომლებიც ამ პერიოდში ძირითად ფასებად იქცა საქონელბრუნვაში. ფასთა ინდექსის გაანგარიშებას საფუძვლად ედო ინდექსის აგრეგატული ფორმა, რომელიც უპასუხებდა მის ეკონომიურ შინაარსს.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მიმდინარე ანგარიშგებას, მაჩვენებელთა ფართო პროგრამის მიუხედავად, არ შეეძლო სავსებით დაეკმაყოფილებინა დაგეგმვის, განსაკუთრებით ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაგეგმვის მოთხოვნები. ამიტომ ამ პერიოდში ჩატარდა აღწერები სასაქონლო საწყობებისა 1930 წელს, საცალო ქსელისა და სავაჭრო კადრებისა—1932 წელს, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა—1933 წელს და საერთო-სავაჭრო აღწერა—1935 წელს.

სასაქონლო საწყობთა 1929 წლის 1 ოქტომბრის აღწერა მოიცავდა საფაბრიკო, დამამზადებელ, სატრანსპორტო და სავაჭრო საწყობებს სამ ვაგონზე მეტი ტევადობით. საწყობთა ტიპის მიხედვით გამოთვლილი იყო მათი რიცხვი, ტევადობა, შენახვისათვის სასარგებლო ფართობი, სასაწყობო ფონდის დანაწილება სასაქონლო სპეციალიზაციისა და რკინიგზისა თუ საწყალოსნო გზებთან მდებარეობის მიხედვით. აღწერის მასალები მუშავდებოდა რესპუბლიკებისა და ოლქების მიხედვით<sup>1</sup>.

საცალო ქსელის 1932 წლის აღწერის პროგრამა შეიცავდა მონაცემებს ქალაქისა და სოფლის სავაჭრო ქსელის რაოდენობის შესახებ. საწარმოთა ტიპების მიხედვით ჩატარებულმა სავაჭრო კადრების აღწერამ პირველად მოგვცა მათი დეტალური დახასიათება თანამდებობრივი ჯგუფების მიხედვით. მასში გათვალისწინებული იყო მუშაკთა სქესი, ასაკი, პარტიულობა, სოციალური წარმოშობა, მუშაობის სტაჟი და განათლება<sup>2</sup>.

<sup>1</sup> 1932 წლის აღწერის ჯამები გამოქვეყნებულია ცნობარში „სახალხო მეურნეობა ციფრებში“, სახალხო მეურნეობის აღრიცხვის ცენტრალური სამმართველო, 1932.

<sup>2</sup> 1932 წლის აღწერის შედეგები გამოქვეყნებულია კრებულში „სავაჭრო კადრებისა და საცალო ქსელის აღწერის შედეგები 1932 წ.“, სოიუზორგუჩიტი, 1933.

საზოგადოებრივი კვების საწარმოთა აღწერა 1933 წლის 1 ივლისისათვის ჩატარდა ქალაქებსა და სოფელ ადგილებში, რომელმაც მოიცვა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ყველა ტიპი. აღწერამ დეტალურად დაგვხანათა საწარმოთა ცალკეული ტიპების (ფაბრიკა-სამხარეულოების, დამამზადებლების, მექანიზებული სასადილოების, არამექანიზებული სასადილოებისა და სხვ.) მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გამოავლინა საწარმოო მოწყობილობისა და სასადილო ინვენტარის რაოდენობა და შემადგენლობა, სამზარეულოსა და სასადილო დარბაზის სიდიდე. მიღებულ იქნა აგრეთვე მონაცემები საქონელბრუნვის მოცულობისა და შემადგენლობის, გამოშვებული პროდუქციის რაოდენობისა და შემადგენლობის, საზოგადოებრივი კვების მუშაკთა რიცხოვნებისა და შეჯამების შესახებ<sup>1</sup>.

ბირველი საკვშირო სერთო-სავაჭრო აღწერა ჩატარდა 1935 წლის 1 აპრილის მდგომარეობით. მის მიზნს შეადგენდა სავაჭრო ორგანიზაციებისა და საწარმოების ნეშობის შედგენა დახასიათება 1935 წლის I კვარტალის მიხედვით. აღწერა ტარდებოდა 11 სხვადასხვა ფორმის ბლანკით და მოიცავდა საბითუმო და საცალო სავაჭრო ორგანიზაციებს, საბითუმო სავაჭრო საწარმოებს (სავაჭრო ბაზებს), სავაჭრო ორგანიზაციების სასაწყობო მეურნეობას, ყველა ტიპის საცალო სავაჭრო საწარმოს და სავაჭრო კადრებს.

აღწერამ მოგვცა მრავალწრივი მასალა, რომელიც აქცილებელია საბჭოთა ეპოქის განვითარების გეგმის შესადგენად.

აღწერის მონაცემთა დამუშავებამ საბითუმო სავაჭრო ორგანიზაციების მიხედვით შესაძლებელი გახდა გამოგვეკვინებინა მათი რაოდენობა ტიპების მიხედვით, მათი ტერიტორიული განაწილება, მუშაობის ძირითადი მაჩვენებლები. საბითუმო ორგანიზაციების ყველაზე მასობრივი ტიპების—რაიონული სამომარაგლო კავშირების მიხედვით დამუშავებისას გამოყენებულ იქნა მათი ეს დაჯგუფებანი, რომლებიც ითვალისწინებს საბითუმო საქონელბრუნვის სიდიდესა და რაიონის მოსახლეობის რიცხვს. საცალო სავაჭრო ორგანიზაციათა მასალების დამუშავებისას გამოიყენეს დაჯგუფებანი მათი საქონელბრუნვის სიდიდის მიხედვით; სოფლის მომხმარებელ საზოგადოებათა მასალებას დამუშავებისას, გარდა ამისა, ხდებოდა დაჯგუფება სავაჭროთა რიცხვისა და მუშაობის რენტაბელობის მიხედვით. ჯგუფურ ცხრილებში მოცემული იყო სავაჭრო ორგანიზაციათა მუშაობის ყველა ძირითადი მაჩვენებელი, მიმოქცევის ხარჯთა დონისა და შემადგენლობის ჩათვლით, რაც გვაძლევდა საინტერესო დამოკიდებულებათა გამოვლენის შესაძლებლობას.

სასაწყობო მეურნეობის მასალათა დამუშავებით შესაძლებელი გახდა სავაჭრო ორგანიზაციათა სასაწყობო ფონდის სიმძლავრის, გამტარუნარიანობის, ტერიტორიული განლაგებისა და მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის განსაზღვრა. ამასთან გამოვლინდა სასაწყობო მეურნეობისა და მისი მოწყობილობის ცვეთა, მდებარეობა რკინიგზებისა და საწყალოსნო გზების გათვალისწინებით.

<sup>1</sup> აღწერის მასალები გამოქვეყნებულია კრებულში „სსრ კავშირის საზოგადოებრივი კვება 1933 წელს“, 1934.

აღწერამ დეტალურად გააშუქა საცალო სავაჭრო ქსელის მდგომარეობა. მოცემული სავაჭრო ქსელის გეოგრაფიული განლაგების დახასიათება: ქალაქისა— ცალკეული ქალაქებისა და ქალაქის რაიონების მიხედვით, სოფლისა— რაიონებში— დან დაშორების მიხედვით. საცალო საწარმოები ნაწილდებოდა ტიპებისა და სასაქონლო სპეციალიზაციის საფუძველზე, თანაც პირველად იყო მოცემული ქალაქის შერეულ მაღაზიათა დახასიათება მათი განყოფილებებისა და სექციების სპეციალიზაციის მიხედვით. დაწერილებით შექდებოდა საცალო სავაჭრო ქსელის მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის საკითხები: სავაჭრო შენობების გაცვეთის ხარისხი, მაღაზიების სრული უზრუნველყოფა მოწყობილობით, სავაჭრო სადგომთა სიდიდეები და ფართობის სტრუქტურა. დამოუკიდებელ ბალანსზე გადაყვანილი მაღაზიების აღწერამ გაარკვია მიმოქცევის ხარჯთა დონე და შემადგენლობა მაღაზიის სავაჭრო ბრუნვის სიდიდესა და სასაქონლო სპეციალიზაციისთან დაკავშირებით.

ვაჭრობის მუშაკთა აღწერის მასალების დამუშავება ხდებოდა თანამდებობრივი ჯგუფების მიხედვით შემდეგ ნიშანთა საფუძველზე: სქესი, ასაკი, განათლება, მუშაობის სტაჟი, უკანასკნელი საქმიანობა ვაჭრობაში მისვლამდე და სხვა. განსაზღვრული იყო აგრეთვე ხელფასის მაჩვენებლები 1935 წლის მარტისათვის: საშუალო დონე, დიფერენციაცია, ანაზღაურების ცალკეული სისტემის გავრცელებულობა<sup>1</sup>.

#### 4. ვაჭრობის სტატისტიკა დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945 წწ.)

დიდი სამამულო ომის დროს საბჭოთა ვაჭრობის სტატისტიკის სამუშაოთა პროგრამა გარდამავალი სამხედრო მეურნეობის საჭიროებათა შესაბამისად. დამატებით შემოღებულ იქნა მოსახლეობის ნორმირებული მომარაგების სტატისტიკა, რომელიც აწარმოებდა დაკვირვებას მოსახლეობაზე გაცემული ბარათების (პურის, სასურსათო და სამრეწველო საქონლის) რაოდენობაზე, სახელმწიფო მომარაგებაზე აყვანილი კონტინგენტების რიცხვსა და მოსახლეობის მოსამარაგებლად გაცემულ სასაქონლო ფონდებზე.

გაცემულ ბარათთა სტატისტიკა წარმოებდა ვაჭრობის სახალხო კომისარიატში მოსახლეობაზე ბარათების გამცემი ბიუროს ყოველთვიური ანგარიშგების საფუძველზე. იგი აღრიცხავდა გაცემულ ბარათთა რაოდენობას მოსახლეობის კატეგორიებისა (მუშები, მოსამსახურენი, კმაყოფაზე მყოფნი, ბავშვები) და ტერიტორიული ნიშნის მიხედვით (რესპუბლიკები და ოლქები უმნიშვნელოვანესი ქალაქების გამოყოფით). ამ სტატისტიკას აქვებდა მუშათა მომარაგების განყოფილების ანგარიშგება სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანესი დარგების კონტინგენტთა შესახებ, რომლებიც აყვა-

<sup>1</sup> 1935 წლის აღწერის შედეგები გამოქვეყნებულია კრებულებში: 1. „სავაჭრო ქსელი სსრ კავშირის ქალაქებში“, 1935; 2. „საცალო სავაჭრო ქსელი“, 1935; 3. საცალო და საბითუმო ორგანიზაციები“, 1936; 4. „უმნიშვნელოვანესი სავაჭრო ორგანიზაციების სასაწყობო მეურნეობა“ 1936; 5. „საბჭოთა ვაჭრობის კიდრები“, 1936.

წილი იყვნენ პირველი რიგის ცენტრალიზებულ მომარაგებაზე. მეშათა მომარაგების განყოფილებათა კონტინგენტები შეადგენდა სახელმწიფო მომარაგებაზე აყვანილი მოსახლეობის მთელი კონტინგენტის დაახლოებით ნახევარს. ამ ანგარაშვებაში მოტანილი იყო მონაცემები მეშა-მოსამსახურეთა რიცხვის, გაკემულ ბარათთა რაოდენობის შესახებ კატეგორიების მიხედვით, აგრეთვე იმ კონტინგენტზე, რომელიც ლეზულობდა დამატებით კვებას, ლიტერიან ბარათებს, მეორე ცხელ კვებას, სალიტერო და სამკურნალო კვებას, დამატებით კვებას ბავშვებისათვის და ა. შ. დაწესდა მეშათა მომარაგების განყოფილებათა სპეციალური ანგარიშგება სასაქონლო ფონდების შერჩევის შესახებ, რაც გვიჩვენებდა საქონლის ფაქტიურ მიღებას ბარათთა დასაქონლებისათვის.

სასურსათო და ძირითადი არასასურსათო საქონლის ცენტრალიზებული განაწილების სისტემის განვითარება ომის პირობებში მოითხოვდა სახალხო მოხმარების ძირითადი საქონლის ფონდთა გამოყენების სტატისტიკის მნიშვნელოვან გაფართოებას. 15 დღეში ერთხელ სსრ კავშირის მთავრობას წარედგინებოდა მონაცემები მიწოდების შესახებ საბაზრო ფონდით, ყოველკვარტალურად დგებოდა სასაქონლო რესურსთა გამოყენების ბალანსები ცალკეული საქონლის მიხედვით. წარმოებდა აგრეთვე რესურსთა მიღების აღრიცხვა ადგილობრივი დეცენტრალიზებული წყაროებიდან (მეშათა მომარაგების განყოფილებების დამხმარე მეურნეობანი, შესყიდვა და ა. შ.).

ფასთა სტატისტიკა ომის დროს აღრიცხვად არა მარტო ნორმირებული ვაჭრობის სახელმწიფო ფასებს, რომლებიც უცვლელი იყო ომის მთელ მანძილზე, არამედ კომერციული ვაჭრობის ფასებსაც. წარმოებდა კომერციული ვაჭრობის ფასთა და სახელმწიფო საცალო ფასთა საერთო ინდექსის გაანგარიშება 1940 წლის ფასების ბაზაზე; დგინდებოდა აგრეთვე საქონლებრუნვის ფიზიკური მოცულობის ინდექსები.

მნიშვნელოვნად რთულ პირობებში წარმოებდა საკომერციული საბაზრო ვაჭრობის სტატისტიკა. ყოველთვიურად იანგარიშებოდა საკომერციული ბაზრის ფასთა ინდექსები.

##### 5. ვაჭრობის სტატისტიკა ომისშემდგომ პერიოდში

ომისშემდგომ პერიოდში, 1947 წელს, საბარათო სისტემის გაუქმებასთან ერთად შეწყდა ნორმირებული მომარაგების სტატისტიკაც.

გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა მოითხოვდა სავაჭრო ქსელის ფართოდ განვითარებას. ახალი სავაჭრო ტექნიკით მის აღჭურვას. სავაჭრო ქსელის განვითარებისა და ტექნიკური რეკონსტრუქციის დაგეგმვისათვის საჭირო იყო მეცნიერულად დამუშავებული მონაცემები, რომლებიც ყოველმხრივ გააშუქებდნენ საბჭოთა ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობას ომისშემდგომ პერიოდში. ეს მონაცემება უნდა უზრუნველყო სრულიად საკავშირო მეორე საერთო-სავაჭრო აღწერას, რომელიც ჩატარდა 1949 წლას 1 აპრილისათვის, აღწერა ტარდებოდა 10 სხვადასხვა ფორმის ბლანკით და მოიცავდა საცალო სა-

ვაჭრო ქსელის, საზოგადოებრივი კვების, სავაჭრო ორგანიზაციების სასაწყობო მეურნეობის ყველა საწარმოს, აგრეთვე პირველად საცალო სავაჭრო ორგანიზაციებსა და საკოლმეურნეო ბაზრებს.

საცალო სავაჭრო ქსელის 1949 წლის აღწერის პროგრამა თავისი შინაარსით ახლოს იდგა 1935 წლის აღწერასთან, რაც შესაძლებლობას გვაძლევდა შევედარებინა ამ აღწერების შედეგები.

ისე როგორც 1935 წელს, საცალო სავაჭრო ქსელის აღწერა ხდებოდა ბლანკების სამი ფორმით: დაწვრილებითი ბლანკი იყვებოდა ქალაქის მალაზიებზე (აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის რაიონაზე და კულტმაზე), ბლანკი რამდენადმე შეკვეცილი იყო სოფლის მალაზიებზე და უფრო მოკლე—წერილსაცალო სავაჭრო ქსელზე (ფარდული, ფიცრული, კოსკი). აღწერის მასალათა დამუშავებამ გამოავლინა საცალო სავაჭრო საწარმოთა რაოდენობა ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების. აგრეთვე ტიპებისა და სასაქონლო სპეციალიზაციის მიხედვით, დადგინდა საქონელბრუნვა და სასაქონლო მარაგი 1949 წლის I კვარტალში და სავაჭრო საწარმოთა აღჭურვა ტექნიკით. მიმოქცევის ხარჯების მაჩვენებელთა გარდა, დამოუკიდებელ ბლანსზე გადაყვანილი მალაზიების მიხედვით მოცემული იყო აგრეთვე რენტაბელობის მაჩვენებლები 1949 წლის I კვარტალში.

საზოგადოებრივი კვების აღწერის პროგრამა დაწვრილებით ანალიზებდა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მდგომარეობას და ტექნიკურ აღჭურვას, მისი მუშაობის ძირითად მაჩვენებლებს (ბრუნვა, პროდუქცია, რენტაბელობა დამოუკიდებელ ბლანსზე გადაყვანილ საწარმოთა მიხედვით) 1949 წლის I კვარტალში. იგი 1933 წლის აღწერის პროგრამაზე უფრო სრული იყო და ასახავდა საზოგადოებრივი კვების განვითარების უფრო მაღალ საფეხურს 1949 წელს.

აღწერის განსაკუთრებულ ობიექტს წარმოადგენდა სავაჭრო ორგანიზაციათა სასაქონლო საწყობები. აღწერა მოიცავდა სახელმწიფო და კოოპერაციული საბითუმო და საცალო სავაჭრო ორგანიზაციების, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიერ გამოყენებულ ყველა სასაქონლო საწყობს (ბოსტნეულსაცავთა ჩათვლით), აგრეთვე ფართო მონპარების საქონლით მრავაჭრე გამსაღებელთა საწყობებს.

აღწერამ გამოავლინა ამ საწყობთა რაოდენობა და ტევადობა ოლქების, მხარეებისა თუ რესპუბლიკების მიხედვით, მათი აღჭურვა სასასწორო, სატრანსპორტო და სამაცივრო მოწყობილობით. საწყობთა აღწერების დამუშავება ჩატარდა სასაქონლო სპეციალიზაციის, რკინიგზასა და საწყალოსნო გზებთან მდებარეობის მიხედვით.

პირველადი საცალო და საზოგადოებრივი კვების ორგანიზაციები აღიწერებოდა სპეციალური ფორმით (№ 8). ამ ბლანკის დამუშავებამ გამოავლინა საცალო ქსელის, საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და სავაჭრო ორგანიზაციების სასაწყობო ქსელის ოდენობა და სიმძლავრე, სასაქონლო მომარაგების წყაროები 1949 წლის I კვარტალში, საცალო საქონელბრუნვა, არსებული საკუთარი და სპირეწველო საწარმოების ავტოსაქაპანო ტრანსპორტის რაოდენობა, მუშაკთა რიცხვი 1 აპრილისათვის და მათი ხელფასი მარტის თვეში მეურნეობის დარგთა



მიხედვით, აგრეთვე მონაცემები რენტაბელობისა და ზიმოქცევის ხარჯთა შესახებ 1949 წლის I კვარტალში.

1949 წელს პირველად აღიწერა ყველა საკოლმეურნეო ბაზარი ქალაქებსა და სოფლებში. ქალაქის ბაზრის ბლანკს უფრო დაწვრილებითი პროგრამა ჰქონდა. მასში ნაჩვენებია იყო ბაზრის სპეცილიზაცია, მისი ფართობის სიდიდის დახასიათება, კეთილმოწყობა (სპეციალური პავილიონების რაოდენობა და ფართობი, გაყიდვებისათვის განკუთვნილი მაგიდების სიგრძე, ელექტრობა, წყალსადენი და სხვა). შემდეგ, ბლანკებით იკრიბებოდა ცნობები ბაზრებში მუშაკთა რიცხვის (1949 წლის 1 აპრილისათვის), ერთჯერად მოსაკრებელთა ჯამისა (1949 წლის პირველ კვარტალში) და მარტის თვეში შემოტანილი ძირითადი პროდუქტების ოდენობის შესახებ. სოფლის ბაზრის ბლანკში დამატებით იყო მოცემული მანძილი რაიონული ცენტრიდან ბაზრამდე, მაგრამ არ იყო ცნობები შენობიდან პროდუქტთა რაოდენობაზე.

ომის შემდგომ წლებში ვითარდებოდა საბჭოთა ვაჭრობის სტატისტიკა. საეკონომიკური ორგანიზაციათა მიმდინარე ანგარიშგების სრულყოფისა და საერთოსახელმწიფოებრივი სტატისტიკის ორგანოებში ჩატარებული რიგი სტატისტიკური გამოკვლევების პარალელურად დგებოდა ბალანსები სასაღმრთაო, არასასაღმრთაო საქონლისა და სასოფლო-სამეურნეო ნეკლეულის რესურსებზე.

1955 წლის წლიური ანგარიშების დამუშავებისას სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ პირველად გამოიყენა ფართოდ დაჯგუფების მეთოდი სოფლის სამომხმარებლო საზოგადოებათა, მალაზიათა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიმართ. სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებები ჯგუფდებოდა საცალო საქონელბრუნვის საერთო ნოცულობის მიხედვით ერთ შემთხვევაში საზოგადოებრივი კვების ბრუნების ჩათვლით და მეორე შემთხვევაში მათ გარეშე. პირველმა დაჯგუფებამ გამოავლინა სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებების საქონელბრუნვის საკმაოდ მაღალი კონცენტრაცია მსხვილ საწარმოებში (სოფლის მომხმარებელთა საზოგადოებების 9 პროცენტში თავმოყრილი იყო საქონელბრუნვის 27 პროცენტი). მეორე დაჯგუფებამ ნათელი გახადა რიგ ხარისხობრივ მაჩვენებელთა (ვაჭრობის მუშაკთა შრომის ნაყოფიერების, მიმოქცევის ხარჯებისა და რენტაბელობის დონის, საქონლის მარაგის დონის) დამოკიდებულება საქონელბრუნვის ნოცულობაზე.

მალაზიების დაჯგუფებამ 1955 წლის IV კვარტალის საქონელბრუნვის მიხედვით ასევე ცხადყო საქონელბრუნვის მაღალი კონცენტრაცია მსხვილ საწარმოებში და ამ ნიშნის მიხედვით რიგი ხარისხობრივი მაჩვენებლების დამოკიდებულება. მალაზიები დაჯგუფდა სამუშაო ადგილების, ხოლო სასაღმრთოები—დასაჯდომი ადგილების მიხედვით<sup>1</sup>.

ვაჭრობის მდგომარეობისა და საეკონომიკური საწარმოთა მიერ მოსახლეობის მომსახურების ახალ ფორმათა გამოყენების ეფექტიანობის უფრო საფუძვლიანი შესწავ-

<sup>1</sup> ამ დამუშავების შედეგები გაშუქებულია ნ. პ. ტიტუბაუმის სტატიაში (ურნ. „Вестник статистики“, № 2, 1957).

ლის მიზნით, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ვაჭრობის სტატისტიკის მუშაობაში ამ წლებში ფართოდ იყილებს ფეხს ერთდროული აღრიცხვები და შერჩევითი გამოკვლევანი.

ვაჭრობის, ახალი ფორმებისა და მათი ეფექტურობის საფუძვლიანი შესწავლის მიზნით (1956 წლის IV კვარტალში) ჩატარდა სასურსათო საქონლით მოვაჭრე საცალო ვაჭრობის საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევა. გამოკვლევამ მოიცვა 459 მაღაზია და გვიჩვენა, თუ ვაჭრობის ახალ ფორმებზე გადასვლა როგორ აისახებოდა საქონელბრუნვაში, სასაქონლო მარაგში, საქონელბრუნვადობასა და მაღაზიების რენტაბელობაში. გამოკვლევამ გამოავლინა აგრეთვე იმ საწარმოთა მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობა, რომლებიც იყენებდნენ ახალ ფორმებს. ასეთივე გამოკვლევას ჰქონდა ადგილი 1959 წლის II კვარტალშიც. იგი ჩატარდა ზოგიერთი ოლქის ქალაქებში და მოიცვა მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროთა მაღაზიები და მუშათა მომარაგების განყოფილებები, რომლებიც იყენებდნენ სასურსათო და სამრეწველო საქონლით ვაჭრობის ახალ, პროგრესულ ფორმებს (ვაჭრობა თვითმომსახურებით, შეფუთული საქონლით, ნიმუშებით, საქონლის ღია გამოფენით, წინასწარი შეკვეთების სისტემით, საქონლის ბინაზე მიტანით). გამოკვლევამ გამოავლინა, თუ რამდენად გავრცელებულია ვაჭრობის ახალი ფორმები, რამდენად ეფექტურია მათი გამოყენება, როგორია მაღაზიების მდგომარეობა, რომლებიც იყენებენ ამ ფორმებს, და მათი მუშაობის მაჩვენებლები<sup>1</sup>.

სახელმწიფო ვაჭრობის სპეციალიზებული მაღაზიების განლაგებისა და მათი მუშაობის შესწავლის მიზნით, 1957 წელს ჩატარდა სახელმწიფო ვაჭრობის ყველა სპეციალიზებული მაღაზიის (სასურსათო და არასასურსათო) ერთდროული აღრიცხვა. აღრიცხვის მასალებმა გამოავლინა სამუშაო ადგილთა რიცხვი და მაღაზიების სავაჭრო დარბაზთა ფართობი 1957 წლის 1 ოქტომბრისათვის, საქონელბრუნვა, სასაქონლო მარაგი, მუშაკთა რიცხვი და ხელფასი 1957 წლის III კვარტალში. ამ ცნობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სპეციალიზებული ვაჭრობის შემდგომი განვითარების დასადგენად.

საკოლმეურნეო ვაჭრობის მდგომარეობაზე მასობრივ მონაცემთა მიღების მიზნით სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ყველა ქალაქსა და რაიონულ ცენტრში 1957 წლის აპრილში ჩატარა საკოლმეურნეო ვაჭრობის საქონელბრუნვის მთლიანი გამოკვლევა 26 ძირითადი საქონლის მიხედვით, რომელთა წილად მოდიოდა საკოლმეურნეო ბაზრების მთელი საქონელბრუნვის დაახლოებით 70%. გამოკვლევა ჩატარდა ერთ კვირაში (1957 წლის 10-დან 16 აპრილამდე), რის შედეგადაც გამოვლინდა, რომ 2812 ქალაქში იყო 3888 საკოლმეურნეო ბაზარი და 1787 რაიონულ ცენტრში—1809. სოფლის ბაზრის საქონელბრუნვა დაახლოებით 8-ჯერ ნაკლებია, ვიდრე ქალაქისა, ამიტომ ქალაქებში მოქცეულია

<sup>1</sup> ამ გამოკვლევის შედეგები გაშუქებულია ნ. პ. ტიტელბაუმის სტატიაში ჟურნ. „Вестник статистики“, № 5, 1960).

საკოლმეურნეო ბაზრების მთელი საქონელბრუნვის 93 %<sup>1</sup>. დიდი ქალაქების წილი, სადაც შემოღებულია საკოლმეურნეო ვაჭრობის მიმდინარე აღრიცხვა, ყველა ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრების მთელი საქონელბრუნვის 60 %-ს შეადგენს. გამოკვლევამ გამოავლინა საკოლმეურნეო ბაზრების საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი კონცენტრაცია დიდ ქალაქებში, საქონელბრუნვის სასაქონლო სტრუქტურის სხვაობა ქალაქისა და სოფლის ბაზრებზე, დიდსა და პატარა ქალაქებში, აგრეთვე სსრ კავშირის სხვადასხვა გეოგრაფიულ რაიონში. გამოკვლევების მასალები დამუშავდა ქალაქების დაჯგუფებით მცხოვრებთა რიცხვისა და ბაზრების დაჯგუფებით ერთი კვირის საქონელბრუნვის მოცულობის მიხედვით<sup>1</sup>.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 2 მარტის დადგენილების შესაბამისად, რომლითაც მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს უფლება მიეცათ სასურსათო და სამრეწველო საქონლის ძირითად მასაზე თვითონ დააწესონ საცალო ფასები, მოკავშირე რესპუბლიკების ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოები შეუდგნენ მუშაობას, რომლის მიზანს შეადგენს საცალო ფასებისა და სავაჭრო ფასდაკლების რეგისტრაცია, აგრეთვე ფასთა ინდექსების გაანგარიშება.

1959 წლის შეახანებში მთავრობის დადგენილებით შემოღებულ იქნა მოსახლეობისათვის საქონლის ნისიად მიყიდვა. იმისათვის, რომ გამოვლენილიყო ნისიად ვაჭრობის ეფექტურობა, რსფსრ ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ 1960 წლის იანვარში 73 ქალაქში ჩაატარა საქონლის ნისიად გაყიდვის გამოკვლევა. დადგინდა ნისიად მოვაჭრე მალაზიათა რაოდენობა (1960 წლის 1 იანვრისათვის) და მათი მუშაობის მაჩვენებლები, ნისიად გაყიდული ცალკეული საქონლის ოდენობანი (1959 წლის IV კვარტალში), კრედიტით მოსარგებლე მყიდველთა დაჯგუფება თვიური ხელფასის სიდიდის მიხედვით (1959 წლის IV კვარტალში, მხოლოდ საოლქო ცენტრებში).

საზოგადოებრივი კვების მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა დამუშავების მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 20 თებერვლის დადგენილების — „საზოგადოებრივი კვების შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესების შესახებ“ — შესაბამისად, სსრ კავშირის ცენტრალურმა სტატისტიკურმა სამმართველომ ჩაატარა შერჩევითი გამოკვლევა 1959 წლის IV კვარტალში. გამოკვლევამ მოიცვა 40 რესპუბლიკის, ოლქისა და მხარის ფაბრიკა-სამშარეულოები და სასადილოები, რომლებიც მომსახურებას უწევდნენ სამრეწველო საწარმოთა, დაწესებულებათა მუშაკებსა და მოსწავლეებს, აგრეთვე საზოგადოებრივი კვების ტრესტებისა და მუშათა მომარაგების განყოფილებების თანამშრომლებს. გამოკვლევის ამოცანას შეადგენდა: ანალიზი მოსადილე კონტინგენტის ფაბრიკა-სამშარეულოებითა და სასადილოებით მომსახურების ხარისხისა, მათი მუშაობის ძირითადი მაჩვენებლებისა 1959 წლის IV კვარტალში; საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელის მეშვეობით შესწავლა ნახევარფაბრიკატების, კულინარული და

<sup>1</sup> გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ჟურნალში „Вестник статистики“, № 5, 1958.

საკონდიტრო ნაწარმის წარმოებისა და გაყიდვისა, პროდუქტებით საზოგადოებრივი კვების მომარაგების წყაროების, საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ხარჯებისა და რენტაბელობისა; დახასიათება ფაქტიურ ფასთა აღრიცხვით დადგენილი საზოგადოებრივი კვების ცალკეული სახის პროდუქციის ფასებისა (1959 წლის 21-დან 29 დეკემბრამდე).

1959 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა 264 ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრების ერთდროული გამოკვლევა, რომელმაც გამოავლინა, თუ რომელი ოლქებიდან და რაიონებიდან შემოიტანება ძირითადი პროდუქტები მოცემული ქალაქის ბაზარზე.

1960 წლის IV კვარტალში ჩატარდა საქონლის შესყიდვის შერჩევითი გამოკვლევა ორგანიზაციების, დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ საცალო და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ქსელში, აგრეთვე საკოლმეურნეო ბაზრებზე. გამოკვლევამ მოიცვა 4 თვის მონაცემები (1959 წლის დეკემბერი, 1960 წლის მარტი, ივნისი და აგვისტო) 5500 ობიექტის მიხედვით (სამრეწველო საწარმოები, არტელები, სამშენებლო ორგანიზაციები, კოლმეურნეობები, უმაღლესი სასწავლებლები, სკოლები, სკოლამდელი დაწესებულებანი, სანატორიუმები, საავადმყოფოები, სავაჭრო და სატრანსპორტო საწარმოები და ა. შ.), მათ მიერ ცალკეული საქონლის შეძენა სავაჭრო ქსელში (35 დასახელებისა) და ბაზრებზე (12 დასახელებისა). ეს მონაცემები საჭიროა საცალო საქონელბრუნვაში დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ შესყიდული საქონლის წილის დასაზუსტებლად<sup>1</sup>.

მთელი საბჭოთა სტატისტიკისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მოსახლეობის 1959 წლის საკავშირო აღწერას. აღწერამ დაადგინა მოსახლეობის რიცხვი სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, მათ შორის ვაჭრობაში, საზოგადოებრივ კვებაში, დამზადებაში, მომარაგებასა და გასაღებაში; განსაზღვრა სახალხო მეურნეობის ამ დარგთა ხვედრითი წონა დასაქმებულ პირთა საერთო რიცხვში. აღწერამ მოგვცა აგრეთვე ვაჭრობასა და საზოგადოებრივ კვებაში დასაქმებული მოსახლეობის დაწვრილებითი დახასიათება უმნიშვნელოვანესი პროფესიების, სქესის, ასაკის, განათლების დონისა და სხვა ნიშნების მიხედვით.

1961 წლის 1 იანვრისათვის ჩატარდა საბითუმო ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ერთდროული აღრიცხვა, რომელმაც მოიცვა საბითუმო ბაზების 5350 სასაწყობო სადგომი 2343 ათასი კვ. მეტრი შესაბამის ფართობით. აღრიცხვამ საშუალება მოგვცა საბითუმო ორგანიზაციების სასაქონლო სპეციალიზაციის ფარგლებში გამომწარმებელიყო საწყობთა რაოდენობა, მათი ფართობი, საწყობთა განაწილება სასაწყობო სადგომთა ტიპების, გამოსადეგი ფართობის ოდენობის მიხედვით, საბითუმო ბაზების აღჭურვილობა საერთო-სასაწყობო მოწყობილობით და სასაწყობო სადგომებისა—შიდა სასაწყობო მოწყობილობით<sup>2</sup>.

<sup>1</sup> ამ გამოკვლევის შედეგები გაანალიზებულია ნ. პ. ტეტელბაუმის სტატიაში (უკრნ. „Вестник статистики“, № 10, 1961).

<sup>2</sup> აღრიცხვის შედეგები გამოქვეყნებულია სტატისტიკურ კრებულში „Советская торговля“, 1964, გვ. 198—202.

ამავე თარიღისათვის ჩატარდა მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სოჯახო საჭიროების საგნების გაქირავების ატელიეთა გამოკვლევა. გამოკვლევამ მოგვცა მონაცემები გამქირავებელ საწარმოთა ქსელის, მათი საქონლისა და ასორტიმენტის, ნივთების გაქირავებაში გადახდევინებული ფასების დონის, მომსახურებული კლიენტების რაოდენობის შესახებ და სხვა.

საბჭოთა მეურნეობების მუშათა მომარაგების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესამუშავებლად 1961 წლის 1 ივლისისათვის ჩატარდა საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა სასურსათო საჭონლით და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ძირითადი საჭონლით მომარაგების ერთდროული კომპლექსური გამოკვლევა. გამოკვლევამ მოიცივა ყველა საბჭოთა მეურნეობა და მიღებულ იქნა მონაცემები საბჭოთა მეურნეობების მუშა-მოსამსახურეთა მომარაგების შესახებ 1960 წელს და 1961 წლის პირველ ნახევარში.

1962 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჩატარდა მალაზიების ერთდროული აღრიცხვა, რომლის ამოცანა იყო სახელმწიფო ვაჭრობის მალაზიებში სპეციალიზაციისა და ვაჭრობის პროგრესული ფორმების დანერგვის შესწავლა. შესწავლილ იქნა სახელმწიფო ვაჭრობის ყველა მალაზია, რომლებმაც იმუშავეს 1961 წლის სრული IV კვარტალი. აღრიცხვამ მოგვცა მონაცემები მალაზიების ტიპთა შესახებ სპეციალიზაციის მიხედვით: მათი ფართობი, სამუშაო ადგილთა რიცხვი, სამუშაო დრო, საქონელბრუნვის მოცულობა, საქონლის მარაგი ბრუნვადლეებში, მუშაკთა საშუალო სიობრივი რიცხვი და ხელფასის ფონდი. მასალათა დამუშავებისას გამოყენებულ იქნა სპეციალიზებულ მალაზიათა დაჯგუფება საქონელბრუნვის, მალაზიის საერთო ფართობისა და სამუშაო ადგილთა რაოდენობის მიხედვით. მივიღეთ ცხრილები, რომლებიც (საქონელბრუნვადლეებში) ასახავდა საქონლის მარაგის, საშუალოდ ერთ მუშაკზე საქონელბრუნვის ოდენობისა და მუშაკთა საერთო რიცხვში გამყიდველთა ხვედრითი წონის კავშირს მალაზიის საქონელბრუნვის მოცულობასთან<sup>1</sup>.

1963 წლის 1 აპრილისათვის ჩატარდა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა ერთდროული აღრიცხვა. აღრიცხვამ გამოავლინა საზოგადოებრივი კვების საწარმოთა სპეციალიზაცია, დაახასიათა საწარმოთა თითოეული ტიპი სადგომის მთელი ფართობით (სასადილო დარბაზის გამოყოფით), ადგილთა რაოდენობით, საქონელბრუნვით, პროდუქციის გამოშვებით და მუშაკთა რიცხვით. მასალათა დამუშავებისას გამოიყენეს საწარმოთა დაჯგუფება ადგილმდებარეობის (სამრეწველო საწარმოებში, მშენებლობებზე, დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში, საბჭოთა მეურნეობებსა და ა. შ.), კატეგორიების (უმაღლესი თანრიგის, I, II, III კატეგორიის), მომსახურების ფორმების (თვითმომსახურება წინასწარი ანგარიშსწორებით, თვითმომსახურება შემდგომი ანგარიშსწორებით და მომსახურების სხვა

<sup>1</sup> გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნებულია სტატისტიკურ კრებულში „Советская торговля“, 1964, გვ. 204—241.

ფორმები). საქონელბრუნვის მოცულობის, საერთო ფართობის ოდენობის, ადგილ-  
თა რიცხვის მიხედვით<sup>1</sup>.

1964 წლის 1 ოქტომბრისათვის ჩატარდა ცალკეული სამრეწველო საქონ-  
ლის ნაშთებისა და გაყიდვის ერთდროული აღრიცხვა ასორტიმენტის მიხედვით.  
იგი წარმოებდა ვაჭრობის სამინისტროს ორგანიზაციებში, მუშათა მომარაგების  
განყოფილებებსა და საბონე-მარკებლო კოპერაციაში საქონლის მარაგის შემადგენ-  
ლობისა და სტრუქტურის განვლენის მიზნით. ასეთივე აღრიცხვა განმეორდა  
1965 წლის 1 ოქტომბრისათვისაც.

1965 წლის 1 ივლისის მღვამარეობით ჩატარდა სახელმწიფო სავაჭრო ორ-  
განიზაციათა სასაწყობო ქსელის ერთდროული აღრიცხვა. უნდა აღრიცხულიყო  
მოკავშირე რესპუბლიკების ვაჭრობის სამინისტროთა საცალო ორგანიზაციების,  
სამინისტროებისა და უწყებების მუშათა მომარაგების განყოფილებათა საწყობები  
(სავაჭრო ორგანიზაციების, ტრესტების, კანტორების, განყოფილებების საწყობები,  
ჩრდილოეთავაჭრობისა და კურორტ-ვაჭრობის განმანაწილებელი საწყობები). აღ-  
რიცხვის მიზანს შეადგენდა საცალო სავაჭრო ორგანიზაციების სასაწყობო საღ-  
ვომთა მღვამარეობის დამახასიათებელ მონაცემთა მიღება შემდეგი თვალსაზრისით:  
1. საწყობებისა და სასაწყობო სადგომების რაოდენობა, მათი ფართობი, ტევა-  
ლობა, ტექნიკური აღჭურვილობა; 2. საწყობებისა და სასაწყობო სადგომების გა-  
ნაწილება სპეციალიზაციის სახეობათა მიხედვით; 3. სასაწყობო მეურნეობის რენ-  
ტაბელობა; 4. საწყობთა ფართობისა და მოწყობილობის შესაბამისობა არსებული  
საქონლის მარაგთან; 5. სასურსათო საქონლის მიღება დაფასებული სახით და  
მისი ორგანიზაცია საწყობებში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტის პლენუმის შემდეგ, რო-  
მელმაც მიიღო სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებანი, შე-  
სამჩნევად გამოცოცხლდა საკოლმეურნეო ბაზრების ვაჭრობა; მწვავედ დადგა სა-  
კოლმეურნეო ბაზრების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საკითხი. საკოლმეურნეო  
ბაზრების განვითარებისა და კეთილმოწყობის ღონისძიებათა შესამუშავებლად  
1965 წლის 1 ივლისისა და 1966 წლის 1 მარტისათვის ჩატარდა საკოლმეურნეო  
ბაზრების, მათი კეთილმოწყობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ერთდროუ-  
ლი აღრიცხვა, რომელმაც მოიცვა ყველა საკოლმეურნეო ბაზარი ქალაქებში,  
მუშათა დაბებსა და სოფლად. დამუშავების შედეგად მიღებულია მონაცემები სა-  
კოლმეურნეო ბაზართა რიცხვის, სპეციალიზაციის (საპროდუქტო, შერეული),  
მოწყობის ტიპის (დახურული ბაზრები, ღია და კომბინირებული), ფართობის სი-  
დიდისა და მისი ფენილის ხასიათის (მოასფალტებული, მოკირწყლული, მოუკირ-  
წყლავი), სავაჭრო მაგიდების სიგრძის, პავილიონების, ფარდულების რაოდენობისა.  
და სხვათა შესახებ. მიღებულია აგრეთვე მონაცემები ბაზრების სასაწყობო მეურ-  
ნეობის (საყინულეები, სარდაფები, მაცივრები და ა. შ.), სასასწორო მოწყობი-

<sup>1</sup> გამოკვლევის შედეგები გამოქვეყნებულია სტატისტიკურ კრებულში „Советская тор-  
говля“, 1964, გვ. 243—256.

ლობების, სატრანსპორტო საშუალებათა რაოდენობის, მომსახურე პერსონალის შესახებ.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში ვაქრობის სტატისტიკამ განვითარების დიდი გზა გაიარა და ამჟამად სისტემატურად აღრიცხავს სავაჭრო ორგანიზაციათა მუშაობის ყველა მხარეს.

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებმა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971—1975 წლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ განსაზღვრა საბჭოთა ვაქრობის განვითარება. გათვალისწინებულია მოსახლეობის სავაჭრო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება, ვაქრობის პროგრესული, მოსახლეობისათვის მოსახერხებელი ფორმების უფრო ფართოდ განვითარება, ვაქრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის—მაღაზიათა, საწყობთა, მაცივართა და საცავთა ქსელის გაფართოება. ამასთან, სავაჭრო ორგანიზაციათა მუშაობა უნდა გარდაიქმნას მეურნეობის მართვის ახალი მეთოდების გათვალისწინებით და მოსახლეობის მოთხოვნის ღრმად შესწავლის საფუძველზე. ყოველივე ეს ახალ ამოცანებს აყენებს საბჭოთა ვაქრობის სტატისტიკის წინაშე, ხელს უწყობს მის შემდგომ განვითარებას.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ავტორთა წინასიტყვაობა ქართული გამოცემისათვის	3
თ ა ვ ი I. ვაჭრობის სტატისტიკის საგანი და ამოცანები	5
თ ა ვ ი II. საქონელბრუნვის ძირითადი კატეგორიები	15
თ ა ვ ი III. საბითუმო საქონელბრუნვის სტატისტიკა	24
თ ა ვ ი IV. სავაჭრო ქსელის საცალო საქონელბრუნვის სტატისტიკა	63
თ ა ვ ი V. საზოგადოებრივი კვების საქონელბრუნვის სტატისტიკა	108
თ ა ვ ი VI. მთლიანი საცალო საქონელბრუნვის კრებვისით სტატისტიკა საზოგადოებრივი კვების ჩათვლით	131
თ ა ვ ი VII. სასაქონლო მარაგისა და საქონელბრუნვის სისწრაფის სტატისტიკა	144
თ ა ვ ი VIII. სასოფლო-სამეურნეო ცკროდუქტთა შესყიდვის სტატისტიკა	171
თ ა ვ ი IX. საკოლმეურნეო ვაჭრობის სტატისტიკა	191
თ ა ვ ი X. ფასების სტატისტიკა	219
თ ა ვ ი XI. მიმოქცევის ხარჯთა სტატისტიკა	267
თ ა ვ ი XII. შრომისა და ხელფასის სტატისტიკა ვაჭრობაში	317
თ ა ვ ი XIII. ვაჭრობის მატერიალური ბაზის სტატისტიკა	345
თ ა ვ ი XIV. სსრ კავშირის საშინაო ვაჭრობის სტატისტიკის განვითარების მოკლე მიმოხილვა	374

გამომცემლობის რედაქტორი გ. ს ა ლ ი ა შ ვ ი ლ ი  
 ტექრედაქტორი ი. ხ უ ც ი შ ვ ი ლ ი  
 კორექტორი ნ. ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 2/VII-74. ქალაქის ფორმატი 70X90<sup>1</sup>/<sub>16</sub>.  
 ნაბეჭდი თაბახი 29,25. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 27,22.

შეკეთა 1457 ტირაჟი 3000 ფასი 1 მან. 27 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.  
 Издательство Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.  
 Типография Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.